მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

114
1935/2

7-8

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ზ ი ა

სიმონ ჩიკოვანი
ტიციან ტაბიძე
ვალერიან გაფრინდაშვილი
ვაგიფ
სულეიმან რუსტემ
მ. რაგიმ
ლადო მაჭავარიანი
კალე ბოგოხიკა
ალიგჰიერი დანტე

პ რ ო ზ ა

კონსტანტინე გამსახურდია
რაჟდენ გვეტაძე
მიხეილ ჯავახიშვილი
ი. ტატიშვილი

რევოლუციური მოძრაობა

ლ. ბერია

სალიტერატურო პოლიტიკის საკითხები

პ. პ. პოსტიშევი
მ. კოლცოვი

ლიტერატურის ისტორია

ბ. ხავთასი

ხელოვნებათმცოდნეობა

ალ. ჩავლეიშვილი

მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა

დ. ჯანელიძე

9 3 5

5

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲐᲜᲯᲐᲠᲘ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ
ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

1654 4473

7-8

Тбилисский ... Библиотека при ЦК ВКП (б)

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲘ **1935** ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი გიორგი ყურულაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
გრ. მუშიშვილი
შალვა რადიანი
გალაკტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლეო ქიაჩელი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დეგნა შენგელაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.
ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

სახელგამის პირველი სტამბა, პლეხანოვის პროსპექტი № 91

მთავლიტის № 7022. შეკვ. № 373. ტირაჟი 6000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

ორი ლექსი

პასუხი

მეუბნებიან: ხარო მხილველი
მაგრამ გასუქდი, დამძიმდი თითქო.
უკვე ჩაგიქრა ცეცხლი პირველი
სიმშვიდესა და საღამოს ითხოვ.
გახედე ცას და
გულით ათრთოლდი
ჭაბუკმა ფრთებით დაიპყრო სივრცე.
შენ ხომ ოცდაათს გაღმა განშორდი
და ჯერ გმირობა ვერ დაამტკიცე.
ვერ დაუმტკიცდი სულ განბანილი
საბჭოეთსა და საკუთარ მამას.
ოცდაოთხი წლის კამანინი კი
ცაში მიჰქრის და
გვიბრუნებს ამაგს.
მეუბნებიან და მე მეშინის
ვაი თუ კალამს მოედო ჟანგი.
ლექსი ბუტბუტებს როგორც შეშლილი
და სტრიქონებში ემსხვრევა ჩანგი.
ნუ თუ ვერ უძღვენ
ცხოვრებას დიადს
შესაფერისი ხმა და მახვილი.
თუმც სამშობლოში ერთად მიდიან
ხალხის ლტოლვა და ჩემი ძახილი.
ეგებ დავბერდი და სევდის ბაღმა
სულ დამაშორა ჭაბუკურ ხანას.
ვიგრძენი მხრების სხვაგვარი დაღლა
ბაუკუნიდან მოვითხოვ ნანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა და არა. სხვა სიმშვიდეა
ჩემი სიმშვიდე მღელვარე მუდამ.
სულს ვავარჯიშებ და ლექსს ჰკიდია
ძველი ნახტომი გაწრთვნილი ცუდად.
თითებით ვსინჯავ დროების ხავერდს,
სუნთქვას, სიცოცხლეს.
ბელადის ფიქრებს.
ამგვარად კაცი გულს დაახვავებს
და ქვეყნის ელვებს გარს შემოიკრებს.
გწამდეს მშობელო მე უკეთ ვხედავ
ცაში დათესილ მილიონ ქოლგას.
მგოსნის სულივით გაფრენილ მხედარს
და მოსკოვისკენ მიმავალ ვოლგას.
მე უკეთ მესმის სურვილიც მამის
და მოშრიალე სტრიქონის ისლი.
ხშირად ლექსის თქმას მიუძღვის წამი
და წამის კვესზე ცხოვრება ისმის.
მე ამგვარ წამით ცეცხლი დავკეცე
და შთაგონება ფუძედ გამხდარა.
ჩემს სამშობლოში აღარ დავეცე
თუმც გამერია თმაში ჭაღარა.
გულით გაჟღენთილ სტრიქონს აქეზებს
ჩემი ბუკი და ჩემი ნაღარა.

წვიმის შემდეგ

წინეთ ვამბობდი: სულო მაშვრალო
ეს ვარსკვლავები შენი ფრთებია,
როგორც პეპლები ლამპის შუშაზე
გულს ღამეები ეხეთქებიან, —
ეხეთქებიან და შუა ღამეში
უიარაღო სულით ილაშქრე.
გასწირე მთვარეც ულამაზესი
რომ მიხრიალებს
ნისლის სილაში,
შუა აღუმართე კედელი მთელი
პოეზიის და ცხოვრების საზღვარს.
შენ გაიზრდები როგორც ღრუბელი
და შემცირდები ღრუბელის მსგავსად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამბობდი ამგვარს და ვერ ვიგრძენი
ცრემლში მარილი გახსნილი სუფთად.
მე შევაჩერე შაირის ცხენი
მუხლებ დაღლილი
სიჩუმის სულთან.
ავდრის ქვეშ მაშინ უქოლგოთ ვიდექ,
ჩინურ წვალების სიმები წვივის —
გავდა და ასე გავძელი ვიდრე
არ დაეჩვია სტრიქონი წვივილს.
წიოდა ლექსი და მოისმინეს
სთქვეს მივეშველოთ:
დაწუნწულ ყმაწვილს
ცხოვრებამ თვითონ ჩამოკრა სიმებს
და დამაყენა მშობლიურ მანძილს.
გამშრობი სითბო მოჰქონდა ქარბუქს
აკაციებიც სუნთქავდენ სრული.
სხვა გაზაფხული მოჰქონდა ჭაბუკს,
ჭაბუკიც იყო თვით გაზაფხული,
სულ სხვა ვარსკვლავი უთრთოდა თმაში
ფრთებით დაეპყრა ზეცა რომელსაც,
მე ვკითხულობდი კოლხიდის ტბაში
და ვახტანგივით რეკვა მომესმა.
ჩვენ ვნახეთ მხარე, განცდილი ერთად,
როგორც სტრიქონი სუნთქვის ზიარი.
და მეგობრებო შემომაქვს თქვენთან
გულის ფეთქვა და ლექსის წკრიალი.
სადარაჯოზე მისი სურნელი
შემოეკვრება საბჭოთა საზღვარს.
შეიკუმშება როგორც ღრუბელი
და გაიშლება ღრუბელის მსგავსად
ან, გაიელვებს ცაზე ხმალივით,
მზემ თუ მყინვარზე ასვლა ინება,
ან, ცისარტყელად გამოყვანილი
გაშლილ სამშობლოს დაეფინება.
მაშ, მეგობრებო მიიღეთ წვლილი
მოიხმარეთ და გაიხარენით,
ლექსში კამკამებს გული ყმაწვილი
და საბჭოეთის შემოგარენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მოტაცება

კარი მესამე

„ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?
ყველა ცრუი, ყველა ყრუი, ამაყი და მანკიერი“.
ილია ჭავჭავაძე

47. ჯოკია

ვისაც საქართველოს მთაში უვლია, მას უთუოდ ეცოდინება თუ რა არის ცხენის დალალი. ცხენის დალალს სტრაბონის დროიდან იცნობდნენ ალბად საქართველოში მოგზაურნი. ოდესღაც იგი ასრულებდა აწინდელი ტურისტული ბაზებისა და სამგზავრო კონტორების როლს. ეს ტიპი უკვე აღარ შეგხვდებათ საქართველოს სამხედრო გზაზე.

1931 წელს მე ერთ მათგანს გადამკიდა შემთხვევამ. სვანეთს მეორეჯერ გამგზავრებისას. ეს მშვენიერი მოგზაურობა წამამწარა იმ ოჯახ-ქორმა. ეგ არაფერი, ლამის ყო მოუსავლეთში არ გამაგზავნა.

მისი სახელი ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა მამცნო ტფილისში.

მისტერ ემერი მოხიბლული დაბრუნდა დასავლეთ საქართველოდან.

„ვერც მითიური ოლიმპის მთა. ვერც ჰესპერიდების ბაღნარი, ვერც გენუელი რივიერა, ძველი კოლხეთის ბარს ვერ შეედრება, ხოლო სვანეთის კავკასიონი შორს სჯობია როგორც პირინეის, ისე ლუკხეის აპენინებს ამიერსა და იმერს“.

მეუბნება მისტერ ემერი.

„როგორც სჩანს თქვენ არ იცნობთ თქვენს სვანეთს. მარტო სილამაზე? სვანეთი ცოცხალი მუზეუმია, ჯერაც შეუსწავლელი მუზეუმი. A very admiralle country. ინდოეთი, ავსტრალია, აფრიკა და ჩინეთი წალმაუკულმა გადაფარცხულია ფოლკლორისტების, მითოლოგების, ენათმეცნიერების, ტურისტების კალმით, აქ უკვე მოთავდა ეგზოტიურ ამბებისათვის ნადირობა, ამ ქვეყნების ყოველი ტომი, ყოველი ნაშთი სიძველისა, შესწავლილია, ახლა არქტიკის ქვეყნებისაკენ მიიწევსო საკვირველის მაძიებელის თვალი და ყური.

„ესაა, შემომჩივოდა უცხოელი, სვანეთი მიუდგომელია, ძნიად სავალი. ამდენი ჯაფა და ხიფათი არც აფრიკის ჯუნგლებში, არც ტიბეტზე გადასვლისას შემხვედრია. არც ამდენი ჯერაც უნახავი მიხახავს და გაუგონარი გამიგონია.

რომელი კულტურის ნაშთებს არ შეეყრება კაცი სვანეთში. ირანული მაზდეანიზმი გნებავთ, ქალდეური მთვარის კულტი თუ ძველბერძნული მისტერიები“.

„იცით მისტერ, მე ახლაც სვანეთს მივდივარ, მაგრამ უცნაურზე მონადირე მე არ გახლავართ. საკვირველი რამ ყოველ კაცს შეუძლია საკუთარ ბალჩაშიაც აღმოაჩინოს, დასასრულ საკუთარ სულში რომ ჩაიხედოს ყოველმა ჩვენგანმა, იქაც ბევრს ვნახავთ უცნაურსა და გაუგონარს“.

ინგლისელი დადუმდა. მისტერ ემერი ფრიად მოექანცა ჯორის ბილიკებზე ცხენით ჩაქჩაქს, წრიაპებით კლდეებზე ხოხვას, მონადირეების ქვაბებში ღამის თევას, უგზოობას და უკაცობას. და ცხენის დალალს იხსენიებდა აუგად. ჯვარელ ცხენის დალალს ვინმე ჯოკიას.

მე არ ვუთხარი რა თქმა უნდა უცხოელს ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ზოგი კაცი რომ სტყუის. გატყუებენ როცა გპირდებიან რამეს, ან დროს დაგინიშნავენ და შეგიპირებენ, ამბავს მოგითხრობენ „საკუთარი თვალით ნახულს“ და „საკუთარი ყურით განაგონს“.

არც ჯოკიას წაუგია რამე სიცრუით. წრეულს წიგნი გამოუცია მისტერ ემერის ლონდონში, ჯოკიას იხსენიებს ამ შრომაში (ჩვეულებრივად ჩვენებურ მატყუარებზედ სხვაგანაც ბევრსა სწერენ).

Ergo?.. ტყუილით სახელი მოუხვეჭია ჯოკიას.

სხვებიც ეწევიან ცხენის დალალობას ჯვარში, მაგრამ ყველას ჯოკიამ აჯობა.

მაშასადამე. ყველაზე დიდი ცრუ უკვე ყველაზე სახელგანთქმული გახდა.

ვთქვათ კაცს არაფერი უსწავლია და მოძღვართ მოძღვარის მანტიით მორთული დაბრძანდება.

რითი ახერხებს ამას? ცხადია სიცრუით.

ასეთი რამეც ხდება ჩვენში: არც ერთი წიგნი დაუწერია მწერალს და არც ერთი შრომა მეცნიერს. სახელი კი „მოუხვეჭიათ“.

არც ჯოკიასა ჰყავს არც ერთი ცხენი. მაგრამ ყველას ცხენს ის აქირავებს და ჯვარშივე მიამბეს: ჯოკიას ფული რომ შემოაკლდება, ისეთ ცხენებისათვის აიღებს ბეს, რომლის ბადალი ბუნებაშიც არ არსებულა.

უფრო მეტი, მას ერთი „სამწლიანი, ფეხკაკაშა, თაფლისფერი ულაყი გაუყიდნია და ის ულაყი ჯერაც დაბადებული არა ყოფილაო.

მე გამოვკითხე ამ საინტერესო ულაყის სადაურობა ჯოკიას.

„საქმეც ის არის პატონისქუა, ისეთი ცხენი გაჰყიდო, რომელიც არ არსებობს თორემ ნამდვილს ყოველი შლეგიც იოლად გაჰყიდის“.

ფრიად პატივცემულო და დარბაისელო მკითხველო, ნუ გამიკითხავთ ამ მწარე სტრიქონებისათვის, არც თუ კეთილზნეობის მქადაგებელი გეგონოთ. მე კარგად ვიცნობ ქართველი კაცის სიავკარგეს ციხეში, ომში, ტყვეობასა და უცხოობაში, ჭირსა და ლხინში მყავს იგი გამოცდილი, აქ არ ვახსენებ ღვინის სმას, ნადირობას და სიზმრის ახსნას (ამ უკანასკნელ სამ მომენტში ყოველი კაცი უთუოდ სტყუის ან აჭარბებს).

თქვენ როგორ გგონიათ, მე ხომ არ ვუამბობდი ამას ყოველივეს გარდამთიელ ინგლისელს, პირიქით, მე ვუმტკიცებდი პატივცემულ მეცნიერს რომ საქართველოში ის ერთადერთი ცრუ შეგხვედრიათ მეთქი, ცხენის დალალი ჯოკია.

მომიტევეთ გრძელსიტყვაობა და მე მინდა კვლავ მიუბრუნდე ჩემს სათხრობს.

მესამე დღეს ოქტომბრის 17-ს, ისედაც სვანეთს გამგზავრებას ვაპირებდი. წინასწარ მქონდა გადაწყვეტილი ჯოკიას არ გავკარებოდი ჯვარში ჩასვლისას.

ღელავდნენ ჩემი ტფილისელი მეგობრები. აწი სვანეთს გამგზავრება გვიანაა, ქარბუქითა და ზვავებით მაშინებდენ, მაგრამ არ დავიშალე, რადგან რისკი და ხიფათი ამშვენებს ჩემს თვალში გზას.

ხოლო ტფილისში, ტფილისში ისეთი დარი იყო, ვერც კი წარმოიდგენდი წვიმა, თოვლი და ნისლი თუ კვლავ დაასველებენ მიწას, ან ისეთი ქვეყნები თუ არის სადმე, სადაც თოვლისა და ზვავების ეშინიათ ამ წუთში.

ეს ის დრო იყო, როცა ჩემი გმირები ოქუმიდან გადაიკარგნენ.

მე აღარ ვიცოდი როგორ დამესრულებინა ჩემი რომანი. სხვა რალაა ა? ქვეყნად უფრო დიდი ტკივილი, თუ არ შემოქმედების დაუსრულებელი ნაყოფის გულით ტარება. ეს იგივეა ქალს გადაუცდეს ცხრა თვის ყავლზე მოლოგინება.

განუზომელია გულისწუხილი ხელოვანისა, ვიდრემდის გულში ბუნდოვანეთ მორიალე მითი არ მოსწყდება შემომქმედს, როგორც მწიფე ნაყოფი ყუნწს.

ოჰ. ეს დიდზე დიდი ძრწოლაა და ასეთ დროს საშინელი წრიალი ამიტანს ხოლმე, ავბორგდები და გამიშვით სამოგზაუროდ.

არ ვიცი რატომ და მე მოძრაობის ჟამს უკეთა ვჭვრეტ როგორც ჩემს თავს, ისე სამყაროს. მოძრაობა მაწვდის უდიდეს დვრიტას შემოქმედებისას და ამიტომაც მე უმძაფრესი სიყვარულით ვხატავ ხოლმე მიმავალს, მიმქროლავს, მორბენალსა და მორკენალს.

ოჩამჩირის სწრაფით ზუგდიდამდის მივალწიე, იქიდან ფოლადით ჯვარს ჩავედი და ცხენი მოვიკითხე მყისვე სვანეთს წასასვლელად.

„ჯოკიას მიმართეთ“, მეუბნება თემრაზ ჩემი მასპინძელი, ამბავი.

თემრაზს ჯოკიას ამბავი არა სცოდნია გავიფიქრე და მე ლონდონიდან მამცნეს ჯოკიას ამბავი. ახლა თემსაბჭოს თავმჯდომარეს შევეკითხე: „ამჟამად სვანები საზამთრო მარილს იმარაგებენ, ჩალვადრების ცხენები გზის მშენებლობას უნდებიან, ჯოკია მოსძებნეთ, ცხენის დალალი“.

დამარიგა თემსაბჭოს თავმჯდომარემ.

სკოლის გამგე შემხვდა, ძველი ნაცნობი. „ისევ ჯოკია თუ გიშოვნით ცხენს“. მიპასუხა.

„საშველი არა ყოფილა მეთქი, გავიფიქრე. მეც ავდექი და ჯოკიას დავუწყე ძებნა. დუქანში ვიკითხე, ფოსტაში წავიდაო, იქ მივედი, შინ წავიდაო, შინ მივედი თემსაბჭოშიაო, უკვე გვიან იყო და თემსაბჭო დაკეტილი დამიხვდა.

საღამოს თემრაზს შევჩივლე: „მოდი ერთი ამიწერეთ მაინც ეს წყეული ჯოკია. ვერცხლის წყალივით დავარვარებს ი ოჯახქორი, მთელი დღეა დავეძებ, ვერსად ვნახე. ეგებ ვხვდებოდე და ვერ ვცნობილობდე“.

თემრაზმა გაიცინა და ეს მითხრა:

„ერთი ციდაა ბატონო ჯოკია, მწითურია, ჭორფლიანი, მოუვლელ ვაზსავით დაღრეკილი, ცხვირი სახნისს მიუგავს ჯოკიას, ჩალისფერი თვალები აქვს და ალისფერი თმები. ნავსია ბატონო ჯოკია, მეტი რა გითხრათ, ნავსი. დილაობით რომ შევხვდებით, ეშმაკს მივაფურთხებთ, საბძელთან რომ გაივლის, აბა განზე გაიარე, ცეცხლი არ გააჩინოო, მიაძახებენ ბიჭები. ყველას ჭირისდღესავით სძულს, მაგრამ ყველას ესაჭიროება. დღე ისეთი არ გამოერევა, ოცი კაცი არ დაეძებდეს ჯოკიას, ჯვარში მოიკითხავ, სვანეთშიაო გეტყვიან და როცა სვანები იქ შეიგულებენ, უკვე ტფილისშია ჯოკია.

„კი მაგრამ რა კაცია ეს ჯოკია?“

ვეკითხები ისევ თემრაზს.

„ცხენის დალალი, ხარის დალალი, მაჭანკალი, ყოფილი ვაჭარი, შავსიელი და ძაღლთაპირი“.

მეორე დღეს ჯოკიას ძებნისგან ქანცმილეული მივდივარ თემშარაზე. გავიხედე, ალისფერთმიანი ქონდრის კაცი მოდის და მოიმღერის. ჩაბალახი მხარზე გადაუგდია, წელზე სატევარი შემოურტყამს.

ჯიქურ მივედი, ვეუბნები:

„თქვენ ხომ არა ხართ ჯოკია?“

„თქვენი გამარჯვებისა იყოს პატოინსქუა“,

ენის მობრუნება არ მაცალა: მე თქვენ გეძებდითო.

„??? თქვენ რა იცით მე ვინა ვარ“.

„მე ყველას ვიცნობ, კონსტანტინე გამსახურდია ხართ არა?“

„დიახ მე გახლავართ“.

„მე უკვე მზადა მყავს ოთხი ცხენი თქვენთვის პატრონსქუა“. გამეცინა.

„ოთხი ცხენიო? ოთხი რად მინდა. მე... მე ერთი ბატონი“...

„ბაგაჟი?..“

„ბაგაჟიო? ერთი აბგა მომაქვს, ერთი სანადირო თოფი, ასიოდე ვაზნა. ერთი ალპენშტოკი-მუჯრა და ათიოდე ბლოკნოტი“.

„ჯოკია შესდგა. საკუთარი წაღების ჭვინტებს დააჩერდა. თავი გააქნია.

„ერთიო? ერთი არ იქნება. ოთხივე უნდა წავუყვანო მესტიაში პატრონს“.

დავლონდი.

მერმე თვალები უცნაურად დააფახულა, მეუბნება:

„თუ მოიცდით, სამ მუშტარს კიდევ ვიშოვნი, თუ ბედი გაქვთ, თუ არა და რა გიყოთ პატრონსქუა“.

„ჯოკია, რად მიწოდებთ ბატონისშვილს, განა გადაგვარებულ ოდიშელ აზნაურებს რაიმეთი წავაგავარ?“

ვეკითხები ოდნავ შეურაცყოფილი.

„ყოველი კაცი იმას უნდა მიამგვანო პატრონსქუა ვისაც იგი არა ჰგავს, თორემ ყველა რომ იმას მიამგვანო ვინც ვისა ჰგავს, მაშინ აქედან უნდა მოუსვას კაცმა. ახლა უკაცრავად, ცოტა მეჩქარება“. ეს მითხრა და შუაგულ თემშარაზე დამტოვა.

მეორე დღეს ისევ ცხენის საძებრდ გავიარე თემსაბჭოსკენ. გავიხედე მკვდარს მიასვენებენ. ჯოკია წინ მიუძღვის დამწუხრებულ ჭირისუფლებს, ორივე ხელს იშენს თავპირში, მოთქმითა და ვავაჲს ძახილით მიყვება კუბოს. მე ქუდი მოვუხადე მიცვალებულს, განზე გავდექი. დამინახა თუ არა, გლოვა მიატოვა და მომეჭრა.

„როგორც იქნა გიშოვნეთ პატრონსქუა, მერმე რა ცხენი“.

„ერთი?“

„ჰო ერთია, მაგრამ ცხრას სჯობია“.

„ეს ვინ მოგკვდომიათ ჯოკია“. ვეკითხები მოსამძიმრის ტონით.

„ერთი ქობულია გადაიცვალა, დიდი არამზადა და გაიძვერა ვინმე. დილას სალამის მოცემამდის გაგლანძლავდა: როგორა ხარ შე მყრალოვო, მოგახლიდა პირში. ცოლშვილთან მოკითხვას დაგაბარებდა და დედის სულს გადმოგიბრუნებდა“.

გამეცინა.

„მერმე შენ რად მოსთქვამდი ჯოკია ასე მწარედ?“

„მე ის მაწუხებს ამ სოფელში სხვაც დარჩა მასზე უარესი და ასე ნელნელა რომ იხოცებიან ეს არამზადები, პატრონსქუა“.

მესამე დღეს უთენია გამალვიძეს. ჯოკია მოვიდაო.

ცხენი მომგვარა ისეთი, თვალს რომ დახუჭავდა, მკვდარი გეგონებოდათ. მუწუკებიანი, ზურგდაშავებული, ფერდებშელეწილი.

„არა ჩემო ჯოკია, ამაზე ჯდომას ფეხით წასვლას ჯობრეკ ... ცივად გავისტუმრე.

კიდევ ერთი ცხენი მომგვარა.

„ეს კი მირონის ცხენია შვილებს გეფიცები". ამბობს ჯოკია.

ცხენს მართლა არა უშავდა რა. მე მთაში ნავალი ვარ. ვიცი ყოველი ცხენი არ გამოდგება მანდ. აქ უმთავრესია ცხენი ძლიერ მუხლმაგარი იყოს და არა ფრთხებოდეს, თორემ უფსკრულში გადაგიძახებს და ასახვეტი გახდები.

შევჯექ, გავაჯირითე. ფორხილობდა, ქლოშინებდა, ჭუში სჭირდა. ხიდზე ოჩნობდა.

ეს ცხენიც დავუწუნე.

ნასაღილევს კახური ღვინო მომენატრა. დუქანში შევიარე. ერთი ბოთლი მოვატანინე. ვზივარ და ტფილისურ გაზეთებს ვათვალიერებ. დუქანი მთვრალი ხალხით იყო გავსილი. ერთ კუთხეში ათიოდე კაცი იჯდა. ჯოკია ფეხზე იდგა და ვიღაც გაპარსულ, ღაბაბიან კაცს მალალფარდოვან სადღეგრძელოს ეუბნებოდა. აქებდა მის სიბრძნეს, დიდსულოვნობას, გულუხვობას, ზნეობრივ სისპეტაკეს, გულმოწყალებას და არ მახსოვს კიდევ რას. ერთი სიტყვით მეშვიდე ცაში აჰყავდა იგი. საერთოდ ისეთი ჩინებული ქართულით ამბობდა ამას ყოველივეს, გავოცდი, სახეზე გაზეთს ვიფარებ და ვუთვალთვალებ.

როგორც კი გაზეთი დავკეცე, მყისვე თვალი მკიდა. ზედწამოიჭრა და მომვარდა, თავის კამპანიის სახელით მთხოვა მათ სუფრაზე გადავსულიყავ. მეჩქარება მეთქი მოვიმიზეზე. ცივი უარი ვუთხარი. ახლა ბოდიში მოიხადა ცხენი რომ ვერ მიშოვნა იმის გამო.

„შენ დიდი მჭერმეტყველი ყოფილხარ მეთქი, მივმართე ჯოკიას. ვის ეუბნებოდი ასეთ გრძელ სადღეგრძელოს?"

„ეჰ, მე რა მოლაპარაკე ვარ, მაგრამ ბლუებში ჩავვარდი მე მალაპარაკებენ და თვითონ სქდებიან... ის თავმოტვლეპილი. ის ერთი ნათავადარია, დიდი გაიძვერა, წინად კონტრაბანდისტი იყო, ახლა ბუჰალტერადაა ბათუმში, საკუთარ ცოლსა და ქალიშვილს აქირავებს, ახლა სვანეთის ტყის წარმოებაზე წამოსულა სამუშაოთ.

„ის ვინაა გვერდით რომ უზის ქერა?"

„ესეც ჯვარელი ნახუცარია, გათახსირებული, გარყვნილი კაცი. ნიკოლოზის დროს ყალბი მეტრიკულების გაცემისთვის გააციმბირეს, ბალშევიკების დროს კატორღელი ვარო ამტკიცებდა. ესეც გაუგეს, გაკრიჭეს და აქედან გადაასახლეს. ახლა სასჯელი მოუხდია. აქ ჩამოეთრია, ცოლი მოუკვდა და სიდედრთან ცხოვრობს".

„ის სათვალიანი მოხუცი ვინღაა?"

„ის ყოფილი მენშევიკია. ისიც კარგი მამაძაღლია. მენშევიკების დროს ერობის თავმჯდომარე იყო. ბლომად ქაფავდა. მენშევიკები რომ გაიქცნენ ხუთი ფუთი ხინა გაიტაცა, აუარებელი წამლები, [illegible] ზეთი. რამდენიმე მილიონის საქონელი. ყველაფერი ბათუმში შეაჭამა ბოზებს. მერმე ვირის აბანოში ჩააგდეს. ყოველ წმენდაზე გამოეთრევა და ბლავის: აქამდი რეგვენი ვიყავი, ვცდებოდი, ახლა კი მოვჭკვიანდიო, მაინც არავის სჯერა რომ ახლაც არ სცდება“.

ასეთი ფერადებით შეამკო ყოველი თავისი მეინახე ჯოკიამ და გამეცალა.

მეორე დღეს ტფილისში გაბრუნებას ვაპირებდი.

ისევ მოვარდა. კარის ალაგიდან დაიწყო ცხენის ქება: ულაყიაო, იორლაო, მუხლმაგარიაო, მშვიდიაო და ოქროსფერი. ხახულის ღვთისმშობელს, ჯვარის მთავარ ანგელოზს იფიცავდა: თვითონ ილორის წმინდა გიორგი უკეთესზე არა მჯდარაო.

ქირა ვკითხე.

ოცდაათ თუმანს კაპიკი არ დააკლდებაო. ცოლშვილი გაიწყვიტა. მიცვალებული მამის ძვლები საკუთარი კბილით დამეკვნიტოსო, ჩემი ერთად ერთი ვაჟის კუბო მენახოსო, თუ ორასი მანეთი პატრონის მისაცემად არ დამჭირდეს და ფუთი ქერი ხუთი თუმანი არა ღირდესო. ოცდაათი თუმანი ეს შენთვისაა, თორემ სხვისთვის სხვა ფასი იქნებოდაო.

სხვა გზა არ იყო გავურიგდი და ბე მივეცი. ცხენი მართლაც ჩინებული აღმოჩნდა.

კიდევ კარგი ერთი მართალი რომ დასცდა ჯოკიას. ეს გავიფიქრე.

უზანგის ჩამოწევისას ჩემ ინგლისურ წინდებს და სასპორტო შარვალს მიაჩერდა:

„ამ წინდებით თუ აპირებ პატოინსქუა ჰადიშის მყინვარებზე ასვლას და ჯიხვებზე ნადირობას“.

„შენ არხეინად იყავი ჯოკია, ამგვარად ჩაცმულს მომივლია ალპები“.

„სვანეთი სხვაა პატოინსქუა, ალპები კიდევ სულ სხვა“.

ჯოკია ფეხდაფეხ მისდევდა თოხარიკით მიმავალ ცხენს.

„ნაბიჯით ვიაროთ პატოინსქუა, თორემ ისინი ვერ დაგვეწევიან, მომძახის თმაგაწეწილი ჯოკია ქარში.

„ვინ ისინი?“

ვეკითხები.

„აკი მოგახსენებდით, სამი ცხენოსანი ვიშოვნე მეთქი. სამი იმათ მივეცი და მეოთხე, საუკეთესო თქვენ დაგიტოვეთ“.

„ისინი ვინლაა მაინც?“

„აი დაგვეწევიან და თვითონ ნახავთ. პატოინსქუა. გვარი და სახელი არც მე ვიცი მათი“.

„ჩემთვის ხომ სულერთია მართლაც, ცხენით მარტოსვლა მოსაწყენია. რა მენაღვლება ვინც არ უნდა იყოს". გავიფიქრე და ცხენი შევანელე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარე მანაგაზე ახალ ხიდს აგებდენ. გამოლმა ტრაქტორი თუნთუხებდა.

ხარაჩოებზე გასულ მუშებს რკინის კაკუტები გაჰქონდათ. ცხენმა ოჩნობა დაიწყო, დავტუქსე, მდინარეში შევავლე.

„რა სულელებია, ამბობს ჯოკია, ტყვილა აგებენ ამ ხიდს პატოინსქუა. ამ დალეულ მაგანას რომ უყურებ, გაზაფხულზე ენგურს გაუტოლდება იგი. ერთს ლოთიანად მილეწავს მაგ ხიდს და მერმე თავში ქვა იცენ".

მოშაინურად შენიშნა ჯოკიამ.

კიდევ გავიარეთ ორიოდე კილომეტრი. მე უკვე დარწმუნებული ვიყავი: სამი ცხენოსნის ამბავი ზღაპარი გამოდგებოდა. კი მაგრამ სამი დღე რაღად მაცდევინა ამ წყეულმა ჯოკიამ ჯვარში?

„სადღა არიან შენი ცხენოსნები ჰა, ჯოკია?"

გადავძახე.

„დედის სულს გეფიცები პატოინსქუა... მითხრა ჯოკიამ, ძუნძულით წამოეწია ცხენს და ხმადაბლა განაგრძო:

„საქმე ასეა პატოინსქუა, მე ვიცი ვინცა ბრძანდებით, საიდუმლოს არ გასთქვამთ. ამას წინად საშინელი საქმე შეემთხვა ჩემს ნათლიმამას კაც ზვამბაიას. მის ვაჟს ლომკაცია ტარბა შემოაკვდა. მადანურაბას გაზრდილი ეწვია. იმავე საღამოს ტარბები თავს დაესხნენ. ორი ძმა ტარბა კიდევ შემოაკვდათ. ახლა სვანეთში უნდა გავაპარო პატოინსქუა. თორემ ტარბები უძლიერესი გვარია. ცოცხალს არ გაუშვებენ. აფხაზები ხომ იცი პატოინსქუა, ერთ წვეთ სისხლს არავის შეაწევენ. მალაზონიას ემარია მათი სისხლი, ერთი ძმა მოსკოვში მოჰკლეს სამაგიეროდ.

„კი მაგრამ რა უშავდათ ჯვარიდანვე გამოგვყოლოდენ?"

„მე ბევრი ვარწმუნე პატოინსქუა. ახალგაზრდები თქვენ გიცნობდნენ, მაგრამ კაც ზვამბაიამ არა ქნა. კაც ზვამბაია ძველი ნაყაჩალარია, ზომაზე მეტად ფრთხილი კაცია პატოინსქუა. გზაში წამოგეწევითო. ასე დამაბარა პატოინსქუა".

ავეანდები დამიმოკლე მეთქი, ვთხოვე ჯოკიას. მოსდგა. ავეანდები დამიმოკლა და სწორედ ამ დროს სამი ცხენოსანი გამოჩნდა ახლად მოგებულ თემშარაზე. ჩაბალახით თავგაკრული, ლოყებლაჟლაჟა მოხუცი წინ მოუძღოდა ორ ახალგაზრდას. ორივენი გამგელებული მოაგელვებდნენ ოფლში გაღვარულ ცხენებს, მოხუცს მაინც ველარ უბედავდნენ წინ გასწრებას.

რა მომეახლნენ, თვალი ვკიდე: ახალგაზრდები პირს ნაპარსავან ოდესღაც. თავი ჩაბალახით ჰქონდათ გაკრული. ბუძგასავით მოსდებოდათ უწესრიგოდ მიშვებული წვერულვაში. დახეული, მოურგებელი ჩოხები

ემოსათ, ნასხვისარობა ეტყობოდა ტანისამოსს. მუხლის თავამდე ლაფში ამოსვრილი ჩექმები ეცვათ, ჩოხის კალთებზე ბუძგა ეკიდებოდათ, გზაში უზომოდ გაეხელებინათ ცხენები, ჩემის დანახვაზე ველური ჭიხვინი და ხვიხვინი შეჰქნეს ნასუქალმა სვანურმა ულაყებმა და ლაგამებს დაუწყეს ღრღნა.

მეც გული მერჩოდა ამ ახლად ნაგებ თემშარაზე მიმეშვა ჩემი ცხენიც, მაგრამ უკვე მგლურათ სვლაც სახიფათო იყო.

დინამიტებისაგან მკერდშელეწილი კლდეების ლეშები ეყარნენ გზადაგზა, გამურული როლლერები ბუბუნით დაბობღავდნენ წალმა-უკულმა. ლალუმების გრიალგრიალი ერთვოდა ენგურის ღრიალს და ასეთ გზაზე ცხენი თუ დაგიფეთდა, მაშინ მშვიდობით სიტკბოებავ წუთისოფლისავ.

მოხუცებულმა არად ჩამაგდო, უკითხავად დააწინაურა ცხენი. დატუქსა ყმაწვილები. მდინარის კიდეებს არიდეთო ცხენები და წინ გაგვიძღვა მდუმარედ. მცირე ხანს ასე ვიარეთ. ენაგამოგდებული ჯოკია ძუნძულით მოგვსდევდა უკან. ხანდახან ბილიკებით გზას მოგვიჭრიდა, შორს გადაგვასწრებდა, წამოვეწევოდით და ისევ მოგვსდევდა უკან ბეკა ძაღლსავით.

გზისასაქცევთან ასიოდე მუშა დასძგერებოდა ჩამონგრეულ ლოდს. ენგურში უპირებდენ გადაშვებას. მათი მგრგვინავი ურაჰ, ენგურის ბღავილს ერთვოდა.

სწორედ ამ ადგილას ცხენი შეაყენა კაც ზვამბაიამ. მათრახით გვანიშნა გზაზე გაწკაპულთ: დაქვეითდითო. გამოირკვა, ხის ბოგირი დაემსხვრია ძირს დაგორებულ ლოდის ნამსხვრევს. სხვა გზა არ იყო: ენგურზე უნდა გადავსულიყავით ცხენდაცხენ.

რამდენადაც დინჯია ზღვას მიახლოვებული ენგური ოდიშში, იმდენად გადარეულია ენგური სვანეთში. აქ მისი საწოლი ვიწროა და ათასგზის დაკლაკნული. როგორი ძალა უნდა ჰქონდეს ამ წყალს რამდენიმე კილომეტრის სიღრმეზე რომ გაუჭრია გრანიტის ტინი, ასე საშინლად დაულეწია ეს სალი კლდეები, ლოდები მიურეჯგვმოურეჯგვავს და ფერდებშელეწილ ფლატეებს ებდღვნება დაკოდილ ლომსავით.

მე მრავალგზის გადავსულვარ ცხენით ჩვენს მდინარეებზე, მაგრამ ენგურს რომ დავხედე, შემზარა.

მე და არზაყანი ცხენით გადასვლის წინააღმდეგი ვიყავით; გზის უფროსიც ამბობდა სამ დღეში ხიდს აღვადგენთ და მანამდის მუშების ბარაკში დარჩითო.

თავდაპირველად კაც ზვამბაიაც მოცდის მომხრე იყო, მაგრამ ჯოკიამ გაახელა. ამ ადგილას დედალიც კი გადაცურავსო.

აიჩემა თავი მოგვეჭრებაო საქვეყნოდ. ახლა კაცმაც გამოიდო თაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაც ზვაბაია არად აგდებდა ჩვენს თათბირს. თქვენ ახალგაზრდები ხართ, რა გესმითო. ასე გამოდიოდა მისი ნათქვმიდან. ფარეშ ემხვარი თავის მამამძუძეს მიემხრო.

თუ აფხაზური წესით, უფროსი მამაკაცი უნდა მიუძღვოდეს ცხენოსნებს, მდინარეზე გასვლისას უმცროსი უნდა დაწინაურდეს.

უკვე ვაჟკაცური თავმოყვარეობის საქმედ იქცა ეს ყოველივე და ამიტომ არზაყანი დაქვეითდა და ბილიკბილიკ ჩაუძღვა ცხენს ენგურისაკენ.

სრული ერთი საათი ჩავდიოდით ძირს.

როგორც კი ნაპირს მიეახლა ისევ შემოახტა არზაყან ცხენს და მათრახი სწყვიტა. ორჯერ მიაგდო კლდოვან კიდემდის, ორგზისვე უკუიქცა ცხენი და მერმე გადააგდო აბობოქრებულ ენგურში. ჯერ იყო და ფსკერამდის დავიდა ცხენიცა და მხედარიც და შემდეგ რამდენიმე მეტრის სიშორეზე ამოყო თავი მხედარმა. კაც ზვამბაია ნაპირზე იდგა. ორივე ხელი ტუჩებთან მიეტანა: ქვეითკენ დაჰყევიო წყალს უყივოდა არზაყანს. ახლა ემხვარი მიჰყვა არზაყანს. კაც ზვაბაიამ ჯოკია შემოისვა უკან და მე მანიშნა.

მეც მოვუქნიე მათრახი. გამაჟრჟოლა ტანში და გადავუშვი ჩემი ცხენიც ენგურში. ტყვიასავით ჩამძირა გაყინულმა მდინარემ, მაგრამ ნაცადმა ცხენმა იმარჯვა და სავსებით გაზუზულმა ისევ ზე ამოვყავი გაბრუებულმა თავი. მერმე იბურთავა ჩემი ცხენიც ენგურმა. ორ-სამჯერ მომეჭრა ტალღა წელს ზემოდ და ლამის არ დამითრია. ჩემს სიცოცხლეში ასეთი გასაჭირი არ დამდგომია. ენით უთქმელი სისწრაფით მსრბოლავმა წყალმა თვალი ამიქცია და აღარ ვიცოდი გაღმა გავყავდი ცხენს თუ ისევ გამოღმისკენ მიმათრევდნენ ზვირთები.

ერთ წუთში უზარმაზარ ლოდთან მიმაგდო ენგურმა და ლოდიდან გადმომხტარი ტალღა ნათელსავით გადამეღვარა თავპირზე. მერმე აღარ მახსოვს როგორ გამომტაცა მდინარემ სადავე, ცხენის ფაფარს მოვებღაუჭე და მივყევი წყლის ქროლვას.

შემოაბრუნა ცხენი კაც ზვამბაიამ (მას უკვე ყველაზე ადრე გადაეჭრა მდინარე) და გამომიდგა საშინელის ყიჟინით, არ ვიცი ჩემმა ცხენმა ივაჟკაცა, თუ რა მოხდა, მე უკვე ნაპირს ვუახლოვდებოდი. ისევ გაღმისკენ აქცევინა პირი კაც ზვაბაიამ თავის ცხენს. უკვე სამშვიდობოს გასული ვიყავი, თვალი მოვიწმინდე ტალღის ნაშხეფებით აცრემლებული. ეს ღა დავინახე: როგორ მომხედა კაც ზვამბაიას ზურგზე მოკოტებულმა ჯოკიამ და დამეჯღანა: მწითური, ცხვირა ჯოკია ეშმაკსა ჰგავდა კაცის სხეულზე მობღაუჭებულს. და მაშინ ესა ვთქვი ჩემს გუნებაში: ჯოკიას რომ საშუალო საუკუნეში ეცხოვრა, ეშმაკთან წილნაყარი ეგონებოდათ და უთუოდ დასწვავდნენ მეთქი.

48. ᲓᲐᲚᲘ

გზადაგზა თარაშ ემხვარ მიდიოდა ჩემზე წინ. [illegible] შემესიტყვებოდა ხოლმე. ხოლო არზაყანს უფრო მორიდებულად [illegible] თავი. შეხმიანებაზე ძუნწად მაძლევდა პასუხს. წამიერად თვალს შემავლებდა უცხოურად ჩაცძულს და მდუმარედ გასცქეროდა ჩამოლეწილ კლდეებს, და მიჰყვებოდა ლოდებით დახერგილ, ღორღიან ბილიკს.

გავივაკებდით ოდნავ, ისევ გამორბოდნენ მუშები, ჩვენც სადმე კლდის უბეში მიკუჟულნი ვუცდიდით ლაღუმის გასროლას. დაიგრიალებდა დინამიტი, შედრკებოდენ ცადალანძული ფლატეები და ამ თვალუწვდენ ხეობაში გრგვინავდნენ, ზანზარებდენ მთები. და რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო ხშირხშირად ისროდნენ ლაღუმს. მამალ ჯიხვსავით მოკუნტრუშებდა გასიპულ ლოდებზე გულმოცემული ენგური, ზათქით და ბუბუნით ეკვეთებოდა კლდეებს, თითქოს უხარიაო ამ შეუვალ ფლატეების აღსასრულის მოწევა.

პატარა სოფელი გავიარეთ.

ფეხშიშველა, ჩიყვებიანი ბალღები შემოგვეყარნენ. ცქრიალა თვალები ჰქონდათ, ბადრიჯანის სიმსხო ჩიყვები. პატარა ფაცხის აივანზე ქსელს ბეჭავდა მოხუცი ქალი, ცხვრის დუმის ოდენა ჩიყვი ეკიდა კისერზე.

გზა გაუარესდა. ალაგალაგ წყდებოდა ახლადნაგები თემშარა. თხის ზურგის ოდენა ბილიკებზე გადავდიოდით. გზის შესამოკლებლად ხანაც ისევ დაქვეითება გვიხდებოდა, რადგან ბოგირები ჩაელეწნა ლაღუმისაგან დაძრულ ლოდებს. ახალგაზრდები სიკვდილს ეთამაშებოდნენ, დაქვეითებას არ კადრულობდნენ, ჩატეხილ ბოგირებზე და შეწყვეტილ ბილიკებზე ცხენს ახტუნებდნენ.

„რად მიიჩქარით ასე?“

ვეკითხები ემხვარს.

„ჩვენი ამბავი უთუოდ გეცოდინებათ, აბა რა შვილია, ჯოკია დაგიმალავდათ. დაღამებამდის ზუნტარის კლდეები უნდა გავიაროთ. თორემ შესაძლებელია მდევარი დაგვეწიოს და ამ ციცაბოებში ბავშვმაც რომ კენჭი გესროლოს, გაგაფუჭებს.

„არაფერია, ოთხნი ვართ, მე მგონია ვერ შეგვბედავენ“.

ვეუბნები მე.

„თქვენ საერთოდ გირჩევთ, ოდნავ ჩამოგვრჩეთ, ან წინ გაგვისწროთ“, მეუბნება ჩემზე წინ მიმავალი არზაყან. „ვინ იცის რა მოხდება. ეს ჯოკია დიდი უწმინდური კაცია. შესაძლოა კიდევაც შეატყობინა ტარბებს ჩვენი წამოსვლა“.

„მაინც არა ღირს ყმაწვილებო ასეთ უფსკრულების პირისპირ ცხენების გახელება“.

თარაშ ემხვარ მომიბრუნდა:

„იცით, ბატონო კონსტანტინე, მე საერთოდ ძლიერ მაღელვებს მთა. ზღვის პირად მუდამ მოწყენილი ვარ. მესმის ოდისეის დროინდელი ზღვა. ალბათ დიდი ემოციების აღმძვრელი იყო იგი. ახლა რა. კეთილად მოწყობილ ოკეანის გემზე თავს ისე გრძნობ, თითქოს შინ იყავ. ტრამალის შემხედვარეს ძილი მერევა. ხოლო მთა პირდაპირ მაცოფებს. მთას რომ დავინახავ, მისი გადავლა მომინდება. იმას გადავალ, ახლა მეორე მასზე უმაღლესი გამოჩხდება, კიდევ და კიდევ“...

ლაღუმის გრიალი გაისმა უცებ. აზანზარდნენ ნაძვნარიანი მწვერვალები, გარეული ტახის ქეჩოსავით წამოქოჩრილნი. და დავინახეთ თუ როგორ მოძვრა კლდეს უზარმაზარი ლოდი, დაიჭექა, დაიგრუხუნა და ენგურში გადაიჭრა გრიალით. ცხენები შეტოკდნენ, სადავის დამოკლებაც ვერ მოვასწარით ისე გადავიდნენ მგლურზე. ჩემზე წინ მიმავალი ემხვარის ცხენს უკანა ფეხი გადაუცდა, ძლივს გადაასწრო ბილიკს.

„ეს ცივილიზაცია შემოდის სალუტით და მთები ბანს ეუბნებიან“.

ამბობს თარაშ ემხვარ.

არზაყანმა ცხენი შეანელა. ჩვენსკენ მოიღრიჯა კისერი.

„მაშ შენ გინდა ჩიყვმა იმსხვერპლოს სვანები არა?“

„სადაა ჩიყვი?“

იკითხა ემხვარმა.

„გზაში ხომ ნახეთ ჩიყვიანები? ასეთებს ვინ მოსთვლის ამ მხარეში“. ჩავაგდე მე სიტყვა.

„შენ და მამაჩემს არ მოგწონთ ამ ლაღუმების გრიალი. ამბობს არზაყან. არც ჯოკიას, ცხენის დალალს“.

„სვანებს არ მოსწონთ გზის გაყვანა“.

მიუგო ემხვარმა.

„გააჩნია რომელ სვანებს, ბობოლებს არ მოეწონებათ [illegible] ბობოლებს და ცხენის დალალებს“.

ჩაილაპარაკა არზაყანმა და ცხენი ააჩქარა.

„იცით“, მეუბნება თარაშ ემხვარი, თანაც ჩემსკენ გადმოიხარა ცხენიდან. ყოველ ხალხს უნდა შერჩეს ველური ენერგიის მარაგი, თორემ საფრანგეთსავით გააზიზდება და გამოიფიტება“.

„მე მგონია, საფრანგეთის გააზიზების ამბავი იმ ჟურნალისტების მონაგონია, ვისაც პარიზის იქით ცხვირი არ გაუყვიათ. აბა საფრანგეთის სამხრეთი, ან ჩრდილოეთი ნახეთ“.

„მე მგონია დიდი ინდუსტრია მოსპობს მცირე ერების თავისებურებას. ავიაცია მთასა და ბარს გაათანაბრებს და მერმე მშვიდობით“.

„მე მგონია ეს აჩქარებული დასკვნაა. პირიქით. ავიაცია, საერთოდ ტექნიკა მრავალრიცხოვანებასაც ისევე გააბათილებს, როგორც სივრცეს და სიშორეს“.

ეს მივუგე თარაშ ემხვარს, მაგრამ იგი მაინც თავისას ამბობდა.

4473
Библиотека
Грузинский филиал ВАП (Б)
СТ. ГАРДАФЕЛИ
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ ამ ნიადაგზე შევლაპარაკდით.

მერმე გამაბრაზა უკმეხი სიტყვით.

„რამდენი წლისა ხართ?“ შევეკითხე.

„წლოვანება რა შუაშია?“

„ეჰ, ჩემო კარგო, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოთ და იტანჯოთ. თქვენი ხნის რომ ვიყავი მეც თქვენსავით ვმსჯელობდი“.

„თქვენ რამდენი წლისა ხართ?“

„ჩემი ხნისა ქვა არაა ამ სვანეთში“...

* *

ლაბდაფტი შეიცვალა. სულ მაღლა და მაღლა მივიწევთ.

„უკვე 1500 მეტრს მივაღწიეთ“. ამბობს ემხვარი.

ენგური ძირს დარჩა. ფლატეების უმაღლეს მწვერვალიდან წყლის დონემდის ორიოდე კილომეტრი იქნებოდა.

ძერასფერი, ქორედქორედი მთებიც გამოჩნდნენ, გოტიურ ტაძრებსავით ცაში ალანძულნი. ჰაერი უფრო გამსჭვირვალე გახდა. კავკასიონი გამოჩნდა იასპისფერი და მშვენიერი.

გზის გაყოლებით დარგულ წაბლის ხეებიდან მწიფე ნაყოფი ცვივა. დათვის მიერ წინალამით გაგლეჯილი ცხოველების ჩონჩხს ვხვდებით ხანდახან. სვავები, ბოლობეჭედანი და არწივები უმაღლეს ფლატეებზე მემომსხდარან. დინჯად იცდიან ისინი და რა თვალს მოჰკრავენ ჩვენს თოფებს, მძიმედ დგებიან და ირაოს აკეთებენ ცაში.

ფაფახიანი, ხანჯლიანი სვანები მოაჯირითებენ დაღმართში ცხენებს. სალამს გვაძლევენ და გაგვეცლებიან. ჩალვადარების ჯორები დინჯად მოყვებიან თოკებსავით დასერილ ბილიკებს. ჯოკიას ყველაზე მეტად ეჩქარება. იგი წინ მიგვიძღვის. განზრახ გაურბის უკვე მოგებულ მთავარ გზაზე სიარულს და ამ ეშმაკის ბილიკებზე გვატარებს.

ჭაპანწყვეტით ადიან ცხენები მაღლა, ნისლით დაბურვილ თეთრ მწვერვალებს თვალს მოვკრავთ, ვივლით, ვივლით და მივეახლებით თოვლიან მყინვარებს, და მოთარეშე ღრუბლების საუფლოს და ისევ ძირს დავეშვებით ტაატით, ისევ სახტომელები, ჩალეწილი ბოგირები და ვირის ზურგის სიგანე ბილიკებით ვუსწორდებით ენგურის ნაპირებს. ნიაღვრებისაგან დაღეჭილ კლდეებიდან მოთქრიალებენ ბროლის ნაკადულები, ალაგ-ალაგ გაბმით თავზე გვაწვიმს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ურჩხულებსავით დაგრეხილი ფესვები და ხვიარები ეპოტინება ხავსიან კედლებს. ხვლიკი გაიშლიგინებს ცხენის ფეხის ხმაზე დამფრთხალი, ხანაც ციყვი გადაინაცვლებს შტოს.

ისევ ზევით ავყვებით ბილიკებს, კვლავ ზედ მოვექცევით კლდეებს და ისევ გაისმის ლაღუმების გრიალგრიალი.

მუშები ფისს ადუღებენ გზის პირად. მრავალი ათასი კოტრიანი მარჯვენა ებრძვის ამ კლდეების შეუვალ ბასტიონებს. სვანური ტუდები ახურავთ ამ ჯმუხა მამაკაცებს.

ვაჟკაცური ენაა სვანური. ხორხიესმიერი და ყელისმიერი თანხმოვანებით დახერგილი, მაინც ეალერსება ეს ენაკავი ჩემს ყურს.

ჯოკიას ღიმილით ეგებებიან სვანები. ოდნავ დამცინავი ღიმილით.

„ტარბებმა გიკითხეს ჯოკია“. ეუბნება ერთი ბრგე ვაჟკაცი. სვანურად.

ჯოკია უარესად გაწითლდა.

„სად იყვნენ ტარბები?“

არზაყანს ეს არ გაუგონია, არც დაწინაურებულ კაც ზვამბაიას.

ემხვარმა ყური მოჰკრა. ტარბების გვარი რომ ახსენეს. მე შემომხედა. რა თქვესო? გადაუთარგმნე.

„არზაყან მართალს ამბობდა წელან. ჯოკიას რაღაც კავშირი ჰქონია ტარბებთან“.

„ფიქრი არ არის. დალამებამდის ხაიშს ჩავალთ. მერმე გზის სამმართველოა და მილიცია. რამეს ვილონებთ“.

ვეუბნები ემხვარს გულის გარეშე. მეც ვიცი, აქ მილიცია რას გააწყობს.

თარაშ ემხვარ აფხაზურად შეესიტყვა არზაყანს.

მე ოდნავ მესმის ეს საოცარი, მსტვინავი და მფშვინავი ენა. იგი ხან ჩიტის ჭიკჭიკსავით მოსწრაფებულია, ხანაც რუსავით მოლიკლიკე, და ემხვარი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, ვერ გავარჩიე რას ეუბნებოდა.

არზაყან ილუშებოდა. სჩანდა: ემუქრებოდა ტარბებს.

რატომღაც ცხენს გაუწყრა არზაყან. მათრახის ტკაცუნზე ადგა უზარმაზარი ბორა ენგურს გადაღმა.

არზაყანმა მაუზერზე გაისვა ხელი. ტყვიანაკრავმა ბორამ მალაყა გააკეთა ჰაერში და პირდაპირ ენგურში ჩაეშვა.

სროლის ეხოზე არწივი დაფრთხა გადაღმა კლდის ქიმზე მჯდარი. ახლა ემხვარმა გადმოიღო თოფი, ჯერ ბურტყლი აფრიალდა ჰაერში, მერმე სულ ახლოს, ჩვენს წინ ლოდზე დაეცა დაკოდილი არწივი. წითელი სისხლი ჩამოწანწკარდა სვანურ ყველსავით დაჩვლეტილ თეთრ ქვაზე.

მივხვდი თუ რას ნიშნავდა ეს ყოველივე: ჯოკიას წინასწარ ამცნეს ვაჟკაცებმა მკლავის სიმაგრე.

ვხედავ ცუდ ამბებს გადამკიდა ამ ოჯახქორმა ჯოკიამ. მე მთელი საქართველოს გვარეულობათა სადაურობა ვიცი. ტარბები მრავალრიცხოვანი გვარია. ოდიშში ბინადრობენ ისინი, ოდიშსა და აფხაზეთში. ხოლო სვანეთში მეჯოგეობას ეწევიან. კიდევაც რომ მოვინდომო ცხენოსნებს ვერ დავცილდები, უხერხულია. ესეც არ იყოს, ჯოკია ცხენს არ მანდობს. აქ სხვა ცხენს სად იშოვნი. ესეც ვიცი: ჩხუბში მონაწილე რომ იყვე ისა

სჯობს ჩხუბში გამზავებლად ყოფნას. მერმე ეს ყოველივე სვანეთში ხდება. ამ ფიქრში გართული კაც ზვამბაიას ჯაჯღანმა შემაკრთო. კაც გაოფთრებული უყვიროდა ვაჟს. საძაგებელი სიტყვები ... ...

არზაყანმა ჩაბალახი წარბებამდის ჩამოიფხატა. ... ...

როკავდნენ, ბორგავდნენ ჯმუხა დევკაცები (თუ მუხნარი ტოკავდა, ტკაცუნებდა გრიგალისაგან აზვავებული). ენგურის ღრიალი, იქმნდა მათ ხორხებიდან, ხან შვავების უეცარი გრიალი, ხან კვიცრა ჯიხვების უმწეო ბღავილი, ხან ღვაშ ჯიხვების რქების რაკუნი, ხანაც ჩამოლეწილი ფლატეების როხროხი.

როკავდნენ, მხარგრძელი დევკაცები, ატკაცუნებდნენ მოვერცხლილ სატევრებს, აბაკუნებდენ პაიჭიან, ბანჯგვლიან ფეხებს.

ჯოკიამ ცხენები დააბინავა.

დანარჩენებმა თივის ზვინები მოვძებნეთ იქვე და დავიმუხლეთ დაქანცულებმა. ფერხული გრძელდებოდა. კამკამებდა მოცეკვავეთა თვალებში ხასხასა შუქი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს ახლად მოვლენილ ელექტროს სინათლეს უმღეროდნენ სვანები თავიანთ ომახიან ჰიმნებს შვიდი საუკუნის მანძილზე ნამღერს.

ახლა ბეთქილის ფერხული დაიწყეს სვანებმა.

„რას მღერიან თუ იცით?“

მეკითხება თარაშ ემხვარი.

„დალი, ხომ ნადირობის ღვთაებაა სვანეთში, ოქროს ნაწნავიანი ღმერთ ქალი. მონადირე ბეთქილი შეყვარებია დალს, ხოლო მონადირეს თავისი რძალი თამარი. ლამარიობის წინალამით, თამარი შეუცდენია ბეთქილს. მეორე დღეს ფერხულში ჩაბმული ყოფილა ბეთქილი, დალს თეთრი კვიცრა ჯიხვი მოუვლენია ბეთქილისათვის, შურის მისაგებლად. და ფერხულის დროს ლაჯებში გაურბინაო თურმე კვიცრა ჯიხვმა ბეთქილს“.

ესა ეთქვი და ჯოკია თავზე წამოგვადგა.

იკითხა: აქ თუ ვრჩებითო ამალამ?

კაც ზვამბაიამ თავი აიღო.

ჰო — უთხრა. თავი დაუქნია უკმეხად.

49. ხოხბის ყივილი

კაც ზვამბაიამ ანიშნა და არზაყანმა მუხის ნამორი დაითრია, შემომთავაზა: ზედ დავმჯდარიყავ. მერმე მეორე ნამორი მოაგორეს არზაყანმა და ემხვარმა. შუაში ფიცარი გასდვეს. კაც ზვამბაიამ არყის ბოთლი გადმოიღო აბგიდან, ხაჭაპურები ოთხად დატეხა. პირველი ჭიქა შემომთავაზა. უარი ვუთხარი. დაილოცა, დალია და გადმომილოცა.

კეთილი იყოს თქვენი გაცნობა. მომმართა ქართულად. მერმე ჩემსკენ გადმოიხარა. იდუმალი ტონით მეუბნება:

„ასე აჯობებს: ვივახშმოთ და გავიპაროთ აქედან. ვგონებ ჯოკიამ გაგვთქვა. შესაძლოა მდევარი მოგვსდევდეს ჯვარიდან. ესეც არ იყოს ამ მხარეში ტარბები მოსახლეობენ“. ესა სთქვა, თარაშსა და არზაყანს შეაცქერდა. თარაშმა არა უთხრა რა. ჩაბალახი მოიხადა, მუხლზე დაიდო.

და რას ვხედავ! სავსებით გათეთრებოდა თავი ეგზომ ადალვაზრდას! მე ადრეც მენახა ემხვარ, გავოცდი. მიზეზი ვკითხე.

„ეს იმ ღამეს მომივიდა, ის უბედური ჯამლეთ ტირბა რომ ნემომაკვდა იმ ღამეს“.

თავდაპირველად არზაყანი სდუმდა, აქაც უთანხმობა მოუვიდათ მამასა და შვილს. არზაყანი ამტკიცებდა: დილამდის აქ დავისვენოთ, მერმე უთენია ავიყაროთო.

ეხლა მე მკითხეს აზრი. მე მერჩია სავსებით არ ვხლებოდი მათ. ეს ღამე გამეთია როგორმე და თუნდაც ტფილისს მივბრუნებულვიყავ, მაგრამ არ გავამხილე. თავი შევიკავე. ეს ღა წავილულლულე: როგორც გერჩიოსთ ისე ვქნათ მეთქი. მცირე ხნის დუმილის შემდეგ ეს ვუთხარი კაც ზვამბაიას:

„ჯოკია გზაში მიამბობდა: თქვენ მისი ნათლიმამა ყოფილხართ. როგორ დავიჯერო, ჯოკია გაგთქვამდათ ვითომ?“

კაც ზვამბაიამ მწარედ გაიღიმა.

„ჰმ, რა ბრძანებაა, თუ დასჭირდა საკუთარ შვილსაც გაყიდის ჯოკია. წრეულს ქვა დასჭირებია კოოპერატივს, სატეხი ქვა, ჯოკიას საკუთარი დედის, მამის, ძმების და ბიძების სამარის ლოდები აუყრია და გაუყიდნია. ასეთი კაცი ნათლიმამას დაინდობს? ყოველ შემთხვევაში ფრთხილად მოექეცით“. მიმართა კაც ზვამბაიამ ვაჟსა და გაზრდილს. „არ გაუჯავრდეთ, თორემ ცხენებს გაგვაპარებს ღამით და ცარიელტარიელი დავრჩებით. მახვშამდის მივალწიოთ როგორმე. თუ ქორა მახვშმა მიგიღო სვანეთში, მერმე არა გვიშავს. მე ძველი პურმარილი მაქვს მახვშთან, ცხენები გადმომყავდა წინად ჩერქეზეთიდან. მთავარია მახვშამდის მივიდეთ მშვიდობით. მერმე მისი კოშკი და მისი გვარი დაგვიცავს“.

„მახვშ რალაა?“ იკითხა არზაყანმა.

მე განვუმარტე: ქორა მახვშ გვარის უფროსს, სახლის უფროსს რომ ჰქვია სვანურად.

კაც ზვამბაია მომეძალა. მე კიდევ დავლიე ჭაჭის არაყი. (მე ასე მჩვევია, საფრთხის წინაშე ალკოჰოლს ვეძალები). ვზივართ, მადიანად შევექცევით მეგრულ სულუგუნებს და ხაჭაპურებს მთის ჰაერისაგან მადამოცემულნი. მოზვრის პაწია ყანწი ხელიდან ხელზე გადადის. თარაშ ემხვარს ალკოჰოლის ალმური წაეკიდა სახეზე. მაინც დაღვრემილი ზის ეს უდროოდ გაჭალარებული კაცი და მიწას დასჩერებია ფიქრში წასული და როცა მორიგი ყანწი მოალწევს იგი მხოლოდ მაშინ მაღლა სწევს თავს.

სვანებმა ისევ დაიწყეს „რა ვქნა ვერ ვიტყვი ვოდ შაირსა“ და კვლავ ცეკვაცენ ფერხულს ელექტრონის შუქის გარშემო ბორასავით ბობღია დევკაცები.

* * *

ნავახშმევს ჯოკია გავალვიძე, მოსართავები მოვუმზადეთ ცხენებს. თოფებში ვაზნები ჩავაწყეთ, არზაყანმა მაუზერს სავაზნე გამოუცვალა. ჯოკია წინ გავიგდეთ და ცალცალკე გავიპარენით. ეძინა სოფელს, მელანქოლიურად ღრუტუნებდა ჩამობნელებულ ხევში წისქვილი. მთვარე ოდნავ ბჟუტავდა თეთრლეგო ღრუბლებში ზანტად მოარული. ნაძვის ჭალი ხრჩოლავდა სადღაც, დადუმებულ მწვერვალების ჩრდილებს ქვეშ გრიალით მოქშუოდა დაბლა ენგური. კაც ზვამბაია და ჯოკია წინ მიგვიძღოდნენ, მათი იდუმალი ჩურჩული მესმოდა, როცა დაწინაურებულებს წამოვეწეოდი. საინტერესოა, ვინ ვის მოატყუებს, ვეუბნები თარაშ ემხვარს. უცებ კაც ზვამბაიამ ცხენი შეაყენა ბილიკზე. არზაყანი მოიხმო, რაღაც უჩურჩულა. არზაყანი თარაშს მიუბრუნდა, დანაბარები აუწყა აფხაზურად და ცხენი ააჩქარა, თარაში მე მომეახლა. მეუბნება: მალე მთავარი გზა უნდა დავაგდოთ, მინდორის ბილიკებს მივყვეთ, იმ მთას გადავიდეთ, მერმე წაბლნარში ღამეს გავათევთ, შემდეგ ვაკე ექნება და იქიდან ისევ ამ გზაზე გამოვალთო.

დაქვეითდითო გვითვლიდა კაც, ცხენებს საძუეები მოხსენითო, თოფები ხელზე ახლოს გეჭიროთ, პაპიროსს ნუ სწევთ, ნურც ლაპარაკობთო.

მე სვანეთში ბევრი მივლია და კარგად ვიცი თუ რას ნიშნავს ღამე სვანეთში. გზაში თუ ღამემ მოგისწრო, მყისვე მიწაზე ნაბადი უნდა დაიგო, დაწვე და გაილურსო.

კაც ზვამბაიას ნაბრძანები მყისვე შევასრულეთ, ხვნეშითა და ფრუტუნით მიჰყვნენ ცხენები უსაშველო ალმართს.

ასე ვიარეთ ორიოდე საათს და როცა დალმართი დაიწყო, ეხლა საძუეები გავუკეთეთ ცხენებს, სამკერდეები მოვხადეთ და მივყევით უფსკრულისაკენ დაცერებულ საცალფეხო გზებს.

თარაშ ემხვარ წამომეწია.

„თქვენ ბეთქილის ამბავი შეგაწყვეტინათ იმ წყეულმა ჯოკიამ“.

ეს მიჩურჩულა.

„ჯიხვმა შეგვარცხვინაო დაიხუვლა მთელმა გვარმა, განვაგრძე მე, ბეთქილი უნდა გამოუდგესო კვიცრა ჯიხვს, უმარჯვესი მონადირე. მერმე ის იყო, ბეთქილი გაჰკიდებია თეთრ ჯიხვს, არც დალის შეეედრებია, არც უმარხულია წინა ღამით თამარის შემცდენელს. და თქვენ ალბათ გეცოდინებათ, სანადიროდ მიმავალი სვანი ორ კვირას არ გაეკარება ქალს“...

ამის თქმა მოვასწარი და დაიგრიალა ნაძვნარში თოფმა, ჩემი ცხენი შეხტა, ემხვარის ცხენს დაეძგერა და თოფიანად გადამისროლა ხრამში.

მე ცხენზე არ დავბადებულვარ, თორემ სხვა არაფერი დამკლებია. ცალი უზანგი გამწყვეტია ჯირითის დროს, გაჭენებული ცხენი წამქცევია,

ცალი ფეხით ავეანდზე დაკიდულიც ბევოჯერ ეუთოვივარ ცხენს, მაგრამ ასეთი უვნებელი მარცხი ჯერ არ მომსვლია.

ორ-სამჯერ გადავკოტრიალდი ხავსიან ფერდობზე, ბოლოს ეერმოსეფელიღაც ჯაგს მოვებღაუჭე. გამეცინა ამ სიბნელეში, მაგრამ თოფების გრიალი რომ შემომესმა, უხერხულობა ვიგრძენი რატომღაც, ზურგიდან თოფი გადმოვიღე და მუცელზე ხოხვით ავყევი ხავსიან ალმართს. ემხვარს ორივე ცხენის სადავე მკლავზე გადაეგდო, თოფის ლულა უნაგირზე გადაედო და ისროდა. მეც ავტეხე სროლა, არ კი ვიცოდი ვის ვესროდი. ტყვია ზუზუნით მოდიოდა მახლობელ ნაძვნარიდან, ჩვენც იმ ნაძვნარს ვუშენდით. ათიოდე წუთის შემდეგ ნაძვნარი დადუმდა. ისევ ალმართი დაიწყო, ახლა საძუეები ავხსენით, სამკერდეები გავუკეთეთ ცხენებს. და განვაგრძეთ ჯოჯოხეთურ ბილიკებზე სვლა.

* * *

ჯერაც გუთანი არ გადასულიყო ცაზე როცა უსიერ ფიჭვნარამდის ძიეაღწიეთ. იდგნენ გოლიათი ფიჭვები ბნელში გარინდული, მთვარე სულ ახლოს ზედ მწვერვალებზე დადიოდა, ცას ნაყვავილარსავით დასტყობოდა ღრუბლის ტალები ღაწვზე. კაც ზვამბაიამ ვარსკვლავეთს ახედა, ცუდი დარი იწინასწარმეტყველა და ფიჩხს ცეცხლი წაუკიდა. როგორც კი კოცონს გარს მოვუსხედით, საშინელი ლიწინი ატყდა ბნელ ტყეში.

„დათვებია!“ ამბობს კაც, ჩამობნელებულ ფიჭვნარს შესცქერის. სულ ახლოს, სულ ახლოს მოგვესმის წიწვისა და მხმარის ლაწანი, უცებ დაიბოყინა ერთმა ტყის გულში, დაიბღავლა. მეორემ, მერმე ატყდა ღრიალი, ბურდღული და ბოყინი.

ხეობიდან ტურების კივილი მოისმის. ნადირის საუფლო გახმიანდა ამ ბნელ ღამეში ანაზდეულად. უეცრად რაღაცამ ჩვენს მახლობლად გაიშლიგინა, გარბოდა, თანაც ისე სცემდა ტორებს, თითქოს ცხენი გადადისო ბოგირზე. ყველამ კაც ზვაბაიას მივაპყარით თვალი.

„მგელი იყო“ ჩაილაპარაკა კაცმა და ჩიბუხზე დაადო ღველფი. ისევ დადუმდა ტყე და გვესმის თუ როგორ ეცემა ფიჭვის კოკოლი გატრუნულ მიწაზე.

მე, თარაშ ემხვარ და არზაყანი პირქვე დავწექით მიწაზე. წაბლის ფოთლებისა და მიწის სუნით ვტკბები, ვწევართ და ვსაუბრობთ. ტყეშ ტყიურისათვის თხრობა მოგვანატრა. ცეცხლის პირად ფეხმორთხმული მოხუცი ზის. გვიამბობს, თუ როგორ მოგროვდებიან მშვლები და მგელს უმკლავდებიან, ჯიხვი როგორ ურქენს მგელს, ან შუნი როგორ ებრძვის არწივს ნუკრის მტაცებელს. მერმე მონადირეების და მგლის „გამთოფავების“ ამბავი მოაყოლა კაც ზვამბაიამ, მოგვითხრო თუ როგორ გამოუტყუებია მას მგლური ყმუილით მგელი კოხორას ტყიდან, მკლავი გაიშიშვლა

და გვაჩვენა მოზრდილი შრამი, დაკოდილი მშვლის მიერ ნაგრავი წიხლისაგან მიყენებული. იჯდა და გვიამბობდა კაც ზვამბაია: მშველი რქას იცვლისო მწიფობის თვეში, იანვარში კვლავ ამოიყრისო, ფური ოდ დამაკდება, ვაცს გაეყრებაო, მერმე დაძრწისო ტყე და ტყე ვაცი, თუ სადმე წააწყდა ურქენსო და მუცელს მოუშლისო მაკეს, ან პატარას გამოშიგნავსო რქებით. ასე კილავდა უგულო მამლებს ტყიურთა შორის ყველაზე უგულო მამალი კაცთა შორის.

არზაყანს დასძინებოდა, კაც ზვამბაიამ ცხენებს მიაკითხა.

„მე მაინც ბეთქილის ბედი მაინტერესებს", მეუბნება თარაშ ემხვარ.

„მერმე ის იყო, ბეთქილი თვალუწვდენ ფლატეზე შეუტყუებია კვიცრა ჯიხვს", განვაგრძე მე, „და იქიდან გადმოუგდია საწყალი ბეთქილი. ამას მღეროდნენ სვანები ხაიშში".

*
* *

უკვე გუთანი გაჰქრა ცაზე, დათვების ღრენაც შეწყდა ფიქვნარში.

მე და ემხვარ ვეხუტებით მძინარე მიწას და გვესმის თუ როგორ ყივის სადღაც შორეთში მამალი ხოხობი.

ოჰ, ვისაც ხოხბის ყივილი არა სმენია, მან არ იცის თუ როგორის ზეიმით ეგებება მდუმარე ტყე დალივით ბრწყინვალე მზეს, გარიჟრაჟისას. არზაყან და ჯოკია ხვრინავენ. კაც ზვამბაია ალმილეულ ცეცხლს მისჩერებია, ჩიბუხს ახჩოლებს. ცხენები მადიანად ახრამუნებენ ბალახს.

„თქვენ როგორ ფიქრობთ ბატონო კონსტანტინე, მეუბნება თარაშ ემხვარ მთვლემარეს, სვანური დალი, ვგონებ ბერძნული არტემის, ან რომაული დიანა უნდა იყვეს არა? ნადირობის ღმერთ ქალი?

მე ხოხბის ყივილს ყურს ვუგდებ თვლემისაგან ღონემიხდილი, მისი ნათქვამი გავიგონე, მაგრამ ენის მობრუნება მეზარება, სულ მალე წაბლის ფოთლების სარეცელზე დაკრული მიწას ჩავეხუტე და უტკბილესმა ძილმა წამართვა ცნობა.

50. მოსისხარი მეჩოლნგურე

შემოდგომის უკანასკნელმა ქუხილმა მოგვისწრო ისევ ენგურთან მიღწეულთ. მზე ჯერ პირს იბანდა, მერმე ცა წარიგრაგნა თალხი ღრუბლებით და ელვის ლეკურებმა დასხეპეს ლაპის ლაზულის მთების მუზარადები. პანურად აღმოცენებული ველური ბუნება შედრკა და ზანზარებდენ მაღალი ქორედები. ღრიალებდა ენგური და ზათქით ეხეთქებოდა დაკბილულ კლდეებს.

კაც ზვამბაიას კბილით ეჭირა ვაჟი და გაზრდილი, უშლიდა დაღმართებში უმოწყალოდ ჯირითს, ერთ ორჯერ მეც გამკიცხა მოხუცმა ცხენისადმი დაუზოგავ მოპყრობისათვის, მაგრამ როცა თქეში მოვარდა, თა-

ვათაც აკადრა მათხრახი ცხენს. გაზუზულ მართვესავით დაპატარავებული ჯოკია მოკლე ბილიკებით იგებდა მანძილს. ხანდახან სავსებით გაუჩინარდებოდა, მერმე ისევ გამოჩნდებოდა კორტოხზე და მერმე მაქოსავით ჩაგოგდებოდა დაცერებულ ფლატეზე.

ნაბდები მოვისხით, მაგრამ ველარც ნაბადმა გვიშველა. ენგურს დაცილდა გზა და გავივაკეთ, კაც ზვამბაიამ დასჭყივლა ცხენს და ჭენებით გამოვუდექით სამნივე. ჯოკია აღარსად იყო. ტყის ბილიკს მივყევით, ჯაგნარი მომცრო იყო, მაგრამ მხრებამდის გვსწვდებოდა მაინც, ასე რომ ტყიდან გამოსულნი სავსებით სველი ვიყავით. დაუზოგავად მოვაჭენებთ ცხენებს და ერთბაშად ჩემს გვერდით მოჯირითე კაც ზვამბაიას სიცილი შესქდა.

„შეხედე, მაგ ეშმაკის შვილს“ მეუბნება და მათრახით მიაშვირა ბილიკზე მიმლოლავ მგზავრს. ჯოკია ვიცანით და გავოცდით.

ტაფობზე გავედით თუ არა ისევ მოისმა გრუხუნი და მომეტებულის ძალით წამოვიდა მერეხი, მაშინ მგლურიდან ისევ გალოპზე გადავიყვანეთ ცხენები. კაც ზვამბაიას შეებრალა ჯოკია, უკან გაბრუნდა ჭენებით, უკან შემოიგდო და ისევ წამოეწია ჩემს ცხენს ყველაზე დაწინაურებულს. ვგრძნობ თუ როგორ ჩამდის წყალი თხლიშინით კისერში, ლამისაა გადამაგდოს ცხენმა დასველბეულ უნაგირიდან, მაინც ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან ურტყამ ცხენს მათრახს და მივაჭენებ გაღვარულ ცხოველს. აღმართი მოვითავეთ და როცა დაღმართზე შევაგდეთ ცხენები, სოფელმა იელვა ჩემ თვალწინ და სავსებით ანგარიშმიუცემლად პირველი სახლის აივანზე მივაგდე ცხენი.

რიკულზე მივაბი და მასპინძლის გამოუხმობლად ავედი ხის კიბეზე, და ვხედავ: კაცის სიგანე აივნის ბოლოში ჩოხიანი კაცი გადაყუდებულა ფანჯრისკენ, ხოლო ოთახიდან გრძელწვერა მღვდელი გადმოწოლილა იდაყვებზე დაყრდნობილი და ასე საუბრობენ ტკბილად მოხუცი და უწვერული ჭაბუკი.

ჩემი ფეხის ხმის გამგონე ჩოხიანი წელში გაიმართა და უბადლო მშვენება წარმომიდგა თვალწინ. ბეჭგანიერი, ვიწროწელიანი, სხვილთვალება და შუბლმაღალი. ზურგით კედელს მიეყრდნო ყრმა და ისე ამაყად შემომხედა უცნობს, თითქოს მე მისი ნაყმევი ვყოფილიყავ მეძღვნედ მოსული. და სატევარი მუხლამდის სწვდებოდა, თეთრი ძვლის ტარიანი, სვანური სატევარი, ძველებური ნახელოვნები, დამწვარი ვერცხლით მოჭედილი.

მიუახლოვდი თუ არა, მის სატევრისკენ გამექცა თვალი.

სალამის შემდეგ პირველი ჩემი სიტყვა ასეთი იყო: რა მშვენიერი ნახელოვნებია მეთქი ეგ სატევარი ჭაბუკო.

„კარგია, რა უშავს, სატევარი უვერცხლოდაც კარგია. სატევარს რა ჯობია, სატევარია ჩემი სიცოცხლე“... ამბობს.

„კი მაგრამ სვანო, მივმართე, თავაზიანი კილოთი, არ უნდა გავათავოთ, სულ ამ სატევრების ქება?..“

„ერთი რომ მე სვანი არა ვარ, მე სვანეთში გავატარე ამხოლოდ“. მიპასუხა უცნობმა ფრიად კადნიერად. ამ გზით მივხვდი იგი მასპინძელი არ უნდა ყოფილიყო. მასპინძელს დავეძებ თვალით, მაგრამ მღვდელმა ფანჯარა გამოხურა და მიიმალა.

მე გამაოცა მისმა ნათქვამმა. კილო სვანისა ჰქონდა, გავიქირდე ჩემს გულში ჩემივე ცნობიერება, რაკი ქართული ტომების ენისა და იერის ეჭვმიუტანელ მცოდნედ მომქონდა აქამდის თავი.

„სვანი არა ხარ, მაშ ვინა ხარ ყმაწვილო?“

ვეკითხები.

„მე მეგრელი ვარ“.

„რა გვარისა?“

„ტარბა“.

„სახელი რა გქვია?“

„აბესალომ მქვია, ლომკაცია ტარბას ღვიძლი შვილიშვილი ვარ“, მიპასუხა ამაყად.

მემცხეთა მყისვე ამის გაგონება. ახლა ერთადერთი ჩემი წადილია: როგორმე კიბემდის მივიდე და გადავძახო ჩემს თანამგზავრებს: ცხენებს მოასხდნენ ახლავე და მოუსვან აქედან, ამასობაში ჯოკიამ ამოჰყო თავი აივანზე, მას კაც ზვამბაია, არზაყან და თარაშ ემხვარ ამოჰყვნენ და ისედაც ვიწრო აივანი გაივსო სავსებით.

ჩოხიანმა ერთბაშად ავზნიანსავით დააბრიალა თვალები, ჯოკიას დაუძახა და ხელი დაუქნია მიახლებულს. ჯოკია მივიდა, ქათმის კუჭსავით გალურჯებული. მიესალმა.

„ეს მოხუცი ზვამბაია არაა?“ ეკითხება იგი ჯოკიას, ძერასავით ზედ გადაეფოფრა.

ჯოკიამ დედის სული დაიფიცა მე არ ვიცნობო ამ მოხუცს.

ეხლა მე წამავლო მარჯვენა მარცხენა მკლავზე, მე მეკითხება.

მეც თავი მოვიკატუნე, მე გზაში წამოვეწიე მეთქი, არც ვიცი მეთქი მათი ვინაობა.

აბა მე გამოვარკვევო დაილრიალა და მეძგერა გვერდზე, რაკი სხვა გასაქანი არ იყო, მომაწვა დევივით ვაჟკაცი, თანაც ცალი ხელი სატევრის ვადაზე გაივლო.

მე ცოტა რამ მესმის იაპონური ჯიუ ძიცუს სისტემისა, სწორედ ძარღვი შევუკარი მარჯვენა მკლავზე და როგორც იქნა სანახევროდ გაშიშვლებული სატევარი ჩავაგებინე. მერმე მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩავიდევი ჩემი ბრაუნინგი ჩავბღუჯე და აუღელვებელი ტონით მივმართე:

„აბესალომ დამშვიდდი დედა ნუ მოგიკვდება, აბესალომ დამშვიდდი თორემ ინანებ“.

კაც ზვამბაია მოერიდა როგორც სჩანს ხელმეორე სისხლის ღვრას, ვაჟსა და გაზრდილს წაავლო ხელი და ძირს ჩაიყვანა.

„ხელი გამიშვი“ მეუბნება მიწისფრად გამხდარი ჭაბუკი. მე ეუბნები შეეუშვი, ერთი ნაბიჯი უკან გადავდგი. ახლა ჯოკია დაწინაურდა, ეფერება, ეალერსება. მე უკვე ვხედავ თუ როგორ მოახტნენ ცხენებს ჩვენი თანამგზავრები და მოჰქუსლეს. მგონია ყოველივე მშვიდობით გათავდა და სწორედ ამ დროს აბესალომ ყელში წასწვდა ჯოკიას და ეუბნება: „მაშ ეს შენ გაგვაპარე წუხელ ზვამბაიები და ემხვარი ხაიშის გზაზე, შე სულკატიანო, შე სულკატიანო“.

ჯოკია მუშტის ოდენა გახდა და იატაკზე დაცუცქული დედის სულს აფიცებს, თავის ცოლშვილს ავედრებს ჯოტოს, დანაგაყრილ თხასავით ხრიალებს.

ისევ მივედი ტარბასთან და როგორც გამოცდილი მონადირე, მიეახლება გულსათუთად მიმინოს, რომელსაც მწყერი მოუგდია ბჭყალებში, ჯერ ერთ ჭანგს აუწევს, მერმე მეორეს, შემდეგ მესამეს და კისერზე ხელს გადაუსვამს სისხლის მაძიებელ მტაცებელს, ისევ დავუყვავე აბესალომ ტარბას, დავარწმუნე, სცდები მეთქი, ჯოკია ჩემი მეგზურია მეთქი, ჩვენ წუხელ აგერ მახლობელ სოფელში ვიყავით იმ ქედს გადაღმა, ასე რომ უდანაშაულო სისხლის დაღვრას ნუ იკადრებ მეთქი... მართლაც გახელებული ტარბა დავამშვიდე, უცებ ფანჯარა გაიღო, ჩარჩოებში გრძელწვერა ხუცის სახე გამოჩნდა. გადმოიღო მღვდელმა ჩონგური, გაუწოდა ტარბას და იქვე დაცუცქდა აბესალომ ტარბა და დაამღერა ჩონგურზე ტკბილზე უტკბილესი მეგრული შაირი.

ის შაირი მე უკვე აღარ მახსოვს მთლიანად, ეს კი ვიცი, აღებული სისხლის სიტკბოებას აქებდა იგი, ვიღაც ბნელ საუკუნოში შეუთხზავს ეს საოცარი ლექსი.

მ ი ნ ა წ ე რ ი.

ერთი საათის შემდეგ მე ჯოკია ცხენზე შემოვისვი და ენგურის ხიდთან წამოვეწიე ჩემს თანამგზავრებს.

ხიდი გადავიარეთ და ლაფარიანების სოფელი გამოჩნდა. არაფერი, ჩემს მიერ დასავლეთში, ან აღმოსავლეთში ნახული სვანურ სოფელს არ შეედრება. ბაქოს ნავთის ჭაბურღვილები თუ ვინმეს გინახავთ, ან ჰესსენის ქარხნების მილები, შესცქერი ამ თეთრი ციხე-კოშკებით მოფენილ გორმახებს, ასე გგონია საშუალო საუკუნეში გადამიცდაო ფეხი. ეს ყოველივე შეუდარებლად ეხამება თეთრჩალიანი მყინვარების მოლიბრო ფონს. ასეთ სანახაობას წავაწყდით, ლაფარიანების მახვშის კოშკს რა მივეახლეთ.

51. ქორა მახვში

სვანურ დარბაზში შესვლისას ქორა მახვშის სახე მომვარდა თვალში. სახეო? სადღა იყო სახე, თეთრი, მთლად თეთრი წვერი ზედ სატევრის ვადამდე სცემდა. თმა შესეოდა სახეს ყბიდან ღაწვებს გადასცენოდა, ღაწ-

ვის თაკებიდან ზედ თვალის უპეებამდის თმა მისწვდებოდა. დაფეხჩული, შავი წარბები მრისხანედ შეყროდა, თმა გამოსვლოდა ყურებიდან და ნესტოებიდან.

კაც ზვამბაია დაწინაურდა. ოჯახის სამოციოდე წევრი ზედწამოიჭრა. მათ შორის ოცი სატევრიანი ვაჟკაცი, ხუთი მოხუცი, ათიოდე ქალრძალი, ხუთმეტიოდე ბავშვი, კუთხეებში მიდგმულ აკვნებში კიდევ ღნაოდნენ ბალღები.

ქორა მახვშ ზედწამოიწია, მაგრამ ველარ ადგა. ხმამაღლა მიესალმა კაც ზვამბაიას სვანურად. არც კი გაუცინია. საერთოდ მისი მომზერალი ვერც კი წარმოიდგენდა თუ ოდესმე ღიმილი შესძრავდა ამ ბიბლიური პატრიარქის სახეს.

კაც ზვამბაია მიეჭრა მიხრწნილ ბერიკაცს, მარჯვენა მკერდზე აკოცა ოდიშურად. ჩვენ საკარცხულებზე დაგვსვეს დაქანცულნი და გაზუზულნი.

მამაკაცები კერის გარშემო დალაგებულ მორებზე დაცუცქდნენ, არც ერთი ქალთაგანი არ დამჯდარა, თვით მოხუცებულნიც გულზე ხელდაჭდობილნი იდგნენ, უცხო სტუმრებს შემოგვცქეროდნენ. მე და არზაყან მახვშისგან მოშორებით ვისხედით, არზაყანმა მეგრულად მიჩურჩულა: ნუ თუ ეს მთელი სოფელი ამ ერთ სახლში ცხოვრობსო. როცა კაც ზვამბაიამ და ქორა მახვშმა მისალმება და მოკითხვა გაათავეს, ახალი დროის ლანძღვითა და წყევლით გული მოიჯერეს, ქორა მახვშმა თავისი ხორბლისფერი თვალები მოგვავლო კაც ზვამბაიას მხლებლებს, უფროსად შემიცნო, ამიტომაც მე შემესიტყვა:

„რა ამბავია ქვეყანაზე ბატონო?“

„მშვიდობაა ქვეყანაზე მახვშ ბატონო“.

ჩემი ნათქვამი უპასუხოდ დასტოვა მახვშმა. მაშინ კაც ზვამბაიამ მომაძახა: მახვშს სმენა აკლიაო და მეც ხმამაღლა ჩავაყვირე იგივე.

მშვიდობაო? გაკვირვების ნიშნად თავისი მშვილდისებრ წარბები ზეასწია ქორა მახვშმა.

„ჯესმიმო, სად არის მერმე ეს მშვიდობა?“

„მშვიდობა მოდის ქვეყნად მახვშ ბატონო“.

მერმე მცირე ხანს თავჩაქინდრული სდუმდა ქორა მახვშ, თითქოს თავის თეთრტარიანი სატევრის ვადას დასჩერებიაო. მერე ისევ ზეალმართა უზომოდ განიერი სახე და მეუბნება:

„ჯესმიმო, გზა ხაიშამდის მოსულა არა? ეს გზა ვერ მოგვიტანს მშვიდობას არა?“

„ვინა სთქვა ეს მახვშ ბატონო?“

„??? ვინ იტყოდა? მე ვთქვი. ურწმუნოება შემოვა ამ გზით არა? ჩვენს კოშკებს დაანგრევენ, არა?.. ესა სთქვა და კაც ზვამბაიას გადახედა. კომუნისტები მომრავლდებიანო ჩვენს ქვეყანაში.

„მე ვიტყოდი ეს ასე არ იქნება მახვშ ბატონო. თქვენი კომკები უვნებელი დარჩებიან. რაც შეეხება ამ გზას, განათლება შემოვა ამ გზით მახვშ ბატონო“. ვამბობდი ამ სიტყვებს, თანაც მეშინოდა, ეს არ ...ოდა რომ ჩემი ნათქვამი მის გულს ჩასწვდებოდა.

ბიბლიოთეკა

„ჯესმიმო, მომმართა ისევე მახვშმა, ესეც მართალია, ადამიანებმა ფრენა ისწავლეს ბარში, ცაში აფრინდებიანო, მერმე ციდან მიწაზე ხტებიანო ადამიანები?“

„ეს მართალია მახვშ ბატონო“.

„ჯესმიმო, ესეც მართალია, სახლები დასცურავენო ზღვაში რომ ამბობენ ჩემ კოშკზე უფრო დიდი სახლები, არა?“

ესეც მართალია, დავუმოწმე მე.

ახლა თარაშ ემხვარს მიმართა ქორა მახვშმა, რაკი მას ჩაბალახი უკვე მოეხსნა და ჭალარა თმები გამოსჩენოდა. მე ერთ წუთში ჩამოვქვეითდი ქორა მახვშის თვალში, არ ვიცი რად მოხდა ასე, ეგებ იმიტომაც, მაშინ მე ჯერაც წაბლისფერი თმები რომ მქონდა და ჭალარა არ მერია თმაში, წვერულვაშსაც დასავლეთურად ვიპარსავდი. ან შესაძლოა იმიტომაც, რომ ჩემი აზრები ჭკუაში არ დაუჯდა ქორა მახვშს.

ქორა მახვშ და თარაშ ემხვარ საუბრით გაერთვნენ. ჩემს გვერდით მჯდარი არზაყან ირონიულად იღიმებოდა. „ახლა ისეთი დროა, მიჩურჩულებს არზაყან, ან ამ ქორა მახვშთან უნდა იდგეს ადამიანი, ან ჩვენთან, კომუნისტებთან. სხვა გზა აღარ არის“. . . . . .

. . . . . .

ახლა თარაშ ემხვარ ჩასძახის ქორა მახვშს ყურში: რამდენი წლისა ბრძანდებითო?

„მე ჟამიანობის წელსა ვარ დაბადებული, თურქმა სამეგრელო რომ გადასწვა იმ წელს მეყოლა ჩემი უფროსი ვაჟი თემური“. ესა სთქვა და პირიდან გამოღებული ყალიონის ტარი სამოცდაათიოდე წლის მოხუცებულს მიათითა.

ტანმორჩილი ბერიკაცი ჯირკვზე დაცუცქულიყო, ორივე მკლავი მუხლის თავებზე შემოეხვია, დახეულ ძონძის შარვალიდან დამეკნარი ყვერები მოუჩანდა.

მელიასებრი, წვეტიანი ცხვირი რაღაც იქედნურ გამომეტყველებას აძლევდა თემურის წვრილსა და უჯილაგო თავპირს. და იმოდენა ჩიყვი ჰქონდა ბერიკაცს, ახალციხური კარტოფილი გეგონებოდათ. წარამარა იჯღანებოდა, ქვემო ყბაზე შერჩენილ ორიოდე კბილიდან აწიტებდა და ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს ბურდღულებდა. ჟამიდან ჟამზე კაც ზვამბაიას ესაუბრებოდა ხმამაღლა, ეტყობოდა: კომუნისტებს აგინებდა კაც.

თემურ პირში შესცქეროდა კაც ზვამბაიას: თავს უქნევდა:

„ააადუ, ააადუ, უდასტურებდა გულამღვრეულად მოუბარს. ისევ მომეხმის ეს „ააადუ, ააადუ“. ყურს ვუგდებ სვანურს, ამ გასაოცრად ვაჟ-

კაცურს ენას და ასე მგონია იგი ჩემი მონათესავე ტომის ენაკავი როდი იყოს, არამედ სანსკრიტული ან ჩინური.

მე და ჯოკიამ ცხენებს გავხედეთ.

ღამე ეშვება მახლობელ მყინვარწვერზე, სწვიმს და ბინდბუნდი დანავარდობს გაშლილ ტაფობზე, ნაძვნარების ზღვისებრი ხშუილი ისმის. ჯოგის ძაღლები ღმუიან, ყეფვენ, მკლავებ წაკარწახებული დედაკაცები კარდლებს არაჩხუნებენ, კისერგამოღადრული თხა შემოაქვს ორ სატევრიან კაცს დარბაზის ტალანში.

დარბაზში საქონელი შემორეკეს და გაჩვიბის გარშემო გამწკრივებულ ახურებში დააბინავეს ხარები და ძროხები, აქაც ხნოვანებას ეძლევა უპირატესობა. პირველი ახურიდან უფროსმა ხარმა გამოჰყო თავი. იგი პენსიაში გასულ ბებერ მინისტრსა ჰგავს, კისერლაბაბიანი, სქელდრუნჩიანი. სულ მცირე ხანში ძაღლების ღმუილს, მამაკაცების როხროხს, ბავშვების ღნავილს საქონლის ფეხების ბაკუნი და ქშენა ზედ დაერთო. პირუტყვები შემოგვცქერიან ახურებიდან, მელანქოლიურად იცოხნებიან ბებერი ხარები. კიდევ რამდენიმე ნაძვის ჭალი აანთეს დედაკაცებმა და ახლა დასტებზე დაკიდული შაშხები გამოჩნდა. ძროხისა და თხის ბარძაყები, ნაწიბურები. საზამთროდ შემონახული, მჭვარტლით გამურული შაშხები რაღაც საოცარ ქიმერებს მომაგონებენ.

*
* *

დავსხედით ვახშმად. დედაკაცებმა და ჩოხააკეცილმა ვაჟებმა ცხელ-ცხელი ჭვიშტარები და თხის ხორცი მოგვართვეს. ქორა მახვშ ჩუქურთმებიან საკარცხულზე დაბრძანდა. წინ სამფეხა მაგიდა დაუდგეს. თხის თავი მახვშს მიართვეს. ქორა მახვშმა მახვშის კათხა გაავსო არყით, აღმოსავლეთისაკენ პირი ჰქნა, პირჯვარი გადაიწერა და დაგვლოცა.

სამოდე ნაძვის კვარი კიდევ აანთეს და ახლა უფრო დაკვირვებით ვათვალიერებ ქორა მახვშს. რაღაც თვალმიუწვდენელი დიდებულება გამოკრთოდა მის პატრიარქალურ წვერებსა და მდევურ გარეგნობაში. აღმოსავლეთში წარმოუდგენელია ამ ომახიანობის გარეშე რომელიმე ტომის, თემის, ან გვარის მეთაურობა. ღრმა მიხრწნილებაში გადასულ მოხუცს საოცრად მოვლილი თმაწვერი მოსავდა. ეს იყო წვერულვაში ტუჩპირის გარშემო შეყვითლებოდა. დამწვარი ვერცხლით შემკული სატევარი ორი ხელის დადება იქნებოდა. ხოლო ქამარი, ქამარს ნულარ იკითხავთ. ზღვის კიმილების დარი ვერცხლის ფიგურები მიჯრით მიწყობილად გარს ევლებოდა ქამარს და გვერდებში საქონეები, საწამლეები და სალეკურე ეკიდა. თაგვისფერი ჩოხა ეცვა მახვშს და ამავე ფერის პაჭიჭები სვანურ ჯაბრალებამდის სწვდებოდა.

მახვშს ქართულზე უფრო მეგრული ემარჯვებოდა. მე ძალიან მომწონდა მახვშ წარამარა რომ ურევდა სვანურ გესმის — „ჯესმიმოს“ და გადაუთარგმნელ მეგრულ სიტყვას „მუდას“. ეს „ჯესმიმო“ და „მუდა“ ძლიერ ამკობდა მის გაჭიანურებულ, დარბაისლურ გრძელსიტყვაობას. ხანდახან ხველა აუვარდებოდა მახვშს, თავს მუხლის თავამდის მიიტანს, ახველებს, ახველებს და მერმე ჩოხის სახელოთი მოიწმენდს ცრემლებს და ისევ დაიწყებს „ჯესმიმო“.

*
* *

დაწოლის წინ ქალები მახლობელ დარბაზში გაიკრიბნენ. მე და არზაყან ერთ კუთხეში მოვხვდით. სტუმრებს ფეხზე უნდა გავხადოთო და საურ მოგვიგზავნეს ქორა მახვშის უმცროსი შვილიშვილი. საურ აღმოჩნდა ტფილისის რომელიღაც მუშფაკის მსმენელი. საურ წარამარა იკრიჭება, ბროლივით თეთრ კბილებს აჩენს. ჯეირანსავით მოღერებულ, გრძელ კისერზე რევოლვერის ზონარი ჰკიდია, თავზე ძერასფერი სვანური ქუდი ახურავს. მარჯვენა ლოყაზე ნახანჯლარი ატყვია.

მე და არზაყანმა უარი ვთქვით და ფეხზე გახდა არ დავანებეთ საურს.

საურ თვალგაბრწყინვებული იგონებს ტფილისს, მაისობის დღესასწაულებს, ტფილისის გაზეთებს, წიგნებს და თეატრებს.

სიგრძეზე გაშლილ ლოგინებზე მამაკაცები წვანან. კერასთან ქორა მახვში და თარაშ ემხვარ დარჩენილან მხოლოდ. ზის თარაშ ემხვარ და უამბობს ასოცდაათი წლის კაცს, რომელსაც ჯერ ურმის თვალი არ უხახავს, გაფრენილი ადამიანების, ჰაეროპლანების, რადიოს, კალის და ქიმიის სასწაულების გამო.

ჩვენს გარშემო ჭერეხებსავით წაწოლილ ადამიანების ხვრინვას, ხარების და ფურების ფშვინვა, ხვნეშა და სუნი ემატება. მე ადამიტურ გრძნობებს მიღვიძებს მუდამ საქონლის სუნი. დიდი მყუდროების მომგვრელია იგი უთუოდ.

ანწლის არაყი მწარედ მაბლოყინებს, სიმთვრალე შემპარვია, თავბრუ მესხმის. ჯიხვის ტყავები ძირს მიგია, ჯიხვის ტყავები ზედ მახურავს და შაშვის ოდენა რწყილები მესევა ტანზე. ისე ურცხვად დაღოღავენ ჩემს სხეულზე ეს აბეზარნი, ისე უტიფრად არ მეპუებიან, თითქოს მე სიკვდილი გამომცხადებოდეს და მღილების შემოსევის ჟამიც უკვე მოწეულიყოს.

მალე ემხვარმა მარტო დასტოვა თავის საკარცხულზე მთვლემარე მახვში.

საურმა ჩექმების გახდა მოუნდომა თარაშს. ემხვარმაც უარი სთქვა, თავათ მოეჭიდა ფეხებზე შემომხმარ აზიურებს.

ხვნეშის თარაშ ემხვარ, ხელებს ინერწყვავს, უქაჩავებს ჩექმებს, შუბლზე ოფლის ხვითქი გადადის. მე მეგონა არზაყანს ეძინა. სიცილი გავიგონე.

„ასე წვალობს მაგ უბედური ყოველ დაწოლის წინ... თუმცა რაც ოქუმიდან გავიხიზნეთ, სამჯერ მეტად არ გაუხდია. ჩექმებიანად სწევს. დაწოლის უმალვე დაიწყო თარაშ ემხვარმა ჩივილი. რწყილები ისიც მას შეპუებიან.

„აკი ძალიან მოგწონდა მახვშების სვანეთი, ახია შენზე, ესეც შენი რომანტიზმი, დასტკბი თუ შეგიძლია“.

ხითხითებს არზაყან და განაგრძობს ფხანას. საურ გვპირდება, ხვალიდან კოშკში გადაგიყვანთ, იქ რწყილები არ არისო. დიდხანს ბორგავდა თარაშ ემხვარ, ბოლოს ჩასთვლიმა. მთელი ღამე სწუხდა, ბოდავდა, ჯამლეთ ტარბას ახსენებდა. სისხლი არ დაღვაროთო ყვიროდა.

*
* *

კერაზე ცეცხლი ჩაქრა. ორიოდე ჭალი დარჩენილა დაუქრობელი. ვწევარ და ვტრიალებ, გვერდს ვიცვლი, წამოვდგები, პერანგს გავხილავ ისევ დავწვები, ისევ შემომესევა ეს აბეზარი მწერი და გათენებას ვნატრობ გულით. ოდნავ ჩავსთვლიმე თუ არა, არზაყანის ხმა მომესმა უეცრად. იგი ზედ წამოიჭრა და მაუზერს დაავლო ხელი.

„ვერა ხედავთ, ვერა ხედავთ?“ ამბობს ათრთოლებული არზაყან. გავვოცდი. ალბად მასაც ემხვარსავით უსაზმნოდ დაღვრილი სისხლის ქენჯნა აწუხებს მეთქი. ვაშოშმინებ, ვამშვიდებ.

„გველი, გველი, ეგერ, შეხედეთ, შეხედეთ“. მეჩურჩულება არზაყან.

„დამშვიდდით, რას ამბობთ სადაა გველი, თქვენ გეჩვენებათ“.

ვეუბნები.

„როგორ თუ მეჩვენება. მე არ მძინებია, მან ზედ ჩვენ თავზე გადაიარა ლასტზე, მერმე ძირს დაეკიდა მარყუჟულად და ემანდ დაეცა“.

თვალი მოვიფშვნიტე და მართლაც... ვხედავ თავაწეული გველი სწორედ იქითკენ მიისწრაფოდა, სადაც მახვში და თარაშ ემხვარ წელან ისხდნენ საკარცხულებზე. ახლა ჯოკია იწვა იქვე დაგდებულ ნამორზე. არზაყანს უკვე შეემართა მაუზერი, უნდოდა საწოლიდანვე ესროლა მაგრამ მე მივხვდი.

„ეს სვანური მეზირია, ვეუბნები არზაყანს, ალბათ ამ ოჯახის „მფარველადაა“ იგი მიჩნეული. არ ესროლოთ არზაყან. მეზირის მოკვლა დიდ უბედურებად ითვლება სვანის ოჯახში, ესეც არ იყოს ჯოკიას არ ასცდენია ტყვია“.

დიდხანს მარწმუნებდა არზაყან, ავდგეთ, დავეწიოთ და მოვკლათო გველი.

არზაყან წამოდგა, რევოლვერიც თან წარიტანა. მეც თან გავყევი. ვაშოშმინებ. ვარწმუნებ ჩვენ სტუმრები ვართ და თავდაბლობა გვმართებს

მეთქი. როცა კერასთან მივედით, ნაძვის ჭალს ხელი წამოვავლეთ, კერის პირად პირდაბჩენილი იწვა ჯოკია და ხროტინობდა.

??? ნეტავ ხახაში ხომ არ შეუძვრა გველი ამ უბედურ ჯოკიას? ბოლოს როგორც იქნა დავმშვიდდით და დავწექით ისევ.

მალე მამლების ყივილიც მომესმა. ატყდნენ ძაღლები. ისეთი გაბმული ყეფა და ყმუილი ატყდა, ასე მეგონა მტერი შემოესია მეთქი ლაფარიანების კოშკებს და დარბაზებს. ვწევარ ლონემიხდილი და ვთვლემ. ვთვლემ და ვბორგავ და ამ კოშმარულ გარემოცვაში გასაოცარი ვიზიონერული ჩვენება გამომეცხადა: ცას მიბჯენია ძერასფერი უშბას მწვერვალი, ცად ალანძულა გოლიათი მთა, როგორც გადარეული ღმერთის უცნაური ნაოცნებარი. ამ უზარმაზარ მყინვარწვერზე ზის ლაფარიანების გვარის ქორა მახვში დასავლეთისკენ პირშექცეული.

ანწლის არყით სავსე კათხა უჭირავს ხელში და სწყევლის დასავლეთს, ისევე გულმოდგინედ, როგორც ვახშმობისას გვლოცავდა ყველას. და ზედ მთის კვარცხლბეკზე, მახვშის ფერხთით მისი უფროსი ვაჟი თემური დაცუცქულა. იგი მეფისტოფელსავით ილრიჭება ახლაც, ჩაჟანგულ, დამძაღებულ კბილებს აჩენს და მესმის მისი გაუგებარი და უცნაური ჩხავილი „აადუ, აადუ, აადუ“. ჟამიდან ჟამზე თილისმურად თვალს აპაჭუნებს ჩიყვიანი თემური და უბიდან გამოღებულ გველებს ესვრის დასავლეთს.

(შემდეგი იქნება)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

ორდენოსან სამშობლოსათვის

1

მთაც ლამაზი გაქვს, ბარიც ლამაზი
დიდხანს გადარეს მგოსნებმა ედემს.
გახედავ, და თვალს აბრმავებს ვაზი —
ვ.ახედავ, თვალი ვერ ატანს ქედებს!
ოამეა თეთრი ირმის ნაწველი
ოღე შვინდისფერი ვარაყიანი,
ერქეზის ქალებს უჭირავთ ცელი.
სუქდება მიწა ბარაქიანი!..

2

შენი „აბანოს“ და „ხილთა ქებას“
უჭრელებია პერგამენტები.
ვერ ნახავ ხის ტოტს, ხილი არ ებას
დასაკრეფადაც არ გვემეტები!
დამდგარა ნისლი გომბორის მთაზე
ერთად ჰყვავიან დეკა და ღვია,
მომხიბლავია ეს სილამაზე
ვაჟა-ფშაველას ცრემლი ატყვია.

3

ანბანის ქებას ვინ დაიქადებს,
დღეს უანბანო არავინ არი,
ასე მოადგა აჭარის ქედებს
ჩაის ლაჟვარდის ცის ქარავანი.
ასე მოადგა ლაგოდეხის ველს
კამეჩიანი ურმების ურდო.
რომელ ხილს აქებ, ან რომელ თაველს,
თუნდ რუსთაველის ლექსი გაქურდო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

შენ ფრიალო მთებს, შენ კლდესა და ტყეს
მტკაველი მიწა არ დარჩა მყარი —
აბა ყამირი სად არ აყარეს,
რომელ უდაბნოს არ მისცეს ღარი?
მაჩვენე კაცი, რომ არ ეკადროს
ეს ხელჩართული ფიცხელი ომი.
მართლა მოელის წითელ ესკადრას
წინად გამსკდარი პალიასტომი!

5

გაცრუვდა ყველა მემატიანე
ყველა ვახუშტი და ჰიპოკრატე,
აბა საიდან მოიფიქრებდენ,
რომ ასეთ ამბავს ყურსა მოჰკრავდენ!
ამოიწურა რიონის ფშანი
ამ ჭაობის ფსკერს რა ამოთხრიდა?
თუმც ოქროს ვერძის იყო ნიშანი,
ეგულებოდათ ძველი კოლხიდა?
ასე მგონია, ახლოს რომ იყოს
მოითხრებოდა თვით ატლანტიდა!

6

დაჰკრეს წერაქვი... დაგუბდა წყალი
ნარინჯოვანი ამოდის ბალი.
ალარ აციებს კრუხებს კანკალით,
კრიალებს ზეცის ლაჟვარდი თალი.
ხართ მეზობლები ახალი სოფლის,
სტალინის მიწის ხართ ბინადარი.
პატიოსნება გწამთ შრომის ოფლის
არ გააციეთ კერის ღადარი!

7

ახედეთ მაღლა იალბუზის ბჭეს,
არც მყინვარია მაზე დაბალი,
მაგრამ ორივეს გადააბიჯებს,
რაკი გაუხსნეს ხალხს მომავალი.
ყოველი სული, მღილი, ბალახი,

ვაზი ხის წვერზე სუროთ ასული
და მაღალ შტოზე გადატანილი
ფეთქავს ლ ე ნ ი ნ ი ს ძლიერი სულით,
და ყველა მათში ფეთქავს ს ტ ა ლ ი ნ ი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

8

შირაქის ველი თვალუწვდენელი,
ჭიაურის ტყე გზადაბურდული,
ენგურის წყალი დაულეველი,
სვანეთის მთების ზვავთა შურდული,
წინანდლის ვარდი დაუჭკნობელი,
ყვარელის ღვინო, კახეთის გული,
ალადასტური და ოჯალეში
აჯამეთივით მიმდგარი ყანა.
არხით მორწყული ყველა სოფელი,
მთა მყინვარისა, უშბა, უშგული,
ლოცავენ მიწას თავის მწყალობელს,
ჩემთან მღერიან ერთ საგალობელს!..

9

ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოცის
უფრო მტანჯველის, რომ ვიყო მთვლელი
ვერ შემაჩერებს გათხრილი ორმოც
ვარ ყრმა უცადი და პირტიტველი.
ჩემშიც გადმოდის, ჩემშიც იღვრება,
ჩემი სამშობლოს ფენიქსის ბედი.
არ უნდა კვესით გულს ამღერება
ცეცხლ მიუდებლად იწვის აბედი!..

10

ეს ძველის ძველი ამბავი არი,
მაგრამ ამაზე ძველიც რომ იყოს,
ძვირფასო, გვახსოვს შავი ზღაპარი
დაე, ერთ წუთათ გამოიქროლოს!
შენი გაზრდილი ვაჟი, ქალწული
შენ კარმიდამოს ველარ იცავდა,
გემის ანძაზე ხელგაბაწრული
სტამბოლს მაჰმადის წვერსა ჰფიცავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11

ისმის სიმღერა იანიჩარის
და ყრუ ქვითინი მამელუკისა,
შინ დაბრუნებას გული იჩქარის —
გზა დაბურდულა ყველა რუქისა!
განა ელირსა ვინმე იმათგანს,
კიდევ ენახა სამშობლო მხარე?
მრუდეს ლესავდა იგი იატაგანს,
თან დასდიოდა ცრემლი მდუღარე,
მონათ გაყიდულს არა ჰყავს მხსნელი,
ტყვილად ჭიხვინებს არაბის ცხენი!..

12

შამილის ბებერ და დამაშვრალ ძვლებს
ვერ მოასვენებს მექა-მედინა,
„სამოთხეშიაც“ სული ველარ სძლებს
მიურიდს სირცხვილის ცრემლი ედინა!
ჩვენც კარგად გვახსოვს ლეკის ტყვეობა —
გურამიშვილი და ლამის ყანა,
დღეს კი გაჩაღდა მთებში დღეობა
და გულის ძგერით უსმენს ქვეყანა!
იმან შეახსნა დარუბანდს კარი,
ვისი სამშობლოც მსოფლიო არი!..

13

თუ სხვას არ ახსოვს, შენ მაინც გახსოვს
ჩემო ტანჯულო სამშობლო მხარე,
თუ რა მდუღარე ცრემლი გედინა.
გაშალე ყველა ძველი ეფუთი,
და ბედისწერის კარაბადინი,
მაჩვენე სადმე, რომ ქართველ ხალხში
ასეთი შრომის სუფევა იყოს?
აბა თუ გახსოვს, თუნდ ერთი წუთი?
რომელ ერთს მეტყვი, დამისახელებ,
ასეთ ბედნიერ მე ქრონიკონს?..

14

იყო ქალდეა და ბაბილონი,
იქნება უფრო შორი გზაც გქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიცვალეს ბევრჯერ შუბლზე მირონი,
შენი ბუმბული ნიავს გაჰქონდა!
გიცვლიდენ მიწას... ოფლში გაწურულს
რომ შეუცვლიან სიცხის სასთუმალს,
და თუ არ გხედავთ ეხლა გასუდრულს
ესეც ვუმადლოთ ჩვენს ბედს იდუმალს.

15

ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოც წელს
აღარ მომაკლებს ლექსი ჟრუანტელს,
ოღონდ გხედავდეთ ასე ბედნიერს
შენ და შენ გაზრდილ მსოფლიო ნათელს.
გამოვიტანჯეთ ეგ შედარება,
რამაც ბავშვობის გული განგმირა,
ჩვენ კლდეს ყორანი არ ეკარება
დაულეწია ჯაჭვი ამირანს.
ამ ამირანის სახელიც ვიცით
მთელი დუნია იხსენებს ფიცით!..

16

უთქვამთ, რომ ხალხებს ყრმა ისკანდერმა
კავკასიონზე ესროლა ბადე.
სალი გასტეხა კლდე ხალხთა გრდემლმა
თავის მესია თვითონ დაბადეს.
თვითონ დროშაა და ამ დროშის ტარს
ვერავინ ნახავს დაღუნულს, დახრილს,
მონათ დახსნის ხმა უფრო შორს ატანს
მაკედონელის გასცდება მახვილს!..

17

სულმოუთქმელი ასე ვიმღერი
ლექსი დაწმენდას ვეღარ მოუცდის,
როცა დიდ გრძნობის გძირავს მეწყერი,
დღეა საბჭოთა კონსტიტუციის.
ყველა დროშის ტარს ხელით ვატარებ,
ყველა დამკვრელთა მე ვარ მგოსანი,
მაგრამ დიდ პოეტს თავს არ ვადარებ,
ბავშვიც კი მჯობნის ფრიადოსანი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

18

ლამეა თეთრი ირმის ნაწველი,
დღე შვინდისფერი და ნამიანი,
გვთუთქავს ახალი გრძნობა დამწველი
სულისდგმა ახალ ადამიანის.
აბა პოეტი ვინ გაგიბედავს
ანდა თავხედი, ვინ გაგაწბილებს?
როცა სვანეთის მთას გადახედავს
სულმოუთქმელი რომ მღერის „ლილეს!..“

19

მთაც ლამაზი გაქვს, ბარიც ლამაზი,
და თუ არ იყო ქვეყნად ედემი,
ეს შენი არის ზვარი და ვაზი,
ცეცხლის ბრიალით გულს რომ ედება.
ჩვენ თუ მეორედ დავიბადენით
— ეს შენი ვნახეთ ჩვენ დაბადება!
რომ სიხარულის ცრემლის დადენით,
ახალი კაცის გავხდეთ ბადებათ.

20

ნულარ ვახსენებთ დიდ ქალთა სახელს
მედეას, ნინოს, თამარს, ქეთევანს!
დიდ მგოსნებს ვხედავთ იმათ ამსახველს,
ველარ გაუძლებთ მათ შემოტევას?
გთხოვ რუქაია, მითხრა ზღაპარი
ჩვენ ახალგაზრდა ქალიშვილისა,
ქარხნის დამკვრელი წითელ თავსაფრის,
და პარაშუტის გადაშლილისა...
სთქვი რუქაია, ამის ზღაპარი!..

21

იაკობ ხუცესს, მიქელ მოდრეკილს,
ლეონტი მროველს და ეფრემ მცირეს,
მთაწმინდის ბერებს, სიცოცხლის მთმობელს,
ვინც რომ ქართული ენა მოპირეს;
ჩახრუხაძესა და სარგის თმოგველს,
სიტყვა უთავებ თვითონ რუსთაველს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ დიდ თეიმურაზს და არჩილ მეფეს,
გურამიშვილსა და საბა სულხანს,
„ქართლის ცხოვრების“ მემატიანეთ,
და მოკალმასე ბერ იოანეს —
ყველას გეძახით, იყავით მოწმე .
დასტოვეთ თქვენი საფლავის დვირე —
მე არ მრცხვენია დიდ ეპოქისა
ერთი საწყალი რომ ვარ მესტვირე!..

22

ასე მგონია აღსდგება მარრი
და ხელს დაადებს ახალ ხანძითელს
ერთი მერჩული დასტურ რა არი,
როგორ გასწვდება ჩვენ გმირს აწინდელს?
რომ აღიწეროს საქმე და ღვაწლი,
რაც ჩვენ ცხოვრებას თან შეეზარდა,
ათას ერთ ღამის ზღაპრის სანაცვლო
ათასერთი დღის შეხერაზადა..

6 ივლისი, 1935 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი

ლექსები

წერილი ნანას

შენზე ოცნება სიცხეს ანელებს,
როგორც ნიავი, — ჩემო პატარა.
შორით გიკოცნი ნიბლია ხელებს
და შენი ეტლით მინდა გატარო.

ო, გენაცვალე, ხშირად ნუ სტირი,
ნუ დაისივებ უმანკო თვალებს.
გაგართობს წყნეთში მეზობლის ვირი,
ღიმილს შენს ტუჩზე ააციალებს.

ერთი სიზმარი წუხელის ვნახე —
ლაპარაკობდი თითქოს კიდევაც.
ეგ ხუჭუჭი თმა და ვარდის სახე
გამოგადგება, ალბად, მზითევად.

მალე დაიწყებ, ნორჩო, სიარულს,
სულ მალე დედის ძუძუს დატოვებ
და სიტყვას ბავშვურს, სიტყვას მხიარულს
როგორც სინაზეს გადმომათოვებ.

იყავ ჯანმრთელად, ჩემო ფარვანა,
მე შენზე წუხილს ვერ გავუძელი.
პირში ნუ იდებ ყვავილებს, ნანა,
თორემ აგტკივა ისევ ძუცელი.

თუმცა მთა-ბარი შენგან მაშორებს,
გეამბორები მაინც აქედან.
იძინე კარგად! სათამაშოებს
მე ამოგიტან ხვალ ქალაქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ

(თამარ ჭავჭავაძეს — ლედი მილფორდს)

თეთრი მარაო ეჭირა ხელში,
როგორც ფრინველი უნაზეს ფრთებით.
გრძელი შლეიფი — თითქოს ზღვის ელჩი —
უკან მოსდევდა შრიალით, ვნებით.

და აქნეული ზევით მარაო
გადატყდა წელში როგორც მიზრაფი.
მან თითქო სახე დაიფარაო,
როცა მოედვა ცეცხლი სისწრაფით.

მან შეაგროვა მარაოს ფერფლი,
გულში ჩაიკრა ჩუმი წვალებით.
იდგა უძრავად ვით ბედის მსხვერპლი
და ელვარებდა მეტ ბრწყინვალებით.

შლეიფს არბევდა ცეცხლი ძლიერი,
ქალს მოეხვია სამოსი გველად.
როგორც ფლამინგო ფრთებგანიერი
იგი იწვოდა გულდასაწველად.

სუდარის მსგავსად დაეშვა ფარდა,
ისევ აინთო სხივთა კანდელი.
ტაშის ყუმბარა ცაში ავარდა,
ვით ალტაცების კორიანტელი.

აპრილი, 1935 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. გვეტაძე

ლაშაური სალამოები

რომანი*)

ოქროს მამალი

ჩვენს სოფელში იყო ერთი კაცი, მცონარე და ძილის მოყვარული.

მადაც პატარაობიდანვე იშვიათი დაყოლოდა, სამი კაცის იჯრას თვალის დახამხამებაში ნთქავდა, მაგრამ შინ მჭადიც ენატრებოდა სამყოფად და ამიტომ კარდაკარ წოწიალი ნირად გაეხადა, სადაც ბოლს დაინახავდა, პალოსავით იქ დაესობოდა, მანამ არ მოიცვლიდა ფეხს, ვიდრე არ დაანაყრებდენ.

ერთი ახირებული ზნეც ჭირდა: არ უყვარდა ლაპარაკი, იჯდა მუნჯივით და უზომოდ დიდ ლუკმებს ზედიზედ იდებდა ყურებამდე გახეულ პირში, თან უხმოდ ცლიდა ჭიქას-ჭიქაზე. შემდეგ ადამის დროინდელ ჩოხის კალთით წუნწკლს მოიწმენდდა და ზაქივით გავიდოდა კარში.

ლეღენდერას ეძახოდენ მას.

ნათლობის სახელი თვითონაც აღარ ახსოვდა.

სათნო გული ქონდა, მაგრამ ვაგლახად უკმეხ სიტყვასაც არავის შეაწევდა.

უფრო ამის გამო იყო, მისი სტუმრობა ბევრს ეხამუშებოდა, თუმცა ვერც გამგუნებას უბედავდა ვინმე. იცოდენ მისი ღჯუ გუნების ამბავი: ვისაც ლეღენდერასთან პურშაობა გამოუჩენია, მეორე დღეს მას ან ბოსტანის ღობე დახვედრია მოფენილი და ღორებისაგან აოხრებული, ან ნახირიდან ხარი დაბრუნებია კუდმოჭრილი, ან სხვა რამე ფათერაკი შემთხვევია.

ლეღენდერას ერთი ფიორი დიხაშხო მიწა ქონდა, ანწლისა და გვიმრის მეტი არაფერი ხარობდა ზედ. ეზოს მაყვალის ბარდი ერტყა ღობედ. შიგ იდგა ნახევრად მიწური ქოხი, ქოხის სახურავზე დადიოდა საარაკო ბიბილოებიანი და ახმახი მამალი, რომელსაც მაღალ, კომშის წნელივით

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ №№ 4, 5, 6.

შავსა და ქერქეჭანა ფეხებზე საყანწეთ გამოსადეგი დეზები ქარვასავით უბზინავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამალს წვეტოვანი ნისკარტიც ქარვას მიუგავდა. ქუჩარი და ბოლო-კი ფარშავანგივით ფორაჯებიანი ქონდა, ხოლო ტანი და მოღერილი ყელი ცინცხალ ოქროს ფერი.

მეზობლის ქალები განგებ დენიდენ ლეღენდერას ეზოში დედლებს, მაგრამ მამალი ძირს ჩამოსული არავის უნახავს და კარგი ქათმების ყოლის სურვილი ყველას ფუჭად რჩებოდა.

ქოხის სახურავზე ამაყად მოსეირნე მამალი გამვლელებს აოცებდა. თითოეულ მათგანს სურდა გაეგო, საიდან ყავდა ამ ყოვლად უფხოსა და ყოველთვის სხვის ხელში შემყურეს ეს ზღაპრული ფრინველი, მაგრამ ძესულიერმა არ იცოდა ლეღენდერას ვინაობა და არც მისი მამლის მართალი ამბავი.

ლეღენდერას მამალი საოცრად და მუდამ ალოზე ყიოდა.

მისი ომახიანი და გამწვდომი ხმა სოფლის ბოლომდე ისმოდა.

ლეღენდერას მამლის ყივილზე იღვიძებდა სოფელი.

ხუმრობით მამალს ლეღენდერას საათს ეძახოდენ.

ლეღენდერა ატყობდა, თუ რა ძვირფასი განძის პატრონი იყო და თავს ერჩია მამალი.

შინისკენ მიმავალი ლეღენდერა, როცა შორიდან თვალს მოკრავდა მამალს, მუხლებში მეტ ღონეს იგრძნობდა.

სახურავის კიდურზე გადმომდგარი მამალი ფრთათა ფათქუნით ეგებებოდა ლეღენდერას და მიახლოვებისთანავე მხარზე შეაფრინდებოდა. ლეღენდერა ბავშვის ღიმილით დაჯდებოდა ქოხის წინ კუნძზე და ნიჩაბის ოდენა ხელის გულზე მამალს დაუფჩხვნიდა მასპინძლიდან წამოღებულ ჭადის ნატეხს.

როცა მამალი უკანასკნელ ნამცეცებსაც აკენკავდა, ნისკარტს ლეღენდერას გაბურძგვნილ თმაზე გაიწმენდდა და მისავე მხარზე ჩაიმუხლებდა.

ლეღენდერა ნახევრად მოხუჭულ თვალებით დიდხანს გაცქეროდა კოლექტივის ხოდაბუნებს, თოვლით მარად დაფარულ მთებს, შემოდგომის მზე რომ ათასფრად აბჭყვიალებდა, და შემდეგ ზანტად წამოდგებოდა.

მამალი ისევ სახურავზე აფრინდებოდა, ხოლო ლეღენდერა შევიდოდა ქოხში და ნამორებზე ოღრო-ჩოღრო გადებულ ფიცრებზე ზმორებით დაწვებოდა.

გადიოდა დრო.

სოფელი ყოველდღე იცვლიდა ელფერს.

კოლექტივის წევრები აფართოვებდენ შუკებს, დამკილულ სახლის ნაცვლად სკოლისათვის აგებდენ ქვის დიდ, ნათელ შენობას. დგამდენ საერთო ბელლებს, იშენებდენ ახალ ოდებს და შიგ კიდებდენ სტალინის

სურათს, საღამოობით-კი გულიანი სიცილით მიდიოდენ კომკავშირელების მიერ ნასაყდრალში გამართულ წარმოდგენებზე.

მარტო ლეღენდერა იყო თავისთვის. ვერც სიხარულს შეატყობდა კაცი და ვერც მწუხარებას. არც არავინ კითხულობდა მის ამბავს...

მხოლოდ ერთხელ გაზაფხულის ერთ საღამოს ლეღენდერას ეწვია გოგოების მთელი გუნდი.

ჩვეულებრივ ქოხის წინ მჯდომი ლეღენდერა, რომელსაც მხარზე მამალი ყავდა შესმული, ისე გააოცა ამდენი ქალის მოულოდნელმა სტუმრობამ, რომ თავი სიზმარში მყოფი ეგონა.

გოგოები შორიახლო, გაპენტილ ბამბის ზვინივით თეთრად აყვავებულ ტყემლის ხესთან შექუჩდენ და შეკავებული სიცილით ჩურჩული დაიწყეს.

ეტყობოდათ ერთმანეთს აქეზებდენ, მაგრამ ხმამაღლა გუმანის გამჟღავნებას ვერავინ ბედავდა.

ტანზე შემომდნარ და ჭიპამდე ჩახეულ პერანგიდან ლეღენდერას უჩანდა სიპივით მაგარი, ბალნიანი ფართო მკერდი და საუღლე მოზვერივით მკვრივი კისერი, რაც შიშნარევ კრძალულობასთან ერთად, გოგოებში უცნაურ ჟრუანტელს იწვევდა.

ლეღენდერა კვლავ უძრავად იჯდა, მხოლოდ მამალი აფათქუნებდა ხანდახან ფრთებს და კაკილის მარცვლებივით ყვითელ ნისკარტზე დაკიდებული მისი თვალები ჩამავალ მზის შუქზე საოცრად ბრჭყვიალებდენ.

როდის იყო და როდის არა, ლეღენდერა ბანგშესმულივით წამოდგა, მამალი სახურავზე შეაფრინა, მერმე ტორი ცოცხის მსგავს წვერზე უხეშად ჩამოისვა, მზისაგან გალანძულ გოგოების შიშველ წვივებს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და ლბილათ იკითხა:

— რა გინდათ გოგოებო!

— ბევრი არაფერი ანხანაგო ლეღენდერა, — თამამად დაიწყო ერთმა მათგანმა, რომელსაც რატომღაც სახეზე ალმური ელვასავით უვლიდა, — ცოტა სათხოვარი გვაქვს: გოგოებმა საერთო საქათმე მოვაწყვეთ... ჰო, და, თუ შენს მამალს დაგვითმობ კოლექტივისათვის...

— მამალსო?.. — აღარ აცალა სიტყვის დამთავრება ლეღენდერამ და როგორც კილოს, ისე მის სახეს მრისხანება დაეტყო. — მამალს?.. — გაიმეორა უფრო ხმამაღლა მან, — ნწუ, მამალს სწორედ ვერ შეველევი. — ბეჯითად დაატანა ლეღენდერამ და გოგოებს თვალი მოარიდა.

— ნუ გვეტყვი ლეღენდერა უარს! — ალერსით მიმართა მეორემ.

— თუ გინდათ მე წამიყვანეთ, მამალს-კი ვერ დაგანებებთ... — გულუბრყვილოდ წამოროშა ლეღენდერამ და ბაყვები მოიქექა.

გოგოებს სიცილი წასკდათ.

— შენ გაქრი ბარემ. სულ სულელია ეს უბედური. — ჩუმად თქვა ვიღაცამ.

— არ დაგვანებებ და ვნახოთ! — უნებურად წამოცდა ყველაზე წინ გაჩერებულ თმაშეკრეჭილ გოგოს.

— რაო, რაო?! — დაიჭუხა უცებ ლელენდერამ და ... ტოლა გაუხდა.

გოგოები ერთბაშად აზრიალდენ და ქორისაგან დამფრთხალ წიწილებივით გაიფანტნენ.

როცა უკანასკნელი გოგოც კისრის ტეხით და კისკისით თვალს მოეფარა, ლელენდერამ ქოხისაკენ იბრუნა პირი და შუა სახურავზე ყელმოღერებით მდგარ მამალს ორკეცი სიყვარულით შეხედა.

მთელ დღეს გარჯილი სოფელი ადრე დაწვა.

უმთვარო ღამე იყო.

სადღაც ძაღლი ყეფდა.

მახლობელ ტყიდან ისმოდა ჭოტის უსიამო ძახილი.

უეცრად ლელენდერას ქოხში შუქი გაჩნდა.

— ვინ ხარ? — იყვირა სწრაფად წამომდგარმა ლელენდერამ.

— მე ვარ. — წყნარად თქვა მოსულმა, რა მაგარი ძილი გცოდნია, შეკაცო, რახანია ჭრაქი ავანთე და გაღვიძებ, მაგრამ აქამდე გვერდიც ვერ გაცვლევიე.

ლელენდერა თვალების ფშვნეტით დაჯდა.

მოსულმა ლოგინის ერთი კუთხე გაათავისუფლა ჩვრებისაგან და ზედღვინით სავსე დოქი დადგა, შემდეგ ფუთა გახსნა და მრგვალად მოხარშული დედალი დახლიჩა, ჭადები დატეხა.

გაკვირვებულ ლელენდერას ნერწყვმა დაუსველა ლაშები.

— სად დაიკარგე ამ ბოლო დროს, სწორედ მომანატრე თავი და აი, ხომ ხედავ თვითონ გეწვიე მცირე ძღვნით. გამოფხიზლდი ჰო, დღეს მე ხემსი არ ჩამიდევს პირში, შენც მომხეული უნდა იყო, ისე გატყობ... — ამ სიტყვებით მოსულმა ლელენდერას აუვსო მომცრო ყანწი.

— ფშვენიერი ღვინოა. — თქვა ლელენდერამ და სახნისივით მაგარ დაკრიალა კბილებით ქათმის ძვლებს დაუწყო ტკვერა.

— მართლა, ბიჭო, მამლის ჩამორთმევას გიპირებენ ეს უსვინდისოები? — შეაპარა მოსულმა. — მოდი და ნუ გადაირევი კაცი, ამ წყეულებს არაფერი უნდათ გაუშვან ჩვენს ბარობაზე, რას გავს ეს! ეჰ, დღეს იქნება თუ ხვალ მამალს არ შეგარჩენენ, მერე რა მამალია, უბრალო მაინც იყოს...

ლელენდერა უცებ ძუნძულით გავარდა გარედ.

როცა მამალი თავის ალაგას ნახა დაბუდრებული, დამშვიდებული შეშობრუნდა ქოხში, მაგრამ რალაც თავის ტყავში ვერ ეტეოდა.

ეტყობოდა მოსულის სიტყვებს საგონებელში ჩაეგდო.

— რავა გამოშტერდი, ბიჭო, დაცალე ეს ყანწი, — ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა მოსულმა, — დარდი არაფერს გვარგებებს, ჩემო ლეღენდერა, უფრო კარგი იქნება თუ მტერს დროზე გავცემთ პასუხს. თორემ ხვალ მამალს წაგართმევენ, ზეგ თვითონ შენ წაგიყვანებენ და სანედარივით გამუშავებენ, ასე გიზამენ, გეუბნები. ამიტომ ჩემო ბიძიკო, — მოსულმა ხმას დაუწია, — ამ ხვნის ალოზე თესლეულით სავსე კოლექტივის ბეღლებს პატარა ნაპერწკალი... და მორჩა. ყანებს რომ ვერ დათესავენ და შიმშილით კუჭი აეწვებათ, ზოგი ალთას წავა და ზოგიც ბალთას, მაგათი კოლექტივი შარშანდელი თოვლივით გაქრება და ჩვენც მოვისვენებთ სამუდამოდ.

ლეღენდერა ერთი უცნაურად შეტოკდა, ბორცვებიანი მკერდი აუბობქრდა.

ათასი რამე გაახსენდა ერთბაშად.

— მაგი კულაკია, ამიტომაც ჩამოართვეს ხარები, მე ჩემი მამალი აგერ მყავს სახურავზე. გოგოებმა რაცხა იხუმრეს, ამიტომ კოლექტივს ბეღლები დავუწვა, რა ნამუსი იქნება. ვილასთან მივიდე მერე. — გაიფიქრა ლეღენდერამ. შემდეგ მოაგონდა, რომ მოსული წინად მას ხეირიანად სალამსაც არ აძლევდა. სულ რამდენჯერმე ყოფილა მის ოჯახში და მაშინაც ნასუფრალით გამოუსტუმრებია.

ლეღენდერამ რომ მოსულს დაუჯეროს, რაღა თვალით შეხედავს მას კოლექტივის მოხუცი წევრი გლახუნა, კეთილი და თავაზიანი მეზობელი, მუდამ ღიმილით რომ ეგებება ყველასაგან ათვალწუნებულს.

ლეღენდერა გველნაკბენივით წამოხტა, მზაკვრულად გაჩუმებულ მოსულს აბრიალებული თვალებით მივარდა... მაგრამ... უცებ შეჩერდა. ხმაგაკმენდილი თავისივე ადგილას დაჯდა... მოსულს მუნჯივით უსმენდა და თან გაბრაზებით ილუკმებოდა.

*
* *

მეორე დღეს მზე კარგა მაღლა იყო წამოსული, როცა ლეღენდერა შარას დაადგა. ის დაფიქრებული მიდიოდა, მაგრამ რომ ვინმეს ეკითხა რაზე ფიქრობდა, პასუხს ვერ ეტყოდა. ხშირად ემართებოდა ასე ლეღენდერას: მის გონებას გადაეკვრებოდა ლიბრი, მზერაც დაუჩლუნგდებოდა და ცხადათ ველარაფერს ამჩნევდა.

— გამარჯობა. — მოესმა ლეღენდერას გლახუნას საამური ხმა და შედგა.

— რისთვის ხარ ოჯო ასე დაღვრემილი, ა?

— ისე...

— რატომ არ მინახულე ოჯო, ერთი კვირაა ლოგინიდან წელი ვერ ავათრიე. ახლაც შეუძლოთა ვარ. მაგრამ შინ გული არ მიჩერდება. ჩემი ბრიგადა ზეგანზე მუშაობს, ზვარში. იქ მივალ, მინდა დავხედო ბიჭებს.

გლახუნას ავადმყოფობისაგან ღაწვები გაცრეცოდა. ნახევრად თეთრ და სუფთად დავარცხნილი წვერით თავზე დათენებულ მთვარესავით გამოიყურებოდა.

— არ ვიცოდი თუ ავათ იყავი, — რაღაც მონანიებით თქვა ლეღენდერამ.

— როდი ვარგა ასე მეზობლის დავიწყება, ოჯო. არც ის ვარგა, რომ ჯეელობას სულ ცუდათ ყოფნაში ატარებ. არა, არ ვარგა.

— კოლექტივში არ მიმიღეთ და რა ვქნა აპა? — გულუბრყვილოდ თქვა ლეღენდერამ.

— ოჯო როდის მოინდომე, ა? — გაიკვირვა გლახუნამ და უფრო მიუახლოვდა ლეღენდერას.—მე, ბერი კაცი, თუ მიმიღეს, შენი წინააღმდეგი ვინ თავმკვდარი უნდა იყოს, ჯანღონით სავსე ხარ, ქვას რომ ხელი მოუჭირო მარილივით დაფშვნი. მაგრამ ჯანს მოხმარა უნდა, ოჯო. გარჯა უნდა გიყვარდეს კაცს. ზარმაცობა ყოველგვარი სიგლახისა და სიბილწის სათავეა.

მოხუცმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ლეღენდერას ჩაკირულ ტანს და ტკბილად განაგრძო:

— პირდაპირ გული მტკივა, რომ გიცქერი ასე უქმად მოხეტიალეს, აბა რა კაცობაა მუდამ სხვის ჯამში ცქერა, საკუთარ ოფლით ნაშოვნ ლუკმას არაფერი ჯობია. ცოტა ზრდილობაც საჭიროა, სულ ელდანაკრავივით რომ ხარ, ამოიღე ოჯო ენა, იშრომე, სუფთად ჩაიცვი, ხალხში გაერიე და შენისთანა ვაჟკაცი მეორე არ იქნება ჩვენს სოფელში.

ლეღენდერას სახე უბრწყინდებოდა.

— ამ საღამოს კოლექტივის კრებაა სკოლაში, ახალი წევრები უნდა მივიღოთ. მოდი შენც და თხოვე კრებას, მხოლოდ ჯერ თავმჯდომარეს გაანდე შენი გულის წადილი, შეიძლება მეც მოვიდე და ერთ-ორ სიტყვას შეგაწევ. მაგრამ თუ ატყობ ზარმაცობას ვერ მოიშლი, მაშინ მამაშვილობას გაფიცებ ნუ მოხვალ. — გააფრთხილა მოხუცმა და ყალიონს მოუკიდა.

— ყველას მაგიერ ვიმუშავებ. დღე და ღამეს გავასწორებ. — ბეჯითად თქვა ლეღენდერამ, მაგრამ თანვე შემკრთალი ხმით დაუმატა:

— მამალს ხომ არ წამართმევთ?

მოხუცებულს გაეცინა და დაარწმუნა ლეღენდერა, რომ მის მამალს არავინ ახლებდა ხელს.

ლეღენდერა ფრთებ გამოსხმული დაშორდა მოხუცს.

შინ დაბრუნებული ადგილს ვეღარ პოულობდა.

რამდენჯერმე ჩავიდა წყაროზე და ხელპირი საგანგებოდ დაიბანა.

ბაღსა და ვენახებში მომუშავე კოლექტივის წევრების ბედი ლეღენდერას პირველად შეეხარბა დღეს.

თანაც რცხვენოდა, რომ მის მეტი დიდი და პატარა ყველა გარჯაში იყო. ხელის გულები აუქავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დრო გადიოდა, მოუთმენლობა უფრო და უფრო იმატებდა. როგორც იქნა დაბინდდა.

ლელენდერა მტკიცე ნაბიჯით გაემართა სკოლისაკენ. გული საგულეში არ ეტეოდა.

კოლექტივის წევრები იკრიბებოდენ ახალ სკოლის დარბაზში. ზოგი აივანზე იდგა და ლელენდერას მოსვლით გაოცებული იყო.

ლელენდერა დაბმულ მოზვერივით ერთ ალაგას ტრიალებდა ეზოში. ის ფიქრობდა, თუ როგორ და რა სიტყვებით გაემხილა თავისი სურვილი, ან რით ესიამოვნებია თავმჯდომარისათვის, რით მოეგო მისი გული და წინასწარ იზეპირებდა თავმჯდომარისათვის სათქმელს. მაგრამ როგორც-კი დაინახა ჭიშკარში შემომავალი თავმჯდომარე, მოაზრებული პეპელასავით სადღაც გაუფრინდა.

— გამარჯობა, ლელენდერა! — ღიმილით მიესამლმა თავმჯდომარე.

ვიდრე ლელენდერა სამაგიეროს თქმას მოახერხებდა, თავმჯდომარე უკვე აივანზე იყო.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ლელენდერამ ჯერ ირგვლივ მიმოიხედა, მერმე კიბე სწრაფად აირბინა და თავმჯდომარეს წინ გადაუდგა.

მან დიდხანს ეძება თავის სურვილის გამოსახატავად სიტყვები, მაგრამ ისე ქონდა გონება დაბნეული, რომ კოლექტივზე კრინტის დაძვრაც ვერ შეძლო.

ბოლოს თვითონაც არ იცოდა რატომ, თავმჯდომარეს მოულოდნელად ახლად შერთულ ცოლის ამბავი კითხა:

— შენი ცოლი ფოტინე როგორ ბრძანდება?

— მადლობელი ვარ, ჯანსაღადაა.

— შენი ცოლი ფოტინეს მშობლები როგორ არიან?

— კარგად, კარგად, ჩემო ლელენდერა.

— შენი ცოლის ფოტინეს დები ხომ მშვიდობით იმყოფებიან თავიანთ ქმარშვილით?

თავმჯდომარეს ცოტა ეწყინა ლელენდერას გადაჭარბებული ზრდილობა, მაგრამ მაინც თავაზიანად უპასუხა:

— არაუშავთ.

— შენი ცოლის ფოტინეს ძმები რაღას შვრებიან?

— **რას ჩააცივდი ამ ჩემს ცოლს ფოტინეს.** დამანებე თავი ერთი... — გაწყრა თავმჯდომარე. გარს შემოხვეულ კოლექტივის წევრებმა სიცილი ველარ შეიმაგრეს და ატყდა საოცარი ხარხარი.

— კოლექტივში შესვლის გულისათვის მოგახსენებთ თორემ, შენი ცოლი ფოტინე რაში მეპრიანება. — ახლა კი უკმეხად, მაგრამ ჩუმად ჩაილაპარაკა ლელენდერამ და თავმჯდომარეს ცივად გაშორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

— რამ დაგალონა ასე ოჯო, რა მოგვიდა! — მოესმა აივანზე განმარტოებით გაჩერებულ ლელენდერას მოგვიანოთ მოსულ გლახუნას ხმა.

ლელენდერამ ერთი შეხედა მას გასაწყლებულ თვალებით და კვლავ თავი ჩაკიდა.

— არ იტყვი, ყმაწვილო, რა მოგვიდა?

— არაფერი, თავმჯდომარე გავაჯავრე. — ბავშვივით ამოილუღლუღა ლელენდერამ.

— იჰ, მე-კი რაცხა ფარცაგი მეგონა. წამოდი, კრება იწყება. — გლახუნამ ძალისძალად შეიყვანა დარბაზში ლელენდერა.

ლელენდერა კუთხეში აიტუზა. მას არაფერი ესმოდა გარკვევით. არც ის იცოდა რაზე ლაპარაკობდენ ასე გაცხარებით კოლექტივის წევრები. ბურანში იყო. თვალის ჩინიც დაკარგოდა.

მან მხოლოდ მაშინ გაახილა ფართოდ თვალები, როცა წინ გლახუნა წამოდგა და მისი სახელი ახსენა.

კრება გულმოდგინეთ უსმენდა კოლექტივის მოთავეს და მოამაგეს.

მალე გლახუნა ერთბაშად ამართულმა ხელების მესერმა დაფარა და თავმჯდომარემ ლელენდერა კოლექტივში მიღებულად გამოაცხადა.

ლელენდერას არ ახსოვს როგორ გამოვიდა გარეთ.

თითქოს ფრთები გამოსხმოდა ისე მსუბუქად მიდიოდა. წინ არ იხედებოდა. ალალბედზე მიაბიჯებდა.

გახარებულმა ლელენდერამ გვიანობამდე იხეტიალა.

უკვე სხვად გრძნობდა თავს და ძველ ბუნაგში, სადაც პირუტყვივით ცხოვრობდა ამდენი წელიწადი, დაბრუნება აღარ უნდოდა.

მთვარით გაქათქათებული სოფელიც გამოცვლილი ეჩვენებოდა.

ლელენდერა ხანდახან თავის ლანდს, რომელიც ხან უკან მიდევდა და ხან მხარდამხარ მიყვებოდა, ხანაც წინ უსწრებდა — ჭკუას არიგებდა, დროდადრო უწყრებოდა, ზოგჯერ ეფერებოდა.

შუალამე იქნებოდა, როცა ლელენდერა ძალაუნებურად თავის ქოხში შევიდა.

დიდხანს არ მოუხუჭავს თვალი.

ბოლოს როგორც იყო ჩაეძინა.

ალიონზე ადგა.

იმ დღეს პირველად უნდა ემუშავნა გლახუნას ბრიგადაში და გადაწყვეტილი ქონდა ყველაზე ადრე მისულიყო დანიშნულ ალაგას.

კარი ცქვიტად გამოაღო, მაგრამ მაშინვე შედგა, რადგან ფეხი რალაცა ლბილს დააბიჯა:

ქოხის წინ თავწაგლეჯილი მამალი ეგდო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღონებულ ლეღენდერას უცებ გაახსენდა გუშინწინ ძღვენით წვეული კულაკი და მუშტი ურისავით ამართა.

* * *

გავიდა ხანი.

ლეღენდერამ ფუძე გამოიცვალა. კოლექტივის დახმარებით პატარა ჭდეული ოდაც დაიდგა. ახალი ჩოხა ჩაიცვა. თმა და წვერი შეიკრიჭა.

საღამოს კოლექტივის ყანებიდან დაბრუნებული ლეღენდერა ხელპირს გულდაგულ დაიბანდა, გაოფლილ პერანგს გამოიცვლიდა და მოუთმენლად დაუწყებდა ლოდინს გლახუნას ბადიშის მოსვლას.

აივანზე მოწრიალე ლეღენდერა დაინახავდა თუ არა ყაყაჩოსავით წითელლოყებიან პიონერ თამაზს, თავის ლოყებისფერ ყელსახვევით, უჩვეულ სიხარულით აღივსებოდა და სახე გაბადრული შეუძღვებოდა შინ ცეროდენა სტუმარს.

ცოტახნის მერმე ორივე მაგიდასთან იჯდა.

შუშის ლამპის ახლო ედვათ გაშლილი წიგნი, რომელსაც თავითავზე მიდებულები გულდაგულ ჩაკირკიტებდენ.

ლეღენდერა ტაბიკივით მაგარ და მსხვილ სალოკ თითს ნელა აყოლებდა მკაფიოდ გამოსახულ ასოებით დაბეჭდილ სტრიქონებს და გაუტეხავ ენით მარცვალ-მარცვალ ამოკითხულ სიტყვებს ბოხი ხმით წარმოთქვამდა.

მალე ლეღენდერამ იმავე გლახუნას რჩევით ქალიც შეირთო.

ეს ამბავი იმითაც იყო აღსანიშნავი ლეღენდერას ცხოვრებაში, რომ მას მხოლოდ ქორწინების დღეს გაახსენდა თავის ნამდვილი სახელი და ამიერიდან ყველა ცდილობდა მისთვის ლეღენდერა აღარ ეწოდებია.

გამოიცვალა კაცი სულ.

— ხატებზე უფრო გლახუნას შესძლებია სასწაული. — ამბობდენ ღიმილით ლეღენდერას მაცქერალი კოლექტივის წევრები.

ლეღენდერას აღარც-კი ახსოვდა თავის ოქროს მამალი.

IV

ლაშა მეორედ იშვა, როგორც პაატას უბირი კაცი.

ასე მხნედ დიდიხანია აღარ ყოფილა.

ცოლის გაყრით გამოწვეულ სევდის ნიშანს უცხო თვალი ვერც შეატყობდა.

ზეინაბმა მასზე სასწაული მოახდინა, ამას სხვებიც ცხადად ხედავდენ, და მეტოქესთან ერთად, რაც ყველაზე უფრო საოცარი იყო, ჩემი თავი ვიგრძენი ლაშაში. ხშირად მომჩვენებია, რომ ლაშა ჩემს მაგივრობას ეტრფოდა, თითქოს ჩემი ხმით და იერით ელაპარაკებოდა ზეინაბს.

ზეინაბთან შეყრილი ლაშა ჩემი ორადი მეგონა, იმდენ ზიარ და საცნაურ რამეს ვხედავდი მის ქცევაში.

გამიგონია, რომ ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ სიყვარულში გვანან. მაგრამ მე და ლაშას, რომელთაც ამდენიხნის მეგობრობის მანძილზე სრულიად სხვადასხვანაირი გუნება გვქონდა მუდამ, ახლა ზეინაბის მეოხებით უნებლიეთ გათიშულებს, ვერ გამიგია, რაღა უნდა გვქონდეს საერთო.

ვისაც სიყვარული შეუძლია, მას შეუძლია იყოს პოეტიც, — ესეც სხვისაგან გამიგონია, — მაგრამ არავინ მოსწრებია, რომ პოეტი ყაჩაღი ყოფილიყოს.

ლაშა-კი აგერ ზეინაბის გულის გარდა, საკუთარ დოვლათსაც აშკარად მტაცებს. თუმცა ის, როგორც რევოლუციონერი ტყვიით და როგორც პოეტი სიტყვით, ყოველთვის ებრძოდა მუხანათებს... იქნება ლაშა დღესაც ასეთივეა და მე შურით ვწამებ ცილს! შეიძლება... ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ვიდრე ამ რებუსის ახსნას მოვახერხებდე, მე ჩემი დამემართება.

და, ხანდახან ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემი თავი მართლა მე აღარ მეკუთვნოდეს და მხოლოდ ლაშას ჩრდილი ვიყო, ან გადაბელილი ხე, რომლის კენწერო ერთ დროს ლაჟვარდს წვდებოდა. ეს მაშინ მემართება, როცა ზეინაბს მასთან ვხედავ, მაგრამ საკმაოა ზეინაბმა ჩემსკენ იბრუნოს პირი, რომ უმწეო ვიქცე რკინის მკვნეტელად.

ამ ფიქრებით ამრეზილი ნელა მივდივარ. გვიანაა. თვალღია ღამეა და თქორი. ელექტრონის შუქზე წვიმის წვრილი ძაფები ისე ჩანან, თითქოს ცისა და მიწას შუა ობობას ქსელი იყოს გაბმული. ეტყობა მალე გადაიკარებს. ოდნავ სველი ცარიელი პროსპექტი მოძოვილ მინდორს გავს, რომელზედაც ხანდახან ავტომობილი დამფრთხალ შველივით გაიქროლებს, ან პარკში მიმავალი ტრამვაის ვაგონი დაკოდილ დათვის მსგავსად ზათქით გაირბენს თითო-ოროლა მგზავრით და კვლავ სიჩუმე დგება.

პროსპექტს გავცქერი და ვხედავ შორს მარტო მიმავალ ქალის ფეხებს.

— რაიბულ საით მიიჩქარი. — მესმის უეცრად.

სახელგამის ძველი ბინის წინ შეკვირტებულ ხეს მიყუდებია გულბათი და ვიღაცას მუსაიფს უხალისოდ უგდებს ყურს.

მისმა როყიო შეძახილმა რატომღაც საქურდალზე შესწრებულ ბავშვივით შემაკრთო და უნებურად შევჩერდი.

შეიძლება ის ლამაზ ფეხებიანი ქალი ზეინაბი იყო, — ვფიქრობ მე და კვლავ პროსპექტს გავცქერი. აღარავინ ჩანს. ზეინაბი რომ ყოფილიყო, — განვაგრძობ მარჩიელობას, — გულბათიც ხომ მოკრავდა თვალს, ზეინაბის დამნახველს აქ რაღა გააჩერებდა.

მაინც ვერ გამიგია, რატომ დამდევს მოჩვენებასავით გულბათი ამ ბოლოდროს. სადაც არ ველი, სწორედ იქ შემეჩეხება. მითვალთვალებს.

ჯანდაბას მაგის თავი.

თუმცა რას ვემართლები...

ზეინაბს მიეცა ჩვენი ცოდვა. აქამდე ერთ თხილს ვიყოფდით, ახლა მისი თილისმით გააზატებულნი რჩოლია მოზვრებივით ვუცქერით ერთმანეთს.

ათრეული ნაბიჯით მივდივარ გულბათთან. როცა მისი თანამოსაუბრე ამირიდონ ვიცანი, არ მიამა. მე არ მიყვარს მიზანტროპი და ცინიკი ხალხი. ეს კაცი კი ყველაფერს და ყველას ქირდავს. წარამარა ქირქილებს უხიაგად და მისი ყოველი სიტყვა გაჭყლეტილ ბაღლინჯოსავით ყარს. ის გალიაში ნამწყვდევ და იმ ფრთებ დაჭრილ ჩხიკვს გავს, რომელიც გაფრენას მხოლოდ იმიტომ-ღა ნატრობს, რომ ნაკვერცხალის მოტაცება შეძლოს და ადამიანები ცეცხლის ალში გახვიოს, თუმცა არაფრის ეშინია ისე, როგორც ცეცხლის.

მე მყავდა ასეთი ჩხიკვი, ანჩხლი და ბოროტი.

საიდღანაც ჩვენმა მურამ მოიყვანა ის სულ ბარტყი. მაშინ „წითელა ბატონებით“ ვიყავი მძიმე ავად, სიცხისაგან აფორაჯებული სახე ბროწეულის ყვავილს მიგავდა. რაც დრო გადიოდა, თანდათან უარესად ვხდებოდი. აღარც ნაირი ფეშქაშები მახარებდა, აღარც ჩონგური. ერთხელ, ბურანში მყოფმა, ეუცრად თვალები გავახილე და სასთუმალთან ჩემი საყვარელი მურა დავინახე, რომელსაც პირში ცოცხალი ჩიტი ეჭირა. ერთბაშად გამოვცოცხლდი. ძაღლმა პაწია ფრინველი ბალიშზე ფრთხილად დამისვა და უკანა თათებზე წამომჯდარმა სათუთად დმიწყო ცქერა.

მოვრჩი.

ჩხიკვი გაიზარდა.

თავს ვევლებოდი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვიგე მისი გული. ნირად ქონდა, როცა საკენკს დავუყრიდი, უთუოდ ჯერ თითებზე უნდა ეკორტნა, მანამდე ნისკარტს არ დააკარებდა საკვებს.

განსაკუთრებით ერჩოდა მურას. როგორც კი დაინახავდა ჩრდილში, წამოწოლილს, მაშინვე ხტომა-ხტომით წავიდოდა მისკენ, თან დამოკლებულ ფრთებს ოდნავ შლიდა. ცდილობდა მთვლემარე ძაღლისათვის როგორმე თვალები ამოეჩიჩქნა, მაგრამ ახლო მისვლას ვერ ბედავდა, მხოლოდ შორიდან უვლიდა, როგორც ცეცხლს.

მე მგონია ჩემს ჩხიკვზე საინტერესო ეს კაცი იმით უნდა იყოს, რომ მას უფრო ეხერხება ბოროტი ზრახვების დაფარვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყინარი იერით მოსილი მისი ნიღაბი, მუდამ მოხმარებული თვალებით ჩემში ზიზღთან ერთად რატომღაც სიბრალულსაც იწვევს. საზიზღარია იმიტომ, რომ მას არაფერი წმინდა არ გააჩნია, იმავე დროს ცდილობს სხვისი რწმენა შებღალოს, საოხუნჯოდ აქციოს.

საბრალო-კი იმიტომაა, რომ მას აღარც სიყვარული შეუძლია, აღარც ნამდვილი სიძულვილი, იმავე დროს გონია სხვებზე ერთი თავით მაღლა დგას...

უხალისოა. გულგრილი. ხეიბარივით დადის და ხშირად იცის თავის თავთან ლაპარაკი. ასეთ დროს თმაგაცვენილ სათითურივით მოგრძო თაკზე ოფლი მარცვალ-მარცვალ აჯდება და მრგვალ ლოყებზე აყალო მიწისფერი ედება. ქუდს ხელიდან ხელში ინაცვლებს და მოკლე ფეხებზე მორგვივით მომცრო ტანი ოდნავ ერწევა.

ამირიდონ მუდამ მოწყენილია, მხოლოდ მაშინ ცხოვრობს, როცა შეუძლია რამე, ან ვინმე გაკილოს. ენამახვილობაში სერგია ერისთავს ეცილება, მაგრამ თუ ხელი მოეცარა და სხვა მრეველში მოხვდა, სფინქსივით დადუმდება.

ინდიფერენტულად და ირონიულად უყურებს მოვლენებს. იმავე დროს კატასავით სუფთაა და აზიზი: წვერს ყოველდღე იპარსავს. ფეხსაცმელები სარკესავით კრიალა აცვია. სტანდარტულ თარგით შეკერილ კოსტიუმზე მტვრის ნამცეცებს წკიპურტით იცილებს.

ეს შუშაში გაზრდილი მენშევიკი ასე აღამებს დღეებს და ნანობს რომ არ დაცალდა თავის პარტიის იდეოლოგი გამხდარიყო... თუმცა ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სულ იმედი და ალბათ ამიტომაც უფრთხილდება თავს: ღვინოს არ სვამს, პაპიროსს არ ეწევა, ღამეს იშვიათად ტეხავს, ორპირ ქარს ერიდება, ტაფამწვარს თავის ხელით იკეთებს და თვის დამლევს კუჭს იწმენდავს.

— მენშევიზმი ძალზე ცუდი სენი იყო, რომლის მოხდისათვის საქართველოს მშრომელებს კაი გვარიანი მკურნალობა დაჭირდა.. — მოულოდნელად ვერევი მათ ლაპარაკში.

— როგორც გატყობ მაინცდამაინც ვერაფერი შვილი ექიმი უნდა იყო. — ცალყბად მიპასუხებს ამირიდონი და სიტყვას ბანზე აგდებს. მან კილოკავით და ლაკონიურად იცის ასეთ თემაზე ლაპარაკი და როცა ვინმე ნებით თუ უნებლიეთ ზედმეტ პირდაპირობას გამოიჩენს, რომ ბაასი უფრო ცხადი გახდეს, ამირიდონი ოხუნჯობას დაიწყებს, ან დავას სხვა საგანზე გადაიტანს.

— ექიმობის სწავლა ავადმყოფის სარეცელთან შეიძლება... მე ამაში კიდევ ერთხელ ვრწმუნდები ახლა, როცა შენ გისმენ და გიცქერ. თუმცა შენი განკურნება, მართლა, ძნელი საქმეა. მე ამას ვერ ვასრულებ. — უკმეხად ვეუბნები მას და ორთავეს ცივად ვშორდები.

ცა მოწმენდილა. ვარსკვლავები ზეინაბის თვალებივით კიაფობენ.

გზადაგზა ვიგონებ გუშინწინ პაატას მიერ მოყოლილ ამბავს და უნებურად ლელენდერას ვადარებ იმ ყელსახვევიან ნაცარქექიას, რომელიც სიბრაზისაგან, ეგერ, გულბათის წინ, ხაფანგში კუდით გაბმულ ტურასავით წრიალებს და ვინ იცის ჩემზე რას არ ლაპარაკობს.

რით არ ჯობია მას ლელენდერა!

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თურქული პოეზიიდან

ვაგიფ

შენთან ერთად

მარტოდ ვიყოთ და მეტოქე არსად ჩანდეს,
რომ შეგვეძლოს საუბარი შენთან ერთად.
ხელი-ხელში... ვიცინოთ და ვიბაასოთ
გავატაროთ დრო ნეტარი — შენთან ერთად.

ღაწვი ღაწვსა ჩავაკონოთ ერთი აზრით,
თვალი თვალსა რომ უცქერდეს დიდ სინაზით,
მსურს ავენთო შენი მკერდის სილამაზით.
შევსვათ ტკბილი თაფლის ღვარი — შენთან ერთად.

რომ ვხედავდე შენს თვალებში სიხალისეს,
წამწამები ჰგავდეს შავი ბროლის ისრებს,
მტერს გავგმირავ — თუ მეტოქე შემოგვისწრებს,
რომ ვისუნთქოთ ტკბილი დარი — შენთან ერთად.

ვიგრძნო სითბო, სიკეკლუცე და სიამე,
შიშის ნაცვლად მამხნევებდეს სითამამე,
შენთან ერთად დამათენდეს თავზე ღამე,
გრძელდებოდეს ეს ზღაპარი შენთან ერთად.

ვაგიფ! სატრფოს საპასუხოც გაიგონე:
ამ ნიღაბის ასახდელად მომეც ლონე.
შევსვათ ღვინო — მოვილხინოთ თავმომწონედ,
რომ ყოველდღე ვიყო მთვრალი — შენთან ერთად!

თარგ. თურქულიდან პაოლო იაშვილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულეიმან რუსტემ

ჩაპაევი

ჰა ჩაპაევის მოჰქრის მერანი:
დატორა ხევი, ველი, მდინარე;
ოეთრი ბანდები გაავერანა
მისმა ხმალმა და მისმა მერანმა;
და ალტაცებით ეს მთა, ეს ბარი
იმას უმღერის ქვემეხის ბანით.

მოდის, მომავალს ის თვალით ზვერავს;
მთებო, ხევებო მოიტეთ განი!
და როგორც ჩიტის ბუდეზე ძერა,
მან ისე დასცა სასახლეთ ხმალი;
სიტყვები: „ნელა“, „უკან“ და „მხდალი“
მის წესდებაში ვერ ჩაეწერათ.

წითელი ჯარი მიდის, ილაშქრებს:
ცეცხლის მახეში მტერი გაება;
და მუხლს იყრიან გმირის წინაშე
თვით ეს ომი და ომის ვაება.

გმირო ჩაპაევ! ჩემო ჩაპაევ!
გულს ვერ აკავებს ფოლადის მკერდი:
მინდა ვაპობდე სივრცეს და ჰაერს
და ომში ვიდგე, შენთან, შენს გვერდით.

მანდ, შენთან ყოფნა ოცნებას ჰშვენის,
მსურს ერთად შევხვდეთ ბრძოლის ნიაღვარს.
მე გამახარებს ღიმილი შენი
და მომკლავს ძმაო, შენი იარა.

იქ გხედავ, სადაც ომი გრიალებს,
შენ სისხლთან ერთად იღვრება ჩემიც;
ამ სასტიკ ბრძოლას მეც ვიზიარებ
ტყვიის ზვარაკად მეც შენთან ვრჩები.

გრიგალი. კვნესა... ეს დედამიწა,
მაღალი ზეცა სტიროდენ ერთად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლში გამოჩნდა და უცებ ვიცან
გმირის მხრები და გმირული მზერა.
შემდეგ შელება სისხლმა ტალღები,
ისმოდა წყალზე ტყვიების ჟღერა.

ვხედავ რომ გაღმა ურიცხვი ხელით
მის მოსაკლავად თოფი ამართეს.
ტალღავ! მდინარევ! — ჰა მთები, ხევი, —
მხოლოდ ჩაპაევს ჩვენ ნუ წაგვართმევ.

მან არ იცოდა შიში და დაღლა
და გამარჯვება ბოლომდე სწამდა,
წითელი მზე კი დაფარა ტალღამ
ძმაო ჩაპაევ, სადა ხარ, სადა?!

სდუმს ჩაპაევი, და სდუმს ტალღებიც
წყალში კი არა, ის გულში ვძებნოთ.
კვლავ აგრიალდეს სივრცე ნალმებით.
საბჭოთა დროშა ავსწიოთ, ძმებო!

არა და არა, არა და არა
არ მომკვდარა, არა ჩაპაევ!
გედის სიმღერა — სიცოცხლედ კმარა,
ეს სიმღერაა — სიტყვა — ჩაპაევ.

მაშინ ვერ ვნახე ველების შვრია;
გვიან მოსული ამ ბრძოლის ჰაერს
ვნატრობ და ვამბობ მე ჩემთვის ხშირად:
ნეტავ ეს ლექსი ჰგავდეს ჩაპაევს!

თარგ. თურქულიდან **მიქელ პატარიძის**

ფ. რაგიმ

ჩემი გოგონა

ჩემო პატარა ქალიშვილო, ეს ჩემი ბინა
სავსეა შენით. ბედნიერი ფიქრებს ვიყუჩებ.
ჩემს ოცნებაში შენ ჩემთან ხარ, შენ თითქოს გძინავს
და შლი ღიმილით უდარდელი პატარა ტუჩებს.

შენ ხარ სიცოცხლე საოცნებო და მომავალი,
რომელსაც ელის სიხარულის წუთი მრავალი.
თითქოს დაფორთხავ და ეცემი შენ ჩემს წინაშე,
ტანს იყრი სწრაფად და ტიტინებ, ჩემო გოგონა,
ჩემო პატარა, ნორჩი სახით ვარდს რომ მაგონებ,
რომ დაფრთხიალებ მხიარულად მამის ბინაში.

როცა ოთახში ელექტრონის შუქს ავანთებდი
და მაგიდაზე დაყრდნობილი ღამეს ვათევდი —
ეგებ ოცნებაც მეგობარზე არ გამებედა,
არც კი მეფიქრა შემეცვალა ცხოვრების გეზი!
მაგრამ შენ ჩემთან მოირბინე წყრომით სახეზე
და შემეკითხე გაბუტულმა: „სად არის დედა?!"

განა მგოსანი, მოსეირნე ტურფათა შორის,
ჰკითხავს თავის თავს: „რომელია სატრფო გულისა?"
ბედნიერების არ მიგრძვნია წუთით სიშორე,
არ განმიცდია არც სიმწარე სინანულისა,
და ჩემს ოთახში, სადაც ღამით მოწყენას ვგრძნობდი,
სადაც მტანჯავდა უცხო ქალთა სტუმრობა ხშირი —
მითვალთვალებდა მარტოობა მე, როგორც გზირი
და ჩემ ცხოვრებას უსხივოსნოს ტკივილით ვგმობდი.

და ერთხელ დილით მეუღლეზე ოცნებამ ნაზმა,
დედის სურვილმა — შვილიშვილი ჰყოლოდა მასაც,
და პიონერის ყელსახვევით ის მოეკაზმა. —
მე მაიძულა ამერჩია ჩემთვისაც სატრფო.
ახლა ჩემს ოთახს მხიარული სიცილი ათბობს
და მე შევხარი გულით ახალ ადამიანსა.

ჩემო გოგონა, ჩემო შვილო, აბა მისმინე:
როცა რადიოს დაძახება მოივლის ბინებს —
გამამხნევებელ და საბრძოლველ ხმების დამშენი —
ორ ადამიანს გაღვიძება ერთად უხდება.
ამ ორთა შორის ჩემს ოთახში დილით რომ დგება —
ერთ-ერთი მე ვარ და მეორე დედაა შენი.

თარგ. თურქულიდან კ. ნადირაძის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი

ცხრა ქალწული

ზურაბი ვაგონიდან გამოვიდა და მიიხედ-მოიხედა. ბაქანზე არავინ იყო. არც მისი საყვარელი დაიკო ელენე და არც უძვირფასესი დედა მართა. ის მრავალჯერ დაბრუნებულა შორი მგზავრობიდან, მაგრამ ერთხელაც არ ახსოვს, რომ სადგურზე არავინ დაჰხვედროდა.

ზურაბს ოცი დღის წინათ მოსკოვში დეპეშა მიუვიდა: „ვთხოვდები. შენს დაბრუნებას ვერ მოვუცდი. მიზეზს რომ გაიგებ, უეჭველად მაპატიებ. ქორწილი ზეგ გვექნება. შემინდე. მომილოცე. გკოცნით. ელენე“.

ზურაბი გაოცდა, დაღონდა, გაბრაზდა: მისი ერთა ელენე ჯერ სტუდენტია. ერთი წლის შემდეგ ინჟინერის დიპლომს მიიღებს. ისიც ზურაბივით შრომის მოყვარეა, დარბაისელი, უჯიათი და... ასე უცბად რა მოხდა? რამ ააჩქარა? ვინ გააგიჟა? მას სიტყვა ჰქონდა მოცემული, რომ დედისა და ძმის ნებადაურთველად არ გათხოვდებოდა. საქმრო თანხმობით უნდა აერჩიათ. ახლა კი ვილაცამ ააჩქარა, მოიტაცა, სიტყვა გაატეხინა. ნეტა ვინ არის ის ბედნიერი — ექიმი, ვექილი, აგრონომი თუ ინჟინერი?

ზურაბი კარგა ხანს შფოთავდა და ძლივს მიხვდა, რომ იმ სიშორეზე ვერაფერს მიაგნებდა, ორ დღეში ვერაფერსაც ვერ გაიგებდა. ის დეპეშა ულტიმატუმს ჰგავდა, რომელიც მას ბრმად უნდა შეესრულებინა, ან ბრმადვე უკუეგდო. ამით გაბრაზებულმა ძმამ ჯერ მოკლე პასუხი დასწერა: „სიძეს არ ვიცნობ. ვერ მოგილოცავ. ჩემს დაბრუნებამდე მოიცადეთ“.

მაგრამ მერმე ასწონ-გაზომა და პასუხისგებისა შეეშინდა. იფიქრა: თვითონაც ძლიერ კარგად იციან, რომ უჩემოდ დაქორწინება სირცხვილია, მაგრამ ალბათ დაყოვნება უფრო სახიფათოა და ამიტომ ჩქარობენ. იფიქრა, იყოყმანა და უპასუხა: „არა მესმისრა. გაოცებული ვარ. მაინც გილოცავ გაბედნიერებას და ვცდილობ ჩემი თავი დავაჯერო, რომ საპატიო მიზეზმა აგაჩქარათ. სიძის ვინაობა შემატყობინე. ჯერჯერობით მხოლოდ შენ გკოცნი მხურვალედ. შენი ზურაბი“.

საპასუხო წერილს მოუთმენლად ელოდა. ათიოდე დღის შემდეგ დედისგან დეპეშა მიუვიდა: „საჩქაროდ დაბრუნდი. უბედურება მოხდა. მართა“.

დეპეშა ხელიდან გაუვარდა და დიდხანს იჯდა თავზარდაცემული, გაშტერებული. უბედურების ათნაირი ვარიანტი კორიანტელივით უტრიალებდა აზრად და თავის საყვარელ დედას პირველად „ტუტუცი, გამოლაყებული ბებრუცანა“, რომელმაც ასეთი გაუგებარი და გამაგიჟებელი დეპეშა გაუგზავნა შვილს.

„ცხადია, ელენე გარდაიცვალა“ — გადასჭრა ბოლოს ზურაბმა და ისევე გამოიტირა ელენე, როგორც ოცი წლის წინათ მამის საფლავზე ტიროდა. გულში მაინც უფუჩუნებდა იმედი: იქნება არ მომკვდარა და სხვა რამ უბედურება დაემართათ. მერმე ოდნავ დამშვიდდა, კომისიონერი მოიწვია და ბილეთის ყიდვა და დეპეშის გაგზავნა დაავალა, სადაც ორადორი სიტყვა ეწერა: „მოვდივარ. ზურაბი“.

აი კიდევაც ჩამოვიდა — უჭმელობით, დარდით და უძილობით გალახული, დათენთილი, გაბრუებული. ჩამოვიდა და სადგურიდან დაჯერებული წამოვიდა, რომ ელენე მკვდარი დაჰხვდებოდა. მაგრამ იქნება ცხედარსაც ვერ მიუსწროს? ალბათ კიდეც დამარხავდნენ. ამ სიცხეში ცხედარს ექვს დღეს არ შეინახავდნენ.

ქვითინი ყელში უთრთოდა, თვითონაც ცახცახებდა, და ქუჩა რომ სავსე არ ყოფილიყო ხალხით, ცრემლს აუშვებდა და ტირილს მორთავდა.

ავტომობილი ქშენით გაჩერდა. ზურაბმა თავის ბინის კარი კინაღამ შეამტვრია, და როცა გაუღეს, მდუღარე ხმით შესძახა მართას:

— დედი!

— შვილო!

— ცოცხალია?

— ცოცხალია, შვილო, მაგრამ ვაი ამ სიცოცხლეს!

გახარებულმა ზურაბმა ჩემოდანი დააგდო, კისრიდან დედის მკლავები მოიშორა, პირველი ოთახი გაირბინა და მეორე ოთახში შევარდა. ელენე ცოცხალია! ძმას ამაზე მეტი არა უნდოდარა.

თავით-ფეხამდის საბანში გახვეული ელენე ლოგინში იწვა და კედლისკენ იყო მიბრუნებული. ზურაბმა მხარზე ხელი დაადო და ჩასჩურჩულა.

— ელო... გძინავს თუ გღვიძავს, ელიკო?

საბანი შეირხა, აიფურთნა და ყრუ ქვითინი გაისმა:

— თავი დამანებე!.. ნუ მაწამებ!.. გადი აქედან!

ზურაბმა დედას გადაჰხედა. მართა ცრემლს იხოცავდა და შვილს ოთახიდან გასვლას ანიშნებდა.

— გადი მთექი აქედან!.. თავს მოვიკლავ!

— კარგი, ჩემო დაიკო, კარგი. მივდივარ. დამშვიდდი. როცა დამიძახებ, მაშინლა შემოვალ, გვერდზე მოგიჯდები და, თუ შენი სურვილი არ იქნება, ხმასაც აღარ ამოვიღებ.

———

— დედი, ტირილს მერეც მოასწრებ. ახლა კი დაჯექი და დალაგებით მიამბე.

მართა მაგიდას მიუჯდა და ცრემლიანი ხმით, ქუშინარევ-ვაებით უამბო ზურაბს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანამდის არც მართას გაეგო, ჰყავდა თუ არა ელენეს საბედო. არც ის იცოდა, როდის აქეთ გაებათ მათ საბედისწერო კავშირი. ზურაბი რომ მოსკოვს წავიდა, ერთი კვირის შემდეგ ელენემ „ის პირშავი“ მოიყვანა, გაუმასპინძლდა და, როცა გაისტუმრა, დედას ჰკითხა:

„დედილო, ის ვაჟი როგორ მოგეწონა?“

„რა უშავს, შვილო, — უპასუხა მართამ — ლამაზია, ტანადია და არც სიტყვა-პასუხი აკლია. სხვაფრივ კი მე იმისი არა ვიცირა და ჯერ ვერაფერს გეტყვი“.

„მე თვითონ ვიცი და მე თვითონ გეტყვი, — მიუგო ელენემ. — ექიმის შვილია, ძალიან განათლებული, ზრდილობიანი, ბეჯითი და დინჯი კაცია. ალაგიც მშვენიერი აქვს და მომავალიც. ქალები ბუზებივით ეხვევიან. ხუთიოდე მეტოქე გამიჩნდა. ყველა შურით იხოცებიან. ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა და ორ დღეში უნდა მივთხოვდე, თორემ“...

„რას ამბობ, შვილო? გონს მოდი“.

„თორემ სხვა წამართმევს“.

„მაშ ის ქალიც ჰყვარებია“...

„ტყუილია. — გაფიცხდა ელო. — როგორ შეიძლება სხვაც უყვარდეს! მაგრამ მაინც... ვინ იცის... ათასი რამე მოხდება ხოლმე. ზეგ ვიქორწინებთ. აქაურობა კარგად დაალაგე და ერთი ვახშამიც მოგვიმზადე“.

მართამ ძლიერ დატუქსა, დიდხანს ეკამათა, ვახშმის დამზადებაზე უარი უთხრა და კიდეც დაემუქრა: „გვირგვინს არ დაგილოცავ“. მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. ელენე თავის ნათქვამზე შედგა და ფეხი აღარ მოიცვალა. ბოლოს კიდეც დაემუქრა: ქორწინებას გავაფორმებ და იქიდან ქმრის ბინაზე წავალო, შენ კი ქორწილში გინდ სულაც ნუ მოხვალ.

— ელოსაც ახლანდელი ხუმტური შეეყარა, შვილო, და მე ველარაფერი შევასმინე. არც ცრემლმა გასჭრა, არც მუქარამ და აღარც დედის პატივმა.

— მერე?

— მეტი რალა შემეძლო, შვილო? ყბადასალებ საქმეს ისევ ელოს ჟინის შესრულება ვამჯობინე და დავემორჩილე. ახალგაზრდობამ დილამდის ილხინა, მე კი ჩემი თავი ქელეხში მეგონა... ის პირშავი აქვე დასახლდა. ელომ მითხრა: ზურაბ რომ ჩამოვა, ერთს კიდევ მოვილხენთ და მეორე დღესვე გადავალთო. ცხრა დღეს იცხოვრეს. მეათეზე სიძე გაგვიქრა. გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ელენემ იმ დღეს ექვსჯერ აირბინა იმის ბინაზე, მაგრამ შინ არავინ დაუხვდა. მთელი ქალაქი მოირბინა, მაგრამ კვალსაც კი ვერ მიაგნო. იმ ღამეს თვალი აღარ დაუხუჭია... მოგიკვდეს

დედაშენი, შვილო! უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილხარ... მეორე დღეს ქუჩის ბიჭმა წერილი მოუტანა. ის დასამიწებელი სწერდა: ჩვენ ერთმანეთს ვერ შევეგუებით, ამიტომ ჩვენი ცოლქმრობა გათავდა და ღმერთმა ჩემზე უკეთესი ქმარი გაპოვნინოსო. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. ელო ლოგინად ჩავარდა... გვისნეულდება... ექიმი მაფრთხილებს...

— დედი, ნუ სტირი. შენ ეს მითხარი: ის სალახანა ვინ არის, რა გვარისაა?

— დასწყევლოს ღმერთმა იმისი სახელიც და გვარიც. ვილაც ანტონ მახარაშვილია. ამბობდა, ინჟინერი ვარ და აბრეშუმის ქარხანას ვაშენებო.

— კარგი, დედი. ახლა შენს საქმეს მიჰხედე.

ზურაბმა პირი დაიბანა, ტანისამოსი გამოიცვალა და კარი გამოიხურა.

რამდენიმე დღის შემდეგ ანტონი და მისი ახალი მეგობარი კოტე რესტორანის პაწია კაბინეტში სადილობდნენ და სიყრმის მეგობრებივით საუბრობდნენ.

— ძმაო კოტე — ეუბნებოდა შეზარხოშებული ტექნიკოსი ანტონი კოტეს, — მე და შენ ორ დღეში ისე დავძმობილდით, რომა... შენც ინჟინერი და მეც, შენც გყვარებია ქალები და მეც.

— წელან რაღაცას ამბობდი. ბოლშევიკები გვეფიცებიანო — გააახსენა კოტემ.

— ჰო, ბოლშევიკები გვეფიცებიან მეთქი, ცოლქმარი მეგობრები უნდა იყვნენო. ვის ატყუებენ! ქალი მხოლოდ ლოგინშია მამაკაცის მეგობარი. მოილხინე, დასტკბი და მერე ფუტკარივით სხვა ყვავილზე გადაფრინდი. ასეთია ბუნების კანონი. ააშენოს ღმერთმა იმის დამწერი!

— ააშენოს! — დაუდასტურა კოტემ. — მეც მუდამ მაგას ვიძახი. მაგის დამწერის დღეგრძელობისა დავლიოთ.

თითოც რომ დალიეს, ანტონმა ჰკითხა:

— კოტე, შენ რამდენჯერ შეირთე ცოლი?

— შვიდ წელიწადში ხუთჯერ შევირთე, მაშა!

— ოხო-ხო! — ჩაიცინა ანტონმა. — მე მიჯობნია. სამ წელიწადში ცხრა ცოლი გამოვიცვალე. დანარჩენ ლამაზებს, ნაყარ-ნუყარსა და სხვის ცოლებს აღარ ვანგარიშობ. მარტო ღმერთმა უწყის მათი ვინაობა და რაოდენობა.

— გაამოს! — წამოიძახა კოტემ. — ღმერთმა ქვიშასავით გვიმრავლოს და ვარდივით გვიფურჩქნოს. — მერმე მეგობრის ლამაზ სახეს დააკვირდა და უთხრა: — შენისთანა ლამაზს ქალები ძლიერ ეტანებიან, არა?

— ამ შავ თვალებს, ამ მბზინავ ხუჭუჭა თმას, ამ ბერძნულ ცხვირს, ამ სუფთა სახეს და ამ კოკორა ტუჩებს რომელი ქალი გაუძალიანდება?

— ვერც ერთი, ღმერთმანი, ვერც ერთი. ნამეტან კი მაგ თვალებსა და ტუჩებს.

— ჰო და, ვისაც ამ თვალებს დავაჯახებდი ხოლმე, ის ტუჩებსაც ნატრულობდა, ვისაც ამ ტუჩებს მივაკარებდი, ის იმ დღიდან ჩემი ყურმოჭრილი ყმა ხდებოდა. ჰო და იმას მოგახსენებდი: ერთი [illegible] ჩამივარდა გულში. ყორანივით შავგვრემანი იყო. გემო [illegible] ყველა ნილეთის ქალს ჭაშნიკი გაუშინჯო. მეც აგრე ვიქცეოდი.

— მერამდენე ცოლი იყო ის ქალი?

— მეხუთე. წუნდასადები არ იყო, მაგრამ ისეთი ლონიერი და იჭვიანი გამოდგა, რომ ერთი თვე ძლივს გავუძელი. მერე დავკარ ფეხი და სოხუმში გადავვარდი.

— ცოლს რაღა დაემართა?

— რა უნდა დამართოდა? ხელახლა გათხოვდა და ახლა პიონერივით ბედნიერია. სოხუმში ეს შავი თვალები რუსის ქალს დავადგი — ქერას, თეთრსა და ფუნჩულას. დაილოცოს იმათი მადლი! თამამი, გულკეთილი, გულღია გამოდგა. ისიც ქალწული იყო.

— შეგერგოს! მეშვიდე?

— მეშვიდე ბათომში შემხვდა. ახლა კი ებრაელი ავირჩიე. ალისფერი თმა ჰქონდა. ამბობენ, წითური ქალი ძალიან ვნებიანიაო. მაგრამ მოვტყუვდი. ჯერ თექვსმეტისაც არ იყო და ალბათ ამიტომ გამოდგა ცივი და უნდილი. გაზაფხულზე ქალს ჭორფლი გამოაყარა და... თავი მივანებე.

— რა თქმა უნდა, ისიც ქალწული იქნებოდა.

— უეჭველად.

— მერვე?

— მერვე შარშან შევირთე. გერმანელებს სკოლას ვუშენებდი და იქ გადავეკიდე. ძალზე ახალგაზრდა იყო. მუხლებზე ამაცოცდებოდა ხოლმე, თვალწინ თითს მიტრიალებდა და ტიტინებდა, იცინოდა, ზღაპრებს მიამბობდა. ამის დედამამამ ქვეყანა შემიყარა. ერთ ღამეს ავტომობილში ჩავსვი და ქალაქში ჩამოვიყვანე. სულ ტიროდა. იმისთვის სად მეცალა! ორ კვირაზე მეტს ვერ გავუძელი. ისევ ავტომობილში ჩავსვი და დედას გავუგზავნე.

კოტე ახალ მეგობარს ახლოს მიუჯდა, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— რამდენი შვილი გყავს?

— მე შვილი-მილი არ ვიცი. ვინც აჩენს, იმანვე იზრუნოს. ზოგი ჩემი ნაცოლარი ახლაც დამეძებს. მეძებონ.

— გეძებონ... მეცხრე ვილა იყო? — ამოიხრიალა კოტემ და ხელი ჩამოიღო.

— მეცხრე? — სულ სხვა კილოზე უპასუხა ანტონმა და შუბლი ხელის გულზე დაიყრდნო. — მეცხრემ ძლიერ დამჭრა, მაგრამ არც მე დავაყარე ხეირი. სტუდენტია. ელენე ჰქვიან. ერთ წელიწადს მაწვალა. ქალებში

ტოლი არა ჰყავს. ჭკვიანია, დინჯი, ნიჭიერი, პატიოსანი, ბრიბის მოყვარე და ლამაზი...

— მართლა? — და კოტემ ფეხი ფეხზე გადაიდო.

— მომეწონა და მოვეწონე. რა ხრიკი არ ვიხმარე, [illegible] მეკბარდი, მაგრამ ვერ იქნა, ვერ გავინაპირე. არსად არ გამომყვა. კინოს ვერ გადავაცილე. თვითონაც მეტანებოდა, მაგრამ ამავე დროს რკინის კედელი აღმართა და არ გადამიშვა, ერთხელაც არ მაკოცნინა.

კოტემ ჩაახველა, ანტონმა კი ხანმოკლე დუმილის შემდეგ განაგრძო:

— ასეთი უჯიათი ქალი პირველად შემხვდა. ვაჟკაცობა შემილახა, დამჩაგრა, დამამცირა. მეც გული გამიავდა. ახლაც არ ვიცი, რა სჭარბობდა ჩემს გულში, ბრაზი თუ სიყვარული?.. ერთხელ მუხლებში ჩაუვვარდი და შევეხვეწე: ან მომკალ, ან მაცოცხლე მეთქი... ქალი მოლბა და მითხრა: თუ დიპლომს მიიღებ, თუ შენს თავს დედაჩემს და ჩემს ძმას ზურაბს მოაწონებ, თუ პატიოსანი კაცის სახელს მოიხვეჭავ და თუ... ერთი სიტყვით, ათნაირი „თუ“ მომაკერა და თითის ოდენა იმედით გამისტუმრა. ერთი წელიწადი ხომ ვდიე და ორიც უნდა მომეთმინა. მეც ავიღე და ძველი ნაცადი ხაფანგი დავუგე: მის მეგობარს — ლამაზსა და სულელ სტუდენტ ქალს ავედევნე, ელენეს კი სხვისი პირით შევატყობინე: ანტონი შენს მეგობარს ირთავსო. ამ ხერხმა გასჭრა. მოვღუნე. საწყალი ელენე ორ კვირაში სანთელივით ჩამოდნა. ჩამოდნა და შეჩვეული ბატკანივით ამყვა. მაგრამ უქორწინოდ მაინც არ დამნებდა. და დაბალი ხმით დაუმატა: — ისიც ქალწული აღმოჩნდა.

ანტონი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. კოტემ სკამი გაისწორა, ფეხი ფეხზე გადაიდო, პაპიროსს მოუკიდა, ჩაახველა და იკითხა:

— მერე? მერე? სთქვი, რაღა!

— საოცარია: ქალებს საქორწინო საბუთი თილისმა ჰგონიათ. ელენემაც მომთხოვა და მითხრა: ორ კვირაში ჩემი ძმა ზურაბი მოსკოვს წავა და მაშინ ვიქორწინოთ, თორემ ნებას არ მოგვცემს და ბედნიერება ჩაგვეფუშებაო. ის ვიღაც ზურაბი მხეცი ვინმე ყოფილა და მეც მეშინოდა.

კოტემ სკამი ააკვნესა და სავსე ჭიქა დასცალა.

— მეც რა მენაღვლებოდა?? — განაგრძო ანტონმა. — ცალი ხელით ელენე მეჭირა, მეორე ხელით კი მისი მეგობარი ქალი. ერთერთი მაინც უნდა მრგებოდა. ზურაბი რომ მოსკოვს გავისტუმრეთ, მესამე დღეს ის თილისმა ვიშოვე, ერთი კარგისა ვიქეიფეთ და...

— დაიცა! — განგებ გააწყვეტინა კოტემ და ზეზე წამოვარდა. სკამი რახუნით გასწია, ისევ მიიდგა, ზედ დაეცა და, კრიჭაშეკრულმა, ძლივს ჩაილაპარაკა:

— ის უნდა გკითხო... ჰო, ათი დღის შემდეგ თავი რაღად დაანებე?

ანტონმა ეჭვიანად გადმოჰხედა მეგობარს და გაკვირვებით ჰკითხა:

— ვინ გითხრა, რომ ათი დღის შემდეგ დავანებე თავი?

— შენ თვითონ მითხარი... წელან მითხარი.

— მე გითხარი? მართლა? აღარ მახსოვს...

— მთვრალი ხარ და ამიტომ დაგავიწყდა. ახლა ესეც გამაგებინე: თუ ის ქალი მართლა მოგწონდა, თავი რაღად დაანებე?

— რა სხეული აქვს, რა კოცნა სცოდნია! — თავისთვის ჩაიოცნება ანტონმა.

— მე კოცნას კი არ გეკითხები. — ბრაზიანად დაუყვირა კოტემ.

— ნუ ცხარობ, ძმაო კოტე, მოითმინე **და** ყველაფერს გიამბობ. თავი იმიტომ დავანებე, რომ... დროზე გაცლა სჯობს დაყოვნებასა. ადრე თუ გვიან მაინც უნდა გავცლოდი და სჯობდა იმ „შვილო ზურაბს" სულაც არ ვენახე.

— გამაგებინე, რად უნდა გასცლოდი?

— იმიტომ, რომ მე ავარა კაცი ვარ, დაუდეგარი, მფრინავი, დონჟუანი. მე არ შემიძლიან მუდამ ერთი და იგივე ლოყა ვკოცნო და სამარემდის ერთსა და იმავე თვალებს ველამუნო. მეც ვიცი, რა ჯოჯოხეთია ცოლშვილი და ოჯახი. ცოლი დილით-დილამდე ჩაგჩიჩინებს: „იშოვე! მოიტა!" შვილები ტვინს გიხვრეტენ: „გვშიან! ჩაგვაცვი! გვაჭამე!" არა, ძმაო, მეყოფა. ოჯახი ბედნიერება კი არ არის, კატორღაა, მონობაა. ამ ულელს ნებაყოფლობით მარტო გიჟი დაიდგამს. მე კი ნამდვილი ნეტარება ცხრაჯერ ვიგემე და ახლა მეათეს ვიმზადებ.

— ალბათ ბავშვები ძალიან გეჯავრება, არა?

— მეჯავრება კი არა, მძულს, მეზიზღება!

— იმ ცხრა ცოლზე რაღას ფიქრობ? არ გენანება?

— სასინანულო არა აქვთრა. იმათაც და მეც საწადელი შევისრულეთ და გავათავეთ.

— შენ გაათავე, ცოლისთვის კი სწორედ ამის შემდეგ იწყება გაუთავებელი ტანჯვა და ზრუნვა.

— თუ წვალება არ უნდა, ნურც მოტყუვდება, ნუ გათხოვდება.

— შენ რაღად ირთავდი? რად ატყუებდი?

— აკი გითხარი, გემო მარტო პირველ ღამეშია მეთქი.

— ფეოდალებიც მაგას ამბობდნენ. პირველი ღამის უფლება გაიხსენე. ისინი ძალით იმორჩილებდნენ ქალწულებს, შენ კი ეშმაკობით ძენ. განსხვავება ეს არის და სხვა არაფერი. — უთხრა კოტემ და მის ხმაში ალაგმული ბოლმა გაისმა.

— სცდები, ჩემო მეგობარო — მიუგო ანტონმა. — ფეოდალს გასათხოვარ ქალს კანონი აკუთვნებდა...

— რომელიც თვითონ ფეოდალებმა დასწერეს. — დაურთო კოტემ.

— ჩვენი კანონიც ჩვენვე დავწერეთ. მე ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე გახლავარ და იმ კანონით ვსარგებლობ, რომელიც ნებას მაძლევს მაშინვე გავეყარო ცოლს, როცა კი მოვისურვებ.

— მაშ ოქტომბრის კანონი აგრე გაიგე? მუქარით წამოიძახა კოტემ.

— მაშ როგორ უნდა გამეგო? რაკი კანონი უფლებას მანიჭებს, მისი გამოყენება დანაშაულად არ ჩაითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ კოტემ ისე ძლიერ დაჰკრა მუშტი სუფრას, რომ ბოთლი წაიქცა და ღვინო დაიღვარა. დაჰკრა, წამოვარდა და მიაძახა:

— სტყუი, კაზუისტო! არამზადავ! შენ საბჭოთა მოქალაქე კი არა, მგელი ყოფილხარ, მგელი! ოქტომბერი იმ კანონს მატყუარებისთვის და მგლებისთვის კი არა სწერდა, არამედ ჩვენთვის სწერდა და ჰგულისხმობდა, რომ დაწერილი კანონის გარდა ცოცხალი ადამიანი და მოვალეობის ადამიანური შეგნებაც არსებობდა. შენ და შენისთანა პირუტყვებმა კი იმ კანონს მგლის მყრალი კბილი ჩასჭიდეთ და გინდათ წაბილწოთ და ლაფში ამოსვაროთ იგი. შენ კანონის პირველი ნახევარი კარგად დაგხსომებია, მეორე ნახევარი კი, სადაც ქალების მოტყუებაზე სწერია, სულ დაგივიწყია. საბჭოთა კანონი თქვენ ამისათვის მოგთხოვთ პასუხს... მაგრათაც დაგსჯით... თქვენ საძაგელი გაიძვერა ხართ...

ანტონიც წამომდგარიყო, ნესვის ნაჭერივით გაფითრებულიყო, რომელიც იქვე სუფრაზე ეგდო, და შეშინებული ლუღლუღებდა:

— რა დაგემართა... რა გაყვირებს...

— ის დამემართა, რაც შენ დამმართე. დაჯექი! დაჯექი მეთქი! — საყელოში ხელი წაავლო, დაიქნია და სკამზე დააგდო, თვითონ კი თავთ დაადგა და ისე ჩასჭიდა კისერში ხელი, რომ ძარღვები დაუდუნა და გაუბერა.

— ძმაო კოტე... — ამოიკრუსუნა ზურაბის ნასიძარმა.

— რის ძმაო! ვინ კოტე! მე კოტე კი არა, ზურაბი მქვიან. ნუ ფართხალობ. სულ ერთია, ველარ წამიხვალ. ნურც გეშინიან... არ მოგკლავ, შენი გულისთვის თავს არ დავიღუპავ... მეკითხები, რა გაყვირებსო. მე შენი ავხორცობით დაღუპული ცხრა ქალწული მაყვირებს... ახლა მეათეს ჩასაფრებიხარ, მაგრამ იმის წამებას აღარ ეღირსები... მე ჩემი საბრალო დაიკო მალაპარაკებს. იმაზე მეტი ამ ქვეყნად არავინ მყავდა. მე და უბედურმა დედა-ჩემმა ხელზე ვზარდეთ ოც წელიწადს... ვინ იცის, რამდენი ღამე გაგვითენებია, ვინ დასთვლის იმ საბრალოს გაზრდაში რამდენი სიმწარე დაგვილევია. დედა-ჩემს კერვაში თვალები ჩაექცა. მე თან ვსწავლობდი და თანაც დღიურ მუშად ვმუშაობდი. ფეხები და ხელები ახლაც დამძრალი მაქვს. მუხლებში ქარი შემიდგა და მტანჯავს. ჩემს ელოს რომ არ შესცივნოდა, მე კარიკარ ნაფოტებს ვიპარავდი. ამისთვის ერთხელ ისე უღვთოდ მცემეს, რომ შინ ხელით წამიღეს; რომ არ მოშივებოდა, მე და დედა-ჩემი თვითონ ვრჩებოდით მშივრები; რომ შიშველი არ ყოფილიყო, ჩვენ თვითონ დავდიოდით შიშველ-ტიტველნი; უსწავლელი, რომ არ დარჩენილიყო, მოწყალების მიღებასაც კი ვკადრულობდით.

— ღმერთო, მიშველე! ზურაბ, მაპატიე...

— ღმერთმა გაპატიოს, რომელიც ახლალა გაგახსენდა, მე კი... მე მხოლოდ ადამიანი ვარ და ამიტომ მხოლოდ სიცოცხლეს გაპატიებ... აი რა ტანჯვა-წვალებით გაგვიზრდია ჩვენი ელო, ჩემი ერთა ელიკო... მე რომ მოსკოვს მივდიოდი, რას ვიფიქრებდი, რომ იმ დროს ავზნიანი აფთარი ჩემი საყვარელი დის გულს ჰბილწავდა და ჰგლეჯდა. ახლა ის უბედური შენი მეოხებით ლოგინად ჩავარდა და ვინ იცის, გადარჩება თუ შენს ავხორციანობას გადაჰყვება. და თუ გადარჩება, სულ ერთია, სიკვდილამდე სნეული სული შერჩება. დანარჩენი შენი რვა ნაცოლარიც ალბათ ასეთივე დღეში იქნება. ახლა შენ მეათეს იმზადებ. ტყუილი იმედი გაქვს მეთქი! მაგას ველარ ეღირსები. ხმა არ ამოიღო, არ დაიყვირო, თორემ ამ ბებუთს ხომ ხედავ.

და ანტონის თვალებში ვიწროომ, გრძელმა და კამკამა ბებუთმა გაიელვა.

— ღმერთო, მიშველე! მითხარი, ზურაბ, რას მიპირებ?

— აკი გითხარი, არ მოგკლავ მეთქი. მაგრამ ამიერიდან ქალწულებს სამუდამოდ დაგავიწყებ... აღარავინ შეგიყვარებს და მაჯლაჯუნაც კი ზიზღით მოგარიდებს თვალს.

უცებ მარცხენა ხელი ყელზე მოჰხვია, თავი უკან გადაუწია, იმავე წამს მარჯვენა ხელით ჩანგალი ჩაჰკრა ზემო ტუჩში და მარჯვნივ და მარცხნივ გადასწია.

— მიშველეთ! მომკლა! — დაიბღავლა ანტონმა და გარეთ გავარდა.

ზურაბი დინჯად გამოჰყვა. კარებში შესდგა და ჩანგალს დაჰხედა, რომელიც ხელში შერჩენოდა. ჩანგალზე ანტონის ტუჩი იყო ჩამოცმული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო მაჭავარიანი

ჩელუსკინელების ხიდი

მტკვარი ანთია ვარკვლავებით შემოჩითული
ვერის ბაღია პატარძლად რომ დიდუბეს უზის,
ფიქრის გორას სურს შეიცვალოს მალე ტიტული
ჩელუსკინელთა ხიდის პირველ ქარავნებს უცდის.
სამგორზე დაჯდა ყვავივით ღამე ყორნისა,
თუმც გაცრეცილი, თუმც სავსებით გამოფიტული,
ფარშავანგის ფრთა შეარხია პირველ ყოვლისა,
მტკვარი ცეცხლია გრიგალივით ამოზიდული.
ბადე ისროლა, შრიალია თეთრი წვერისა,
დაიკაპიწა და ხელები შეჰყო ჯილეში,
ზურგზე კუზივით წამოზრდია ავი წლებისა,
მებადურს დარდი რაც უნახავს სიყმაწვილეში.
მთის კალმახები თითქოს ბროლში მოჩახჩახობენ
ჩელუსკინელთა ხიდს ზეიმით როცა ხვდებიან,
მხიარულობენ, ამაყობენ, გულით ხარობენ
ტფილისზე ნოხად დაფენილი ხავერდებია.
რკინა-ფოლადი დულაბშია დადულებული,
ქალაქი თითქოს გადაზრდია ფოლადის წვიმებს,
გოლიათივით მძლავრ მუხლებზე დაყუდებული
ახალი ხიდი ყველა უბნებს შეჯიბრში იწვევს.
ტრამვაის ვაგონს გააქროლებს მალე გულია,
ფედერაციის მოედანის კოცნას აპირობს,
ქარხნის გუგუნი სიმღერებში გადმოულია
მწვანე ქათიბად რომ ჩაუცვამს მტკვრის სანაპიროს.
როგორ მძლავრია ამ ეპოქის ადამიანი,
რკინის კარებში მდინარენი როგორ დაჰკეტა
დროშა მაღალი გაიშალა ალზე მზიანი,
ძველი ქვეყანა ახალ წესზე გადააკეთა.
ახალი ხიდი, ახალ ქალაქს წამოსწევია
მდინარე თითქოს პირმშოს არწევს ოქროს აკვანში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეს ოქროს შუქი წამწამიდან გამოქცევია
განახლებულ გზებს მოციმციმე ჩაუდგა კვალში
ჩელუსკინელთა თავდადება გულს აწერია
ახალ ეპოქას აძლიერებს ამაგი დიდი,
მათ გმირობაზე ქვანი, კლდენი, მთანიც მღერიან
მათ გამარჯვებებს შეემტკიცა ტფილისის ხიდი.
რკინის არწივებს შემოუკრავს ქალაქზე რკალი
ფოლადის ფრთებმა შეარხია ცისა კამარა,
ღრუბლებს სწვდებიან სიმაღლემდე ქარხნების კვამლი
ტფილისის ქუჩები ასფალტების თქეშმა დაჰფარა.
ყვავილებია ყელშეხსნილი სურნელოვანი
მტკვრის სანაპირო უტურფესი ხეივნებია,
ორდენს ატარებს საქართველო სახელოვანი,
ტფილისის კალთები ყვავილებში იმალებიან.
მტკვარი ცეცხლია გრიგალივით ამოზიდული
ჩელუსკნელთა ხიდს რომ ძუძუთ მკერდში ჩადგმია,
დაეცა ღამე, გაცრეცილი, გამოფიტული
ოქროს შუქია, მზე ფარეშად თავს რომ ადგია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბოგოხიძე

სანატორიუმში

ყვავილთა კონას ნისლში გახვეულს,
ვით ტრფობის აჩრდილს ვეალერსები,
„ქარები“ გლეჯენ გაყინულ სხეულს
შენ კი, ჩემს ტანჯვებს ველარ ესწრები.

მჯერა გავაქრობ ავქარებს წყეულს
მდორე აუზის თბილი დინებით
და გავიშლები ვარდივით წრეულს
სიკვდილით ალარ გავიყინები.

თუმც შენზე ფიქრი დამტანჯავს დიდათ,
მაინც ოცნება მინდა შევცვალო,
რომ ცისფერ იას, სურნელით მდიდარს,
შენ გიგზავნიდე, ჩემო მერცხალო.

გარბენილ დღეებს ლოდინით ვითვლი,
მსურს მოგონების ცეცხლით ვეწვალო,
შენ საცოდავად დაიწყებ ქვითინს,
რომ ტრფობის ბალი ცრემლით შეცვარო.

სანატორიუმს ალვიძებს ხევი
და ჩუმ ტკივილით გულში მეც ვხარობ,
როცა გიგონებ ყვავილს ვეხვევი
შენ, სიყმაწვილის ჩემო მერცხალო.

აგიტანია ცხოვრების ყინვა
და იზრდებოდი, როგორც მთის ცვარი
შენი ცქრიალა თვალების ბრწყინვა
იყო დამტევი ცხარე კურცხალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჭირიმე შენი“ — სიტყვა ფარული
არის ანკარა, როგორც მთის წყალი
მზის სიყვარულით და სიხარულით
გაბრწყინვებული დილა ცინცხალი.

თუმც ავადმყოფი ტკივილით ვწუხვაო
მხურვალე გულით გეალერსები,
რომ იმედებით გათბობდეს უხვად
სიცოცხლით სავსე ბრძოლის ლექსები.

„ქარები“ გლეჯენ მოქანცულ სხეულს,
მაინც გაზაფხულს მე აქ ვესწრები
და ლამაზ ყვავილს ნამით დარხეულს
ისევ შენს ნაცვლად ვეალერსები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ტატიშვილი

დ ე ბ ი

რ ო მ ა ნ ი *)

15

საქმროს წერილის შემდეგ მარგოს შინ დაბრუნება უფრო მეტად მოესურვა. ხომ უნდა გაიგოს რა მოუვიდა მელიტონს ან რა დღეშია ეხლა თითონ, მაგრამ ნინო არ უშვებდა.

ნინო გრძნობდა, მარგო უშლიდა ხელს ქმართან შერიგებაში, ილოს შინ დაბრუნებას. ეს შერიგება ბოლოს მაინც უნდა მომხდარიყო, ნინო ამას ვერ ასცდებოდა, მაგრამ მაინც ეშინოდა.

ნინო კალთაზე დაეკიდა დას და წასვლის ნებას არ აძლევდა.

ღამე იყო. ლოგინში მწოლარე მარგოს არ ეძინა და თავის საფიქრელს ატრიალებდა თავში. უხმოდ ოხრავდა.

რა ჰქნას ეხლა. როდემდის იყოს ძებნაში? ოცდა ხუთმა წელმა გადაუარა თავზე. ამ ხანში ერთი ძლივს იპოვნა და ისიც დაეწვა.

მარგო სატირლად იყო გამზადებული, თვალებში წყალი ედგა. ცოტაც რომ დასცლოდა ღვარად წამოვიდოდა.

უცბად ყურები სცქვიტა და ტირილი დაავიწყდა.

ნინოს ოთახის გარეთა კარში გასაღებმა დაიჩხაკუნა და შემდეგ კარმაც დაიჭრიალა.

ნინოს საწოლში ფეხის ფრთხილი ხმა გაისმა და იატაკის ფიცარის ჩუმი, ქურდული ჭრიალი.

მარგო მიხვდა. რაც მოხდა: ილო მოვიდა შინ.

ამ ქურდულ ხმაურობაზე ნინომ თვალები გაახილა, დაინახა ქმარი და გაინაბა, ლოგინში გაიყინა.

თითქოს შემთხვევით, თითქოს იმისათვის, რომ უსიამოვნო რამისათვის თვალი აერიდებინა, ნინომ კედლის საათს შეხედა. ღამის ორი საათი იყო.

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6.

დიდი, დარბაისლობით სავსე, მრგვალი საათი კედელს ტკიპავით უძრავად მიჰკროდა და ცალი თვალივით იცქირებოდა, თავის მენის ბრწყინვალებით გულცივი და საღამური ლამფის მკრთალი შუქისგან საოდუმლოებით სავსე. ეს საათი იყო მოწმე იმ საშინელი ღამისა. მან ორჯერ ჩამოჰკრა, თითქოს გაჯავრებულს გაახსენდა, რომ იმ ღამეს მისი ზარის ბოხი ხმა გრგვინვამ დაჰფარა. საათის რეკვის ტალღამ ნინოს სხეულში დაუარა და გააჟრჟოლა; მოაგონდა ნინოს, რომ ამ ოთახში ამ ორიოდე თვის წინად თოფის ხმას საათის ზარის ხმაც შეუერთდა.

ღამის ორი საათი ჩვეულებრივი ჟამი იყო ილოს შინ მოსვლისა.

საათის ხმა თავზარად დაეცა ნინოს. ამით დაიწყო შერიგება, რომელიც აშინებდა და რომელსაც მაინც ელოდა სურვილითაც და უსურვილოდაც.

ეს თავზარი იმ თავზარს არა ჰგავდა, რომელიც თოფის ხმამ დასცა ნინოს. მაშინ ნინოს სიკვდილის შიში არა ჰქონდა. თუმცა იგრძნო სიცოცხლის ხიფათი, მაგრამ სიკვდილის პირისპირ მოქმედება შესძლო. თოფს ვაჟკაცურად სტაცა ხელი და ტყვია აიცდინა. ეხლანდელი თავზარი სულ სხვა იყო: ამან სრულიად მოშალა სხეულში, გონებაც დააკარგვინა და მოქმედების უნარიც.

ქმარს, იმისათვის ეხლა სრულიად უცხოს და საძულველ ადამიანს, შეეძლო ისე მოჰქცეოდა ნინოს, როგორც მოისურვებდა და ნინო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

ილოს ეხლაც რომ დაემიზნებინა თოფი, ნინო ისევ მოიკრეფდა ძალას, ისევ ისევ აუკრავდა თოფს ხელს, მაგრამ ილო თუ მიუალერსებდა, ნინო თითსაც ვერ გაანძრევდა. ამიტომ ისე გამოდიოდა, რომ ქმრისაგან ყველაფერი უნდა მიეღო და ყველაფერი უნდა ეკისრნა: ალერსიც და თოფის სროლაც.

თვალები დახუჭა და ილოს მოძრაობას მხოლოდ ალღოთი აკვირდებოდა. ქმრის ყოველივე მოძრაობა დიდიხნის ნაცნობი იყო ნინოსთვის.

— მადლობა ღმერთს, მოვიდა, დაბრუნდა. — გაიფიქრა მარგომ: — მაინც ფრთხილად უნდა ვიყო. არაფერი დაჰკრას. — ჩუმად წამოდგა ლოგინიდან, ფეხშველა ფეხით მიიპარა დის ოთახის კარებთან და ყური მიუგდო.

— არა, ხელს აღარ ახლებს. — ეუბნებოდა თავის თავს მარგო. — ის ერთხელ მოუხდა, ეხლა კი შესარიგებლად მოვიდა. — მოშორდა კარებს. შერცხვა კიდეც ასე ქურდულად რომ უსმენდა ცოლ-ქმარს და ლოგინში ჩაწვა.

— შესარიგებლად მოვიდა. — დაარწმუნა მარგომ თავისი თავი და საბანი წაიხურა. — აქამდისაც მოვიდოდა, ჩემი რიდი რომ არა ჰქონოდა. მობეზრდა ლოდინი და მოვიდა. მისი გონება იმან მიიპყრო, რაც დის ოთახში ხდებოდა. თუმც დარწმუნდა, ილო ცოლს აღარას დაუშავებსო,

მაინც მშვიდად ვერ იყო. ცნობისმოყვარეობამაც გაიღვიძა, სურდა გაეგო, თუ რა მოხდებოდა კარს იქით: რას ეტყოდა ქმარი ცოლს, რა პასუხს მიიღებდა. განა არ იცოდა, დილაზე და ყველაფერს უამბობდა, მაგრამ სულ სხვაა საკუთარი ყურით გაგონილი: როცა ადამიანი თვითონ არის საქმის მოწმე, ყველაფერი უკეთ იცის.

მარგოს ეგონა საყვედურის და პატიების სიტყვებს და ტირილს გავიგონებო, ან შელაპარაკდებიან ცოლი და ქმარი და შერიგების დასაწყისი ახალი ბუტიობით, ახალი წყენინებით დაიწყებაო. მაგრამ დის საწოლში სიჩუმისა და ილოს ფეხის ხმის მეტი არაფერი ისმოდა. — ბალიშზე იდაყვ დაყრდნობილი, სულგანაბული, სმენად გადაიქცა.

ნინოც განაბული, თვალებდახუჭული, გაუნძრევლად იწვა და ქმრის მოძრაობას აკვირდებოდა.

ილო საწოლთან მივიდა.

— ნუ თუ? — შეჰზარა ნინოს.

ქმარი დააცქერდა. ნინომ კი გაიფიქრა:

— ისე, როგორც ეხლა მე ვწევარ, მხოლოდ მკვდრები წვანანო.

რაკი მიხვდა ნინოს არა სძინავსო, ქმარმა საბანი გადახადა.

საღამური პატარა ლამფის შუქით განათებულ თეთრ ბალიშზე ილომ დაინახა დიდიხნის ნაცნობი თეთრი მკერდი, დამრგვალებული მხრები და გრძელი მოყვანილი კისერი. შავი თმა, აქა-იქ ვერცხლის ძაფები შერეული, ბინდ-ბუნდში უფრო შავად მოსჩანდა; ნაცნობი და ლამაზი სახე გაფითრებული იყო. ეს სიფითრე მრავალჯერ ნაკოცნი სახისა, ილომ არად მიიჩნია. პერანგის პირი გადუწია და მკერდი გაუღელა. ქალის სხეული ბუნდოვანი სჩანდა, რძეში ამოვლებულ ჭიქის ფერი.

მამაკაცი დაიხარა და დედაკაცის მკერდს ტუჩებით დასწვდა. ნინოს ღვინისა და ბენზინის სუნი ეცა.

კოცნა ძლიერი გამოვიდა, ნდომიანი. ნაკოცნი ალაგი ნინოს ეტკინა. ქალმა გულიანად ამოისუნთქა. ეს იყო მთელს არსებაში ჩახშული, შეკავებული კვნესა. კოცნამ შეურაცხყო: თითქოს დააფურთხეს იქ, სადაც ქმრის ტუჩები შეეხო. გახურებულ შანთივით მოხვდა ეს ტუჩები და კანი დაუწვა. სახალხოდ რომ გაეშიშვლებინათ ნინო იმდენს ტანჯვას ვერ იგრძნობდა, რამდენსაც ეხლა განიცდიდა.

აი, ეხლავ, ამავ წუთს წამოხტება ლოგინიდან და ისე როგორც არის, პერანგის ამარა გაექცევა ქმრის ალერსსა და სიყვარულს, ფანჯარაში გაძვრება, გაფრინდება, მაგრამ გზა არსაით იყო და ქმრის ალერსი უხმოდ მიიღო უკვნესელად, უსიხარულოდ. მხოლოდ გაიფიქრა:

— სულ ერთია!

ქმარი თავდაუჭერლად და თანაც მოწიწებით ეალერსებოდა, თითქოს ეშინოდა ხელი არა მკრასო და როცა ყველაფერი გაათავა, გადაწვა ლოგინზე და ერთბაშად ჩაეძინა.

ნინო წამოდგა, საწოლს მოშორდა და სკამზე ჩამოჯდა.

ნაწყენი იყო. თავისი შინაგანი განცდაც და ხორციც შეგინებული ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწოლიდან ხვრინვა ისმოდა და ღვინის სუნიც მოდიოდა.

— ნეტავ ღვინის სმას მაინც დაანებებდეს თავს. — ფიქრობდა ნინო. ეს სუნი ილოს წინადაც მოუტანია, მაგრამ ასეთი ძლიერი არასოდეს ყოფილა.

იმისათვის, რომ ყველაფერი, რაც ეხლა განიცადა, დავიწყებას მისცემოდა, ნინოსათვის საჭირო იყო ადამიანი, რომელიც გაართობდა, რომელსაც გულსნადებს ეტყოდა.

ნელა შეაღო დის ოთახის კარები და ფრთხილად შევიდა.

მარგომ თავი მოიმძინარა. ნინო კი მიხვდა, რომ მარგოს ყველაფერი უკვე გაგებული ჰქონდა, მიდიოდა იმ სურვილით, რომ დისთვის გაეზიარებინა განცდილი, მაგრამ რაკი მიხვდა, მარგომ უკვე ყველაფერი იცისო, სათქმელი დაელია. დაინანა კიდეც, რათ მოვედი აქაო.

— არა გძინავს? — დასძახა ნინომ და ლოგინზე ჩამოჯდა.

— რა იყო? — გაახილა თვალები მარგომ.

ნინომ აღარ იცოდა რა ეთქვა. აქეთ რომ მოდიოდა ეგონა გადმოვანთხევ ნაღველს, სიტყვების ნიაღვრად დავიღვრებიო. მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. შეიგნო — სიტყვები და თქმა ვერაფერს უშველიდა, ყველაფერი გათავებული იყო.

— რა იყო? — ხელმეორედ შეეკითხა მარგო.

— არაფერი.

— მოვიდა? — ჩააცქერდა მარგო და ამ კითხვით გასცა თავის თავი, ამით უკვე სთქვა — ყველაფერი ვიციო.

ნინოს სახე მშვიდი ჰქონდა, ცოტა დარცხვენილი.

— ჰო! — ეს არც თუ სიტყვა იყო, არც თუ ოხვრა.

მარგომ ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი. რაღაცას ეუბნებოდა დას. ალბათ ულოცავდა შერიგებას, კარგია რასაც კარგი ბოლო აქვსო.

ნინო კი თავის თითებს დასცქეროდა, დის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, რაც გინდა ისა სთქვი, ეხლა ყველაფერი გათავებულიაო. რაც აია სურდა ნინოს და რაც მაინც სასურველად მიაჩნდა, ის მოხდა.

— ეხლა შეგიძლია წახვიდე, შენს საქმეს მიხედო. — უპასუხა ნინომ, თითქოს ეუბნებოდა, აქამდე გტოვებდი, რადგანაც მხსნელი მეგონე, ვერ მიხსენ და აწ წადიო.

მეორე ოთახში საათმა ოთხჯერ დინჯად დააწკარუნა. ამას ილოს ძახილი მოჰყვა:

— ნინა, საღა ხარ?

ნინო შეკრთა. წავიდეს ამ ძახილზე თუ არა? რათ წავიდეს? როგორ წავიდეს? რატომ არ წავიდეს? ეხლა ხომ გათავდა ყველაფერი და... საწოლ ოთახში შევიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგოს ოთახის სუფთა ჰაერის შემდეგ ნინომ თავის ოთახში ხასვამი კაცის სუნი უფრო მძლავრად იგრძნო. ჰაერის გასაწმენდად ფანჯარა გააღო. თავისუფალი ჰაერი ესიამოვნა და ფანჯარაში გადაეყუდა. მკერდი ღამის სიგრილეს მიუშვირა.

მთვარიანმა ღამემ, მშვიდმა ბუნებამ, სიცოცხლის სიტკბოება დაანანებინეს.

16

მარგო ეხლა უკვე ხმელსაჯდომიანი ვაგონით ბრუნდებოდა შინ.

ამ ორიოდ თვეში ნახული, გაგონილი და განცდილი ძლიერი იყო, მაგრამ ყველაფერი იმ ამბავმა დაჰფარა, რომელიც მელიტონის წერილმა მოუტანა.

ცეცხლმა, რომელიც სირაძის ქარხანას წაეკიდა, მარგო უფრო დასწვა, ვიდრე თვით ქარხანა და მისი პატრონი. ქალისთვის ყველაფერი დაემხო და დამთავრებული საქმე ხელახლად გაუხადა გასაკეთებელი.

— რა ვქნა ეხლა, როგორ მოვიქცე. მაგრამ ჩემი ბედი იყო ნინოსთან რომ წავედი. ეს რომ არ მომხდარიყო, ეხლა უკვე დამწვარ-დაღუპულის ცოლი ვიქნებოდი. — მაგრამ ეს მაინც ნუგეში არ იყო. — შერჩეს სირაძეს, თუ განშორდეს. როგორ მოახერხოს ეს ან ვის მიეკედლოს.

გამომგზავრების წინა დღეს საქმროსათვის წერილი დასწერა, წინა დღის რიცხვი დააწერა და ნინოს სთხოვა, ორი დღის შემდეგ გადაეცა ფოსტისათვის. ეს პატარა ხერხი მარგომ განგებ იხმარა: მელიტონს წერილი გვიან მიუვიდოდა, მანამდის კი მარგო უკვე შინ იქნებოდა და ყველაფერს დაწვრილებით გაიგებდა — რა მოუვიდა სირაძეს, დარჩა რამე ქონება თუ არა. წერილის დაგვიანება კი ფოსტას დაჰბრალდებოდა.

ბნელდებოდა, როცა მატარებელი სადგურზე გაჩერდა და მარგო ვაგონიდან ჩამოვიდა. არავინ დაუხვდა. რაღაც მარტოობა იგრძნო და სევდა შემოაწვა. ქვეყნად თავი ობოლი ეჩვენა, უმეგობრო, უტოლო. ჰყვანდნენ დედა, დები, ყველანი შორეულნი იყვნენ, ყველას თავისი საგონებელი და საზრუნავი ჰქონდა.

ამ ორიოდ თვის წინად კი, ამ, სადგურზე საქმრო სიხარულით შესცქეროდა და თითონაც იმედიანი იდგა აქ, თაიგულით ხელში. ეხლა ის თაიგული დაჭკნა... და ისე ეგონა მარგოს, თითქოს ხალხით გაჭედილი ეს სადგური და მასთან ერთად მთელი ქვეყანაც ცარიელია და ამ სიცარიელეში მარტო მე დავბორიალობ.

სადგურის კარებში გაჭედილ ხალხს შეერია, მელიტონის ნაჩუქარი თავისი ხელჩამადანი ძალით გაათრია და ქუჩაში გავიდა.

ქუჩა უკვე განათებული იყო. ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ ქუჩებიც, სახლებიც და ელექტრონის შუქიც და მთლად ქალაქის ფერიც, როგორლაც ეუცხოვა, თითქოს უშუალოდ კი არა ხედავდა ყველაფერს, არამედ ერთ დიდ სარკეში.

ტრამვაის ვაგონში რომ ჩაჯდა, გულმა ძგერა დაუწყო, თითქოს უახლოვდებოდა თავის სიცოცხლის საფრთხეს. აი, საცაა მივა შინ და ყველაფერს გაიგებს, ყველაფერი ერთბაშად გადასწყდება.

სწრაფად გადმოვიდა ვაგონიდან, ისე, რომ ამაზე არც კი უფიქრნია. ფიქრი წინ უსწრებდა ფეხებს.

სახლის კარს მიაწვა, დაკეტილი დაუხვდა და როცა ეს იგრძნო, მაშინ შეამჩნია, რომ ფანჯრებიც ჩაბნელებული იყო.

— დედა შინ არ არის.

მონახა გასაღები, იქ, სადაც ჩვეულებრივ მალავდნენ ხოლმე, მაგრამ არც გასაღები იყო.

— არ მელოდა. — გაიფიქრა მარგომ. — სად წავიდოდა. თიკოსთან, თუ ტასოსთან. მოხუცი, რასაკვირველია შინ მარტო არ გაჩერდებოდა. ვინ იცის ამ ორ თვეს სახლში არც კი ყოფილა.

დედას თიკო უფრო უყვარს. სულ უმცროსი შვილი. — ამას აბრალებდნენ შვილები მოხუცს. მარგო ისევ ქუჩაში გავიდა.

— უკეთესია. იქ სადაც ორნი არიან, მესამე უფრო მეტს ამბავს გაიგებს.

ქალაქი ხმაურობდა, თუმცა ღამე იყო, მაგრამ ქალაქს მაინც საქმიანობა ეტყობოდა. ანათებდა გაკაშკაშებული თეატრები, კლუბები, თავს დასტრიალებდა დღისით ნამუშევარი ხალხის მხიარული მოძრაობა. მარგო კი ვერაფერსა გრძნობდა; მას მხოლოდ თავისი ფიქრები ჰმატებდა ძალას სიჩქარეში.

შეალო თუ არა მარგომ თიკოს ბინის კარი, მაშინვე რაღაც ცვლილება იგრძნო, როგორც წელან, სადგურიდან გამოსვლისას, ისე ეხლა, დის ოთახი ეუცხოვა, მაგრამ მისი ყურადღება იმან მიიქცია, რომ მეორე დაც აქ იყო — ტასო. ტახტზე მჯდომმა დედამ წამოიწია, მაგრამ მოხუცებული წელი არ დაემორჩილა და შვილს მხოლოდ ტუჩები გაუწოდა.

ქოთქოთში, რომელიც მარგოს მოულოდნელ მოსვლამ ჩამოაგდო, დედის კრიალოსნის შეწყვეტილ ტკაცუნში, მის შემკითხავ თვალებში, იმ უხერხულობაში, რომელიც შეწყვეტილ ლაპარაკს მოყვა, მარგო მიხვდა, რომ რაღაც საუბარს მოუსწრო, ამიტომ იკითხა:

— რა ამბავში ხართო.

თიკომ მხრების აწევით უპასუხა. დედამ ტუჩები მოპრუწა თიკოს შეხედა და ნინოს ამბავი იკითხა, მაგრამ ეს ამბავი წერილებით უკვე იცოდნენ და საინტერესო აღარაფერი იყო. ამიტომ მხოლოდ წვრილმანი უამბო, რაც კი ხელდახელ მოაგონდა.

უცბად, შუა ლაპარაკში, მარგომ სიტყვა შესწყვიტა, ოთახს თვალი შეავლო და იმ ცვლილებას დააკვირდა, რომელიც აქ შემოსვლისას იგრძნო და რომელსაც მაშინ ყურადღება არ ძიაქცია.

ორი საწოლის მაგიერ ერთიღა იდგა. დედის ნაჩუქარ ხალიჩას ადგილი ჰქონდა შეცვლილი. კუთხეში, ფარდის უკან ბავშვის საწოლი მოსჩანდა.

მარგოს მხოლოდ ეხლა მოაგონდა დისწული. დახედა მძინარეს და აკოცა. თიკომ მარგოს შეატყო გაკვირვება, ტუჩებში გაიღიმა და უფროს დას შეხედა. დის ეს ქცევა მარგოს არ გამოეპარა. გაკვირვებით გადახედა დებს და დედას, ხელები გაშალა...

— ეს რა ამბავია. პავლე სად არის. — და ეს მოხდა სწორედ მაშინ, როცა სირაძის ამბავი უნდოდა ეკითხნა.

თიკომ მხრები აიჩეჩა.

— რა მოგვიდათ. — მარგოს ნინოს ამბავი გაახსენდა და რაღაცაში დაეჭვდა.

— არაფერი. მერე გაიგებ. — სთქვა თიკომ.

— რაღა მერე. რა არის საამბობი.

დედამ მუხლებში ჩაირტყა ხელები.

— ნინოს საქმეს რა უჭირს. შენ მაგისი სთქვი. — დედამ თიკოსკენ გაიშვირა ხელი.

— რა იყო ადამიანო. — შეუტია თიკომ: — რა მოხდა ისეთი.

დედამ წყევლა დაიწყო.

— რა მოხდა, ხალხო, არ იტყვით. — მარგომ შემკრთალ ცხენივით სცქვიტა ყურები, მთლად სმენად გადაიქცა და რაკი თიკოსა და დედისაგან პასუხი ვერ მიიღო, ტასოს შეხედა. ტასომ გაიღიმა:

— თითონ გითხრას.

— რა მოხდა და ის მოხდა, რაც მარტო ჩემი საქმეა. — სთქვა თიკომ.

— მარტო შენი საქმეა და მე უნდა ვივალალო. — წაილაპარაკა დედამ

— სთქვით, ხალხო, რა მოხდა.— შესძახა მარგომ.

— ის მოხდა, რომ იმისთანა პატიოსან კაცს თავი დაანება. ქმარს გაეყარა.

დედის სიტყვებზე მარგომ პირი გააღო და თიკოს დაუწყო ცქერა. მხოლოდ სულელი იზამდა ამისთანა საქმეს. პავლე ლამაზი კაცი იყო, განათლებული, ცოლის მოყვარული. კარგი მშრომელი. ამაში ეჭვი არავისა ჰქონდა. მაშ რად გაშორდა ქმარს. აკი სიყვარულით შეუღლდნენ.

— რათ?

— ეგრე იყო საჭირო. — აჩქარებით სთქვა თიკომ, რა არის, დედას არ დაესწრო და წუწუნი და წყევლა არ დაეწყო.

— როდის მოგიხდათ ეს ამბავი.

— დღეს გავიგე. აქამდის არას ამბობდა. თურმე ორი თვეც არის.

ეხლა მიხვდა მარგო რად იყვნენ აქ ტასო და დედა.

— მერე და, რაღას მალავდი. — ჰკითხა თიკოს.

— არა ვმალავდი. სალაპარაკო არა იყო რა. — უპასუხა დამ. ფარული სთქვა თიკომ, არა მალავდა, მაგრამ ვერც მოეხერხებინა დედისათვის და დისთვის ეთქვა ის, რაც გადახდა. ყველაფერი ის, რამაც ცოლ-ქმრის გაყრა გამოიწვია, თავიდანვე დამალული ჰქონდა, არავინ იცოდა, რა ხდებოდა მის ოჯახში და ეხლა ცარიელი შედეგი რომ ეამბნა, არ იცოდა მიუხვდებოდნენ თუ ვერა.

— გაანებეთ თავი, რას ჩამოაცივდით მაგ გოგოს. — სთქვა ტასომ. — დღეს მთელი დღეა ველაპარაკებით, მაგრამ რაღა სალაპარაკოა. საქმე უკვე გათავებულია.

— ბევრიც რომ ილაპარაკოთ პავლეს ხომ ვეღარ დავუბრუნდები. — დაუმატა დის სიტყვებს თიკომ.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც კრიალოსანის ტკაცუნმა დაარღვია.

თუმცა ძალიან გააკვირვა მარგო დის ამბავმა, მაგრამ თავისი საკუთარი ფიქრი მაინც არ დავიწყებია.

— რა მოუვიდა მელიტონს. — იკითხა მან.

— დაიწვა. — უპასუხა დედამ.

დედამ და დებმა მარგოს უამბეს სირაძის ამბავი, ყველაფერი რაც იცოდნენ, მაგრამ ის კი ვერ უთხრეს, რაც მთავარი იყო მარგოსათვის.

17

ძილის დრო მოვიდა. მარგო და ტასო შინ წავიდნენ.

ბნელ და უკვე მიყრუებულ ქუჩებში დების აჩქარებულ ფეხის ხმას მათივე ლაპარაკის ხმა უერთდებოდა.

სალაპარაკო ბევრი რამ ჰქონდათ. ამ ორიოდ თვეში მრავალი რამ დააგროვეთ თავს. ქალების ენა ერთ საგანზე ვერ ჩერდებოდა. ასოციაციას ასოციაციას მისდევდა და ლაპარაკიც მას მიჰყვებოდა.

— თიკოს საქციელს ვერ მივმხვდარვარ. — სთქვა მარგომ.

— შეაჩვენოს ღმერთმა. მეც ვერა გამიგია რა! — უპასუხა ტასომ.

— რითი უნდა ირჩინოს თავი?

— ეგ ეხლა ძნელი არ არის. სამუშაო ყველასათვის ბევრია. ქარხანაში შევიდა. — უპასუხა ტასომ.

— განა რას იშოვნის იმდენს, ცხოვრება შესძლოს?

— თიკო აგრე არ ანგარიშობს. იქნებ სწორიც იყოს მისი საქციელი. — ცოტა სინანულის კილოთი სთქვა ტასომ, რადგან თავისი ამბავი გაახსენდა.

— ბავშვს რაღას უპირებს?

— ჯერ დედა უვლის, მაგრამ თიკო ამბობს, ბაგაში მოვათავსებო. ახლა რას აპირებთ შენ და შენი სირაძე. — უეცრად შესცვალა ლაპარაკის საგანი ტასომ, თითქო თავის სხვა რაღაც დაფარულ აზრისათვის.

— რა ვიცი, რა ამბავია იმ ცეცხლის შემდეგ?

— აბა, რა გითხრა. დიდ ამბებში კი არის მელიტონი: სასამართლოებში საქმე ბევრი აქვსო, ამბობს გიორგი. — თავისი ქმრისა სთქვა ტასომ. — ქარხანა ალარა აქვს. თანაც დაქეიფობს კიდეც. რომ იცოდე რამდენი საჩუქარი მოგიტანა, რაც შენ აქ არა ხარ.

მარგოს გულმა შეითამაშა.

— დედამ კამოდის უჯრები სულ დაამსო. — განაგრძო ტასომ. — აი, მიხვალ სახლში და ნახავ.

— საიდან, თუ კი ალარაფერი აქვს!

— არ ვიცი. თითონ ამბობს, ბარგი მთლად ვალებში გამიყიდესო. სახლიც გაეყიდა. მაგრამ მოხერხებული კაცია, კიდევ ექნება რამე. რალაცა მაინც დარჩებოდა.

— რამდენი უნდა დარჩენოდა. ის მეშინია, სილატაკეში არ ჩავვარდე.

— გაიგე, გამოიკითხე, შეიტყვე, ქალო. განა ვერ გაიგებ, აქვს რაიმე თუ არა. გიორგი ყველაფერს მოახერხებს. მაგრამ გიორგის სირაძე არ მოსწონს შენთვის, შესაფერი არ არისო. მაინც მართალს გაგვიგებს.

— მერე და, გალატაკებული რომ იყოს.

— მაშინ სხვა ვიფიქროთ. გიორგისა და მე შენთვის ერთი კარგი კაცი გვყავს დაგულებული.

— ვინ არის.

— ვინც არის. დრო იქნება გაგაცნობ. ინჟენერია.

გზაჯვარედინზე დები გაიყარნენ.

მარგოს, ნამგზავრს, დღეს ბევრის გამგონს და მნახველს, გონება დაღლილი ჰქონდა. ძილს ეჩქარებოდა, მაგრამ შინ მივიდა თუ არა, მისი ყურადღება კამოდმა მიიზიდა. უჯრებიდან ბევრი რამ გადმოცვივდა. იმას რაც მარგომ წასვლისას დასტოვა ამ უჯრებში, ბევრი დამატებოდა: შალეული, აბრეშუმეული, ხავერდი, მზა საცვლები, სამკაულები.

მარგო ყველაფერს ამას ხარბად დააცხრა. იზმანებდა, სინჯავდა, სარკის წინ ტრიალობდა, ხარობდა. ზოგიერთმა ნივთმა აღტაცებაში მოიყვანა, ზოგიც არ მოეწონა, მაგრამ ყველაფერი ერთად კი სასიხარულო იყო.

მთელი დღის განცდით — სიხარულით და დარდით დაქანცულმა ლოგინს მიაშურა. თავი ბალიშზე რომ დადო, თიკოს საქციელმა ხელახლად გააკვირვა. მერე ნინო, მისი ოჯახი და კახელაშვილები გაახსენდა. ერთბაშად გაანათა გონება სიტყვამ „ინჟენერი“ და შემდეგ ალარაფერი იყო.

მარგოს მაგრად დაეძინა.

18

სირაძემ ხარბად და მაგრად ჩაჰკოცნა მარგო. ხანძრის შემდეგ საქმეებში გართულ მელიტონს აღარაფრისთვის აღარ ეცალა. [illegible] თავი მიუშვა ჩაჩქმალულ გრძნობებს, დაურიდებლად იქცეოდა.

მელიტონი თან ჰკოცნიდა, თან საყვედურს ეუბნებოდა. ემდურებოდა დაგვიანებისათვის. სწყინდა, თავის საცოლეს სადგურში რომ ვერ დაუხვდა, სწყინდა, რომ მარგო უკვე ორი დღის ამოსული იყო და ნახვით კი მხოლოდ დღეს ნახა.

— ხომ ნახე, რაც საჩუქრები დაგიმზადე! — თვალებში ჩააცქერდა მარგოს, სურდა იქ დაენახნა დიდი მადლობა და სიხარული. — მოგწონს?

— არა უშავს რა, ყველაფერი გამოდგება.

სირაძეს ესეც ეწყინა. მისი სურვილი იყო, საჩუქრებით მოეგო დანიშნულის გული. მარგოს სიტყვები კი ცივი გამოდგა. არაფერი ეტყობოდა, არც გახარება, არც მადლობა.

— თუ რამ არ მოგწონს, გამოვსცვალოთ, ახალი ვიყიდოთ. დღესვე მივცეთ მკერვალს შესაკერად. დრო აღარა გვაქვს, ისედაც დავიგვიანეთ.

— შეკერილები ბევრი მაქვს. — ისევ იმ კილოთი უპასუხა მარგომ. — ახლების შეკერვას მერეც მოვესწრები.

მელიტონმა ძალა დაატანა და ყველაფერი ამოაყრევინა უჯრებიდან. ოთახში გაიფანტა, გაიშალა და გაიფინა ფერადი ფარჩა-აბრეშუმი, ხაერდი და შალი, ფეხსაცმელები. საწოლები, ტახტები, მაგიდები, ყველაფერი დაჰფარა ფართალმა. აჭრელდა ოთახი, ბაზაზის დუქანს დაემსგავსა.

ფართლის ნაჭრებს მელიტონი თავისი ხელით აზმანებდა ქალს ტანზე. ერთმანეთს უფარდებდა, შეხამებით გამოჰყავდა. სამკაულით რთავდა ქალის თითებს, მაჯებს, ყურებს. მორთულს სინჯავდა და კვლავ ჰკოცნიდა.

მარგო ჯერ კი უხალისობდა, მაგრამ შემდეგ თითონაც აჰყვა საქმროს. სინჯვა, ზმანებამ გაიტაცა, გაამხიარულა, გააკისკისა. კვლავ მოვიდა ალტაცებაში და კვლავ ბედნიერად იგრძნო თავი, როგორც წინ ღამეს. თვალები გაუბრწყინდა. ლოყებს პირისფერი გადაეკრა. ისედაც ლამაზი ქალი. უფრო გალამაზდა. ლაპარაკობდა, თავის აზრებს ხმამაღლა ამბობდა. თან სარკის წინ ტრიალებდა.

— რა მოხდა ქარხანაში? — აქამდის თითონ არ დაიწყო ამაზე ლაპარაკი. ელოდა, მელიტონი თავათ იტყვისო. სირაძეს კი ქარხნის დაწვა ისედაც არ აწუხებდა, საცოლის ნახვით გადარეულს სულაც დაავიწყდა. მაგრამ მარგოს სიტყვებმა გამოაფხიზლა. თვალის დახამხამებაზე ისეთი გრძნობა ჩაუდგა გულში, როგორიც ჩაუდგებოდა ხოლმე, როცა ხანძრის გამო ვისთანმე უცხოსთან მოუხდებოდა ლაპარაკი.

— დაიწვა. დამლუპა! — ამოიოხრა მელიტონმა.

— ზარალი დიდია?

— დიდი! — თავის ჩვეულებრივი სიტყვა უპასუხა მელიტონმა. კომერციულ საიდუმლოების დაცვის ალღომ აქაც ათქმევინა ტყუილი თავისი საყვარელი არსების წინაშე. რა საჭირო იყო აქ სიმართლე[illegible]

[illegible]ის. აქ ნათქვამმა სიმართლემ სად ამოჰყოს თავი.

ბიბლიოთეკა

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა მარგომ.

— მშიერი არ მოვკვდები!

— ქარხნის აღდგენას არა ფიქრობ?

— არა.

— მაშ რას იზამ?

— რა ქალის საქმეა მამაკაცის საქმეში ჩარევა. შენ კი არაფერი დაგაკლდება და!

„რითი? აქვს ამ კაცს რაიმე თუ არა?" — გაიფიქრა მარგომ და როცა გაიგო, მელიტონს ბინისა აღარაფერი დარჩენია, ყველაფერი ვალში წაიღესო, მთლად მოუკვდა გული.

19

მარგო შიშით ელოდა იმ წუთს, როცა მელიტონი შეუღლებაზე დაიწყებდა ლაპარაკს, მაგრამ დრო გადიოდა და არას ამბობდა. ახლად დაწყებულ საქმეში გართულ მელიტონს საქორწილოდ აღარ ეცალა, მოქმედების უნარი მოსვენებას არ აძლევდა და... სადღაც გაჰქრა მელიტონი. ხანდახან უეცრად გამოჩნდებოდა ხოლმე, დანიშნულს ინახულებდა და თანაც რაღაც საქმეებზე დარბოდა, მერე ისევ იკარგებოდ. მარგომ მხოლოდ ერთი რამ იცოდა მისი: კახეთში რაღაც საქმეს აწყობდა. რას? არც მელიტონს უთქვამს მისთვის და არც თითონ მარგოს უკითხნია. ტასომ ისეთი რამ ჩააწვეთა ყურში, რამაც მარგოს მელიტონზე გული მთლად აუცრუა.

— ქარხანა დაიწვა. რომ არ დამწვარიყო კიდეც, ალბათ, ჩამოერთმეოდა. რაც ცეცხლს გადაურჩა, საჯარო ვაჭრობით გაიყიდა. ბინის მოწყობილებაც ვალებში წაუვიდა. მელიტონმა ბინაც კი გაჰყიდა, ალბათ, დიდ გასაჭირშია, თორემ ქორწილს აღარ გადასდებდა. სახარბიელო აღარაფრითაა ეგ შენი სირაძე. ხმაჩამორთმეულია, სამსახურსაც ვერას იშოვნის. — ეუბნებოდა ხოლმე ტასო მარგოს.

— მაშ როგორ მოვიქცე? — ჩიოდა მარგო.

— ნუ გეშინიან. შენისთანა ქალს ბედი არ დაუძვირდება. აქამდის არა ვცდილვართ. ეხლა კი ვეცდებით. შენი ბედი იყო, რომ ნინოსთან წახველ, თორემ აქ რომ დარჩენილიყავ იქორწინებდით კიდეც ღა, აბა, მაშინ ნახავდი შენს ყოფას. — კვლავ ანუგეშა ტასომ.

ეს ქალი, სავსე იყო პრაქტიკული უნარით. მას ცხოვრების საჭირბოროტო საქმეებში გამჭრიახობა ჰქონდა. თითქოს მთელი ის ძალა, ნების-

ყოფა, რაც ერთ დროს სწავლაში გამოიყენა, ტასომ ეხლა ცხოვრების წვრილმანისკენ მიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგომაც იცოდა ტასოს ეს უნარი, ენდობოდა და ეყრდნობოდა მას. ამიტომ, რომ იტყვიან, კალთაზე ჩამოეკიდაო, — ისე ექცეოდა დას.

— იცი, რა გითხრა. — გადაუშალა ტასომ თავისი გეგმები.

მარგო თვალებში შესცქეროდა დას.

— ხუთშაბათს გიორგის დღეობაა. — სთქვა ტასომ თავის ქმარზე. — ვეტყვი, ერთი-ორი კაცი მოიწვიოს. სადილს გავმართავ. საბაშვილსაც დავპატიჟებთ. დიდი ხათრი აქვს გიორგისა. გაგაცნობ. მოგეწონება. ინჟენერია. ხომ იცი სპეცებს დიდი ფასი აქვთ. შენს მელიტონს, თუნდაც მდიდარს, -მაინცა სჯობს.

— მერე და, მოვა კი თქვენსა? — იჭვიანად იკითხა მარგომ.

— მოვა. რატომაც არ უნდა მოვიდეს? გიორგისა დიდი ხათრი აქვს.

— შენ გგონია, უეჭველად გამოგვივა რამე. იქნებ ზედაც არ შემომხედოს.

— ვის? შენა? შე სულელო! როგორ შეიძლება?

ინჟენერი! ინჟენერი!

ამისთანა საქმე მარგოს წინათ ოცნებაში თუ მოსვლია.

ინჟენერი!

ეს სიტყვა აძინებდა და აღვიძებდა მარგოს.

შაბათი, კვირა, ორშაბათი... ითვლიდა მარგო. ხუთშაბათამდე ხუთი დღე კიდევ არის. ამ სათვალავს ყოველდღე თითო დღე აკლდებოდა, მაგრამ ხუთშაბათი მაინც იგვიანებდა.

ხუთშაბათს კი დები დილიდანვე შეუდგნენ სამზადისს. სადილი ხუთ სათზე დაიწყებოდა და, ალბათ, ღმის პირველ საათამდე გასტანდა, ვახშმად იქცეოდა. მარგო ადრიანად მივიდა ტასოსთან მისაშველებლად. მთელი დგამი გაყარეს გარეთ. დარეცხეს, დაასუფთავეს, დაბერტყეს სახლი და შემდეგ სადილის სამზადისს შეუდგნენ. მუშაობაში გართულ მარგოს თავისი საფიქრებელი მაინც არ ავიწყდებოდა: რა მოხდება დღეს?

ტასო ქალურ ალღოთი მიუხვდა დას და სამზარეულოდან გააგდო:

— აქ ნუ ხარ. ძალიან ცხელა. სახის ფერი წაგიხდება.

— ეხლა წავალ, ტანისამოსს გამოვიცვლი. — უთხრა მარგომ დას, როცა, საქმეს მორჩნენ. — გასაკეთებელი აღარაფერია.

— აღარა ხარ საჭირო. წადი. ნუ აჩქარდები. შავი კაბა ჩაიცვი, მელიტონის მოტანილი რომ გაქვს. კრეპდეშინისა. ის ძალიან გიხდება, — დაარიგა უფროსმა დამ.

— შავი კაბა, მელიტონის მოტანილი! — მარგოს გონებაში ერთხელ კიდევ წამოიჭრა მელიტონი, მასთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობის

შესაძლებლობა და სიძნელე. მაგრამ ყველაფერმა მან მხოლოდ გაიელვა ქალის თავში. ამაზე ფიქრის არც დრო ჰქონდა და არც ეზარებოდა. მოხდება, ეს მერმე გამოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20

— ესეც ჩემი კბილის ექიმი. — გააცნო გიორგი მებურიშვილმა სტუმრებს თავისი ცოლი. — ჩემი მეუღლე.

გიორგი, ცოტა არ იყვეს, ტრაბახა კაცი იყო და ცოლი რომ კბილის ექიმი ჰყავდა, თავი მოჰქონდა.

— ცოლი კბილის ექიმი! — ხუმრობით გაიკვირვა საბაშვილმა: — საშიშია, ქმარს კბილებს დააძრობს.

— მაგისი არ მეშინიან. — ღიმილით უპასუხა გიორგიმ: — ჩემი ცოლი პრაქტიკას არ მისდევს. მეოჯახეობა ირჩია. აი, ეხლავ ნახავთ, როგორი სადილით გაგიმასპინძლდებათ.

— ჰოო! ეგ კარგია. კარგი მეოჯახე ქალი სჯობს ცუდ კბილის ექიმს. — სთქვა საბაშვილმა.

— თუნდაც კარგს. — დაიძახა ვიღაცამ.

— არა, ჩემი ტასიკო ცუდი ექიმი არ იყო. საუკეთესოდ დაამთავრა სასწავლებელი. აი, ესეც ჩემი ცოლის და. — მიხედა მებურიშვილმა მარგოს, რომელიც გვერდით ამოსდგომოდა სიძეს და ღიმებოდა. — გთხოვთ იცნობდეთ. შეხედავთ და გაიგებთ რაც არის. — ორაზროვნულად დაუმატა გიორგიმ.

საბაშვილმა ქალი მართლაც ერთი შეხედვით შეაფასა.

— თქვენც ხომ კბილის ექიმი არა ხართ?

— არა. — თავი გაიქნია და თამამად გაიცინა მარგომ. მერე კი მორცხვობის სინათლემ გადაჰკრა.

— მაშ გულის ექიმი იქნებით. — ამ სიტყვებზე მარგომ თავი ჩალუნა. არ იცოდა, რა ეპასუხნა.

ტასოს კი, რაკი თავის კბილის ექიმობა გაახსენეს, გონება აერია. შერცხვა. გაშლილ სუფრას გულის გასაქარვებლად გარს შემოუარა და დიასახლისის თვალი გადააავლო.

ასე აირეოდა ხოლმე ყოველთვის, როცა დაკარგულს მოაგონებდნენ.

თავის ადამიანურ სიამაყედ კბილის ექიმობა ჰქონდა. ახალგაზდური სიხარულით გაივსო, როცა სასწავლებელი დაამთავრა და პირველი ხარისხის მოწმობა მიიღო, როცა მამამ კაბინეტი მოუწყო. მოხუცმა ამაში მთელი თავისი „შავი დღისათვის გადანარჩუნებული“ ჩაჰყარა. ტასო ამ კაბინეტში დატრიალდა და სიამაყისაგან ეგონა, ფრთები გამომესხა და გაფრენას შევძლებო. არ ეგონა, თუ ქვეყნად იქნებოდა ისეთი რამ, რაც მის დალონებას შესძლებდა. ახარებდა თავისი გამარჯვება, ახარებდა მამის გახარებული თვალები, უძლიერესი მამობრივი გრძნობით, სიამაყით

და მოწიწებით რომ შესცქეროდა ექიმ შვილს. ტასოც გრძნობდა, მამის მოხუცებულობა შვილებში მხოლოდ მე გავახარეო, ამიტომ გასაკეცებული სინაზით უნებივრდებოდა და გაათკეცებული პატივით ეპყრობოდა, თან, ცოტა არ იყვეს, ზემოდან დასცქეროდა მამას. [illegible] ცირე შემოსავლის მქონემ და დიდი ოჯახის პატრონმა, ექვსი ქალიშვილი გამოზარდა, ასწავლა როგორც შეეძლო, ზოგი გაათხოვა კიდეც. ყველაფერი შესწირა შვილებს და საბოლოოდ კი მოხუცებული ტასოს გათხოვებამ გააბედნიერა. ტასოს არ დავიწყებია და არც დაავიწყდება მის ქორწილში მამის ნათქვამი სადღეგრძელო:

— ყველაფერი ვნახე, ყველაფერი გამოვცადე: უდიერი შრომა, ღამის თევა, სიღარიბე, გაჭირვება. სამაგიეროდ შვილებით ბედნიერი ვარ. არავინ მომკვდომია. ვაჟიშვილი მენატრებოდა, მაგრამ ღმერთმა არ მომცა. ჩემმა ტასომ ეს დანაკლისიც შემივსო. ვაჟის ადგილი დაიჭირა. საუკეთესო ქალიშვილი გამომეზარდა. ქმარიც კარგი ამოირჩია. ეხლა ბედნიერად მოვკვდები. ჯავრი აღარაფრისა წამყვება. — მოხუცმა ცრემლები მოიწმინდა.

მთელმა წარსულმა ერთბაშად და სწრაფად გაიარა ტასოს გონებაში. მისი ცხოვრების ყოველი ეპიზოდი, ყოველივე წვრილმანი განახლდა ძეხსიერებაში და დასწვა გონება. ვით დამშვიდებულ, დიდი ხნით შეუშფოთველ გუბეში ქვა აამღვრევს და ძირიდან დასძრავს მთელ ნალექს, ისე აიმღვრა ტასოს მოგონებანი. დაიბნა ქალი და აღარ იცოდა, რას აკეთებდა, რა უნდოდა გაეკეთებინა.

გიმნაზიის დამთარების შემდეგ მასწავლებლად იყო, მერე ფოსტაში მსახურებდა, ფულს აგროვებდა სწავლის განსაგრძობად. ვით ძუნწი, კაპიკს კაპიკზე ადებდა, ყველაფერს იკლებდა... ბოლოს ძლევამოსილმა გაიარა თავის კაბინეტში. გმირი ეგონა თავი. უბედნიერესი, თავის მომავალს იმედიანად უცქერდა. ვარდისფერი იყო მაშინ ცხოვრება და სიცოცხლესაც ვარდის სუნი ასდიოდა მაგრამ...

კაბინეტის გვერდით აკვანი დაირწა.

ბორმანქანის ხრიალს შვილის ტირილი შეუერთდა და... ამ ორ ოთახსა და ორ ხმის შორის ბრძოლა გაჩაღდა.

პირველს შვილს მეორე მოჰყვა. მეორეს მესამე. კაბინეტი კი ნელ-ნელა ცარიელდებოდა. ჯერ პაციენტებისაგან მერე იარაღისაგან.

— ეხლანდელი დროება რომ ყოფილიყო მაშინ, ასე არ მომივიდოდა. შვილმა თიკოს ხელი ვერ შეუშალა! — გაიფიქრებდა ხოლმე ტასო.

21

შუაღამე გადასული იყო, როცა სტუმრები დაიშალნენ.

ღვინის და თამბაქოს სუნით გაჟღენთილ ოთახში ჰაერის გასაწმენდად დებმა კარ-ფანჯარა ყურთამდე გააღეს.

ხუთი საათის წინათ ლამაზად მორთული სუფრა, ახლა გაჩანაგებული იყო. ნაჭამი და ნასვამი, ნაფცქვენი და ნახორხალი პაპიროსის წამწვავი და ძვლები, ნაკლული ბოთლები და ჭიქები, სუფრაზე დაბნეული ღვინო, შეჭმას და შესმას გადარჩენილი, ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული.

ტასოს და მარგოს აქამდე მხიარული სახე ამ სუფრის დანახვაზე ერთბაშად დაეღრიჯათ. მთელი დღის საქმიანობით დაქანცულებს ახლა უფრო მეტი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი.

ჭარბად დალეულ ღვინოს მებურიშვილი მხიარულ გუნებაზე დაეყენებინა. ოთახებში დადიოდა, დაბარბაცებდა, ღიღინებდა და ცოლსა და ცოლის დას ეხუმრებოდა.

— შენ, ჩემო მარგუში, ძალიან კარგი ქალი ხარ. ისეთ საქმეს გაგიწყობ, ჩემს მზესა ფიცულობდე. — ბეჭებზე ხელი დაჰკრა სიძემ მარგოს.

— შენს მზეს ეხლაც ვფიცულობ. — წამოჭარხალდა ნასიამოვნები ქალი.

— ჰო-და, მერე უფრო დამიფიცავ. საბაშვილიც კარგი ბიჭია. აი, ასე ვათამაშებ. — გიორგიმ თითები შეათამაშა. — კარგად ვიცნობ. შევატყე ტასოს გეფიცები, მოეწონე. წინათაც მაქვს სიტყვა გადაკრული. ერთი-ორი სიტყვა კიდევ. ერთი-ორი შეხვედრა და მერე... ყველაფერი მოგვარდება...

— აბა, ჰა, შენ იცი. — შეაქეზა ცოლმა.

— თუ ვთქვი, ავასრულებ კიდეც. — უპასუხა გიორგიმ. ეხლა კი მაგ სუფრის ალაგებას თავი დაანებეთ. ხვალ იყვეს. ძილის დროა. — მერე მარგოს მიუბრუნდა: — შენ ეს მითხარი მელიტონს რას უპირებ?

ქალმა მხრები აიჩეჩა:

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს საქმე უკვე გათავებული იყოს.

— მაგას დიდი ფიქრი არ უნდა. — უთხრა ტასომ ქმარს და ხელი დისაკენ გაიშვირა: — ამას რაკი სხვა დაეპატრონება, მელიტონი ველარას იზამს.

ქალებმა სუფრის ალაგებას თავი დაანებეს. ცოლ-ქმარმა თავისი ოთახის კარები გაიხურა. მარგომაც ლოგინს მიაშურა. საბანი რომ წაიხურა და მთელი დღის მოუსვენრობით დაღლილმა ჯანმა ლოგინის სირბილე იგრძნო, გაიზმორა. თვალებდახუჭულ მარგოს ძილთან ერთად ფიქრებიც მოერია.

ტყუილ-უბრალოდ აიწეწა საქმე. უანგარიშოდ აჰყვა ახალ სურვილებს. კარგი იყო თუ ავი, მელიტონი მზადაა. ახლა კი თავიდან იწყება საქმე და რითი გათავდება, ვინ იცის! მელიტონის მოშორება თავიდან ადვილი საქმე არ არის. ჯიუტი კაცია. თავნება. ორპირად მოუხდება მარგოს ბრძოლა.

ტანში ჟრუანტელმა დაუარა, წელანდელი ამბავი რომ მოაგონდა: შუა სადილზე ერთბაშად გაიღო კარი და სუფრას თავზე მელიტონი დაადგა.

მარგოს გულის ძგერა შეუჩერდა. ისე იგრძნო თავი, თითქოს დიდ დანაშაულში დაეჭიროთ. უსიამოვნება ტასოსაც შეეტყო. დებმა ერთმანეთს გადახედეს და ენის წვერზე კბილი დაიდგეს. მათმა სანდომ, მოჩვენებული სიხარულით დაფარული განცვიფრება გამოსახა. მელიტონის მოულოდნელი მოსვლა იმას ჰგავდა, თითქოს ვისმეს ხეპრულ ხუმრობით სუფრაზე მძორი დაეგდოს. მაგრამ ქალებმა სწრაფად შეიკავეს თავი და ახლად მოსულით გამოწვეულ საერთო ჟრიამულს თავიანთი ხმაც მისცეს.

მელიტონი კი შინაურულ, თამამ ნაბიჯით შევიდა ქვისლის ოჯახში.

— ეს როგორ მოხდა, უჩემოდ ქეიფობთ!..

მელიტონის მოსვლამდე მარგო მხიარულად იყო. გიტარას უკრავდა, საამური ხმა ჰქონდა, მაგრამ მღერაში იპრანჭებოდა, ხმასაც პრანჭავდა და ტყუოდა.

ღვინით გაბრუებული საბაშვილიც მხიარულობდა და ცოტათი წინდაუხედავ თამამ ქათინაურებს ეუბნებოდა მარგოს. ამაზე მარგო ხითხითებდა. სიცილი მის ფუნთუშა ლოყებს და შავ, ბრჭყვიალა თვალებს უხდებოდა. მელიტონის შემდეგ კი გუნება წაუხდა. ველარ იმღერა. ეშინოდა, მელიტონს, რამე უცაბედი საქციელით ან სიტყვით, არა გამოემჟღავნებინა რა. ან საბაშვილის თამამი მოქმედებით მელიტონის ეჭვი არ გაეღვიძებინა.

მაგრამ რისიც ეშინოდა მარგოს, ის მაინც მოხდა. კიდევ კარგი, მელიტონი მალე დამშვიდდა. ამის მიზეზს მიხვდა მარგო: საბაშვილი ამხანად საჭიროა მელიტონისათვის, თორემ, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

— წყეული, აქ სად მოაგნო საბაშვილს! — გაიფიქრა მარგომ.

მელიტონი მიუჯდა თუ არა მაგიდას, მაშინვე საბაშვილს დაელაპარაკა.

— თქვენ გეძებდით და ძებნამ აქ მომიყვანა.

— რაში დაგჭირდით?

მელიტონი რაღაც მანქანას სთხოვდა, მომყიდეო.

— მანქანა ჩვენს ქარხანას მართლაც აქვს გასაყიდი, მაგრამ კერძო პირს ვერ მივყიდით. — უპასუხა საბაშვილმა.

— მე ხომ კერძოდ ჩემთვის არ მინდა. ნადი ყიდულობს. — რაღაც ნადზე დაიწყო ლაპარაკი...

მარგოს ამ ლაპარაკისა არა გაეგებოდა რა. იმას კი მიხვდა, მელიტონი ზრდილობიანად მოექცევა საბაშვილსაო. ამიტომ იყო გაჩუმდა და აპატია საბაშვილმა მარგოს ხელზე რომ აკოცა...

მარგოს ძილი ერეოდა, დღეს ნახული და გაგონილი კი ძილს ებრძოდა. ლულ-მორეულს ყველაფერი აგონდებოდა. მელიტონი და საბაშვილი მის გონებაში ერთ გრძელ ფიცარის თავსა და ბოლოში ისხდნენ და ქანაობდნენ და ამ ქანაობაში ერთ-ერთს უნდა დაეძლია.

ღია ფანჯარაში გრილი ნიავი შემოდიოდა, მარგოს სახეში სცემდა. ძილის სურვილი უფრო ტკბილი ხდებოდა.

ტასოს ოთახში ერთბაშად რაღაცამ დაიბრახუნა. მარგომ — ყურები სცქვიტა, შეკრთა. მაგრამ მიხვდა — გიორგი ფეხთ იხდიდა. ამით დამშვიდებულ ქალს იმ ოთახიდან ლაპარაკიც შემოესმა.

— შენ თუ შენი დის სიკეთე გსურს, ეგ მელიტონია თუ ვილაცა, მოაშორეთ. — დაილაპარაკა მებურიშვილმა.

მელიტონის ხსენებაზე მარგომ კვლავ დააცქვიტა ყურები. ტასომ საპასუხო რაღაცა სთქვა, მაგრამ მარგომ დის სიტყვები ხმაურობაში ვერ გაარჩია.

22

მელიტონი ტყეში ახლად მოჭრილ და გათლილ მორზე იჯდა. პირში ბალახის ღერო ედო და ტანტრაბეჩად ხმარობდა. კბილებს იჩიჩქნიდა და თანაც რაღაცას საზრისობდა და ვარაუდობდა.

დღეს მთელი ტყე შემოიარა. ბოლოს, დაღლილობა იგრძნო: სუფთა ჰაერზე მადიანმა საუზმემ და საკმარისად დალეულმა ღვინომ ჯანში მოშალა. მორიც მოეწონა. ჩრდილიც. რაც დღეს ტყეში გასაკეთებელი ან გაკეთებული ნახა, ისიც უნდა მოეფიქრნა. ეს ადგილი რომ არ შეხვედროდა, ჩხრიალა წყლის ნაკადულის პირას, იქნებ არც კი დამჯდარიყო, იქნებ ერთხელ კიდევ შემოევლო სამუშაო ადგილები, მაგრამ მიიზიდა მორმა და დიდმა მუხამ, ახლა თავისი განიერი ტოტებით რომ ჰქოლგავდა სირაქის მოპარსულ თავს.

ირგვლივ დიდი, აყრილი ტყე იდგა. აქ ყველანაირი ჯიშის, ზომისა და წლოვანობის ხე იყო.

მოხერხებით და მოტყუებით შევიდა მელიტონი რომელიღაც ნადში, რომელიც ტყეს ამუშავებდა. იგი ცდილობდა თავისი თავი პატიოსან და მშრომელ ადამიანათ მოეჩვენებია.

ტყის კაცი გავხდიო, გაიფიქრა მორზე მჯდომმა. მოაგონდა თავისი წარსული.

სოფლიდან წამოსულ ბავშვს, შემთხვევამ თუ ბედმა, ტფილისში ხეტყის ქარხანაში ამოაყოფინა თავი.

პირველხანად მელიტონი ქარხანაში ბიჭად დააყენეს: ბაზარში დარბოდა, ქარხნის კანტორას ჰგვიდა, მუშტრებთან დადიოდა.

მახვილი გონება საქმის ძალას მალე მიხვდა. ქარხნის პატრონმა ეს შეატყო და უფრო რთული საქმეები დაავალა.

საქმობდა მელიტონი და იმ ქვეყანაზე ოცნებობდა, სადაც ფული აუარებელია.

ორიოდე წლის შემდეგ დაინახა, ფული არსად არის გაფანტული, ფულს შოულობენ გაიძვერობით და თაღლითობით. ბევრი პატიოსან

შრომას ეწევა მაგრამ მისი ფული ფულობას არა შვრება, ზოგი კი ფულს სხვისი შრომით და ტანჯვით შოულობს. ამისთანების ფული-ბალეულიც და ფულია... და დაიწყო თითონაც თაღლითური საქმიანობა...

ხის ჯიშები, მათი გამოყენება, ყოველი მორის გამოსავლიანობა და სარფიანობა, მანქანები ისე შეითვისა, ძილშიაც კი ეზმანებოდა მელიტონს. მუშები, მეტივეები, მუშტრები, მტკვარი, ვაჭრული ხერხები, მოტყუება, ცრუობა და სხვ. ყველაფერი და ყველანი გადახარშა თავის ტვინში და... თუმცა დიდის წვალებით, გულხეთქებით, მაგრამ ბოლოს მაინც მოახერხა და თავის თავს უთხრა: „ხაზეინი“ ხარო. ამის შემდეგ მელიტონმა იპოვა თავისი ქვეყანა. მელიტონი არ ინდობდა არავის... თანდათან ამჟღავნებდა იგი თავის ექსპლოატატორულ ბუნებას...

მელიტონის ყოფილ „ხაზეინს“ რომ აკმაყოფილებდა ქარხნის კარზე მეტივეების მოტანილი ტივები, სირაძეს კბილის ქარად არა ჰყოფნდა. თვითონ გავიდა ტყეში, იქ გამართა ბაზა და ასე შოულობდა თავის ქარხნისათვის საკვებს. მაგრამ მალე ესეც აღარ ჰკმაროდა მელიტონს. მისი თაღლითური ხერხები თანდათან შლიდა ფრთებს...

მაგრამ საქართველოს ოქტომბერმა ბევრი რამ გამოაცალა ხელიდან მელიტონს. ერთხანს იგი ღონღილობდა და რაღაცას ელოდა. მუშების ექსპლოატაცია შეუძლებელი შეიქნა და ქარხანაში ხეირი აღარ იყო. ხანძრის შემდეგ ქარხანა დააკონსერვა და თავისი შნოის, თავისი უნარისათვის, ფულის მოგებისათვის ახალი გზა მონახა.

აი, ზის ამ წუთს მელიტონი მორზე, უცქერის ტყეს, გახურებულ მუშაობას...

ტყის ჰაერი და მზის კაშკაშება ჭრიჭინების ჟრიამულით არის გავსილი. ამას ცულების ბაკა-ბუკი ერთვის. ეს ხმა ყოველი მხრიდან ისმის.

— ბაკ-ბუკ... — შედის ყურში ცულის ძახილი. ცული ხის ძირს ხვდება, ხე ირხევა, ნაფოტი შორს მიფრინავს, მწვანე ფოთოლთა ზღვაში თეთრი პეპელებივით ელავს და ხასხასა ბალახში შემკრთალი ფაჩუნით ცვივა. ხე კი სჭექს, იზნიქება და ლაწა-ლუწით წვება.

ძველი დრო რომ იყოს, თითო ეს ნაყოფი მელიტონის ჯიბეში თითო მანეთად ჩავარდებოდა, ყოველი წაქცეული ხის სიგრძე მელიტონის სიმდიდრეს მიემატებოდა... მაგრამ ეხლა სხვა დროა...

ყურს უგდებს მელიტონი ტყეს, ერთობა გახურებული მუშაობის ხმაურში და გული მძიმდება.

ცულის ყოველი დაკვრის ხმა მელიტონისათვის კამერტონის ზრიალია. ბაკუნის ხმაზე მელიტონი ატყობს, სად რა ჯიშის, რა ხნის ხესა სჭრიან, როგორია ცული, როგორის ძალით და ხალისით იქნევს მუშა ცულს. ყოველი ხე, ყოველი მუშა-ცული, თავის საკუთარ სპეციფიკურ ხმას გამოსცემს და ასეთი ხმა სამას ადგილას ისმის, სამასი ცული ტრიალებს ტყეში.

23

ერთბაშად გულში რაღაცამ უკბინა. ახალმა ფიქრმა [illegible] გამწარებული სიტკბოება მოუშხამა.

— რას მიჰქარავს, მართლადამართლა! თავს იგდებს ვილაც ოხერია. ეშმაკის ცხენზეა შემჯდარი. — ეუბნებოდა მელიტონი თავის თავს. რაღაც ეჭვებში ჩავარდა.

მელიტონმა ხელდახელ იანგარიშა, ზეპირად, რამდენი ჰქონდა დახარჯული, ოქროზე იანგარიშა.

— ასი თუმანი მაინც იქნება... ამდენიხანი ეს ფული ოხრად არის დაბანდებული...

ერთბაშად წამოხტა მელიტონი. მარგოს ქცევა გაახსენდა მებურიშვილისას სადილზე. ისიც მოისაზრა, საბაშვილი რომ ქვრივია. მელიტონმა დაუსტვინა.

— გაგაცრუეს სირაძევ! — შუბლში ხელი გაირტყა. ნადმა გადამიყოლია.

ამ დღეებში ამბავი მოუვიდა მელიტონს, რომ შენი ნახანძრი ქარხნის ადგილას ახალს აშენებენო. ჭორი იქნებაო, სთქვა პირველად, როცა ეს ამბავი გაიგო, მერე კი ხელი ჩაიქნია...

სირაძე ჯავრით აივსო. ეს ტყე წინათ ვილაც თავადიშვილისა იყო. მელიტონს ამ ტყეში ბევრი მოგება უნახავს...

ტყეს თვალი მოავლო, მომუშავეებთან მივიდა. მის გონებაში დიდი ხნის ჩათესილი ერთბაშად გაიზარდა და მთლიან გეგმად იქცა.

— წყაროს იქეთ მეორე ნაკვეთი რომ არის, ხვალ დილიდანვე იქ უნდა ვიმუშაოთ. იქ ჰკაფონ. — უთხრა მელიტონმა ზემდეგს.

— იქ ხომ ახალნაზარდია. — უპასუხა ზემდეგმა. — იქ აკრძალულია ჭრა. ნადს არც პირობაში უწერია ის ადგილი!

— ნადს! რა არის ნადი? ნადი მე ვიცი. — შეეკამათა მელიტონი.

— არც სახეიროა ჩვენთვის იქ მუშაობა. ქარხანას ჩვენ მსხვილი ხეები უნდა დავუმზადოთ. წვრილს არ მიიღებს.

— სულელი ნუ ხარ. რაც პირობაში წერია შენზე უკეთესად ვიცი. ხის სიმსხოს ზომვას ვინ დაგიწყებს. არც საჟენს გაგიზომავენ. პირობით ექვსი ათასი ხე უნდა ჩავაბარო. სამი ათასი ცალი მსხვილი ხის მოჭრა განა ადვილია. იქ კი გალმა, ერთ თვეში მოვრჩებით მუშაობას. მუშის ფულიც ნაკლები წაგვივა, ხის გატანაც ადვილი იქნება. ნადი მოიგებს. — მელიტონი თვალებში ჩააცქერდა ზემდეგს.

— არ გვიყაბულებენ, — მიიღო პასუხი.

მეორე დღეს მელიტონი სიამოვნებით ისმენდა ახალ ადგილას ცულის კაკუნს.

დღევანდელი მუსიკა ახალი ჰანგები იყო, ჰანგები მავნებლის შურისძიებისა.

საქმე მარტო ტყის გაჩეხვა ხომ არ იყო, ტყე უთავბოლოდ ძრავალ ადგილას გასჩეხა. მაგრამ ეს ამბავი ამით ვერ გათავდებოდა. ტყის გაჩეხვა მხოლოდ შესავალი იყო მავნებლობისა. წინ უფრო ... ...

ქლის მხრჩოლავ ქვაბისა. ქვაბი, ეხლა გარეთ რომ გდია, აწ ხმას ველარ ამოიღებს. მისი ალაგი ელექტრობას დაუჭერია.

— სად მოასწრეს ასე მალე, უცბად, — გაოცდა სირაძე — ჩემი სუსტი ქარხანა წლობით ვაკოწიწე, ამათ კი რამდენიმე თვეში...

ეზოში მუშები გამოიფანტნენ.

— ალბათ, პურის ჭამის დროა. — გაიფიქრა მელიტონმა, ერთი გადიხედა მესერიდან და სწრაფად მოშორდა იქაურობას. არა სურდა, მუშებს ეცნოთ. თითონ კი თითქმის ყველა თავისი ყოფილი მუშა იცნო, მაგრამ ისინი მუშათა სიმრავლეში არც კი სჩანდნენ. იქ, სადაც სირაძის დროს ოცი-ოცდაათი კაცი დაბზუოდა, ეხლა სამასამდე მუშა ტრიალებდა. იმანაც გააკვირვა სირაძე, რომ ამდენ ხალხში ქალიც ბევრი ერია და ახალგაზრდობა ჭარბობდა.

— ამათ რის გაკეთება შეუძლიანთ გამოუცდელებს! — კვლავ გაიფიქრა სირაძემ და ეზოს მეორე მხრიდან მოუარა. იქ, ფარდულებში დალაგებული მზა ნაწარმი დაინახა. ფიცრულის ჭუჭრუტანებში დააკვირდა. ახლად დამუშავებულ ხის ჩვეული სუნი ეცა. ნაწარმი სუფთად იყო გამოყვანილი და წესიერად დალაგებული.

მელიტონმა თავი გადაიქნია და ფიცრულს მოშორდა. გულში გაივლო, შესულიყო ქარხანაში და შიგნიდან კარგად დაეთვალიერებია, მაგრამ ხელი ჩაიქნია და მოშორდა იქაურობას.

— მოგვათ ნედლეული! — დაცინვით წაილაპარაკა.

იცოდა, მისი ქარხანა იმ ორგანიზაციას ჰქონდა, რომლისთვისაც ხეტყეს ამზადებდა.

თავჩაღუნული წავიდა მელიტონი და ცდილობდა მისწვდომოდა იმას, რაც ამ წუთში ნახა, მიხვედრილიყო იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიგჰიერი დანტე

„სალხინოგელი“

Purgatorio

Cantica ceconda

ქება პირველი

1. ამიერიდან სულის ჩემის ხომალდი მალი
   უკეთეს წყალთა საუფლოში ზეასწევს აფრას
3. ჩვენს უკან დარჩა ზღვა სასტიკად აზვავებული
   ხამს ვუმღეროდე აწ სამყაროს რიცხვით მეორეს
5. სად სულს კაცისას განწმენდილს და განცისკროვნებულს
   ცად ამაღლების სრული ნიჭი მოეფინება.
7. და პოეზია სულ მიხდილი რომ აღდგეს მკვდრეთით,
   წმინდა მუზებო რადგან თქვენი ვიყავ მარადჟამს
9. აწ კალიოპეც მწედ მეყოლოს და შემეწიოს.
   ხმა იგი, ერთხელ პიერილებს რომ ღასცა რისხვა
11. რამაც სავსებით წარუკვეთა მათ სასოება.
    აღმოსავლური საპფირონის დამტკბარმა ფერი
13. ზეცის კაბადონს მოსდებოდა გავარვარებულს
    და სხივოსნობის ათინათი ციდან ნატყორცნი
15. პირველ გარსამდის ცას ღაწვებზე მოჰკიდებოდა
    მოხიბლა თვალნი სიხარულით აღტყინებულნი

1—2. ამ პოემის დასაწყისში დანტე მოუწოდებს განსაკუთრებით კალიოპეს — ეპიური პოეზიის მუზას. (Calliopè) „უკეთეს წყალთა საუფლოდ“ სალხინებელი იგულისხმება.

3. ხოლო აზვავებული ზღვა — mar si crudele — ჯოჯოხეთი. — ზღვა ეგზომ სასტიკი.

12. ტექსტში: Dolce color d'orientale zaffiro — ტკბილი ფერი აღმოსავლური საპფირონისა. Simbolo della speranza — იმედის სიმბოლო (იხ. ჰოპლი. გვ. 352).

15. ტექსტში: primo giro — გარსი პირველი. ცთომილის გარსი იგულისხმება.

17. რა შემლონებელს დავაღწიე ჰაერს მე თავი
რომელიც გულს და თვალთახედვას აუძლურებდა.
19. ტურფა პლანეტი სიყვარულის განმწესებელ
მთელს აღმოსავლეთს ულიმოდა თანაც ჩრდილავდა
21. თვის ასაბიას, ციურ ცთომილს თევზად წოდებულს.
მხარმარჯვნისაკენ მივიქეცი, მივხედე მყისვე
23. პოლუსს მეორეს და ვიხილე ვარსკვლავი ოთხი
რომელნიც მხოლოდ პირველ კაცთა ჰქონდათ ნახული
25. ოთხნივ ზეცასა ახარებდნენ ციალით თვისით
მაგრამ ვაჲ შენ ჩრდილოეთო ,დაქვრივებულო
27. რომ არასოდეს გეღირსება ხილვა იმათი.
რა განერიდა თვალი ჩემი იმა ცთომილებს
29. სულ სხვა პოლუსად მივიქეცი, აღვაპყრე თვალი
სად უკე ეტლი იდუმალი გაუჩინარდა.
31. მოხუცს მარტოხელს თვალი ვკიდე იქვე მახლობლად
მის აღნაგობა მოითხოვდა პატივისცემას
33. რომლის უმეტესს ვერ მოკითხავს მამა თავის ძეს.
თეთრი ერია გრძლად მიშვებულ და სათნო წვერებს
35. საკმაოდ ხშირი გარეოდა ჭალარაც თმებში
ორმაგ ნაწნავად ზედ მკერდამდის ჩამოშვებული.
37. ოთხივე წმინდა ვარსკვლავების სხივთა ციაგი
ისე მოსავდა სახეს მისას განცისკროვნებულს
39. და ასე იდგა მზის სადარი ჩემსა წინაშე
„ვინ გაქცევიხართ მარადჟამულ საპყრობილისა
41. ბნელი არავის მდინარებას მარქვით, ვინა ხართ?“
გვეკითხებოდა, უტოკავდა სათნო წვერები.
43. „ვინ გიწინამძღვრათ, ვინ გიჩვენათ გზა დია ბნელი,
როცა უკუნი ღამის წიაღს განელტვეთ მუნით

---

19. Lo bel pianet — ვარსკვლავი ღამაზი — ვენერა.

21. ტექსტში: Pesci — იტალ. თევზი. ცთომილი პესკი — ვენერის მხლებელი, ასაბია პლანეტა.

23. ეს ოთხი ვარსკვლავი ოთხი სიქველის: ჭკუის, მართლმსაჯულების, მამაცობისა და ზომიერების სიმბოლონი არიან დანტეს წარმოდგენაში. ესენი 1295 წ. მარკო პოლოს უნახავს თურმე. (მ. პოლომ იავადან მადაგასკარამდის იმგზავრა).

31. ეს დარბაისელი მოხუცი კომენტატორების აზრით უნდა იყოს კატონე დაუტიკა, რომელმაც რომის თავისუფლების ბრძოლისათვის გასწირა თავი. (Catone, il custode del Purgatorio).

41. ტექსტში: Fiume — მდინარე.

45. რომლის სიბნელე ამრუმებდა ჯოჯოხეთის ველს?
გარნა ქვესკნელის შჯულისდება აწ დარღვეულა?
47. ცათა აღთქმანი ზენარული ხომ არ შესცვალეს,
რომ წარწყმედილთა ჩემს გვირაბში შეგეძლოთ მოსვლა.
49. ჩემმა მეგზურმა დამაოკა და გამაჩერა
სიტყვით, ხელებით, ნიშნებითა და წამყოფითა.
51. მიბრძანა მყისვე: დაჩოქება, ქედის მოდრეკა
არ მოვსულვარო, უთხრა, ჩემის ნების მიერი,
53. არამედ დედამ ზესთაზენით წარმოგზავნილმან
მთხოვა ამ კაცის წინამძღვრობა და გზის ჩვენება.
55. რადგანც გწადია განგიმარტოთ როგორიც არის
აწ ვითარება და პირობა ჩვენი აქ მოსვლის,
57. ჩვენ ალარ ძალგვიძს წინ აღვუდგეთ ნებასა შენსა,
ამ მწირს დაისი არ უხილავს უკანასკნელი
59. თუმცა სიშმაგის თვისის გამო სულ მცირე ჟამი,
მას დარჩენოდა ვიდრე უკუ მოიქცეოდა.
61. მაშინ, როგორც ვთქვი, წარმომგზავნეს მყისვე მე მისკენ
არ მიჩანდა სხვა გზა მის საშველად და დასახსნელად.
63. კიდეგან გზისა, რომელზედაც წარვმართე იგი.
მე მას ვუჩვენე განწირული მოდგმა ადამის,
65. ახლა მწადიან მოიხილოს ისეთნი სულნიც,
ვის განწმენდასაც ხელმძღვანელობ, მეთვალყურეობ.
67. ჩვენი აქ მოსვლის მატიანეს გიამბობ ძნიად,
ზენარულია ძალა იგი რომლის წყალობით,
69. ის აქ მოგგვარე შენ სასმენად და სახილველად.
მე ვისურვებდი შეგეწყნაროს აქ მისი მოსვლა,
71. ყველასგან ნანატრს ეძებს იგი თავისუფლებას,
ეს ყველამ უწყის, თუ განწირვა ვისაც სჩვევია.
73. შენ მიმიხვდები, რადგან თავათ დასთმე სიცოცხლე
უტიკასათვის სადაც დაგრჩა მოკვდავი ნეშთი,
75. რომელიც კიდეც გაბრწყინდება განკითხვის ჟამზე.
არც თუ კანონი შეგიბღალავს მარადჟამული
77. ის ცოცხალია და მე მინოსს არ ვემოწმები
და ვიმყოფები მე იმ გარსში, უბიწო მზერით,

---

58. Nom vide... Nom é ancor morto — დაისი არ უხილავს, ე. ი. ჯერაც არ მიცვლილაო.

59. Follia — სიგიჟე, სიშმაგე, სიმბოლიურად ეხმაურება იმ საბედისწერო გზას, რომელსაც თავის ცხოვრების ნახევარ გზაზე დაადგა დანტე.

79. შენი მარჩია თითქოს კიდეც გემუდარება,
სულო დიადო ჩვენც ჩაგვთვალო თავისიანად,
81. ჩვენც შეგვივრდომო სიყვარულის მისი სახელით,
და გაგვატარე ჩვენ შვიდივე საუფლოს გალმა,
83. მე კი მას ვამცნობ თავაზიან მოპყრობას შენსას,
თუ კი ქვესკნელში შენს ხსენებას არ აღგვიკრძალავ".
85. „მართლაც მარჩია ლხენას ჰგვრიდა თვალებსა ჩემსა,
გვითხრა მოხუცმა, — როცა ვიყავ მეც იმ მიწაზე,
87. მე მას დიახაც ვუსრულებდი ყოველ საწადელს.
აწ კი, დამღუპველ ნიავლვარის გალმა შთენილი,
89. ველარ მომწვდება იმ კანონის გამოისობით,
რომელიც ჩემის აქ წამოსვლის ხანში დამკვიდრდა.
91. მაგრამ თუ დედა ზეციერი შენ გხელმძღვანელობს,
როგორც თავათ სთქვი, მოფერება რა საჭიროა,
93. ისიც იკმარებს, რომ შემთხოვე მისის სახელით.
წა, ლელისაგან გაუკეთე იმ კაცს არდაგი,
95. ასხურე წყალი და მობანე პირისა სახე,
რომ არსად აჩნდეს მცირე ლაქის რამ ნატამალი,
97. რადგან არაა მართებული რომ მცირე ლაქაც,
აჩნდეს სახეზე როს შეხვდება პირველ კარისკაცს,
99. სამოთხის სულთა საუფლოში როცა მიაღწევს.
იმ მცირე კუნძულს ხომ კი ხედავ, ქვევით, სულ ქვევით,
101. სადაც ტალღები გარს ევლება მტკიცე ნაპირებს,
იზრდება ლელი გარეშემო იმ დონდლო შლამზე
103. ვერავითარი სხვა მცენარე აქ ფურცლოვანი
ან კლერტოვანი ვერ გასძლებდა, ვერ იხარებდა,
105. რაკი რომ წყალთა მიმოქცევას არ დაჰყვებოდა.
მაგრამ იცოდეთ, აწ აქეთკენ აღარ მობრუნდეთ,
107. ამომავალი მზე გიშველით, როცა აივლით,
თხემზე ნაკლებად დაცერებულ ბილიკით მერმე".
109. და განჭრა იგი, წამოვდექი სიტყვის უთქმელად,
მივუახლოვდი, ვეახელი ისევ ჩემს ოსტატს
111. და მივაჩერდი, გავუყარე თვალი მყის თვალში.
„აწ მე მომყევი შვილო ჩემო, მითხრა ოსტატმა,
113. უკან გავბრუნდეთ, ძირს დავეშვეთ იმ ბილიკიდან,
რომელიც ტაფობს ჩამოყვება ქვემო მიჯნამდის.

---

85. მ ა რ ჩ ი ა. კატონმა თავისი მეუღლე მარჩია ჰორტენზიუსს დაუთმო, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ კვლავ დაიბრუნა.

94. ა რ დ ა გ ი — წელს ქვევით მისაფარებელი მატერია რამე.

100. ლელი, ამ შემთხვევაში, სათნოების თავმოდრეკილობის სიმბოლოა.

115. უკვე ცისკარმა წინ გაიგდო რიჟრაჟის ჟამი
ილტვოდა მრუმე პირისაგან სინათლისასა,
117. მე მყის შევნიშნე შორეულის ზღვისა ცახცახი
და ჩვენც ვიდოდით, როგორც მგზავსი ვინმე ეული,
119. გზას აცდენილი და ნამდვილი გზის მაძებარი,
დარდს რომ ეძლევა ვიდრე მართალს ვერ ჰპოვებს გზასა.
121. როს მივაღწიეთ ისეთ ადგილს, სად დილის ცვარი,
მზეს შებმებოდა, თანაც ჩრდილებს ეფარებოდა
123. იბნიდებოდა, ცახცახებდა, ოდნავ ლხვებოდა.
ოსტატმან ჩემმან ხელის გულნი დააწო მოლზე
125. ეს რო შევნიშნე, ვეახელი, მყის მივუშვირე —
მე ღაწვნი ჩემნი დანამული ცრემლთა დენისგან.
127. მანაც ხელები დაცვარული მომისვა პირზე
შემავლო ხელნი, აღადგინა სახისა ჩემის
129. ფერი წარყვნილი, გამურული ქვესკნელის ბოლში.
შემდეგ ამისა მივაღწიეთ უდაბურ ნაპირს
131. რომელსაც წყალთა ზედან თვისთა არვინ უნახავს
აქ გზად გავლილი და ისევე უკუქცეული.
133. მოხუც კატინის ნებისამებრ მეგზურმა ჩემმან
წელზე ქამარი შემომარტყა ო სასწაულო,
135. მაგრამ რხეული ლელი იგი შემეხსნებოდა
და კვლავ იქავე აღსდგებოდა სადაც მოსწყვიტეს.

ქება მეოთხე

1. აჰა, გაბრწყინდა, გაიმართა მზე ჰორიზონტზე,
მერიდიანი რომლის გარსის უმაღლეს პუნქტთან
3. ზედ გადაუვლის და დაჰყურებს იერუსალიმს.
და ღამეც გასწვრივ განგის წყლიდან ამოდიოდა,

---

135. ტექსტში: unaque — ეს სიტყვა ტექნიკური სირთულის გამო ქართულში 136 ლექსშია გადატანილი. Rinaque — კვლავ აღორძინება, ხელახლა აღმოცენება. ფიორენტინო ფრანგულად ასე გადმოგვცემს ამ ფრიად საგულისხმო სტრიქონს: Elle repoussa tout à coup a la place d'ou il l'avait arrachèe.

1. საშუალო საუკუნის ესქატოლოგიის მიხედვით, იერუსალიმი და მთა სალხინებელისა ურთიერთის გასწვრივ მდებარეობენ. მას საერთო ჰორიზონტი ჰქონდათ ვითომდაც.

4. ზემოდ ხსენებული ჰორიზონტის უშორესს წერტად აღმოსავლეთში მდინარე განგი იყო მიჩნეული (ინდოეთში) ხოლო დასავლეთით კადიქსი. ასე რომ იერუსალიმი ქვეყნის შუაგულად მიაჩნდათ.

5. თან ამოჰქონდა მას სასწორი, რომელიც მყისვე
გაუვარდება როგორც კი დღეს გაასწრებს ეამით.
7. თეთრი ღაწვები ასპიროზის იმ ადგილიდან
სადაც ვიდექი უკვე სჩანდა ბროწეულისფრად
9. შემდეგ სიბერემორეული გაყვითლდა უცებ.
ჩვენ ზღვის ნაპირზე ვაყოვნებდით, როგორც რომ კაცნი
11. შორეთზე ფიქრის ბურუსისგან გარემოცულნი
მგზავრობენ გულით, ერთ ადგილზე თავათ შთენილნი
13. როგორც მარიხი გარიჟრაჟზე ამოანათებს,
ზრქელ ნისლს გააპობს ლალისფერად გაწითლებული,
15. ზღვას თვალს დაადგამს დასავლეთის ცადაქმნილისკენ
ასე მეჩვენა მე ნათელი (ვნატრობ კვლავ ხილვას)
17. ზღვისკენ მოჰქროდა ისე სწრაფად, ვერავითარი
ანცი ფრინველი სისწრაფეში ვერ გაასწრებდა.
19. მცირე ხნით თვალი ავარიდე მე ამ ჩვენებას,
და მივუბრუნდი ჩემსავ ოსტატს შესასიტყვებლად
21. ისევ შევნიშნე სხივი იგი განდიდებული
შემდეგ კი ვნახე მის გარშემო ვით რიალებდა
23. რაღაც მოთეთრო, მოფარფატე, უცხო სხეული
პირველის ქვემოდ სხვა გამოჩნდა ახლა მეორე
25. სიტყვის წარმოთქმაც ვერ მოასწრო ჩემმა ოსტატმა
პირველად ნახულს გამოაჩნდა ერთბაშად ფრთები.
27. უკვე შეიცნო მან ციური იგი მენავე
წამოიძახა: „შეხე, შეხე უფლის ანგელოსს!“
29. მუხლთ მოიყარე, და დაიჭვდე გულმკერდზე ხელი
ამიერიდან შენ იხილავ ამგვარ შიკრიკებს
31. ადამიანურს ერიდება ის საშუალებებს,
აღარ სჭირდება არც ნიჩბები, არც აფრა რამე
33. საკუთარ ფრთებით დანავარდობს იგი შორეთში.
დახე, თუ როგორ გაიელვებს ის ცის სივრცეში,
35. გააპობს ჰაერს მარადიულ ფრთების ფარფატით,
არ გახუნდება ფრთები იგი აროდეს ჟამში“.
37. რაც უფრო მეტად იგი ჩვენსკენ მოიწეოდა,
მომეტებულად სხივოსანი ხდებოდა იგი
39. და თვალნი ჩემნი ვერ იტანდნენ მის ბრწყინვალებას,
ძირს დავიხედე, იგი მყისვე დაეშვა ხმელზე

---

5. როცა დღე და ღამე ურთიერთს უსწორდება ეს არის სასწორი. შემოდგომაზე როცა ღამე მატულობს, ფიგურალურად, ითქმის ღამეს სასწორი ხელიდან გაუვარდა.
7. აურორა — ასპიროზი მზის ჩასვლის წინ ჯერ გათეთრდება, შემდეგ გაწითლდება.
9. დასასრულ გაყვითლდება.

41. ისეთი სწრაფი და მსრბოლელი ჰაერის ნავით,
რომ წყალთა ზედან მისცურავდა დაუსველებლად.
43. მესაჭე იგი ზეციური მართავდა ხომალდს
და ნეტარება მის სახელზე ალბეჭდილიყო
45. და ასზე მეტი სული იჯდა იმავ ხომალდში
In exitu Israel d'Aegypto
47. იმასაც რაც რომ დაწერილი ფსალმუნში იქვე
გალობდნენ ერთად, შეწყობილი და ტკბილი ხმითა.
49. როცა პირჯვარი გადასახა მათ ანგელოსმა
გადმოხტნენ სულნი ხომალდიდან მყისვე ხმელეთზე
51. და იგი სწრაფად ისევ განქრა, გაუჩინარდა,
სულთა კრებული დარჩა ხმელზე უცხო იერის,
53. შემოგარენსა შესცქეროდნენ გაოცებულნი
ვითარცა კაცნი უცნაური საგნის მჭვრეტელნი.
55. მზე სხივს აფრქვევდა ყოველის მხრივ დღეს შემომდგარსა
ნათლის სხივები მიეფინა ყოველი მხრისკენ,
57. უკვე ისრებით კაპრიკორნი ცის შუა გულით
გადმოერეკა, როს სულებმა ზე აიხედეს,
59. შემოგვეევედრნენ: ვინძლო თქვენ ეს უწყოდეთ კიდეც,
რა რიგ შევუდგეთ ჩვენ იმ ათისკენ მიმავალ გზასა.
61. ვირგილიუსმა უპასუხა: თქვენ თუ გგონიათ,
თითქოს ამ ადგილს ჩვენ ვიცნობდეთ თუნდაც ოდნავად,
63. ჩვენც თქვენებრ უცხო მწირები ვართ, აქ ჩამოსულნი.
მცირე ხანია რაც მოვსულვართ, თუმც თქვენზე ადრე,
65. მხოლოდ სულ სხვა გზით და გზა იყო ესოდენ მძიმე,
რომ მთაზე ასვლა აწ იქნება შვების მომგვრელი.
67. როდესაც სუნთქვის ჩემის გამო შეიცვნეს სულთა,
ცოცხალთაგანი რომ ვიყავი, გაოცდნენ სრულად,
69. და ამიტომაც გაფითრება შეეტყოთ მყისვე.
ვით ზეთისხილის ტოტის მომტანს მშვიდობის მაცნეს,
71. ბრბო მისცვივდება ახალ ამბის მოსასმენელად
და არვის უნდა გაეცალოს ამ აურზაურს,
73. ასევე სულნი შემომერტყნენ მზერადქცეულნი,
ნეტარნი სულნი ჩემს გარშემო შემოკრბნენ თითქოს,
75. არვის უნდოდა წასულიყო განსაწმენდელად.
ერთი მათგანი გამოეყო ირგვლივ მოჯარულთ,
77. და მომინდომა მომხვეოდა ისეთის გრძნობით,
რომ მეც იგივე ჩავიდინე, განვიმეორე.

57. ლათ. Capricornus — caper — ვაცი, cornus რქა — ასტრ. სამხრეთის ცთომილი, ამ წრეში მხოლოდ დეკემბერში შედის მზე.

79. ჰოდ აჩრდილნო, უსხეულნო, ამაო სულნო...
სამგზის მოვხვიე სულ ამაოდ მე მას ხელები
81. სამგზისვე მევე შემეფინა ფარფატით მკერდზე
გაოცებისგან შემეცვალა მე ვფიქრობ ფერიც,
83. რადგანაც სულმა გაიღიმა, უკუმოიქცა,
დავწინაურდი და მოვყევი განლტოლვილს უკან.
85. ტკბილი უბნობით შემაყენა, მომეალერსა,
როს შევიცანი თუ ვინც იყო ვიწყე ვედრება,
87. მცირე ხანს ჩემთან დაყოვნებას, საუბარს ვთხოვდი
მითხრა: „როდესაც მე კავშირნი თან მახლდა ჩემნი
89. მიყვარდი მაშინ, არც აწ მძულხარ გააზატებულს,
მიტომც ვაყოვნებ, მაგრამ მარქვი შენ საით მიხვალ“.
91. „ჩემო კაზელლავ, ვმოგზაურობ რათა გავბრუნდე
იმ სამყაროში ხელმეორედ, — მივუგე სულსა, —
93. „მაგრამ შენ რატომ ჩამოსულხარ აქ ასე გვიან?“
მან მიპასუხა: „არ მომსვლია ეს უსამართლოდ,
95. ასე რომ იმან, ვინც მოიწვევს აქ თვის სასურველს,
მე მან მრავალგზისს აღმიკვეთა გადმოსახლება,
97. და ნება მისი ეფინება განაჩენს მართალს
ეს სამი დღეა რაც ღებულობს ის თვის ხომალდში,
99. ვისაც კი ნებსით მოუნდება ხომალდში ჩასვლა,
მეც ვიდექი ზღვის ნაპირზე იმავ ადგილზე,
101. სადაც ტიბროსი მარილიანს იგემებს წყალსა,
მან გულმოწყალედ შემივრდომა და შემიკედლა.
103. ამ შეკვეთილთან გადმოფრინდა იგი ანგელოს,
რადგანაც ყველა ჩვეულებრივ აქვე გროვდება,
105. ვინც აქერონის მღვრიე ტალღებს თან არ გაჰყვება.
მაშინ მივუგე: შეგეწიოს ალთქმა ახალი,
107. გწყალობდეს ნიჭი სიყვარულის ნაზ სიმღერების,
როდესაც სულის ჩემსა ღელვას რომ აოკებდნენ.
109. და მოანიჭე თუნდაც ლხენა მცირეოდენი
ჩემს სულს დაქანცულს, დამაშვრალსა და განწამებულს
111. სხეულის ჩემის აქ მოტანით დამძიმებულსა.
Amor che nella mente mi ragiona.

---

91. კაზელლა (Casella) — ფლორენციელი მუსიკოსი, დანტეს მეგობარი, რომელმაც ინდულგენცია მიიღო პაპისაგან (ბონიფაციუს VIII-საგან).

112. ამ უკვდავი სტრიქონისადმი განსაკუთრებული მოწიწების გამო ზოგიერთი მთარგმნელები, განსაკუთრებით ფიორენტინო, არ სთარგმნიან ამ სტრიქონს, ხოლო სიტყვა-სიტყვით ნიშნავს იგი შემდეგს: „როს სიყვარული ესიტყვება გონებას ჩემსას. ასე ერქვა დანტეს კანცონს, კაზელლას მიერ მუსიკაზე გადატანილს“.

113. ისე მწყაზარად, ისე ნაზად მღეროდა იგი,
რომ ბგერა იგი ამჟამადაც ცახცახებს ჩემში.
115. როგორც ვირგილი, ისე მეც და სულნი ჩვენს ეროვლიე
ისე ვუსმენდით მოხიბლულნი, იმა სიმღერით
117. თითქოს სხვაგვარი არ გვქონოდა ჩვენ საფიქრალი,
ასე ვიდექით, ყურს ვუგდებდით გარინდებულნი,
119. აჰა, ესერა, კვლავ წარმოდგა მოხუცი იგი
გვითხრა: ჰე, სულნო რას აყოვნებთ სულნო ზარმაცნო
121. აქ რას დამდგარხართ, ისწრაფოდეთ იმ მთაზე ასვლად,
რათა განწმენდილთ მოგეცალოთ ტანიდან ქერტლნი,
123. რაც ხელსა გიშლით ჯერაც ხილვად უფლისა თქვენის.
სწორედ ისევე როგორც მინდვრის მტრედის გუნდები,
125. ველზე კენკავენ იფქლისა თუ ღვარძლის ნამუსრევთ,
მშვიდნი, ყოველგვარ სიამაყის კიდეგან ვლიან,
127. მაგრამ როგორც კი გამოჩნდება საფრთხე რაიმე,
მყისვე ყველანი დასტოვებენ თავიანთ სარჩოს
129. საშიშროების განრიდებით აღტყინებულნი,
ასევე ვნახე: ახლადმოსულ სულების გროვა
131. მოსწყდა სიმღერას, გაექანა წამსვე თხემისკენ,
როგორც ის კაცი ვინც არ იცის საითკენ რბოდეს,
133. და ჩვენც ასევე უცაბედად ავიყარენით.

ქება მესამე

1. თუმც უცაბედად განტოლვილი სულები იგი
მყისვე მოედვნენ იქვე ტაფობს და მიაშურეს
3. მთას, რომელზედაც მოგველოდა განწმენდის ცეცხლი.
მე მოვუბრუნდი ჩემსა ოსტატს და ერთგულ მეგზურს
5. ან მე უმისოდ როგორ უნდა გავქცეულიყავ
ვინ გამიწევდა მწვერვალისკენ წინამძღოლობას!
7. და მე ვხედავდი მას გუნება ვით ამღვრეოდა
ჰოდ სინდისო სპეტაკო და კეთილშობილო
9. მცირე მიზეზიც კი იკმარებს — მოგგვაროს ქენჯნა.
როცა ოსტატმა შეანელა ლტოლვის ხიფიცხე.
11. რომელიც მუდამ ჩრდილს აყენებს დარბაისლობას,
ჩემი გონება იმ წუთამდის ფიქრით მოცული
13. მყის გამოფხიზლდა, ახალ აზრით გაბრწყინებული
და მივაპყარი ყურადღება მე მთასა მაღალს
15. რომელიც ზღვიდან ზეცისაკენ ალანძულიყო.
ძოწისფერმა მზემ გადმომდგარმა მაშინ ჩემს მხრებზე

17. სხივთა ჩქერალი დააფრქვია ჩემსა სხეულზე
და აიტუზა ჩემს წინაშე ჩემივე ჩრდილი.
19. შემკრთალმა განზე გავიხედე მყის უნებლიეთ
ასე მეგონა აქ მარტოკა დავშთენილვარო
21. ვნახე ეს მიწა ბნელს მოეცვა ჩემსა წინაშე.
ნუგეშისმცემმა ჩემმა მითხრა: რისთვის შეჰკრთიო,
23. ეს სთქვა და ისევ მეყვსეულად მობრუნდა ჩემთან.
„ეგებ არ გჯერა შენს ნაბიჯებს რომ ვხელმძღვანელობ“
25. ახლა ბინდდება იმ მხარეში, სად სამარეში
სძევს ის სხეული, ჩრდილის ტყორცნის რომ ჰქონდა ნიჭი.
27. ნეაპოლშია რაც წამერთო ბრინდისში ერთხელ
და თუ მე აწი ვერ მივაგებ ჩრდილს სხვა სხეულებს
29. ეს არც იმაზე საოცარად უნდა გეჩვენოს,
საგნიდან საგანს ცაში ჩრდილი რომ არ ადგება
31. უფლის სიქველე სიცივისა და სიტფოს გრძნობას
ანიჭებს სხეულთ და აღუძრავს ვნებათა ღელვას.
33. ისე რომ კაცნი ვერც შევწვდებით ამ საიდუმლოს.
შლეგია იგი ვინცა ჰფიქრობს გონება ჩვენი,
35. შესძლებდეს თითქოს თან მისდიოს ეტლსა უსრულოს,
რომელსაც მხოლოდ სამება ფლობს ერთსახიერი.
37. კაცნო იკმარეთ განმარტება თქმული „ვინადგან“
რადგანაც ყოვლის გაგებისა რომ გქონდეთ ნიჭი,
39. წმინდა შთასახვა მარიამსა რაღად სჭიროდა.
და თქვენ ხომ ნახეთ ის სულები ვისაც ამაოდ,
41. სურდათ წადილი მიხდომოდათ და ლამის შესძლეს,
მაგრამ სანაცვლოდ მათ მიეგოთ ცეცხლი უკუნი.
43. მე აქ ვგულისხმობ არისტოტელს, პლატონს და სხვებსაც“.
ეს სთქვა და თავი ძირს დახარა ოსტატმა ჩემმა.
45. დადუმდა კიდეც და მწუხარე მოიცვა ფიქრმა.
ამასობაში მივადექით ჩვენ კალთას მთისას
47. და გადავწყდით დაცერებულ კლდისა ფლატეებს,
სადაც ჩვენ ასვლას მთლად ამაოდ შევეცდებოდით,
49. ტურბიასა და ლერიჩს შორის უსასტიკესი
კლდის ნაპრალები მარჯვე კიბედ გეჩვენებოდათ
51. ამ ფლატეების, ამ ღრანტეების თვალის შემვლებელს.
„ვინ იცის ნეტავ საით მისდევს მთას გავაკება“.
53. მითხრა მეგზურმა, შეანელა მყისვე ნაბიჯი,
რომელსაც მგზავრი აჰყვებოდა ფრთების არ მქონე.

55. ვიდრე ოსტატი იდგა აგრე თავმოდრეკილი
აკვირდებოდა და ირკვევდა გზის ავანჩავანს,
57. მე მთის მწვერვალებს შევსცქეროდი, ვუთვალთვალებდი,
მხარმარცხნივ ვნახე, შევამჩნიე სულთა კრებული,
59. რომელნიც თითქოს მოდიოდნენ ჩვენსკენ ერთობლივ
და როგორც სჩანდა ნელის ბიჯით გზას მოჰყვებოდნენ.
61. „აღახვენ თვალნი, მივუბრუნდი და ვარქვი ოსტატს,
იქ მომავალნი მიგვაწვდიან თათბირს სანუკველს,
63. უკეთუ თავათ ველარ შესძლო გარკვევა გზისა.
თავი ასწია, გაუბრწყინდა სახე ჩემს მეგზურს,
65. „მივუახლოვდეთ რაკი ეგზომ ნელა მოდიან,
ხამს სასოება არ დააგდო აწ შვილო ჩემო“
67. ჯერაც ჩვენამდის უკლდათ სულებს კიდევ მანძილი,
მას შემდეგ რაც ჩვენ გადავცილდით ნაბიჯსა ათასს,
69. დარჩენილ სივრცეს ქვას მიაწვდენს კარგი მტყორცნელი
მაშინ ყველანი აეტმასნენ მთების ყორეებს
71. გამოეფინენ სალ-კლდეებზე ჯგუფ-ჯგუფად მდგარნი,
როგორც რომ მგზავრი გზის სისწორით დაეჭვებული.
73. „ჰოჲ თქვენ სულნო რჩეულნო და აღსრულებულნო“,
უთხრა ვირგილიმ, „გეფიცებით აწი მშვიდობას,
75. მზად ვარ ვირწმუნო ყოველივე თქვენგან ნათხრობი,
გვარქვით რა მხრისკენ გავაკება ადგება ამ მთას,
77. რათა შეგვეძლოს მივაღწიოთ ზეთავსა მისას?
რადგანაც ბრძენი ერიდება დროის დაკარგვას.
79. როგორც ბაკიდან გამორეკილ ცხვრების არვედან
გამოვა ერთი, შემდეგ ორი, სამი და სხვები,
81. დაშინებულნი თავმოდრეკით თავს ჩაქინდრავენ
რასაც ჩაიდენს მეწინავე სხვები ჰბაძავენ,
83. მოსჯარდებიან მის ზურგს უკან, თუ შესდგა იგი,
მორცხვნი, მორჩილნი, არ დასდევენ შედგომის მიზეზს,
85. ასე მეც ვნახე მომავალთა ჩვენსკენ სულების
მეწინავენი, წინამძღოლნი სათნო სახისა,
87. დინჯი ნაბიჯით მომავალნი, დარბაისლურად
მაგრამ როგორც კი თვალი ჰკიდეს ვით გადაიჭრა,
89. ნათელი ზოლი სინათლისა ჩემგან მხარმარჯვნივ
და ჩემი ლანდი გამოეყო და კლდეს მიადგა,
91. ისინი შესდგნენ, უკუიქცნენ მცირე მანძილზე.
სხვა დანარჩენნი, მომავალნი შემდგომად მათთა,

93. ასევე შესდგნენ არ უწყოდნენ რისთვის და რათა.
„მე თქვენ გაუწყებთ ვიდრე თავათ მკითხავდეთ ამას.
95. „თქვენ ხედავთ ცოცხალ ადამიანს თქვენსა წინაშე
„და ლანდმა მისმა გადასერა ჩრდილით ნათელი.
97. „ნუ გაოცდებით, მაგრამ მაინც ირწმუნეთ ესე
რომ ზეცისაგან მომავალის ძალის კიდეგან
99. როდი სწადია მას ავიდეს ამა მწვერვალზე“.
ასე უბნობდა ვირგილიუს, ქველმა კრებულმა:
101. გვითხრა: „გაბრუნდით და წინაშე ჩვენსა ვლიდეთო
თანაც ხელებით გვითითებდნენ მიმართულებას.
103. ერთმა მათგანმა მომაძახა: „ვინაც არ იყვე
იარე მაგრამ პირი ჩვენსკენ დაიჭირეო,
105. საიქიოში თუ გვყავარო სადმე ნახული.
რა მივუბრუნდი, მივაშტერდი მომნუსხველ მზერით,
107. ის იყო ქერა, სახით ქველი პირმშვენიერი
ერთ-ერთი წარბი გაპობილი ჰქონდა ჭრილობით
109. და როცა კრძალვით ვივუარე „აროდეს მეთქი,
არსად მინახავს შენი სახე“... მითხრა „დახეო“
111. თანაც მიჩვენა მან ჭრილობა მკერდისა ზემოდ
იწყო უბნობა გამილიმა მანფრედო ვარო
113. იმპერატორის კონსტანცისა მე შვილის შვილი.
აწ გევედრები როს გაბრუნდე ისევ მიწაზე
115. მოინახულე ჩემი ქალი მზითუნახავი.
არაგონის და სიცილიის მთავრების დედა.
117. ამცნე სიმართლე თუ წაბილწონ ჩემი სახელი
იმ წუთში როცა გამიგმირა მტერმა სხეული
119. ორი ჭრილობა მომაყენეს მე სასიკვდილო
მივმართე უფალს გულმოწყალეს მწარე ქვითინით,
121. მძიმე ცოდვები მედებოდა იმ სოფელს ვალად,
მაგრამ სიკეთე და მოწყალე მკლავი უფლისა
123. ყველას მიიღებს, შეივრდომებს და შეიწყნარებს.
კოზენცას პასტორს მიჩენილსა ჩემდა სადევნად
125. კლემენტის მიერ წარმოგზავნილს მაშინ ენახა
გადაკეცილი საღმრთო წიგნის ფურცელი ერთი.
127. ეს ჩემი ძვლები იქნებოდა იქვე დაფლული
იმ სამარეში ბენევენტის ხიდისა ყურთან
129. სადაც მან ლოდი გადახადა სამარეს ჩემსას
ახლა მათ წვიმის თქეში რეცხავს, უბერავს ქარი,

131. ვერდეს ნაპირას სამეფოის საზღვარს გადაღმა.
სადაც მან ძვლები მოიტანა ჩამქრალ ჭაღებიდ
133. მაგრამ სულს ისე ვერ წაწყმინდავს თვით ანათემა
რომ სიყვარული მან დაჰკარგოს მარადჟამული.
135. ვიდრემდის რწმენა კიდევ ბჟუტავს ქრთილის ოდენა.
ისიც სწორია როცა ურჩი ეკლესიისა
137. კვდება, თუ ცოდვაც აღიაროს სიკვდილის პირზე
ამ მწვერვალამდის უნდა დარჩეს განუწმენდელი
139. ყოველი წლისთვის რამდენსაც იქ ურჩობდა თავათ
ორჯერ ხუთმეტი ყავლი გავა თუ კი სასჯელი,
141. ღირსეულ ლოცვით არ იქნება შემცირებული.
ახლა დაფიქრდი, თუ რაოდენს მიზამ სიკეთეს
143. თუ ყოველივეს შენ აუწყებ ჩემს ქველ კონსტანცას
როგორც შეხვედრის ჩვენის ადგილს, ისევე ვადას
145. იქ დარჩენილთა ლოცვა ჩვენ აქ წარმოგვადგება.

იტალიურიდან თარგმნილი კონსტანტინე გამსახურდიას მიერ

რევოლუციური მოძრაობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ბერია

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის*)

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლა და გაგება წარმოადგენს პარტიისა და კომკავშირის წევრთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

ამხ. სტალინმა თავის ისტორიულ სტატიაში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე" (ჟურნალი „პროლეტარსკაია რევოლუცია", № 6, 1931 წ.) პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დააყენა ჩვენი პარტიის ისტორიის ბოლშევიკური შესწავლის ამოცანა.

აი რასა სწერდა მაშინ ამხ. სტალინი ამ ამოცანის შესახებ:

> „... სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დავაყენოთ მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე და გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტული ფალსიფიკატორებისა და ყველა სხვა ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სისტემატურად ავხადოთ მათ ნიღაბი".

ეს ამოცანა მოითხოვს, რომ სათანადო სიმაღლეზე იყოს დაყენებული პარტიის ისტორიის სწავლება, ჩვენი პარტიის ისტორიაში ანტიპარტიულ დაჯგუფებათა და პარტიის ხაზთან მათი ბრძოლის ხერხების შესწავლა.

ეს ამოცანა მოითხოვს, რომ პარტიის წევრებმა იცოდნენ არა მარტო ის, თუ როგორ ებრძოდა და სძლევდა პარტია კადეტებს, ესერებს, მენშევიკებს, ანარქისტებს, არამედ ისიც, თუ როგორ ებრძოდა და სძლევდა პარტია ტროცკისტებს, „დემოკრატიულ ცენტრალისტებს", „მუშათა

*) მოხსენება ტფილისის პარტაქტივის კრებაზე 21 — 22 ივლისს.

ოპოზიციას", ზინოვიეველებს, მემარჯვენე უკლონისტებს, მემარჯვენე-„მომემარცხენო" მახინჯებს და სხვ.

სათანადო სიმაღლეზე რომ ავიყვანოთ რევოლუციური სიფხიზლე და შევაიარაღოთ კომუნისტები ჩვენი პარტიის ყველა მტრის წინააღმდეგ, საჭიროა პარტიის წევრი იცნობდეს ლენინურ-სტალინური პარტიის მშენებლობისა და ბრძოლის გმირულ გამოცდილებას; საჭიროა მან იცოდეს და შეიგნოს არა მარტო პარტიის წარმატებანი და გამარჯვებანი, არამედ ისიც, თუ როგორ მოიპოვა პარტიამ ეს გამარჯვებანი ლენინიზმის ყველა მტერთან ბრძოლაში.

სოციალიზმის გამარჯვებისა, ფართო მშრომელი მასების უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური ზრდისა და განადგურებული კლასობრივი მტრის ნაშთთა წინააღმდეგობის გამწვავების პირობებში საჭიროა ყოველმხრივ ავამაღლოთ მარქსისტულ-ლენინური განათლების დონე და, პირველ ყოვლისა, ჩვენი პარტიის ბოლშევიკური ისტორიის ცოდნის დონე.

ახლა ჩვენ გვესაჭიროება, რომ პარტიისა და კომკავშირის წევრებმა უფრო სერიოზულად და ღრმად შეისწავლონ ბოლშევიზმის ისტორია, ყოველგვარი ანტილენინური გადახრებისა და მიმდინარეობათა წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორია.

ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი პარტიის ისტორიის ისეთი შესწავლა, რომელიც უზრუნველჰყოფს ლენინიზმის მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ბოლშევიკთა ბრძოლის გმირული გამოცდილების შეთვისებას და რომელიც შეაიარაღებს ჰარტიისა და კომკავშირის წევრებს პარტიის მტრებთან საბრძოლველად, ყველა განადგურებული კონტრრევოლუციური, ანტიპარტიული ჯგუფების იდეათა (ა შეხედულებათა გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკმაო მუშაობა ჩაატარეს პარტიის ისტორიის პროპაგანდისა და შესწავლის დარგში. მაგრამ ჩვენი მიღწევანი ამ უბანზე აშკარად საკმარისი არ არის. **განსაკუთრებით ჩვენ ჩამოვრჩით ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის ბოლშევიკურ დამუშავებასა და შესწავლაში, ლენინ-სტალინის საქმისათვის ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლის შესწავლაში.**

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს მოეპოებათ ლენინური პარტიის მშენებლობისათვის იმ ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელი ისტორია, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე, განუყრელად დაკავშირებულია ამხ. სტალინის მუშაობასთან და სახელთან (მქუხარე ტაში).

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის დამუშავებისა და შესწავლის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობამ და ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-7 ყრილობამ.

ყრილობებზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ცალკეულ კომუნისტ-ისტორიკოსთა ნაშრომებში დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი.

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) მე-9 ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში მოგვცა დირექტივა:

> „აღნიშნავს რა საქართველოს და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობისა და პარტიის ისტორიის დამახინჯების ფაქტებს მთელ რიგ კომუნისტ-ისტორიკოსთა ნაშრომებში, ყრილობა აუცილებელ საჭიროებად სთვლის უფრო მეტად გაამახვილოს საქართველოს ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღება ბოლშევიზმის ისტორიის ფალსიფიკაციის ცდების წინააღმდეგ“.

ყრილობის შემდეგ ჩვენმა ორგანიზაციებმა უკეთ მოჰკიდეს ხელი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მასალების შეგროვებასა და დამუშავებას.

მაგრამ **ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული**, ჯერ კიდევ მრავალი მასალა და დოკუმენტი არ არის შეგროვებული.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალმა დღემდე ვერ შესძლო გამოეშვა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დოკუმენტთა და მასალათა კრებული, აგრეთვე არ გამოუცია არც ერთი ორიგინალური ნაშრომი.

უნდა აღვიაროთ, რომ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ისტორიის შესწავლას და დამუშავებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლის გაშუქებას ცალკეული ამხანაგების ნაშრომებში, როგორიცაა, მაგალითად, ნაშრომები ამხ. ფ. მახარაძისა („საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორია“, „1905 წელი ამიერ-კავკასიაში“, „ტფილისის ორგანიზაციის არსებობის 30 წლისთავისათვის“, „ამერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ნარკვევები“ და სხვ.), ა. ენუქიძისა („ჩვენი არალეგალური სტამბები კავკასიაში“), მ. ორახელაშვილისა („ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს“, რკპ ისტორიის ქრესტომათია, „სოციალიზმისათვის ბრძოლის 25 წელი“ მ. ორახელაშვილის რედაქციით, გამოცემული საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ და სხვ.), — ისინი შეიცავენ პრინციპული და ისტორიული ხასიათის მთელ რიგ შეცდომებს, ამახინჯებენ ცალკეულ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს და **არაკეთილსინდისიერად** გადმოგვცემენ ცალკეულ მომენტებს პარტიის ისტორიიდან.

ამ ამხანაგებს დღემდე არ უზრუნვიათ იმაზე, რომ გადაემუშავებინათ თავიანთი ნაშრომები და გაესწორებინათ დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის წევრები და კომკავშირის წევრები, უპარტიო მუშები და კოლმეურნეები უდიდეს ინტერესს იჩენენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლისადმი.

პარტიული ორგანიზაციები დაბეჯითებით მოითხოვენ ჩვენგან ისტორიულ ლიტერატურას, რომელიც სწორად გააშუქებს ჩვენი პარტიული ორგანზაციების ისტორიას.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-7 ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) მე-9 ყრილობის შემდეგ ჩვენ უკვე შევაგროვეთ მთელი რიგი მასალები და დოკუმენტები ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ისტორიიდან.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალეს მე, ამ მასალებისა და დოკუმენტების საფუძველზე, გავაშუქო **ზოგიერთი საკითხი** (ფაქტები და მოვლენები) ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან.

I

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის (1897 — 1904 წლები)

მარქსიზმის პირველი თესლი ამიერ-კავკასიაში 90-იანი წლების პირველ ნახევარში შემოიტანეს, ერთი მხრივ, მეფის მთავრობის მიერ რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან გადმოსახლებულმა რუსმა სოციალ-დემოკრატებმა (იოსებ კოგანმა, ივანე ლუზინმა, ფრანჩესკიმ და სხვ.), და, მეორე მხრივ, საზღვარგარეთ ნამყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა (ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ და სხვ.).

პირველ მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას საქართველოში „მესამე დასი" წარმოადგენდა. „მესამე დასის" ძირითად ჯგუფს, რომელიც ტფილისის — მთელი ამიერ-კავკასიის მაშინდელი ცენტრის — ქართულ ლეგალურ პრესაში (გაზეთი „კვალი", „მოამბე") მარქსიზმს ქადაგებდა, იყო ნოე ჟორდანიას ჯგუფი (1893 — 1898 წ. წ.).

სახელწოდება „მესამე დასი" შემოიღო მწერალმა გ. წერეთელმა, ასე უწოდა მან ახალ ჯგუფს თავის სიტყვაში მწერლის ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე, გურიაში, რომელზედაც მოხდა მარქსისტული ახალგაზრდობის (ს. ჯიბლაძე და სხვ.) საჯარო საპროგრამო გამოსვლა.

გიორგი წერეთელი, როცა ამ ახლად აღმოცენებულ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას „მესამე დასს“ უწოდებდა, სთვლიდა, რომ ახალი თაობა — მარქსისტული ახალგაზრდობა — წარმოადგენდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენციის ორი წინანდელი პოლიტიკური მიმართულების საქმის განმგრძობს: ფეოდალურ-პროგრესიული მიმართულებისა, მწერლის ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, და ბურჟუაზიულ-პროგრესიული მიმართულებისა, თითონ გ. წერეთლის მეთაურობით. მისი აზრით, ახალი მიმდინარეობა ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური მემკვიდრე უნდა ყოფილიყო.

გიორგი წერეთელი თავის გაზეთ „კვალში“ „მესამე დასის“ შესახებ სწერდა:

„1890 წლიდან დაჰბერა კვლავ ახალმა პროგრესიულმა სიომ. ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა არაჩვეულებრივი მიმართულების თითო-ოროლა ახალგაზრდა, რომელმაც თავი იჩინა „კვალში“ 1893 წ. თავისებური პროგრამით. ესენი არიან ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის მიმდევარნი. ამ „დასის“ მეთაურათ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ნინოშვილი, ხოლო პუბლიცისტიკაში — ნოე ჟორდანია.

ერთ „მეორე დასის“ წარმომადგენელთაგან ბ-ნ გ. წერეთელს წილად ხვდა ყველაზე ადრე შეენიშნა ეს ახალი პროგრესიული მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში და იმანვე მონათლა ახალი ჯგუფი „მესამე დასათ“.

ეს ჯგუფი რომ ნამდვილ მემკვიდრედ უნდა გახდეს „მეორე დასისა“... ამას თვით ლიტერატურულ-პუბლიცისტური ფაქტები წარსულისა ცხადად ამტკიცებს“.

(იხ. გაზ. „კვალი“, 1897 წ. № 46).

„მესამე დასის“ ჩასახვა უნდა მივაკუთვნოთ 1893 წელს. ს. ჯიბლაძემ, „მესამე დასის“ ერთერთმა ფუძემდებელმა, ასე ჩამოაყალიბა „მესამე დასის“ ძირითადი იდეები:

„ჩვენ ვამბობთ, — სწერდა ის —

1) ჩვენს ცხოვრებაში ეს 25 — 30 წელია დაიწყო ახალი ხანა მისი ნიშნობლივი თვისება გამოიხატება განსაკუთრებულ ეკონომიურ ურთიერთობაში, რაიცა მოასწავებს აღებ-მიცემობას, ვაჭრობას. აქ ძველი ბატონი უთმობს თავის ალაგს ახალს — ფულს. ფული არღვევს ძველს, აშენებს ახალს. ის ყოფს ხალხს ორ ნაწილად, ცხოვრებაში ჩნდება ორი კლასი: მდიდარი და ღარიბი. ძველი წოდებრივი განსხვავება — ფიქციაა. აღებ-მიცემობა გამოწვეულია შრომის განაწილებით, საქონლის წარმოებით. საქონლის წარმოება — ეს საზოგადოდ იგივე კაპიტალიზმია.

2) კაპიტალიზმის განვითარებას აქვს რამოდენიმე მომენტი, ანუ ფაზისი. კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ საფეხურს შეადგენს „მსხვილი წარმოება". ამ საფეხურზე ჩვენ [illegible] ვიმყოფებით, მაგრამ ფეხი ჯერ ვერ მოგვიმაგრებია.

3) თუ ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ გარკვეული არ არის პროლეტარიატი და ბურჟუაზია, ეს იმას კი არ მოასწავებს, არ იყოს არც ერთი, არც მეორე. რამდენადაც ჩვენი დიდი მემამულეები მდიდრდებიან მიწის შემოსავლით — ისინი ბურჟუებია. ამას მიუმატეთ: მექარხნე, მევახშე, მოვაჭრე და სხვა მწარმოებლები. ჩვენი პროლეტარიატი არეულს სხეულს წარმოადგენს. აქ უმეტესობას მცირე მამული აქვს, რომელიც მხოლოდ მესაკუთრის სახელს აძლევს, ნამდვილად კი გაღატაკებული ბოგანოა. ესენი მუშა ხალხია, რომლის ბედ-იღბალი დამოკიდებულია, როგორც საქონლის, ისე მუშათა ხელის ბაზარზე. ესენი სრულს გაპროლეტარების გზას დაადგენ.

4) ჩვენს ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა ახალმა (მესამე) „დასმა". ეს დასი წარმოადგენს სრულს წინააღმდეგობას ძველი უნიადაგო დასისას. ის პროგრესიულია. უკანასკნელი კი რეგრესიული. ბურჟუაზიას ჯერ არა აქვს ჩვენს ლიტერატურაში თავისი ორგანიზაცია, არა ყავს იქ გამომთქმელი თავისი დასი, თუ მხედველობაში არ მივიღეთ ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მიმოხილვები „მოამბეში". ის მუშაობს ცხოვრებაში. რამდენადაც მისი მოქმედება არღვევს ძველს პატრიარქალურ წესწყობილებას, ის პროგრესიულია, რამდენადაც აღატაკებს ხალხს — რეგრესიულია. ახალი დასის დროშაზე წერია: „ცხოვრების ახალი მიმდინარეობის მეცნიერულათ გამოკვლევა და ბრძოლა, არა მისი ტენდენციის წინააღმდეგ — ეს უჩვენოთ ხდება — არამედ იმ შედეგების წინააღმდეგ, რომელნიც ათახსირებენ ადამიანებს". ბრძოლა ამ შემთხვევაში ნიშნავს დაჩაგრულთა გაცნობიერებას და მათი ინტერესებისათვის ბრძოლას. ამ ახალ მიმართულების მტერი, ამავე დროს, მტერია დაჩაგრულთა.

ეს არის ჩვენი შეხედულობა ჩვენს ცხოვრებაზე საზოგადოთ და ლიტერატურაზე კერძოთ".

(გაზ. „კვალი", № 14, 1895 წ. 26 მარტი, გვ. 15).

ამრიგად, „მესამე დასი" სცნობდა კაპიტალიზმის პროგრესიულობას და ატარებდა კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასთა ბრძოლის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შინაარსის, იდეას.

მაგრამ „მესამე დასელთა" უმრავლესობას არასოდეს არ მიუყვანია კლასობრივი ბრძოლის იდეა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე.

„მესამე დასის“ იდეოლოგი და ყველა საპროგრამო ნაშრომის ავტორი იყო ნოე ჟორდანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ნაშრომებში ნოე ჟორდანია იცავდა კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობასა და პროგრესიულობას, ლიბერალური ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კავშირის იდეას და ჰქადაგებდა საქართველოს ეროვნული აღორძინების იდეას.

ნოე ჟორდანა არასოდეს არ მისულა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე. ნოე ჟორდანია თავიდანვე იცავდა და ჰქადაგებდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ თეზისს: კაპიტალიზმის ეკონომიური ცხოვრება, ეროვნული კულტურა და ეროვნული ხასიათი საზოგადოების ყველა კლასს მთლიან ეროვნულ ორგანიზმად აერთებს და ერის აღორძინების საქმეში ერთნაირად დაინტერესებულია ერის ყველა კლასი.

იგი სწერდა:

„აი ამ საისტორიო გზას (ლაპარაკია განვითარების კაპიტალისტურ გზაზე. **ლ. ბ.**) დაადგა ქართველობა; ჯერ მხოლოდ ერთი ბიჯი გადადგა ამ მხრით და მით ფეხი მოიმაგრა ახალ ნიადაგზე. ამით მიეცა შეურყეველი საფუძველი ქართველ ეროვნებას. ერი შეება საერთო უღელში, შეეჩვია ერთათ ცხოვრებას, ერთათ მოღვაწეობას; მომზადდა ნიადაგი გონებრივი ერთობისა“.

(ნ. ჟორდანია, სტატია „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“, 1894 წ., იხ. „რჩეული ნაწერები“, გამომცემლობა „კულტურა“, 1911 წ., გვ. 27).

„მესამე დასის“ ჯგუფი თავისი პოლიტიკური მიმართულებით ერთგვაროვანი არ ყოფილა. „მესამე დასის“ უმრავლესობა, ჟორდანიას მეთაურობით, წარმოადგენდა „ლეგალური მარქსიზმის“ ჯგუფს, რომელიც თავის ნაწერებში პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის მთელ რიგ ძირითად საკითხებზე ამახინჯებდა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას, ავულგარებდა მარქსიზმს და ნაციონალისტურ ელფერს აძლევდა მას.

ნოე ჟორდანია და „მესამე დასის“ უმრავლესობა უარყოფდნენ რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას და პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას.

ეროვნულ საკითხში ჟორდანიას ჯგუფი თავიდანვე ნაციონალისტურ პოზიციაზე იდგა.

ნოე ჟორდანია აყენებდა და იცავდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო ნიადაგისა და საერთო ეროვნული მოქმედების თეორიას.

იგი სწერდა:

„ერი გაერთიანებული ნივთიერად — გაერთიანებულია იდეებითაც. ყველას სურს განავითაროს ეროვნული შრომა, გააღონიეროს

ერი... ერის სიდიადეში დაინტერესებულია, როგორც ბურჟუა-ვაჭარი, ისე გლეხი — მუშა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ნ. ჟორდანია, სტატია „ეკონომიური წარმატება და ეროვნება", 1894 წ., იხ. „რჩეული ნაწერები", გამომც. „კულტურა", 1911 წ., გვ. 9).

ან:

„იშვიათია ისეთი ქართველი, რომელსაც ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება და განვითარება არ სურდეს... აქ, ამ კითხვაში, ყველა გულწრფელი და პატიოსანი მუშაკი ერთდება და ერთი მიზნით აღფრთოვანებული საზოგადო საქმეს მხნეთ ეკიდება".

(ნ. ჟორდანია, სტ. „ჩვენი უთანხმოება", იხ. „რჩეული ნაწერები". გამომც. „კულტურა", 1911 წ., გვ. 257).

„მესამე დასელთა" უმრავლესობა ჟორდანიას მეთაურობით, იცავდა რა საქართველოს კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობასა და გარდაუვალობას, მკაცრად აკრიტიკებდა რა ქართველი ინტელიგენციის ფეოდალურ-აზნაურულ და ხალხოსნურ იდეურ მიმართულებებს, ხედავდა უმთავრესად კაპიტალიზმის მხოლოდ დადებითსა და პროგრესიულ მხარეს, აღტაცებული იყო კაპიტალისტური პროგრესით, რომლისგანაც გამოელოდა ქართველი ხალხის აღორძინებას და არ აყენებდა კაპიტალიზმთან რევოლუციური ბრძოლისა და ბურჟუაზიული წყობილების დამხობის საკითხს.

ჟორდანია სწერდა:

„გაევროპიელება წარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა. ქართველობა და ევროპიელობა — აი რა წერია ახალ დროშაზე. ამის ამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა — ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა".

(ნ. ჟორდანია, სტ. „გაზ. „ივერია" და ეროვნობა", 1897 წ., იხ. „რჩეული ნაწერები", გამომც. „კულტურა", 1911 წ., გვ. 114).

„მესამე დასის" უმრავლესობა და ნოე ჟორდანია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ოპორტუნისტულ გაგებას არ გასცილებიან და თავს მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენლად სთვლიდნენ.

„დემოკრატიულ დასმა ახალი ნიადაგი უნდა მოძებნოს და მით შეიქნეს ძველი პროგრესიული დასის გამგრძობი. „ივერიამ" ასეთი ნიადაგი თავად-აზნაურობაში ჰპოვა. ჩვენ ამ ნიადაგს ვეძებთ ერის უმრავლესობაში, მიუხედავად წოდებისა".

(ნ. ჟორდანია, სტ. „გაზ. „ივერია" და ეროვნობა", 1897 წ., იხ. „რჩეული ნაწერები", გამომც. „კულტურა", 1911 წ., გვ. 66).

ნოე ჟორდანია გამოდიოდა საერთო-ეროვნული ნიადაგის თეზისიდან და მეორეხარისხოვან ადგილს უთმობდა კლასობრივ ბრძოლას საერთო-

ეროვნულ მოძრაობაში, პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, იგი ბურჟუაზიულ-ეროვნული მოძრაობის ინტერესებს უქვემდებარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი სწერდა:

„ამ მიმდინარეობას ეძლევა ორი ფორმა: შინაგანი, კლასიური და გარეგანი, ეროვნული, ბრძოლა კლასთა და ერთა შორის. პირველი (კლასთა შორის ბრძოლა. ლ. ბ.) რაც უნდა ძლიერი იყოს, აქვს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთათ დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმიან. ეს ქმნის იმას, რასაც ეწოდება ერი, ეროვნული ძალა. აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარეთ სხვა ერია, ამას შიგნით კლასებია, ირგვლივ კი ეროვნული ძალა, ეროვნული კულტურა, ეროვნული შენობაა“.

(ნ. ჟორდანია, სტატია „მესამოცე წლების მოღვაწენი“, იხ. „რჩეული ნაწერები“, 1911 წ., გამომც. „კულტურა“, გვ. 165).

ნოე ჟორდანია ჯერ კიდევ 1898 — 1899 წლებში აშკარად გამოდიოდა დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის აპოლოგიით. იგი იცავდა კაპიტალიზმის ცივილიზატორული მისიის იდეას კოლონიური და ჩარმორჩენილი ქვეყნებისათვის. იგი ამტკიცებდა, ჩამორჩენილმა კოლონიურმა ხალხებმა უცხოეთის კაპიტალის ბატონობა ისტორიულად აუცილებელ, პროგრესიულ მოვლენად უნდა მიიჩნიონ და სათანადოდ შეაფასაონ კაპიტალიზმის დამსახურებაო.

ინგლისისა და ბურების ომთან დაკავშირებით ჟორდანია აშკარად ჰქადაგებდა სოციალ-იმპერიალისტურ თეზისს.

აი რას სწერდა იგი მაშინ:

„მარა სიმპატია ბურებისადმი სრულებით არ მოითხოვს სიძულვილს ინგლისელთადმი. ბურებს თანაუგრძნობთ იმიტომ, რომ ის პატარა ერია და თავის სამშობლოს, თავის თავისუფლებას იცავს. ინგლისი? ინგლისი სასიყვარულო და სათანაგრძნობოა მრავალნაირათ. ინგლისი, ეს აკვანია ყოველივე იმის, რითაც დღეს თავი მოაქვს განათლებულ კაცობრიობას...

დეე, ბურებმა დაიფარონ თავისი პაწია სამშობლო... მარა, დეე ამასთანავე ინგლისი დარჩეს დიდებულ ინგლისათ, ახალი ცხოვრების მოციქულათ და ახალი დროშის მატარებლათ. დეე, ის იყოს ცივილიზაციის მეთაურათ და მებაირალტრეთ“...

(ნ. ჟორდანია, სტატია „ბურები“, გაზ. „კვალი“, № 51, 1899 წ.).

1893 — 1897 წლების პერიოდში „მესამე დასის“ შემადგენლობაში შედიოდენ: ნოე ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ეგნატე ნინოშვილი, ისიდორე რამიშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ს. წულუკიძე, კარლო ჩხეიძე, ე. ვაწაძე, სევერიან ჯუღელი, ვ. ცაბაძე, დიმ. კალანდარიშვილი, ლ. დარჩიაშვილი, რ. კალაძე, ი. კაკაბაძე, პეტრე გელეიშვილი, ა. წითლიძე, ი. კვიცარიძე და სხვ.

ამ ჯგუფში 1897 წელს შევიდა ლადო კეცხოველი, ხოლო 1898 წელს — ამხ. ი. სტალინი, რომლებმაც სიახლე, რევოლუციურობა შეიტანეს ჯგუფის ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მესამე დასმა“ და მისმა უმრავლესობამ ჟორდანიას მეთაურობით 1893 — 1898 წ.წ. პერიოდში ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა. მან დასაბამი მისცა მარქსისტული იდეების გავრცელებას საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში და, ყველა თავისი ნაკლის მიუხედავად, მაინც ბიძგი მისცა რევოლუციურ ახალგაზრდობას და მოწინავე მუშებს მარქსიზმის გაცნობისა და შესწავლის საქმეში.

„მესამე დასს“ პრაქტიკაში ჰქონდა შემოღებული მარქსისტული ახალგაზრდობის გაგზავნა საზღვარგარეთ და რუსეთის ცენტრალურ რაიონებში მარქსიზმის შესასწავლად. „მესამე დასმა“ საზღვარგარეთ გაგზავნა ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ს. წულუკიძე, აკაკი ჩხენკელი და სხვ.

მაგრამ „მესამე დასის“ უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით მარქსიზმის იდეების მშვიდობიან ლეგალურ პროპაგანდას და მუშებში ვიწრო-პროპაგანდისტულ. საწრეო მუშაობას არ გასცილებია. „მესამე დასის“ უმრავლესობა არ სცნობდა იმას, რომ აუცილებელი იყო არალეგალური რევოლუციური პრესა, მასობრივი პოლიტიკური აგიტაცია და მუშათა კლასის პოლიტიკური რევოლუციური ბრძოლის ორგანიზაცია, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

„მესამე დასის“ შიგნით 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი — ს. წულუკიძე, ლადო კეცხოველი და ი. სტალინი. ეს ჯგუფი წარმოადგენდა „მესამე დასის“ უმცირესობას, რომელიც მთელ რიგ ძირითად საკითხებში არ ეთანხმებოდა „მესამე დასის“ უმრავლესობას.

პირველმა მწვავე უთანხმოებამ თავი იჩინა 1898 წელს არალეგალური პრესის საკითხის გამო.

„მესამე დასის“ უმცირესობა არალეგალურ პრესას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდისა და გავრცელების, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური აგიტაციის, მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციის და ნამდვილი პროლეტარული რევოლუციური პარტიის მშენებლობის საქმეში და არალეგალური გაზეთის დაარსების ამოცანას აყენებდა.

„მესამე დასის“ უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით უარჰყოფდა არალეგალური პრესის აუცილებლობას.

მეორე მწვავე უთანხმოებამ თავი იჩინა 1900 წელს რუსი სოციალ-დემოკრატის „ისკრელი“ ვ. კურნატოვსკის ჩამოსვლის შემდეგ ამ საკითხზე: საწრეო მუშაობას უნდა დაეჯერდეთ, თუ მომწიფდა დრო მასობრივ აგიტაციაზე, თვითმპყრობელობასთან აშკარა ბრძოლაზე გადასასვლელად.

უმცირესობა მოითხოვდა მუშებთან წრეებში მეცადინეობიდან გადასვლას მუშათა კლასის მასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობაზე და პროპაგანდიდან — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლის აშკარა ფორმებზე. მან წამოაყენა ამოცანა — გადაეყვანა ეკონომიური გაფიცვები პოლიტიკურ რელსებზე, მოეწყოთ და ჩაეტარებინათ მუშათა დემონსტრაციები, უფრო ფართოდ გამოეყენებინათ ქუჩა თვითმპყრობელობის დასამხობად მიმართული პოლიტიკური ბრძოლისათვის.

„მესამე დასის" უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით უარჰყოფდა მასობრივ აგიტაციაზე გადასვლის აუცილებლობას და თვითმპყრობელობასთან აშკარა ბრძოლას.

ამხ. ვ. კურნატოვსკის მცირე დახმარება არ გაუწევია ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის ლენინურ-ისკრული ხაზის გატარების საქმეში.

ვიქტორ კურნატოვსკი მომზადებული, განათლებული მარქსისტი იყო, ლენინური „ისკრის" მტკიცე და თანმიმდევარი მომხრე.

ამხანაგ ვიქტორ კურნატოვსკის შემდეგნაირად იგონებენ მოწინავე მუშები — ამხ-ბი არაქელა ოქუაშვილი და გიორგი ჩხეიძე, რომლებიც მას მუშაობით იცნობდნენ და მასთან ერთად ისხდნენ ტფილისის საპყრობილეში 1902 წელს.

„უნდა ითქვას, რომ კურნატოვსკის მიმართავდა ყველა ამხანაგი ყოველგვარი კამათისა და დისკუსიის დროს. მის დასკვნებს ყოველთვის შეუკამათებლად ღებულობდნენ. კურნატოვსკი მტკიცე და შეურიგებელი რევოლუციონერი იყო".

(ა. ოქუაშვილისა და გ. ჩხეიძის მოგონებებიდან).

უმცირესობა (ამხ-ბი სტალინი, კეცხოველი, წულუკიძე) მესამე დასის უმრავლესობასთან გადამჭრელ ბრძოლაში, აფართოებს რა თავის გავლენას მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში 1899—1900 წ. წ., ახერხებს ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გადაყვანას მასობრივ აგიტაციაზე და პოლიტიკურ ბრძოლაზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ეს ჯგუფი („მესამე დასის" უმცირესობა) რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახი გახდა.

„მესამე დასის" უმცირესობის წარმომადგენელი ამხანაგების უდიდეს რევოლუციურ მუშაობაზე შემდეგ ჩვენ უფრო დაწვრილებით მოგვიხდება შეჩერება.

„მესამე დასის" უმრავლესობასა და უმცირესობას შორის 1898 — 1900 წლებში ჩამოვარდნილი უთანხმოება გადაიქცა ზოგად უთანხმობად ბოლშევიზმისა და მენშევიზმის საკითხებში პარტიის II ყრილობის შემდეგ, უმთავრესად 1904 წლის დამლევიდან და 1905 წლის დამდეგს.

„მესამე დასის" უმრავლესობა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პლეხანოვი მენშევიკებთან გადავიდა, მენშევიზმის პოზიციებზე დადგა, ხოლო უმცირესობა — „მესამე დასის" ლენი-

ნურ-ისკრული ჯგუფი — ბოლშევიზმის პოზიციას დაადგა და 1904 წლის დამლევს, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა როგორც ლენინური ბოლშევიკური ორგანიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1904 წლის დამლევს და 1905 წლის დამდეგს ტფილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში შედიოდნენ ამხანაგები — სტალინი, ს. წულუკიძე (ლადო კეცხოველი 1903 წელს მეტეხის ციხეში მოჰკლეს მეფის ჯალათებმა), მ. ცხაკაია, ა. ჯაფარიძე, სტ. შაუმიანი, მ. დავითაშვილი, ს. ინწკირველი, სპანდარიანი, ბუდუ მდივანი, კოტე ცინცაძე, ს. ქავთარაძე, ნ. ქარცივაძე, ფ. მახარაძე, მ. ტოროშელიძე და ისეთი მოწინავე მუშები, როგორიც იყვნენ მ. ბოჭორიძე, ვ. სტურუა, გ. თელია, ზ. ჩოდრიშვილი, ა. ოქუაშვილი, ი. კოჩეტკოვი, ვ. ბოლქვაძე, ლ. დუმბაძე, აზნაურაშვილი, გიორგი ჩხეიძე და სხვ.

ამრიგად, გადამჭრელ და შეურიგებელ ბრძოლაში ქართული ლეგალური მარქსიზმის წინააღმდეგ, მესამე დასის უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში უდგა ნ. ჟორდანია, **ჩაისახა, ჩამოყალიბდა და გაიზარდა, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, რევოლუციური ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური ორგანიზაცია ამიერ-კავკასიაში (ტ ა შ ი).**

მიუხედავად ამისა, ამხ. ფ. მახარაძე მთელ რიგ თავის ნაშრომებში არასწორად აშუქებს მესამე დასის ისტორიას და მესამე დასის როლისა და მნიშვნელობის არასწორ შეფასებას იძლევა.

ამხ. მახარაძე წარმოგვიდგენს „მესამე დასს“ როგორც ერთგვაროვან, თანმიმდევარ რევოლუციურ მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და დუმილით უვლის გვერდს იმ დიდსა და მწვავე უთანხმოებას და შინაგან ბრძოლას, რასაც იქ ადგილი ჰქონდა.

ლაპარაკობს რა „მესამე დასზე“, ფ. მახარაძე სწერს:

„ეს იყო სრულიად ახალი მიმართულება, ახალი იდეოლოგია, რომელიც უპირისპირდებოდა ყველა გაბატონებულ კლასთა იდეოლოგიას და რომელიც დაუნდობელ ბრძოლას, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა დამმონებელთა ყველა კლასს“.

(ფ. მახარაძე. „ტფილისის ორგანიზაციის არსებობის 30 წლისთავისათვის“, 1925 წლის გამოცემა, გვ. 25).

„მაშინდელ ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში (ამხ. მახარაძე ლაპარაკობს 1893 — 1904 წწ. პერიოდზე. **ლ. ბ.**) ოპორტუნისტულ და რევიზიონისტულ ტენდენციებს ნაკლებად ჰქონდა ადგილი, შეიძლება ითქვას, რომ სრულებითაც არ ჰქონებია“.

(იხ. ფ. მახარაძის წინასიტყვაობა ალ. წულუკიძის „თხზულებათა კრებულში“, გამოც. 1927 წ.).

„ჩვენში მარქსისტულ მიმდინარეობას თითქმის არ უნდებოდა ბრძოლა რაიმე სხვა მიმდინარეობასთან მუშათა კლასში, როგორც ეს სხვა ქვეყნებში მოხდა...“

(იხ. ფ. მახარაძე. „ტფილისის ორგანიზაციის — არსებობის 30 წლისთავისათვის“. 1925 წლის გამოცემა, გვ. 42 — 43).

ამბ. ფ. მახარაძე, ჯერ ერთი, „მესამე დასს“ მთლიანად ნამდვილ რევოლუციურ მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად აცხადებს, აიდეალებს მესამე დასის როლს და მნიშვნელობას. მეორეც, იგი ჩქმალავს ლენინელ-ისკრელთა ჯგუფის ბრძოლას „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ.

და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ 1904 წელს მენშევიკური გაზეთი „ისკრაც“ კი (ახალი „ისკრა“) იძულებული იყო აღიარებინა „მესამე დასის“ უმრავლესობის და მისი თეორიული ორგანოს — გაზეთ „კვალის“ ლეგალურ-მარქსისტული ოპორტუნისტული ხასიათი.

აი, რას სწერდა მენშევიკური „ისკრა“ 90-იანი წლების პერიოდის გაზეთ „კვალის“ შესახებ:

„თუმცა მიდრეკილება თეორიული სქემებისადმი, განყენებულობა, ჭარბობა ზოგადი იდეისა „ეკონომიური ფაქტორის“ შესახებ, თუ გნებავთ, ერთგვარი უსიცოცხლობა „კვალს“ მაშინაც ახასიათებდა. ამ მხრივ „კვალი“ რამდენადმე მისდევდა 90-იანი წლების პირველი ნახევრის რუსეთის ლეგალურ მარქსიზმს, რომლის ანარეკლსაც ეს გაზეთი წარმოადგენდა“.

(იხ. გაზ. „ისკრა“, № 60, 1904 წ.).

1898 — 1900 წლების პერიოდში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ტფილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, ალ. წულუკიძე, ლ. კეცხოველი, ი. სტალინი, სევ. ჯუღელი და ტფილისის მოწინავე მუშები — მ. ბოჭორიძე, ზ. ჩოდრიშვილი, ვ. სტურუა, ა. ოქუაშვილი, გ. ჩხეიძე.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საქმეში ამბ. სტალინს, წულუკიძეს, კეცხოველს და სხვ. უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს ტფილისში მყოფმა, რუსეთიდან გადმოსახლებულმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა ვიქტორ კურნატოვსკიმ, ივანე ლუზინმა, ი. ფრანჩესკიმ, გ. კოგანმა, როძევიჩმა, მ. კალინინმა, ს. ალილუევმა, ლევაშკევიჩმა, კაზარენკომ, ანნა კრასნოვამ და სხვ.

1898 — 1900 წლების პერიოდში ტფილისის ცენტრალურმა სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა უდიდესი რევოლუციურ-პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა შეასრულა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიული ორგანიზაციის შესაქმნელად; — ცენტრალური პარტი-

ული ჯგუფის წევრები ინტენსიურ რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ, თვითეული მათგანი მუშათა წრეებს ხელმძღვანელობდა.

მარტო ამხ. სტალინს 8-ზე მეტი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე ჰყავდა. ტფილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფი, ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიის იდეათა პროპაგანდასთან ერთად, ხელმძღვანელობდა ტფილისის პროლეტარიატის გაფიცვებს და პოლიტიკურ ბრძოლას.

1898 წელს ტფილისში რკინისგზის სახელოსნოებში პირველად ეწყობა დიდი გაფიცვა; შემდეგ 1900 წლამდე მოეწყო და ჩატარდა მთელი რიგი დიდი გაფიცვები ბოზარჯიანცის ფაბრიკაში, კონკაზე, ადელხანოვის ტყავის ქარხანაში, სტამბებში და სხვ., მოეწყო აგრეთვე ტფილისის მუშათა მთელი რიგი მაისობანი და დემონსტრაციები. უმთავრესად ამხ. სტალინის, კეცხოველის და მოწინავე მუშათა მეცადინეობით ეწყობა ფურცლებისა და პროკლამაციების არალეგალური ბეჭდვა და მათი გავრცელება ტფილისის მუშებს შორის, აგრეთვე ამიერ-კავკასიის ცალკეულ რაიონებში.

ტფილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფის პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობა 1901 წელს დაგვირგვინდა რ. ს.-დ. მ. პ-ის ლენინურ-ისკრული მიმართულების ტფილისის კომიტეტის დაარსებით.

ამხ. სტალინის ინიციატივით (ამ პერიოდში ამხ. ლ. კეცხოველი ბაქოში იმყოფებოდა, ხოლო ამხ. ს. წულუკიძე ბათომში მკურნალობდა) 1901 წ. 11 ნოემბერს მოწვეულ იქნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ტფილისის პირველი კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატიული წრე 25 დელეგატის შემადგენლობით. კონფერენციამ აირჩია რ. ს.-დ. მ. პ-ის ტფილისის პირველი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ 9 წევრი და მათი რამდენიმე კანდიდატი. კომიტეტში აირჩიეს ამხ. სტალინი (**მჭუხარე ტაში**), ვასო ცაბაძე, ს. ჯიბლაძე, არაქელა ოქუაშვილი, ზაქარია ჩოდრიშვილი, კალისტრატე გოგუა, სევერიან ჯუღელი და სხვ.

აი რას ამბობენ თავის მოგონებებში ამხანაგები არაქელა ოქუაშვილი და გიორგი ჩხეიძე ტფილისის პირველი კომიტეტის ორგანიზაციაზე:

„სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ტფილისის პირველი (არჩევითი) კომიტეტი შეიქმნა 1901 წელს. ტფილისის არჩევითი კომიტეტის შექმნის ინიციატივა ამხ. სტალინს და მის წრეს ეკუთვნოდა (**მჭუხარე ტაში**).

ტფილისის კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: სტალინი, ვ. ცაბაძე, არაქელა ოქუაშვილი, ზაქარია ჩოდრიშვილი, გიორგი ჩხეიძე, კალისტრატე გოგუა, სევერიან ჯუღელი და სხვ.

(არაქელა ოქუაშვილისა და გიორგი ჩხეიძის მოგონებებიდან).

1900 — 1901 წლებში ბათომი ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გავლენის გარეშე იყო დარჩენილი.

1896 წელს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ლუზინმა და ბარანჩეევმა ბათომში მოაწყეს პატარა სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელიც მეფის პოლიციამ 1898 წლის დამდეგს გაანადგურა და მოსპო. 1899 — 1900 წლებში ბათომში იმყოფებოდნენ კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი — მესამე დასის უმრავლესობის მომხრეები, რომელნიც „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე იდგნენ და უარჰყოფდნენ არალეგალური პარტიული ორგანიზაციისა და მუშათა კლასის რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას. ისინი ბათომის მუშათა პატარა ჯგუფს შორის ეწეოდნენ ლეგალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და თვითგანვითარების მუშაობას. უმთავრესად კითხულობდნენ ლექციებს მუშათა საერთო-საგანმანათლებლო სკოლაში, ე. ი. პრაქტიკულად ატარებდნენ „მესამე დასის“ უმრავლესობის ხაზს.

ვინაიდან ბათომი ამიერ-კავკასიის ერთერთ უდიდეს სამრეწველო და მუშურ ცენტრს წარმოადგენდა, ტფილისის კომიტეტი ცდილობდა დაეარსებინა იქ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რისთვისაც ბათომში გაიგზავნა ტფილისისს კომიტეტის წევრი ამხ. გიორგი ჩხეიძე. ბათომში ჩასვლისას გიორგი ჩხეიძემ დახმარებისათვის მიმართა კარლო ჩხეიძეს და ისიდორე რამიშვილს, მაგრამ მათ დახმარებაზე უარი უთხრეს იმ საბაბით, რომ ქალაქ ბათომის პირობებში არალეგალური რევოლუციური მუშაობა შეუძლებელიაო.

აი რას მოგვითხრობენ ამ ფაქტზე ამხ. ოქუაშვილი და გ. ჩხეიძე:

„ამხ. სტალინამდე ბათომში არავითარი მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია არ ყოფილა. ჯერ კიდევ ამხ. სტალინამდე ბათომში გაიგზავნა ტფილისის კომიტეტის წევრი გიორგი ჩხეიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა დაეარსებინა იქ სოციალ-დემოკრატიული წრე. გიორგი ჩხეიძე დაუკავშირდა მაშინ ბათომში მყოფ კარლო ჩხეიძეს და დახმარება სთხოვა, მაგრამ კარლო ჩხეიძემ გიორგის განუცხადა: ბათომში ყველაფერი ხელის გულივით სჩანს და აქ რაიმე რევოლუციური ორგანიზაციის შექმნა წარმოუდგენელიაო. ურჩია მას უკან გამგზავრებულიყო. გიორგი ჩხეიძე ასეც მოიქცა, რაც მან მოახსენა კომიტეტს ბათომიდან ჩამოსვლის შემდეგ“.

(იხ. ა. ოქუაშვილისა და გ. ჩხეიძის მოგონებანი).

როდესაც ბათომში ასეთი მდგომარეობა იყო, ამხ. სტალინი ტფილისის კომიტეტის დავალებით 1901 წლის ნოემბრის დამლევს ბათომში გადავიდა. ბათომში ჩასვლისთანავე ამხ. სტალინი უშუალოდ დაუკავშირდა მოწინავე მუშებს და 1901 წლის დეკემბრის დამლევს მან შესძლო სო-

ციალ-დემოკრატიული წრეების დაარსება ბათომის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში.

1901 წლის 31 დეკემბერს მთავარ საწარმოთა წრეების წარმომადგენელთა კრებაზე ჩამოყალიბდა ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია (კრება გაიმართა მუშის ი. დარახველიძის ბინაზე ახალი წლის შეხვედრის საბაბით).

ამავე კრებაზე გამოჰყვეს ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხ. სტალინის მეთაურობით. ეს ჯგუფი რ. ს.-დ. მ. პ-ის ბათომის კომიტეტის როლს თამაშობდა (ტაში).

1902 წლის იანვარსა და თებერვალს ბათომში ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით აქტიური მუშაობა დაიწყო 11 სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა წრემ, რომლებიც მუშაობას ეწეოდნენ ისეთ საწარმოებში, როგორიც იყო მანთაშევის, როტშილდის, სიდერიდისის და სხვ. ქარხნები.

ამ დროს ბათომის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შედიოდნენ ბათომის ისეთი მოწინავე მუშები, როგორიც იყვნენ კოწია კანდელაკი, ილარიონ დარახველიძე, სილიბისტრო თოდრია, მიხეილ გაბუნია, კოტრიკაძე, პ. გოგიბერიძე, დარისპან დარახველიძე, ვარლამ კალანდაძე, გერონტი კალანდაძე, მ. ფირცხელაშვილი, თეოფილე გოგიბერიძე, პორფილე ქურიძე, ხომერიკი, ჯოლია და სხვ.

1902 წლის იანვარში ამხ. სტალინმა მოწინავე მუშებთან ერთად ბათომში მოაწყო მანთაშევის ქარხნის მუშათა პირველი დიდი გაფიცვა, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

იმავე წლის თებერვალში მან როტშილდის ქარხნებში მოაწყო ორი დიდი გაფიცვა, რომელიც აგრეთვე მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

ბათომის ორგანიზაცია, ამხ. სტალინის მეთაურობით, აწყობს მთელ რიგ დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციებს. ბათომის მუშათა ყველაზე დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც 6.000 კაცამდე მიიღო მონაწილეობა, 1902 წლის 9 მარტს მოხდა. ამ დემონსტრაციას ჯარმა სროლა აუტეხა, ხოლო მისი მონაწილენი — დაახლოებით 500 რევოლუციური მუშა — ბათომიდან გადაასახლეს.

გაზეთი „ისკრა“ 1902 წლის 15 ოქტომბრის 26 ნომერში ბათომის ამბების შესახებ სწერდა:

„ბათომში ჩასულმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა შეჰკრიბა გაფიცულები და დაემუქრა ყველას, ვინც სამუშაოზე არ გამოვა, ეტაპით სამშობლოში გადაგასახლებთო. როცა ამ მუქარამ არ გასჭრა, პოლიციამ „როტშილდის ქარხნის ადმინისტრაციის მითითებით“ 7 მარტს ღამით დააპატიმრა 32 მუშა ეტაპით გასაგზავნად. 8 მარტს 400 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი გამოცხადდა პოლიციის სამმართველოში და მოითხოვა „დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება“. პოლიციის სამმართველოდან ჯგუფი გაემართა სა-

პატიმროსაკენ, სადაც მაშინვე გამოცხადდა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე პოლკოვნიკი დრიაგინი, რომელმაც გამოაცხადა კავკასიის მე-7 მსროლელთა ბატალიონის როტა. მუშები [illegible] ან გამოეშვათ დაპატიმრებულნი, ან დაეპატიმრებიათ ყველანი. პოლკოვნიკმა დრიაგინმა უკანასკნელი „მოთხოვნა" შეასრულა; მან დააპატიმრა 348 კაცი, რომლებიც წინათ საპატიმროში მოთავსებულ 32 კაცთან ერთად გადაიყვანა საეტაპო საპატიმროში. მეორე დილით, 9 მარტს 9 საათისათვის საეტაპო ნაწილს მიუახლოვდნენ დიდძალი მუშები, რომლებსაც მეთაურები მიუძღოდნენ; მუშები მიდიოდნენ მწყობრი რიგებით სიმღერით, ხმაურით და სტვენით. მათ შესახვედრად გამოვიდა პოლკოვნიკი დრიაგინი, რომელსაც მუშათა სათავეში მდგომმა მუშებმა მიხ. ხირიმიანცმა და თეოფილე გოგიბერიძემ მუშების სახელით განუმეორეს იგივე მოთხოვნა — ან დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეთ ანდა ყველანი დაგვაპატიმრეთო. ახლა კი პოლკოვნიკმა უბრძანა დაშლილიყვნენ. მუშებმა ამ ბრძანების შესრულებაზე უარი სთქვეს, ამის გამო დრიაგინმა მეცხოვნეთა ბატალიონის იქ მდგომი გუნდის დასახმარებლად გამოიწვია კავკასიის მსროლელთა მე-7 ბატალიონის როტა. როცა ჯარისკაცები შეეცადნენ გაეწმინდათ მოედანი მუშებისაგან, ამ უკანასკნელებმა ქვები დაუშინეს. მუშები ცდილობდნენ წაერთმიათ იარაღი ჯარისკაცებისათვის, გაისმოდა ყვირილი: „დასცხეთ, წაართვით იარაღი, ისინი ვერ გვესვრიან". მოედანზე მყოფ მუშებს შეუერთდნენ საეტაპო ნაწილში მყოფი პატიმრები, რომლებიც იქიდან ქვებს ისროდნენ და რომლებმაც, ბოლოს, მოახერხეს საპატიმროს ეზოდან გამოსვლა. დასასრულ ჯარმა სროლა ასტეხა და 14 მუშა მოჰკლა და ბევრი დასჭრა" *).

(იხ. 1902 წ. 15 ოქტომბრის „ისკრა", № 26).

ამ დღეებში ამხ. სტალინი უდიდეს პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, სწერს პროკლამაციებს, ლოზუნგებს, აწყობს მათს დაბეჭდვას არალეგალურ სტამბაში (რომელიც მან 1902 წლის იანვარს დააარსა ბათომში) და გავრცელებას ბათომის მუშებს შორის, აგრეთვე მათ დაგზავნას საქართველოს უახლოეს რაიონებში (გურია, იმერეთი, სამეგრელო).

განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ბათომის 1902 წლის 9 მარტის ამბების გამო ამხ. სტალინის დაწერილი პროკლამაცია, რომელიც მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა რევოლუციური ბრძოლისაკენ ცარიზმის დასამხობად.

9 მარტის მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს სტალინი აწყობს მანიფესტაციას, რომელიც გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

*) საჭიროა აღინიშნოს, რომ მუშათა დახვრეტის საქმეში ყველაზე საზიზღარი როლი ითამაშა ოფიცერმა ანთაძემ. ლ. ბ.

ბათომის ამბები მთელს ამიერ-კავკასიაში რევოლუციური ტალღის აზვირთების წინამორბედად გადაიქცა. ამ ამბებმა უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინეს საქართველოს სოფლებზე (დასავლეთი საქართველო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ბათომში მყოფი კარლო ჩხეიძე ღ. ისიდორე **რამიშვილი არამცთუ არავითარ** მონაწილეობას არ იღებდნენ ბათომის მუშების რევოლუციურ ბრძოლაში, არამედ მათ არაერთხელ მიუგზავნეს **კაცები ამხ. სტალინს** და თვითონ პირადად ურჩევდნენ მას წასულიყო **ბათომიდან, ამას იმით ასაბუთებდნენ**, რომ იგი, ე. ი. სტალინი, ვერ შესძლებს არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებას და ბათომის მუშების ამოძრავებას პოლიტიკური ბრძოლისათვის, ხოლო, რაც მთავარია, ამას ისინი იმიტომ სჩადიოდნენ, რომ ეშინოდათ, ამხ. სტალინის არალეგალურმა მუშაობამ უსიამოვნება არ შეგვამთხვიოს და დევნა არ დაგვიწყონო.

ამგვარად, ბათომის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოაწყო ამხ. სტალინმა და მან პირველმა აამხედრა ბათომის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის. ამხ. სტალინმა ბათომის მოწინავე მუშებთან ერთად შესძლო ბათომის მუშათა ფართო მასები ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.

ბათომში ამხ. სტალინის მუშაობის შესახებ მეფის ოხრანკა შემდეგს იუწყებოდა:

„1901 წლის შემოდგომაზე რ. ს.-დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტმა ქალაქ ბათომში ქარხნის მუშებს შორის პროპაგანდის გასაწევად გაგზავნა ერთერთი თავისი წევრი, ტფილისის სასულიერო სემინარიის მე-6 კლასის ყოფილი მოსწავლე იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი. ჯუღაშვილის მოღვაწეობის მეოხებით... ბათომის ყველა ქარხანაში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაარსება, რომლებსაც პირველ ხანებში ტფილისის კომიტეტი მეთაურობდა. სოციალ-დემოკრატიულმა პროპაგანდამ უკვე გამოიღო ნაყოფი 1902 წელს ქალაქ ბათომში როტშილდის ქარხნის მუშათა ხანგრძლივი გაფიცვისა და ქუჩებში მომხდარი არეულობის სახით“.

(საქართველოს ცენტრალური არქივი. მოხსენება ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწისა ბათომის ოლქში, საქმე № 1011).

ბათომში მუშაობის დროს ამხ. სტალინს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტფილისის პარტიულ ორგანიზაციასთან, ხშირად ჩამოდიოდა ტფილისში და უძღვებოდა ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობას.

1902 წლის 5 აპრილს (18 აპრილს) ამხ. სტალინი დააპატიმრეს ბათომის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის სხდომაზე მუშებთან — კ. კანდე-

ლაკთან, დ. დარახველიძესთან და სხვ. ერთად და მოათავსეს ბათომის საპატიმროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატიმროში ამხ. სტალინმა შესძლო კავშირის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გარეთ დარჩენილ წევრებთან. სტალინი ციხიდან ხელმძღვანელობდა მათს მუშაობას. ამავე დროს დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა დაპატიმრებულთა შორის. ამხ. სტალინმა ბათომის საპატიმროში დაჰყო 1902 წლის 5 აპრილიდან 1903 წლის 19 აპრილამდე, ხოლო 1903 წლის 19 აპრილს იგი ქუთაისის საპატიმროში გადაიყვანეს.

ამხ. სტალინი ქუთაისის საპატიმროშიც ისე, როგორც ბათომის საპატიმროში, დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა პატიმართა შორის, ამყარებს კავშირს პოლიტიკური პატიმრების ყველა საკანთან, ეწევა მათ შორის ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდას, მკაცრად ამხელს „მესამე დასის“ უმრავლესობის, „გაზეთ „კვალის“ და ნოე ჟორდანიას ოპორტუნიზმს, ჰქადაგებს პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეებს და გლეხთა მოძრაობისათვის პროლეტარული ხელმძღვანელობის გაწევის აუცილებლობას.

1903 წლის ნოემბერს ამხ. სტალინი უკანვე გადაჰყავთ ბათომის საპატიმროში, საიდანაც მას 1903 წლის ნოემბრის დამლევს ასახლებენ ციმბირში (ირკუტსკის გუბერნია).

ამიერ-კავკასიის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საქმეში ფრიად თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამხ. ალ. (საშა) წულუკიძე. ამხ. წულუკიძემ, უმცირესობის წევრმა, სხვა ამხანაგებზე ადრე დაიწყო მუშაობა და ამასთან ერთად ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობასთან. ამხ. წულუკიძე 1895 წელს შევიდა „მესამე დასში“ და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას მოახმარა. მაგრამ ამხ. წულუკიძეს არ დასცალდა მთლიანად გაეშალა ენერგია მძიმე ავადმყოფობის, ტუბერკულოზის გამო, რაც ხშირად მოსწყვეტდა ხოლმე პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობას.

ამხ. წულუკიძე იყო მაშინდელი დროის ერთერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერი, მუშათა კლასის საქმის მთელი არსებით ერთგული, ამხ. სტალინისა და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი.

ამხ. წულუკიძე არის მთელი რიგი მარქსისტული ნაშრომების ავტორი: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ — გაზეთი „კვალი“, 1898 წ.; „საუბარი მკითხველთან“ — 1899 წ.; „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“ — 1899 წ.; „ჩვენი უთანხმოებანი“ — 1900 წ.; „ოცნება და სინამდვილე“ — 1903 წ.; „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ — 1904 წ.; „პატარა შენიშვნა დიდ საკითხზე“ — 1905 წ.; „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“ — 1905 წ. და სხვ.

ამხ. წულუკიძე თავის ნაშრომებში განსაკუთრებული სიღრმითა და თანმიმდევრობით ავითარებდა მარქსისტულ შეხედულებებს პროლეტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიატის კლასობრივი ბრძოლის, კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის, მუშათა კლასისათვის პოლიტიკური პარტიის საჭიროების საკითხზე, ნაციონალურ საკითხზე და სხვ.

1903 წელს ამხ. წულუკიძემ გამოსცა ბროშურა „ოცნება და სინამდვილე", რომელშიაც გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა ბელადის არჩილ ჯორჯაძისა და ქართველ „ლეგალურ მარქსისტთა" ბელადის ნოე ჟორდანიას „საერთო ნიადაგის" თეორია.

ამხ. წულუკიძემ თავის ბროშურაში მთლად გააცამტვერა „საერთო ნიადაგის" ბურჟუაზიული თეორია, მან ამხილა და ულმობელი ლოგიკით დაამტკიცა ამ თეორიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათი.

ამხ. წულუკიძემ დაასაბუთა, რომ ენა კლასების და პარტიების საერთო მოქმედების ნიადაგს კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ჯორჯაძე ამტკიცებდა, არამედ კლასობრივი ბრძოლის იარაღს.

„ენაც ადვილი მისაჩნევია „საერთო ნიადაგათ". რამდენადაც ეს ყველასათვის სახმარებელია, ის „საერთო ნიადაგს" წარმოადგენს, ისე, როგორც ბრძოლის ველი; მხოლოდ რამდენათ ამ სულიერ გამოხატულებით გამოითქმის დამალული სოციალური წინააღმდეგობა, იმდენათ იგი იარაღია ერთი მეორის დასამარცხებლათ მოსახმარი. თქმა არ უნდა, ყველასათვის სასურველია ამ იარაღის გამახვილება, განვითარება, მხოლოდ ეს განვითარება ხდება არა „საერთო მოქმედების ნიადაგათ", არამედ ამ „ნიადაგის" აღმოსაფხვრელათ, მოსასპობათ. სანამ თანამედროვე ცხოვრების პირობები არსებობენ, მისი ძირითადი უკუღმართობა ფესვიანათ არ ამოთხრილა, მანამ ენაც არ არის „საერთო ნიადაგი"; მხოლოდ მომავალი ერთ დიდ „საერთო მოქმედების ნიადაგს" გვიმზადებს, რომელზედაც ყველა „საფუძვლები" გამოიცვლება, შური და მტრობა მოისპობა".

(ალ. წულუკიძე, თხზულებათა კრებული, 1927 წ., იხ. სტატია „ოცნება და სინამდვილე", გვ. 157 — 158).

შემდეგ ამხ. წულუკიძე სწერდა, რომ კაპიტალიზმის, კაპიტალისტური ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება კლასებისა და პარტიების ერთობლივი მოქმედებისათვის ნიადაგს კი არ ჰქმნის, არამედ უფსკრულს სთხრის მათ შორის.

„იქ, სადაც ვაჭრობა-მრეწველობა აღორძინებულა და ბურჟუაზია ფეხს იკიდებს, მეორე საზოგადოებრივი კლასი აუცილებლათ არსებობს და მას სწორედ ამ პირველ ხანაში უფრო ეჭირვება „ინტელიგენტური" ძალღონე, ვიდრე მერმე, როცა თვით ცხოვრების მუხრუჭები, შეერთებული ფიზიკური და გონებრივი მუშაობა თავის თავად ქმნის მტკიცე სოციალურ ძალას, რომელსაც ძლიერთანაც შეუძლია გამკლავება. ბურჟუაზიის იდეოლოგები ყოველთვის

ამნაირად უხვევდენ საზოგადოებას თვალს, აჯერებდენ მუშათა კლასს: „თქვენი ინტერესები მოითხოვენ ვაჭარ-მრეწველნი გამაგრდენ, გამდიდრდენ, რადგან დარწმუნებული უნდა იყოთ, თქვენც არ დაგივიწყებენ და საზოგადო „საერო“ საქმესაც გააკეთებენო“. ეს ჰანგები არა ერთხელ სმენია ევროპის დემოკრატიას. დღეს მას ჩვენში იმეორებს ბ. არჩილ ჯორჯაძე“.

(სტატია „ოცნება და სინამდვილე“, თხზულებათა კრებული, გვ. 155).

ამხ. წულუკიძე, იცავს რა სოფლის კლასობრივი დანაწილების მარქსისტულ თეზისს, გადაჭრით უკუაგდებს იდეას, თითქოს არსებობდეს „საერთო ნიადაგი“ როგორც თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, ისე გლეხობის შიგნით.

„სოფელშიაც ვამჩნევთ იმ ეკონომიურ განაწილებას, რომელიც მრეწველობის განვითარების აუცილებელი შედეგი და პირობა არის; სოფელშიაც ჩნდებიან ჩვენებური დროიძეები, რომელნიც ყოველგვარ ახალ გამოგონებას, მისი უმწეო თანამემამულის გასაძლიერებლათ გამოგონებულს, თავის და სასარგებლოთ გამოიყენებენ; იქაც იჩინა თავი და იწვრთნება ის წინააღმდეგობა, რომელმაც... ნამდვილ ურთიერთობას სინათლის შუქი მიაყენა და მით „საერთო ნიადაგიც“ კიდევ უფრო საოცნებოთ გახადა, საბოლოოთ წესი აუგო მას“...

„საგლეხო ბანკი... ვერ ახეირებს სოფლის წვრილ მესაკუთრეს, ვერ წასწევს წინ მის მეურნეობას, ვერ შეაჩერებს გლეხების ეკონომიური სივიწროვის ზრდას, ვერ მოსპობს ეკონომიურ წინააღმდეგობას და მით „საერთო ნიადაგათაც“ ვერ გამოდგება“.

(სტატია „ოცნება და სინამდვილე“, თხზულებათა კრებული, გვ. 168).

ამხ. წულუკიძე ამხელდა ჯორჯაძეს, როგორც კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მეხოტბეს. იმოწმებდა დასავლეთის კაპიტალიზმის განვითარების პრაქტიკას და ავითარებდა კლასობრივი მშვიდობიანობისა და კლასთა თანამშრომლობის შეუძლებლობის თეზისს.

„არც ერთი ევროპის ერთაგანი კლასთა ბრძოლას არ გადარჩენია და „საერთო მოქმედების ნიადაგზე“ ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა მათ ბ. არჩილ ჯორჯაძეზე არა ნაკლები მქადაგებლები ჰყავდათ. მარტო ერთი ბასტია ღირდა რაოდენიმე ჯორჯაძეთ, მაგრამ მისმა ჰარმონიულმა თეორიამაც კი ვერ მოსპო კლასთა ბრძოლა და სინამდვილე მისდა დაუკითხავათ წარიმართა“.

(სტატია „ოცნება და სინამდვილე“, თხზულებათა კრებული, გვ. 147).

ამხ. წულუკიძე ასაბუთებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მარქსისტულ თეზისს:

„თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება ეფუძნება ადამიანის ადამიანზე ღირებულებაზე, რომელიც წარმოადგენს უყიდველ შრომას, მუქთათ დასაკუთრებულ მშრომელის ძალას. შრომა არის ერთათერთი წყარო ღირებულებისა და უკანასკნელის გასამრავლებლათ და გასადიდებლათ პირველის მომატებაა საჭირო. მეტი შრომა და ნაკლები შრომის ფასი — საწარმოვო იარაღის მესაკუთრის სურვილია. ნაკლები შრომა და მეტი შრომის ფასი — მუდმივი წადილია მწარმოებლისა. ეს დამოკიდებულება საზოგადოების ორ ელემენტთა შორის კაპიტალისტური წარმოების ნიშნობლივი თვისებაა, მისი არსებობის აუცილებელი პირობაა და ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ამ წინააღმდეგობის განვითარებას მოასწავებს“.

(სტატია „ოცნება და სინამდვილე“, თხზულებათა კრებული, გვ. 147).

ამხ. წულუკიძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ (ტუბერკულოზი) გარდაიცვალა 1905 წლის 8 ივნისს, 29 წლისა. ამხ. წულუკიძე დასაფლავებულ იქნა ხონში 1905 წლის 12 ივნისს. ამხ. წულუკიძის დასაფლავება, რომელსაც, მნახველთა გადმოცემით, 10.000-ზე მეტი კაცი დაესწრო, გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამხ. წულუკიძის დასაფლავებაზე ამხ. სტალინი გამოვიდა ბრწყინვალე სიტყვით, რომელშიაც მან, საშა წულუკიძის მუშაობის შეფასებასთან ერთად, გადაშალა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ამოცანები და სურათი. ამხ. სტალინის სიტყვას უდიდესი ბოლშევიკური გამარევოლუციურებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამხ. სტალინის გამოსვლამ მენშევიკების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკებთან. მთელს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

ლენინურ-ისკრული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთერთი გამოჩენილი ორგანიზატორი იყო აგრეთვე ამხ. ლადო კეცხოველი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამხ. წულუკიძე, კეცხოველი, სტალინი პირველნი იყვნენ, რომელთაც დაიწყეს ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობისა და მათი გაზეთ „კვალის“ წინააღმდეგ. როგორც უკვე ვთქვით, ისინი აწყობენ და უძღვებიან სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, მათი მუშაობა არალეგალურ რელსებზე გადაჰყავთ, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მასობრივ-პოლიტიკურ აგიტაციაზე გადაჰყავთ, აწყობენ არალეგალური პრესისა და არალეგალური გაზეთის „ბრძოლის“ გამოცემას და სხვ.

ამხ. ლადო კეცხოველის რევოლუციური საქმიანობა იწყება 1893 წლიდან ტფილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც იგი გამოიყვანეს მოსწავლეთა „ბუნტში“ მონაწილეობისათვის. იგი იძულებული გახდა 1894 წელს ქ. კიევში გადასულიყო სწავლის განსაგრძობად.

1894 — 1896 წლებში ამხ. ლ. კეცხოველი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კიევის რევოლუციურ მარქსისტულ წრეებში. 1896 წელს ამხ. ლ. კეცხოველი დააპატიმრა პოლიციამ და, სამი თვით საპყრობილეში ჩასმის შემდეგ, გადმოასახლა სამშობლოში (საქართველოში) პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

1900 წლის იანვარში ამხ. ლ. კეცხოველი ემალება პოლიციის დევნას და ტფილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფის (ამხ. სტალინი და ს. ჯიბლაძე) მითითებით გადადის ბაქოში არალეგალური პარტიული მუშაობის გასაწევად. 1900 — 1901 წლების პერიოდში ამხ. ლ. კეცხოველმა ბაქოში დიდი მუშაობა გააჩაღა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის განსამტკიცებლად.

პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები ბაქოში წარმოიშვა 1896 — 1897 წლების პერიოდში. ამხ. კეცხოველმა მოახერხა გამოეცოცხლებინა და განემტკიცებინა სოციალ-დემოკრატიული წრეები, მოეგვარებინა პოლიტიკური აგიტაცია ნავთის სარეწაოებისა და რკინისგზის მუშათა შორის და შეედგინა ლენინურ-ისკრული სახის მქონე ბაქოს პირველი კომიტეტი.

1901 წლის დამდეგს ამხ. კეცხოველი ტფილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის დახმარებით ახერხებს არალეგალური სტამბის მოწყობას ბაქოში.

ტფილისის კომიტეტმა ამხ. კეცხოველი მოამარაგა შრიფტით, მოწყობილობით და ფულით არალეგალური სტამბის მოსაწყობათ ბაქოში.

მას შემდეგ, რაც ამხ. კეცხოველი ბაქოში გადავიდა და იქ არალეგალური სტამბა მოაწყო, ტფილისის კომიტეტს შესაძლებლობა მიეცა გამოეცა იქ თავისი არალეგალური გაზეთი.

როგორც ვიცით, არალეგალური რევოლუციური გაზეთის დაარსების იდეა ამხანაგებმა სტალინმა და კეცხოველმა ჯერ კიდევ 1898 წელს წამოაყენეს; მათი მიზანი იყო რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა და „მესამე დასის“ ქართული უმრავლესობისა და მათი ლეგალური გაზეთ „კვალის“ წინააღმდეგ ბრძოლა.

1901 წლის სექტემბერში ამხ. კეცხოველმა ბაქოში გამოუშვა ტფილისის სოციალ-დემოკრატიის ორგანოს — გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი.

ბაქოს არალეგალურ სტამბაზე ამხ. ვანო ბოლქვაძე, რომელიც ამხ. კეცხოველთან ერთად მუშაობდა ამ სტამბაში მისი დაარსების მომენტიდან, შემდეგ ცნობას იძლევა:

„ყველაზე აქტიური, ყველაზე გამოჩენილი მთელ ორგანიზაციაში მაშინ ამხ. სტალინი იყო. აქტივისტი მუშები მეწარმეებთან ჩამოვარდნილი კონფლიქტების დროს, ან გაფიცვის დროს, ან წრეების მუშაობის საკითხებზე დირექტივებისათვის ჩვეულებრივ მიმართავდნენ ამხ. სტალინს ან ჯიბლაძეს. ყველაზე მეტად კავშირი ჩვეულებრივ გვქონდა ამხ. სტალინთან, და თუ მას ვნახავდით, საჭირო აღარ იყო ჯიბლაძისათვის მიგვემართნა. ამხ. სტალინი საწარმოებში ყველა კონფლიქტისა და გაფიცვის დროს ყოველთვის პირადად უკავშირდებოდა მუშებს, ინტერესს იჩენდა ყოველი წვრილმანისადმი, ეხმარებოდა მათ ჩამოეყალიბებინათ მოთხოვნები მეწარმეებისადმი და ყოველთვის პოლიტიკურ, საბრძოლო ხასიათს აძლევდა ამ მოთხოვნებს.

აქტიურად დაკავშირებული იყო ამხ. სტალინთან 1899 — 1900 წლებში ამხ. ლადო კეცხოველი. ამხ. კეცხოველი ცენტრალურ პარტიულ ჯგუფში შედიოდა, აქტიურ ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა ამ ჯგუფის მთელ რევოლუციურ პოლიტიკურ მუშაობაში. 1900 წელს ამხ. კეცხოველს პოლიცია სდევნიდა ტფილისის კონკის მუშათა გაფიცვის შემდეგ და იგი იძულებული იყო გადამალულიყო. ამიტომ, ცენტრალური პარტიული ჯგუფის გადაწყვეტილებით, მას წინადადება მიეცა წასულიყო ბაქოში არალეგალური პარტიული მუშაობისათვის.

ბაქოში ამხ. კეცხოველმა კავშირი გაბა ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან და წინადადებით მიმართა ტფილისის ჯგუფს არალეგალური სტამბის დაარსების შესახებ. ტფილისის ცენტრალური ჯგუფისა და ბაქოელი ამხანაგების დახმარებით ამხ. კეცხოველმა მოახერხა შეეძინა საბეჭდი მანქანა, აგრეთვე სტამბისათვის აუცილებელი მთელი მოწყობილობა და დაეარსებინა სტამბა. ამხ. კეცხოველმა ტფილისის პარტიულ ჯგუფს ასოთამწყობი მოსთხოვა, და მე მის განკარგულებაში გამგზავნეს.

თავდაპირველად სტამბაში სულ ორი კაცი ვმუშაობდით — კეცხოველი და მე. რამდენიმე ხანში, დაახლოებით ორი თვის შემდეგ, როდესაც სამუშაომ იმატა, ამხ. კეცხოველმა ტფილისის ჯგუფს მეორე ამხანაგი მოსთხოვა, და ამხ. ვიქტორ წულაძე გამოგვიგზავნეს. ამ სტამბაში ამხ. კეცხოველსა და ჩვენ ორს გარდა არავინ არ მუშაობდა.

სტამბის ლიკვიდაცია მოვახდინეთ ამხ. ლადო კეცხოველის დაპატიმრების შემდეგ 1902 წლის სექტემბერში, რადგან სტამბის მდგომარეობა საშიშარი გახდა.

სტამბაში ვბეჭდავდით სხვადასხვა ბროშურას, პროკლამაციებს, ფურცლებს, ჟურნალ „ბრძოლას“ და სხვა რევოლუციურ ლიტერა-

ტურას. ყველას სახელწოდების გახსენება მიძნელდება. ჟურნალ „ბრძოლის" პირველი ნომერი ჩვენ 1901 წლის სექტემბერში გამოვუშვით. ეს ჟურნალი ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ორგანო იყო. სულ ჟურნალის 4 ნომერი გამოვეცით. 1-ლი ნომრიდანვე დაწყებული, ჩვენ სტატიებს, წერილებსა და შენიშვნებს ტფილისიდან ვღებულობდით. მთელი რიგი მასალები და სტატიები გამოგვიგზავნეს ამხ-ბმა სტალინმა, ბოჭორიშვილმა და სხვ. პოლიტიკური სტატიების უმრავლესობა იქ ხელმოუწერლად იბეჭდებოდა. მთელ ლიტერატურას, რასაც ჩვენ ვბეჭდავდით, გაზეთებს, ბროშურებს, უმთავრესად ტფილისში ვგზავნიდით, ხოლო ტფილისის პარტიული ჯგუფი მას ანაწილებდა. ამ ლიტერატურის ტფილისში გადაგზავნას მიხა ბოჭორიშვილისა და სხვების საშუალებით ვაწყობდით".

(ამხ. ვანო ბოლქვაძის მოგონებებიდან).

ა. ენუქიძემ კი თავის ავტორიზებულ ბიოგრაფიაში და ბროშურაში „ჩვენი არალეგალური სტამბები კავკასიაში" ბაქოს და ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის მთელი რიგი უხეში დამახინჯებანი დაუშვა.

ა. ენუქიძე სწერს:

„იმ დროს ბაქოში სხვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია არ იყო, ზუბატოვის მიერ მოსკოვიდან გადასახლებული მუშების მცირე ჯგუფის გარდა. ამ მუშებთან ერთად ენუქიძემ 1899 წელს ბაქოს სამ რაიონში მოაწყო წრეები მუშებისაგან (ქალაქში, საბუნჩასა და ბალახანაში); ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. მას შემდეგ, რაც ბაქოში ჩავიდა განსვენებული ვლადიმერ კეცხოველი, რომელიც ტფილისიდან გაძევებული იყო ტრამვაელთა გაფიცვის მოწყობის გამო, იწყება მუშაობა ბაქოს ორგანიზაციის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად. 1899 — 1901 წლებში ენუქიძემ და კეცხოველმა მოახერხეს მოეწყოთ რსდმპ ბაქოს კომიტეტი, გაეფართოებინათ მუშაობა რაიონებში, დაეარსებინათ პატარა არალეგალური სტამბა. 1901 წლის გაზაფხულიდან, პარტიის წინადადებით, ენუქიძე მთლად რევოლუციურ მუშაობაში ჩაება და კეცხოველთან ერთად არალეგალურად მუშაობდა, ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა ბაქოში „ისკრის" ჯგუფის მოწყობაში. იმ ხნის განმავლობაში, უმთავრესად ენუქიძის ენერგიის წყალობით, ბაქოში მოეწყო დიდი არალეგალური სტამბა, რომელშიაც, სხვათა შორის, იბეჭდებოდა „ისკრის", „იუჟნი რაბოჩის" ცალკეული ნომრები და სხვ. მოწყობილი იყო აგრეთვე უცხოეთის ლიტერატურის ტრანსპორტი ბათომის გზით".

(იხ. „საბჭოთა დიდი ენციკლოპედია", ტომი 24, გვ. 522).

ხოლო წიგნაკში „ჩვენი არალეგალური სტამბები კავკასიაში“ ენუქიძეს ნათქვამი აქვს:

„იმ დროს ბაქოში ჯერ კიდევ არ არსებობდა მარქსისტული ორგანიზაცია, არ არსებობდა ერთი წრეც კი (ეს 1898 წლის შემოდგომას ეხება), არამედ ცხოვრობდნენ მხოლოდ ცალკეული ამხანაგები, ნაწილობრივ რუსეთიდან გადასახლებულნი (მეტწილად ზუბატოვის მიერ მოსკოვიდან გადასახლებულნი), ნაწილობრივ უცხოეთის ემიგრაციიდან დაბრუნებულნი“.

(ა. ენუქიძე. „ჩვენი არალეგალური სტამბები კავკასიაში“, 1934 წლის გამოცემა, გვ. 10).

როგორც ხედავთ, ენუქიძემ დაამახინჯა ცნობილი ისტორიული ფაქტები, მეტისმეტად გააზვიადა თავისი როლი, თავის თავს მიაწერა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის და ბაქოს პირველი არალეგალური სტამბის ფუძემდებლისა და ორგანიზატორის როლი.

როგორც ვიცით, ა. ენუქიძე ამ შეცდომათა და დამახინჯებათა აშკარა სიცხადის გამო იძულებული გახდა აღეარებინა ეს შეცდომები გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე 1935 წ. 16 იანვარს.

გაზეთი „ბრძოლა“ — ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური გაზეთი, იცავდა რევოლუციური მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს.

გაზეთი „ბრძოლა“ ასაბუთებდა და ავითარებდა იმის აუცილებლობას, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გადასულიყვნენ მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე, მოეწყოთ მუშათა კლასის რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას.

გაზეთ „ბრძოლას“ თავისი თავი მიაჩნდა რუსეთის საერთო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ადგილობრივ ორგანოდ. იგი იცავდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის განუყოფელ კავშირს მთელი რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან.

გაზეთ „ისკრის“ იდეა — ფართო პოლიტიკური აგიტაციისა და რევოლუციური მარქსიზმის იდეების პროპაგანდის საფუძველზე ერთიანი რევოლუციური პარტიის ორგანიზაციის შესახებ, გაზეთმა „ბრძოლამ“ თავის სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადა.

„ისკრა“ სწერდა:

„ჩვენ, რუსი სოციალ-დემოკრატები (სწერს ლენინი „ისკრაში“) — უნდა შევკავშირდეთ და მთელი მეცადინეობა მივმართოთ მტკიცე პარტიის შექმნისაკენ, რომელიც უნდა იბრძოდეს რევოლუ-

ციური სოციალ-დემოკრატიის ერთიანი დროშის ქვეშ...

„ისკრის“ კვალდაკვალ „ბრძოლა“ აყენებდა იმ ამოცანას, რომ ფართოდ გაშლილიყო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის იდეების აგიტაცია და პროპაგანდა.

ბიბლიოთეკა

გაზეთმა „ბრძოლამ“ პირველსავე ნომერში განაცხადა:

„ქართველი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. აქედან ცხადია ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ადგილობრივ ორგანოს, რომელიც უპირატესად ადგილობრივ კითხვებს უნდა შეეხოს და უნდა იყოს გამომხატველი მხოლოდ ადგილობრივი მოძრაობისა...

თავის თავად იგულისხმება, რომ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციულ მოძრაობისათვის უმთავრესი საშუალებაა ფართო პროპაგანდა და აგიტაცია რევოლუციონური იდეებისა“.

(„ბრძოლა“ № 1, 1901 წ., სექტემბერი — რედაქციისაგან).

გაზეთმა „ისკრამ“ მკვეთრად დასვა ეკონომისტებისა და „ლეგალური მარქსიზმისაგან“ გამიჯვნის საკითხი; იგი სწერდა:

„სანამ გავერთიანდებოდეთ და იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავემიჯნოთ“.

(„ისკრა“, № 1 — რედაქციისაგან).

რევოლუციური ბრძოლის ანალოგიურ ამოცანებს ისახავს გაზეთი „ბრძოლაც“:

„აქ არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პრინციპები და რევოლუციონური საშუალება ბრძოლისა. თუ ჩვენ ყოველ მოძრაობას ამ არშინით დავუწყებთ ზომას — თავისუფალნი ვიქნებით ყოველგვარ ბერნშტეინიალური მიეთ-მოეთობიდან“.

(„ბრძოლა“, № 1).

„ბრძოლა“ პირველ ნომრიდანვე, გაზეთ „კვალისაგან“ („მესამე დასის“ მემარჯვენე ფრთის ორგანო) განსხვავებით, გადაჭრით იცავს და ჰქადაგებს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას.

აი რას სწერდა „ბრძოლა“ მუშათა კლასის ჰეგემონიაზე:

„მაგრამ ვიკითხოთ, რომელ კლასს შეუძლიან შეეტაკოს ამ ძლიერ მტერს, ვინ იქნება რევოლიუციონურ დედაძარღვად? საკმარისია გადავავლოთ თვალი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას, მის სხვადასხვა კლასების ერთმანეთის დამოკიდებულობას, რომ დავრწმუნდეთ: რუსეთში უმთავრეს ძალას წარმოადგენს შეერთებული ძალა რევოლიუციონური პროლეტარიატისა. ბურჟუაზია, და-

მყარებული თავის უძირო ჯიბეზე, მშვენივრადა გრძნობს თავის თავს თვითმპყრობელობის კვერთხის ქვეშ.

პროლეტარიატი — აი ის მედგარი ძალა, რომელმაც უნდა დალეწოს თვითმპყრობელობა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა გამოუცხადოს სასიკვდილო ბრძოლა თვითმპყრობელობას, სოციალ-დემოკრატია, დამყარებული იმ საზოგადოებრივ დანარჩენ ელემენტებზედ, რომელთაც ჭყლეტავს აბსოლიუტიზმი, დამყარებული მათ პირდაპირსა თუ გარეშე დახმარებაზე, მიიტანს იერიშს და მაგარი კედელი რუსეთის დესპოტიზმისა დაინგრევა საძირკვლიანად".

ა. ენუქიძე თავის წიგნაკში „ჩვენი არალეგალური სტამბები", მას შემდეგ, რაც შეეცადა დაემცირებინა ამხ. კეცხოველის როლი და მნიშვნელობა და პირველ რიგზე თითონ წამოჭიმულიყო, მოწყალედ შენიშნავს: ეჭვი არა მაქვს, კეცხოველს რომ რსდმპ გათიშვის მომენტამდე ეცოცხლნა, ის მთლიანად და სავსებით ბოლშევიკთა რიგებში იქნებოდაო.

არა მგონია, საჭირო იყოს ასეთი „მოწყალე" დამოკიდებულება ამხ. კეცხოველისადმი, რომელიც ერთერთი პირველი ბოლშევიკი-„ისკრელია" ამიერ-კავკასიაში.

ამხ. სტალინისა და ს. წულუკიძის თანამებრძოლი ამიერ-კავკასიასა და საქართველოში ბოლშევიზმის ჩასახვის გარიჟრაჟზე, არალეგალური გაზეთ „ბრძოლის" უშუალო ორგანიზატორი, ადამიანი, რომელმაც ბაქოს ორგანიზაციას მისცა ბოლშევიკურ-„ისკრული" სახე, არა მგონია, საჭიროებდეს ენუქიძის ასეთს მოწყალე შეფასებას.

ამხ. ლ. კეცხოველის მუშაობა შეუმჩნევლად ვერ ჩაივლიდა.

როტმისტრი რუნიჩი თავის 1903 წლის 10 აგვისტოს საიდუმლო მოხსენებაში ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს აწოდებს ცნობებს ამხ. კეცხოველის მუშაობის შესახებ:

„ბრალდებული ვლადიმერ კეცხოველი... მხილებულია იმაში, რომ იმ საიდუმლო სტამბის მთავარი ორგანიზატორი იყო, რომელიც ბეჭდავდა თითქმის ყველა პროკლამაციას და სხვა რევოლუციურ გამოცემებს, რომლებიც კეცხოველის დაპატიმრებამდე, ე. ი. 1902 წლის სექტემბრამდე სხვადასხვა დროს ვრცელდებოდა ტფილისის, ქუთაისის და ბაქოს გუბერნიების რაიონებში. ამასთან იმავე კვლევა-ძიებით კეცხოველი... მხილებულია იმაში, რომ ზოგიერთ ბრალდებულთან ერთად თავის საიდუმლო სტამბაში ბეჭდავდა ჯარებისადმი მიმართულ პროკლამაციებს, **რომელთა მიზანი იყო ჯარების მოწოდება აშკარა ურჩობისა და ბუნტისკენ, ამასთან ეს პროკლამაციები, როგორც გამოირკვა, ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული ჯარში.**

...კეცხოველმა თავისი უფართოესი რევოლუციური კავშირისა და ნაცნობობის მეოხებით სხვების გვარით, ყალბი პასპორტებით...

შესძლო მოეწყო ისეთი რთული და სარისკო საქმე, როგორიც არის საიდუმლო სტამბა, რომელიც თითქმის ორი წლის განმავლობაში არსებობდა და რომლის ნაწილი დღემდეც არ [illegible]".

(არქივი ფ. 36, საქმე № 467, გვ. 59, იხ. [illegible] მასალები კეცხოველის შესახებ, გვ. 111 — 112).

ამხ. კეცხოველი დააპატიმრეს ბაქოში 1902 წლის 2 სექტემბერს, რის შემდეგ ამხ. ი. ბოლქვაძემ მოახდინა არალეგალური სტამბის დროებითი ლიკვიდაცია.

ცენტრალური პარტიული სტამბა, რომელსაც ა. ენუქიძე იხსენიებს, არსებობდა ქალაქ ბაქოში 1903 წლის შუა რიცხვებიდან 1905 წლის დამლევამდე. ეს სტამბა ლენინის დავალებით მოაწყეს (უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ჯერ აღადგინეს ამხ. ლ. კეცხოველის მიერ დაარსებული ძველი სტამბა) ამხანაგებმა ლ. კრასინმა და სიმონ (იგივე ტრიფონ) ენუქიძემ და [illegible]ლის ნოემბრამდე იგი მომსახურებას უწევდა ლენინურ „ისკრას".

ხოლო მე-2 ყრილობის შემდეგ და მას შემდეგ, რაც „ისკრა" და ცენტრალური კომიტეტი მენშევიკების ხელში გადავიდა, სტამბა ლ. კრასინის მითითებებით მომსახურეობას უწევდა ახალ მენშევიკურ „ისკრას" და მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს.

ამ სტამბაში მისი დაარსების დღიდანვე და შემდეგაც მუშაობდნენ ამხ. ი. ბოლქვაძე, სილიბისტრო თოდრია, ვანო სტურუა, ჯაში, ა. ხუმარიანი, აბელ ენუქიძე და სხვ.

აი რასა სწერს თავის მოგონებებში ამ სტამბის შესახებ ამხ. ვანო ბოლქვაძე:

„ამხ. კეცხოველის დაპატიმრების შემდეგ 1903 წლის მეორე ნახევარში, ამხ. კრასინის დავალებით სიმონ (იგივე ტრიფონ) ენუქიძემ აღადგინა სტამბა (ე. ი. ამხ. კეცხოველის მიერ დაარსებული სტამბა), რომელიც 1905 წლის დამლევამდე არსებობდა...

ამხ. კრასინის დავალებით სტამბა ბეჭდავდა ახალ „ისკრას" და სხვ. ლიტერატურას".

(იხ. ამხ. ი. ბოლქვაძის მოგონებანი).

ბაქოში ცენტრალურ პარტიულ სტამბასთან ერთად ამ პერიოდში არსებობდა ბაქოს კომიტეტის სტამბა, რომელიც მომსახურებას უწევდა ბაქოს ორგანიზაციის საჭიროებებს. შემდეგში ცენტრალური სტამბიდან იქ გაგზავნეს ამხ. ს. თოდრია და ა. ხუმარიანი.

ბაქოს კომიტეტის ამ სტამბის შესახებ ამხ. გიორგი სტურუა შემდეგს გადმოგვცემს:

„ბაქოს კომიტეტის გადაწყვეტილებით მე წინადადება მომცეს დამეწყო მუშაობა არალეგალური სტამბის მოსაწყობად. ვინაიდან ბაქოს არალეგალური სტამბა უკვე ჩავარდნილი იყო და ბაქოს კომიტეტმა გადასწყვიტა მისი აღდგენა... მოვაწყეთ პატარა არალეგა-

ლური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ბაქოს კომიტეტის სხვადასხვა პროკლამაცია...

შემდეგში, როცა ეს სტამბა გაფართოვდა, ცენტრალური, არალეგალური სტამბიდან, რომელიც მაშინ ბაქოში იყო, ბაქოს კომიტეტში მიავლინეს ამხ. სილია თოდრია და აშოტ ხუმარიანი".

(იხ. გიორგი სტურუას მოგონებანი).

ამხ. კეცხოველმა დაახლოებით ერთ წელიწადს დაჰყო ჯერ ბაქოს, ხოლო შემდეგ ტფილისის საპატიმროში (მეტეხში).

ამხ. კეცხოველს საპატიმროში მტკიცედ უჭირავს თავი, ისე როგორც ნამდვილ პროლეტარულ რევოლუციონერს შეჰფერის, იგი გამოდის პოლიციელ ჯალათთა წინააღმდეგ ბრალმდებლის როლში და პატიმრებს შორის ეწევა აგიტაციას რეაქციული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ შესანიშნავი პროლეტარული მებრძოლის წინააღმდეგ პოლიცია იყენებს შურისძიების ყველაზე უსაზიზღრეს მეთოდს. ციხის პოლიციის ძალლი, როტმისტრი რუნიჩი, 1903 წლის 10 აგვისტოს, სწორედ ამხ. კეცხოველის მოკვლამდე 7 დღით ადრე, სწერდა ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს:

„ვინაიდან კვლევაძიებით დადასტურდა კეცხოველის სერიოზულობა და მნიშვნელობა რევოლუციური მოძრაობისათვის, სასარგებლო იქნებოდა... გადასახლების დროს კეცხოველის წინააღმდეგ გამოგვეყენებია **რაიმე განსაკუთრებული ზომები**, ვინაიდან კეცხოველი, **როგორც** კი განთავისუფლდება, პირველ შესაძლებლობისთანავე გაიქცევა **საზღვარგარეთ** და მომავალში **თავისი უკიდურესი შეხედულებებით უსათუოდ დიდ ზიანს მოგვაყენებს**".

(არქ. ფ. 36, საქმე 467, გვ. 59).

ეს „განსაკუთრებული ზომები" იმაში გამოიხატა, რომ 17 აგვისტოს კეცხოველი საპატიმრო საკანში ტყვიით მოჰკლეს.

კეცხოველის საზიზღარი მკვლელობის გამო პარტიის ტფილისის კომიტეტმა გამოუშვა შემდეგი პროკლამაცია:

„ამხანაგებო! კვირას, დილის 9 ნახევარ საათზე, მეტეხის საპატიმროში ტყვიით მოჰკლეს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის დაუღალავი მებრძოლი ლადო კეცხოველი. სიჭაბუკიდან, უკანასკნელ ამოკვნესამდე იგი დაუღალავად იცავდა ადამიანის წმინდა უფლებებს **და პროტესტს** აცხადებდა **ყოველგვარი** ძალადობისა და თვითნებობის წინააღმდეგ...

კეცხოველი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მოსწავლე იყო, რომ მხურვალე მონაწილეობა მიიღო სემინარიის 1893 წლის მღელვარებაში, რისთვისაც იგი სასწავლებლიდან გარიცხეს. შემდეგ იგი კიევის სემინარიაში სწავლობდა, მაგრამ იქაც ორჯერ ჩასვეს საპატიმროში. 1897 წლიდან იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკა-

სიის მუშათა მოძრაობაში. ტფილისში მან მოაწყო კონკის მოსამსახურეთა პირველი გაფიცვა... მასვე პირველს ეკუთვნის „ბრძოლის“ რედაქციის მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლს ვიყრით შენი ნეშტის წინაშე, ხალხის თავისუფლებისათვის უშიშარო მებრძოლო.

ამხანაგებო, უპროტესტოდ ნუ დავტოვებთ ამ საზიზღარ, ვერაგულ მკვლელობას და ლადოსავით მძლავრად შევსძახოთ:

ძირს თვითმპყრობელობა.

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ძირს კაპიტალიზმი.

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ტფილისის კომიტეტი“.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1903 წელს გამოუშვა ბროშურა „ლადო კეცხოველი, მისი ცხოვრება და რევოლუციონური მოღვაწეობა“, რომელშიაც ნათქვამია:

„ლადომ **პირველმა** შექმნა ქართული რევოლიუციონური ლიტერატურა. მანვე **პირველმა** მოაწყო ჩვენში სარევოლიუციო სტამბა, მანვე **პირველმა** გამოსცა ქართული რევოლიუციონური დროგამოშვებითი ორგანო, მანვე **პირველმა** ჩათესა ბაქოს მუშებში რევოლიუციის თესლები... აშკარაა ლადო უსაშიშრესი მტერი იყო თვითმპყრობელ მხეცებისა და ყველა მტარვალებისა. ამას თვით ეს უკანასკნელნიც კარგად გრძნობდნენ და კიდეც ამიტომ ასე ყოვლად უსინდისოთ, ასე ყოვლად საზიზღრათ და ვერაგულათ მოჰკლეს იგი“.

(იხ. ბროშურა „ლადო კეცხოველი, მისი ცხოვრება და რევოლიუციონური მოღვაწეობა“, 1903 წ.).

აი, როგორ ახასიათებდა კავკასიის კავშირის კომიტეტი ამხ. კეცხოველს და მის როლს ამიერ-კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში.

ამგვარად:

1) მარქსიზმის პირველი თესლი ამიერ-კავკასიაში 90-იან წლების პირველ ნახევარში შემოიტანეს, ერთის მხრით, რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან გადმოსახლებულმა რუსმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა და, მეორე მხრით, საზღვარგარეთ ნამყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა.

2) „მესამე დასი“ წარმოადგენს პირველ ქართულ მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელმაც ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა (1893 — 1898 წლების პერიოდში) მარქსიზმის იდეების გაცნობის, შესწავლის და გავრცელების საქმეში, აგრეთვე ქართული თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

3) მაგრამ „მესამე დასი“ არ იყო ერთგვაროვანი ორგანიზაცია. „მესამე დასის“ უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას — „ლეგალურ მარქსიზმს“, რომელმაც გაავულგარა და დაამახინჯა რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლები და რომელიც უარჰყოფდა რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას, მუშათა კლასის პოლიტიკურ რევოლუციურ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის იდეას. „მესამე დასის“ უმრავლესობა ავულგარებდა მარქსის მოძღვრებას და უფარდებდა მას ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარებისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებს.

4) „მესამე დასის“ უმცირესობა ამხ. კეცხოველის, სტალინისა და ა. წულუკიძის მეთაურობით წარმოადგენდა „მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტულ ინტერნაციონალისტურ ფრთას, რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ ძველი „ისკრას“ პრინციპებისათვის.

„მესამე დასის“ უმცირესობა ამხ. სტალინის და სხვ. მეთაურობით რევოლუციური მარქსიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში ეწეოდა რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლების პროპაგანდას; მან დაასაბუთა და დაიცვა ეს საფუძვლები. ეს უმცირესობა შეიქნა ლენინურ-ისკრული მიმართულების ბირთვად.

5) უთანხმოებანი და ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის გადაიზარდა და გადაიქცა საერთო უთანხმოებად ბოლშევიზმისა და მენშევიზმის საკითხზე რ. ს.-დ. მ. პ. მეორე ყრილობის შემდეგ, უმთავრესად, 1904 წლის დამლევს და 1905 წლის დასაწყისს, მას შემდეგ, რაც პლეხანოვი მენშევიზმს მიემხრო. „მესამე დასის“ უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით მთლიანად დადგა მენშევიზმის პოზიციაზე, ხოლო უმცირესობა ამხ. სტალინის მეთაურობით დადგა ლენინის ბოლშევიზმის პოზიციაზე. (მქუხარე ტაში).

1904 წლის დამლევს ტფილისში ჩამოყალიბდა რ. ს.-დ. მ. პ. ბოლშევიკური ორგანიზაცია.

6) საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუძემდებელი იყო ამხ. სტალინი (ტაში) ამხ. ს. წულუკიძესთან და ლადო კეცხოველთან და ტფილისში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატებთან (კურნატოვსკი და სხვ.) ერთად.

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებთან შეურიგებელ ბრძოლა-

ში, უპირველეს ყოვლისა, ქართველ „ლეგალურ მარქსისტებთან“ („მესამე დასის“ უმრავლესობასთან, ნ. ჟორდანიას, ს. ჯიბლაძის და სხვ. მეთაურობით) ბრძოლაში ჩაისახნენ და ფარმოიშვნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები (მქუხარე ტაში).

II

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905 — 1907 წლები)

ამხ. სტალინი 1904 წლის თებერვალს, გადასახლებიდან (ციმბირი) გამოქცევის შემდეგ, ტფილისს ბრუნდება და სათავეში უდგება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. იგი აწყობს და ხელმძღვანელობს ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ, რომელნიც განსაკუთრებით გააქტიურდნენ პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ, იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ამხ. სტალინი აქ არ იყო.

ამხ. სტალინმა და ამიერ-კავკასიის დანარჩენმა ბოლშევიკებმა გაიჩაღეს ბრძოლა პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის. ისინი მტკიცედ ატარებდნენ მენშევიკებთან გათიშვის, განხეთქილების ხაზს. ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით რ. ს.-დ. მ. პ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტმა გასწყვიტა კავშირი რ. ს.-დ. მ. პ-ის ცენტრალურ კომიტეტთან, რომელიც II ყრილობის შემდეგ მენშევიკთა ხელში გადავიდა, და მოითხოვა პარტიის III ყრილობის მოწვევა.

1904 წლის ნოემბერს ტფილისში შესდგა კავკასიის კომიტეტთა ბოლშევიკური კონფერენცია (15 დელეგატის შემადგენლობით), რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის ფართო აგიტაციისა და ბრძოლის გაჩაღების შესახებ.

კონფერენციის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო:

„პარტიული კრიზისი, რომელიც II ყრილობის გათავებისთანავე წარმოიშვა იმის გამო, რომ ეგრეთწოდებულ „უმცირესობას“ არ ჰსურდა დამორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას, ყრილობის მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში პარტიას საშუალებას არ აძლევდა რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი მომსახურება გაეწია რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებისათვის...

ზემოხსენებული მიზეზების გამო არავითარი საფუძველი არ გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ცენტრალური დაწესებულებანი მარტო საკუთარი ძალღონით გამოიყვანდნენ პარტიას ესოდენ მძიმე მდგომარეობიდან... თუკი ეს ვისმეს შეუძლია, მხოლოდ თვითონ პარტიას, ყრილობის გზით; მხოლოდ პარტიული ყრილობის კანონიერი გზით შეიძლება დაუბრუნდეს ცენტრებს დაკარგული ნდობა, რომელიც მათი მუშაობის უნარიანობისათვის აუცილებელია.

შინაპარტიული მშვიდობიანობის ინტერესებისათვის აუცილებელი, სასწრაფოდ მოწვეული საგანგებო ყრილობა ფრაქციათა ახლანდელი ისტორიული მომენტის პირობათა გამოც, რომელიც მოითხოვს პარტიის ცალკეულ ნაწილთა მოქმედების **განსაკუთრებულ** შეთანხმებას და ერთიანობას მეფის თვითმპყრობელობაზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად".

(კავკასიის კომიტეტთა კონფერენციის რეზოლუციიდან, 1904 წ. ნოემბერი).

კავკასიის კომიტეტთა ნოემბრის კონფერენციამ აირჩია ბიურო III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლის მოსაწყობად.

რევოლუციის პერიოდში (1905 — 1907 წლები) ამხანაგი სტალინი, ამხ. მიხა ცხაკაიასთან ერთად, ხელმძღვანელობს რ. ს.-დ. მ. პ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტის მუშაობას. მაშინ კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში, ამხ. სტალინისა და ამხ. მიხა ცხაკაიას გარდა, სხვადასხვა დროს, შედიოდნენ: ა. წულუკიძე, სტ. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ლ. კამენევი, ბ. კნუნიაცი, ფ. მახარაძე, ს. ხანოიანი, მ. ბოჭორიძე, მ. ტოროშელიძე, მ. დავითაშვილი, ალაჯალოვა და სხვ.

რ. ს.-დ. მ. პ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტმა გააჩაღა ბრძოლა მენშევიკებთან. იგი ყველა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაგან მოითხოვდა ბოლშევიზმის ტაქტიკური და ორგანიზაციული პრინციპების განუხრელად გატარებას.

1904 წლის ივნისს კავკასიის კავშირის კომიტეტმა დაშალა ბაქოს მენშევიკური კომიტეტი, რომელმაც პარტიის III ყრილობის წინააღმდეგ გაილაშქრა, და შეადგინა ბაქოს ახალი, ბოლშევიკური კომიტეტი.

რ. ს.-დ. მ. პ-ის ტფილისის კომიტეტმა, ს. ჯიბლაძისა და ნ. რამიშვილის მეთაურობით, გვერდი აუხვია კავშირის კომიტეტის ბოლშევიკური დირექტივების გატარებას და 1905 წლის 17 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება რ. ს.-დ. მ. პ-ის კავკასიის კავშირიდან გასვლის შესახებ. მაშინ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადასწყვტა დაეშალა მენშევიკური კომიტეტი და შეადგინა პარტიის ტფილისის ბოლშევიკური კომიტეტი.

კავშირის კომიტეტი 1905 წლის 4 თებერვალს, ტფილისის კომიტეტის დაშლის შესახებ თავის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სპეციალურ მიმართვაში რ. ს.-დ. მ. პ-ის ტფილისის ორგანიზაციის წევრებისადმი, სწერდა:

„კავკასიის კავშირის ცენტრალურმა ორგანომ — კავშირის კომიტეტმა კავშირიდან ტფილისის კომიტეტის გასვლის გამო დაადგინა: ტფილისის კომიტეტის ასეთი საქციელი (კავშირიდან გასვლა) არღვევს II ყრილობის მიერ მიღებულ პარტიულ პრინციპებს, კავშირის წესდებას და ამით პარტიის გარეშე სტოვებს ტფილისის კომიტეტის ახლანდელ წევრებს; ამიტომ კავშირის კომიტეტი აარსებს

ტფილისის ახალ კომიტეტს, რომელიც იქნება პარტიის ნამდვილი წარმომადგენელი ტფილისში და კავკასიის სხვა [illegible] ერთად გაგვიძღვება ჩვენ მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად".

(კავშირის კომიტეტის მიმართვიდან „ტფილისის გაერთიანებული მუშებისადმი" — 1905 წ. 4 თებერვალი).

1904 — 1905 წლების პერიოდში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ეწევიან ბრძოლას მენშევიზმის ნიღაბის ჩამოსახდელად და მუშათა მასების მისამხრობად.

1905 წელს ტფილისში ეწყობა ბოლშევიკების ბიურო — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ცენტრი.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ამიერ-კავკასიის ყველა სამრეწველო რაიონში: ბაქო, ტფილისი, ქუთაისი, ჭიათურა, სამტრედია, ფოთი და სხვ. — გაშალეს დიდი იდეურ-ორგანიზაციული ბრძოლა მენშევიზმის წინააღმდეგ; ბოლშევიკები ამხელენ მენშევიკების ოპორტუნიზმს და გამცემლურ როლს რევოლუციაში, აშენებენ და განამტკიცებენ თავის პარტიულ ორგანიზაციებს.

ბოლშევიკთა ტფილისის ბიურო აწყობს დისკუსიას მენშევიკებთან მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში.

დიდი დისკუსია იმართება ტფილისში რკინისგზის სახელოსნოების, დეპოს, ადელხანოვის ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკების და სხვ. სოციალ-დემოკრატიულ მუშებს შორის. ამ დისკუსიებში ამხანაგი სტალინი გამოდის და ნიღაბს ხდის მენშევიკთა ბელადებს — ნოე ჟორდანიას, ი. წერეთელს, ნ. რამიშვილს და სხვ.

დიდი დისკუსია გაიმართა აგრეთვე ბათომში, სადაც ამხ. სტალინი გამოვიდა ნ. რამიშვილის, რ. არსენიძის და მენშევიკთა სხვა მეთაურების წინააღმდეგ.

მთელი რიგი დისკუსიები ეწყობა სხვადასხვა დროს ჭიათურაში — მარგანეცის თითქმის ყველა სამადნოში (პერევისა, შუქრუთი და სხვ.). ბოლშევიკების მხრივ ამ დისკუსიებში გამოდიოდა ამხ. სტალინი, და მასთან ერთად, სხვადასხვა დროს, მონაწილეობდნენ აგრეთვე ამხანაგები ა. წულუკიძე, ბ. მდივანი, ინწკირველი და კ. ცინცაძე, ხოლო მენშევიკების მხრიდან მენშევიკთა მეთაურები — გ. ლორთქიფანიძე, ხომერიკი, ნინიძე, ზ. გურული და სხვ.

ჭიათურის დისკუსიებში მენშევიკებმა სრული დამარცხება განიცადეს. სოციალ-დემოკრატ მუშათა უდიდესი უმრავლესობა ბოლშევიკებს მიემხრო.

ამხ. სტალინი ჭიათურაში აწყობს პარტიის ბოლშევიკურ სამაზრო კომიტეტს, მოწინავე აქტივისტ მუშებისაგან გამოჰყოფს პროპაგანდისტთა

ჯგუფს, აგრეთვე ამზადებს აქტივის სპეციალურ ჯგუფს ჭიათურის რაიონის გლეხთა შორის სამუშაოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისკუსიები მოეწყო ქუთაისში, სადაც მენშევიკებმა — ლორთქიფანიძემ, ნ. ხომერიკმა, კ. სულაქველიძემ და სხვ. შესძლეს მიემხროთ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა უმრავლესობა.

ამხ. სტალინის ინიციატივით ქუთაისში ჩამოყალიბდა იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ყოფილი ქუთაისის გუბერნიის პარტიულ ორგანიზაციებს. ამხანაგი სტალინი ქუთაისის კომიტეტთან ჰქმნის პროპაგანდისტთა ჯგუფს და ამზადებს მათ პარტიულ-სააგიტაციო მუშაობისათვის.

ამხ. სტალინი, მიხა ცხაკაიასთან, ფ. მახარაძესთან, ს. ქავთარაძესთან, შ. ელიავასთან და სხვებთან ერთად, ატარებს მთელ რიგ დისკუსიებს მენშევიკების წინააღმდეგ ხონის რაიონში (ხონი, კუხი). დისკუსიის შემდეგ ჩამოყალიბდა ხონის ბოლშევიკური კომიტეტი.

მენშევიკები, ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის და სხვათა მეთაურობით, ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართავდნენ ბოროტ ინსინუაციებს და დემაგოგიას, ცილს სწამებდნენ ბოლშევიკებს, განსაკუთრებით ლენინს და სტალინს, — ბრალს სდებდნენ მათ „ბლანკიზმში", „იაკობინელობაში", „დიქტატორობაში" და სხვ.

1904 წლის დამლევს ამხ. სტალინი მიემგზავრება ბაქოში კამპანიის გასაძლიერებლად პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის და ბრძოლის შემდგომი გაჩაღებისათვის მენშევიკების წინააღმდეგ, კერძოდ მენშევიკური ც. კ-ის წარმომადგენლის გლებოვის (ნოსკოვის) წინააღმდეგ, რომელიც მაშინ ბაქოში იმყოფებოდა.

ამხ. სტალინი და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები დაუნდობელ ბრძოლას აჩაღებენ ნაციონალისტურ პარტიებთან: დაშნაკებთან, ფედერალისტებთან, ანარქისტებთან და სხვ., მთელი რიგი დიდი დისკუსიები მოეწყო ანარქისტების, ფედერალისტების და სხვათა წინააღმდეგ.

დიდი დისკუსია მოეწყო ტფილისში ანარქისტ-კროპოტკინელების — კ. გოგელიას, მ. წერეთლის წინააღმდეგ, რაც ბოლშევიკთა სრული გამარჯვებით დასრულდა. დიდი დისკუსია მოეწყო აგრეთვე შ. მესხიშვილის (ესერი), ს. მდივანის (ფედერალისტი) წინააღმდეგ, ანარქისტების ბელად გოგელიასთან და სხვებთან ჭიათურაში. ყველა ამ დისკუსიაში ამხ. სტალინი უდიდეს როლს თამაშობდა.

აი რას ამბობს ამ დისკუსიის შესახებ ამხ. კეკელიძე:

„1905 წლის მაისში მოიწვიეს კრება, რომელიც სადისკუსიო მიტინგად გადაიქცა. 2 ათასამდე მუშა დაესწრო. მიტინგზე გამოვიდნენ ამხ. კობა — სტალინი, მენშევიკებისაგან — გ. ლორთქიფანიძე, სოციალ - რევოლუციონერებისაგან — შ. მესხიშვილი, ფედერალისტებისაგან — ს. მდივანი, ანარქისტებისაგან — კ. გოგელია და სხვ.

იწყება მიტინგი. პირველი გამოდის კობა, გაჩაღდა დიდი კამათი... მაშინ, როცა ყოველი მოწინააღმდეგე ილანძღებოდა და „ბორბლს ჰყრიდა“, ამხ. კობა დინჯად და შეურყევლად აღლვევდა და აცამტვერებდა მოწინააღმდეგეთა ყველა დებულებას, ამგვარად, აქაც ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს — მუშებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამხ. კობას“.

(მოგონებებიდან ამხ. ბართლომე კეკელიძისა — პარტიის წევრი 1903 წლიდან).

პირველი რევოლუციის პერიოდში (1905 — 1907 წლები) ამხ. სტალინი იყო ლენინური ხაზის მტკიცე გამტარებელი, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა და რევოლუციონურ მუშათა და გლეხთა ბელადი და ხელმძღვანელი (მჭუხარე ტაში).

სრულიად-რუსეთის პირველ ბოლშევიკურ კონფერენციაზე ტამერფორსში (1905 წ. დეკემბერში) ამხ. სტალინი და მოწინავე მუშა გ. თელია იგზავნებიან დელეგატებად ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისაგან.

ამ კონფერენციაზე ამხ. სტალინი აირჩიეს კონფერენციის რეზოლუციათა სარედაქციო პოლიტიკურ კომისიაში.

აქ ამხ. სტალინი პირადად დაუკავშირდა ამხ. ლენინს, რომელსაც წინათ მხოლოთ მიმოწერით იცნობდა.

აი, რას მოგვითხრობს ამხ. სტალინის მიმოწერაზე ბოლშევიკთა ლეიპციგის ჯგუფის ერთერთი მონაწილე — დ. სულიაშვილი.

„ამხ. სტალინისაგან ჩვენ ვღებულობდით აღფრთოვანებულ წერილებს ლენინზე, წერილებს ღებულობდა ამხ. მ. დავითაშვილი *). ამხ. სტალინი ამ წერილებში აღტაცებული იყო ლენინით, მისი განუხრელი, წმინდა მარქსისტული ტაქტიკით, მის მიერ პარტიული მშენებლობის საკითხთა გადაჭრით და სხვ. ერთერთ წერილში ამხ. სტალინი ლენინს „მთის არწივს“ უწოდებდა და აღფრთოვანებული იყო მისი შეურიგებელი ბრძოლით მენშევიკთა წინააღმდეგ. ჩვენ ეს წერილები ლენინს გადავუგზავნეთ და მალე მისგან მივიღეთ პასუხი, რომელშიაც იგი სტალინს „მგზნებარე კოლხიდელს“ უწოდებდა.

(დ. სულიაშვილის მოგონებებიდან).

ამიერ-კავკასიაში 1905 წლის რევოლუცია, ისევე როგორც მთელი რევოლუციური მოძრაობა, რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის უშუალო ზეგავლენით წარმოიშვა.

---

*) მ. დავითაშვილი იყო რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი 1905 — 1907 წ.წ.

1905 წელს ამიერ-კავკასიაში ფართო გაქანება მიიღო მუშათა და გლეხთა რევოლუციურმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რევოლუციური აღმავლობა დაიწყო 1904 წელს ბაქოს პროლეტარიატის დეკემბრის გაფიცვებით.

პოლიტიკური გაფიცვები მთელ ამიერ-კავკასიას მოედო.

ტფილისში 18 (31) იანვარს მოხდა ტფილისის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც დასაბამი მისცა საყოველთაო გაფიცვების ხანას: ბათომში, ჭიათურაში, ქუთაისში, სამტრედიაში და სხვა ქალაქებში.

ოფიციალური სტატისტიკით **1905 წელს ყოველ მუშაზე მოდიოდა გაფიცვა: ბაქოში — 4,56-ჯერ, ტფილისში — 4,49-ჯერ.** გაფიცვები, ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ჩვეულებრივ შეიარაღებულ დემონსტრაციებად და პოლიციასა და ჯართან მუშათა შეიარაღებულ შეტაკებებად გადაიქცეოდა ხოლმე.

რევოლუციის განსაკუთრებით დიდ აღმავლობას ვხედავთ ამიერ-კავკასიის სოფელში.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, დუშეთის, ტფილისისა და თელავის მაზრები), მეტადრე გურიაში (ოზურგეთის მაზრა), გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყებები ხდებოდა. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები — რევოლუციური გლეხობის შეიარაღებული აჯანყების ორგანოები, ახორციელებდნენ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ყოველგვარი გადასახადების გაუქმებას, მემამულეთა, სამღვდელოების და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს.

კავკასიაში შეიარაღებული ბრძოლის შესახებ სტატიაში — „თანამედროვე მდგომარეობა რუსეთში და მუშათა კლასის ტაქტიკა" — ლენინი სწერდა:

> „ჩვენ გაგვისწრეს ამ მხრივ კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიის მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცილდა ძველ ტერორს. სადაც აჯანყება ყველაზე უკეთესად არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერ და მკაფიოდ არის გამოხატული".
>
> (ლენინი, თხზ. ტომი IX, გვ. 27).

1904 — 1907 წლების პერიოდში ამხანაგი სტალინი, რომელიც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა საჭესთან დგას, უდიდეს თეორიულ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. იგი ხელმძღვანელობს და წარმართავს მთელი ბოლშევიკური პრესის მუშაობას.

ამ პერიოდში ამიერ-კავკასიაში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები: **ტფილისში** — „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ", „პროლეტარიატის ბრძოლა" (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), „ახალი დროება", „დრო", „ახალი ცხოვრება", „ჩვენი ცხოვრება"; **ბაქოში** — „კანწ" (სომხურ ენაზე), „ნორ-ხოსქ" (სომხურ ენაზე), „ბაკინსკი რაბოჩი", „ბაკინსკი პროლეტარი",

„ბანეორი ძაინ“ (სომხურ ენაზე), „რიადოვოი“, „გუდოკ“, „პრიზივ“, „ქოჩდევეტ“ (თურქულ ენაზე) და სხვ.

ამხ. სტალინი თავის ნაშრომებში და სტატიებში ანადგურებს ბოლშევიზმის მენშევიკების წინააღმდეგ, იცავს, ასაბუთებს და ჭქადაგებს ლენინურ მოძღვრებას პროლეტარული პარტიის შესახებ და ბოლშევიზმის ორგანიზაციულ პრინციპებს.

ბროშურაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც დაწერილია 1905 წლის დასაწყისში და რომელიც არალეგალურად გამოიცა 1905 წლის ზაფხულს, და სტატიაში — „პასუხი „სოციალ-დემოკრატს“, რომელიც გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ გამოქვეყნდა, ამხ. **სტალინი იძლევა სტიქიურობის მენშევიკური ოპორტუნისტული თეორიის გამანადგურებელ კრიტიკას და ასაბუთებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას მუშათა კლასისათვის რევოლუციური თეორიისა და პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობის შესახებ. აქ ამხ. სტალინი გამოდის ლენინის ნაშრომის — „რა ვაკეთოთ?“ — დასაცავად:**

„მუშათა **სტიქიური** მოძრაობა, მუშათა მოძრაობა **უსოციალიზმოთ** აუცილებლათ წვრილმანდება და ტრედიუნიონისტურ ხასიათს იღებს — ის ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ემორჩილება.

შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ: სოციალიზმი ყველაფერია და მუშათა მოძრაობა — არაფერი? რათქმა უნდა, არა! ამას მარტო იდეალისტები იტყვიან. ოდესმე, კარგა ხნის მერე ეკონომიური განვითარება აუცილებლათ მიიყვანს მუშათა კლასს სოციალურ რევოლიუციასთან და, მაშასადამე, ყოველივე კავშირს შეაწყვეტინებს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან; საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ეს გზა ძალიან გრძელი და გასაჭირი იქნება.

მეორე მხრივ — სოციალიზმი **უმუშათამოძრაობოთ**, რაც უნდა მეცნიერულ ნიადაგზე იყვეს ის შემუშავებული, მაინც ცარიელ ფრაზათ დარჩება და მნიშვნელობას დაჰკარგავს... შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ: მოძრაობა ყველაფერია და სოციალიზმი — არაფერი? სულაც არა! ასე მარტო ძალათმარქსისტები ლაპარაკობენ, რომელთათვისაც შეგნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რახან ის ცხოვრებაში იბადება. სოციალიზმი შეიძლება მუშათა მოძრაობას გადაეცეს და მით ცარიელი ფრაზიდან ბასრ იარაღად გადაიქცეს.

დასკვნა? დასკვნა ასეთია, რომ მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი ერთმანეთს უნდა შეუერთდეს, პრაქტიკული მოქმედება და თეორეტიული აზრი ერთმანეთს უნდა ჩაეკონოს და მით მუშათა სტიქიურ მოძრაობას სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიეცეს“.

(ი. სტალინი, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, 1905 წ., გვ. 20 — 21).

ამავე ბროშურაში ამხ. სტალინი ასაბუთებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის როლს:

„ჩვენი, სოციალ-დემოკრატიის ვალია ტრედიუნიონიზმის გზას ავაშოროთ და სოციალ-დემოკრატიულ გზაზე შევაყენოთ მუშათა სტიქიური მოძრაობა, ჩვენი ვალია სოციალისტური შეგნება **შევიტანოთ** ამ მოძრაობაში და შევაერთოთ მუშათა მოწინავე ძალები ერთ ცენტრალისტურ პარტიათ, ჩვენი ვალია მუდამ წინ ვუძღოდეთ მოძრაობას და დაუღალავათ ვებრძოლოთ ყველას, მტერი იქნება ეს თუ „მოყვარე", ვინც-კი ხელს შეგვიშლის ჩვენი წმინდა მიზნის განხორციელებაში".

(ი. სტალინი, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", 1905 წ., გვ. 21).

თავის სტატიაში „პასუხი „სოციალ-დემოკრატს" (იხ. გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 11, 15 (28) აგვისტო 1905 წ.) **ამხ. სტალინი ავითარებს ლენინის თეზისს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის შესახებ, თეზისს იმის აუცილებლობის შესახებ, რომ რევოლუციური თეორია მუშათა მასობრივ მოძრაობას უნდა შეუერთდეს.**

„დღევანდელი ცხოვრება კაპიტალისტურათაა მოწყობილი. აქ ორი დიდი კლასი არსებობს: ბურჟუაზია და პროლეტარიატი, და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული. პირველს მისი ცხოვრებითი გარემოება აიძულებს, რომ კაპიტალისტური წესები გაამაგროს. მეორეს კი იგივე გარემოება აიძულებს, რომ შეარყიოს და ძირს დასცეს კაპიტალისტური წესები. თანახმად ამ ორი კლასისა შეგნებაც ორნაირი მუშავდება: ბურჟუაზიული და სოციალისტური. პროლეტარიატის გარემოებას სოციალისტური შეგნება შეეფერება...

მარა რა მნიშვნელობა აქვს ცარიელ სოციალისტურ შეგნებას, თუ კი ის პროლეტარიატში არ გავრცელდება? ის ცარიელ სიტყვებათ ღა დარჩება და მეტი არაფერი! სულ სხვანაირათ დატრიალდება საქმე, თუ პროლეტარიატში გავრცელდება ეს შეგნება: პროლეტარიატი შეიგნებს თავის მდგომარეობას და **აჩქარებული** ნაბიჯით გაექანება სოციალისტური ცხოვრებისაკენ. აი აქ ჩნდება სოციალ-დემოკრატია (და არა მარტო ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები), რომელსაც შეაქვს მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება"...

(იხ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 11, 1905 წ. 15 (28) აგვისტო).

ლენინმა ბრწყინვალე შეფასება მისცა ამხ. სტალინის სტატიას „პასუხი „სოციალ-დემოკრატს".

პარტიის ცენტრალურ ორგანო „პროლეტარში“, № 22 1905 წ. ლენინი სწერდა:

„სტატიაში: „პასუხი სოციალ-დემოკრატს“ [illegible] შნავთ, რომ მშვენივრად არის დასმული ცნობილი „გ[illegible]ბის შეგნების შეტანის“ საკითხი.

ავტორი ამ საკითხს ოთხ დამოუკიდებელ ნაწილადა ჰყოფს:

1) ფილოსოფიური საკითხი მდგომარეობასთან შეგნების დამოკიდებულების შესახებ: **მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას.** ორი კლასის არსებობის შესაბამისად შეგნებაც ორგვარი გამომუშავდება: ბურჟუაზიული და სოციალისტური. პროლეტარიატის მდგომარეობას სოციალისტური შეგნება შეესაბამება.

2) „ვის შეუძლია გამოიმუშაოს და ვინ გამოიმუშავებს ამ სოციალისტურ შეგნებას (მეცნიერულ სოციალიზმს)“?

„**თანამედროვე სოციალისტური შეგნება მხოლოდ ღრმა მეცნიერული ცოდნის ნიადაგზე შეიძლება წარმოიშვას**“, ე. ი. **მისი გამომუშავება** „რამდენიმე ინტელიგენტის, სოციალ-დემოკრატის საქმეა, რომელთაც ამისათვის საჭირო სახსრები და მოცალება გააჩნიათ“.

3) როგორ შეიჭრება ეს შეგნება პროლეტარიატში? „სწორედ აქ გამოდის სოციალ-დემოკრატია (და არა მარტო ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატები), რომელსაც მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნება შეაქვს“.

4) რას ხვდება სოციალ-დემოკრატია თვით პროლეტარიატში, როდესაც მასთან სოციალიზმის ქადაგებით მიდის? ინსტინქტურ **მიდრეკილებას** სოციალიზმისადმი. „პროლეტარიატთან ერთად ბუნებრივი აუცილებლობით ჩაისახება სოციალისტური ტენდენცია როგორც **თვით პროლეტარებში**, ისე იმათში, ვინც პროლეტარიატის თვალსაზრისს ითვისებს; ასეა ახსნილი სოციალისტურ მიდრეკილებათა **ჩასახვა**“.

მენშევიკს აქედან სასაცილო დასკვნა გამოაქვს: „აქედან ცხადია, რომ სოციალიზმი გარედან კი არ შეიტანება პროლეტარიატში, არამედ, პირიქით, პროლეტარიატიდან გამოდის და იმათ თავში შედის, ვინც პროლეტარიატის შეხედულებებს ითვისებს“.

(იხ. ჟურნალი „პროლეტარსკაია რევოლუცია“ № 4, 1934 წ. გვ. 95 — 96).

სტატიებში „დამოუკიდებელთა“ პარტია და სოციალ-დემოკრატიის **ამოცანები**“ (გაზეთი „განთიადი“, № 5, 1906 წ. 10 მარტი), „ი. ბესოშვილის“ ხელმოწერით და „რეორგანიზაცია თბილისში“ („ახალი ცხოვრება“ № 5, 1906 წ. 25 ივნისი), **„კობას“ ხელმოწერით, ამხ. სტალინი პარტიის როლისა და მნიშვნელობის საკითხის შემდგომ განვითარებას იძლევა.** იგი ამტკიცებს, თუ რატომ იწვევს მუშათა პროფესიული ინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესები, საერთო ეკონომიური ბრძოლა პროფესიული კავშირების ორგანიზაციის აუცილებლობას, ხოლო პროლეტარიატის საერთო კლასობრივი ამოცანებისათვის ბრძოლის ინტერესები რატომ მოითხოვს კლასობრივი პოლიტიკური პარტიის შექმნას.

„პროფესიონალური საქმეებისათვის პროფესიონალური... ორგანიზაციები, პარტიული საქმეებისათვის — პარტიული ორგანიზაციები, აი რა ნიადაგზე უნდა აშენდეს რეორგანიზაცია. პირველებში უნდა შედიოდეს ყველა ის, ვინც ხაზეინებთან ბრძოლის მომხრეა, განურჩევლად მისი პოლიტიკური მიმართულებისა; **ხოლო მეორეებში** უნდა შედიოდენ ყველა პარტიის წევრები, განურჩევლად პროფესიისა“.

(სტატია „რეორგანიზაცია თბილისში“, იხ. გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 5, 1906 წ. 25 ივნისი).

ამხ. სტალინი, რევოლუციურ აღმავლობასთან დაკავშირებით, რამაც პარტიის ლეგალური მუშაობის ერთგვარი შესაძლებლობანი შეჰქმნა, აყენებს შინაპარტიული დემოკრატიის გატარების საკითხს. იგი ასაბუთებს შინაპარტიული დემოკრატიზმის ბოლშევიკურ გაგებას:

„ნამდვილი დემოკრატიზმი-კი იმაში შესდგება, რომ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული მასა მოქმედებდეს, პარტიული მასა სჭრიდეს, როგორც პარტიულს, ისე საერთო პრაქტიკულ კითხვებს, **პარტიულ მასას გამოჰქონდეს თავისი რეზოლიუციები და ავალებდეს** თავის ორგანიზაციებს ამ რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარებას.

დემოკრატიზმი არ შესდგება მარტო **დემოკრატიულ არჩევნებში, არჩევნების** დემოკრატიზმს ჯერ კიდევ ვერ დაერქმევა ნამდვილი დემოკრატიზმი: ნაპოლეონ მესამე საერთო ხმის უფლებით აირჩიეს, მარა ვინ არ იცის, რომ ეს არჩეული იმპერატორი უდიდესი დამმონავებელი იყო?

ჩვენ **მოქმედების** დემოკრატიზმზე გვაქვს ლაპარაკი, როცა **პარტიული** მასა თითონვე სჭრის კითხვებს და თვითონ მოქმედებს, და აი, ჩვენ ვამბობთ, რომ სწორეთ ასეთი დემოკრატიზმი უნდა დაედოს საარჩულათ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას“.

(სტატია „რეორგანიზაცია თბილისში“, იხ. გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 5, 1906 წ., 25 ივნისი).

ამხ. სტალინი აჩაღებს ბრძოლას მუშათა მასობრივი ორგანიზაციებისათვის და სასტიკად აკრიტიკებს დაშნაკთა პოზიციას, რომელნიც მოითხოვდნენ პარტიული, არსებითად ნაციონალური, პროფესიული კავშირების მოწყობას.

სტატიაში „პროფესიონალური კავშირები თბილისში“ ამხ. სტალინი სწერს:

„რას ნიშანავს პარტიული პროფესიონალური კავშირები?“ — კითხულობს ამხანაგი სტალინი და უპასუხებს:

— ეს ყველაზე პირველათ იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა პარტიების წევრებმა სხვადასხვა კავშირებში უნდა მოიყარონ თავი... ფედერალისტებს ცალკე პროფესიონალური კავშირი, დაშნაკცაკანებს ცალკე, ქართველებს ცალკე, სომხებს კიდევ ცალკე და სხვა. მაშინ, როდესაც ფაბრიკანტები ყველა **ერთ კავშირში** ერთიანდებიან, განურჩევლად მათი პოლიტიკური რწმენებისა, დაშნაკცაკანები გვირჩევენ **ცალკე ჯგუფებათ** დავწვრილმანდეთ და მით სამარე გაუთხაროთ ჩვენს ერთსულობას“.

(სტატია „პროფესიონალური კავშირები თბილისში“. იხ. გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 12, 1906 წ. 15 აგვისტო).

შემდეგ იგი გვიჩვენებს, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია „პარტიული პროფკავშირების“ ლოზუნგს:

„საქმე იმაშია, — სწერს ამხ. სტალინი, — რომ პარტიული პროფესიონალური კავშირები ორმოსა სთხრიან შეგნებულსა და შეუგნებელ მუშებს შორის. ყველამ იცის, რომ არიან ისეთი მუშები, რომლებიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნიან... განა საჭირო არაა მათი მომხრობა? და აი, იმის მაგიერ, რომ ისინიც მოიზიდონ, დაშნაკცაკანები პროფესიონ. კავშირის კარებს უკეტავენ მათ. აფრთხობენ მათ, ხიდს სტეხენ შეგნებულსა და შეუგნებელ მუშებს შორის და მით შესაძნევათ აუძლურებენ მუშათა ერთობას!“

(სტატია „პროფესიონალური კავშირები თბილისში“, იხ. გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 12, 1906 წ. 15 აგვისტო).

სტატიებში „დამოუკიდებელთა“ პარტია და „სოციალ-დემოკრატია“ (გაზეთი „განთიადი“ № 5, 1906 წ. 10 მარტი, „ი. ბესოშვილის“ ხელმოწერით) და „კლასთა ბრძოლა“ (გაზეთი „ახალი დროება“, № 1, 1906 წ. 14 ნოემბერი) და სხვ. **ამხ. სტალინმა დაასაბუთა პროფესიული კავშირების მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობის აუცილებლობა.**

პირველი რევოლუციის წლებში ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ყოველი ნაბიჯი ბოლშევიკების მიერ დაპყრობილია მენშევიკებთან შეურიგებელ ბრძოლაში.

ამიერ-კავკასიის მენშევიკები, უარყოფდნენ რა რევოლუციის მამოძრავებელი ძალების და ამოცანის ხასიათის ბოლშევიკურ შეფასებას, გამოვიდნენ **პროლეტარიატისა** და **გლეხობის** რევოლუციურ-დემოკრატიული **დიქტატურის ლოზუნგის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული** რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის წინააღმდეგ.

მენშევიკებმა გადაჭრით უარჰყვეს რევოლუციური მთავრობისა და საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობა და მოითხოვეს: რე-

ვოლუციური თვითმართველობის ორგანიზაცია, კავშირი ბურჟუაზიასთან, თვითმპყრობელობასთან კონსტიტუციურ-დემოკრატიული საშუალებებით ბრძოლა; პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა ... სქემად გამოაცხადეს.

ჟორდანიამ ასე ჩამოაყალიბა ამიერ-კავკასიის მენშევიკთა სტრატეგია და ტაქტიკა:

„რეაქციის გატეხა, კონსტიტუციის მოპოება და გატარება, დამოკიდებული იქნება პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ძალთა შეგნებულად შეერთებაზე და საერთო მიზნისაკენ მიმართვაზე. მაშასადამე, ამ კლასების პოლიტიკურათ მომწიფება და ორგანიზაციულათ მოწყობა გამარჯვების მიუცილებელი პირობაა. მართალია მოძრაობაში ჩაერევა გლეხობა და მას მისცემს სტიქიურ ხასიათს, მარა გადამწყვეტი როლი კი მაინც ამ ორ თანამედროვე კლასს ექნება და გლეხთა მოძრაობაც მათი წისქვილის ამტრიალებელი გახდება“.

(ნ. ჟორდანია, სტატია „საჭირბოროტო საკითხები“, იხ. „რჩეული ნაწერები“, გვ. 533).

მენშევიკები რევოლუციის დასაწყისიდანვე მოითხოვდნენ და იცავდნენ საწარმომადგენლო დაწესებულების (სათათბიროს) მოწვევას და მისთვის მხარის დაჭერას.

ნ. ჟორდანიამ სტატიაში „საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა“ მოითხოვა ლიბერალურ-კონსტიტუციური ტაქტიკის გატარება რევოლუციაში, გადაჭრით უარჰყო შეიარაღებული აჯანყების მომზადების ტაქტიკა და წინადადებას იძლეოდა, რათა პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის ცენტრად გამხდარიყო მეფის მთავრობის მიერ განზრახული საერო კრება.

ნ. ჟორდანია სწერდა:

„მთელი რუსეთის პროლეტარიატი იმდენათ გაცნობიერებული და შეკავშირებული არ არის, რომ რევოლიუცია მარტო მან მოახდინოს. და რომ ეს მას შეეძლოს, ის მოახდენდა არა ბურჟუაზიულს, არამედ პროლეტარულ (სოციალისტურ) რევოლუციას. მაშასადამე, ჩვენი ინტერესია მთავრობამ მოკავშირე ვერ იშოვოს, ოპოზიცია ვერ გაარღვიოს, ბურჟუაზია ვერ შეიერთოს და პროლეტარიატი არ განამარტოვოს...

... წინაალმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატის დამარცხება და მთავრობის გამარჯვება აუცილებელი იქნება...

... ვთქვათ, საერო კრებას ყურადღება არ მივაქციეთ. ვიწყეთ ჩვენთვის მზადება და ერთ მშვენიერ დღეს შეიარაღებულნი ქუჩაში გამოვედით საბრძოლველათ. და აი, აქ წინ გვიხდება ერთი მტრის მაგიერ ორი — მთავრობა და საერო კრება! იმ დროს, როცა ჩვენ ჩვენთვის ვემზადებოდით, ამათ უკვე მოუსწრიათ მოლაპარაკება,

შეთანხმება, თავის სასარგებლო კონსტიტუციის შემუშავება და მართველობის ერთმანეთშორის განაწილება. ეს პირდაპირ მთავრობის სასარგებლო ტაქტიკაა და ამიტომ ერთიანათ ... უნდა იქმნას...

... მეორე ტაქტიკა კი, პირიქით, მდგომარეობს იმაში, რომ საერო კრება დავაყენოთ ჩვენს მხედველობის ქვეშ, მას არ დავანებოთ მისი ნებისამებრ მოღვაწეობა და მთავრობასთან დაახლოვება...

...ამ ტაქტიკით მთავრობა რჩება მუდამ განმარტოვებული, ოპოზიცია გაძლიერებული და დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება გაადვილებული".

(იხ. გაზ. „სოციალ-დემოკრატი" № 1, 1905 წ. 7 (20) აპრილი, სტატია „საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა").

ლენინმა წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" ამხილა და დაჰგმო ნ. ჟორდანიას აშკარა ოპორტუნიზმი, ბურჟუაზიული ლიბერალიზმი და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ამიერ-კავკასიის მენშევიკებს.

ლენინი სწერდა:

„მაშასადამე, პროლეტარიატის ინტერესს შეადგენს, რომ მეფის მთავრობამ ვერ შესძლოს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გათიშვა! იქნებ შეცდომით უწოდეს ქართულ ორგანოს „სოციალ-დემოკრატი" ნაცვლად იმისა, რომ ეწოდებინათ „ოსვობოჟდენიე?" და ყურადღება მიაქციეთ, დემოკრატიული რევოლუციის რა შეუდარებელი ფილოსოფიაა! განა აქ თვალნათლივ არ ვხედავთ, თუ როგორ საბოლოოდ გზა-კვალი აუბნევია საცოდავი ტფილისელისთვის, „ბურჟუაზიულ" რევოლუციის" ცნების რეზონიორულ-მაჩანჩალურ გაგებას? იგი იხილავს დემოკრატიულ გადატრიალებაში პროლეტარიატის განმარტოების შესაძლებლობის საკითხს და ივიწყებს... ივიწყებს წვრილმანს... გლეხობას! პროლეტარიატის შესაძლო მოკავშირეებიდან იგი იცნობს და ელოლიავება მემამულე-ერობელებს და არ იცნობს გლეხებს. და ეს კავკასიაში! განა ჩვენ მართალი არ ვიყავით, როცა ვამბობდით, რომ ახალი „ისკრა" თავისი სჯაბაასით მონარქიულ ბურჟუაზიამდე ქვეითდება, იმის მაგივრად, რომ რევოლუციური გლეხობა აამაღლოს თავის მოკავშირედ?"

(იხ. ტომი VIII, გვ. 67).

ამიერ-კავკასიის მენშევიკთა პირველმა კონფერენციამ 1905 წლის 14 აპრილს უკუაგდო რევოლუციური მთავრობის ლოზუნგი და მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას.

ამ კონფერენციის რეზოლუციაში ვკითხულობთ:

„კონფერენციას თავის ამოცანად მიაჩნია გამოიყენოს რევოლუციური მომენტი პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული შეგნე-

ბის გასაღრმავებლად. იმ მიზნით, რომ პარტიისათვის უზრუნველყოფილ იქნას ახლადაღმოცენებული ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი წყობილების კრიტიკის სრული თავისუფლება. კონფერენცია სოციალ-დემოკრატიული დროებითი მთავრობის შექმნისა და მასში შესვლის წინააღმდეგია. კონფერენციას ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია გარედან ზეგავლენის მოხდენა ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობაზე სახელმწიფო წყობილების შეძლებისამებრ დემოკრატიზაციისათვის. კონფერენცია ფიქრობს, რომ სოციალ-დემოკრატების მიერ დროებითი მთავრობის შედგენა, ან მასში შესვლა გამოიწვევს, ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან პროლეტარიატის ფართო მასების ჩამოშორებას, რომელთაც იმედი გაუცრუვდებოდათ, რადგან სოციალ-დემოკრატია, ძალაუფლების დაპყრობის მიუხედავად, ვერ შესძლებს დააკმაყოფილოს მუშათა კლასის საარსებო საჭიროებანი, თვით სოციალიზმის დამყარებამდე, მეორე მხრივ, **აიძულებს ბურჟუაზიულ კლასებს ზურგი შეაქციონ რევოლუციის საქმეს და ამით შეასუსტებს მის გაქანებას".**

(მოგვყავს ლენინის თხზ. ტ. VIII-დან გვ. 192 — 193).

როგორც კი მეფის მთავრობამ 1905 წლის 6 აგვისტოს ე. წ. ბულიგინის სათათბიროს მოწვევა გამოაცხადა, მენშევიკებმა მხარი დაუჭირეს სათათბიროში მონაწილეობას. ამიერ-კავკასიის მენშევიკთა მეორე კონფერენციამ (1905 წ. აგვისტოს დამლევს) გადაჭრით დაუჭირა მხარი ბულიგინის სათათბიროს.

მენშევიკებმა აგვისტოს კონფერენციის შემდეგ გააჩაღეს კამპანია სათათბიროს შესანარჩუნებლად და მისთვის მხარის დასაჭერად, გადაჭრით გაილაშქრეს მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მომზადების წინააღმდეგ და ყოველნაირად აფერხებდნენ მასობრივ რევოლუციურ გამოსვლებს.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია ერთადერთი პროლეტარული რევოლუციური პარტია იყო, რომელიც ამიერ-კავკასიაში რევოლუციას ხელმძღვანელობდა.

ბოლშევიკები რევოლუციის დასაწყისიდანვე იცავდნენ და ატარებდნენ რევოლუციის ლენინურ სტრატეგიას და ტაქტიკას. ისინი იბრძოდნენ მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისათვის, რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისათვის.

1905 წლის იანვარში კავკასიის კავშირის კომიტეტმა აუცილებლად მიიჩნია შეიარაღებული იერიშის მიტანა თვითმპყრობელობაზე:

„რუსეთის რევოლუცია გარდუვალია, იგი ისევე გარდუვალია, როგორც გარდუვალია მზის ამოსვლა.

...ამ რევოლუციის მთავარ ძალებს წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, ხოლო მათი მედროშეა სოციალ-დემოკრატიული პარტია, და არა თქვენ, ბატონო ლიბერალებო!

როცა მეფის თვითმპყრობელობა ირყევა, ჩვენი მოვალეობაა მოვემზადოთ გადამწყვეტი იერიშისათვის".

(საარქივო ფონდი № 158, 1905 წ., საქმე № 1287, ფურცელი 31).

კავკასიის კავშირის კომიტეტი დაუღალავად ეწეოდა პროპაგანდას და ეუწოდებდა მუშებს და გლეხებს შეიარაღებული აჯანყებისათვის:

„რევოლუციის ხელმძღვანელს, მის მედროშეს... რევოლუციის ნამდვილ სულისჩამდგმელს პროლეტარიატი წარმოადგენს...

... ახლა, როცა პროლეტარიატს რევოლუცია სწყურია, როცა მას შეგნებულად სურს უხელმძღვანელოს რევოლუციას, როცა მისი კლასობრივი ინტერესები მას წინამძღოლობას აკისრებენ, — პროლეტართა პარტიის მოვალეობაა მოაწყოს აჯანყების საქმე და ამით განუმტკიცოს ნიადაგი პროლეტარიატის ნამდვილ წინამძღოლობას".

(იხ. კავკასიის კავშირის კომიტეტის 1905 წ. 26 მარტის პროკლამაცია).

კავკასიის კავშირის კომიტეტი იმავე პროკლამაციაში იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის ლენინურ იდეას:

„ჩვენი პარტიის პირდაპირი მოვალეობაა მოაწყოს აჯანყება...

მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი პარტია აჯანყებას მოაწყობს და, მაშასადამე, პროლეტარიატი რევოლუციის ნამდვილ ხელმძღვანელად გამოვა, მხოლოდ მაშინ შეესძლებთ შესაფერისათ გამოვიყენოთ ძველი წესების განადგურება, მხოლოდ მაშინ შეესძლებთ მკვიდრად განვმტკიცდეთ მომავალ თავისუფალ რუსეთში და ღირსეულად გავიკაფოთ გზა იმ „აღთქმული ქვეყნისაკენ, რომელსაც სოციალისტური ცხოვრება ეწოდება"...

(კავშირის კომიტეტის 1905 წლის 26 მარტის პროკლამაცია).

ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა" მოწინავე სტატიაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა პროლეტარიატის რევოლუციური ამოცანები:

„1) გადამწყვეტი, თავგანწირული შებრძოლება, რაზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ;

2) ამ „შებრძოლების" პროცესში შექმნილი რევოლუციური არმია;

3) პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა, ძლევამოსილი „შებრძოლების" შედეგად წამოყენებულის დროებითი რევოლუციური მთავრობის სახით და

4) დამფუძნებელი კრება"...
(იხ. გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ" № 1, 1905 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკები 1905 წლის აგვისტოდან, ლიბერალებთან ერთად, გულმოდგინე კამპანიას ატარებდნენ სახელმწიფო სათათბიროს მოსაწვევად და ამიერ-კავკასიაში ერობის შემოსაღებად.

ამიერ-კავკასიელი მენშევიკები თანმიმდევრობით ატარებდნენ რევოლუციის ჩაშლის გამცემლურ ტაქტიკას, უსაზიზღრესად ღალატობდნენ რევოლუციურ ბრძოლას მოწყურებულ მუშებსა და გლეხებს, მოუწოდებდნენ მათ ბურჟუაზიასთან შეთანხმებისაკენ, მიყავდათ ისინი მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

როგორც ცნობილია, მენშევიკთა ასეთი პოლიტიკის შედეგად 1905 წლის 29 აგვისტოს ტფილისის ქალაქის გამგეობის კედლებში და ყოფილ ერევნის მოედანზე მოხდა ტფილისის უიარაღო მუშათა სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან.

მენშევიკები სიხარულით და აღტაცებით შეეგებნენ მეფის 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტს, რომლითაც, მათი აზრით, იწყებოდა რუსეთის ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური წყობილების ეპოქა.

აი რას მოგვითხრობს ამხ. მ. ტოროშელიძე მენშევიკთა დამოკიდებულებაზე მეფის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტისადმი:

„1905 წლის მანიფესტის გამოცხადების დღეა. ნაძალადევში მიტინგი ეწყობა. ცნობილი მენშევიკი ნოე რამიშვილი ტრიბუნაზე სდგას და „გამარჯვებით" გაბრუებული სადღესასწაულო კილოთი ღაღადებს: — „ამიერიდან თვითმპყრობელობა აღარ არსებობს. თვითმპყრობელობა მოკვდა. რუსეთი შედის კონსტიტუციონურ-მონარქიულ სახელმწიფოთა რიგში. ამიერიდან ჩვენი ლოზუნგი იქნება არა „ძირს თვითმპყრობელობა", არამედ „ძირს მონარქია!" ამას მოჰყვება რამოდენიმე ორატორი, რომლებიც ამასვე იმეორებენ. ხალხი ყველას გაცხარებით ტაშს უკრავს, ბოლოს ერთი ორატორი ასე აბოლოებს თავის სიტყვას: „ჩვენ არ გვინდა იარაღი, ძირს იარაღი!" ხალხი ამასაც გაცხარებით ტაშს უკრავს... ამ დროს ტრიბუნაზე გამოდის ამხ. კობა (სტალინი): „თქვენ ერთი ცუდი ჩვეულება გაქვთ, რომელიც პირში უნდა გითხრათ, იწყებს ის: ვინც უნდა გამოვიდეს, და რაც უნდა გითხრათ, ყველას სიხარულით და ტაშის ცემით ხვდებით. თქვენ გეუბნებიან „გაუმარჯოს თავისუფლებას", ტაშს უკრავთ, „გაუმარჯოს რევოლიუციასო", ტაშს უკრავთ; ეს კარგია, მაგრამ როცა გეუბნებიან: „ძირს იარაღიო", ამასაც ტაშს უკრავთ. აბა რა რევოლიუცია იქნება, რომ უიარაღოთ გაიმარჯვოს? ის რა რევოლიუციონერია, ვინც იტყვის: „ძირს იარაღიო". ამის მთქმელი ორატორი, ალბათ, ტოლსტოის მიმდევარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა რევოლიუციონერი. და ვინც უნდა იყოს ამის მთქმელი, ის რევოლიუციის, თავისუფლების, ხალხის მტერია.

შეიქნა ჩოჩქოლი... ვინ არის? რა შხამიანად ლაპარაკობს? არ მოგეწონათ, განა, იაკობინელის ენა?!

კობა განაგრძობს: რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ. კარგად დაიხსომეთ და გაიგეთ: პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება. მეორე, შე-ი-არა-ღ-ბა! მესამე კიდევ და კიდევ შეიარაღება, შეიარაღება, შეიარაღება" (ტაში).

გაისმის მქუხარე ტაში და ორატორიც ჩამოდის ტრიბუნიდან".

(მ. ტოროშელიძე, გაზეთი „კომუნისტი", № 294, 1929 წ.).

ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ მენშევიკებმა გააძლიერეს კამპანია სახელმწიფო სათათბიროს მოწვევისათვის. აშკარად მოუწოდებდნენ მუშებს და გლეხებს წესრიგის აღდგენისაკენ, განიარაღებისაკენ და რეფორმებისათვის კონსტიტუციური ბრძოლის ორგანიზაციისაკენ.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა მენშევიზმის გამცემლური ტაქტიკის გამოსააშკარავებლად და ცარიზმის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით რ. ს.-დ. მ. პ-ის კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკურ კონფერენციას, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ ბაქოს, იმერეთ-სამეგრელოს, ტფილისის, ბათომის კომიტეტები და გურიის ჯგუფი, 1905 წლის ნოემბერს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ გაძლიერდეს ბრძოლა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად და მოსახდენად, მეფის სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოსაცხადებლად, მუშათა და გლეხთა რევოლუციური ორგანიზაციების — საგაფიცვო კომიტეტების, მუშათა დეპუტატების საბჭოების და გლეხთა რევოლუციური კომიტეტების — გასაშლელად და განსამტკიცებლად.

კონფერენციამ ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა შეიარაღებული აჯანყების, როგორც ხალხის განთავისუფლების ერთადერთი საშუალების, აუცილებლობას და დაჰგმო სახელმწიფო სათათბირო, როგორც რეაქციის განმტკიცების იარაღი.

კონფერენციამ შეჰქმნა კავკასიის ბიურო სათათბიროს ბოიკოტისა და საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობისათვის.

1905 წლის 30 ნოემბერს კავკასიის კავშირის კომიტეტი გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში" კონფერენციის მუშაობის შედეგებზე შემდეგს იტყობინებოდა:

„...კონფერენციამ ხაზი გაუსვა „გადამწყვეტი შებრძოლების" მომენტის მოახლოვებას და იმ დიდ როლს, რომელიც ამ „შებრძო-

ლებაში“ გლეხებს და ჯარისკაცებს ეკუთვნის. კონფერენციამ გლეხთა საკითხზე, უკანასკნელთა რევოლუციური სულისკვეთების გაძლიერებისა და პროლეტარიატის გარშემო მათი დაჯგუფების მიზნით, მოგვიწოდა შევუდგეთ დემოკრატიულად აგებული გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაუყოვნებლივ მოწყობას, რომელთა მიზანი იქნება სოფლის ფაქტიური განთავისუფლება; ჯარისკაცთა საკითხზე კი კონფერენციამ აღნიშნა, რომ აუცილებელია ჯარისკაცთა მოძრაობა დავუკავშიროთ პროლეტარიატის მოძრაობას და იგი შევაფასოთ მხოლოდ ამ მოძრაობის თვალსაზრისით. კონფერენციამ წინადადება მოგვცა შევიტანოთ შეგნება და დარაზმულობა ჯარისკაცთა მოძრაობაში და დავუმორჩილოთ იგი რევოლუციის ავანგარდის — რუსეთის პროლეტარიატის — მოძრაობას. შემდეგ კონფერენცია გადავიდა შეიარაღებისა და „გადამწყვეტი შებრძოლების“ საკითხზე. კონფერენციამ ხაზი გაუსვა „ქუჩური შებრძოლების“, როგორც ხალხის განთავისუფლების ერთადერთი საშუალების, აუცილებლობას, დაჰგმო ყოველგვარი რეფორმა და სახელმწიფო სათათბიროები, როგორც ძველი რეჟიმის განმტკიცების საშუალება. კონფერენციამ წინადადება მოგვცა დავაარსოთ „კავკასიის ბიურო“ აღნიშნულ საკითხთა პრაქტიკული გადაჭრის მოსამზადებლად“.

(გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ № 8, 1905 წ.).

კავკასიის კავშირის კომიტეტი დაუღალავად განუმარტავდა მუშებსა და გლეხებს რევოლუციის ამოცანებს და მოუწოდებდა მათ შემდგომი თავგანწირული ბრძოლისაკენ. კავშირის კომიტეტმა მეფის მანიფესტის გამოცემის მეორე დღეს გამოუშვა შემდეგი მოწოდება:

„დავამხოთ მეფის სათათბირო და შევქმნათ სახალხო დამფუძნებელი კრება — აი რას გაიძახიან ახლა რუსეთის პროლეტარები.

და აი, რუსეთში უფროდაუფრო ძლიერად გაისმის მუშათა რევოლუციური ყიჟინი: ძირს სახელმწიფო სათათბირო, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! აი რას ესწრაფვის ახლა რუსეთის პროლეტარიატი...

მხოლოდ მჩაგვრელთა ძვლებზე შეიძლება მივაღწიოთ ხალხის განთავისუფლებას, მხოლოდ მჩაგვრელთა სისხლით შეიძლება განოყიერდეს ხალხის თვითმპყრობელობის ნიადაგი. მხოლოდ მაშინ, როცა შეიარაღებული ხალხი პროლეტარიატს გაჰყვება და საყოველთაო აჯანყების დროშას აღმართავს, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ხიშტებით გამაგრებული მეფის მთავრობის დამხობა...

მხოლოდ დროებითს მთავრობას შეუძლია შეჰქმნას სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა განახორციელოს დემოკრატიული რესპუბლიკა, შეჰქმნას რევოლუციური არმია და დროებითი რევოლუციური მთავრობა...

მეფის თვითმპყრობელობა გზას უღობავს სახალხო რევოლუციას, იგი ცდილობს თავისი გუშინდელი მანიფესტით შეაჩეროს ეს დიადი მოძრაობა. ცხადია, რევოლუციის ტალღები [illegible] და შორს გადაისვრიან მეფის თვითმპყრობელობას".

(იხ. მოწოდება „ყველა მუშას", 1905 წლის ოქტომბერი).

1905 წლის დამლევს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა თანდათან ნელდება მენშევიკთა გამცემლური, შემთანხმებლური ტაქტიკისა და იმ კონსტიტუციური ილუზიების გავრცელების შემწეობით, რომლებსაც მენშევიკები გულმოდგინედ ნერგავდნენ.

ამხ. სტალინი, ამიერ-კავკასიის მენშევიკებთან ბრძოლაში, იცავს, ასაბუთებს და ჰქადაგებს რევოლუციის ლენინურ თეორიას, პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის ბოლშევიკურ სტრატეგიულ ლოზუნგს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის იდეას და პროლეტარიატის ტაქტიკურ ამოცანებს.

ამხ. სტალინი დაუღალავად, ყოველდღე ეწევა იდეურ-თეორიულ და პოლიტიკურ ბრძოლას საერთო-რუსეთისა და ამიერ-კავკასიის მენშევიკების წინააღმდეგ.

ამხ. სტალინი (ივანოვიჩი) გამოდის რ. ს.-დ. მ. პ-ის მეოთხე გამაერთიანებელ ყრილობაზე (სტოკჰოლმი, 1906 წ.) და ასაბუთებს რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის აუცილებლობას:

„ჩვენ ახალი აფეთქების წინაშე ვიმყოფებით, რევოლუცია ზევით მიიწევს, და ჩვენ იგი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ამაში ყველანი ერთმანეთს ვეთანხმებით. მაგრამ რა პირობებში შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ ეს: პროლეტარიატის ჰეგემონიის პირობებში, თუ ბურჟუაზიული დემოკრატიის ჰეგემონიის პირობებში? აი სად იწყება ძირითადი უთანხმოება. **ამხ. მარტინოვი ჯერ კიდევ „ორ** დიქტატურაში" ამბობდა, პროლეტარიატის ჰეგემონია დღევანდელ **ბურჟუაზიულ რევოლუციაში მავნე უტოპიაა. მის გუშინდელ სი**ტყვაში იგივე აზრი გამოსჭვივის. ამხანაგები, რომლებმაც ტაში დაუკრეს, უნდა ეთანხმებოდნენ მას. თუ ეს ასეა, თუ ამხანაგ მენშევიკების აზრით ჩვენ გვესაჭიროება არა პროლეტარიატის ჰეგემონია, **არამედ დემოკრატიული ბურჟუაზიის ჰეგემონია, მაშინ თავისთავად** ცხადია, ჩვენ არც შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციაში, არც ძალაუფლების დაპყრობაში უშუალო აქტიურ მონაწილეობას არ უნდა ვღებულობდეთ. ასეთია მენშევიკების „სქემა".

პირიქით, თუ პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს იგი ჰეგემონიისაკენ მიჰყავთ, თუ პროლეტარიატი, ახლანდელ რევოლუციას კუდში კი არ უნდა მისდევდეს, არამედ სათავეში ედგას, მაშინ თავისთავად გასაგებია, რომ პროლეტარიატი უარს ვერ იტყვის

ვერც აქტიურ მონაწილეობაზე შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციაში, ვერც ძალაუფლების დაპყრობაზე. ასეთია ბოლშევიკების „სქემა". ან პროლეტარიატის ჰეგემონია, ან დემოკრატიული ბურჟუაზიის ჰეგემონია — აი როგორ დგას საკითხი პარტიაში. აი რაშია ჩვენი უთანხმოებანი".

(რ. ს.-დ. მ. პ-ის მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობის ოქმები, 1934 წლის გამოც. გვ. 235).

ამხ. სტალინი თავის ბროშურაში „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის შემაერთებელი სიეზდი" (1906 წ.) ასაბუთებს და ავითარებს ბოლშევიკურ შეხედულებებს რევოლუციის ხასიათსა და მამოძრავებელ ძალებზე, სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულებაზე, შეიარაღებულ აჯანყებაზე და ამასთან ერთად იძლევა მენშევიკების ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებათა გაშლილ, გამანადგურებელ კრიტიკას:

„დღეს დაფარული აღარავისათვისაა, რომ ხალხის რევოლიუცია არ ჩამქრალა, რომ მიუხედავად „დეკემბრის დამარცხებისა", ის მაინც იზრდება და უმაღლეს წერტილისაკენ მიექანება. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ასეც უნდა იყოს: შეჯახ-შემოჯახების მამოძრავებელი ძალები არ ცხრება, გაძლიერებული კრიზისი უფრო და უფრო ძლიერდება, სოფლის ამაფორიაქებელი სიმშილობა დღითიდღე ღრმავდება და ფართოვდება, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ შორს აღარაა ის დრო, როცა ხალხის რევოლიუციონური მღელვარება მრისხანე ნიაღვრად გადმოხეთქავს. დიახ, ფაქტები გვეუბნება, რომ ცხოვრებაში მზადდება ახალი გალაშქრება, უფრო მწვავე და ღონიერი, ვიდრე დეკემბრის გალაშქრება — ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით.

მეორე მხრივ, სულს იდგამს და თანდათან ფეხს იმაგრებს ხალხისაგან მოძულებული კონტრრევოლიუცია. მან უკვე მოასწრო კამარილას მოწყობა, ის თავისი ბაირაღის ქვეშ უწოდებს ყველა ბნელ ძალებს, ის სათავეში უდგება შავრაზმელების „მოძრაობას", ის ახალ თავდასხმას აწყობს ხალხის რევოლიუციაზე, ის თავის გარშემო იკრებს სისხლისმწოველ მემამულეებსა და ფაბრიკანტებს და ასე დიდის ამბითა და ფაციფუცით ემზადება ხალხის რევოლიუციის დასამხობად.

და რაც უფრო დრო მიდის, მით უფრო მკაცრათ იყოფა ქვეყანა ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ: ბანაკათ რევოლიუციისა და ბანაკათ კონტრრევოლიუციისა, მით უფრო მრისხანეთ უპირდაპირდება ერთმანეთს ორი ბანაკის ორი მეთაური — პროლეტარიატი და მეფის მთავრობა — და მით უფრო ნათლათ ირკვევა, რომ მათ შორის ჩატეხილია ყოველივე ხიდი. ორში ერთი: **ან** რევოლიუციის გამარჯვება და ხალხის თვითმპყრობელობა, **ან** კონტრრევოლიუციის გა-

მარჯვება და მეფის თვითმპყრობელობა. ვინც ორ სკამს შუა ჯდება, ის რევოლიუციას ღალატობს, ვინც ჩვენსკენ არაა, ის ჩვენს წინააღმდეგაა! საბრალო სათათბირო მისი საბრალო, [illegible] სწორეთ ამ ორ სკამს შუაა გაჩხირული, მას უნდა რევოლიუცია და კონტრრევოლიუცია შეარიგოს, თხა და მგელი ერთად აძოვოს და ასე, „ერთის დაკვრით" ჩააცხროს რევოლიუციის ქარიშხალი. ამიტომ არის, რომ დღემდის სათათბიროს წყლის ნაყვის მეტი ვერა გააკეთა რა, ამიტომ არის, რომ მან ვერავითარი ხალხი ვერ შემოიკრიბა და უნიადაგოთ ტრიალებს ჰაერში. ბრძოლის უმთავრეს ასპარეზათ ისევ ქუჩა რჩება. ამას ამბობს ფაქტები. გარდა ამისა, იგივე ფაქტები **გვეუბნება, რომ დღევანდელ ბრძოლაში, ქუჩის ბრძ**ოლაში და არა სათათბიროს ლათაიებში — კონტრრევოლიუციის ძალები დღითი-დღე სუსტდება და იშლება, მაშინ როდესაც რევოლიუციის ძალები იზრდება და რაზმებათ ეწყობა, რომ რევოლიუციის ძალთა შემოკრება და მათი რაზმებათ დაწყობა მოწინავე მუშების მეთაურობით ხდება, და არა ბურჟუაზიის, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი რევოლიუციის გამარჯვება და მისი ბოლომდე მიყვანა **შესაძლებელია,** მაგრამ **შესაძლებელია მხოლოდ იმ** შემთხვევაში, **თუ** მის მეთაურათ შემდეგშიაც მოწინავე მუშები გამოვლენ, **თუ** შეგნებული პროლეტარიატი **ღირსეულათ** შეასრულებს რევოლიუციის ხელმძღვანელობას".

1906 წლის ივლისში, I სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნასთან დაკავშირებით, ამხ. სტალინი მოუწოდებს მასებს რევოლუციური ბრძოლისათვის სათათბიროს გარეთ:

„რეაქციამ სათათბირო დაითხოვა, — მაშასადამე, ჩვენი ვალია აღარ დავჯერდეთ მომავალში სათათბიროსთანა ცრუ პარლამენტს და უფრო თავგამოდებით ვიბრძოლოთ ნამდვილი პარლამენტისთვის, დემოკრატიული რესპუბლიკისთვის".

(სტატია „რეაქცია მწვავდება — მჭიდროთ შეერთდით!" გაზ. „ახალი ცხოვრება" № 17, 1906 წ. 11/VII).

„... დაშლილ სათათბიროს შეკავშირებული ქუჩა უნდა მოჰყვეს, სათათბიროს ნანგრევებზე ქუჩის სიძლიერე უნდა აშენდეს".

(სტატია „დაშლილი სათათბირო და შეკავშირებული ქუჩა", გაზ. „ახალი ცხოვრება" № 18, 1906 წ., 12/VII).

ამხ. სტალინი ასაბუთებს აგრარული საკითხის ბოლშევიკურ პროგრამას.

გაზეთ „ელვის" 1906 წლის მარტის მე-5, 9, 10 და 11 ნომრებში მოთავსებულია ამხ. სტალინის სტატიები აგრარულ საკითხზე (ი. ბესოშვილის ხელმოწერით), რომლებშიც იგი გადაჭრით იცავს მიწების კონფისკაციის ლოზუნგს:

„მხოლოდ ამას (კონფისკაციას) შეუძლია ბოლომდე ბრძოლა ნოს გლეხთა მოძრაობა, მხოლოდ ამას შეუძლია გააძლიეროს ხალხის ენერგია, მხოლოდ ამას შეუძლია ქარს გაატანოს ბატონყმობის მობერებული ნაშთები“.

(„აგრარული კითხვა“, სტატია I, გაზ. „ელვა“ 1906 წ., 17/III).

აქედან დასკვნა:

„სოფლის დღევანდელი მოძრაობა — ეს გლეხთა განთავისუფლების მოძრაობაა.

...გლეხთა განვითავისუფლებისათვის **ბატონყმური** ნაშთების მოსპობაა საჭირო, ხოლო ამ ნაშთების მოსასპობად საჭიროა მემამულეებსა და მთავრობას აერთვას მთელი მიწები“.

(„აგრარული კითხვა“, სტატია II, გაზ. „ელვა“ 1906 წ., 22/III).

ამხ. სტალინი გამანადგურებლად ებრძვის ყველას, ვინც ებღაუჭება მიწის საკითხის ძველებურ დაყენებას, ჩამონაჭრების კონფისკაციის მოთხოვნას (1903 წ.):

„1903 წელს, როცა პარტია „ჩამონაჭრებზე“ ლაპარაკობდა, რუსეთის გლეხობა ჯერ ჩათრეული არ იყო მოძრაობაში. პარტიის მოვალეობა იყო ისეთი ლოზუნგი გადაესროლა სოფელში, რომელიც გულს აუნთებდა გლეხობას და ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ აამხედრებდა. სწორედ ასეთი ლოზუნგი იყო „ჩამონაჭრები“, რომელიც მკაფიოთ აგონებდა რუსეთის გლეხობას ბატონყმური ნაშთების უსამართლობას.

მას შემდეგ დრო შეიცვალა. გლეხთა მოძრაობა გაიზარდა... დღეს იმაზე კი აღარაა ლაპარაკი, თუ **როგორ უნდა ამოძრავდეს** გლეხობა, — არამედ იმაზე, თუ **რა უნდა მოითხოვოს უკვე ამოძრავებულმა გლეხობამ**. ცხადია, აქ გარკვეული მოთხოვნებია საჭირო და აი, პარტია ეუბნება გლეხებს, რომ მთელი მიწების კონფისკაცია უნდა მოითხოვოთო“.

(„აგრარული კითხვა“, სტატია I, გაზ. „ელვა“ 1906 წ. 17/III).

კაუცკის ბროშურის „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები“ — წინასიტყვაობაში (1907 წლის თებერვალი) ამხ. სტალინი კვლავ ასაბუთებს და ავითარებს ბოლშევიკების შეხედულებებს რუსეთის რევოლუციის ხასიათსა და მამოძრავებელ ძალებზე, პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურაზე, პროლეტარიატის ჰეგემონიაზე და ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ როლზე, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობაზე.

„**პირველი** კითხვა, რომელიც ორ ნაწილათ არღვევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, — ეს არის კითხვა ჩვენი რევოლუციის საერთო ხასიათზე. რომ ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულია და არა სოციალისტური, რომ ის ფეოდალიზმის დანგრევით

უნდა გათავდეს და არა კაპიტალიზმის დანგრევით, — ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ ვინ უხელმძღვანელებს ამ რევოლუციას და ვინ შემოიკრებს უკმაყოფილო ელემენტებს: ბურჟუაზია? პროლეტარიატი? პროლეტარიატი გაჰყვება კუდში ბურჟუაზიას, — როგორც ეს საფრანგეთში მოხდა, — თუ ბურჟუაზია გაჰყვება პროლეტარიატს? აი რაშია კითხვა.

მენშევიკები ამბობენ **მარტინოვის** პირით, რომ ჩვენი რევოლიუცია, ბურჟუაზიულია, ის განმეორებაა საფრანგეთის რევოლიუციის და, რადგანაც საფრანგეთის რევოლუციას, როგორც ბურჟუაზიულს ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა, ამიტომ ჩვენს რევოლიუციას ბურჟუაზიამ უნდა უხელმძღვანელოს. „პროლეტარიატის მეთაურობა მავნე ოცნებაა"... „პროლეტარიატი უკიდურეს ბურჟუაზიულ ოპოზიციას უნდა გაჰყვეს უკან" (იხ. მარტინოვის „Две диктатуры").

ბალშევიკები კი ამბობენ, რომ მართალია, ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის, ვითომც განმეორებაა საფრანგეთის რევოლიუციის, მაშასადამე არც იმას ნიშნავს, რომ მას უეჭველად ბურჟუაზია უნდა ხელმძღვანელობდეს, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა: საფრანგეთში პროლეტარიატი შეუგნებელი და დაურაზმავი იყო, რის გამოც რევოლიუციის მეთაურობა ბურჟუაზიას დარჩა; ჩვენში კი პროლეტარიატი შედარებით უფრო შეგნებულია და დარაზმული, რის გამოც ის ბურჟუაზიის მაჩანჩალობას აღარ სჯერდება და, როგორც ურევოლიუციონერესი კლასი, სათავეში ეჭცევა დღევანდელ მოძრაობას. პროლეტარიატის მეთაურობა ოცნება არ არის, — ის ცოცხალი ფაქტია, პროლეტარიატი ფაქტიურად იკრებს თავის გარშემო უკმაყოფილო ელემენტებს. და ვინც მას „ბურჟუაზიულ ოპოზიციის უკან გაყოლას" ურჩევს, ის ხელს უშლის პროლეტარიატის დამოუკიდებლობას, ის ბურჟუაზიის იარაღად ხდის რუსეთის პროლეტარიატს (იხ. ლენინის „Две тактики").

ჩვენი უთანხმოების **მეორე** კითხვაა: შეუძლიან თუ არა ლიბერალურ ბურჟუაზიას მოკავშირეობა მაინც გაუწიოს პროლეტარიატს დღევანდელ რევოლიუციაში?

ბალშევიკები ამბობენ, რომ არ შეუძლიანო. მართალია, საფრანგეთის რევოლიუციაში ლიბერალური ბურჟუაზია რევოლიუციონურ როლს თამაშობდა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იქ კლასთა ბრძოლა ისე გამწვავებული არ იყო, პროლეტარიატი შეუგნებელი იყო, ის სჯერდებოდა ლიბერალების მაჩანჩალობას, მაშინ, როდესაც ჩვენში კლასთა ბრძოლა მეტის-მეტად გამწვავებულია, პროლეტარიატი გაცილებით უფრო შეგნებულია და ლიბერალების მაჩანჩალობას ვერ შეეგუება. იქ, სადაც პროლეტარიატი შეგნებულად იბრძვის, ლი-

ბერალური ბურჟუაზია თავს ანებებს რევოლიუციონერობას. ამიტომ არის, რომ პროლეტარიატის ბრძოლით დამფრთხალ კადეტ-ლიბერალები რეაქციის კალთას აფარებენ თავს. ამიტომ არის, რომ ისინი რევოლიუციას უფრო ებრძვიან, ვიდრე რეაქციას. ამიტომ არის, რომ კადეტები რეაქციასთან უფრო შეჰკრავენ კავშირს წინააღმდეგ რევოლიუციისა, ვიდრე რევოლიუციასთან. დიახ, ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზია და მისი დამცველი კადეტები რეაქციის მოკავშირეებია, ისინი „განათლებული" მტრებია რევოლიუციის. სულ სხვაა ღარიბი გლეხკაცობა. ბალშევიკები ამბობენ, რომ მხოლოდ ღარიბი გლეხკაცობა გაუწოდებს ხელს რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მხოლოდ მას შეუძლია მკვიდრი მოკავშირეობა გაუწიოს პროლეტარიატს მთელ დღევანდელ რევოლიუციაში. პროლეტარიატიც მას უნდა უჭერდეს მხარს წინააღმდეგ რეაქციისა და კადეტებისა. და თუ ეს ორი მთავარი ძალა კავშირს შეკრავს, თუ მუშები და გლეხები ერთურთს მხარს დაუჭერენ, მაშინ რევოლიუციის გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება. უამისოდ რევოლიუციის გამარჯვება შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ ბალშევიკები მხარს არ უჭერენ კადეტებს არც სათათბიროში, არც სათათბიროს გარეთ, არჩევნების პირველ საფეხურზე. ამიტომ არის, რომ ბალშევიკები მხოლოდ გლეხების რევოლიუციონურ წარმომადგენლებს უჭერენ მხარს, როგორც არჩევნებში, ისე სათათბიროში წინააღმდეგ რეაქციისა და კადეტებისა. ამიტომ არის, რომ ბალშევიკები მხოლოდ სათათბიროს რევოლიუციონური **ნაწილის** გარშემო უყრიან თავს ხალხის ფართე მასას, და არა **მთელი** სათათბიროს გარშემო. ამიტომ არის რომ ბალშევიკები მხარს არ უჭერენ კადეტების სამინისტროს მოთხოვნას (იხ. ლენინის „Две тактики" და „Победа кадетов").

სულ სხვანაირად ლაპარაკობენ ამხ. მენშევიკები. მართალია, ლიბერალური ბურჟუაზია ირყევა რეაქციასა და რევოლიუციას შორის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის მაინც რევოლიუციას შეუკავშირდება, მაინც რევოლიუციონურ როლს თამაშობს. რატომ? იმიტომ, რომ ლიბერალურმა ბურჟუაზიამ საფრანგეთშიც რევოლიუციონური როლი ითამაშა, იმიტომ, რომ ის ოპოზიციაში უდგია ძველ წესებს და, მაშასადამე, იძულებული იქნება რევოლიუციას მიემხროსო. მენშევიკების აზრით ლიბერალურ ბურჟუაზიას და მის დამცველ კადეტებს მოღალატეებს ვერ დავარქმევთ დღევანდელ რევოლიუციაში, ისინი რევოლიუციის მოკავშირეები არიან. ამიტომ არის, რომ მენშევიკები მხარს უჭერენ მათ როგორც არჩევნებში, ისე სათათბიროში. კლასიურმა ბრძოლამ არას დროს არ უნდა დაჩრდილოს საერთო ბრძოლაო, იძახიან მენშევიკები. სწორეთ ამიტომ

არის, რომ ისინი **მთელი** სათათბიროს გარშემო უწოდებენ ხალხის მასას, და არა მხოლოდ მისი რევოლიუციონური **ნაწილის** გარშემო, სწორეთ ამიტომ არის, რომ ისინი ორივე ხელით უჭერენ მხარს კადეტური სამინისტროს მოთხოვნას, სწორეთ ამიტომ არის, რომ მენშევიკები მზათ არიან დავიწყებას მისცენ პროგრამა-მაქსიმუმი, ფრთები შეაკრან პროგრამა-მინიმუმს და უარჰყონ დემოკრატიული რესპუბლიკა, ოღონდაც კი კადეტები არ შემოეფანტნენ. შეიძლება ყველა ეს ცილისწამებათ ჩამოგვართვას მკითხველმა და **ფაქტები** მოგვთხოვოს. აი ფაქტებიც.

მენშევიკების ბელადი ჩერევანინი არჩევნების წინა დღეებში ასე სწერდა:

„სისულელე და უგონობა იქნებოდა პროლეტარიატისგან, თუ ის, როგორც მას ზოგიერთები ურჩევენ, გლეხებთან ერთად ჩაებმებოდა ბრძოლაში წინააღმდეგ მთავრობისა და ბურჟუაზიისა სრულუფლებიანი და სახალხო დამფუძნებელი კრების მოსაპოებლათ". ჩვენ ახლა კადეტებთან შეთანხმება გვინდა და კადეტური სამინისტროვ (იხ. „Наше дело" № 1).

მაგრამ ყველა ეს მხოლოდ იწერებოდა. მენშევიკების მეორე ბელადი პლეხანოვი ამას ალარ დასჯერდა და დაწერილის სისრულეში მოყვანა მოინდომა. იმ დროს, როდესაც პარტიაში გაცხარებული კამათი იყო საარჩევნო ტაქტიკაზე, როცა ყველა კითხულობდა: შეიძლება თუ არა კადეტებთან შეთანხმება არჩევნების პირველ საფეხურზე, — იმ დროს პლეხანოვმა საკმარისადაც კი არ სცნო კადეტებთან **შეთანხმება** და პირდაპირ ბლოკის ქადაგება, დროებითი **შეერთების** ქადაგება დაიწყო კადეტებთან. გაიხსენეთ 24 ნოემბრის „Товарищ"-ი (1906), სადაც პლეხანოვმა თავისი პაწია **წერილი** მოათავსა. „Товарищ"-ის ერთი მკითხველთაგანი ეკითხება პლეხანოვს: შესაძლებელია თუ არა საერთო პლატფორმა სოციალ-დემოკრატებსა და კადეტებს შორის, და თუ შესაძლებელია „როგორი უნდა იყოს... ეს საერთო საარჩევნო პლატფორმა?" პლეხანოვი უპასუხებს, რომ საერთო პლატფორმა **აუცილებელია** და ასეთ პლატფორმათ „სრულ ძალა-უფლებიანი სათათბირო უნდა იყოს... სხვანაირი პასუხი წარმოუდგენელია"-ო. (იხ. „Товарищ", 24 ნოემბერი, 1906 წ.).

რას ნიშნავს პლეხანოვის სიტყვები? მხოლოდ იმას, რომ არჩევნების დროს პროლეტარების პარტია ე. ი. სოციალ-დემოკრატია, ფაქტიურად **უნდა შეუერთდეს** ხაზეინების პარტიას, ე. ი. კადეტებს, მათთან ერთად უნდა გამოსცეს სააგიტაციო ფურცლები მუშებისადმი, ფაქტიურად უნდა დაანებოს თავი სახალხო დამფუძნებელი კრების ლოზუნგს, სოციალ-დემოკრატების პროგრამა-მინიმუმს, და

მის მაგიერ უნდა წამოაყენოს კადეტური ლოზუნგი შესახებ სრულ ძალა-უფლებიანი სათათბიროსი. დიახ, ეს ჩვენი პროგრამა-მინიმუმის უარყოფაა კადეტების მოსახიბლავათ, მათში ნასტროვის გასაკეთებლად.

როგორც ხედავთ, მენშევიკები ისე გატაცებული არიან ლიბერალური ბურჟუაზიის „რევოლიუციონერობით", ისე დიდ იმედებს ამყარებენ მის „რევოლიუციონერობაზე", რომ მზათ არიან მის გულის მოსაგებათ დავიწყებას მისცენ სოციალ-დემოკრატიული პროგრამა...

ჩვენი უთანხმოების **მესამე** კითხვა: რაში შესდგება ჩვენი რევოლიუციის გამარჯვების კლასიური შინაარსი, ან სხვანაირათ რომ ვთქვათ, რომელმა კლასებმა უნდა გაიმარჯვონ ჩვენი რევოლიუციის დროს, რომელმა კლასებმა უნდა დაიპყრონ ძალა-უფლება?

ბალშევიკები ამბობენ, რომ რადგანაც დღევანდელი რევოლიუციის მთავარი ძალები პროლეტარიატი და გლეხკაცობაა, რადგანაც მათი გამარჯვება უერთმანეთოთ პირდაპირ შეუძლებელია, — ამიტომ ძალაუფლებასაც სწორეთ ესენი დაიპყრობენ, ამიტომ რევოლიუციის გამარჯვება **პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურა იქნება** (იხ. ლენინის „Две тактики" და „Победа кадетов").

მენშევიკები კი უარყოფენ პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურას, მათ არა სწამთ, რომ ძალაუფლებას პროლეტარიატი და გლეხკაცობა დაიპყრობს, მათი აზრით ძალა-უფლება **კადეტურ** სათათბიროს უნდა ჩაუვარდეს ხელში, რის გამოც დიდი გატაცებით უჭერენ მხარს კადეტების ლოზუნგს შესახებ პასუხისმგებელი სამინისტროსი.

ამგვარათ პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურის მაგიერ კადეტების დიქტატურას გვიყენებენ მენშევიკები (იხ. მარტინოვის „Две диктатуры", აგრეთვე გაზეთები „Голос труда", „Наше дело" და სხვ.)...

ჩვენი უთანხმოების **მეოთხე** კითხვაა: თქმა არ უნდა, რომ რევოლიუციონური ქარტეხილის დროს თავისთავად **დაიბადება ეგ**რეთ წოდებული დროებითი რევოლიუციონური მთავრობა, — შესაწყნარებელია თუ არა, რომ სოციალ-დემოკრატიამ მონაწილეობა მიიღოს რევოლიუციონურ მთავრობაში?

ბალშევიკები ამბობენ, რომ ასეთ დროებით მთავრობაში მონაწილეობა არა თუ შესაწყნარებელია პრინციპების მხრივ, არამედ საჭიროც იქნება პრაქტიკულათ, და ეს იმიტომ, რომ იქ, დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში, ღირსეული მოსარჩლეობა გაუწიოს სოციალ-დემოკრატიამ პროლეტარიატისა და რევოლიუციის ინტერესებს. თუ ქუჩაში გლეხებთან ერთათ დაანგრევს **პროლეტარიატი**

ძველ წესებს, თუ მათთან ერთათ დაღვრის სისხლს, ცხადია, მათთანავე ერთათ უნდა შევიდეს ის დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში, რომ სასურველ დასკვნამდე მიიყვანოს რევოლიუციის მსვლელობა (იხ. ლენინის „Две тактики“).

მენშევიკები კი უარჰყოფენ დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში მონაწილეობას — ეს შესაწყნარებელი არაა სოციალ-დემოკრატიისათვის, ეს არ შეჰფერის სოც.-დემოკრატს, ეს დალუპავს პროლეტარიატსო. (იხ. მარტინოვის „Две диктатуры“).

მაშ ვინ ეთანხმებიან მენშევიკებს და ვის ეთანხმებიან მენშევიკები?

ამაზე აი რას მოგვითხრობს ისტორია. 27 დეკემბერს (1906 წ.) სალიანოი გარადოკში (პეტერბურგში) სადისკუსიო კრება მოხდა.

კამათის დროს კადეტების ბელადმა პ. სტრუვემ განაცხადა: „თქვენ ყველა კადეტებათ გადაიქცევით... მენშევიკები უკვე ნახევრად კადეტებია. პლეხანოვს ბევრნი კადეტათ სთვლიან და, მართლაც, კადეტებს შეუძლიათ მიესალმონ ბევრ იმ შეხედულებას, რომელსაც დღეს პლეხანოვი ამბობს. სამწუხარო ის არის, რომ პლეხანოვი არ ამბობდა ყველა ამას იმ დროს, როცა კადეტები მარტონი იყვნენ (იხ. „Товарищ“ 28 დეკ. 1906 წ.).

აი ვინ ეთანხმებიან მენშევიკებს. რაღა საკვირველია, თუ მენშევიკებიც მათ დაეთანხმებიან და ლიბერალობის გზას დაადგებიან?“ (იხ. ამხ. სტალინის წინასიტყვაობა კაუცკის ბროშურაზე „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და მისი მომავალი“).

1906 — 1907 წლ. ამხ. სტალინი ამიერ-კავკასიაში ანარქისტ-კროპოტკინელთა ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამოდის მთელი რიგი თეორიული სტატიებით შემდეგ თემაზე: „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“ (იხ. 1906 წლის გაზ. „ახალი ცხოვრება“, №№ 2, 4, 9, — 21, 24 და 28 ივნისისა და № 16 — 9 ივლისისა, 1906 წ. გაზ. „ახალი დროება“ №№ 5, 6 და 7, — 11, 18 და 25 დეკემბრისა და № 8, 1907 წ. 1 იანვრისა, გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, №№ 3 და 9 — 1907 წლის 23 და 27 თებერვლისა და გაზ. „დრო“, №№ 21, 22 და 23 — 1907 წლ. 4, 5 და 6 აპრილისა).

ამ სტატიებში ამხ. სტალინი ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ. იგი უდიდესი სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობისა და გარდუვალობის საკითხს, მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებელი საჭიროების საკითხს, აგრეთვე მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს. ეს ნაშრომები გვიჩვენებენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა საკითხების პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებთან დაკავშრების ნიმუშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიყვანოთ ზოგი ამონაწერი ამხ. სტალინის ამ ნაშრომებიდან:

რეფორმიზმზე:

„რეფორმიზმი (ბერნშტეინი და სხვები), რომელიც სოციალიზმი მხოლოთ შორეულ მიზნით მიაჩნია და მეტ არაფრათ, რეფორმიზმი, რომელიც ფაქტიურათ უარყოფს სოციალისტურ რევოლიუციას და მშვიდობიანი გზით ცდილობს სოციალიზმის დამყარებას, რეფორმიზმი, რომელიც კლასთა თანამშრომლობას ქადაგებს, და არა კლასთა ბრძოლას, — ეს რეფორმიზმი დღითი-დღე იხრწნება, დღითი-დღე კარგავს ყოველივე სოციალისტურ ნიშანწყალს".

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი", გაზ. „ახალი დროება", № 5, 1906 წ. 11/XII).

ანარქიზმზე:

„მარქსიზმი და ანარხიზმი სრულიად სხვადასხვა პრინციპებზეა აშენებული, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სოციალისტური ფლაგით გამოდის ბრძოლის ველზე: ანარქიზმის ქვაკუთხედი **პიროვნებაა**, რომლის განთავისუფლება, მისი აზრით, უმთავრესი პირობაა მასსის განთავისუფლებისა, ე. ი. ანარხიზმის აზრით მასსის განთავისუფლება შეუძლებელია იქამდე, სანამ პიროვნება არ განთავისუფლდება, რის გამოც მისი ლოზუნგია: „ყველაფერი პიროვნებისთვის"; მაშინ, როდესაც მარქსიზმის ქვაკუთხედი **მასსაა**, რომლის განთავისუფლება, მისი აზრით, უმთავრესი პირობაა პიროვნების განთავისუფლებისა, ე. ი. მარქსიზმის აზრით, პიროვნების განთავისუფლება შეუძლებელია იქამდე, სანამ მასსა არ განთავისუფლდება, რის გამოც მისი ლოზუნგია: „ყველაფერი მასსისთვის".

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი", გაზ. „ახალი დროება" № 5, 1906 წ. 11/XII).

მარქსისტულ ფილოსოფიასა და მეცნიერულ კომუნიზმს შორის არსებულ კავშირზე:

„მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის თეორია, ეს — მთელი მსოფლიო მხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიური მატერიალიზმი ეწოდება".

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი", გაზ. „ახალი ცხოვრება" № 2, 1906 წ. 21/VI).

დიალექტიკურ მეთოდზე:

„რა არის დიალექტიური მეტოდი?.. ამბობენ, რომ ცხოვრება დაუდგრომელ ზრდა-განვითარებაშიაო, და ეს მართლაც არის: ცხოვრება არ არის ერთი რამ მუდმივი და გაყინული, ის არასოდეს არ ჩერდება ერთ დონეზე — ის მუდმივს მოძრაობასა და ნგრევა-

შენებაშია. ტყუილად კი არ ამბობდა მარქსი: „მუდმივი მოძრაობა და მუდმივი ნგრევა-შენება. ასეთია ცხოვრების [illegible] ამიტომ არის, რომ ცხოვრებაში მუდამ არსებობს **ახალი** და **ძველი**, მოზარდი და მომაკვდავი, რევოლიუცია და რეაქცია — იქ უეჭველად კვდება რაღაცა და ამავე დროს უეჭველათ იბადება რაღაცა...

დიალექტიური მეტოდი ამბობს, რომ ცხოვრება სწორეთ ისე უნდა განვიხილოთ, როგორც ის სინამდვილეში არსებობს. ცხოვრება დაუდგრომელ მოძრაობაშია, — მაშასადამე ჩვენი ვალია მის მოძრაობასა და ნგრევა-შენებაში განვიხილოთ ცხოვრება. საით მიდის ცხოვრება, რა კვდება და რა იბადება ცხოვრებაში, რა ინგრევა და შენდება — აი, ყველაზე პირველათ, რა კითხვები უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ. ასეთია დიალექტიური მეტოდის პირველი დასკვნა.

. ის, რაც ცხოვრებაში იბადება და დღითი-დღე იზრდება — უძლეველია, მისი წინმსვლელობის შეჩერება შეუძლებელია, მისი გამარჯვება აუცილებელია, ე. ი. თუ, მაგალითად, პროლეტარიატი იბადება ცხოვრებაში და დღითი-დღე იზრდება, რაც უნდა სუსტი და მცირერიცხოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს. სამაგიეროთ ის, რაც ცხოვრებაში კვდება და სამარისკენ მიექანება, აუცილებლად უნდა დამარცხდეს; ე. ი. თუ მაგალითათ, ბურჟუაზია ნიადაგსა კარგავს და დღითი დღე უკან მიდის, რაც უნდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა დამარცხდეს და სამარეში ჩაესვენოს. აქედან წარმოსდგება ცნობილი დიალექტიური თქმულება: ყველა ის, რაც ნამდვილად არსებობს, ე. ი. ყველაფერი ის, რაც დღითი დღე იზრდება, გონიერიაო.

ასეთია დიალექტიური მეტოდის მეორე დასკვნა.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში შესანიშნავი კამათი ატყდა რუსეთის რევოლიუციონურ ინტელიგენციაში. ნაროდნიკები იძახდნენ, რომ უმთავრესი ძალა, რომელსაც შეუძლიან თავს იდოს „რუსეთის განთავისუფლება", ღარიბი გლეხკაცობაა. რატომ? ეკითხებოდნენ მარქსისტები. იმიტომ, რომ გლეხკაცობა ყველაზე მეტია და ამავე დროს ყველაზე ღარიბია რუსეთის საზოგადოებაშიო. მარქსისტები უპასუხებდნენ: მართალია გლეხკაცობა დღეს უმეტესობაა და ძალიან ღარიბებიც არიან, მაგრამ განა ამაშია საქმე? გლეხკაცობა დიდიხანია უმეტესობას შეადგენს, მაგრამ დღემდის პროლეტარიატის დაუხმარებლად, არავითარი თაოსნობა არ გამოუჩენია „თავისუფლებისათვის" ბრძოლაში. მერე რატომ? იმიტომ, რომ გლეხკაცობა, როგორც წოდება, დღითი-დღე იშლება — პროლეტარებად და ბურჟუებად იყოფა: მაშინ როდესაც პროლეტარიატი, როგორც კლასი, **დღითი დღე იზრდება** და ჯანღონით ივსება. არც სიღარიბეს

აქვს აქ გადამჭრელი მნიშვნელობა: „ბოსიაკები“ გლეხებზე ლარიბები არიან, მაგრამ ვერავინ ვერ იტყვის, რომ ისინი „რუსეთის განთავისუფლებას“ იკისრებენ. საქმე მხოლოდ იმაშია, [illegible] ზრდება და ვინ ბერდება ცხოვრებაში. და რადგანაც პროლეტარიატი ერთად-ერთი კლასია, რომელიც შეუჩერებლად იზრდება და სიცოცხლისკენ მიილტვის, ამიტომ ჩვენი ვალია გვერდში ამოუდგეთ მას და უმთავრეს ძალად ვცნოთ რუსეთის რევოლიუციაშიო — პასუხობდნენ მარქსისტები. როგორცა ხედავთ, მარქსისტები დიალექტიური თვალით უყურებდნენ კითხვას, მაშინ როდესაც ნაროდნიკები მეტაფიზიკურათ მსჯელობდნენ, რადგანაც ცხოვრებას ისე უყურებდნენ, როგორც „ერთ წერტილზე შეყინულს“ (იხ. ფ. ენგელსი. „ფილოსოფია, პოლ. ეკონომია და სოციალიზმი“).

ასე უყურებს დიალექტიური მეტოდი ცხოვრების მოძრაობას.

მაგრამ მოძრაობაც არის და მოძრაობაც. ცხოვრების მოძრაობა იყო „დეკემბრის დღეებში“, როცა წელში გამართული პროლეტარიატი იარაღის სკლადებს ეცემოდა და იერიშით მიდიოდა რეაქციაზე. მაგრამ ცხოვრების მოძრაობა უნდა დაერქვას აგრეთვე წინა წლების მოძრაობას, როცა „დამშვიდებული“ პროლეტარიატი პატარა კავშირებს ადგენდა და ალაგ-ალაგ იფიცებოდა. ცხადია, მოძრაობას სხვადასხვა ფორმები ქონია. და აი, დიალექტიური მეტოდი ამბობს, რომ მოძრაობის ფორმა ორგვარია — ევოლიუციონური და რევოლიუციონური. ევოლიუციონურია მოძრაობა, როცა პროგრესიული ელემენტები სტიქიურად განაგრძობენ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობას და წვრილწვრილი **რაოდენობითი** ცვლილებები შეაქვთ ძველ წესებში. რევოლიუციონურია მოძრაობა, როცა იგივე ელემენტები ერთად შეჯგუფდებიან, ერთი იდეით გაიმსჭვალებიან და აჩქარებული ნაბიჯით გაექანებიან მტრის ბანაკისკენ, რომ ძირიანად მოსპონ ძველი წესები მათი **ნიშნობლივი თვისებებით** და დაამყარონ ახალი. ევოლიუცია ამზადებს და ნიადაგს აძლევს რევოლიუციას, ხოლო რევოლიუცია აგვირგვინებს ევოლიუციას და ხელს უწყობს მის მერმინდელ მუშაობას“.

(გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 2, გვ. 2 — 3, 1906 წ. 21 ივნისი).

დიალექტიკური განვითარების პროცესში ფორმასა და შინაარსს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე:

„შეგნება და მდგომარეობა, იდეია და მატერია ეს ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იგივე მოვლენის, რომელსაც საერთოთ რომ ვსთქვათ, ბუნება ეწოდება — მაშასადამე, ისინი არც უარჰყოფენ ერთმანეთს და არც ერთსა და იგივე მოვლენას წარმოადგენენ... ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ფორმასა და შინაარსს შორის კონფლიქტი არსებობს. საქმე იმაშია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტი შინაარსსა და ფორმას შორის კი არ არსებობს საერთოდ, არამედ **ძველ** ფორმასა და **ახალ** შინაარსს შორის, რომელიც ახალ ფორმას ეძებს და მას ელტვის".

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი?", „გაზ. „ახალი დროება", № 7, 1906 წ. 25 დეკემბერი).

მატერიალისტურ თეორიაზე:

„რა არის მატერიალისტური ტეორია?

ყველაფერი იცვლება ქვეყანაზე, ყველაფერი მოძრაობს მსოფლიოში, **მაგრამ რანაირათ ხდება** ეს ცვლილება და **რა სახით** სწარმოებს ეს მოძრაობა? — აი რაშია კითხვა.

ზოგნი ამბობენ, რომ ბუნებასა და მის განვითარებას წინ უსწრებდა მსოფლიო იდეა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ამ განვითარებას, ასე რომ ბუნების მოვლენათა მიმდინარეობა ცარიელი **ფორმა** ყოფილა იდეის განვითარებისა. ამათ იდეალისტებს ეძახდნენ, რომლებიც შემდეგ რამდენიმე მიმართულებათ გაიყვნენ. ზოგნი კიდევ ამბობენ, რომ ქვეყანაზე თაობითვე არსებობს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალა — იდეა და მატერია, რომ თანახმათ ამისა, მოვლენები ორ წყებათ იყოფა — იდეალურათ და მატერიალურათ, რომელთა შორისაც მუდმივი ბრძოლაა გამართული: ასე რომ ბუნების მოვლენათა განვითარება — ეს მუდმივი ბრძოლა ყოფილა იდეალურ და მატერიალურ მოვლენათა შორის. ამათ დუალისტებს ეძახიან, რომლებიც იდეალისტებივით სხვადასხვა მიმართულებათ იყოფიან. მარქსის მატერიალისტური ტეორია ძირიანად უარყოფს როგორც დუალიზმს, ისე იდეალიზმს. თქმა არ უნდა, რომ ქვეყანაზე ნამდვილათ არსებობს იდეალური და მატერიალური მოვლენები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ ისინი უარყოფენ ერთმანეთს. პირიქით — იდეალური და მატერიალური მოვლენები ორი სხვადასხვა ფორმაა ერთი და იგივე მოვლენის, ისინი ერთათ არსებობენ და ერთათ ვითარდებიან, მათ შორის მჭიდრო კავშირია გამართული. მაშასადამე, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ერთმანეთს უარჰყოფენ. ამგვარათ, ეგრეთ წოდებული დუალიზმი ძირიანათ ირღვევა. ერთი და განუყოფელი ბუნება ორ სხვადასხვანაირ ფორმაში გამოხატული, იდეალურში და მატერიალურში, — აი როგორ უნდა უყურებდეთ ბუნების განვითარებას. ერთი და განუყოფელი ცხოვრება ორ სხვადასხვანაირ ფორმაში გამოთქმული, იდეალურში და მატერიალურში, აი როგორ უნდა უყურებდეთ ცხოვრების განვითარებას.

ასეთია მონიზმი მარქსის მატერიალისტური ტეორიისა.

აძავე დროს მარქსი უარჰყოფს იდეალიზმსაც. მართალი არ არის ის აზრი, რომ ვითომ იდეა და საერთოთ სულიერი მხარე თავის

განვითარებაში **წინ უსწრებს** ბუნებას და საერთოთ მატერიალურ მხარეს...

გამოდის, რომ თითონ სულიერი მხარის განვითარებისა საჭირო ყოფილა ორგანიზმის ასეთი თუ ისეთი აგებულება და მისი ნერვების სისტემის განვითარება. გამოდის, რომ სულიერი მხარის განვითარებას, იდეის განვითარებას **წინ უსწრებს** მატერიალური მხარის მდგომარეობის (Бытие) განვითარება. ცხადია, ჯერ გარეშე პირობები იცვლება, ჯერ მატერია იცვლება და **შემდეგ** შესაფერისათ იცვლება შეგნება და სხვა სულიერი მხარე — მატერიალური პირობების განვითარებას **უკან რჩება** იდეალური მხარის განვითარება. თუ მატერიალურ მხარეს, თუ გარეშე პირობებს, თუ მდგომარეობას და სხვა იმისთანეებს **შინაარსს** დავარქმევთ, მაშინ იდეალურ მხარეს, შეგნებასა და სხვა ამგვარ მოვლენებს **ფორმა** უნდა დავარქვათ. აქედან წარმოსდგება ცნობილი მატერიალისტური თქმულება: განვითარების პროცესში შინაარსი წინ უსწრებს ფორმას, ფორმა უკან რჩება შინაარსსო. ესევე უნდა ითქვას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. აქაც მატერიალური განვითარება წინ უსწრებს იდეალურ განვითარებას, აქაც ფორმა უკან რჩება თავის შინაარსს. მეცნიერული სოციალიზმის ჯერ ხსენებაც არსად იყო, რომ კაპიტალიზმი და კლასთა ბრძოლა გაძლიერებულათ წარმოებდა, ჯერ სოციალისტური იდეია არსად სჩანდა, რომ წარმოების პროცესს უკვე მიღებული ჰქონდა სოციალური სახე. ამიტომ ამბობს მარქსი: „ადამიანების შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ საზოგადოებრივ არსებობას, არამედ მათი საზოგადოებრივი არსებობა განსაზღვრავს მათს შეგნებას“ (იხ. „პოლიტ. ეკონ. გამო“, კ. მარქსი). და რადგანაც მარქსის აზრით ეკონომიური განვითარება ცხოვრების „მატერიალური საფუძველია“, **მისი შინაარსია**, და იურიდიულ-პოლიტიკური და რელიგიოზურ-ფილოსოფიური განვითარება კი ამ შინაარსის **„იდეოლოგიური ფორმაა“** და მისი „ზედნაშენი“ — ამიტომ მარქსი ამბობს, რომ „ეკონომიური საფუძვლის შეცვლასთან ერთად **ადრე თუ გვიან** იცვლება მთელი ზედნაშენიცო“ (იხ. იქვე).

ღიახ, ცხოვრებაშიაც ჯერ გარეშე მატერიალური პირობები იცვლება და შემდეგ ადამიანების აზროვნება, მათი მსოფლიო მხედველობა, — შინაარსის განვითარება წინ უსწრებს ფორმის აღმოცენებას და განვითარებას. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ მარქსის აზრით შინაარსი უფორმოთ შეიძლებოდეს, როგორც ეს შ. გ.-ს მოლანდებია (იხ. „ნობ.“ № 1. „მონიზმის კრიტიკა“). შინაარსი უფორმოთ შეუძლებელია. მაგრამ საქმე იმაშია, ესა თუ ის ფორმა, რადგანაც ის უკანა რჩება თავის შინაარსს,

არას დროს არ შეესაბამება **სავსებით** ამ შინაარსს და, ამგვარათ, ხშირად ახალი შინაარსი „იძულებულია" დროებით ძველ ფორმაში გამოეხვიოს, რაც კონფლიქტს იწვევს მათ შორის. ... წარმოების **საზოგადოებრივ** შინაარსს არ შეესაბამება ნაწარმოებთა მითვისების კერძო ხასიათი და სწორეთ ამ ნიადაგზე წარმოებს დღევანდელი სოციალური „კონფლიქტი". მეორე მხრივ, ის აზრი, რომ იდეია არსებობის ფორმაა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, ვითომ შეგნება თავისი ბუნებით — ეს იგივე **მატერიაა**. ასე **ფიქრობ**დნენ მხოლოთ ვულგარული მატერიალისტები (მაგ., ბუხნერი და მოლეშოტი), რომლებიც ძირიანათ ეწინააღმდეგებიან მარქსის მატერიალიზმს და რომლებსაც სამართლიანათ დასცინოდა ენგელსი თავის „ფეიერბახში"...

ძნელი გასაგები არაა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მარქს-ენგელსის მონისტურ მატერიალიზმს ადამიანების პრაქტიკულ მოღვაწეობისათვის: თუ ჩვენი აზროვნება და ზნეჩვეულება გარეშე პირობებისაგანაა გამოწვეული, თუ იურიდიული და პოლიტიკური ფორმების ვარგისობა ეკონომიურ შინაარსზეა დამყარებული, — ცხადია, ხელი უნდა შეუწყოთ ეკონომიური ურთიერთობის ძირიანათ გარდაქმნას, რომ მასთან ერთად ძირიანათ შეიცვალოს ხალხის ზნეჩვეულებანი და ქვეყნის პოლიტიკური წესები".

(გაზ. „ახალი ცხოვრება", № 7, 1906 წ., 28 ივნისი, გვ. 2 — 3).

კლასობრივ ბრძოლასა და პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობაზე:

„გაფიცვები, ბოიკოტი, პარლამენტარიზმი, მანიფესტაცია, დემონსტრაცია, — ყველა ეს ძალიან კარგია, როგორც პროლეტარიატის მომმზადებელი, მისი დამრაზმველი საშუალებანი, მაგრამ არცერთ ამ საშუალებას არ შეუძლია წესი აუგოს დღევანდელ მაღალდაბლობას...

პროლეტარიატი ვერ მიაღწევს სოციალიზმს ბურჟუაზიასთან შერიგებით, — ის აუცილებლად ბრძოლის გზას უნდა დაადგეს. და ეს ბრძოლა უნდა იყოს ბრძოლა კლასიური, ბრძოლა მთელი პროლეტარიატისა წინააღმდეგ მთელი ბურჟუაზიისა. ან ბურჟუაზია მისი კაპიტალიზმით, ან პროლეტარიატი მისი სოციალიზმით! აი, რა მოსაზრებაზე უნდა ემყარებოდეს პროლეტარიატის მოქმედება, მისი კლასიური ბრძოლა.

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი", გაზ. „ჩვენი ცხოვრება" № 9, 1907 წ., 28 თებერვალი).

„ყველა ეს ფორმები მხოლოდ **მომამზადებელი** საშუალებანია პროლეტარიატისათვის, **რომ** არცერთი ეს ფორმა ცალკე აღებული არ წარმოადგენს ისე **გადამჭრელ** საშუალებას, რომლის შემწეობი-

თაც პროლეტარიატი შესძლებს კაპიტალიზმის განადგურებას,..
ეს საშუალებაა **სოციალისტური „რევოლიუცია“**.
(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი“ გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ № 9, 1907 წ., 28 თებერვალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიატის დიქტატურის, მისი კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარული პარტიის ტაქტიკის საფუძვლების შესახებ:

„სოციალისტური რევოლიუცია არ არის უცები და ხანმოკლე დარტყმა, ეს ხანგრძლივი მოქმედებაა პროლეტართა მასის, რომელიც ამარცხებს და პოზიციებს ართმევს ბურჟუაზიას. და რადგანაც პროლეტარიატის გამარჯვება — ეს იმავე დროს, მისი გაბატონება იქნება დამარცხებულ ბურჟუაზიაზე, რადგანაც **კლასთა შეჯახების დროს,** ერთის დამარცხება მეორის ბატონობას მოასწავებს, — ამიტომ სოციალისტური რევოლიუციის პირველი საფეხური პროლეტარიატის პოლიტიკური გაბატონება იქნება ბურჟუაზიაზე“.

„ანარხიზმი თუ სოციალიზმი“, გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, № 9, 1907 წ. 28 თებერვალი).

„პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურა, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება — აი, რით უნდა დაიწყოს სოციალისტური რევოლიუცია“.

სანამ ბურჟუაზია სავსებით არ დამარცხებულა, სანამ ქონება არ ჩამორთმევია, პროლეტარიატს აუცილებლად ეყოლება თავისი სამხედრო ძალა, მას აუცილებლად ეყოლება თავისი „პროლეტარული გვარდია“, რომლის შემწეობითაც შეეცდება გაფანტოს მომაკვდავ ბურჟუაზიის კონტრრევოლიუციონური იერიშები“.

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი“, გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, № 9, 1907 წ. 28 თებერვალი).

„ამ საერთო პრინციპიდან გამომდინარეობს სხვა დანარჩენი, ტაქტიკური შეხედულებანი. გაფიცვებს, ბოიკოტს, დემონსტრაციას, პარლამენტარიზმს მხოლოთ იმდენათ აქვს მნიშვნელობა, რამდენათაც ისინი ხელს უწყობენ პროლეტარიატის დარაზმვას მისი ორგანიზაციების გამაგრება-გაფართოებას, სოციალისტურ რევოლიუციის მოსამწიფებლათ“.

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი“, გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, № 9, 1907 წ., 28 თებერვალი).

პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციებისა და პროლეტარული პარტიის აუცილებლობის შესახებ:

„კავშირების მიზანია ბრძოლა (უმთავრესად) საწარმოვო კაპიტალთან მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერატივების მიზანია ბრძოლა (უმთავრესად) საგაჭრო კაპიტალთან საჭირო ნივთებზე ფასების დაწევით მუშათა მოთხოვნილებების გასაფართოებლად.

...ხსენებული ორგანიზაციები კაპიტალისტურ ფარგლებს ვერ სცილდება... მუშებს კი სრული განთავისუფლება უნდათ კაპიტალისტურ მონობისაგან, მუშებს კი თითონ ამ ფარგლების დამსხვრევა უნდათ.

ამიტომ საჭიროა კიდევ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გარშემო შემოიკრებს ყველა პროფესიის მუშათა შეგნებულ ელემენტებს, შეგნებულ კლასად გადააქცევს პროლეტარიატს და უმთავრეს მიზნად დაისახავს კაპიტალისტურ წესების განადგურებას, სოციალისტურ რევოლიუციისთვის მომზადებას".

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი", გაზ. „დრო", № 21, 1907 წ. 4 აპრილი).

ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის მშენებლობაზე:

„ეს პარტია უნდა იყოს კლასიური პარტია, სრულიად დამოუკიდებელი სხვა პარტიებისაგან, და ეს იმიტომ, რომ ის არის პარტია პროლეტართა კლასის, რომელთა განთავისუფლება, მხოლოდ მათივე ხელით შეიძლება მოხდეს.

ეს პარტია უნდა იყოს რევოლიუციონური პარტია, და ეს იმიტომ რომ მუშათა განთავისუფლება მხოლოდ რევოლიუციონური გზით შეიძლება მოხდეს, სოციალისტური რევოლიუციის შემწეობით.

ეს პარტია უნდა იყოს ინტერნაციონალური პარტია, პარტიის კარი ღია უნდა იყოს ყველა შეგნებულ პროლეტარისათვის, და ეს იმიტომ, რომ მუშათა განთავისუფლება არის არა ნაციონალური კითხვა, არამედ — სოციალური, რომელსაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართველი პროლეტარისათვის, ისე რუსის და სხვა ერის პროლეტარებისათვის.

აქედან ცხადია, რომ, რაც უფრო მეტიდროთ შეერთდება სხვადასხვა ერის პროლეტარები, რაც უფრო საფუძვლიანად დაინგრევა მათ შორის ამართული ნაციონალური კედლები, მით უფრო მაგარი იქნება პროლეტარიატის პარტია, მით უფრო გაადვილდება პროლეტარიატის დარაზმვა ერთ, განუყოფელ კლასათ".

(„ანარხიზმი თუ სოციალიზმი", გაზ. „დრო", № 21, 1907 წ. 4 აპრილი).

ეთელ თავის თეორიულ მუშაობას ამხ. სტალინი განსაკუთრებული თანამიმდევრობით და პრინციპულობით ატარებდა, იგი დაუნდობლად ებრძოდა ოპორტუნიზმს რუსეთის და საერთაშორისო მოძრაობაში, ბერნშტეინიანობას და რუსულ მენშევიზმს, ქართველ მენშევიკებს, ამ „ში-

ნიატურულ ბერნშტეინებს" (სტალინი), რომლებიც ცდილობდნენ მარქსიზმი ბურჟუაზიის საჭიროებებთან შეეგუებინათ.

ამგვარად, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, შეიარაღებულნი რევოლუციის ლენინური სტრატეგიითა და ტაქტიკით, — წარმოადგენდნენ ერთადერთ რევოლუციურ ორგანიზაციას, რომელიც სათავეში უდგა მუშათა და გლეხთა ბრძოლას რევოლუციის საბოლოო გამარჯვებამდე მისაყვანად, თვითმპყრობელობის დასამხობად და პროლეტარიატის და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის დასამყარებლად.

ერთის მხრით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების სტრატეგიასა და ტაქტიკას, მეორე მხრით, მენშევიკების სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის უფსკრულია გათხრილი. ისინი გამორიცხავენ ერთმანეთს. აქედან — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს შეურიგებელი ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ რა უნდა ვუწოდოთ ამხ. მამია ორახელაშვილის მტკიცებას იმის შესახებ, რომ

> „1905 წლის რევოლუცია ჩვენ, ბოლშევიკებმა, **მენშევიკებთან** ერთად მოვახდინეთ, ამასთან მთლიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჩვენ წარმოვადგენდით რევოლუციურ, პრინციპულად შეურიგებელ, მარქსისტულ და ინტერნაციონალურ ფრთას".
>
> (იხ. მ. ორახელაშვილი — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს", გვ. 8).

განა ცხადი არ არის, რომ ამხ. ორახელაშვილი ეწევა 1905 წლის რევოლუციისათვის ბოლშევიზმის ბრძოლის ისტორიის ფალსიფიკაციას?

ამხ. ფ. მახარაძე თავის წიგნში „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობისა ამიერ-კავკასიაში" (1927 წ. გამოცემა) კიდევ უფრო უხეშ შეცდომას უშვებს.

იგი სწერს:

> „აქვე მოკლედ უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელმაც სამწუხაროდ საკმაოდ შემაფერხებელი როლი ითამაშა 1904 წლის რევოლუციის განვითარების საქმეში. მე ვლაპარაკობ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გათიშვაზე, რომელიც პარტიის მე-2 ყრილობაზე მოხდა.
>
> პარტიული მუშაკების ენერგიის დიდი ნაწილი შუღლსა, პოლემიკასა და შინაპარტიულ ბრძოლაზე იხარჯებოდა. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ეს გარემოება უაღრესად ასუსტებდა და აძნელებდა პარტიის ხელმძღვანელობას მასებში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისადმი. მართლაც, უთანხმოებანი და განხეთქილება იმ **დროს, როცა საჭირო** იყო მისი ხელმძღვანელობა რევოლუციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობისადმი, რაც თანდათან ფართოვდებოდა, დიდ ზიანს აყენებდა საქმეს".

(ფ. მახარაძე: „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობისა ამიერ-კავკასიაში", გვ. 124 — 125, 1927 წ.).

ამხ. მახარაძის სიტყვით გამოდის, რომ ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლა ზედმეტი „შულლი" ყოფილა. იგი ვერ აფასებს ლენინის (ბოლშევიკების) ბრძოლას საერთაშორისო ოპორტუნიზმისა და რუსეთის მენშევიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ განსაზღვრა მარქსიზმის და მთელი მუშათა მოძრაობის ბედი. უნდა გავიგოთ, რომ მხოლოდ ოპორტუნიზმთან (ლეგალურ მარქსიზმთან, ეკონომიზმთან და მენშევიზმთან) შეურიგებელ ბრძოლაში აშენებდენ და კიდეც ააშენეს ბოლშევიკებმა თავისი პარტია (ტაში).

„სანამ გავერთიანდებოდეთ და იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვეულად უნდა გავიმიჯნოთ".

(ლენინი, თხზ., ტომი IV, გვ. 39 — 40).

სამი წლის — 1900-1903 — განმავლობაში ბოლშევიზმმა „გაატარა ძველი „ისკრა" და გამოვიდა მენშევიზმთან საბრძოლველად, როგორც მთლიანი მიმართულება".

(ლენინი, თხზ. ტომი XIV, გვ. 163).

1900 წლიდან დაწყებული, ბოლშევიკები ლენინის ხელმძღვანელობით აშენებდენ თავის პარტიას მენშევიკებთან შეურიგებელ ბრძოლაში. და ჩვენშიც, ამიერ-კავკასიაში, ბოლშევიკური ორგანიზაციები გაიზარდნენ და გამოიბრძმედნენ მენშევიზმთან გადამწყვეტ ბრძოლაში.

ამხ. მამია ორახელაშვილი კი უხეშ შეცდომას უშვებს წიგნში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს", სადაც იგი სწერს:

„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, ისე როგორც საერთოდ რუსეთის ბოლშევიკები, ერთ ორგანიზაციაში იყვნენ მენშევიკებთან. მაგრამ არსებითად 1904 წლიდან ეს იყო მხოლოდ ორი პარტიის ერთი პარტიულ ჭერქვეშ თანაცხოვრება. ბოლშევიკებს ჯერ კიდევ სწამდათ იმის შესაძლებლობა, რომ მენშევიკები „გამოსწორდებიან" და გადაიქცევიან მებრძოლი პროლეტარიატის, მართალია ჯაგლაგ, მაგრამ პატიოსან ერთგულ მსახურებად. მაგრამ ბოლშევიკები თავის თავს და პროლეტარიატს აზღვევდნენ მენშევიკების მერყეობისა, უკანდახევისა და პირდაპირი ღალატისაგან იმით, რომ ჰყავდათ თავისი საკუთარი ფრაქცია, ჰყავდათ საკუთარი ხელმძღვანელი ცენტრი. ჰქონდათ თავისი ცალკე სალარო, საკუთარი გამომცემლობა".

(მ. ორახელაშვილი — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს", „ზაკკნიგა", 1927 წ., გვ. 10).

ამხ. ორახელაშვილის სიტყვით გამოდის, ჯერ ერთი ის, რომ ბოლშევიკებს სჯეროდათ მენშევიკების გამოსწორების შესაძლებლობა, მეორე,

ბიბლიოთეკა

რაც მთავარია, სჯეროდათ, მენშევიკების პროლეტარიატის ერთგულ მსახურებად გადაქცევის შესაძლებლობა და მესამე, რომ ბოლშევიკები აშენებდნენ თავის ორგანიზაციას მხოლოდ მენშევიკთა შესაძლო შერყეობათაგან დაზღვევის მიზნით.

სხვა რა უნდა ვუწოდოთ ასეთ მტკიცებას, თუ არა ბოლშევიზმის ისტორიის ფალსიფიკაცია?

ცნობილია, რომ ლენინს, სტალინს, ბოლშევიკებს არამც თუ არა სჯეროდათ მენშევიკების გამოსწორების, პროლეტარიატის რაოდენადმე მაინც ერთგულ მსახურებად მათი გადაქცევის შესაძლებლობა, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკების მხილებისა და განადგურებისათვის. ბოლშევიკები თავის პარტიას ქმნიდნენ და აშენებდნენ იმიტომ კი არა, რომ დაეზღვიათ თავი მენშევიკების ოპორტუნიზმისაგან, არამედ იმიტომ. რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ პროლეტარიატის ბრძოლისათვის კაპიტალიზმისა და ცარიზმის წინააღმდეგ, სოციალისტურ რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის — მენშევიზმის გასანადგურებლად, (ტაში).

ცნობილია, რომ მეორე ყრილობაზე განხეთქილება მომზადებული იყო ოპორტუნიზმთან ლენინის მთელი ბრძოლით როგორც რუსეთში, ისე მთელ მეორე ინტერნაციონალში.

„ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს".

(ლენინი, ტომი XXV, გვ. 174).

II ყრილობაზე, როცა ბოლშევიკებმა მენშევიკებთან ბრძოლა განხეთქილებამდე მიიყვანეს, ამით მათ საერთაშორისო პროლეტარიატს დაანახვეს, რომ ოპორტუნისტებთან განხეთქილება არის ნამდვილი რევოლუციური მუშური პარტიის მშენებლობის ერთადერთი გზა.

აი რას სწერს ამ საკითხზე ამხ. სტალინი:

„ყოველმა ბოლშევიკმა იცის, თუ იგი ნამდვილი ბოლშევიკია, რომ ლენინი ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე, დაახლოებით 1903 — 1904 წლიდან, როცა რუსეთში ჩამოყალიბდა ბოლშევიკების ჯგუფი და როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში პირველად იჩინეს თავი „მემარცხენეებმა", ატარებდა ოპორტუნისტებთან გათიშვის, განხეთქილების ხაზს ჩვენში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიაშიც და იქაც, მეორე ინტერნაციონალშიც, კერძოთ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიაშიც.

ყოველმა ბოლშევიკმა იცის, რომ ბოლშევიკებმა უკვე მაშინ (1903 — 1905 წლებში) სწორედ ამიტომ მოიხვეჭეს მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტთა რიგებში „გამთიშველებისა" და „დეზორგანიზატორების" საპატიო სახელი".

(**სტალინი** — „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე", „ლენინიზმის საკითხები", მე-10 გამოცემა, გვ. 468).

მთელი რიგი უაღრესად უხეში დამახინჯებებია დაშვებული ა. ენუქიძის წიგნში „არალეგალური სტამბები კავკასიაში" (1934 წ. გამოცემა), რომელიც შედგენილია ლიბერალურ-მენშევიკურ ყაიდაზე.

სრულიად უმართებულოა ა. ენუქიძის მტკიცება, რომ პარტიის II და III ყრილობებს შუა გლებოვი და ვ. კრასინი ბოლშევიკურ პოზიციებზე იდგნენ.

ცნობილია, რომ 1904 წლის დამდეგს II ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის შიგნით გაიმარჯვეს შემარიგებლებმა კრასინმა და გლებოვმა (ნოსკოვი). მათ უარი სთქვეს იმაზე, რომ აღეარებინათ მენშევიკები ოპორტუნისტებად, ბურჟუაზიის აგენტებად მუშათა კლასში, გამოდიოდნენ III ყრილობის მოწვევის ლენინური გეგმის წინააღმდეგ და მენშევიკთა ფრაქციული მუშაობის დაგმობის წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტის ამ წევრთა უპრინციპობამ და შემარიგებლობამ უდიდესი სამსახური გაუწია მენშევიკების ანტიპარტიულ მუშაობას.

კრასინისა და ნოსკოვის ინიციატივით ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეიყვანეს მთელი რიგი მენშევიკები და ამრიგად მენშევიკები დაეპატრონენ ცენტრალურ კომიტეტს. ამ ცენტრალურმა კომიტეტმა 1904 წლის შემოდგომაზე გამოუშვა სპეციალური მიმართვა პარტიისადმი, რომელშიაც აცხადებდა მენშევიკებთან შერიგებას და აკრძალა აგიტაცია III ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ.

გლებოვი, რომელიც ამ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის აგენტი იყო, სპეციალურად შეუდგა კავკასიის ორგანიზაციების შემოვლას. აი, რას სწერს ამაზე თავის მოგონებებში ამხ. ვ. სტურუა:

> „ცენტრალური კომიტეტის (გლებოვის) მიერ კავკასიის შემოვლა, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაიქცა ფართო აგიტაციად ყრილობის წინააღმდეგ. ამ აგიტაციამ ბრძოლის ფორმა მიიღო კავშირის კომიტეტის წინააღმდეგაც".

ლენინმა 1904 წელს ამხილა გლებოვი და კრასინი პარტიის სისტემატურ მოტყუებაში, იმაში, რომ „მათ დაარღვიეს პარტიული ორგანიზაციისა და დისციპლინის ყოველგვარი საფუძველი" (ლენინი, თხზ., ტ. VI, გვ. 381).

გლებოვსა და კრასინს, რომელნიც ლენინს უყენებდნენ ულტიმატუმს ცენტრალური კომიტეტიდან გასვლის შესახებ, თუ არ შესწყდებოდა აგიტაცია III ყრილობისათვის, ა. ენუქიძე ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენლებად ასაღებს და კრინტსაც არა სძრავს იმაზე, რომ ისინი ამ პერიოდში მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს წარმოადგენდნენ.

ცნობილია, რომ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ლენინმა მოუწოდა პარტიულ მასას III ყრილობისათვის საბრძოლველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 1904 წლის აგვისტოს ბოლშევიკური კონფერენცია მოიწვიეს ჟენევაში. ამ კონფერენციამ დარაზმა პარტია ენერგიული ბრძოლისათვის III ყრილობის მოსაწვევად, მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ ორგანოსთან კავშირის გასაწყვეტად და დაჰგმო მენშევიკების ფრაქციული მუშაობა.

სწორი არ არის აგრეთვე ა. ენუქიძის მტკიცება, რომ ახალი „ისკრა" 1905 წლის გაზაფხულამდე ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოდ ითვლებოდა. ლენინი 1903 წლის პირველ ნოემბერს გამოვიდა ძველი „ისკრის" რედაქციის შემადგენლობიდან. ამის შემდეგ „ისკრა" მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში და მენშევიკური ფრაქციის ცენტრალურ ორგანოდ გადააქციეს იგი.

ცნობილია აგრეთვე, რომ ლენინმა 1904 წელს შეჰქმნა ბოლშევიკური ცენტრალური ორგანო — „ვპერიოდი".

მენშევიკური „ისკრა" 1904 — 1905 წ. წ. გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ლენინის (ბოლშევიკების) წინააღმდეგ. მენშევიკები თვითონ აღნიშნავდნენ ხაზგასმით, რომ ძველსა და ახალ „ისკრას" შორის უფსკრული იყო. მაშინ როდესაც ძველი ლენინური „ისკრა" ულმობელ ბრძოლას აწარმოებდა რუსეთის და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და ამზადებდა ბრძოლას ახალი ტიპის პროლეტარული პარტიისათვის, ახალმა „ისკრამ" დაიწყო ბრძოლა პარტიის დანგრევისათვის და არა მარტო ორგანიზაციულ, არამედ იდეურ და ტაქტიკურ საკითხებშიაც ეკონომიზმისაკენ დაეშვა.

ლენინმა თავის ნაშრომში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" გამანადგურებელი შეფასება მისცა ახალ, მენშევიკურ „ისკრას". ადარებდა რა მას ძველ „ისკრას", იგი სწერდა:

> „ძველი „ისკრა" რევოლუციური ბრძოლის ჭეშმარიტებებს გვასწავლიდა, ახალი „ისკრა" გვასწავლის ცხოვრების სიბრძნეს: დათმობასა და შემგუებლობას. ძველი „ისკრა" მებრძოლი ორტოდოქსიის ორგანო იყო. ახალი „ისკრა" ოპორტუნიზმის ამონაცოხნსა გვთავაზობს — უმთავრესად ორგანიზაციულ საკითხებში. ძველმა „ისკრამ" როგორც რუსეთის, ისე დასავლეთ ევროპის ოპორტუნისტთა საპატიო სიძულვილი დაიმსახურა. ახალი „ისკრა" „დაჭკვიანდა" და მალე მას უკვე აღარ შერცხვება იმ ხოტბისა, რომელსაც უკიდურესი ოპორტუნისტები მისი მისამართით ამბობენ. ძველი „ისკრა" განუხრელად მიდიოდა თავისი მიზნისაკენ და მისი სიტყვა საქმეს არ სცილდებოდა. ახალ „ისკრაში" მისი პოზიციის შინაგანი სიყალბე აუცილებლად იწვევს — ვისიმე ნებისყოფისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლადაც კი — პოლიტიკურ თვალთმაქცობას. იგი წრეობანას წინააღმდეგ გაჰკივის, რათა დაჰფაროს წრეობანას გამარჯვება პარტიულობაზე. იგი ფარისევლურად ჰგმობს გა-

თიშვას, თითქოს შესაძლებელი იყოს წარმოვიდგინოთ სხვა რამ საშუალება გათიშვის წინააღმდეგ ოდნავ მაინც ორგანიზებულ პარტიაში, გარდა იმისა, რომ უმცირესობა უმრავლესობას ემორჩილებოდეს. იგი აცხადებს რევოლუციური საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობას, და ჰფარავს რა აკიმოვების ხოტბას, წვრილმან ჭორიკანობას ეწევა პარტიის რევოლუციური ფრთის კომიტეტებზე. რა სამარცხვინო ამბავია! როგორ შეარცხვინეს მათ ჩვენი ძველი „ისკრა!"

(ლენინი, ტომი VI, 1903 — 1904 წ. წ. გვ. 327 — 328).

და აი ამ მენშევიკურ გაზეთზე ა. ენუქიძე ამბობს:

„იგი 1905 წლის გაზაფხულამდე პარტიის ცენტრალურ ორგანოდ ითვლებოდაო".

პარტიის III ყრილობისათვის ბრძოლაში, მენშევიკებისა და მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ვთქვით, უდიდესი როლი ითამაშა ამხ. სტალინმა.

თავის ნაშრომში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", რომელიც 1904 წელს გამოვიდა, ლენინმა მოგვცა მენშევიკების ოპორტუნიზმისა და ფრაქციული ბრძოლის გამანადგურებელი დახასიათება და გვიჩვენა, რომ ყრილობაზე განხეთქილება შემთხვევითი როდი იყო.

ამხ. სტალინმა, რომელიც თავის ბროშურაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" ბრწყინვალედ იცავდა ლენინის შეხედულებებს, ლენინურად ამხილა საერთო-რუსეთისა და ამიერ-კავკასიის მენშევიკები და მათი ფრაქციული მუშაობა.

ა. ენუქიძეს, რომელიც თავის ქებასა და თვითრეკლამაში გაიწაფა, უნდა სცოდნოდა ლენინისა და სტალინის ეს ნაშრომები, უნდა სცოდნოდა, რომ მენშევიკებთან გათიშვა ბოლშევიკებმა მოახდინეს ბევრად უფრო ადრე 1905 წლამდე, ე. ი. პარტიის II ყრილობაზე, რომ ახალი „ისკრა" მენშევიკური ფრაქციის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა, რომ ლენინი და სტალინი ულმობელ ბრძოლას აწარმოებდნენ გლებოვისა და კრასინის წინააღმდეგ, რომლებმაც ცენტრალური კომიტეტი მენშევიკებს დაუთმეს და ცდილობდნენ ჩაეშალათ პარტიის III ყრილობის მოწვევა.

ამგვარად:

1) რუსეთის პირველ რევოლუციაში (1905 — 1907 წ. წ.) ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც კავკასიის კავშირის კომიტეტი ხელმძღვანელობდა, ერთად-ერთი რევოლუციური პროლეტარული ორგანიზაცია იყო, რომელიც მეთაურობდა, რაზმავდა და წარმართავდა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად, პროლეტა-

რიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის მოპოებისათვის საბრძოლველად.

2) მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ყოველი წარმატება პირველ რევოლუციაში (1905 — 1907 წ. წ.) ბოლშევიკებმა მოიპოვეს შეურიგებელ ბრძოლაში მენშევიზმის წინააღმდეგ და ყველა წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, რომლებიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, და ლენინური პროგრამითა და რევოლუციის სტრატეგიით შეიარაღებულნი იყვნენ, დაუნდობლად ანადგურებდნენ ქართველ მენშევიკებს, ესერებს, დაშნაკებს, ანარქისტებსა და ფედერალისტებს და ეს ბრძოლა გახდა რევოლუციაში ბოლშევიკების დიდ წარმატებათა გადამწყვეტ პირობად, ამიერ-კავკასიაში რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობისა და გაშლის გადამწყვეტ პირობად.

3) ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს პირველი რევოლუციის წლებში, სათავეში ედგა ლენინის საუკეთესო თანამებრძოლი, ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმისა და პირველი ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუძემდებელი — ამხ. სტალინი (მქუხარე ტაში).

III

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის რეაქციის პერიოდში (1907 — 1913 წლები)

რევოლუციის წინააღმდეგ მეფის რეაქციის ძალთა შემოტევამ, ბურჟუაზიის აშკარა გადასვლამ კონტრრევოლუციის ბანაკში, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის პარტიული ბრძოლის გამწვავებამ როგორც მთელ რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაში, წარმოშვა რიგითს სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანების განწყობილება და მოთხოვნა.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, გაერთიანების შესაძლებლობის საკითხი ლენინურად გადასჭრეს.

ბოლშევიკების IV კონფერენციამ ჯერ კიდევ 1905 წლის დამლევს პრინციპულად მხარი დაუჭირა გაერთიანებას იმ საფუძველზე, თუ აუცილებლად აღიარებული იქნებოდა და ცხოვრებაში გატარდებოდა ლენინური ორგანიზაციული პრინციპები.

რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის IV კონფერენციის გადაწყვეტილებებში ნათქვამი იყო:

„რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის IV კონფერენცია, აღნიშნავს რა, როგორც სასიხარულო მოვლენას, რომ ჩვენს პარტიაში სულ

უფროდაუფრო ძლიერდება მიმდინარეობა პარტიის ორივე ნახევრის სრული შეერთების სასარგებლოდ და, იღებს რა მხედველობაში, რომ ასეთ მიმდინარეობას მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია გამოიღოს სასურველი შედეგები, რაც გამორკვეული იქნება გაერთიანების საერთო პირობები, — ფიქრობს:

ა) შეერთების ძირითად პირობას როგორც ადგილებზე, ისე პარტიის „ზედაორგანოებში", უნდა წარმოადგენდეს პარტიის III ყრილობაზე მიღებული წესდების პირველი პარაგრაფის აღიარება, ამ პარაგრაფიდან გამომდინარე ორგანიზაციული ცენტრალიზმით;

ბ) არსებულ ტაქტიკურ უთანხმოებამ, რომლის გადაჭრა გაერთიანებული პარტიის ყრილობებს შეუძლია, არ შეიძლება შეუშალოს და არც უნდა შეუშალოს ხელი შეერთებას ერთიან პარტიად;

გ) პარტიის ორი ნახევრის შეერთების ნამდვილი უზრუნველყოფის ინტერესებისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ, სადაც კი ეს შესაძლებელია, შეერთებას ადგილებზე ზემოთმოხსენებული ძირითადი პირობის ნიადაგზე, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, მოვახდინოთ შეთანხმება მენშევიკებთან ტაქტიკური ლოზუნგების ერთიანობის ნიადაგზე პროლეტარიატის აშკარა გამოსვლის დროს.

რაც შეეხება იმ საკითხს, კონფერენციის გზით, თუ ყრილობების გზით მომზადდეს სრული შეერთება ჩვენს პარტიაში — კონფერენცია მხარს უჭერს ცენტრალური კომიტეტის გეგმას პარალელური ყრილობების შესახებ".

(იხ. გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ", 1905 წ., 3 (16) დეკემბერი, № 8).

1906 წელს შესდგა ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციების ტფილისისა და ბაქოს „გაერთიანებული" კონფერენციები და ამიერ-კავკასიის ყრილობა, რომლებზედაც გატარდა ფორმალური გაერთიანება — არჩეულ იქნენ რსდმპ ტფილისისა და ბაქოს გაერთიანებული კომიტეტები და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

მაგრამ ნამდვილად მენშევიკები განაგრძობდნენ აშკარა ოპორტუნიზმისაკენ დაქანებას და ამიტომ მათთან გაერთიანებას განხორციელება არ ეწერა.

ბოლშევიკები იძულებული გახდნენ აეღოთ მენშევიკებთან განხეთქილების, გათიშვის ხაზი და ებრძოლათ მენშევიკთა ლიდერების იზოლაციისათვის, ჰქონდათ რა მხედველობაში სოციალ-დემოკრატი მუშების გადაყვანა თავის მხარეზე.

როგორც ვიცით, ლენინი და ბოლშევიკები ფორმალურ გაერთიანებაში ჰხედავდნენ მენშევიზმის გამოაშკარავებისა და მენშევიკი მუშების მიმხრობის ერთერთ საშუალებას. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები გაერთიანებულ ორგანიზაციებში ააშკარავებდნენ მენშევიკ-ხელმძღვანელებს,

ამხელდნენ მათ გამცემლობასა და ოპორტუნიზმს. ისინი განუწყვეტელად იბრძოდნენ თავისი ხაზის გასატარებლად და მენშევიკების მიმყოლ მუშების თავის მხარეზე გადასაყვანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906 წელს, რსდმპ ამიერ-კავკასიის „გაერთიანებული" საოლქო კომიტეტის გარდა არსებობდა და მუშაობდა ბოლშევიკური ცენტრი, ბოლშევიკთა საოლქო ბიუროს სახით, რომელშიაც შედიოდნენ ამხანაგები: ი. სტალინი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, მ. დავითაშვილი, ს. შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, ვ. ნანეიშვილი და სხვ.

ბოლშევიკები 1905 — 1907 წლების რევოლუციისა და რეაქციის პერიოდის მთელ მანძილზე, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში იყვნენ და რჩებოდნენ დამოუკიდებელ ორგანიზაციად.

რეაქციის წლებში გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, რამაც გააღრმავა განხეთქილება-გათიშვა მათ შორის და საშუალება მისცა მუშებს უკეთ გამოეცნოთ მენშევიკები, როგორც ბურჟუაზიის აგენტები.

რეაქციის პერიოდში (1907 — 1912 წლები) ამიერ-კავკასიის მენშევიკებმა, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული ლიბერალების (კადეტები) მსგავსად, აშკარად უარჰყვეს რევოლუცია. მენშევიკების ლიდერები ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, კ. ჩხეიძე და სხვ. ამტკიცებდნენ, ბურჟუაზიული რევოლუცია დამთავრდა და პოლიტიკური წყობილების შემდგომი შეცვლა სათათბიროს რეფორმების გზით წარიმართებაო. მენშევიკები აცხადებდნენ, პროლეტარიატმა ხელი უნდა აიღოს ახალი რევოლუციის უიმედო ცდაზე და მთელი თავისი ძალღონე წარმართოს საარჩევნო უფლებების, კრებების, კავშირების, გაფიცვების უფლების მოსაპოებლადო და სხვ.

ნ. ჟორდანია გამოდიოდა იმის მტკიცებით, რომ პროლეტარიატმა ხელი უნდა აიღოს დამოუკიდებელ ხაზზე რევოლუციაში, დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგზე და ბურჟუაზიასთან ერთად და ბურჟუაზიის ჰეგემონიით უნდა იბრძოლოს ზომიერი კონსტიტუციისათვისო.

აი რას სწერდა იგი:

„მარტო პროლეტარიატის, ან მარტო ბურჟუაზიის ბრძოლა ვერასოდეს ვერ გატეხს რეაქციას... თავისი განკერძოებით გატაცება ნიშნავს ბურჟუაზიული ოპოზიციის განმარტოვებას, მოძრაობის დასუსტებას და რეაქციის გამაგრებას და მით კონტრ-რევოლიუციის უნებურ იარაღად გადაქცევას".

(ნ. ჟორდანია, გაზ. „დასაწყისი", № 4, 1908 წ.).

„რევოლუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ მის ხელმძღვანელად გამოვა ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი. თუ რევოლუციის სათავეში ისევ პროლეტარიატი ჩადგება, იგი დამარცხდება. ჩვენ ახლა წმინდა ევროპული ტაქტიკა უნდა გამოვიმუშა-

ვოთ... ჩვენი ტაქტიკა სრულებითაც არ უნდა იყოს შეფარდებული რევოლუციურ გამოსვლებთან და ბურჟუაზიამ თვითონ აკეთოს თავისი რევოლუცია, ჩვენ კი — პროლეტარიატის საქმე.

(ნ. ჟორდანიას სიტყვიდან, იხ. ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების V ყრილობის ანგარიში — ჟურნალი „ბორბა", № 2 — 4, 1908 წ.).

„დებულება ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესახებ არ მართლდება არც მარქსის თეორიით და არც ისტორიული ფაქტებით".

(ნ. ჟორდანია — გაზ. „აზრი", № 17, 1908 წ.).

ამიერ-კავკასიის მენშევიკებმა თავისი მუშაობის ცენტრი სახელმწიფო სათათბიროში გადაიტანეს, რომელიც „საერთოსახალხო მოძრაობის ორგანოდ" გამოაცხადეს. მეორე სათათბიროში ისინი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ.

ამიერ-კავკასიის მენშევიკი დეპუტატები სათათბიროში არჩეული იყვნენ უმთავრესად წვრილი და საშუალო ბურჟუაზიისა და ქართველი თავადაზნაურობის ხმებით, სათათბიროში ატარებდნენ აშკარა ოპორტუნისტულ, შემთანხმებლურ პოლიტიკას, პროლეტარიატის ინტერესების გამცემლობის პოლიტიკას.

ი. წერეთელი მეორე სათათბიროში ჰქადაგებდა, „თავისუფლებისათვის ბრძოლა არ შეიძლება ისე, თუ ესათუის კავშირი არ გვექნება ბურჟუაზიულ დემოკრატიასთანო", რომ „ძირითად პოლიტიკურ დანაწილებათა მიჯნა ჩვენს რევოლუციაში კადეტების მარჯვნივ მიიმართება და არა მარცხნივ" და სხვ.

II სათათბიროს გარეკვასთან დაკავშირებით მენშევიკები დასჯერდნენ ცარიელ დეკლარაციებს, თვითმპყრობელობისადმი მუქარას და მორჩილებისკენ მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს.

აი, როგორ აფასებდა მენშევიკების პოზიციას სათათბიროს გარეკვის გამო მეფის ოხრანკა:

„ბაქოს მუშები, რომელნიც თითქმის მხოლოდდამხოლოდ ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციის აგიტაციის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ერთის მხრივ, თავისი ახლანდელი **მძიმე მატერიალური** მდგომარეობის გამო, რაც მათ საშუალებას არ აძლევს აშკარად გამოეხმაურონ სათათბიროს დათხოვნას ისე, რომ თავისი ხელფასის დაკარგვის რისკი არ გასწიონ, ხოლო მეორე მხრივ, — **სოციალ-დემოკრატ-მენშევიკების ტაქტიკის წყალობით — თავდაჭერილად შეეხვდნენ სათათბიროს დათხოვნას**".

(საქართველოს ცენტრალური არქივი, საარქ. ფ. 63, საქმე № 133, 1906 წ., ფურცელი 39 — 45).

ამიერ-კავკასიის მენშევიკები რეაქციის წლებში ატარებდნენ კამპანიას არალეგალური რევოლუციური პარტიის ლიკვიდაციისათვის, მხარეულად უჭერდნენ მხარს რუს ლიკვიდატორთა იდეას მუშათა [illegible], ლეგალური პარტიის შექმნის შესახებ. მათი აზრით, პროლეტარიატს ესაჭიროება არა მებრძოლი რევოლუციური პარტია, არამედ მუშათა მშვიდობიანი საპარლამენტო პარტია, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის ტიპის მიხედვით, რომელიც შეგუებული იქნებოდა ბურჟუაზიასთან მშვიდობიან თანამშრომლობას.

ამიერ-კავკასიის მენშევიკები თანამიმდევრად ატარებდნენ პრაქტიკაში ბურჟუაზიასთან კავშირის, თანამშრომლობის იდეას, რამაც მათთვის საკმაო სადეპუტატო ადგილი უზრუნველჰყო სახელმწიფო სათათბიროში.

ნ. ჟორდანია და ქართველ მენშევიკთა სხვა ლიდერები წელებზე ფეხს იდგამდნენ ქართველი ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად. ცნობილია, რომ ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და სხვ. გაფიცვებს ჩაშლიდნენ ხოლმე, უწინარეს ყოვლისა ქართველ კაპიტალისტთა საწარმოებში.

ქართველ მენშევიკთა ლიდერები (სახელმწიფო სათათბიროს წევრები) კ. ჩხეიძე და ა. ჩხენკელი 1911 წლის 26 ივნისს ოფიციალურად გამოვიდნენ დემოკრატიის სახელით მსხვილი ქართველი კაპიტალისტის დ. სარაჯიშვილის დაკრძალვაზე და მოუწოდებდნენ, რათა სასწავლებლად „კულტურულ კაპიტალისტებთან“ მისულიყვნენ. ქართველი მენშევიზმის პატრიარქმა ნ. ჟორდანიამ ამ „ევროპულად განათლებული“ მექარხნის „ნათელი ხსოვნისათვის“ გამოაცხო გულშემატკივარი სტატია, რომელშიაც სწერდა:

„ულმობელმა სიკვდილმა ამ დღეებში მოგვტაცა ერთი იშვიათი ქართველი დ. ზ. სარაჯიშვილი... განსვენებულს იცნობდნენ როგორც მრეწველს, მაგრამ ვეჭვობ ყველამ იცოდეს, რომ ის იყო პირველი მრეწველი ევროპიულის ტიპისა. ერთხელ მან მითხრა: „ძნელია ჩვენი ეკონომიურად წინ წაწევა; როგორც კი ერთი ცოტაოდენ ქონებას შეიძენს, ასი მშიერი უკან დასდევს და, სანამ არ გახრავენ, თავს არ დაანებებენო“. ასეთ პირობებში, მართლაც, დიდი პრაქტიკული ნიჭია საჭირო, რომ ამ შემოსეულ ხროვას გაუძლო და შესძლო გონიერად მოიხმარო ქონება. დავითი რომ წმინდა ქართველი მრეწველი ყოფილიყო, კაი ხანია ქართველურად გაათავებდა — მისი შეძლებისაგან აღარაფერი დარჩებოდა. მხოლოდ ევროპელ კაცს შეეძლო ყველა მადლიერი ჰყოლოდა და თანაც შეძლება არ გაეფლანგა... ერთხელ ბულვარზე შემხვდა და შორიდან დამიძახა: „დახე ეგ თქვენი ბერნშტეინი რა ამბავშია! მოდი წაიღე, წაიკითხე“. წიგნი ახალი გამოსული იყო და ტფილისში არ იშოვებოდა. მიორე დღეს მივედი დავითისას და წიგნი გამოვართვი. — თქვენი აზრი? შეეკითხე მას. — ჩემი აზრი? ეს დიდი ბომბა გასკდა გერმანიაში.

მთელ წიგნში ერთი ადგილი მომწონს, სადაც სწერია: „მოძრაობა არის ყველაფერი, საბოლოო მიზანი კი არაფერი“. (**სიცილი დარბაზში**).

ერთხელ მის კანტორაში ის ძლიერ დაღონებული ვნახე, დაღონება კი იშვიათად იცოდა. — რა ამბავია? შევეკითხე, — ჩვენ მემრისი არა გვაქვს, დამიწყო მან, შენ ამბობ წვრილი ბურჟუაზია მსხვილს წარმოშობსო, მე კი იმას ვერ ვხედავ, ამისათვის საჭიროა სამოქალაქო კულტურა, ჩვენ კი სოფლელები ვართ...

ის არც რევოლუციას აუმჩატებია და არც რეაქციას დაუმონებია...

და აი, ასეთ იშვიათ ადამიანს ვაბარებთ დღეს მიწას. მოკვდა ისე, როგორც ცხოვრობდა — ხელგაშლილათ და გულგაშლილათ. მშვიდობით, ძვირფასო დავით! ნათელი ხსენება შენი საუკუნოდ დარჩება ჩვენში“.

(ნ. ჟორდანია. გაზ. „კოოპერაცია“, № 3, 10 ივლისი, 1911 წ.).

ვინ იყო ეს „კულტურული კაპიტალისტი“, რომლის წინაშე ქედს იხრის ნოე ჟორდანია?

დ. ზ. სარაჯიშვილს სარეჭტიფიკაციო, ლიქორისა და კონიაკის ქარხნები ჰქონდა ტფილისში, აგრეთვე კონიაკის ქარხნები ყიზლარში, ერევანში, კალარაშჩასა (ბესარაბია) და გეოქჩაიში. 1902 წლის 1 იანვარს მეფის მთავრობამ იგი დააჯილდოვა კომერციის „სოვეტნიკობის“ წოდებით „სამშობლოს მრეწველობისა და ვაჭრობის ასპარეზზე სასარგებლო მოღვაწეობისათვის“.

ამრიგად, რეაქციის წლებში ამიერ-კავკასიის მენშევიზმი აშკარად და საბოლოოდ გადაიზარდა ლიკვიდატორობაში, ხელი აიღო რევოლუციაზე, მარქსიზმზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპებზე.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკების ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, ყოველ ნაბიჯზე ჰგლეჯდნენ მათ ნიღაბს, როგორც კონტრრევოლუციური, მონარქიული ბურჟუაზიის აშკარა აგენტებსა და ხელისშემწყობთ.

პარტიის ლონდონის V ყრილობის შემდეგ, 1907 წელს, ამხ. სტალინი ქალ. ბაქოში ჩავიდა.

რეაქციის წლებში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, როგორც ყოველთვის, განუხრელად იბრძოდნენ რევოლუციის ლენინური სტრატეგიისათვის, ცარიზმის დამხობისათვის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და მისი გადაზრდისათვის სოციალისტურ რევოლუციად.

ბოლშევიკები დაუღალავად განუმარტავდნენ მუშებსა და გლეხებს რევოლუციის დამარცხების დროებითს ხასიათს და ახალი რევოლუციის აუცილებლობას. ისინი ამხელდნენ ცარიზმის პოლიტიკას, სტოლიპინის

აგრარულ რეფორმას, თვითმპყრობელობის იმპერიალისტურ და ნაციონალურ-მჩაგვრელ პოლიტიკას და აჩაღებდნენ ბრძოლას ბოლშევიკური ლოზუნგებით: „დემოკრატიული რესპუბლიკა", „8 საათის სამუშაო დღე", „მემამულეთა ყველა მიწათა კონფისკაცია" და სხვ.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები აშენებდნენ და ამაგრებდნენ თავის ორგანიზაციებს უდიდეს არალეგალურობაში, წარმატებით ატარებდნენ ცხოვრებაში იმ ლენინურ ტაქტიკას, რომ ყოველგვარი ლეგალური ორგანიზაცია (სათათბირო, პროფკავშირები და სხვ.) გამოეყენებინათ რევოლუციური პროპაგანდისა და აგიტაციისათვის.

სტალინი და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები იცავდნენ ლენინურ შეხედულებას რუსეთის რევოლუციის პერსპექტივაზე, იცავდნენ ახალი რევოლუციის გარდუვალობას, ულმობელად ამხელდნენ კადეტებს, მენშევიკებს, ესერებს და სხვ. და ახალი რევოლუციური ბრძოლისათვის ამზადებდნენ პროლეტარიატს.

მეორე სათათბიროს გარეკასთან დაკავშირებით გაზეთი „ბაკინსკი პროლეტარი", რომელსაც ამხ. სტალინი ხელმძღვანელობდა, **მოწინავე** სტატიაში სწერდა:

„იყო პირველი სათათბირო, იყო მეორეც, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ „გადასჭრა" — და არც შეეძლო „გადაეჭრა" რევოლუციის არც ერთი საკითხი. ძველებურად რჩებიან: გლეხები უმიწოდ, მუშები 8 საათის სამუშაო დღის მიუღებლად, ყველა მოქალაქე პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებულად. რატომ? იმიტომ, რომ მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ არ მომკვდარა, იგი ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას, ერეკება პირველი სათათბიროს შემდეგ მეორეს, რაზმავს კონტრრევოლუციას და ცდილობს დაშალოს რევოლუციის ძალები, ჩამოაშოროს პროლეტარებს მრავალმილიონიანი გლეხობა... ცხადია, მეფის ხელისუფლების დაუმხობლად და სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოუწვევლად შეუძლებელია მუშათა და გლეხთა ფართო მასების დაკმაყოფილება. არანაკლებ ცხადია ისიც, რომ მხოლოდ გლეხობასთან კავშირით, მეფის ხელისუფლებისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლით შეიძლება გადაიჭრას რევოლუციის ძირითადი საკითხები".

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი", № 1, 1907 წ. 20 ივნისი).

1907 — 1912 წ. წ. პერიოდში ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გაიზარდა, განმტკიცდა და მენშევიკებთან ბრძოლაში გამოიწრთო ბაქოს ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც სოციალ-დემოკრატ მუშების უმრავლესობა მიიმხრო. ყველა მუშური რაიონი ბოლშევიკების ხელში იყო (ბალახანა, სურახანა, რომანი, ბიბი-ეიბათი, შავი ქალაქი, თეთრი ქალაქი, რკინისგზა და სხვ.).

ბაქო ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბურჯად, ლენინური პარტიის შეურყეველ ციხესიმაგრედ გადაიქცა.

ამხ. სტალინი უშუალოდ მუშაობდა ბაქოში და ამავე დროს ჩამოდიოდა ტფილისში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის სახელმძღვანელოდ და პარტიული კონფერენციების ჩასატარებლად.

ამ პერიოდში ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში — ბაქოს კომიტეტში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ი. სტალინი, ალ. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი, პავლე საყვარელიძე, ი. ფიოლეტოვი, ს. ორჯონიკიძე, სპანდარიანი, კასპაროვი, მაკარი (ნოგინი), გვანცალაძე (აპოსტოლი), ბ. მდივანი, სარატოვეცი (სმირნოვი), სტოპანი, ვაცეკი, ალილუევი, ვეპრინცევი (პეტერბურჟეცი) და სხვ.

ბაქოს კომიტეტმა თავის ირგვლივ შეჰქმნა ბოლშევიკთა მტკიცე აქტივი მოწინავე მუშებისაგან, რომელნიც მუშაობდნენ როგორც ბაქოს კომიტეტთან, ისე რაიონებში სარეწაოებსა და საწარმოებში: ი. კოჩეტკოვი, ანაშკინი, ი. ისაევი, მ. მამედიაროვი, ხანლარი, ი. ბოკოვი, ვ. სტურუა, პლეშაკოვი, ს. ელენტი, ყაზი-მამედოვი, სეიდ იაკუბოვი, გ. რთველაძე, ენუქიძე, ი. გარიშვილი, ე. სევრიუგინი, გ. გიორგობიანი, კიროჩკინი, არშაკი (ხატისოვის ქარხნიდან), რუდენკო, ს. მასხულია, ავაქიანი, ს. გარიშვილი, ტრონოვი, ი. მელიქოვი, ვოლოშინი, ორძელაშვილი, ბასინი, ავაქიანი, სტეფანოვი (ლევინსონი), პატარა მამედი (მუხთადირი), ეფენდიევი, ნ. გუბანოვი, ველიჩკო, ა. გეორქოვი, მ. კუჩუევი, სამარცევი (შილოვი), ხუმარიანი, მ. მორდოვცევი, მ. ბაქრაძე, ქელეზნი (ბაქრაძე), ლავრენტიევი (ტურეცკი), გ. მაზუროვი, ისაია შენდეროვი და სხვ.

ამავე პერიოდში მთელი რიგი ბოლშევიკები — ლიადოვი, ნოგინი (მაკარი) კ. ვოროშილოვი, რადუს-ზენკოვიჩი (ეგორი) და სხვა რუსი სოციალ-დემოკრატები ჩადიოდნენ რუსეთიდან ბაქოში კავშირისა და ინფორმაციისათვის. ზოგიერთი მათგანი ხანგრძლივად რჩებოდა ბაქოში, თვალსაჩინო დახმარებას უწევდა ორგანიზაციას და ბაქოს კომიტეტში შედიოდა.

იმავე პერიოდში რსდმპ ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის გარდა არსებობდა ბაქოს მენშევიკური ორგანიზაცია — მენშევიკთა ხელმძღვანელი კოლექტივი, რომელსაც სხვადასხვა დროს სათავეში უდგნენ ს. დევდარიანი, ი. რამიშვილი, ლარინი, მარტოვი (ძმა), პეტროვი, გერუსი და სხვ.

ბოლშევიკებთან ბრძოლაში მენშევიკური ორგანიზაციის დასახმარებლად ბაქოში ხშირად ჩადიოდნენ მენშევიკთა ლიდერები ნ. ჟორდანია, ი. მარტოვი, ნ. რამიშვილი, გინზბურგი, ა. ჩხენკელი და სხვ.

ბაქოელმა ბოლშევიკებმა დასცეს და გაანადგურეს მენშევიკები, ჩამოაშორეს მათ მუშების უდიდესი უმრავლესობა.

ამ პერიოდში ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის ამხ. სტალინის მუშაობაზე ბაქოს კომიტეტის ერთერთი მაშინდელი აქტიური წევრი ამხ. პ. საყვარელიძე თავის მოგონებებში ამბობს:

ბიბლიოთეკა

„მთელი მუშაობის ხელმძღვანელი იყო ბაქოს კომიტეტი და მისი აღმასრულებელი ბიურო (ერთდროს უკანასკნელი სამი კაცისაგან შესდგებოდა) სტალინის მეთაურობით. რაიონებში მუშაობდენ რაიონული კომიტეტები... მთელი ბოლშევიკური ორგანიზაციის შემჭიდროებისა და განმტკიცებისათვის იდეურ და ორგანიზაციული ბრძოლის მთავარი სიმძიმე სტალინს აწვა. ის უდგამდა სულს და აერთიანებდა მთელს მუშაობას. ამასთანავე ხელმძღვანელობდა არალეგალურ „ბაკინსკი რაბოჩის", რომლის გამოცემა იმ პერიოდში უდიდეს სიძნელეთა გადალახვას მოითხოვდა... აფართოებდა მუშაობას ყველაზე ჩამორჩენილ მუსლიმან მუშებს შორის („ჰუმეტის" საშუალებით), ატარებდა ნავთის სამრეწველო მუშების გაფიცვებს და სხვა. აწარმოებდა ინტენსიურ ბრძოლას მენშევიკების და ესერების გავლენის შესამუსრავად მუშათა რაიონებში.

ამხ. სტალინი პირველად იმ რაიონში მიდიოდა, რომელშიაც მომძლავრებულ შემოტევაზე გადმოვიდოდენ მენშევიკები და ესერები. მერე კი „ჩაჯდა" ბიბი-ეიბათში, რომელიც მენშევიკების ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ამასთანავე ბიბი-ეიბათში ყველა რაიონზე უფრო საგრძნობლად იყვნენ დარჩენილი პოლიციურ სოციალიზმის ნაირ-სახეობის — „შენდრიკოვშჩინის" ნაშთები. ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკებმა გასტეხეს მენშევიკებისა და ესერების გავლენა და ბიბი-ეიბათი ბოლშევიკურ რაიონად გადაქცეს".

(პ. საყვარელიძის მოგონებებიდან).

ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა ბაქოს პროლეტარიატის მთელს კლასობრივ ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ბაქოს პროლეტარიატმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით განვლო გმირული ბრძოლის სახელოვანი გზა, იგი სრულიად-რუსეთის რევოლუციური მუშათა მოძრაობის მოწინავე რიგებში იმყოფებოდა.

„ბაქოს 1903 წ. გაზაფხულის პირველი საყოველთაო გაფიცვით დაიწყო სამხრეთ რუსეთის ქალაქების ივლისის განთქმული გაფიცვა-დემონსტრაციები; მეორე საყოველთაო გაფიცვა 1904 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში სიგნალი შეიქნა იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლებისა მთელს რუსეთში; 1905 წელს ბაქოს პროლეტარიატი ერთბაშად, წელში სწორდება სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ებმება ბრძოლაში და თავის ენტუზიაზმს „მთელს კავკასიას" გადასდებს; 1906 წლიდან, უკვე რევოლუციის უკანდა-

ხევის შემდეგ, ბაქო მაინც არ „სცხრება“ და ყოველ წელს უკეთესად, ვიდრე სადმე რუსეთში, დღესასწაულობს პროლეტარულ მაისობას და სხვა ქალაქების კეთილშობილურ მაგალითებს ეფერებ.

(სტალინი — სტატია „თათბირი და მუშები“, გაზ. „ბაკინსკი პროლეტარის“ დამატება, № 5, 1908 წ.).

ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი ამხ. სტალინის მეთაურობით მენშევიკებს ბრძოლით აცლიდა ხელიდან თვითეულ უბანს. დიდ ორგანიზაციულ-პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, ამხ. სტალინი ეწევა დიდ თეორიულ და პროპაგანდისტულ მუშაობას.

სტატიებში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლონდონის ყრილობა“ (დელეგატის შენიშვნები), რომლებიც გაზ. „ბაკინსკი პროლეტარში“ 1907 წელს დაიბეჭდა, ამხ. სტალინი იძლევა ყრილობის მუშაობისა და მის შედეგთა ღრმა პრინციპულ შეფასებას და ამხელს რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა და პერსპექტივათა მენშევიკურ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეფასებას და მენშევიკთა ტაქტიკას.

თავის სტატიაში ლონდონის ყრილობის შესახებ ამხ. სტალინი ყრილობის მუშაობას ორ ნაწილად ჰყოფს:

„პირველი ნაწილი: კამათი ფორმალურ საკითხებზე, როგორიც არის ყრილობის დღის წესრიგი, ც. კ-ის ანგარიში და სათათბიროს ფრაქციის ანგარიში, საკითხებზე, რომლებსაც ღრმა პოლიტიკური აზრი აქვთ, მაგრამ რომლებიც დაკავშირებულია ან რომლებსაც აკავშირებენ ამათუიმ ფრაქციის „ღირსებასთან“, იმ აზრთან, რომ ამათუიმ ფრაქციას არ აწყენინონ, „არ გამოიწვიონ გათიშვა“, რის გამო ასეთ საკითხებს ეწოდებათ ფორმალური საკითხები.

„მეორე ნაწილი: კამათი პრინციპულ საკითხებზე, როგორიც არის არაპროლეტარული პარტიების, მუშათა ყრილობის და სხვა საკითხები. აქ უკვე აღარ იყო მორალის მოსაზრებანი, გარკვეული დაჯგუფებანი სასტიკად განსაზღვრულ პრინციპულ მიმდინარეობათა მიხედვით ხდებოდა, ერთბაშად გამოირკვა ფრაქციების ძალთა განწყობილება“...

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“, № 1, 1907 წ. 20 ივნისი).

ამხ. სტალინი ნიღაბს ხდის მენშევიკურ ც. კ-ს და გვიჩვენებს მის გაკოტრებას:

„მენშევიზმს, რომელიც მაშინ ც. კ-ს ავსებდა, არ შესწევს უნარი პარტიას უხელმძღვანელოს. იგი საბოლოოდ გაკოტრდა, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა. ამ თვალსაზრისით ც. კ-ის მთელი ისტორია არის მენშევიზმის მარცხის ისტორია. და როცა ჩვენ ამხ. მენშევიკები გვისაყვედურებენ და გვეუბნებიან — თქვენ ც. კ-ს „ხელს უშლიდით“, თქვენ მას „თავს აბეზრებდითო“ და სხვ., ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეგვიძლია ამ ჭკუის მასწავლებელ ამხანაგებს არ ვუპასუხოთ: დიახ, ამხანაგებო, ჩვენ „ხელს ვუშლიდით“ ც. კ-ს დაერღვია ჩვენი პროგრამა, ჩვენ „ხელს ვუშლიდით“ მას შეეგუებინა პროლეტარიატის ტაქტიკა ლიბერალური ბურჟუაზიის გემოვნებასთან და შემდეგშიც ხელს შევუშლით ვინაიდან, ეს ჩვენი წმინდათა-წმინდა მოვალეობაა“.

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“, № 1, 1907 წ. 20 ივნისი).

ამავე სტატიაში ამხ. სტალინი იძლევა მენშევიზმის, როგორც ყველა ოპორტუნისტული მიმდინარეობის ხროვის, კლასიკურ დახასიათებას. იგი სწერს:

„მენშევიზმი არ არის მთლიანი მიმდინარეობა. მენშევიზმი არის ხროვა მიმდინარეობათა, რომლებიც შეუმჩნეველია ბოლშევიზმთან ფრაქციული ბრძოლის დროს, მაგრამ მაშინვე აშკარავდება, როცა კი პრინციპულად დაისმება მიმდინარე მომენტის საკითხები ჩვენს ტაქტიკაში“.

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“ № 1, 1907 წ., 20 ივნისი).

შემდეგ ამხ. სტალინი ააშკარავებს ერგთვარ კანონზომიერებას ყველა ოპორტუნისტული ჯგუფისა და პაწაწა ჯგუფის გაერთიანებისა — დაწყებული მემარჯვენე მენშევიკ-ლიკვიდატორებით და გათავებული ტროცკისტებით. ტროცკიზმს ამხ. სტალინი ახასიათებს როგორც ცენტრიზმს.

„... ყრილობის ფორმალურმა დაყოფამ 5 ფრაქციად (ბოლშევიკები, მენშევიკები, პოლონელები და სხვ.) შეინარჩუნა ერთგვარი ძალა, მართალია, უმნიშვნელო, მხოლოდ პრინციპული ხასიათის საკითხთა განხილვამდე (საკითხი არაპროლეტარული პარტიებისა. მუშათა ყრილობისა და სხვ.). პრინციპული საკითხების განხილვიდან კი ფორმალური დაჯგუფება ფაქტიურად უკუგდებულ იქნა და კენჭისყრის დროს ყრილობა ჩვეულებრივ ორ ნაწილად იყოფოდა: ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ეგრეთწოდებული ცენტრი ან ჭაობი ყრილობაზე არ ყოფილა; ამხ. ტროცკი „ლამაზი ზედმეტობა “გამოდგა“.

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“ № 1, 1907 წ. 20 ივნისი).

ამხ. სტალინი აქვე მკაფიო და გამანადგურებელ დახასიათებას აძლევს ბუნდს (რომელიც სხვათა შორის, მენშევიკებთან ერთად ბაქოში შესამჩნევ როლს თამაშობდა):

„ბუნდი, რომელიც ფაქტიურად თავის დელეგატთა უდიდესი უმრავლესობით მუდამ მხარს უჭერდა მენშევიკებს, ფორმალურად მეტისმეტად ორაზროვან პოლიტიკას ატარებდა... ამხ. როზა ლიუქსემბურგმა მხატვრულად და მოსწრებულად დაახასიათა ბუნდის ეს პოლიტიკა, როცა სთქვა, რომ ბუნდის პოლიტიკა არ არის პო-

ლიტიკა მომწიფებული პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელსაც მასებზე გავლენა აქვს, რომ ეს არის ჩარჩების პოლიტიკა, რომელნიც მუდამ უთვალთვალებენ და მუდამ იმედით ელოდებიან — იქნებ ხვალ შაქარი გაიაფდესო" (**სიცილი დარბაზში**).

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი", № 1, 1907 წ. 20 ივნისი).

სტატიებში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა" (გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი" № 1, 2 — 1907 წ.) ამხ. **სტალინი ამხელს და აცამტვერებს რევოლუციის მენშევიკურ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ „სქემას" და შემდეგ ავითარებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლენინურ თეორიას:**

„ჩვენი რევოლუცია რომ ბურჟუაზიულია, რომ იგი უნდა დამთავრდეს არა კაპიტალისტური, არამედ ბატონყმური წესების განადგურებით, რომ მას მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკით შეუძლია დაგვირგვინდეს,—ამას, გვგონია, ჩვენს პარტიაში ყველა ეთანხმება. შემდეგ, ჩვენი რევოლუცია რომ, საერთოდ და მთლიანად, ზევით მიიწევს და არა ქვევით, და რომ ჩვენი ამოცანაა რევოლუციის არა „ლიკვიდაცია", არამედ მისი ბოლომდე მიყვანა, — ამაშიც, ფორმალურად მაინც, ყველა თანახმაა, ვინაიდან მენშევიკებს, როგორც ფრაქციას, ამის საწინააღმდეგო ჯერ კიდევ არსად არ განუცხადებიათ. მაგრამ როგორ უნდა მივიყვანოთ ბოლომდე ჩვენი რევოლუცია? რა როლი აქვთ პროლეტარიატს, გლეხობას, ლიბერალურ ბურჟუაზიას ამ რევოლუციაში? ძალთა რა განწყობილების დროს შეგვიძლია ბოლომდე მივიყვანოთ ახლანდელი რევოლუცია? ვისთან უნდა ვიაროთ, ვის დავცხოთ და სხვ. აი, სად იწყება ჩვენში უთანხმოებანი.

მენშევიკების აზრი. რახან ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, ამიტომ მხოლოდდამხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია იყოს რევოლუციის ბელადი. ბურჟუაზია იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ბელადი, იგი იყო ევროპის სხვა სახელმწიფოთა რევოლუციების ბელადი. იგივე უნდა იყოს ჩვენი რუსეთის რევოლუციის ბელადიც. პროლეტარიატი რევოლუციის მთავარი მებრძოლია, მაგრამ იგი ბურჟუაზიას უნდა მიჰყვებოდეს და მას წინ სწევდეს. გლეხობაც რევოლუციური ძალაა, მაგრამ მას ძალიან ბევრი რამ რეაქციული აქვს და ამიტომ პროლეტარიატს მასთან გაცილებით უფრო იშვიათად მოუხდება საერთო გამოსვლა, ვიდრე ლიბერალურ-დემოკრატიულ ბურჟუაზიასთან. ბურჟუაზია პროლეტარიატისათვის უფრო საიმედო მოკავშირეა, ვიდრე გლეხობა. ლიბერალურ-დემოკრატიული ბურჟუაზიის გარშემო, როგორც ბელადის გარშემო, უნდა შემოკრბნენ ხოლმე ყველა მებრძოლი ძალები. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებთან უნდა განისაზღვროს არა რე-

ვოლუციური დებულებით: გლეხობასთან ერთად მთავრობის და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის მეთაურობით, — არამედ ოპორტუნისტული დებულებით: **მთელ ოპოზიციასთან ერთად მთავრობის წინააღმდეგ ლიბერალური ბურჟუაზიის მეთაურობით. აქედან — ლიბერალებთან შეთანხმების ტაქტიკა.**

ასეთია მენშევიკების აზრი (ხაზი გასმულია ჩვენ მიერ. ლ. ბ.).

ბოლშევიკების აზრი. ჩვენი რევოლუცია, მართლაც ბურჟუაზიულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჰეგემონად ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზია იქნება. მე-18 საუკუნეში საფრანგეთის ბურჟუაზია საფრანგეთის **რევოლუციის ბელადი იყო, მაგრამ რატომ? იმიტომ,** რომ საფრანგეთის პროლეტარიატი მაშინ სუსტი იყო, იგი დამოუკიდებლად **არ გამოდიოდა, იგი თავის კლასობრივ მოთხოვნებს არ** აყენებდა, მას არ გააჩნდა არც შეგნება, **არც ორგანიზაცია,** იგი მაშინ ბურჟუაზიას კუდში მისდევდა და ბურჟუაზია იყენებდა მას, როგორც იარაღს თავისი ბურჟუაზიული მიზნებისათვის. როგორც ხედავთ, ბურჟუაზია მაშინ არ საჭიროებდა მოკავშირეს. მეფის ხელისუფლების სახით, პროლეტარიატის წინააღმდეგ, — პროლეტარიატი თითონ იყო მისი მოკავშირე, მსახური,—და ამიტომ ბურჟუაზია შეიძლებოდა მაშინ რევოლუციური ყოფილიყო, რევოლუციის სათავეშიც მდგარიყო. სულ სხვას ვხედავთ ჩვენში, რუსეთში. რუსეთის პროლეტარიატს სრულიადაც არ შეიძლება ეწოდოს სუსტი: იგი უკვე რამდენიმე წელია სავსებით დამოუკიდებლად გამოდის და **თავის კლასობრივ მოთხოვნებს აყენებს; იგი საკმაოდ შეიარაღებულია** კლასობრივი თვითშეგნებით, რათა ესმოდეს თავისი ინტერესები; იგი დარაზმულია თავის პარტიაში, მას ჰყავს რუსეთში უძლიერესი პარტია თავისი პროგრამითა და ტაქტიკურ-ორგანიზაციული პრინციპებით. ამ პარტიის მეთაურობით მან უკვე მოიპოვა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებანი ბურჟუაზიაზე... შეუძლია თუ არა ამ პროლეტარიატს დასჯერდეს ლიბერალური ბურჟუაზიის კუდის როლს, ამ ბურჟუაზიის ხელში უბადრუკი იარაღის როლს? შეუძლია და უნდა გაჰყვეს თუ არა იგი ამ ბურჟუაზიას და გაიხადოს იგი თავის ბელადად? შეიძლება თუ არა იგი არ იყოს რევოლუციის ბელადი? აბა შეხედეთ რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის მოქმედებას: პროლეტარიატის რევოლუციურობით დაშინებული ჩვენი ბურჟუაზია, იმის მაგივრად, რომ იგი რევოლუციას უძღვებოდეს, კონტრრევოლუციას ეხუტება, მას უკავშირდება პროლეტარიატის წინააღმდეგ. ხოლო მისი პარტია, კადეტების პარტია, აშკარად, მთელი ქვეყნის დასანახად, უთანხმდება სტოლიპინს, ხმას აძლევს ბიუჯეტს და არმიას ცარიზმის სასარგებლოდ, სახალხო რევოლუციის წინააღმდეგ. განა ცხადი არ არის, რომ რუსეთის ლიბერალური

ბურჟუაზია წარმოადგენს ანტირევოლუციურ ძალას, რომლის წინააღმდეგაც უაღრესად დაუნდობელი ომი უნდა გავაჩაღოთ?..

ამგვარად: რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია ანტირევოლუციურია. იგი არ შეიძლება იყოს რევოლუციის არც მამოძრავებელი, მით უმეტეს, არც ბელადი. იგი არის რევოლუციის მოსისხლე მტერი და მას შეუპოვრად უნდა ვებრძოლოთ.

ჩვენი რევოლუციის ერთადერთი ბელადი, რომელიც დაინტერესებულია და რომელსაც შეუძლია დასძრას რუსეთის რევოლუციური ძალები მეფის თვითმპყრობელობაზე იერიშის მისატანად, — არის პროლეტარიატი. მხოლოდ პროლეტარიატი შემოიკრებს თავის გარშემო ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ ელემენტებს. მხოლოდ იგი მიიყვანს ბოლომდე ჩვენს რევოლუციას. სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა — გააკეთოს ყოველივე, რაც კი შესაძლებელია, პროლეტარიატის მოსამზადებლად რევოლუციის ბელადის როლისათვის.

ეს არის ბოლშევიკური თვალსაზრისის მთავარი ძარღვი.

კითხვაზე: ვისლა შეუძლია იყოს პროლეტარიატის საიმედო მოკავშირედ ჩვენი რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საქმეში, — ბოლშევიკები უპასუხებენ: პროლეტარიატის ერთადერთ რაოდენადმე მაინც საიმედო და ძლიერ მოკავშირეს რევოლუციური გლეხობა წარმოადგენს. არა მოღალატე ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ რევოლუციური გლეხობა იბრძოლებს პროლეტარიატთან ერთად ბატონყმური წესების ყველა საფუძვლის წინააღმდეგ.

ამასთან შეფარდებით ჩვენი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებთან უნდა განისაზღვროს დებულებით: **რევოლუციურ გლეხობასთან ერთად ცარიზმისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის მეთაურობით. აქედან — კადეტური ბურჟუაზიის ჰეგემონიასთან (წინამძღოლობასთან) ბრძოლის აუცილებლობა და, მაშასადამე, კადეტებთან შეთანხმების შეუწყნარებლობა. ასეთია ბოლშევიკების აზრი"** (ხაზგასმულია ჩვენ მიერ. ლ. ბ.). (გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი", № 1, 1907 წ. 20 ივნისი).

ამხ. **სტალინი ააშკარავებს მენშევიზმის სოციალურ ბაზას და ამხელს მენშევიკების ტაქტიკას როგორც პროლეტარიატის ნახევრად-ბურჟუაზიულ ელემენტთა ტაქტიკას.**

„...ბოლშევიკების ტაქტიკა არის მსხვილ-სამრეწველო პროლეტარების ტაქტიკა, იმ რაიონების ტაქტიკა, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი განსაკუთრებით ნათელია და კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით მკვეთრია. **ბოლშევიზმი — ეს არის ნამდვილი პროლეტარების ტაქტიკა.**

მეორე მხრივ, არანაკლებ აშკარაა ისიც, რომ მენშევიკების ტაქტიკა უმთავრესად არის ხელოსან-მუშების და ნახევარ-პროლეტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხების ტაქტიკა, იმ რაიონების ტაქტიკა, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი მთლად ნათელი არ არის და კლასობრივი ბრძოლა მიჩქმალულია. **მენშევიზმი — ეს არის პროლეტარიატის ნახევრად-ბურჟუაზიულ ელემენტთა ტაქტიკა.**

და ეს ადვილად მისახვედრია, — სწერს ამხ. სტალინი, — არ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ ლოძის, მოსკოვის ან ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებს შორის ბლოკებზე სწორედ იმ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, რომლის წევრები მათ გააფთრებით ებრძვიან, წარამარა „სჯიან“ მათ ნაწილობრივი დათხოვნითა და მასობრივი ლოკაუტებით. იქ მენშევიზმი სიმპატიებს ვერ მოიხვეჭს, იქ საჭიროა ბოლშევიზმი, შეურიგებელი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკა. და, პირიქით, ძალიან ძნელია კლასობრივი ბრძოლის იდეა ჩავუნერგოთ გურულ გლეხებს ან რომელიმე შკლოვსკის ხელოსნებს, რომელნიც კლასობრივი ბრძოლის სიმწვავეს სისტემატურად არ განიცდიან და ამიტომ ხალისით მიდიან ყოველგვარ შეთანხმებაზე „საერთო მტრის“ წინააღმდეგ.

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“, № 1, 1907 წ. 20 ივნისი).

(ხაზგასმულია ჩვენ მიერ. ლ. ბ.).

ამხ. სტალინი ნიღაბს ხდის მენშევიკების ლიკვიდატორობას და უპარტიო მუშათა ყრილობის მენშევიკურ იდეას:

„მუშათა ყრილობის იდეა, — სწერს ამხ. სტალინი, — აღებული მისი კონკრეტული სახით, ძირფესვიანად ყალბია: ვინაიდან იგი ეყრდნობა არა ფაქტებს, არამედ შემცდარ დებულებას, რომ „ჩვენში პარტია არ არისო“. საქმე ის არის, რომ ჩვენ გვყავს პროლეტარული პარტია, იგი ძალიან ხმამაღლა აცხადებს თავის არსებობას, იგი ძალიან სერიოზულად აგრძნობინებს თავის თავს პროლეტარიატის მტრებს, — ეს თითონ მენშევიკებმა ძალიან კარგად იციან, — და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ უკვე გვყავს ასეთი პარტია, სწორედ ამიტომ მუშათა ყრილობის იდეა ძირფესვიანად ყალბია“.

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“, № 2, 1907 წ. 13 ივლისი).

ამხ. სტალინმა დაამტკიცა, რომ მუშათა ყრილობის მოწვევის იდეა არის მუშათა კლასის პირდაპირი ღალატი მენშევიკების მხრივ, რომელნიც ლიბერალური ბურჟუების „ბრძანებით“ ცდილობდნენ დაეშალათ მუშათა კლასის რევოლუციური პარტია და ამით თავი მოეკვეთათ მუშათა მოძრაობისათვის.

„ტყუილად კი არ არის, — სწერს ამხ. სტალინი, — რომ ყველა ბურჟუაზიული მწერალი, სინდიკალისტებით და ესერებით დაწყებული და კადეტებით და ოქტომბრისტებით გათავებული, — ტყუილად კი არ არის, რომ ყველა ისინი ასე მხურვალედ უჭერენ მხარს მუშათა ყრილობას. ყველა ისინი ხომ ჩვენი პარტიის მტრები არიან,

ხოლო პრაქტიკულ მუშაობას მუშათა ყრილობის მოსაგებად შეეძლო თვალსაჩინოდ დაესუსტებინა პარტია და დეზორგანიზაცია შეეტანა შიგ. აბა როგორ არ უნდა მიესალმნენ ისინი „მუშათა ყრილობის იდეას?“

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“, № 2, 1907 წ. 10 ივლისი).

ამხ. სტალინი იმავე სტატიებში აჯამებს ყრილობის შედეგებს, იძლევა ყრილობის მუშაობის ხასიათის საერთო შეფასებას და განსაზღვრავს მის ადგილს ჩვენი პარტიის ისტორიაში.

ამხ. სტალინი სწერს:

„...ყრილობა დამთავრდა „ბოლშევიზმის“ გამარჯვებით, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებით ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაზე — მენშევიზმზე“. ყრილობამ შეაჯამა:

„...პარტიის ფაქტიური გამარჯვებანი ოპორტუნისტულ ცენტრალურ კომიტეტზე, გამარჯვებანი, რომელნიც აღავსებენ ჩვენი პარტიის საშინაო განვითარების ისტორიას მთელი განვლილი წლის განმავლობაში...

მთელი რუსეთის მოწინავე მუშათა ფაქტიური გაერთიანება სრულიად-რუსეთის ერთიან პარტიაში, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ — ასეთია ლონდონის ყრილობის აზრი, ასეთია მისი საერთო ხასიათი“.

(გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“ № 1, 1907 წ. 20 ივნისი).

აი რანაირად აფასებდა ამხ. სტალინი 1907 წელს პარტიის ლონდონის მეხუთე ყრილობის მნიშვნელობას.

ზოგიერთი ამხანაგი კი თავის ნაშრომებში ლონდონის ყრილობის შესახებ უხეშ დამახინჯებებს სჩადის.

ასე, მაგალითად, ამხ. ფ. მახარაძე პარტიის ლონდონის V ყრილობის მნიშვნელობისა და აზრის აშკარა შეუფასებლობას იჩენს, როცა სწერს:

„და არავითარ გამაერთიანებელ ყრილობას არ შეეძლო მათი გაერთიანება თუ ერთერთი ეს ფრაქცია უარს არ იტყოდა თავის ძირითად შეხედულებებზე, რაც უკვე ყოველად წარმოუდგენელი იყო. და ამიტომ ლონდონის შემდგომი საერთო პარტიული ყრილობაც 1907 წელს და ჩვენი უკანასკნელი კავკასიის ყრილობაც 1908 წლის დამდეგს დროს ფუჭად დაკარგვა იყო. ეს ორი ყრილობა უკანასკნელი საერთო ყრილობები იყო. პარტია საბოლოოდ და სამუდამოდ გაითიშა და საერთო ენის გამონახვის ყოველგვარი ცდა, რისთვისაც შემდეგ არაერთხელ მიუმართავთ, წინასწარ განწირული იყო მარცხისათვის“.

(ფ. მახარაძე — „ამიერ-კავკასიის კომპარტიის ისტორიისათვის“, კრებული — „სოციალიზმისათვის ბრძოლის 25 წელი“, გვ. 205).

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვით გამოდის, თითქოს ბოლშევიკები პარტიის ლონდონის ყრილობაზე მიდიოდნენ მენშევიკებთან [illegible] ერთიანების ინტერესებისათვის. და რადგან ასეთი გაერთიანება [illegible], — ამხ. მახარაძე ლონდონის მე-5 ყრილობას დროის ფუჭად დაკარგვას უწოდებს.

ცნობილია, რომ, ჯერ ერთი, ლენინი და ბოლშევიკები ლონდონის მე-5 ყრილობაზე, ისე როგორც პარტიის სტოკჰოლმის მეოთხე გამაერთიანებელ ყრილობაზეც, მიდიოდნენ არა მენშევიკებთან გაერთიანების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ ემხილათ მენშევიკები, დაენახვებინათ მუშათა კლასისათვის, — რომ მენშევიკები არიან ოპორტუნისტები და რევოლუციის საქმის მოღალატენი და გაეერთიანებინათ მუშათა კლასის უმრავლესობა ბოლშევიკების გარშემო.

მეორე — ბოლშევიკებს არასოდეს არ უფიქრიათ, რომ გამონახავდნენ საერთო ენას მენშევიკებთან, არამედ ისინი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ როგორც მენშევიზმის, ისე მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. „გაერთიანების“ ტაქტიკა იყო და გახდა ხელმძღვანელების — მენშევიკების მხილების, იზოლაციის და მათ მიერ მოტყუებული მუშების მათგან მოწყვეტის უმნიშვნელოვანესი საშუალება. ამიტომ პარტიის მე-5 ყრილობა არ ყოფილა დროის ფუჭად დაკარგვა, არამედ წარმოადგენდა მენშევიზმზე ბოლშევიზმის უდიდეს გამარჯვებას, და მან წინ წასწია მოწინავე მუშათა გაერთიანება ერთიან რევოლუციურ პროლეტარულ პარტიად ლენინიზმის დროშის ქვეშ.

რეაქციის წლებში ბაქოს ბოლშევიკები ამხ. სტალინის მეთაურობით **ხელმძღვანელობას უწევენ ბაქოს პროლეტარიატის** კლასობრივ ბრძოლებს და წარმატებით ატარებენ დიდ კამპანიას ნავთის მრეწველებთან თათბირის გარშემო (1907 წლის დამლევი).

ნავთის მრეწველები ცდილობდნენ მოეწვიათ თათბირი იმისათვის, რომ საბოლოოდ მოეწყვიტათ სარეწაოთა მუშები ხელოსნებისაგან, სამუდამოდ გაერყვნათ ისინი, ჩაენერგათ მათთვის მონური ნდობა ნავთის მრეწველთა მიმართ, კაპიტალის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პრინციპები შეეცვალათ ჩარჩობის და ლაქიური მათხოვრობის პრინციპით“.

თავის სტატიაში „ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ თათბირს“, „კო...“-ს ხელმოწერით, ამხ. სტალინი ახასიათებს ბაქოს მუშების ბრძოლის ორ პერიოდს.

> „პირველი პერიოდი — ეს არის ბრძოლის პერიოდი უკანასკნელ ხანამდე, როცა მომქმედ პირებად გამოდიოდნენ ხელოსნები, როცა სარეწაოთა მუშები უბრალოდ და ნდობით მიჰყვებოდნენ ხელოსნებს, როგორც თავიანთ ბელადებს, როცა სარეწაოთა მუშებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული თავისი უდიდესი როლი წარმოებაში. ნავთის მრეწველთა ტაქტიკა ამ პერიოდში შეიძლება კვალი-

ფიცირებულ იქნას როგორც ხელოსანთა გულისმოგების ტაქტიკა, ხელოსანთა წინაშე სისტემატურ დათმობათა და სარეწაოთა მუშების სისტემატური უგულებელყოფის ტაქტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე პერიოდი იწყება სარეწაოთა მუშების გამოღვიძებით, მათი დამოუკიდებლად გამოსვლით სცენაზე და ამავე დროს ხელოსანთა უკანა რიგში მოქცევით... ნავთის მრეწველები ცდილობენ გამოიყენონ შეცვლილი მდგომარეობა და სცვლიან თავის ტაქტიკას. ისინი აღარ ელოლიავებიან ხელოსნებს, ისინი აღარ სცდილობენ ხელოსნების გულისმოგებას, ვინაიდან კარგად იციან, რომ ახლა სარეწაოთა მუშები ყოველთვის როდი გაჰყვებიან მათ. პირიქით ნავთის მრეწველები თვითონ ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ ხელოსანთა გაფიცვა სარეწაოების მუშათა მონაწილეობის მიუღებლად, რათა ამით ცხადჰყონ ხელოსანთა შედარებითი უძლურება და უფრო მორჩილნი გახადონ".

(გაზეთი „გუდოკი" № 4, 1907 წ.).

ბაქოს ბოლშევიკებმა გააჩაღეს მუშაობა მუშათა მასების პოლიტიკური განათლებისათვის და მუშათა ბრძოლა თათბირის ბოიკოტის გზით გადაიყვანეს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეგნებული კლასობრივი პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე.

ამხ. სტალინმა ასე დაასაბუთა თათბირის ბოიკოტი:

„... თათბირზე წასვლა — მასების თავში „ფეშკეშურ" ცრურწმენათა აღმოფხვრას კი არ ნიშნავს, არამედ განმტკიცებას. ეს ნიშნავს ჩანერგო მასების შეგნებაში არა უნდობლობა ნავთის მრეწველებისადმი, არამედ მათდამი ნდობა, ეს ნიშნავს იმას, რომ კი არ დარაზმო სარეწაოთა მუშები ხელოსანთა გარშემო, კი არ დაუახლოვო ისინი ხელოსნებს, არამედ ჩააგდო კაპიტალისტების ბრჭყალებში".

(გაზეთი „გუდოკი" № 4, 1907 წ.).

ამხ. სტალინი ანადგურებს მენშევიკებს, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ მონაწილეობა თათბირზე „რადაც უნდა დამჯდარიყო", ვითომდა იმისათვის, რომ გამოეყენებიათ იგი „მასების ორგანიზაციის" მიზნით.

„საქმე სწორედ ის არის, რომ დარაზმვა (რასაკვირველია, ჩვენი გაგებით და არა გაპონის გაგებით) — ეს უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ განავითარო კაპიტალისტებისა და მუშების შეურიგებელი წინააღმდეგობის შეგნება".

(გაზეთი „გუდოკი" № 4, 1907 წ.).

აქედან გამომდინარეობს თათბირის ბოიკოტის ბოლშევიკური ტაქტიკა, როგორც ერთადერთი სწორი ტაქტიკა, ვინაიდან —

„... ბოიკოტის ტაქტიკა საუკეთესოდ ავითარებს მუშებისა და ნავთის მრეწველების შეურიგებელი წინააღმდეგობის შეგნებას.

ბოიკოტის ტაქტიკა არყევს „ფეშკეშურ“ ცრურწმენას, აშორებს სარეწაოთა მუშებს ნავთის მრეწველებს და რაზმავს მათ ხალხისანთა გარშემო.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბოიკოტის ტაქტიკა ნერგავს უნდობლობას ნავთის მრეწველთა მიმართ და საუკეთესოდ ცხადჰყოფს მასების თვალში ბრძოლის, როგორც ცხოვრების გაუმჯობესების ერთადერთ საშუალების საჭიროებას“.

(გაზეთი „გუდოკი“ № 4, 1907 წ.).

ბოლშევიკებმა თათბირის ბოიკოტი ჩაატარეს შემდეგი ლოზუნგით — **„თათბირი გარანტიებით ან არავითარი თათბირი“.**

ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ძველ შენდრიკოვულ მალულ უმუშებო თათბირებს, და განაცხადეს, რომ თათბირზე მუშები უნდა წავიდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ მუშათა მასები და მათი კავშირები ფართო მონაწილეობას მიიღებენ თათბირის მთელ მსვლელობაში. ᲫᲐᲗ წამოაყენეს მუშათა შემდეგი პირობები:

„1) თავისუფლად იმსჯელონ თავიანთ მოთხოვნებზე;

2) თავისუფლად შეკრიბონ მომავალი რწმუნებულთა საბჭო;

3) თავისუფლად ისარგებლონ თავიანთი კავშირების დახმარებით;

4) თავისუფლად ამოირჩიონ თათბირის გახსნის დრო“.

(სტატია — „თათბირი და მუშები“ — გაზეთი „ბაკინსკი პროლეტარი“ № 5).

ეს ტაქტიკა ბოლშევიკებმა ბრძოლით გაატარეს იმ მენშვიკური ხაზის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა თათბირს უგარანტიებოდ, „აუცილებლად მოსაწვევ თათბირს“, აგრეთვე იმ ესერული და დაშნაკური გეზის წინააღმდეგ ბრძოლით, რომელიც ითვალისწინებდა „აუცილებლად გამოსაცხადებელ ბოიკოტს“.

ამ ბრძოლის შედეგად ბაქოს მუშათა დიდი უმრავლესობა ბოლშევიკებს მიემხრო. 35 ათას გამოკითხული მუშიდან ესერებისა და დაშნაკების ტაქტიკას (აუცილებელი ბოიკოტი) ხმა მისცა მხოლოდ 8.000 კაცმა, მენშევიკების ტაქტიკას (აუცილებელი თათბირი) — 8.000 კაცმა, ხოლო ბოლშევიკების ტაქტიკას (თათბირი გარანტიებით) — 19.000 კაცმა.

ბოლშევიკთა ამ დიდი გამარჯვების შემდეგ 1907 წლის დამლევს დაიწყო სარეწაოებისა და ქარხნების რწმუნებულთა კრებები, სადაც მუშავდებოდა მოთხოვნები ნავთის მრეწველთათვის წარსადგენად. არჩეულთა დიდი უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზე იყო. ბოლშევიკი მუშის ამხ. ტრონოვის თავმჯდომარეობით, იმ დროს, როცა რუსეთში რეაქცია თარეშობდა, ბაქოში მიმდინარეობდა მუშათა პარლამენტის სხდომები, სადაც ბოლშევიკებმა, რომლებიც მუშათა მოთხოვნებს ადგენდნენ, ფართოდ გააჩაღეს თავისი პროგრამა-მინიმუმის პროპაგანდა.

მუშათა მოთხოვნებით შეშინებულმა მეფის ხელისუფლებამ და ნავთის მრეწველებმა ჩაშალეს თათბირის მოწვევა, რითაც [illegible] გამოუცხადეს მენშევიკების, ესერების და დაშნაკების [illegible] მენშევიკების ტაქტიკა, ისე როგორც ყოველთვის, ერთადერთი სწორი ტაქტიკა გამოდგა.

1908 წლის იანვარსა და თებერვალში ბაქოს კომიტეტი, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, აწყობს მთელ რიგ დიდ გაფიცვებს, რომლებშიაც წითელ ზოლად არის გავლებული მუშათა გადასვლა წვრილბურჟუაზიული მოთხოვნებიდან (საჩუქრები და სხვ.) პროლეტარულ მოთხოვნებზე. ბოლშევიკთა მუყაითი და შეუპოვარი მუშაობის შედეგად, სარეწაოთა მუშების პასიურობა წარსულს ჩაბარდა, გაფიცვებს ნობელის, ადამოვების, მირზოევის და სხვ. სარეწაოებში ორგანიზებული და საბრძოლო პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. **თავდაცვითი ნაწილობრივი გაფიცვები გადაიქცა პროლეტარიატის შეკავშირების მნიშვნელოვან ფაქტორად.**

ბაქოში მუშაობის დროს ამხ. სტალინი **არა ერთხელ** დააპატიმრეს **და** გადაასახლეს. მეფის ოხრანკა სასტიკად სდევნიდა ამხ. სტალინს. 1908 წლის მარტში ამხ. სტალინი დააპატიმრეს. პოლიციის მრავალრიცხოვანი მასალებიდან ამხ. სტალინის მუშაობის შესახებ მოვიყვან რამდენიმე ამონაწერს ჟანდარმთა სამმართველოს დოკუმენტებიდან.

პირველი:

„თანახმად პოლიციის დეპარტამენტის ა.-წ. 30 სექტემბრის № 136706 წინადადებისა, კავკასიის რაიონული დაცვის განყოფილება მოგახსენებთ, რომ, როგორც ბაქოს დაცვის განყოფილების უფროსი იუწყება, ციმბირიდან გამოქცეული „სოსო“, ორგანიზაციაში მეტსახელად „კობა“, როგორც კვლევა-ძიებით გამოირკვა, არის ქალაქ ტფილისის მცხოვრები ოჰანეზ ვართანისძე ტოტომიანცი (**სიცილი დარბაზში**), რომლის სახელზედაც მას აქვს პასპორტი, გაცემული ტფილისის პოლიცმეისტერის მიერ ა.-წ. 12 მაისს № 982 ერთი წლის ვადით...

დასახელებულ პირთაგან „ტოტომიანცი“ — „კობა“ გაწეული მეთვალყურეობის თანახმად (მეტსახელად „მოლოჩნი“) სათავეში უდგას რ. ს.-დ. მ. პ. ბაქოს ორგანიზაციას, ორი დანარჩენი იმავე ორგანიზაციის ბიბი-ეიბათის რაიონის წევრები არიან. მათზე დაწესებულია მუდმივი აგენტურული მეთვალყურეობა, ზოგჯერ გარეგნულიც და ყველა ისინი ლიკვიდირებულ იქნებიან აღნიშნულ ორგანიზაციასთან ერთად, რაც უკვე მზადდება“.

(ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს 1909 წლის 24 ოქტომბრის № 13702 მოხსენებიდან. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთიანი პარტარქივის მასალები, საქმე № 430).

მეორე:

„ჯულაშვილი არის რ. ს.-დ. მ. პ. ბაქოს კომიტეტის წევრი, ორგანიზაციაში „კობას“ სახელით ცნობილი... მიუხედავად ყოველგვარი ადმინისტრატიული ხასიათის სასჯელისა, იგი დაჟინებით ღებულობს მონაწილეობას რევოლუციური პარტიების მუშაობაში, რომლებშიაც **მას მუდამ მეტად თვალსაჩინო მდგომარეობა ეჭირა,** იგი ორჯერ გამოიქცა ადმინისტრატიული გადასახლებიდან, რის გამო მას ერთხელაც არ მოუხდია მასზე დადებული ადმინისტრატიული სასჯელი; ამიტომ ჩემის აზრით, საჭიროა მივიღოთ სასჯელის უმაღლესი ზომა — გადასახლება ციმბირის შორეულ ადგილებში **ხუთი** წლით.

(როტმისტრ გალიმბატოვსკის მოხსენებიდან იოსებ ბესარიონის-ძე ჯულაშვილის დაპატიმრების შესახებ, 24 მარტი 1910 წ. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთიანი პარტარქივის მასალები, საქმე № 430).

მესამე:

„1910 წლის 24 მარტს როტმისტრი მარტინოვი იტყობინება, რომ დააპატიმრეს „ორგანიზაციაში „კობას“ სახელით ცნობილი, რ. ს.-დ. მ. პ. ბაქოს კომიტეტის წევრი, რომელიც ყველაზე აქტიური პარტიული მუშაკი იყო და რომელიც ხელმძღვანელ როლს ასრულებს“.

(აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთიანი პარტარქივი, საქმე № 430).

1908 წლის 25 მარტიდან სექტემბრის დამლევამდე ამხ. სტალინი ბაქოს საპატიმროში იჯდა. ამხანაგი სტალინი ციხიდან ახერხებს კავშირის დამყარებას ბაქოს კომიტეტთან და ხელმძღვანელობას უწევს მის მუშაობას, ციხიდანვე ხელმძღვანელობს იგი გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“.

ამხ. პ. საყვარელიძე თავის მოგონებებში ამხ. სტალინის მუშაობის ამ პერიოდის შესახებ ამბობს:

„განსაკუთრებით აღსანიშნავია სტალინის ყოფნა ბაქოს (ბაილოვის) ციხეში. მის გარშემო ერთიანდებოდენ ციხის ყველა ბოლშევიკები...

პოლიტიკურ კომუნაში თითქმის პერმანენტულად იმართებოდა სადისკუსიო კრებები, სადაც ირჩეოდა ყოველგვარი პრინციპიალური საკითხები რევოლუციასა, დემოკრატიასა და სოციალიზმთან დაკავშირებით. სადისკუსიო კრებები მეტნაწილად იმართებოდა ბოლშევიკების თაოსნობით. სტალინი ხშირად გამოდიოდა ამ კრებებზე ბოლშევიკების ფრაქციის სახელით ხან მომხსენებლად და ხან ოპონენტად... ამხ. სტალინს და მის ამხანაგებს ციხიდან უხდე-

ბოდათ ორგანიზაციის მუშაობის ხელმძღვანელობა. ბოლშევიკურ ფრაქციას წესიერი ურთიერთობა ჰქონდა [illegible] ბაქოს ორგანიზაციასთან, საიდანაც ღებულობდა [illegible] ინფორმაციას მიმდინარე მუშაობის შესახებ და ამის მიხედვით იძლეოდა რჩევებსა და მითითებებს... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი ციხიდან ხელმძღვანელობდა ბაქოს ორგანიზაციის ორგანოს — „ბაკინსკი რაბოჩის“ გამოცემას. იყო შემთხვევა, როცა სარედაქციო მასალა მთლიანად ბაილოვის ციხეში დამზადდა — ეს იყო „ბაკინსკი რაბოჩის“ მეორე ნომერი“.

(ვ. საყვარელიძის მოგონებებიდან).

1908 წლის შემოდგომაზე ამხ. სტალინი ბაქოდან გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში, სოლვიჩეგოდსკში, საიდანაც გამოიქცა 1909 წლის ზაფხულში, დაბრუნდა ბაქოში და კვლავ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შემდგომ განმტკიცებას. ამხ. სტალინი სისტემატურად გამოდის რაიონულ და სარაიონთაშორისო პარტიულ კრებებზე, ხელმძღვანელობას უწევს გაფიცვების მომზადებას და ჩატარებას. იგი შემდგომ დაუნდობელ ბრძოლას აჩაღებს მენშევიკების, ესერების, დაშნაკების და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების მხილებისა და განადგურებისათვის.

1909 — 1910 წლებში ამხ. სტალინი გადაჭრით ამხელს მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ საერობო ტაქტიკას.

გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 1910 წლის 13 თებერვლის 11 ნომერში დაბეჭდილია ამხ. სტალინის სტატია „წერილი კავკასიიდან“, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ პროექტირებული სარეწაო თვითმართველობა იქნება „შრომისა და კაპიტალის სასტიკ შეტაკებათა ასპარეზი“ და რომ ბაქოს კომიტეტმა გადასწყვიტა:

„...გამოიყენოს პროექტირებული თვითმართველობა იმ აზრით, რომ მიიღოს მასში მონაწილეობა მუშების საერთო ეკონომიურ საჭიროებათა აგიტაციისა და უკანასკნელთა ორგანიზაციის გაძლიერების მიზნით“.

(„წერილები კავკასიიდან“, გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, № 11, 1910 წ. 13 თებერვალი).

ბოლშევიკური ორგანიზაცია თანხმდებოდა სარეწაო თვითმართველობებში მონაწილეობის მიღებაზე და მოითხოვდა:

„...მუშათა ხმების თანაწორ რაოდენობას თვითმართველობაში; ბოლშევიკური ორგანიზაცია თანმხდებოდა სარეწაო თვითმართველობის შიგნით ძალა ექნება იმდენად, რამდენადაც მას ზურგს გაუმაგრებს ბრძოლა თვითმართველობის გარეშე და რამდენადაც იგი

სამსახურს გაუწევს თვითმართველობის გარეშე ბრძოლის ინტერესებს".

(„წერილები კავკასიიდან", გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", № 11, 1910 წ. 13 თებერვალი).

თუ რას ნიშნავს თვითმართველობაში მონაწილეობის დაქვემდებარება თვითმართველობის გარეშე ბრძოლისათვის — სავსებით ნათელი ხდება, როცა ამხ. სტალინი ამბობს:

„...მიუთითებს რა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო ხმის მიცემაზე, როგორც ადგილობრივი თვითმართველობის თავისუფალი განვითარებისა და არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა თავისუფალი გამოხატულების აუცილებელ პირობაზე, ბაქოს კომიტეტი ხაზს უსვამს მეფის ხელისუფლების დამხობისა და საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის აუცილებლობას, როგორც წინასწარ პირობას თანმიმდევრობითი დემოკრატიული ადგილობრივი თვითმართველობის შესამქნელად".

(„წერილები კავკასიიდან", გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", № 11. 1910 წ. 13 თებერვალი).

იმავე სტატიაში „წერილი კავკასიიდან", რომელშიაც დახასიათებულია პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობა, ამხ. სტალინი აყენებს სრულიად რუსეთის პარტიული გაზეთის რუსეთში გამოცემის ორგანიზაციის საკითხს. როგორც ცნობილია, ამხ. სტალინის ამ წინადადებამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა და ამ წერილის გამოქვეყნებიდან ცხრა თვის შემდეგ გამოვიდა გაზეთ „ზვეზდას" პირველი ნომერი (1910 წლის 16 დეკემბერს), რომელიც ჯერ წარმოადგენდა ბოლშევიკებისა და მენშევიკ-პარტიელების გაერთიანებულ ორგანოს, ხოლო შემდეგ, 1911 წლის შემოდგომიდან, მთლიანად გახდა ბოლშევიკური ორგანო.

ამხ. სტალინი, იბრძოდა რა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, დაუღალავად ააშკარავებდა ქართველი მენშევიკების გამცემლობას და მათი მაგალითის მიხედვით ამხელდა სრულიად-რუსეთის ლიკვიდატორებს.

თავის ისტორიულ სტატიებში — „წერილები კავკასიიდან" (1910 წ.) ამხ. სტალინი გამანადგურებელ ლახვარსა სცემს ტფილისელ მენშევიკ-ლიკვიდატორებს, ამხელს მათ პროგრამულ და ტაქტიკურ ლიკვიდატორობაში და ნიღაბსა ჰგლეჯს ლიკვიდატორ ნ. ჟორდანიას, ქართველ მენშევიკთა ლიდერს:

„ჩვენი ავტორის *) პროგრამული ვარჯიშობა, რომელიც ტფილისის მენშევიკებმა „ახალ" ფრაქციულ მანიფესტად მიიღეს, წარ-

*) მხედველობაში ყავს ნ. ჟორდანია, რომლის სტატიებსაც ამხ. სტალინი აკრიტიკებს თავის „წერილებში კავკასიიდან". ლ. ბ.

მოადგენს პარტიის პროგრამა-მინიმუმის ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს ჩვენი პროგრამის შეგუებას კადეტების პროგრამასთან".

(გაზ. „სოციალ-დემოკრატის" დამატება, სადისკუსიო ფურცელი № 2, 1910 წ. 24 ივნისი).

და შემდეგ ამხ. სტალინი სწერდა:

„ახლა ყველაფერი ნათელია. რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა ზომიერი კადეტური ბურჟუაზია ზომიერი კონსტიტუციით. მაგრამ მარტო მას არ შესწევს გამარჯვების მოპოების უნარი. მას ესაჭიროება პროლეტარიატის დახმარება. პროლეტარიატი მას უნდა დაეხმაროს, ვინაიდან მას არ უნდა ჰქონდეს არავის, თვით გლეხობის იმედიც კი, გარდა ზომიერი ბურჟუაზიისა. მაგრამ ამისათვის მან უნდა უკუაგდოს თავისი შეურიგებლობა, ხელი გაუწოდოს ზომიერ ბურჟუაზიას და აწარმოოს საერთო ბრძოლა ზომიერი კადეტური კონსტიტუციისათვის. დანარჩენი თავისთავად მოხდება. პარტია, რომელიც რევოლუციის გამარჯვების საწინდარს ხედავს მუშათა და გლეხთა ბრძოლაში ზომიერი ბურჟუაზიისა და მემამულეთა წინააღმდეგ, თურმე სცდება.

ერთი სიტყვით, ნაცვლად გლეხობის წამყვანი პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისა — ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატის თვალისამხვევი კადეტური ბურჟუაზიისა.

ასეთია ტფილისელი მენშევიკების „ახალი" ტაქტიკა.

ჩვენი აზრით, საჭიროც არ არის მთელი ამ უგვანო ლიბერალური ჩმახვის გარჩევა.

მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ ტფილისელი მენშევიკების „ახალი" ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციის მიერ დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას, — ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს პროლეტარიატის გადაქცევას ზომიერი კადეტური ბურჟუაზიის მაჩანჩალად".

(გაზ. „სოციალ-დემოკრატის" დამატება, სადისკუსიო ფურცელი № 2, 1910 წ. 24 ივნისი).

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები უხეშ შეცდომას სჩადიან, როდესაც ავულგარებენ და ამარტივებენ საქართველოს მენშევიკებთან ბრძოლის საკითხს და გულუბრყვილოდ აპატარავებენ მენშევიკების როლსა და ხვედრითს წონას საქართველოში.

აი, მაგალითად, ამხ. ფ. მახარაძე სწერს:

„მენშევიზმი საქართველოში ხელოვნურად ჩაისახა და არათუ საბჭოების დროს, არამედ თვითმპყრობელობის დროსაც მას მტკიცე ნიადაგი არ ჰქონია... მენშევიკური პარტია ჩვენში სრულიად ხელოვნურად შეიქმნა".

(გაზეთი „რაბოჩაია პრავდა", № 130, 1923 წ.).

ამხ. ფილიპეს ეს მტკიცება სავსებით ეწინააღმდეგება ისტორიას და იმას, რასაც თავის დროზე ამხანაგი სტალინი „წერილებში კავკასიიდან“ წერდა მენშევიკების ხვედრითი წონის შესახებ საქართველოში (ტფილისში).

„მრეწველობის განვითარების მხრით ტფილისი სავსებით განსხვავდება ბაქოსაგან. თუ ბაქო საინტერესოა, როგორც ნავთის მრეწველობის ცენტრი, ტფილისი შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ როგორც კავკასიის ადმინისტრატიულ-სავაჭრო და „კულტურული“ ცენტრი. ტფილისში სულ 20.000-მდე სამრეწველო მუშაა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცნი და პოლიციელნი. ერთადერთი მსხვილი საწარმოა — რკინის გზის სახელოსნოები (3.500 მუშამდე). დანარჩენ საწარმოებში 200, 100, მეტწილად კი 40 — 20 კაცია. სამაგიეროდ ტფილისი პირდაპირ სავსეა სავაჭრო დაწესებულებებითა და მათთან დაკავშირებული „სავაჭრო პროლეტარიატით“. რუსეთის მუდამ ცოცხალ და მოუსვენარ მსხვილ ბაზრებთან სუსტი დამოკიდებულება ტფილისს დახავსებულობის ბეჭედს ასვამს. ის გარემოება კი, რომ ტფილისში ადგილი არა აქვს მკაცრ კლასობრივ შეტაკებებს, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ მსხვილი სამრეწველო ცენტრებისათვის, მას ჭაობს ამსგავსებს, რასაც სჭირდება გარედან ამოძრავება. სწორედ ამით აიხსნება, რომ მენშევიზმმა, ნამდვილმა „მემარჯვენე“ მენშევიზმმა ასე დიდხანს გასძლო ტფილისში. სულ სხვაა ბაქო, სადაც ბოლშევიკების მკვეთრი კლასობრივი პოზიცია ცოცხალ გამოხმაურებას ჰპოვებს მუშათა შორის.

ის, რაც ბაქოში „თავისთავად ცხადია“, ტფილისში ცხადი ხდება მხოლოდ ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად, — და დიდი სიძნელით ინელებენ ბოლშევიკების შეურიგებელ სიტყვებს.

სწორედ ამით აიხსნება ტფილისის ბოლშევიკების „განსაკუთრებული მიდრეკილება“ დისკუსიებისადმი და პირიქით, მენშევიკების სურვილი, რამდენადაც შეიძლება „თავი დააღწიონ“ დისკუსიებს. მაგრამ ნათქვამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მუშაობა ტფილისის პროლეტარიატის სოციალისტური განათლებისათვის ძალიან ხშირად და აუცილებლად მიიღებს მენშევიზმთან იდეური ბრძოლის ფორმას“.

(გაზ. „სოციალ-დემოკრატის“ დამატება — სადისკუსიო ფურცელი № 2, 1910 წ. 24 ივნისი).

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიზმთან, როგორც მუშათა მოძრაობაში ბოლშევიზმის მთავარ მტერთან. ამხ. სტალინი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ის-

ტორიის ყველა ეტაპზე ლენინურად აცამტვერებდა და ანადგურებდა „ლეგალურ მარქსისტებს", ეკონომისტებსა და მენშევიკ-ლიკვიდატორებს, შავბნელი რეაქციის ეპოქაში, ისევე როგორც რევოლუციური აღმავლობის წლებში, ორ ფრონტზე გაჩაღებულ უსასტიკეს ბრძოლაში, მენშევიკების და ესერების წინააღმდეგ, იგი რაზმავდა და აკავშირებდა ბოლშევიკურ პარტიულ ორგანიზაციებს.

ბაქოში თავისი მუშაობის დროს, რეაქციის პერიოდში. ამხ. სტალინმა ბაქო ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრედ აქცია.

პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ამხ. სტალინი ხელმძღვანელობდა, „შეუწყვეტლივ არსებობდა კონტრრევოლუციის დროს" *) და მიუხედავად რეპრესიებისა, რეაქციამ ვერ მოახერხა გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა მისთვის. ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოს ორგანიზაცია „მუშათა მოძრაობის ყველა გამოვლინებაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა, იგი ბაქოში მასობრივი პარტია იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით" *).

ლიკვიდატორებთან, ტროცკისტებთან და ბოლშევიზმის მტრულ სხვა ჯგუფებსა და მიმდინარეობებთან ბრძოლაში ჩაატარეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა უდიდესი მუშაობა ბოლშევიკთა სრულიად-რუსეთის პრაღის კონფერენციის მოსაწვევად.

როგორც ცნობილია, ბოლშევიზმის ისტორიაში ბოლშევიკთა პრაღის კონფერენცია წარმოადგენს შეტრიალების პუნქტს, ვინაიდან მან გააფორმა მენშევიკებთან გათიშვა, განდევნა პარტიიდან ლიკვიდატორ-მენშევიკები და საბაბი მისცა ბოლშევიკური პარტიის არსებობას.

ბაქოს და ტფილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ამ კონფერენციის მოწვევის მომზადებაში დიდი როლი ითამაშეს.

ლენინი სწერდა: **რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რომლის სათავეში ამხ. ორჯონიკიძე იდგა და რომელმაც პრაღის კონფერენციის მოწვევა უზრუნველჰყო, „კიევის, ეკატერინოსლავის, ტფილისის, ბაქოს და ეკატერინბურგის ორგანიზაციების საქმე" იყოო.** (იხ. ლენინი, ტომი XV, გვ. 429. ხაზგასმა ჩვენია. **ლ. ბ.**).

ამხ. სტალინი 1911 წელს ჩამოდიოდა ბაქოსა და ტფილისში, რათა მოეწყო ბრძოლა ბოლშევიკთა პრაღის კონფერენციის მოსაწვევად.

პრაღის კონფერენციის შემდეგ ამხ. სტალინი კვლავ ჩამოდის ამიერკავკასიაში (ბაქოსა და ტფილისში), აწყობს ბრძოლას პრაღის კონფერენ-

*) ს. ორჯონიკიძე. „ანგარიში რუსეთის საერთო პარტიული კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისიის სხდომების შესახებ". „სოციალ-დემოკრატი", № 25, 8 (21) დეკ. 1911 წ.

ციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის და წარმართავს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ტფილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ (ანუ „ტფილისის ბოლშევიკურმა ჯგუფმა", როგორც მაშინ უწოდებდნენ) 1912 წლის [illegible] მოხსენება პრაღის კონფერენციის მუშაობაზე და მოიწონა მისი გადაწყვეტილებანი.

ტფილისის ბოლშევიკური ჯგუფის რეზოლუციაში ნათქვამი იყო:

„აღიარებს რა,

1) რომ ჩვენს ქვეყანაში ამ უკანასკნელ წლებში პარტიულ ორგანიზაციათა დაქსაქსვისა და დეზორგანიზებულობის დროს შემდგარმა კონფერენციამ, რამდენადაც შესაძლებელი იყო შემოიკრიბა ყველა მოქმედუნარიანი პარტიული უჯრედი და ამით საფუძველი ჩაუყარა ყველა პარტიული ორგანიზაციის გაერთიანებასა და დარაზმვას;

2) რომ რუსეთის ცენტრის (ც. კ.) შექმნით კონფერენცია დაადგა პარტიის გაერთიანების სწორ გზას, ვინაიდან ასეთი პრაქტიკული ხელმძღვანელი ცენტრის უყოლობა დამღუპველ გავლენას ახდენდა ს.-დ. მუშაობაზე;

3) რომ კონფერენციის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, როგორც ს.-დ. პროლეტარიატის პოლიტიკური ხაზის მხრივ, ისე ორგანიზაციული მშენებლობის მხრივ, სავსებით სწორად სახავს პროლეტარიატის სამოქმედო ხაზს, —

რ. ს.-დ. მ. პ. ტფილისის ჯგუფი სავსებით უერთდება მათ და დახმარებას გაუწევს ცენტრალურ კომიტეტს მის შემოქმედებითს მუშაობაში".

(„სოციალ-დემოკრატი", № 26, 1912 წ. 8 მაისი (25 აპრილი), გვ. 9).

1912 წლის აპრილს ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია გამოვიდა რსდმპ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ, რომელსაც მენშევიკ-ლიკვიდატორები ხელმძღვანელობდნენ; ამიერ-კავკასიის კონფერენცია, რომელსაც იწვევდა საოლქო კომიტეტი თავისი ინიციატივით, ლიკვიდატორულად გამოაცხადა და მოუწოდა ს.-დ. ორგანიზაციებს — ბოიკოტით შეხვედროდნენ მას. როგორც ცნობილია, მენშევიკთა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მიზნად ისახავდა პრაღის ბოლშევიკური კონფერენციის გადაწყვეტილებათა ჩაშლას.

ბოლშევიკური ჯგუფის რეზოლუციაში (1913 წ. აპრილი) ნათქვამი იყო:

„...იანვრის *) თათბირის მიერ მოწვეული კონფერენცია ჩვენ ლიკვიდატორულად და დამფუძნებლად მიგვაჩნია, ვინაიდან მასში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან აგრეთვე საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც ლეგალურად მუშაობენ და თვითნებურად აცხადებენ თავის სოციალ-დემოკრატობას. ეს აშკარად ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზედაც ხდებოდა ყველა წინა საერთო-პარტიული ყრილობისა და კონფერენციის მოწვევა. ამ კონფერენციის მოწვევისათვის მუშაობას დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიაში, რომელიც ეს-ეს არის შეუდგა დარაზმვას ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, ამიტომ ჩვენ გადაჭრით უარს ვაცხადებთ ამ კონფერენციაში მონაწილეობაზე და მოვუწოდებთ ყველა ს.-დ. ორგანიზაციას ბოიკოტი გამოუცხადონ მას“.

(საქ. ც. არქ., ფ. № 7, საქმე № 2467, 1913 წ. ფურც. 48—49, „სტასოვას და სხვათა საქმე“).

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკთა რიგებში 1912 და 1913 წლებში ერთგვარი გავრცელება ჰპოვა მენშევიკ-ლიკვიდატორებისადმი შემარიგებლობამ და მენშევიკებთან გაერთიანების და თანამშრომლობის ოპორტუნისტულმა პრაქტიკამ.

პრაღის კონფერენციის შემდეგ, რომელმაც პარტიიდან განდევნა ლიკვიდატორები და სამუდამოდ ბოლო მოუღო მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანების ყოველგვარ ნაშთს, ამიერ-კავკასიის ზოგიერთმა ბოლშევიკმა დაარღვია ეს ხაზი და მენშევიკ-ლიკვიდატორებთან თანამშრომლობის გზას დაადგა.

ასე, მაგალითად, 1912—13 წლ. ქუთაისში ამხ-ბი შალვა ელიავა, თენგიზ ჟღენტი, მ. ოკუჯავა, გ. კუპაიძე მენშევიკებთან ერთად მუშაობდნენ, მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციაში შედიოდნენ, მენშევიკურ გაზეთ „მერცხალში“ თანამშრომლობდნენ.

აი რას მოგვითხრობს ამაზე თენგიზ ჟღენტი:

„1912 წლის დამლევს ქუთაისში გამოიცა ლეგალური გაზეთი „მერცხალი“ (მენშევიკების ორგანო **ლ. ბ.**). შედგენილ იქნა ქუთაისის კომიტეტი, და კავკასიის საოლქო კომიტეტმა განაგრძო არსებობა. ქუთაისში იმ დროს ცალკე ბოლშევიკური ორგანიზაცია არ არსებობდა და იქ თავმოყრილი ბოლშევიკები შედიოდენ საერთო კომიტეტში.

ვინ იყვნენ ამ დროს ქუთაისში პარტმუშაკებიდან? გაზეთ „მერცხალში“ მუშაობდენ სხვადასხვა დროს: მენშევიკებიდან — დ. შარაშიძე, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, რ. არსენიძე, ილია ბახტაძე,

*) „ნაციონალების“ თათბირი 1912 წ. იანვარში, რომელმაც ლიკვიდატორთა აგვისტოს კონფერენცია მოამზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ურატაძე, ვ. ბაქრაძე, ილარიონ რუხაძე და სხვები. ბოლშევიკებიდან: რაჟდენ კალაძე, შ. ელიავა, ვარლამ ხუროძე (მალაქიშვილი), ამ სტრიქონების ავტორი და სხვები.

გაზეთს გარეთ — მენშევიკებიდან: გ. გიორგაძე, ნასყიდ კვლაძე, ევგენი გეგეჭკორი, კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი მუშა მელიტონ ბერიშვილი, ა. გაბრიჩიძე (პლებეიშვილი), ნოქარი გიორგი სვანიძე, ნოქარი გიორგი მგელაძე და სხვები. ბოლშევიკებიდან: ბ. ბიბინეიშვილი, გ. კუჭაიძე, მ. ოკუჯავა და სხვები".

(თენგიზ ჟღენტის წერილი. „ზოგიერთი ეპიზოდები პარტიულ მუშაობიდან 1905 წლის შემდეგ", ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" № 2 (19), 1928 წ., გვ. 132 — 133).

ზოგიერთი ამხანაგი (თ. ჟღენტი, ბიბინეიშვილი და სხვ.) თავიანთ სტატიებსა და მოგონებებში დუმილით გვერდს უვლიან ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლას ლიკვიდატორ-მენშევიკების წინააღმდეგ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებისა და, უწინარეს ყოვლისა, ბაქოს და ტფილისის ორგანიზაციების ბრძოლას ამხ. სტალინის, ორჯონიკიძის და სპანდარიანის ხელმძღვანელობით, პრაღის კონფერენციის მომზადებისა და მის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. ისინი ლიკვიდატორ-მენშევიკთა საბოლოო განადგურებისათვის ბრძოლის ადგილს აჭერინებენ შემარიგებელ-ბოლშევიკთა მცირე ჯგუფის (რომელშიაც ოვითონ ისინი შედიოდნენ) ზავსა და ერთიან ფრონტს მენშევიკებთან.

მაგალითად, ამხ. თ. ჟღენტი სწერს:

„მაშინდელმა საერთაშორისო და შინაურმა მდგომარეობამ თითქმის შეანელა შინაპარტიული ბრძოლის მწვავე მხარეები, მეტადრე საქართველოში. ორივე ფრაქცია იყენებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა ლეგალურ საშუალებებს: გაზეთს, სახელმწიფო დუმას, ქალაქის საბჭოებს, მუშათა კლუბებს, ლიტერატურულ საზოგადოებებს. ესე იგი, არალეგალური ორგანიზაციები სავსებით იყენებდენ ლეგალურ საშუალებებს... თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში და პარტიულ მუშაობაში იმ დროს საქართველოში „საერთო ფრონტის" მსგავსი რაღაც არსებობდა".

(იხ. თ. ჟღენტის წერილი „ზოგიერთი ეპიზოდები პარტიულ მუშაობიდან 1905 წლის შემდეგ", ჟურ. „რევოლუციის მატიანე" № 2, (19) 1928 წ., გვ. 132).

განა ცხადი არ არის, რომ ამხ. ჟღენტი, მეტი რომ არა ვთქვათ, ცილს სწამებს საქართველოს ბოლშევიკებს.

სერიოზული შეცდომები დაუშვა 1913 წელს ამხ. ფ. მახარაძემაც, რომელიც მაშინ ჟურნალ „ჩვენს წყაროს" ხელმძღვანელობდა (ჟურნალი გამოდიოდა ქალაქ ბაქოში).

მახარაძემდის ამ ჟურნალის რედაქტორი ნოე ჟორდანია იყო.

თავის სტატიებში ნ. ჟორდანია აყენებდა და ჰქადაგებდა მენშევიზმთან ბოლშევიზმის სინთეზის საჭიროებას მენშევიზმის პრინციპიალურ საფუძვლებზე, ე. ი. არსებითად აყენებდა ბოლშევიზმის ლიკვიდაციის ლოზუნგს.

აი რას სწერდა იგი მაშინ:

„ეჭვს გარეშეა მხოლოდ ის, რომ ეს ორი მიმდინარეობა ორი ფრთაა ერთი და იგივე მოძრაობის, ორი მხარეა ერთი და იგივე მოვლენის; ორივე, ერთი მეორის დამატება, ერთი მეორის გაგრძელებაა, ე. ი. ორივე კანონიერი შვილია ერთი და იგივე მშობელის".

(იხ. ჟურ. „წყარო" № 9, გვ. 2, 1913 წ.).

ნ. ჟორდანიას მუშათა კლასის პარტიის დადებით ნიმუშად გამოჰყავდა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები:

„ჩვენ ვხედავთ დასავლეთ ევროპაში მუშათა პარტიას ღრმა განხეთქილებით და მრავალ ნაირი მიმდინარეობით. არიან ისეთებიც, რომელნიც ერთიანათ უარყოფენ მარქსიზმის ძირითად დებულებებს. მიუხედავად ამისა ისინი ერთ პარტიაშია, ერთათ მიდიან და იბრძვიან. ჩვენში კი თავიდანვე, როცა განხეთქილება ჯერ კიდევ ზერელე იყო, რასკოლი და განაწილება მიზნად გადაიქცა".

(ჟურ. „წყარო" № 9, გვ. 3, 1913 წ.).

ჟორდანია თავხედურად და ცინიკურად გამოდიოდა მარქსის წინააღმდეგ.

იგი სწერდა:

„როცა მარქსმა მოინდომა ლონდონიდან გერმანიაში პარტიულ საქმეების თავისებურად მოწყობა და თავის მოწაფეთ ლიბკნეხტს და ბებელს მოსწერა — ნუ შეუერთდებით ლასალიანელთო, ეს წერილი მოწაფეებმა დამალეს, შეერთება მოახდინეს და მარქსს მისწერეს — ჩვენ ადგილობრივ უკეთ ვხედავთ ერთობის საჭიროებასო. და თუ გენიოსი მოაზრე, ადგილობრივ საქმეებს დაშორებული, შეცდება, რა უნდა ითქვას სხვებზე, რომელნიც შორიდან დირექტივებს გზავნიან და რომის პაპასავით უცოდველობის მანტიაში ეხვევიან".

(ჟურ. „წყარო" № 9, გვ. 3, 1913 წ.).

მე-12 ნომრიდან ჟურნალ „წყაროს" რედაქტორი ხდება ამხ. ფ. მახარაძე.

ამხ. ფ. მახარაძემ, იმის ნაცვლად, რომ ამოეფხვრა ჟურნალში მენშევიკური სული და დაუნდობელი ბრძოლა გაეჩაღებინა ჟორდანიას წინააღმდეგ, საშუალება მისცა მას ეთანამშრომლა ჟურნალში და განეგრძო თავის მენშევიკურ შეხედულებათა პროპაგანდა.

ნ. ჟორდანია ჟურნალ „ჩვენი წყაროს“ ფურცლებზე, რომლის რედაქტორი ფ. მახარაძე იყო, მოთავსებულ მთელ რიგ სტატიებში (სტატია „შინაური გაუგებრობა“ და სხვ.) იცავს და ჰქადაგებს აზრს, რომ რუსულ მენშევიზმს სწორი იდეოლოგია და ტაქტიკა აქვს; ბოლშევიზმს — მხოლოდ მტკიცე ორგანიზაცია, რომ რუსეთში ბოლშევიზმი და მენშევიზმი ავსებენ ერთმანეთს, რომ ამიერ-კავკასიის მენშევიზმმა, რომელსაც რუსული მენშევიზმისაგან განსხვავებით მოეპოება ორივე ღირსება — იდეურ-ტაქტიკური და ორგანიზაციული ღირსებანი, — მოახდინა ბოლშევიზმის ლიკვიდაცია:

„...ჩვენში მოხდა სინტეზი ბოლშევიზმ-მენშევიზმის ერთ და იმავე ჯგუფში და მით ბოლშევიზმი მოისპო“.

(სტატია „შინაური გაუგებრობა“, ჟურ. „ჩვენი წყარო“ № 5—15, გვ. 3, 1913 წ.).

ამხ. ფ. მახარაძემ არამც თუ წინააღმდეგობა არ გაუწია თავის ჟურნალში ნ. ჟორდანიას მენშევიკურ-ლიკვიდატორულ შეხედულებებს (ალბათ მენშევიკებთან ზავისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის), არამედ თავის სტატიებშიც თვითონ დაუშვა მთელი რიგი უხეში ოპორტუნისტული შეცდომები.

სტატიაში „შინაური უთანხმოება“ ამხ. ფ. მახარაძე შემდეგს სწერდა:

„რუსეთის სოც.-დემოკრატიამ ვერ შესძლო მტკიცე და შეურყეველი დისციპლინის შექმნა. და აი, სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ ჩვენ სოც.-დემკორატიაში არსებული განხეთქილების მთავარი მიზეზი... დისციპლინა რომ მტკიცედ ყოფილიყო ჩვენში დამყარებული, მაშინ განა შეიძლებოდა პარტიაში „ბოლშევიკების“ და „მენშევიკების“ გაჩენა და ამის კვალობაზე მისი ორ ნაწილათ დაყოფა?.. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ რუსეთის სოც.-დემ. შეთვისებული ქონებოდა მაგარი და მტკიცე პარტიული დისციპლინა, ასეთი უაზრო დაყოფა, როგორიც იყო მაშინ ბოლშევიზმი და მენშევიზმი, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. სოც.-დემოკრატია ორგანიზაციულად იქნებოდა ერთი მთლიანი პარტია, ეს სრულებით არ დაუშლიდა იმას, რომ პარტიაში ყოფილიყო განსხვავება და თუნდ უთანხმოებაც, როგორც ტაქტიკურ, ისე საორგანიზაციო კითხვების გარშემო. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ აქ გერმანიის სოც.-დემ. პარტია, რომელიც ორანიზაციულად წარმოადგენს ერთ მთელს, თუმც შიგადაშიგ ადგილი აქვს სხვადასხვა გვარ უთანხმოებას...

მასსის ინტერესები ყოველგან ერთნაირია, უთანხმოება შეიძლება აქ დროებითი იყოს, რაც მხოლოდ შეუგნებლობიდან გამომდინარეობს. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ეს უთანხმოება ჩაბერილი მაღლიდან ვიწრო ფრაქციონულ შეხედულებათა დაცვის მოსაზრე-

ბით, მაგრამ მას ნიადაგი არა აქვს. მუშათა სოც.-დემ. პარტია შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, ან შეიძლება იგი სრულებით არ იყოს. შეუძლებელია წარმოვიდგნოთ, როგორც ბოლშევიკური, ისე მენშევიკური სოც.-დემ. მუშათა პარტია. ეს პირდაპირ სისულელე იქნებოდა" (**დარბაზში მოძრაობაა**).

(სტატია „შინაური უთანხმოება", ნაწ. 2, ჟურ. „ჩვენი წყარო" № 7 — 17, გვ. 5 — 6, 1913 წ., „ძველი დასელის" ხელისმოწერით).

ნუთუ საჭიროა იმის მტკიცება, რომ პარტიის ასეთი გაგება აშკარად ეწინააღმდეგება ლენინ-სტალინის მოძღვრებას პროლეტარული პარტიის შესახებ, რომ მახარაძე, იბრძოდა რა ბოლშევიკების მენშევიკებთან გაერთიანებისათვის, განაგრძობდა კაუცკი-ტროცკის საქმეს, რომლებიც ბოლშევიკებისა და მენშევიკების შერიგების დროშით ბოლშევიზმის განადგურებას ცდილობდნენ?

ლენინის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლას ბოლშევიკური პარტიის შექმნისა, განვითარებისა და განმტკიცებისათვის ამხ. ფ. მახარაძე აცხადებდა სრულიად ზედმეტ საქმედ, რომელსაც ზიანი მოჰქონდა მუშათა რევოლუციური მოძრაობისათვის, და თვით ბოლშევიკური პარტიის არსებობას „პირდაპირ სისულელედ" სთვლიდა.

ამხ. ფ. მახარაძე, რომელსაც არ ესმოდა მენშევიზმთან კავშირის გაწყვეტისა და ნამდვილი პროლეტარული ბოლშევიკური პარტიის შექმნის უდიდესი ამოცანა, თავისი პირდაპირი მფარველობის ქვეშ იყვანდა ლიკვიდატორებს.

იმავე სტატიაში ამხ. ფ. მახარაძე სწერდა:

„აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიაში ლიკვიდატორობა და ლიკვიდატორული მიდრეკილებანი ყოველთვის სუსტი იყო, და ამ საკითხების გარშემო არ ამტყდარა გამწვავებული ბრძოლა, როგორც ეს რუსეთის ცენტრში მოხდა...

...ლიკვიდატორები ძლიერი იყვენ უწინარეს ყოვლისა პეტერბურგში, ვინაიდან იმათი მთავარი ძალები სწორედ იქ იყვენ თავმოყრილი.

...ეს კამპანია ხდებოდა თითქმის განსაკუთრებით პეტერბურგში. ამიტომ ადგილობრივ მუშებს უმეტეს შემთხვევაში არც კი ესმით ის გაცხარებული ბრძოლა ლიკვიდატორების წინააღმდეგ, რომელსაც იქ ეწეოდა ჯერ „ზვეზდა" და შემდეგ „პრავდა".

...როგორც ვიცით, ლიკვიდატორების ზღუდეს შეადგენდა ლიტერატორების ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიოდენ და ახლაც შედიან: პოტრესოვი, მარტოვი, დანი, ლევიცკი, მაევსკი, ეჟოვი და სხვ. ვინაიდან ყველა ესენი წინეთ მენშევიკების ლიდერები იყვნენ, აქედან წარმოსდგა ის გაუგებრობა, რომ ყველა მენშევიკი იმავე დროს

ლიკვიდატორიც უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, ამით აიხსნება ისიც, რომ თითქმის კავკასიის ყველა ორგანიზაციებმა ლიკვიდატორულათ მონათლეს, რაც თავის თავათ აბსურდია. ... ლიკვიდატორობა ჩვენში და ალბათ ახლაც აგრე აქვთ წარმოდგენილი. მაგრამ საქმე ასე როდი ყოფილა".

(სტატია „შინაური უთანხმოება", ნაწ. 3, ჟურ. „ჩვენი წყარო" № 8 — 18, გვ. 7).

ამგვარად ამხ. მახარაძე 1913 წელს შემარიგებელი იყო, იგი ამიერ-კავკასიის ლიკვიდატორ-მენშევიკებს და ნ. ჟორდანიას იფარავდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამხ. ფ. მახარაძე ლიკვიდატორების ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ ხედავდა პეტერბურგში, მაგრამ იგი ვერ ხედავდა, მას არ ესმოდა და ვერ აფასებდა ლიკვიდატორების ბრძოლას, ნოე ჟორდანიას ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში, ამას იგი შემარიგებლურად ეკიდებოდა და ჰფარავდა.

ამხ. სტალინმა თავის სტატიაში „წერილი კავკასიიდან" ჯერ კიდევ 1909 წელს გამოამჟღავნა ჟორდანიას და ამიერ-კავკასიის მენშევიკთა ლიკვიდატორობა. ჟორდანიას ლიკვიდატორობის შეფასებას იძლეოდა ამხ. ლენინიც.

1913 წელს ლენინი ოლმინსკის სწერდა:

„...გაქნილი დიპლომატი ანი*)... ძალიან ოსტატურ**) თამაშს ეწევა. თქვენ არ იცნობთ ანს. მე მისი დიპლომატია წლობით მაქვს შესწავლილი და ვიცი, თუ როგორ ატყუებს ამით **მთელ კავკასიას!!** ანს სურს მოგვაჩვენოს თავი, რომ იგი „ლუჩის" წინააღმდეგია***) **და ამით იხსნას** „ლუჩი"! ეს ნათელია ყველა იმათთვის, ვინც კარგად იცნობს პარტიის ისტორიას, განსაკუთრებით 1910 წლის **იანვრის** და 1912 წლის **აგვისტოს** განმავლობაში!! ანმა დატუქსა დანი წვრილმანებისათვის, და მთავარი კი დაუთმო დანს — ღია პარტიისათვის ბრძოლის ლოზუნგი****); ამით მას სურდა დაენახვებინა „თავისიანებისათვის", შეხედეთ, ჩვენც ლიკვიდატორების წინააღმდეგი ვართო. იმაზე უფრო დამღუპველი შეცდომა არა არის რა, რომ დანის ამ ანკესზე წამოეგო. თქვენ არ იცით (და ეს გასაგებიცაა), „ლუჩთან" ტროცკის, ანის, ბუნდის, ბრაუნის და სხვ. დამოკიდებულების სარჩული, — მე კი ვიცი. ისე ვერაფრით ვერ **დაეხმარები** ლიკვიდატორებს, როგორც იმით,

*) ან — ნოე ჟორდანიას ფსევდონიმია. ლ. ბ.

**) დაყოფა ყველგან ლენინისაა. ლ. ბ.

***) „ლუჩ" — ლიკვიდატორების გაზეთი იყო. ლ. ბ.

****) აქაც და შემდეგაც ხაზგასმა ჩემია. ლ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ანი ანტილიკვიდატორად აღიარო. ეს ფაქტია. ხოლო ანი — მათი ერთადერთი „სერიოზული“ ... ესეც ფაქტია...

P. S. ამბობენ, პიტერში დაჟინებით დადის ხმა, თუ ანი (ჩხენკელთან ერთად) როგორ „ართმევდა“ დანს „ლუჩს“... და არ წაურთმევია კი. მე ვფიქრობ: ართმევდა მოსაჩვენებლად და ვითომც კომპრომისით დაამთავრა, ნამდვილად კი დანს დაჰნებდა!! დანი — ეს არის მოწინააღმდეგის ცუდადდაფარული ბატარეა!! ანიც იმავე მოწინააღმდეგის ბატარეაა, მაგრამ ოსტატურად დაფარული“.

(იხ. ლენინი, ტ. XVI, გვ. 438).

ამხ. ფილიპე მახარაძის მტკიცებას კავკასიის მენშევიკთა ანტილიკვიდატორობის შესახებ შეიძლება ჰქონოდა და ჰქონდა მხოლოდ ერთი აზრი. ამხ. მახარაძე ცდილობდა გაემართლებინა თავისი თანამშრომლობა ჟორდანიასთან. მას არ ესმოდა, რომ „ისე ვერაფრით ვერ დაეხმარები ლიკვიდატორებს, როგორც იმით, რომ ანი ანტილიკვიდატორად აღიარო“ (ლენინი).

ბოლშევიკთა ზემოაღნიშნული პატარა ჯგუფის შემარიგებლობა მენშევიზმთან 1913 წელს გადაიქცა მათ სრულ ორგანიზაციულ გაერთიანებად და თანამშრომლობად მენშევიკ-ლიკვიდატორებთან.

წინააღმდეგ ლენინ-სტალინის ხაზისა, მთელმა რიგმა ბოლშევიკ-შემარიგებლებმა: შალვა ელიავამ, თენგიზ ჟღენტმა, ბარონ ბიბინეიშვილმა და სხვებმა მონაწილეობა მიიღეს მენშევიკ-ლიკვიდატორთა ამიერ-კავკასიის საოლქო კონფერენციაში 1913 წლის შემოდგომაზე.

საოლქო კომიტეტში, რომელიც ამ კონფერენციამ აირჩია, ლიკვიდატორებთან ერთად შევიდნენ ამხ. ფ. მახარაძე და შალვა ელიავა.

აი, რას მოგვითხრობს ამ ფაქტზე თენგიზ ჟღენტი:

„ეს კონფერენცია ქუთაისში შესდგა... ნოე ჟორდანია ამ კონფერენციას ვერ დაესწრო, ის ბაქოში შერჩა, რის გამო პირველი კითხვა — ნაციონალური, დღის წესრიგიდან მოხსნილ იქნა. ამ კითხვაზე ჟორდანია იყო მომხსენებელი. გაირჩა და გამოტანილი იქნა რეზოლუციები აგრარული საკითხების შესახებ. კოოპერაციის შესახებ მომხსენებელი შალვა ელიავა იყო. არჩეულ იქნა საოლქო კომიტეტი, რომელშიაც გაყვანილი იქნა ფილიპე მახარაძე. ამ კონფერენციაზე იყვენ ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, შალვა ელიავა, ევგენი გეგეჭკორი, ბარონ ბიბინეიშვილი, სევა კუხალეიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი“.

(იხ. თენგიზ ჟღენტის სტატია „ზოგიერთი ეპიზოდები პარტიულ მუშაობიდან 1905 წლის შემდეგ“, ჟურ. „რევოლუციის მატიანე“, 1928 წ. № 2 (19), გვ. 136 — 137).

ამ კონფერენციის რეზოლუციებსა და ცნობაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ნახსენებიც კი არ არის ბოლშევიკთა სრულიად-რუსეთის პრაღის კონფერენცია და ს.-დ. მ. პ-ის ახალი ცენტრალური კომიტეტი. პირიქით, კონფერენციის ცნობაში ჩვენ გვხვდება მოწოდება — შემოკრბით მენშევიკურ-ლიკვიდატორული საოლქო კომიტეტის გარშემოო.

„საოლქო კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს — შემოკრბნენ მის და ადგილობრივი ხელმძღვანელი კოლექტივების გარშემო, მათი ხელმძღვანელობით იმუშაონ ს.-დ. ორგანიზაციების განსამტკიცებლად და მათი გავლენის გასაძლიერებლად მუშათა და გლეხთა ფართო წრეში“.

(იხ. „ცნობა“ და რეზოლუციები. ამონაწერი ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს ოქმიდან. საქართველოს ცენტრარქივი, ფ. № 7, ს. № 2742, 1914 წ. გვ. 21 — 25).

კონფერენციის გადაწყვეტილებაში IV სახელმწიფო სათათბიროს შესახებ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მენშევიკური ფრაქცია აღიარებულია რუსეთის პროლეტარიატის ღირსეულ საპარლამენტო წარმომადგენლად, ხოლო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვა, ბოლშევიკების ბრძოლა სათათბიროს ფრაქციაში მენშევიკების წინააღმდეგ შეფასებულია, როგორც წრეობანას გამოხატულება:

„კონფერენცია აღიარებს, რომ IV სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია საერთოდ რუსეთის პროლეტარიატის ღირსეული საპარლამენტო წარმომადგენელი იყო და რომ მისი საქმიანობა შეეფერებოდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს.

კონფერენცია აღნიშნავს ცალკეულ შეცდომებს, როგორიცაა, მაგალითად, ხმისმიცემა იმ წინადადების გამო, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისათვის 7 საათის სამუშაო დღე აღდგენილი ყოფილიყო, და ფრაქციის საქმიანობის არასაკმაო ინტენსიობა. კონფერენციას ამის უმნიშვნელოვანეს მიზეზად მიაჩნია შინაფრაქციული ბრძოლის გამწვავება და დისციპლინის დაცემა ს.-დ. ფრაქციაში.

კონფერენციას იმედი აქვს, რომ კეთილგონიერება გაიმარჯვებს წრეობანაზე და სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მთლიანად, როგორც მთელი რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენელი, გასწევს ერთსულოვან და შეთანხმებულ მუშაობას მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიის ინტერესებისათვის“.

(იხ. „ცნობა“ და რეზოლუციები. განყოფილება „სახელმწიფო სათათბიროს შესახებ“).

კონფერენციის გადაწყვეტილებებში გლეხთა საკითხზე ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მოწოდებას, სახელმწიფო სათათბიროს აპელაციით მივმართოთო:

„...კონფერენცია ადგენს, წინადადება მიეცეთ ს.-დ. ორგანიზაციებს ყოველგვარი ლონისძიება იხმარონ გლეხთა კანონიერი ინტერესების დასაცავად. ადგილობრივ ხელისუფალთა ყველა უკანონო მოქმედება კი მათ უნდა აცნობონ ს.-დ. ფრაქციას სათათბიროში სათანადო შეკითხვის შესატანად.

...წინადადება მიეცეთ ადგილობრივ ორგანიზაციებს გააძლიერონ ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული საქმიანობა და ამ მიზნით გაავრცელონ ამ წრეში (წვრილ მიწათმფლობელთა შორის) სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა, განუმარტონ საერთოდ ს.-დემოკრატიული გამოსვლების და კერძოდ სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გამოსვლების აზრი და მნიშვნელობა და ჩააბან ხსენებული წრის წარმომადგენლები კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში სოფლად“.

(იხ. „ცნობა“ და რეზოლუციები. განყოფილება „გლეხთა შორის მუშაობის შესახებ“).

ამხ. შ. ელიავას მოხსენების გამო კოოპერაციაზე მიღებული იქნა აგრეთვე მენშევიკური რეზოლუცია:

„კონფერენციას მუშათა მოძრაობის გამოცოცხლების ახლანდელი მომენტი განსაკუთრებით ხელსაყრელად მიაჩნია სამომხმარებლო კოოპერატივების შესაქმნელად, რომელნიც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ მოხმარების საგანთა უფროდაუფრო მზარდ გაძვირებასთან ბრძოლის საქმეში. კონფერენცია ადგენს ფართო პროპაგანდა გასწიოს მათ დასანერგავად“.

(იხ. „ცნობა“ და რეზოლუციები. განყოფილება „კოოპერატივების შესახებ“).

ტიპიური მენშევიკური და ლიკვიდატორულია კონფერენციის გადაწყვეტილება პროფესიული კავშირების შესახებ:

„კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია მოეწყოს ადგილობრივ ყოველ საწარმოში, ყოველ პროფესიაში შეგნებული მუშების კომისიები პროფესიული ლიტერატურის გასავრცელებლად, წესდების პროექტის შესამუშავებლად და მისი განხილვისათვის წინასწარ კრებათა მოსაწვევად.

იმ შემთხვევაში, თუ უარი მივიღეთ 4 მაისის წესების თანახმად შემუშავებულ კავშირის რეგისტრაციაზე, კონფერენცია წინადადებას იძლევა განსაჩივრებულ იქნას სენატში ასეთი უკანონო უარი“.

(იხ. „ცნობა“ და რეზოლუციები. განყოფილება „პროფესიული კავშირების შესახებ“).

ასეთია მენშევიკ-ლიკვიდატორთა ამ კონფერენციის გადაწყვეტილებანი. დამახასიათებელია, რომ კონფერენციაზე არ იქნენ დაშვებულნი ბაქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტფილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა, ე. ი. სწორედ ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელნიც ლიკვიდატორთა წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ.

ნაციონალურ საკითხზე კონფერენციამ დაადგინა: დაიწყოს პრესაში ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიაზე დისკუსია პარტიის პროგრამის მომხრეთა და ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის ლოზუნგის მომხრეთა შორის. და ეს მას შემდეგ, რაც რ. ს.-დ. მ. პ-ის ც. კ-ის კრაკოვის თათბირმა ჯერ კიდევ 1913 წლის იანვარში დაჰგმო ნაციონალ-კულტურული ავტონომიის ლოზუნგი.

პარტიის ცენტრალურ ორგანო „სოციალ-დემოკრატში" ამიერ-კავკასიის მენშევიკთა ეს საოლქო კონფერენცია ამნაირად იყო დახასიათებული:

„საოლქო კონფერენციას დაესწრო 7 პუნქტის დელეგატი. ბაქო არ ყოფილა წარმოდგენილი. არც ტფილისის ბოლშევიკთა ჯგუფიდან დასწრებია ვინმე.

კონფერენციას დაესწრნენ წმინდა წყლის ლიკვიდატორები, მაგრამ მათ თავისი ფიზიონომია დამალეს.

ახლადარჩეულ საოლქო კომიტეტში გავიდა ერთი ბოლშევიკი და კიდევ ერთი პირი, რომელიც ძალიან მერყეობს კავკასიის მენშევიზმსა და ჩვენს პოზიციას შორის".

(„სოციალ-დემოკრატი", № 32, 1913 წ. 15 (28) დეკემბერი, გვ. 9).

ამგვარად, 1912 — 1913 წლების პერიოდში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები გააფთრებით ებრძოდნენ არა მარტო მენშევიკ-ლიკვიდატორებს, მენშევიკ-ტროცკისტებს, არამედ ბოლშევიკთა შორის მყოფ შემარიგებლებსაც, რომელნიც დაადგნენ მენშევიკებთან შემთანხმებლობისა და თანამშრომლობის გზას ტროცკის აგვისტოს ბლოკის ოპორტუნისტული პრინციპის მიხედვით (ამხ. ფ. მახარაძე, მ. ოკუჯავა, შ. ელიავა, თ. ქლენტი, ბ ბიბინეიშვილი და სხვ.).

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს ერანაკლებ გააფთრებული ბრძოლის წარმოება მოუხდათ შემარიგებლობისა და ოპორტუნისტულ გამაერთიანებელ ტენდენციათა წინააღმდეგ 17 წლის პერიოდშიც. უკვე 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკთა ტფილისის ჯგუფმა, ამხ. ფ. მახარაძის ინიციატივით, მხარი დაუჭირა მენშევიკებთან გაერთიანებას. ამხ. ფ. მახარაძე ჩვენი პარტიის თვით 1917 წლის აპრილის კონფერენციამდე იცავდა და ჰქადაგებდა მენშევიკებთან გაერთიანების აუცილებლობას. იგი ფიქრობდა, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები ერთიანი პროგრამის ნიადაგზე იდგნენ.

ამხ. მახარაძე ასე ასაბუთებდა გაერთიანების აუცილებლობას:

„მაგრამ ვიდრე ჩვენ ყველანი, ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, ერთიანი პროგრამის ნიადაგზე ვდგევართ და ერთნაირად, გვესმის ის დიდი დავალებანი, რომელთა შესრულებაც ისტორიამ მუშათა კლასს დააკისრა, ჩვენ არ უნდა გავთიშოთ ჩვენი ძალები, არამედ უნდა შეეერთდეთ და შეექმნათ ერთი მძლავრი ორგანიზაცია.

თავისთავად ცხადია, რომ ერთიანი ორგანიზაციის დროსაც არათუ შესაძლებელია, არამედ ჯანსაღი განვითარების ინტერესებისათვის უნდა არსებობდეს კიდეც **იდეური** სხვადასხვაობა და უთანხმოებანი. პირიქით, ეს იდეური უთანხმოებანი განუწყვეტლივ უნდა აცხოველებდნენ პარტიის ცხოვრებას, წინ ეწეოდნენ მას და არ გვაძლევდნენ ერთ წერტილზე შეჩერების საშუალებას“.

(იხ. ფ. მახარაძის სტატია გაზეთში „კავკაზსკი რაბოჩი“ № 14, 1917 წ. 28 მარტი).

ლენინ-სტალინი, ბოლშევიკები პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ არა მარტო ოპორტუნიზმის, არამედ მასთან ყოველგვარი შემარიგებლობის წინააღმდეგაც.

ლენინმა თავის ერთერთ წერილში შემდეგნაირად განსაზღვრა შემარიგებლობის საფრთხე:

„შემარიგებლობა და გამაერთიანებლობა უაღრესად მავნებელია მუშათა პარტიისათვის რუსეთში. იგი არის არა მარტო იდიოტიზმი, არამედ პარტიის **დაღუპვაც**. ვინაიდან **ნამდვილად** „გაერთიანება“ (ანუ შერიგება და სხვ.) ჩხეიძესთან და სკობელევთან (თავიდათავი ისინი არიან, ვინაიდან ისინი „ინტერნაციონალისტობას“ ჩემულობენ) არის „ერთიანობა“ ოკისტებთან, ხოლო მისი მეშვეობით პოტრესოვთან და კომპანიასთან, ე. ი. ნამდვილად არის **ლაქიობა** სოციალ-შოვინისტების წინაშე...

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმათი იმედი ვიქონიოთ, ვინც შეიგნო ერთიანობის იდეის მთელი სიყალბე და ამ ხალხთან (ჩხეიძე და კომპანია) გათიშვის მთელი აუცილებლობა რუსეთში“.

(იხ. ლენინის კრებული II, გვ. 278).

ამიტომ საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის უაღრესად უხეში ფალსიფიკაციაა ზოგიერთი ამხანაგის (ამხ. ფ. მახარაძე, თ. ჟღენტი და სხვ.) ცდა — გამოაცხადონ შემარიგებლობა ბოლშევიზმის „კანონიერ მიმდინარეობად“ და მენშევიკ-ლიკვიდატორთა და შემარიგებელთა წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ბრძოლის ისტორიის **ადგილი დააჭერინონ** მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ოპორტუნისტებისა და შემარიგებლების ზავისა და თანამშრომლობის ისტორიას.

ამგვარად:

1) რეაქციის წლებში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, უკან დაიხიეს უდიდესი წესრიგით, უმცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესი ზიანით რევოლუციური მოძრაობისათვის და გაიჩალეს უდიდესი რევოლუციური მუშაობა არალეგალური პარტიული ორგანიზაციის მშენებლობისა და განმტკიცებისათვის, ბურჟუაზიული თვითმპყრობელობაზე ძლევამოსილი იერიშის მომზადებისათვის, რევოლუციის გამარჯვებისათვის.

2) ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამხ. სტალინი, რეაქციის მძიმე წლებში ლენინური პარტიის ურყევი ციხე-სიმაგრე იყო. ამხ. სტალინის მიერ დანერგილმა სახელოვანმა ბოლშევიკურმა ტრადიციებმა ბაქოს პროლეტარიატი ჩააყენეს რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებში.

3) ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, რომელთაც მესაჭედ ჰყავდათ ამხ. სტალინი, რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, „შემარიგებლების“ და „შემთანხმებლების“ წინააღმდეგ. ისტორიულმა „წერილებმა კავკასიიდან“, რომლებშიც ამხ. სტალინი ნიღაბს ხდის სტოლიპინის „ნუშათა პარტიის“ იდეოლოგებსა და მშენებლებს, უდიდესი როლი ითამაშა მენშევიკთა გამოაშკარავებისა და განადგურების საქმეში (მეუხარე ტაში).

IV

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) რიგებში ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლის ისტორიისათვის (1913 — 1924 წლები)

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ნაციონალური საკითხის დარგში შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ როგორც მენშევიკებისა და ფედერალისტთა და დაშნაკთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ისე ყველა ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ თავიანთ საკუთარ რიგებში.

ამხ. სტალინმა ნაციონალური საკითხის დარგში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლა ჩაატარა ქართველ მენშევიკებთან. როგორც ცნობილია, ბოლშევიკური ლოზუნგის — „ერთა თვითგამორკვევის და დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობის უფლების“ წინააღმდეგ ქართველმა მენშევიკებმა წამოაყენეს კავკასიის ეროვნებათა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის რეაქციულ-ნაციონალისტური მოთხოვნა. ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის პროგრამა, რომელიც მენშევიკებმა ავს-

ტრიის სოციალ-დემოკრატებისა (მენშევიკების) და ბუნდისაგან იქერავეს, ნავარაუდევი იყო რუსეთში ნაციონალური საკითხის მონარქისტულ-ლიბერალურ-კონსტიტუციური გადაჭრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალურ-კულტურული ავტონომია ხელუხლებლად სტოვებდა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების საფუძვლებს, და გაბატონებული ველიკორუსული ეროვნების მემამულეებსა და ბურჟუაზიას სრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას უტოვებდა; იგი რომ განხორციელებულიყო, ამიერ-კავკასია ეროვნებათა შორის სისხლისმღვრელი შეტაკებების ასპარეზად გადაიქცეოდა.

ამხ. სტალინმა თავის წიგნში „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", (1913 წ.), რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, დაასაბუთა ნაციონალური საკითხის ბოლშევიკური თეორია, გამანადგურებლად გააკრიტიკა და სასტიკად დაამარცხა მენშევიკების ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის პროგრამა:

> „...კულტურულ-ნაციონალური ავტონომია... ძველ ნაჭუჭებში ჰკეტავს ერებს, სტოვებს მათ კულტურის განვითარების უდაბლეს საფეხურებზე, ხელს უშლის აიწიონ კულტურის უმაღლეს საფეხურებზე... აფერხებს დაგვიანებულ ერთა განვითარებას, გარდა ამისა საოლქო ავტონომიას ნაციონალურ კავშირებად ორგანიზებული ერების შეტაკებათა ასპარეზად ხდის.
>
> ამრიგად, საერთოდ უვარგისი, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კავკასიაში უაზრო რეაქციულ წამოწყებად გადაიქცეოდა".
>
> (სტალინი — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", გვ. 37).

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა რიგებში საბჭოთა წყობილებამდე არსებულ პერიოდში პარტიის ცალკეულ წევრთა შორის ჩვენ გვქონდა, ერთის მხრივ, ლიბერალურ-შემარიგებელი დამოკიდებულება მენშევიკური ნაციონალისტური პროგრამისადმი ნაციონალური საკითხის დარგში, ხოლო მეორე მხრივ — „მომემარცხენო" წვრილბურჟუაზიული უარყოფა ლენინ-სტალინის ლოზუნგისა ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ (ამხ. ფ. მახარაძე). ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმთან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში.

ნაციონალ-უკლონისტური ოპოზიცია საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში 1921 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა. ქართველი ნაციონალ-უკლონისტები 1921 — 24 წ.წ. მთელ მანძილზე გააფთრებით იბრძოდნენ ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ნაციონალ-უკლონისტები დამარცხებულ, განადგურებულ და დაგმობილ იქნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის II და III ყრილობებზე,

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II და III ყრილობებზე და რკპ (ბ) XII ყრილობაზე.

1924 წელს ნაციონალ-უკლონისტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიემხრო ყოფილ ტროცკისტულ ანტიპარტიულ ოპოზიციას.

ნაციონალ-უკლონიზმმა ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ პირველად გაილაშქრა 1921 წელს, ამიერ-კავკასის რკინისგზების გაერთიანებასა, რესპუბლიკათა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების გაერთიანების გატარებასა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საბაჟო და საკონტროლო პუნქტების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და სამეურნეო აღორძინებისათვის და საერთო სოციალისტური მშენებლობისათვის ძალღონის გაერთიანების აუცილებლობამ თავიდანვე დასვა ამიერ-კავკასიის ხალხთა მკვიდრი ნაციონალური მშვიდობიანობის შექმნისა და მჭიდრო ძმური თანამშრომლობის საკითხი. ამიტომ 1921 წელს სათავე დაედო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო გაერთიანებას. ლენინი 1921 წლის 9 აპრილს პირდაპირ დირექტივას იძლეოდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის საოლქო სამეურნეო ორგანოს შექმნის შესახებ. ამხ. ს. ორჯონიკიძის ინფორმაციაზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მძიმე ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ლენინი მაშინ სწერდა:

> „მივიღე თქვენი დაშიფრული ცნობა ამიერ-კავკასიის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მთელი რიგი ზომები მივიღეთ, მივეცით ცოტაოდენი ოქრო სომხეთს, დავუდასტურეთ ყოველგვარი დავალებანი სასურსათო კომისარიატს. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩვენ აქ ძლიერ გვიჭირს და დახმარების გაწევა არ შეგვეძლება. **დაბეჯითებით მოვითხოვ შეჰქმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერ-კავკასიისათვის...** შეეცადოთ იყიდოთ თესლი ოუნდაც საზღვარგარეთ და წინ წასწიოთ მორწყვის საქმე აზერბეიჯანში ბაქოს რესურსების დახმარებით, რომ განავითაროთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, აგრეთვე შეეცადეთ განავითაროთ საქონელბრუნვა ჩრდილო-კავკასიასთან. შეითვისეთ თუ არა თქვენ და ქართველმა ამხანაგებმა ჩვენი ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით? წაუკითხეთ ეს მათ და რაც შეიძლება ხშირად მომაწოდეთ ცნობა“.
>
> (ლენინი. თხზ., ტომი XXVI, გვ. 188 — 191).

1921 წლის განმავლობაში მხოლოდ ამიერ-კავკასიის რკინისგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების განხორციელება მოხერხდა, ვინაიდან ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფი ყოველნაირად აჭიანურებდა და აფერხებდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო გაერთიანებას.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური გაერთიანების ძირითად შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენდნენ ნაციონალ-შოვინიზმის ნაშთები, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოვიდნენ მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ მთავრობათა არსებობის პერიოდიდან. ამიტომ საერთო სოციალისტური მშენებლობისათვის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ლონისძიებების გაერთიანებლად საჭირო იყო პირველ ყოვლისა ნაციონალიზმისა და ნაციონალური შუღლის ელემენტების ლიკვიდაცია, ურთიერთ ნდობის ატმოსფეროს შექმნა და ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ძველი ძმური ინტერნაციონალური კავშირის აღდგენა.

აი რატომ აძლევდა ლენინი თავის ისტორიულ წერილში კავკასიის კომუნისტების მიმართ (1921 წლის 14 აპრილი) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარებას:

„თავს ნებას მივცემ იმედი გამოვთქვა, — სწერდა ლენინი ამ წერილში, — რომ მათი მჭიდრო კავშირი შეჰქმნის ისეთი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს, რომელიც არ ნახულა ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში“.

(„ამხანაგებს — აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებს“, რჩეული ნაწერები, ტომი V, გვ. 152).

ამხ. სტალინმა ტფილისის პარტორგანიზაციის კრებაზე 1921 წლის 6 ივლისს წაკითხულ მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში“ ამიერ-კავკასიის კომუნისტების ძირითად პოლიტიკურ ამოცანად დასახა დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმთან.

იგი ამბობდა:

„მე მახსოვს 1905 — 1917 წლები, როცა ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და საზოგადოდ მშრომელთა შორის არსებობდა სრული ძმური სოლიდარობა, როცა ძმური კავშირი სომეხ, ქართველ, აზერბეიჯანელ და რუს მუშებს აერთებდა, ერთ სოციალისტურ ოჯახად. ახლა, ტფილისში ჩამოსვლისას, მე გაოცებული ვიყავი, რომ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის ყოფილი სოლიდარობა აღარ არსებობს. გლეხებსა და მუშებში განვითარებულა ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა თავის სხვანაციონალურ ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და სხვა ყოველგვარი ნაციონალიზმი ახლა რამდენიც გნებავთ იმდენია. ძმური ნდობის ძველებური კავშირი გაწყვეტილია ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დასუსტებულია. სჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბეიჯანში (მუსავატისტები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, ეწე-

ოდნენ რა თავის ნაციონალურ პოლიტიკას, მუშაობდნენ რა ამ ორ-
მელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის თანახმად, ბოლოს და
ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თვითეული ეს ერი — ქვეყანა
ირგვლივ გარშემორტყმული აღმოჩნდა მტრული ნაციონალისტური
ატმოსფერით, რამაც მოაკლო საქართველოსა და სომხეთს რუსეთის
პური და აზერბეიჯანის ნავთი, ხოლო რუსეთს — ბათუმით მომავა-
ლი საქონელი. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ შეიარაღებულ შეტაკე-
ებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ჟლეტაზე (სომეხ-თათართა
შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედე-
გებზე. საკვირველი აღარ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ
ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო
მუშების შეგნება მოიწამლა ნაციონალიზმის შხამით და რამდენა-
დაც ამ ნაციონალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მუ-
შებს შორის, ეს გარემოება (ნაციონალიზმი) წარმოადგენს უდიდეს
დაბრკოლებას ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურ-
ნეო და სამხედრო ძალლონის გაერთიანების საქმეში... ამიტომ სა-
ქართველოს კომუნისტების მორიგ ამოცანას წარმოადგენს დაუნდო-
ბელი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, აღდგენა ძველი, ძმუ-
რი ინტერნაციონალური კავშირისა, რომელიც არსებობდა ნაციონა-
ლისტურ-მენშევიკურ მთავრობათა გამოჩენამდე და ამგვარად შე-
ქმნა საერთიერთო ნდობის ჯანსაღი ატმოსფერისა, რაც აუცილე-
ბელია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ლონის-
ძიებათა გაერთიანებისა და საქართველოს სამეურნეო აღორძინე-
ბისათვის".

ლენინისა და სტალინის ამ მითითებებმა წინასწარ განსაზღვრა ამიერ-
კავკასიის ფედერაციის შექმნა.

რკინისგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების მიუხედავად,
ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები კარჩაკეტილ ცხოვრებას განა-
გრძობდნენ. ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი ფულის სისტემა და შემო-
რტყმული იყო საბაჟოების ზღუდეებითა და საკონტროლო პუნქტებით.
ნაციონალ-უკლონისტებმა საზღვრების დაწესების საკითხები საქართვე-
ლოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის ოფიციალურ წარმომადგენელთა სპე-
ციალური კონფერენციის მსჯელობის საგნად გახადეს და ცდილობდნენ
ეს კონფერენცია ჩაეტარებინათ დიპლომატიური ხელოვნების ყველა წე-
სის მიხედვით. ბუდუ მდივანი საზღვრების საკითხზე საქართველოს კომ-
პარტიის პირველ ყრილობაზე ამბობდა:

„რაც შეეხება საზღვრების გამიჯვნას, ჩვენ ვეუბნებოდით სომეხ
კომუნისტებს, რომ ჩვენს შორის არავითარი დავა არ არის, მაგრამ
არის გაურკვევლობანი, და ტაქტიკური მოსაზრებით უმჯობესია
რეფერენდუმი მოეწყოს სადავო ოლქებში" **(სიცილი დარბაზში).**

(ციტატი მოგვყავს ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით, ბ.-კ. საამხარეო კომიტეტის გამოცემა, 1923 წ., გვ. 60).

პირველად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921 წლის 2 ივლისს დაჰგმო ქართველ ამხანაგთა ჯგუფის ნაციონალისტური გადახრა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წლის 2—3 ივლისის პლენუმის ოქმში ნათქვამია:

„კავკასიის ბიურო, აღნიშნავს რა ნაციონალიზმისაკენ გადახრის ფაქტებს, რამაც თავი იჩინა ისეთ საკითხებში, როგორიცაა საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, რესპუბლიკათა ტერიტორიული გამიჯვნა, საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გაუქმება, წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს სასტიკად შთააგონონ პარტიის ყველა წარმომადგენელს, რომ ასეთი საკითხების გადაჭრის დროს საჭიროა გამოდიოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამ რესპუბლიკათა მშრომელი მასების ძმური კავშირის ინტერესებიდან“.

(პარტისის არქივი, საქმე № 31, ფურცელი მე-3. რკპ (ბ) ც. კ-ის კავკასიის ბიუროს 1921 წ. 2—3 ივლისის პლენუმის ოქმი).

1921 წლის დამლევს დაისვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის აუცილებლობის საკითხი, ვინაიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მჭიდრო სამეურნეო და პოლიტიკური თანამშრომლობა შეუძლებელი იყო სახელმწიფო-პოლიტიკურ გაუერთიანებლად. 1921 წლის 3 ნოემბერს რკპ (ბ) კავკასიის ბიურომ თავის პლენუმზე, რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მოლოტოვის მონაწილეობით, მიიღო გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განცალკევებული სახელმწიფოებრივი არსებობა აუძლურებს მათ კაპიტალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების წინაშე; მჭიდრო პოლიტიკური კავშირი მტკიცე გარანტია იქნება კონტრრევოლუციური ძალების ყოველგვარი ხელყოფისაგან და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის მიჯნაზე.

პოლიტიკური გაერთიანება შესაძლებლობას მისცემს რესპუბლიკებს საქმით დაამყარონ ერთმანეთს შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირი, რომლის დადების ცდები არაერთხელ ყოფილა. რესპუბლიკების განკერძოება აღრმავებდა ამიერ-კავკასიის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ხალხთა მასების სიღარიბესა და გაღატაკებას და გამოიწვია მთელი რიგი გაუგებრობანი რესპუბლიკებს შორის. ამიერ-კავკასია მთლიან სამეურნეო ერთეულს წარმოადგენს და მისი ეკონომიური განვითარება შეიძლება მხოლოდ საერთოდ კავკასიის სამეურნეო გაერთიანების ნიშნით წარიმართოს.

ბოლოს, რესპუბლიკებში მრავალი სახალხო კომისარიატისა და დაწესებულების არსებობა ნთქამს ბევრ ძალასა და სახსარს, ჰქმნის უსარგებლო პარალელიზმს ბევრი ორგანოს მუშაობაში, ამიტომ საერთო ძალღონით ადმინისტრირება სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთავარ უმნიშვნელოვანეს დარგებში გააძლიერებს და გააჯანსაღებს საბჭოთა მუშაობას.

ამისდამიხედვით კავკასიის ბიუროს მიაჩნია:

1) გადაუდებლად და აუცილებლად დადება რესპუბლიკებს შორის ფედერატიული კავშირისა უწინარეს ყოვლისა სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში.

2) აუცილებლად ჩაითვალოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ადმინისტრატიულ-ეკონომიური ცენტრის (საკავშირო საბჭო) შექმნა".

(რკპ (ბ) ც. კ-ის კავკასიის ბიუროს პლენუმის 1921 წლის 3 ნოემბრის საღამოს სხდომის ოქმი, პარტიის არქივი, საქმე № 31).

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ აშკარად გაილაშქრა საქართველოს კ. პ. (ბ) რიგებში პარტიის ძველ წევრთა ჯგუფმა (ამხ-ბი ბუდუ მდივანი, კოტე ცინცაძე, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე, ლ. დუმბაძე და სხვ.). უკლონისტები საქმის მდგომარეობას ისე სახავდნენ, თითქოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციას მათ თავზე ახვევდნენ კავკასიის ბიურო და პირადად ამხ. ს. ორჯონიკიძე და თითქოს ლენინი და სტალინი მხარს არ უჭერდნენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეას.

როგორც ცნობილია, ამიერ-კავკასიის ფედერაციის სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები არიან ლენინი და სტალინი.

თავის მოხსენებაში პარტიის XII ყრილობაზე ამხ. სტალინი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხზე ამბობდა:

„1921 წ. 28 ნოემბერს ამხ. ლენინი მიგზავნის თავისი წინადადების პროექტს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ. აქ ნათქვამია: „1) ცნობილ იქნას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია პრინციპულად აბსოლუტურად სწორ და აუცილებლად განსახორციელებელ საქმედ. მაგრამ დაუყოვნებლივი პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. ისეთ საქმედ, რაც მოითხოვს რამდენიმე კვირას განხილვისა, პროპაგანდისა და ქვემოდან გატარებისათვის; 2) წინადადება მიეცეთ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ცხოვრებაში გაატარონ ეს გადაწყვეტილება". მე წერილს ვუგზავნი ამხ. ლენინს და წინადადებას ვაყენებ არ ავჩქარდეთ ამაში, დავიცადოთ, დროის ერთგვარი პერიოდი მივცეთ ადგილობრივ ამხანაგებს ფედერაციის გასატარებლად. მე მას ვსწერ: „ამხ. ლენინ, თქვენი რეზოლუციის

საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს, თუ დათანხმდებით მიიღოთ შემდეგი შესწორება: ნაცვლად სიტყვებისა „მოითხოვს რამდენიმე კვირას განხილვისათვის“ — 1 პუნქტში, — ვთქვათ: „მოითხოვს დროის ერთგვარ პერიოდს განხილვისათვის“... და ა. შ. თქვენი რეზოლუციის თანახმად. საქმე ის არის, რომ საქართველოში ფედერაციის „გატარება“ „ქვემოდან“ საბჭოთა წესით „რამდენიმე კვირაში“ არ შეიძლება, ვინაიდან საქართველოში საბჭოები მხოლოდ ახლა შენდება. მათი მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ერთი თვის წინათ ისინი სრულებით არ არსებობდნენ და იქ საბჭოების ყრილობის „რამდენიმე კვირაში“ მოწვევა წარმოუდგენელია, ხოლო ფედერაცია უსაქართველოდ ქაღალდზე არსებული ფედერაცია იქნება. ვფიქრობ, საჭირო იქნება 2 — 3 თვე გადავდოთ იმისათვის, რომ ფედერაციის იდეამ გაიმარჯვოს საქართველოს ფართო მასებში. სტალინი“. ამხანაგი ლენინი ასეთ პასუხს მაძლევს: „მე ვეთანხმები ამ შესწორებას“. ეს გადაწყვეტილება პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის დამლევს, როგორც ხედავთ, ერთხმად. ამავე დროიდან იწყება ბრძოლა ქართველ კომუნისტების ჯგუფისა, ამხ. ბუდუ მდივნის მეთაურობით ცენტრალური კომიტეტის დირექტივის წინააღმდეგ ფედერაციის შესახებ. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ საქმე ისე არ იყო, როგორც აქ ამხ. მდივანი გვიხატავდა. ეს დოკუმენტი მომყავს იმ უმართებულო გადაკრული სიტყვების წინააღმდეგ, რომლებსაც აქ ამხ. მდივანმა მიმართა“.

(რკპ (ბ) XII ყრილობის ბიულეტენი, 1923 წლის გამოცემა, გვ. 154).

ქართველმა უკლონისტებმა არაერთხელ მიმართეს პროტესტით ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

ქართველ უკლონისტთა მიმართვებისა და საჩივრების პასუხად, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინისა და სტალინის მეთაურობით, 1922 წლის 5 აპრილს ხელმეორედ გამოიტანა გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო:

„ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლა და ამიერ-კავკასიის მშრომელი მასების ძმური სოლიდარობა კვლავ წარმოადგენს კომუნისტური პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას. კერძოდ, ცენტრალური კომიტეტი, ერთხელ კიდევ ადასტურებს რა თავის გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ, მოვალეობად აკისრებს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიას აუცილებლად და უყოყმანოდ გაატაროს ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილება“.

(ციტატი მოგვყავს ბროშურიდან „ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წელი", გვ. 14 — 15).

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციები, რ. [illegible] ბიუროს ხელმძღვანელობით, პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების მეშვეობით ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეის პოპულარიზაციას ეწეოდნენ მშრომელთა ფართო მასებში, რაზმავდნენ მათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი გაერთიანების იდეის გარშემო.

1922 წლის 12 მარტს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ცაკების უფლებამოსილმა კონფერენციამ დაამყარა ამიერ-კავკასიის სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერატიული კავშირი. ამ კონფერენციაზე მიღებულ საკავშირო ხელშეკრულება, რის ძალითაც შეიქმნა საკავშირო საბჭო და უმაღლესი ეკონომიური საბჭო მასთან, შემდეგ საფუძვლებზე:

„I. რესპუბლიკათა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენს უფლებამოსილი კონფერენცია წარმომადგენლებისა, რომლებსაც თანაბარი რაოდენობით ირჩევენ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მთავრობები.

II. უფლებამოსილი კონფერენციის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს „საკავშირო საბჭო", რომლის წევრთა არჩევა და უკან გამოწვევა კონფერენციის დადგენილებით ხდება.

III. „საკავშირო საბჭოს" გამგებლობაში გადადის: სამხედრო საქმეები, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, გზები, სახალხო კავშირგაბმულობა, კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა და ეკონომიური პოლიტიკის ხელმძღვანელობა ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე"...

(პარტისის არქივი, საქმე № 31, გვ. 12).

ამიერ-კავკასიის ფედერაციას, რომელსაც მშრომელი მასები აღფრთოვანებით შეჰხვდნენ, გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულმა ელემენტებმა, შოვინისტურმა ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ და განადგურებული ანტისაბჭოთა პარტიების — მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ნამსხვრევებმა. ნაციონალ-უკლონისტურმა ოპოზიციამ, რომელიც ამ ნაციონალ-შოვინისტურ განწყობილებებს გამოხატავდა, გააფთრებული იერიში მიიტანა ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ და მალე მოითხოვა მისი ლიკვიდაცია და საქართველოს უშუალოდ შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

მოვიყვანოთ ორი დოკუმენტი.

1922 წლის 15 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც უკლონისტები ხელმძღვანელობდნენ, გამოიტანა გადაწყვეტილება „დამოუკიდებლობის ატრიბუტების შენარჩუნების შესახებ".

„დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ავტონომიზაციის ფორმით გაერთიანება, რასაც ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე მოითხოვენ, ნაადრევად ჩაითვალოს.

საჭიროდ იქნას ცნობილი სამეურნეო ღონისძიებათა და საერთო პოლიტიკის გაერთიანება, მაგრამ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“.

(იხ. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის არქივი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ოქმი № 13, 15 სექტემბერი, 1922 წ.).

1922 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური კომისიის მოსკოვში გამგზავრების შედეგების საკითხზე გაკეთებული კოტე ცინცაძის მოხსენების გამო გამოიტანა თვალთმაქცური და წინააღმდეგობითი გადაწყვეტილება — ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ:

„1. მოხსენება მთლიანად მიღებულ იქნას ცნობად.

2. რკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ მთლიანად იქნას მიღებული ცნობად და განუხრელად შესასრულებლად.

3. რკპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღიძრას შუამდგომლობა საბ. სოც. რესპუბლიკათა კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ რკპ ცენტრალური კომიტეტი დააკმაყოფილებს საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ საქართველო უშუალოდ შევიდეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს არსებობა ზედმეტად ჩაითვალოს“.

(იხ. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის არქივი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ოქმი № 15, 21 ოქტომბერი 1922 წ.).

აზერბეიჯანის კომპარტიაში ამხანაგების მცირე ჯგუფმა აგრეთვე წინააღმდეგობა გაუწია ფედერაციის შექმნას იმ საბაბით, რომ მისი განხორციელება ნაადრევიაო. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) რიგებში იყვნენ ფედერაციის უფრო გულახდილი მოწინააღმდეგენიც (ამხ. კადირლი და სხვ.), რომლებიც მოითხოვდნენ ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ლიკვიდაციას და აზერბეიჯანის უშუალოდ შესვლას საბჭოთა კავშირში.

აზერბეიჯანის კომუნისტურმა პარტიამ ამხ. კიროვის მეთაურობით სწრაფად გაანადგურა ნაციონალ-უკლონისტები.

ლენინ-სტალინის ინტერნაციონალური დროშის ერთგული ბაქოს პროლეტარიატი გამოვიდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისა და განმტკიცებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ნაციონალ-უკლონიზმს

და უზრუნველჰყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერატიული კავშირის განხორციელება.

1922 წლის დამლევს გადაიდგა ნაბიჯი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის სამეურნეო და პოლიტიკური კავშირის შემდგომი განმტკიცებისაკენ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერატიული კავშირის გადაქცევის გზით ერთიან ფედერატიულ რესპუბლიკად (ა.-კ. ს. ფ. ს. რ.), მასში შემავალ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შენარჩუნებით.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა გადაიქცა ამიერ-კავკასიის ხალხთა ნაციონალური მშვიდობიანობის, ძმური თანამშრომლობის მძლავრ იარაღად და მათ ლენინისეულ ბანათა გაერთიანების ორგანოდ სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა და ლენინისა და სტალინის მითითებათა მიუხედავად, ქართველ უკლონისტთა ჯგუფმა (ბუდუ მდივანის, მახარაძის, კოტე ცინცაძის, მ. ოკუჯავას და სხვ. მეთაურობით) არამც თუ არ შესწყვიტა, არამედ უფრო მეტად გაამწვავა ანტიპარტიული ბრძოლა ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. ამიტომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებოდა ფედერაციის საკითხს. მოვიყვანოთ ორი შემდეგი დოკუმენტი:

I. ამხ. სტალინის დეპეშა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე 1922 წლის 16 ოქტომბერს:

„ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად უარჰყო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინადადება გაერთიანების ნაადრევობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ. პლენუმის ასეთი ერთსულოვნობის გამო საქართველოს ც. კ-ის წარმომადგენელი მდივანი იძულებული გახდა უარი ეთქვა საქართველოს ც. კ-ის წინადადებაზე. პლენუმმა სრულიად უცვლელად მიიღო კომისიის წევრთა **სტალინის, ორჯონიკიძის, მიასნიკოვის და მოლოტოვის** წინადადება ამიერ-კავკასიის ფედერაციის შენარჩუნების და იმის შესახებ, რომ ეს უკანასკნელი გაერთიანდეს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან, უკრაინასთან და ბელორუსიასთან „სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“. რეზოლუციის ტექსტი მოაქვს ამხ. ორჯონიკიძეს. რკპ ცენტრალურ კომიტეტს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი დირექტივა ენტუზიაზმით იქნება გატარებული“.

(იხ. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1922 წლის არქივი).

II. ლენინის 1922 წლის 21 ოქტომბრის დეპეშა:

„მაკვირვებს ცინცაძისა და სხვათა ხელმოწერილი, პირდაპირი მავთულით მიღებული იმ ბარათის უმართებულო ტონი, რომელიც მე გადმომცა ამხ. ბუხარინმა და არა ცენტრალური კომიტეტის ერთერთმა მდივანმა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ უთანხმოებანი ამოსწურა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებამ

ჩემი არაპირდაპირი მონაწილეობით, მდივანის პირდაპირი მონაწილეობით. ამიტომ მე გადაჭრით ვგმობ ლანძღვას ორჯონიკიძის მიმართ და დაჟინებით მოვითხოვ, რომ თქვენი კონფლიქტი მართებული და ლოიალური ტონით გადაეცეს გადასაჭრელად ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, რომელსაც მე ვუგზავნი პირდაპირი მავთულით გადმოცემულ თქვენს ცნობას. **ლენინი**".

(იხ. მარქს-ენგელს ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის არქივი).

ქართული ნაციონალ-უკლონიზმი წარმოიშვა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდის პირობებში და წარმოადგენდა აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტულ ჯგუფს, რომელიც, როგორც ნაციონალურ საკითხში, ისე საერთო პოლიტიკის საკითხებში, მენშევიკურ პოზიციებისაკენ დაეჭანა. ქართული ნაციონალ-უკლონიზმი გაიზარდა არა იმდენად რუსული დიდმპყრობელური ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციებიდან, რამდენადაც იმ ქართული აგრესიული ნაციონალიზმის ტენდენციებიდან, რომელიც მიმართული იყო ამიერ-კავკასიის არაქართველ ეროვნებათა წინააღმდეგ და, უწინარეს ყოვლისა, სომხების წინააღმდეგ.

ნაციონალ-უკლონიზმს ჰსურდა გამოეყენებინა საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიური უპირატესობანი იმის გამო, რომ იგი ჰფლობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო პუნქტებს, როგორიც არის ტფილისი და ბათომი. ამ საფუძველზე ნაციონალ-უკლონისტებს, როცა ისინი ფედერაციიდან გამოსვლას მოითხოვდნენ, ჰსურდათ ქართველებისათვის შეექმნათ და განევითარებინათ პრივილეგიები საბჭოთა აზერბეიჯანის და სომხეთის ხარჯზე და მით უმეტეს ნაც-უმცირესობათა — აფხაზების, აჭარლების, ოსების, სომხების და სხვა ხარჯზე.

ქართველი უკლონისტები იბრძოდნენ საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათათვის ავტონომიის მინიჭების წინააღმდეგ. საქართველოს მაშინდელი ცენტრალური კომიტეტი და რევკომი (ბ. მდივანი, ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე და სხვ.) ყოველნაირად აჭიანურებდენ ავტონომიის მინიჭებას სამხრეთ-ოსეთისა, აჭარისტანისა და აფხაზეთისათვის. ამ რესპუბლიკათა ავტონომია მიღებულ და გატარებულ იქნა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის და რევკომის უკლონისტური უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ქართველი უკლონიზმის ერთერთმა ხელმძღვანელმა ბ. მდივანმა ხმა მისცა იმის წინააღმდეგ, რომ ქალაქი ცხინვალი შეეტანათ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო უკლონისტების მეორე ხელმძღვანელმა — ს. ქავთარაძემ უარი განაცხადა იმაზე, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის და რევკომის სახელით გაეგზავნა მისალმება აჭარისტანის წითელი მეჯლისისათვის. ქართველი უკლონისტები აჭარისტანის ცენტრად მოითხოვდნენ არა ბათომს, არამედ ხულოს ან ქედას (**სიცილი დარბაზში**).

ამგვარად, ერთის მხრით, ამიერ-კავკასიის ფედერაციის უარყოფა და მასთან ბრძოლა, მეორე მხრით, საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციონერებათათვის ავტონომიის მინიჭების უარყოფა და ბრძოლა, სომხეთ-ოსეთის, აჭარისტანის და აფხაზეთის ავტონომიის წინააღმდეგ — ასეთია ქართული უკლონიზმის ნაციონალისტური თეორია და პრაქტიკა.

ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა ნაციონალისტურ მენშევიკურ შეხედულებათა საკმაოდ მრავალმხრივ სისტემას. ცნობილია, რომ ქართველი უკლონისტები ცდილობდნენ გაეტარებინათ დეკრეტი ტფილისის „განტვირთვის" შესახებ, რომლის განხორციელება იქნებოდა სხვა ეროვნების ელემენტთა და, პირველ რიგში, სომხების გაძევება. ცნობილია აგრეთვე იმ კორდონების შესახებ გამოცემული „ველური" — ამხანაგ სტალინის გამოთქმით — დეკრეტის ფაქტი, რომლებითაც საქართველო ემიჯნებოდა საბჭოთა რესპუბლიკებს, აგრეთვე ქვეშევრდომობის შესახებ გამოცემული იმ დეკრეტის ფაქტი, რომლის მიხედვითაც ქართველი ქალი, თუ იგი უცხოელს (არაქართველს) მისთხოვდებოდა, ჰკარგავდა საქართველოს მოქალაქეობის უფლებას **(სიცილი დარბაზში)**. აი ეს დოკუმენტები:

1) 1922 წლის 31 მარტს ცაკის თავმჯდომარის ამხ. მახარაძის და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მ. ოკუჯავას ხელმოწერით გაიგზავნა შემდეგი დეპეშა:

„დონის როსტოვი, აღმასკომს, ასლი ევაკუაციის ცენტრალურ სამმართველოს; ნოვოროსიისკი, აღმასკომს, ასლი ევაკუაციის უფროსს; კავკავი, მთიელთა რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს, ასლი სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს; ბათომი, აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ასლი აღმასკომის თავმჯდომარეს, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, ა.-კ. რესპუბლიკათა რკინისგზების უფროსს, აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარეს, საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს:

„დღეის რიცხვიდან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები ცხადდება დახურულად **(სიცილი დარბაზში)** და ლტოლვილთა შემდეგი შემოშვება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეწყვეტილია. გთხოვთ სასწრაფოთ მისცეთ ჯეროვანი განკარგულებანი სათანადო ორგანოებს. გთხოვთ დაგვიდასტუროთ ამ დეპეშის მიღება"...

2) § 1. ის პირები, რომლებიც მიიღებენ ნებართვებს საქართველოს ფარგლებში თავიანთი ნათესავების შემოსვლის შესახებ, მათთვის მიცემულ ნებართვაში იხდიან 50.000 მანეთს **(სიცილი დარბაზში)**.

§ 2. მთავრობის დაწესებულებანი, რომლებიც აღძრავენ შუამდგომლობას შემოსვლის ნებართვის მიცემაზე იმ პირთათვის, რომ-

ლებიც მათ თავისი სპეციალური ცოდნის მიხედვით ესაჭიროებათ, იხდიან 500.000 მანეთს.

§ 5. ის პირნი, რომლებიც საქართველოს ფარგლებში ჩამოვიდნენ 1917 წლის 13 აგვისტოს შემდეგ და რომლებსაც ჰსურთ მიიღონ საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლება, თუ მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, გაცემულ ნებართვაში იხდიან 1 მილიონ მანეთს.

§ 6. ის პირნი, რომლებსაც 1922 წლის 13 აგვისტოსათვის შეუსრულდათ საქართველოს ფარგლებში ყოფნის 5 წელი... საქართველოს ფარგლებში შემდგომ დარჩენისათვის იხდიან 1 მილიონ მანეთს.

§ 8. საქართველოს ფარგლებში შემდგომი ყოფნის უფლება იმ პირთაგან, რომლებიც მის ფარგლებში 1917 წლის 13 აგვისტოს შემდეგ ჩამოვიდნენ, აქვთ:

„...3. პროფკავშირების ყველა წევრს, რომლებიც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე 6 თვის განმავლობაში ირიცხებიან კავშირში.

4. იმ მოქალაქეებს, რომლებიც დაკავშირებული არიან საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობით".

3) საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს: ქართველი ქალი იმ შემთხვევაში, თუ იგი ცოლად უცხოელს გაჰყვება" **(სიცილი დარბაზში).**

(რკპ (ბ) მე-12 ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში. 1923 წლის გამოცემა, გვ. 160 — 161).

ამგვარად, ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა აშკარად გამოხატულ შემტევ ქართულ შოვინიზმს, რომელსაც შეეძლო ამიერ-კავკასია გადაექცია ერთაშორის შეტაკებათა ასპარეზად, რომელსაც შეეძლო აღედგინა მენშევიკური ბატონობის ხანა, როცა შოვინისტური გაცოფებით შეპყრობილი ადამიანები ერთმანეთს ჰბუგავდნენ და ჟლეტდნენ.

ამხ. სტალინმა პარტიის XII ყრილობაზე თავის მოხსენებაში ნაციონალურ საკითხზე ქართული ნაციონალ-უკლონიზმის შემდეგი დახასიათება მოგვცა:

„მაგრამ არის კიდევ მესამე ფაქტორი, რომელიც აფერხებს რესპუბლიკათა გაერთიანებას ერთ კავშირში, — ეს არის ნაციონალიზმი ცალკეულ რესპუბლიკებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკა გავლენას ახდენს არა მარტო რუს მოსახლეობაზე, არამედ არარუს მოსახლეობაზეც. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ავითარებს კერძო ვაჭრობას და მრეწველობას არა მარტო რუსეთის ცენტრში, არამედ ცალკეულ რესპუბლიკებშიც. აი სწორედ ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კერძო კაპიტალი ჰკვებავენ,

ზრდიან ქართულ, აზერბეიჯანულ, უზბეკურ და სხვა ნაციონალიზმს.

ეს ნაციონალიზმი რომ მხოლოდ თავდაცვითი იყოს, ეს შეიძლებოდა მის გამო ხმაური არ აგვეტეხა, შეიძლებოდა ჩვენი მოქმედების მთელი ძალა და ჩვენი ბრძოლის მთელი ძალა მიგვემართა ველიკორუსული შოვინიზმისაკენ, იმ იმედით, რომ რაკი ეს ძლიერი მტერი დაემხობა, მასთან ერთად დაემხობა ანტირუსული ნაციონალიზმიც, ვინაიდან იგი, ეს ნაციონალიზმი, ვიმეორებ, საბოლოო ანგარიშით არის ველიკორუსული ნაციონალიზმის რეაქცია, მისი პასუხი, ერთგვარი თავდაცვა. დიახ, ეს ასე იქნებოდა, ადგილებზე რომ ანტირუსული ნაციონალიზმი რუსული ნაციონალიზმის რეაქციაზე უფრო შორს არ მიდიოდეს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი შემტევ ნაციონალიზმად გადაიქცა.

ავიღოთ საქართველო, იქ არის 30 პროცენტზე მეტი არაქართველი მოსახლეობა. მათ შორის: სომხები, აფხაზები, აჭარლები, ოსები, თათრები. სათავეში დგანან ქართველები. ქართველ კომუნისტთა ნაწილში დაიბადა და ვითარდება იდეა — არც თუ ძლიერ გაუწიონ ანგარიში ამ წვრილ ეროვნებებს: ისინი, ვითომ, ნაკლებად კულტურული, ნაკლებად განვითარებული არიან, ამიტომ შეიძლება მათ ანგარიშიც არ გავუწიოთო. ეს არის შოვინიზმი, — მავნე და საშიში შოვინიზმი, ვინაიდან მას შეუძლია საქართველოს პატარა რესპუბლიკა გადააქციოს კინკლაობის ასპარეზად და მან კიდეც გადააქცია იგი კინკლაობის ამ ასპარეზად".

(ი. სტალინი — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი". სტატიების და სიტყვების კრებული. პარტგამომცემლობა. 1934 წ., გვ. 118).

ქართველმა უკლონისტებმა პარტიის საერთო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში აშკარად ოპორტუნისტული პოზიცია დაიჭირეს; ისინი მენშევიზმამდის დაქანდნენ. აგრარულ-გლეხურ საკითხში უკლონისტები დაადგნენ მენშევიკური კულაკური საადგილმამულო პოლიტიკის გზას. ისინი გადაჭრით ეწინააღმდეგობდნენ ბოლშევიკური აგრარული რეფორმის გატარებას და აცხადებდნენ — საქართველოში მემამულური მიწათმფლობელობა არ არსებობსო. მათ ქართველი თავადებისა და აზნაურების ბედილბალი ადარდებდათ. საქართველოს ც. კ-ი და რევკომი, რომლებშიც სჭარბობდნენ ნაციონალ-უკლონისტები, აფერხებდნენ და აჭიანურებდნენ მიწის რეფორმის გატარებას და, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის არსებობისა, მიწა მემამულეთა, თავადთა და აზნაურთა ხელში რჩებოდა.

ამბ. ორჯონიკიძე 1923 წ. 25 იანვარს, აჯამებდა რა უკლონისტების კულაკური საადგილმამულო პოლიტიკის შედეგებს, სწერდა:

„მიწსახკომს თავისი ორი წლის არსებობის განმავლობაში ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ჩვენს სოფელში. აბა როგორ მოხდა, რომ მაზრებში ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელობანი დღემდე ხელუხლებელი დარჩა და იქ კვლავ სხედან ყოფილი თავად-აზნაურები... მემამულენი ცხოვრობენ თავის ძველ მამულებში — მამაპაპეულ მამულებში. ხოლო გლეხები წინანდებურად ეკონომიურად სავსებით დამოკიდებული არიან თავისი ძველი კეთილ მებატონე-თავადებისაგან...' ბორჩალოს მაზრაშიც, აღმასკომის თავმჯდომარის ახ. შაბანოვის მოხსენების მიხედვით, საქმე უკეთ არ არის. მეფის ძველი გენერლები, ყოფილი თავადები — აფხაზები, თუმანიშვილები, გრაფი კუჩენბახები თავის მამულებში სხედან და გლეხებს იმის ნებართვასაც კი არ აძლევენ, რომ „მათს" მამულებზე გზები გაიყვანონ. ჩვენდა სამარცხვინოდ, თითქმის ყოველ ამ ბატონს ხელთ აქვს მიწსახკომის რომელიმე საბჭოთა მოხელისაგან მიცემული სათანადო სიგელები, რომელნიც მათს ხელუხლებლობას და მყუდროებას იცავენ... ასეთივე უნუგეშო სურათია სიღნაღისა და დუშეთის მაზრებში, სადაც უგანათლებულესი თავადები აფხაზები, მუხრანსკები, ანდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები თავის ბატონკაცურ სახლებში განცხრომით ცხოვრობენ და გლეხებს და საბჭოთა ხელისუფლებას დასცინიან".

(ს. ორჯონიკიძე, „სოფლად არსებულ უმსგავსოებას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო" „ზარია ვოსტოკა" № 182, 1923 წ., 25 იანვარი).

ქართველი უკლონისტები აშკარად იცავდნენ მემარჯვენე-ოპორტუნისტულ პოზიციას საგარეო ვაჭრობის საკითხებშიც. ცნობილია ფაქტი, როცა უკლონისტები მოითხოვდნენ ბათომის ნავთის რეზერვუართა დენაციონალიზაციას და მათ საკონცესიოდ გადაცემას ნავთის იმპერიალისტური კონცერნისათვის — „სტანდარტ - ოილისათვის".

ცნობილია აგრეთვე ფაქტი, რომ ნაციონალ-უკლონისტები ეკონომიურ დარგში დასავლეთის ორიენტაციას ადგნენ, რომ მათ აღებული ჰქონდათ ორიენტაცია სტამბოლის იაფ საქონელზე.

ნაციონალ-უკლონისტები ენერგიულად ცდილობდნენ, რათა ტფილისსა ან ბათომში გახსნილიყო კერძო ბანკი კაპიტალისტ-ავანტურისტის ხოშტარიას წინადადებით. ეს ბანკი უნდა ყოფილიყო ოტომანთა ბანკის განყოფილება, ფაქტიურად ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ფილიალი.

მთელი ეს ორიენტაცია კაპიტალისტურ დასავლეთზე რომ განხორციელებულიყო, იგი, ამიერ-კავკასიას, და განსაკუთრებით საქართველოს, უცხოეთის კაპიტალის დანართად გადააქცევდა.

ქართველ უკლონისტებს აშკარად ლიბერალურ-შემარიგებლური პოზიცია ეჭირათ ქართველი მენშევიკების მიმართ.

როგორც ცნობილია, საქართველოს გასაბჭოების დროს ქართველ მენშევიკების ამნისტია გამოცხადდა. მათ არ დააყოვნეს გამოეყენებინათ იგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არალეგალური და ნახევრად-ლეგალური ბრძოლის მოსაწყობად.

რ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კავბიურომ, ამხ. სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, ამოცანად დასახა — ულმობელი ბრძოლა მენშევიკებთან როგორც იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლით მენშევიკური გავლენის წინააღმდეგ, ისე რეპრესიებით მენშევიკ-კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ.

უკლონისტთა ჯგუფი გადაჭრით წინააღუდგა მენშევიკებთან ულმობელი ბრძოლის ტაქტიკას. იგი მენშევიკების განადგურების პოლიტიკის ადგილს აჭერინებდა მენშევიკ-კონტრრევოლუციონერთა „მშვიდობიანი დაძლევის და გადამუშავების პოლიტიკას".

რომ სწორად შევაფასოთ ქართველ უკლონისტთა შეცოდება, მათი ლიბერალურ-შემარიგებლური დამოკიდებულება მენშევიკებთან, საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენდა მებრძოლი ქართული მენშევიზმი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

თავისი ჩასახვის დასაწყისიდანვე ქართული მენშევიზმი, ჟორდანიას მეთაურობით, აყალბებდა მარქსიზმს და უგუებდა მას ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (1905 — 1907 წ.წ.) ქართველი მენშევიკები ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დაკავშირებულნი იბრძოდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის წინააღმდეგ.

რეაქციის წლებში ქართული მენშევიზმი გამოდიოდა როგორც ლიკვიდატორთა უკიდურესი მემარჯვენე ფრთა. ჟორდანიამ და ქართველმა მენშევიკებმა ხელი აიღეს დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნაზე, რათა შეენარჩუნებიათ კავშირი ბურჟუაზიასთან. ქართველი მენშევიკები სტოლიპინის „მუშათა პარტიის" ყველაზე უფრო აქტიური „მშენებელნი" იყვნენ.

იმპერიალისტური ომის პერიოდში ქართველი მენშევიკები იყვნენ ყველაზე თავგამოდებული ობორონცები და ცარიზმისა და რუსეთის ბურჟუაზიის მეაბჯრენი, ისინი ეხმარებოდნენ მეფის სატრაპებს ბოლშევიკური არალეგალური ორგანიზაციების განადგურებაში.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკები მხარს უჭერდნენ „ომს გამარჯვებამდე", იბრძოდნენ ფინეთისა და უკრაინისა-

თვის დამოუკიდებლობის მინიჭების წინააღმდეგ, ერთიანი გაუყოფელი ბურჟუაზიული რუსეთისათვის.

ქართველი მენშევიკები — ქართველი ხალხის ყველაზე საზიზღარი მოღალატეები და გამცემლებია. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მათ მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რუსეთს, ისინი დაუკავშირდნენ ჯერ გერმანიის, ხოლო შემდეგ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს და, დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთად გადააქციეს ამიერ-კავკასია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის პლაცდარმად (მენშევიკების კავშირი დენიკინთან, ალექსეევთან და სხვა თეთრგვარდიელ გენერლებთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად).

ქართველი მენშევიკები — ქართველი გლეხობის ინტერესების ყველაზე გათახსირებული მოღალატეებია. ისინი იცავდნენ ქართველ თავადებს და აზნაურებს გლეხთა რევოლუციური აღშფოთებისაგან; ისინი ანადგურებდნენ გლეხთა რევოლუციურ აჯანყებებს სამეგრელოში, გურიაში, ლეჩხუმში, კახეთში, სამხრეთ-ოსეთში, დუშეთის და სხვა მაზრებში; ისინი იყვნენ სტოლიპინის საადგილმამულო პოლიტიკის გამტარებელნი.

მენშევიკები ყველა რეაქციური ძალების — აზნაურების, თავადების, სამღვდელოების და ბურჟუაზიის სულისჩამდგმელნი და დამრაზმველნი იყვნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მენშევიკური „დემოკრატია“ იყო ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული წყობილების ხსნის უკანასკნელი ნავთსაყუდელი.

მენშევიკები იყვნენ მხეცური ნაციონალ-შოვინიზმისა და ერთი-მეორის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის ხალხთა წასისიანების პოლიტიკის ორგანიზატორები. სწორედ მათ — ქართველმა პურიშკევიჩებმა — მოაწყეს სისხლისმღვრელი ლაშქრობა საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა — ოსთა, აფხაზთა, აჭარელთა წინააღმდეგ.

სწორედ მათ დაშნაკებთან ერთად მოაწყეს სისხლისმღვრელი ძმათამკვლელი ომი ქართველ-სომეხთა შორის. ქართველი მენშევიკები, მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად, შამქორში რევოლუციურ ჯარისკაცთა დარბევის ორგანიზატორები არიან.

ამიერ-კავკასიასა და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, განადგურებული ქართული მენშევიზმის ნამსხვრევებს ერთი დღითაც კი არ შეუწყვეტიათ ბრძოლა პროლეტარული დიქტატურისა და კომუნიზმის წინააღმდეგ. ქართველი მენშევიკები, ჟორდანიას და რამიშვილის მეთაურობით, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რბძოლაში დაადგნენ სისხლიანი ავანტურების გზას.

ქართველმა მენშევიკებმა, რომელნიც ეყრდნობოდენ ქართველ თავადებს, აზნაურებს, მედუქნეებს, ხუცებს და სხვ., ინგლის-საფრანგეთის იმ-

პერიალისტებისა და მათი გენერალური შტაბების ფულით და სახსრებით მოაწყვეს ბუტაფორული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოში 1924 წლის აგვისტოს.

აი, რას ამბობდა ამხ. სტალინი 1924 წლის მენშევიკურ ავანტურაზე:

„ჩვენს გაზეთებში სწერენ, — ამბობდა ამხ. სტალინი 1924 წ. ოქტომბერს, — ბუტაფორულ გამოსვლებზე საქართველოში. ეს მართალია ვინაიდან, საერთოდ, აჯანყება საქართველოში ხელოვნური, არა ხალხური იყო“.

(ამხ. სტალინის გამოსვლა სოფლის უჯრედთა თათბირზე მოსკოვში 1924 წ. ოქტომბერს. მოგვყავს ამხ. ბერიას საანგარიშო მოხსენებიდან ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციათა მე-7 ყრილობაზე. ა.-კ. პარტგამომცემლობა, 1934 წ., გვ. 19 — 20).

ფაშისტურ-კონტრრევოლუციური მენშევიკური პარტიის ნაძირალებმა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, საბოლოოდ მიჰყიდეს თავისი თავი იმპერიალისტებს და ინტერვენტებს. ისინი მთელ თავის იმედს ამყარებდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კონტრრევოლუციურ ომსა და ინტერვენციაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისინი გადაიქცნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გენერალური შტაბების და კონტრდაზვერვის ჩვეულებრივ ჯაშუშებად და მზვერავებად, ფაშიზმისა და იმპერიალიზმის პირდაპირ აგენტებად.

და ქართველი უკლონისტები ცდილობდნენ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინათ ამ გარეწრებთან!

საქართველოს კომპარტიამ, მიუხედავად ქართველი ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობისა, საბოლოოდ გაანადგურა კონტრრევოლუციური მენშევიზმი, მოსწყვიტა მენშევიკებს მუშათა და გლეხთა ის მოტყუებული ჯგუფები, რომელნიც წინათ ჯერ კიდევ მიჰყვებოდნენ მენშევიკებს.

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ნაციონალური სოციალისტური კულტურის უდიდესმა აღმავლობამ უზრუნველჰყვეს მენშევიზმის სრული ლიკვიდაცია საქართველოში.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლისა და კლასების ლიკვიდაციის ახლანდელ პირობებში მენშევიკთა ცალკეულ ნამსხვრევებს არ შეუძლიათ გამოცოცხლდნენ და გააქტიურდნენ ჩვენი მშენებლობის ცალკეულ უბნებზე.

ქართველ უკლონისტთა ოპოზიციას სრული თანაგრძნობა გამოუცხადა და მხარი დაუჭირა მებრძოლმა ქართულმა მენშევიზმმა და ნაციონალშოვინისტურმა ინტელიგენციამ.

ქართველ მენშევიკებს არაერთხელ მოუწოდებიათ ნაციონალ-უკლონისტები პროლეტარიატის დიქტატურასთან საბრძოლველად.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ნაციონალ-უკლონისტთა ბრძოლაში დიდი სკოლა გაიარეს. მათ გაანადგურეს ნაციონალისტები და ნაციონალ-უკლონისტები, შექმნეს და განამტკიცეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია — ნაციონალური მშვიდობიანობის, ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანებული სოციალისტური მშენებლობის და სამეურნეო კულტურული აღორძინების მძლავრი იარაღი.

ამგვარად:

1) ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოს ბოლშევიკთა კომპარტიის რიგებში წარმოადგენდა მემარჯვენე-ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური ელემენტების ზეგავლენას ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ცალკეულ ფენებზე.

ნაციონალ-უკლონისტთა ოპოზიცია, დაადგა რა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, ქართული მენშევიზმის პოზიციებისაკენ დაექანა.

2) ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა შემტევ შოვინიზმს, რომელიც გამოხატავდა ქართველი მენშევიკების და ნაციონალ-დემოკრატების დიდმპყრობელურ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს.

ნაციონალ უკლონისტები, დაადგნენ რა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, გააფთრებით იბრძოდნენ ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიის წინააღმდეგ, ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრის სამუდამოდ განმტკიცებისათვის საქართველოში.

3) ნაციონალ-უკლონისტები აგრარულ-გლეხურ საკითხში გამოხატავდნენ ქართველ თავად-აზნაურთა და კულაკთა ინტერესებს და მოთხოვნებს.

ნაციონალ-უკლონიზმი, იცავდა რა კულაკურ აგრარულ პოლიტიკას, ჩვენი სოფლის განვითარების კაპიტალისტური გზის მღალადებელი და დამცველი იყო.

4) ნაციონალ-უკლონისტებმა კონტრრევოლუციურ მენშევიზმთან ბრძოლის საკითხებში აშკარად ლიბერალურ-შემარიგებლური პოზიცია დაიჭირეს. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაუნდობელ ბრძოლას მენშევიკური კონტრრევოლუციონერების — საერთაშორისო იმპერიალიზმის ამ პირდაპირი აგენტების და თანაშემწეების წინააღმდეგ, ისინი სცვლიდნენ მენშევიკების — საქართველოს მუშათა და გლეხთა უბოროტესი მტრების — „მშვიდობიანი გადამუშავებისა“ და მათთან თანამშრომლობის პოლიტიკით.

5) ნაციონალ-უკლონიზმის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ ნაციონალ-უკლონიზმი, თუ იგი გაიმარჯვებდა, განამტკიცებდა ბატონყმობის ნაშთებს სოფლად, გაამაგრებდა კულაკების პოზიციებს, გადააქცევდა საქართველოს და ამიერ-კავკასიას ეროვნებათა შორის შეხლა-შემოხლის და სისხლისმღვრელ შეტაკებათა ასპარეზად, ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ინტერნაციონალურ ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხელფეხს გაუხსნიდა მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების რეაქციულ ძალებს და ამით გზას გაუკაფავდა იმპერიალისტურ ინტერვენციას და კაპიტალიზმის რესტავრაციას.

6) ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), ლენინისა და სტალინის ნაციონალური პროგრამით შეიარაღებულებმა, დაამარცხეს და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტები, აღმართეს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ურღვევი შენობა, შეჰქმნეს და განამტკიცეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია „ბურჟუაზიის დროს უმაგალითო და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში“ (ლენინი).

(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან, დარბაზში გაისმის შეძახილი „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „ვაშა ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!“, „გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!“).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ. პ. პოსტიშევი

უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის გზები*)

ამხანაგებო! უკრაინის მწერალთა ყრილობამ და მწერალთა საკავშირო ყრილობამ რამდენიმე წლისთვის დასახეს ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის პროგრამა. ამიტომ ჩემს ამოცანად არ მიმაჩნია დავსვა თქვენს წინაშე რაიმე ახალი შემოქმედებითი საკითხი. მე მსურს ვილაპარაკო იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომლის პირობებში ამჟამად მუშაობენ და უახლოეს დროშიც მოუხდებათ მუშაობა უკრაინის საბჭოთა მწერლებს. ამ ვითარების ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თქვენი კავშირის შიგნით სწორი ურთიერთობის შესაქმნელად და მაღალიდეური და ნამდვილი მხატვრული შემოქმედების გასაშლელად.

მაგრამ არ შეიძლება ამ პოლიტიკური ვითარების გაგება, არც მხატვრული ლიტერატურის დარგში ჩვენი ამოცანების სწორად დასახვა, თუ ოდნავ მაინც თვალი არ გადავავლეთ იმ გზას, რომელიც თავის განვითარების მანძილზე საბჭოთა უკრაინულმა ლიტერატურამ გაიარა. საბჭოთა უკრაინული ლიტერატურა ჩამოყალიბდა და განვითარდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში და თვით ეს ლიტერატურაც წარმოადგენდა უკრაინაში ამ ბრძოლის ერთ-ერთ უმწვავეს უბანს.

უწინარეს ყოვლისა, ამხანაგებო, გაითვალისწინეთ, რომ აქ ლაპარაკია უკრაინის მხატვრულ ლიტერატურაზე, — უკრაინის, სადაც სამოქალაქო ომი განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობდა, სადაც კლასობრივი მტერი თავის ბრძოლას სოციალიზმის წინააღმდეგ აწარმოებდა ნაციონალისტური დროშის ქვეშ. უკრაინაში თავი მოიყარეს პროლეტარული დიქტატურის მიერ განადგურებული კონტრ-რევოლუციური ორგანიზაციებისა და პარტიების მრავალრიცხოვანმა ნამსხვრევებმა. ძალიან ხში-

*) სიტყვა, წარმოთქმული უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად კლასობრივ მტერს რაზმავდა და რაზმავს სხვადასხვა შტაბი ინტერვენტებისა, რომლებიც ცდილობენ ჩამოაშორონ უკრაინა საბჭოთა კავშირს და კვლავ დაუმონონ იგი მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალა-უფლებას. აშკარაა, რომ უკრაინის კლასობრივი ბრძოლის ამ თავისებურებას არ შეეძლო თავისი დაღი არ დაესვა უკრაინული ლიტერატურის განვითარებაზე.

ძნელი გასაგები არ არის, რატომ ებღაუჭებოდა კლასობრივი მტერი ასე ძლიერ თავის პოზიციებს მხატვრულ ლიტერატურაში. მტრები ყოველნაირად ცდილობდენ განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები იდეოლოგიური ფრონტის ამ უბანზე, რადგან მათ კარგად ესმოდათ მხატვრული ლიტერატურის ზეგავლენის დიდი ძალა მასების შეგნებაზე. თავის დროზე მხატვრული ლიტერატურა მტრებს საშუალებას აძლევდა შეენიღბათ საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული თავიანთი ნამდვილი პოლიტიკური მისწრაფებანი. რის შემოპარებაც მტრებს პირდაპირი კონტრ-რევოლუციური პროპაგანდით არ შეეძლოთ, ამას ისინი არა-იშვიათად ახერხებდენ მხატვრული სახეების საშუალებით. აიღეთ, მაგალითად, ისეთი, ყველა თქვენთაგანისათვის ცნობილი ნაწარმოებები, როგორიც არის კულიშის „ნაროდნი მალახი“, ოსტაპ ვიშნის „უსმიშკი“ ან დოსვიტნოს „ნას ბულო ტროე“. ეს ნაწარმოებები რამდენიმე წლის განმავლობაში ვრცელდებოდა ბიბლიოთეკებსა და სკოლებში. ცხადია, ამ ნაციონალურ პროპაგანდას წლების განმავლობაში შეეძლო დაუსჯელად ესეირნა უმთავრესად სწორედ იმის გამო, რომ ამ ნაწარმოებების კონტრ-რევოლუციური იდეები მოხერხებულად იყო მიმალული მხატვრულ სახეებში. ყველაფერი ეს ცხადჰყოფს, რატომ მიაპყრო მტერმა განსაკუთრებული ყურადღება მხატვრულ ლიტერატურას, რატომ მოუყარა მან თავი მნიშვნელოვან კადრებს სახელდობრ აქ.

უკრაინელი კულაკის ყველა ან თითქმის ყველა იდეოლოგი ეს ეფრემოვები, ნიკოვსკები, ჩეხოვსკები და უკრაინული ნაციონალისტური ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები მოღვაწეობდენ მხატვრული ლიტერატურის დარგში როგორც მწერლები, ლიტერატურათმცოდნენი, ლიტერატურის ისტორიკოსები. ნაციონალისტური კონტრ-რევოლუციის ამ „ზუბრებს“ უკვე 1919 — 1923 წლებში ჰქონდათ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული თავიანთი უჯრედები, როგორიც იყო „ასპისი“ (მწერალთა ასოციაცია), „ლანკა“ და ბევრი სხვა ორგანიზაცია, ხოლო უფრო გვიან — უკრაინის კონტრ-რევოლუციური კავშირის „განთავისუფლების“ ლიტერატურული ჯგუფი.

თუ ჩვენდამი მტრულად განწყობილ ნაციონალისტურ ელემენტებს, კონტრ-რევოლუციური უკრაინული ლიტერატურის განვითარების პირველ წლებშივე ჰყავდათ მნიშვნელოვანი, გამოცდილი, ორგანიზებული

კადრები, სულ სხვანაირი მდგომარეობა გვქონდა ამავე წლებში უკრაინული ლიტერატურის ჩვენი საბჭოთა კადრების მხრით. უწინარეს ყოვლისა ეს კადრები საზოგადოდ მცირე იყო.

ეს კადრები, ლიტერატურაში ჩასაფრებული ბურჟუაზიული ნაციონალისტების შეგნებული ხელის შეშლის გამო, ნელა იზრდებოდენ რიცხობრივად და ნელა მწიფდებოდენ როგორც მხატვრები.

ცხადია, რომ უკრაინულ ლიტერატურაში მისი განვითარების პირველ ხანებში ძალების — საბჭოთა და ჩვენდამი მტრულად განწყობილი ბანაკის ძალების — ასეთი შეფარდება აძნელებდა ლიტერატურულ პროცესზე პროლეტარიატისა და პარტიის გავლენას, აფერხებდა უკრაინელი მწერლების მერყევ ფენებში ნაციონალისტური ნაშთების დაძლევას და მეტად მტკივნეულად მოქმედებდა საბჭოთა მწერლების აღზრდაზე, უკრაინული ლიტერატურის მთელ შემდგომ განვითარებაზე.

ლიტერატურული პოლიტიკის ძირითადი საკითხები

თუ შევეცდებით საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის განვითარების ცალკეულ ეტაპებად დაყოფას, მე ვფიქრობ შეიძლება ჩამოვთვალოთ სამი ასეთი ძირითადი ეტაპი.

პ ი რ ვ ე ლ ი ეტაპი შეიცავს დროს, დაახლოვებით, ნეპში გადასვლის მომენტიდან აღდგენის პერიოდის ბოლომდე. რა არის ამ პერიოდში დამახასიათებელი უკრაინის საერთო პოლიტიკური მდგომარეობისათვის? უკრაინაში განსაკუთრებით მძაფრად მიმდინარე სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, პარტია შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენას. ფაბრიკებსა, ქარხნებსა და მაღაროებში მიმდინარეობს იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროს დაქსაქსული პროლეტარიატის შეკრების პროცესი. სწარმოებს სოფლის მეურნეობის აღდგენა. მშენებლობის ყველა დარგში იშლება უკრაინის მუშათა და მშრომელ გლეხთა შემოქმედებითი ძალები. პარტია პირისპირ მიუდგა კულტურული პროცესების ხელმძღვანელობის საკითხებს უკრაინაში.

ნეპში გადასვლამ, ამ პერიოდში სოფელსა და ქალაქში კაპიტალისტური ელემენტების ზრდამ უკრაინულ ნაციონალისტურ კონტრ-რევოლუციას კვლავ შეასხა ფრთები. მათ აღეძრათ იმედი საბჭოთა ხელისუფლების გადაგვარებისა, იმის იმედი, რომ თუ აშკარა ბრძოლის დროს არ მოხერხდა საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება, იქნებ მოხერხდეს მისი შიგნიდან გახრწნა. იწყება „სმენოვეხობის“ პერიოდი. ცნობილი უკრაინელი ნაციონალისტი-ემიგრანტი იულიან ბაჩინსკი წერს ამ პერიოდში:

„ბოლშევიკების ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჰქმნის უკრაინაში ნამდვილი უკრაინული კაპიტალიზმისა და მისი კულტურის ზრდის შესაძლებლობას. ხელები უნდა დავიმკლავოთ და მუშაობას შევუდგეთ“.

და მართლაც, უკრაინული ნაციონალიზმის იდეოლოგებმა დაიწყეს ხელების დამკლავება, შეუდგნენ „მუშაობას“. ემიგრაციიდან ბრუნდებიან ნიკოვსკი და უკრაინული ნაციონალიზმის რამდენიმე სხვა იდეოლოგი, და საბჭოთა ლოიალობის ნიღაბით იწყებენ ნაციონალისტური მუშაობის გაშლას, ცდილობენ პარტიის მიერ წარმოებული უკრაინიზაცია ნაციონალიზმის კალაპოტში მოაქცეონ.

ყველა ამ პროცესმა თავისი გამოხატულება ჰპოვა უკრაინულ ლიტერატურაში. საბჭოთა უკრაინული ლიტერატურა იმ დროს თავის პირველ ნაბიჯებს სდგამდა მხოლოდ. პროლეტარული ლიტერატურისა და ნამდვილი მწერლების კადრი იმ პერიოდში ჯერ კიდევ მეტად მცირერიცხოვანი იყო.

უკრაინის ლიტერატურის ანტისაბჭოთა ბანაკში ჩვენ ვხედავდით ნაციონალიზმის ისეთ „ზუბრებს“, როგორიც იყო ეფრემოვი, ნიკოვსკი, სტარიცკა-ჩერნიახივსკა, ჩეხოვსკი, ივჩენკო, რომელნიც შემდეგ ჩამოყალიბდენ „უკრაინის განთავისუფლების“ ლიტერატურულ ჯგუფად. ჩამოყალიბდა აგრეთვე ეგრეთწოდებული ნეოკლასიკოსების — ზეროვის, მოგილიანსკის და სხვების — ჯგუფი.

ამ ეტაპისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი იყო ის, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა არა იმდენად ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოებებისა ან მხატვრული სახეების გარშემო, არამედ უმთავრესად იმის გარშემო, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა უკრაინული ლიტერატურა, როგორია მისი ამოცანები, როგორია მისი განვითარების გზები. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ პერიოდში ბრძოლა მიმდინარეობდა იმდენად არა მხატვრული შემოქმედების საკითხების, რამდენადაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურული პოლიტიკის საკითხების გარშემო.

ბრძოლა იშლება ისეთი ძირითადი საკითხების გარშემო, როგორიც არის საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ლიტერატურასთან, განსაკუთრებით კი რუსულ ლიტერატურასთან; საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის დამოკიდებულება ბურჟუაზიული დასავლეთის ლიტერატურასთან და უკრაინულ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან; ურთიერთობა ლიტერატურულ შემოქმედებასა და პოლიტიკას შორის; როგორი უნდა იყოს საბჭოთა მწერალი და, კერძოდ, როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივ აზრთან და სხვ.

მხატვრული ლიტერატურის ყველა ამ ძირითად საკითხზე ნაციონალისტური ელემენტები და მათი შუმსკი-ხვილევოის აგენტურა უკრაინის კომპარტიაში (ბ) თავიანთ პასუხებს იძლეოდენ. როგორ პასუხს იძლეოდენ ისინი ამ საკითხებზე? აი როგორ: შორს მოსკოვისაგან და, კერძოდ,

რუსული ლიტერატურისაგან, ჩვენ ვერაფერს ვისწავლით მათგან, გაუთანასწორდით ბურჟუაზიულ დასავლეთს; ნამდვილმა [illegible] საზოგადოებრივ აზრს ანგარიში არ უნდა გაუწიოს, [illegible] ბრბოზე, რომელიც ჯერ [illegible] ვერ გაზრდილა; მხატვრული შემოქმედება პოლიტიკისაგან თავისუფალი უნდა იყოს, უნდა დავიცვათ „წმინდა“ ხელოვნება, თავისუფალი პარტიულობისა და ტენდენციურობისაგან და სხვ.

1935 წელს დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს განვმარტოთ, რომ „წმინდა“, „ემოციური“ ხელოვნების ყველა ეს სიმბოლო, რომელსაც იცავდენ ეფრემოვები და მათი შუმსკი-ხვილევოის აგენტურა პარტიაში, მხოლოდ ნიღაბი იყო ნაციონალისტების ნამდვილ მისწრაფებათა დასაფარავად: მათ სურდათ პარტიის ხელიდან გამოეგლიჯათ ლიტერატურული პროცესების ხელმძღვანელობა; დასაწყისში ჩაეხშოთ საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის პროლეტარული რაზმი; ლიტერატურის კარები დაეხშოთ მუშების, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის წრიდან გამოსულ ახალ კადრებისათვის; ხელში ჩაეგდოთ ჰეგემონია ლიტერატურულ და მთელ კულტურულ ფრონტზე; მოემზადებინათ წინასწარი პირობები საბჭოთა კავშირიდან უკრაინის მოსაწყვეტად და იქ კაპიტალიზმის რესტავრაციის მოსახდენად.

უკრაინის ბოლშევიკების კომუნისტურმა პარტიამ გამოამჟღავნა ნაციონალისტებისა და პარტიაში მათი ხვილევოი-შუმსკის აგენტების ამ „მხატვრული“ გეზის ნამდვილი პოლიტიკური შინაარსი, განამტკიცა თავისი ხელმძღვანელობა ლიტერატურულ პროცესებზე, უფრო მეტად გააძლიერა ბრძოლა ნამდვილი საბჭოთა ლიტერატურული მოძრაობის გასაშლელად უკრაინაში. ამ ბრძოლაში იზრდებოდენ და პოლიტიკურად იბრძმედებოდენ ჩვენი საბჭოთა მწერლები, მერყევი ელემენტები ძლევდენ თავიანთ ეჭვებს და ქანაობას და დგებოდენ საბჭოთა უკრაინელ მწერალთა რიგებში.

ძირითადად ასეთი იყო რევოლუციის მომდევნო უკრაინული ლიტერატურის განვითარების პირველი ეტაპი.

ნაციონალიზმთან ბრძოლაში იბრძმედებოდენ უკრაინელი მწერლები

საბჭოთა უკრაინული ლიტერატურა შევიდა თავისი განვითარების მეორე ეტაპში, რომელიც გაგრძელდა დაახლოვებით აღდგენის პერიოდის დამლევიდან 1932—1933 წლებამდე. ამ პერიოდში პარტია შეუ-

დგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფართოდ განხორციელებას და კაპიტალიზმის ყველაზე უფრო ღრმა ფესვების აღმოფხვრას — მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას. არ შეიძლებოდა, რომ ამას არ გამოეწვია კლასობრივი ბრძოლის უსასტიკესი, უმძაფრესი წინააღმდეგობა. თქვენ ყველამ იცით, მტრების როგორ წინააღმდეგობას შეხვდენ პარტია და ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები სოციალიზმის მშენებლობის ამ ძირითადი საკითხების გადაჭრის დროს.

ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა უკრაინაში ინდუსტრიალურ-საკოლმეურნეო მშენებლობა, საბჭოთა უკრაინული კულტურის მშენებლობა ყველა მის უბანზე. უკრაინული ლიტერატურული ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა კადრებმა, რომლებიც წინად მერყეობდნენ, სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისა და საბჭოთა უკრაინული კულტურის აყვავების ზეგავლენით პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ უფრო გაბედულად და მეტი რწმენით დაიწყეს გადმოსვლა ნამდვილ საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის პოზიციებზე. დნეპროჰესი, მშენებლობა დონბასში, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა — ყველა ჩვენი წარმატება ინდუსტრიალურ ან საკოლმეურნეო მშენებლობაში საკმაოდ დამარწმუნებელი ფაქტები იყო წინათ მერყევ უკრაინელ მწერლებისათვის.

მაგრამ კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებას მთელ ფრონტზე, სოციალიზმის გაშლილ შეტევასთან დაკავშირებით, არ შეიძლებოდა ლიტერატურაში არ ეპოვა გამოხატულება. ამასთან ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ ამ პერიოდში ნაციონალისტური ელემენტები ლიტერატურაში ღებულობდენ დიდ დახმარებას სკრიპნიკისა და მისი ნაციონალისტურ „შკოლკის" სახით.

სკრიპნიკი და მასთან ყველა ეს გირჩაკები, ოვჩაროვები, რეჩიცკები, სუხინო-ხომენკები კვლავ აყენებენ იმავე ნაციონალისტურ გეზს საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის საკითხებში, რომლებსაც წინა ეტაპზე იცავდენ ეფრემოვები, ნიკოვსები, ზეროვები, ხოლო უკრაინის კ. პ. (ბ) შიგნით — შუმსკი და ხვილევი. სკრიპნიკი და მისი „შკოლკა" კვლავ ცდილობენ დაუპირისპირონ უკრაინული ლიტერატურა რუსულს, ჩამოაშორონ ლტერატურული მოძრაობა პარტიის ხელმძღვანელობას, მოახდინონ მხატვრული ლიტერატურის ყველა ნაციონალისტური ელემენტის კონსოლიდაცია, ამავე დროს სდევნიან და ლანძღავენ საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის პროლეტარულ რაზმს, ყოველნაირად სახელს უტეხენ ყველა პატიოსან, ნამდვილ საბჭოთა მწერალს. აშკარაა, რომ სკრიპნიკისა და მისი „შკოლკის" ამ მოქმედებამ, ისევე, როგორც სიფხიზლის მოდუნებამ უკრაინის კ. პ. (ბ) შიგნით 1931 — 1932 წლებში თავის მხრით ხელი შეუწყო ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური ელემენტების აქტივიზაციას მხატვრულ ლიტერატურაში.

თუ საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის განვითარების პირველ ეტაპზე ბრძოლა წარმოებდა უმთავრესად ლიტერატურულ ფორმიტიკის ძირითადი საკითხების გარშემო, მეორე ეტაპზე ეს ბრძოლა იშლება განსაკუთრებით თვით მხატვრულ შემოქმედებაში.

მე მინდა ზოგიერთ ნაწარმოებზე გიჩვენოთ, როგორ სხვადასხვანაირად გამოხატავდენ საბჭოთა მწერლები, ერთის მხრით, და კონტრ-რევოლუციონერები, ნაციონალისტები, მეორეს მხრით, სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთ ცენტრალურ, ძირითად საკითხს, როგორც მოგეხსენებათ, წარმოადგენს საკითხი ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის შესახებ, საკითხი პროლეტარული ქალაქის ხელმძღვანელი როლის შესახებ სოფლის მშრომელთა მიმართ.

როგორ გვიხატავენ საბჭოთა სოციალისტურ ქალაქს თავიანთ ნაწარმოებებში ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ელემენტები? ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის პიდმოგილნის „მისტო“. სოციალისტური ქალაქი მისი ასახვით არის გლეხთა ექსპლოატაციის კერა, გამხრწნელი გავლენის გამტარებელი სოფლად და უკრაინელი ხალხის ნაციონალური სულის დამრღვევი. სტეფანე რადჩენკო პიდმოგილნის „მისტო“-დან ქალაქში ჩასვლისას ხედავს იქ მხოლოდ წყვდიადს, სისაძაგლეს, პროსტიტუციას, ბიუროკრატიზმს. ვერც პროლეტარიატს, ვერც, საზოგადოდ, რაიმე ჯანსაღ ძალას პიდმოგილნის მიერ ასახულ ქალაქში ვერ დაინახავთ. ასე გვიხატავდა მხატვრულ ლიტერატურაში მტერი სოციალისტურ ქალაქს; იგი ცდილობდა საქმე ისეთნაირად წარმოედგინა, თითქოს უკრაინელ ხალხისთვის სოციალისტური ქალაქი უცხოა, მისდამი მტრულად განწყობილი, თითქოს უკრაინელი ხალხის ძალა სოფელშია, იგულისხმე, კულაკში.

მე არ ვიტყვი, რომ ჩვენმა საბჭოთა მწერლებმა უკვე გვიჩვენეს სოციალისტური ქალაქი ისეთი, როგორც იგი ნაჩვენები უნდა იყოს. მაგრამ შეადარეთ პიდმოგილნის „მისტო“ უპარტიო საბჭოთა მწერლის კოპილენკოს ნაწარმოებს „ნაროდჟუეტსია მისტო“-ს. კოპილენკო აქ გვიჩვენებს სოციალისტური ქალაქის შემოქმედებით როლს, მის ზრდას, მის მნიშვნელობას სოფლის სოციალისტურ რეკოსნტრუქციაში, ადამიანთა გარდაქმნაში.

სოციალისტური ქალაქის ამსახველ ამ ორი ნაწარმოების მაგალითზე თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ მკაფიოდ გამოსახული კლასობრივი წყალგასაყარი უკრაინის ლიტერატურის საბჭოთა და ანტისაბჭოთა ბანაკებს შორის.

აიღეთ სოფელი. სოფლის თემატიკა განსაკუთრებით იზიდავდა უკრაინელ ნაციონალისტებს. თავიანთ ნაწარმოებებში სოფელს გვიჩვენებდენ ხვილევოიც, ოსტაპ ვიშნიაც, კოსინკაც, იაკოვენკოც და სხვებიც.

მათ ნაწარმოებებში სოფელი ცხოვრობს თავისი საუკუნოებრივი კარჩაკეტილი, ხუტორული ცხოვრებით. საბჭოთა ხელისუფლებას სოფლად ისინი გვიხატავენ, როგორც მონატან, უცხო მოვლენას. მათ ნაწარმოებებში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს სოფლად არავითარი სოციალური ფესვები და კავშირი არა აქვთ. ისინი ჩვეულებრივად გამოყვანილი არიან დეგენერატებად, გონჯებად, დოყლაპიებად. სამაგიეროდ კულაკი წარმოდგენილია შეუმუსრავ ძალად, რომელზედაც, როგორც, მაგალითად, იაკოვენკო ცდილობს გვიჩვენოს თავის რომანში „ბრძოლა გრძელდება", სოფლის კოლექტივიზაცია აუცილებლად დაიმსხვრევა. ასე ეხმაურებოდა მტერი სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესს.

ქალაქის ასახვის შესახებ ლაპარაკის დროს იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ საბჭოთა მწერლებმა ჯერ ვერ გვიჩვენეს სოციალისტური ქალაქის ნამდვილი სახე. იმავეს თქმა უფრო მეტი საფუძვლით შეიძლება ჩვენი საბჭოთა მწერლების მიერ უკრაინის საკოლმეურნეო სოფლის ასახვის შესახებ.

მაგრამ მაინც აიღეთ, მაგალითად, ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის გოლოვკოს „ბურიანი" ან შემდეგ დაწერილი კირილენკოს „ავანპოსტები" და შეადარეთ ისინი ხვილევოის, იაკოვენკოს, კოსინკის და სხვათა ნაწარმოებებში მოცემულ სოფლის ასახვას. აქ, ისევე, როგორც პატიოსან საბჭოთა მწერლების სხვა ნაწარმოებებში, თქვენ ხედავთ, რომ ნაჩვენებია სოფლის მშრომელი მასების უმჭიდროესი კავშირი მუშათა კლასთან, პარტიის როლი სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში, სოფლის აყვავება კოლმეურნეობის საფუძველზე, გუშინდელი წვრილი მესაკუთრის კოლექტივისტად და სოციალისტურ მშრომელად გარდაქმნის პროცესი.

ან აიღეთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი პარტიის წევრის, კომუნისტის ტიპი. მტრები, ნაციონალისტები, თავიანთ ნაწარმოებებში კომუნისტებს გვიხატავდენ ვიწროშუბლიან, არამთლიან ადამიანებად, რომლებიც მუდამ იბნევიან სხვადასხვა წინააღმდეგობისაგან. ამაში გასაკვირი არაფერია. ისინი ხომ მტრები არიან.

პარტიის უდიდესი ხელმძღვანელობითი, აღმშენებლობითი მუშაობა, ეს უშველებელი თემა, ჩვენი საბჭოთა მწერლების მიერ ჯერ კიდევ ძალიან ძუნწად, არასაკმარისად არის ასახული. მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებებში უკვე ნაჩვენებია კომუნისტების არა ურიგო ტიპები; ასეთია, მაგალითად, ოკსანა კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვაში", დუდარი მიკიტენკოს „დიქტატურაში", ვაგრამი პერვომაისკის „ვაგრამის ღამეში"

და სხვ. ჩვენ გვაქვს ისეთი ძვირფასი პოეტური ნაწარმოები, როგორიც არის ტიჩინას „პარტია ვედე", სადაც ნაჩვენებია კომუნისტური პარტიის როლი. გვაქვს ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის ფეფერის „ეს ხინ-ვეიერი" და სხვ. ამ ნაწარმოებებში კომუნისტი გამოყვანილია ისეთად, როგორიც შეესაბამება მის ნამდვილ როლს ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში. ის ნაჩვენებია როგორც წინამძღოლი, მასის ხელმძღვანელი, მებრძოლთა პირველ რიგებში თავისი პარტიული მოვალეობის ვაჟკაცურად და თავდავიწყებით შემსრულებელი, ნაჩვენებია, როგორც გამარჯვებებისკენ მასების წამყვანი.

მე აქ შევჩერდი იმაზე, თუ როგორ გვიხატავს სოციალისტურ ქალაქსა და სოფელს, კომუნისტს უკრაინული ლიტერატურის საბჭოთა და ანტისაბჭოთა ბანაკი. ამით, რასაკვირველია, არ განისაზღვრება იმ პრობლემათა წრე და სახეების გალერეია, რომელთა გარშემოც უკრაინის მხატვრულ ლიტერატურაში კლასობრივი ბრძოლა სწარმოებდა. მაგრამ მოყვანილ მაგალითებიდანაც საკმაოდ ნათელი ხდება იმ მეთოდების მთელი მრავალფეროვნება, რომლებსაც მტერი მიმართავდა ლიტერატურაში თავისი სიტყვისა და საქმისთვის ბრძოლის დროს, იმ ვითარებისა და ბრძოლის მთელი სირთულე, რომლებშიაც კრისტალიზდებოდა საბჭოთა უკრაინული ლიტერატურა. ამ ბრძოლაში იბრძმედებოდენ ჩვენი მწერლები, სძლევდენ თავიანთ წინააღმდეგობებსა და გადმონაშთებს მერყევი ელემენტები, იბადებოდა ჩვენი წიგნები, მტკიცდებოდა სიტყვის ნამდვილი საბჭოთა მხატვრების ლაშქარი.

იზრდება და მაგრდება უკრაინული საბჭოთა ლიტერატურა

რათა დავამთავრო ერთი თვალის გადავლებით გაკეთებული ეს ისტორიული მიმოხილვა, მინდა შევჩერდე საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის მესამე ეტაპზე. ის გრძელდება დაახლოვებით 1932 წლის დამლევიდან მახლობელ წარსულამდე. თქვენ იცით, როგორი სპეციფიური, განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო ამ დროს უკრაინაში; თქვენ იცით, რომ 1932 წელი და 1933 წლის გაზაფხული უკრაინაში მძიმე პერიოდი იყო. 1931 — 1932 წლები უკრაინის სოფლის მეურნეობაში ღრმა გარღვევის წლებს წარმოადგენდა.

მშრომელი მასების საერთო შეტევით და პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ მოვახდინეთ ამ უმძიმესი გარღვევის ლიკვიდაცია. ჩვენ დავცხეთ ნაციონალისტებს, რომელთაც მოიკალათეს მშენებლობის მრავალ უბანში და განსაკუთრებით საბჭოთა უკრაინული კულტურის მშენებლობის უბანში. ჩვენ გავანადგურეთ ნაციონალისტური გადახრა უკრაინის კ. პ. (ბ) შიგნით სკრიპნიკისა და მისი მომხრეების სახით.

ამან შეგვაძლებინა ფართოდ გაგვეშალა საბჭოთა უკრაინული კულტურის მშენებლობა, და მერყევ მწერალთა ძირითადმა მასამ, რომელთა ყოყმანიც ამ მძიმე წლებში უფრო ძლიერდებოდა, გაბედულად იწყო გადმოსვლა საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე. საბჭოთა უკრაინული ლიტერატურა, საბჭოთა მწერლები ამ პერიოდში დაადგნენ მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების გზას. აქ, რასაკვირველია, განსაკუთრებული როლი ითამაშა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის დადგენილებამ, რომელიც ამხ. სტალინის ინიციატივით იქნა მიღებული. ამ მესამე პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა როგორც უკრაინული მხატვრული ლიტერატურა, ისე რუსული, ებრაული ლიტერატურა, უკრაინის ყველა ხალხის ლიტერატურა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკრაინის მწერლებს შორის ამ პერიოდშიც მოიპოვებოდა კიდევ მცირე რიცხვი აშკარა კონტრ-რევოლუციური, ნაციონალისტური ელემენტებისა, რომლებიც დაადგნენ ბრძოლის უკიდურეს, მწვავე, ბანდიტური მეთოდების გზას, დაადგნენ მაშინ, როდესაც დაჰკარგეს თავიანთ კონტრ-რევოლუციური საქმის გამარჯვების ყოველგვარი იმედი და იგრძნეს სრული იზოლირება მხატვრული შემოქმედების დარგში. მხატვრულ შემოქმედებაში სრულიად გამოფიტული დოსვიტნები, ხვილევები და სხვები დაადგენ ტერორის გზას. სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ მხატვრული სახეებით ბრძოლიდან ისინი გადავიდნენ დანით და ნაგანით ბრძოლაზე.

ეს რომ სწორედ ასეა, ჩანს მათ პირად ჩვენებებიდან. აი, მაგალითად, ერთე-ერთი ყველაზე უფრო გაშიშვლებული კონტრ-რევოლუციონერ-ნაციონალისტის ვლიზკოს ჩვენების ნაწყვეტი:

„1929 წლის დამლევიდან მე ვირიცხებოდი ფაშისტურ უკრაინულ ნაციონალისტურ ორგანიზაციაში, რომელშიაც ჩამაბა მწერალმა გეო შკურუპიმ. მე სავსებით ვიზიარებდი ჩვენი ნაციონალისტური ორგანიზაციის ყველა ტერორისტულ გეზს და ფაშისტურ პლატფორმას.

აი როგორი ჩვენება მისცა კულიშმა:

„1933 წლის აპრილს იალოვოიმ გვაცნობა ორგანიზაციის ცენტრის შეხედულება იმის შესახებ, რომ მზადება აჯანყებისთვის არ უნდა შეწყდეს, და მკითხა, როგორი იქნება ჩემი დამოკიდებულება ინდივიდუალური ტერორისადმი. მე ინდივიდუალური ტერორის ჩატარების მომხრე ვიყავი. ჩემი ტერორისტული განწყობილება განსაკუთრებით გაძლიერდა სკრიპნიკის თავის მოკვლის პერიოდში“.

მე შემეძლო მომეყვანა უკრაინელი ხალხის ამ მტერთა სხვა ჩვენებებიც, მაგრამ რაც მოვიყვანე, იქიდანაც ხედავთ, თუ რას წარმოადგენდნენ ეს ადამიანები. თქვენ ხედავთ მტერს, რომელსაც ნიღაბი ჩამოჰგლიჯეს და რომელიც უკანასკნელ პერიოდში მივიდა გაბოროტების უმაღლეს წერტილამდე, საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის უკიდურესი, ბანდიტური მეთოდების გამოყენებამდე.

ამ დღეებში თქვენთვის არა-უცნობმა ეპიკმა, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაციის საქმის გამო სასჯელი გამოუტანეს, გამოგზავნა წერილი ჩემსა და ამხ. კოსიორის სახელზე. ამ წერილში ეგი, სხვათა შორის, წერს:

„ტერორისტულ აქტებს რომ ვამზადებდით, ჩვენ უმანკო სახით ვარწმუნებდით პარტიას ჩვენს ერთგულებასა და პატიოსნებაში და მრავალი წლის განმავლობაში ვთამაშობდით ისეთ როლს, რომელთან შედარებითაც დიდი შარაგზის ავაზაკის მოქმედება პატიოსნებისა და ჰუმანიზმის ნიმუშია. მე ვიცოდი, რომ პროლეტარული სასამართლოს უმოწყალესი განაჩენიც კი მომეპყრობოდა, როგორც გაცოფებულ ძაღლს, გამანადგურებდა, როგორც ქოთაოთი დაავადებულ ცხენს, მომკვეთდა საზოგადოების სხეულიდან. კომუნისტური პარტია დიდსულოვნად ერწმუნა ჩემს მონანიებას. პარტიამ მაჩუქა სიცოცხლე და ამით მომცა დედამიწაზე შესაძლებელ ყველა ჯილდოდან უდიდესი ჯილდო — სიცოცხლის უფლება, შრომის სიხარულის უფლება“.

მათ არ მოექცენ, როგორც ცოფიან ძაღლს ან როგორც ქოთაოთი დაავადებულ ცხენს. დე იცოცხლონ, შეიძლება ოდესმე გამოსწორდენ კიდეც.

ასეთი იყო მწერალთა წრიდან გამოსული ნაციონალისტების, კონტრ-რევოლუციონერების მოქმედება საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის განვითარების ამ მესამე პერიოდში.

მერყევ უკრაინელ მწერალთა ნაშთები საბოლოოდ ჩამოშორდენ უკრაინელი ხალხის ამ მტრებს, მთელი საბჭოთა კავშირის მტრებს, ვინაიდან მათ დაინახეს, რომ ნაციონალისტებს, კონტრ-რევოლუციონერებს ისინი მიჰყავთ სრულ კონფლიქტამდე და კავშირის გაწყვეტამდე ჩვენს სოციალისტურ საბჭოთა სინამდვილესთან; ვინაიდან მერყევი ელემენტების ამ ნაშთებმა დაინახეს, რომ ურთიერთობა დოსტოევინებთან, კულიშებთან, კურბასებთან და მათ მსგავსებთან სრულ შემოქმედებით უნაყოფობას უქადის მათ.

ეს ახალი ვითარება ვერ გაიგეს, უნდა პირდაპირ და აშკარად ითქვას, იმ კომუნისტებმა, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის დარგში მუშაობენ. და რა რიგ საწყენადაც არ დაურჩეს მათ, პირდაპირ და გარკვევით უნდა ვუთხრათ კომუნისტ-მწერლებს: თქვენ ვერ გაიგეთ ეს ახალი ვითარება და ვერ გააკეთეთ აქედან თქვენთვის საჭირო დასკვნები.

რა უნდა ექნათ კომუნისტ-მწერლებს:

პირველი: უნდა ეჩვენებინათ მერყევ ელემენტებისათვის, რომელთაც გაწყვიტეს კავშირი ნაციონალისტებთან, რომ მათ ვანსხვავებთ იმ მტრულ ელემენტებისგან, რომელთა გავლენის ქვეშაც ისინი იმყოფებოდენ. ჩვენმა კომუნისტ-მწერლებმა ეს განსხვავება არ გააკეთეს, და ეს ძალიან ცუდია.

მ ე ო რ ე: საჭირო იყო ყველა უპარტიო მწერლის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდენ ეს კულიშები, ეპიკები და სხვები, რისთვის დაისაჯენ ისინი. საჭირო იყო განმარტება, თორემ სხვებმა, არაჩვენმა კაცებმა, თავისებურად „განმარტეს". ეს არ გაკეთდა. ეს დიდი შეცდომა იყო.

მ ე ს ა მ ე: არ უნდა დაშვებულიყო, რომ წინათ ნაციონალისტებთან ურთიერთობის მქონე მწერლებს, მაგრამ თავიანთი ბუნებით ჩვენი საქმისადმი მტრულად განწყობილ ადამიანებს, თავი ეგრძნოთ იზოლაციის იმ მდგომარეობაში, რომელშიაც უკანასკნელ დრომდე ისინი იმყოფებოდენ. ეს ფაქტი იყო და მას ვერსად წაუხვალ. ჩვენ კომუნისტ-მწერლებს ასეთი მდგომარეობა არ უნდა დაეშვათ, ვინაიდან ამან საბჭოთა მხატვრულ შემოქმედებას ძალიან დიდი ვნება მიაყენა.

მ ე ო თ ხ ე: საჭირო იყო უფრო ფართოდ გაგვეშალა შემოქმედებითი მუშაობა და ჩაგვება მასში უკრაინის ლიტერატურის ყველა საბჭოთა ელემენტი. მაგრამ თუ ზემოთ ნათქვამი ვერ გავაკეთეთ, უკანასკნელის გაკეთებაც ძალიან ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი.

ყოველივე ეს არ გაკეთებულა. ზოგიერთს სურს ყველაფერ ამაში ბრალი დასდოს ეხლა ერთადერთ კულიკს. ეს არ არის სწორი. კულიკს, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა მწერალს, დიდი შეცდომები აქვს, და, რასაკვირველია, კულიკს, როგორც კავშირის თავმჯდომარეს, პირველ რიგში უნდა შეეგნო ეს ახალი ვითარება და საჭირო დასკვნებიც გაეკეთებინა. შესაძლებელია და საჭიროც არის, რომ მას მეტი მოეთხოვოს. მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი მას მოვახვიოთ, ყველაფრის ბრალი მას დავდოთ. ამით არ შეიძლება ფონს გასვლა. ზოგიერთ კომუნისტ-მწერალს სურს ადვილად დაიძვრინოს თავი, სურს მოიხსნას ბრალი იმ შეცდომებისთვის, რომლებიც დაუშვა უკრაინის კომუნისტ-მწერალთა მთელმა რაზმმა.

ამაში მხატვრული ლიტერატურის დარგში მომუშავე კომუნისტების მთელი რაზმის ძალიან დიდი, სერიოზული შეცდომაა. ეს კვლავ არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ კომუნისტი მწერლები არიან დამნაშავე. უკრაინის განსახკომიც, უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპიც და თვით ჩვენც რამდენადმე დამნაშავე ვართ, რომ დავაგვიანეთ ამ საკითხის გადაჭრა. ამჟამად ეს შეცდომა უნდა გამოვასწოროთ და ვასწორებთ კიდეც.

ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ უკრაინელ მწერალს წარსულში ჰქონდა ნაციონალისტური შეცდომები, მერყეობა. შეცდომები უნდა გამოსწორდეს, მერყეობა დაძლეულ და აღმოფხვრილ უნდა იქნას არა დეკლარაციებით, არამედ უმთავრესად დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობით. მე არ მინდა ისე გამიგოთ, როგორც ძალიან გონებამახვილ უკრაინულ ანდაზაშია ნათქვამი: „არც ეგნატეა დამნაშავე, არც ქალი კილინა, დამნაშავეა, მხოლოდ ქოხი, რომელმაც ღამით ეგნატე შეუშვა". არა, საქმე,

რა თქმა უნდა, ასე არ ყოფილა. ცხადია, დამნაშავეა ეგნატეც და ქალი კილინაც... მაგრამ საქმე ამაში არ არის.

ჩვენ ის პარტია ვართ, რომელიც სახელმწიფოს მართავს, და ამ საკითხებს უნდა მივუდგეთ სოციალიზმის მშენებლობის ინტერესების თვალსაზრისით.

ჩვენი დიდი ქვეყანა გიგანტურად იზრდება. მას ესაჭიროება დიდი ხელოვნება. და ჩვენ ვეუბნებით უკრაინელ მწერლებს, რომელთაც წარსულ ეტაპებზე ერთგვარი ძეროეობა და შეცდომა ჰქონდათ: ხელი მოჰკიდეთ მუშაობას, ხელი მოჰკიდეთ გაბედულად, რწმენით, ჩაებით უკრაინის დიდი საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის შემოქმედებაში (მქუხარეტაში) და ჩვენ მაგრა დაგეხმარებით, ყოველნაირად დაგეხმარებით.

ჩვენს კავშირში და საბჭოთა უკრაინაში შემოქმედებისთვის ეხლა განსაკუთრებით ხელსაყრელი მდგომარეობაა. ჩვენი ქვეყანა გიგანტურად გაიზარდა. ყოველდღიურად უფროდაუფრო მაგრდება სოციალისტური ინდუსტრია. უფრო მთლიანად იშლება და ხორციელდება ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც საკოლმეურნეო სისტემაშია მოცემული. წარმატებით იშლება პროცესი ქალაქისა და სოფლის მრავალსაუკუნოებრივი გათიშვის მოსასპობად. რასაკვირველია, ქალაქსა და სოფელში ჯერ კიდევ გვაქვს ცალკეული ნაკლი, სიძნელე, მაგრამ ეს სიძნელეები ხომ უმნიშვნელოა იმ უდიდესი სიმაღლის უღელტეხილებთან შედარებით, რომლებიც ჩვენ ავიღეთ.

თქვენ თვალწინ დაიბადა, ვითარდება, უფროდაუფრო იკრებს ძალას, ჯანს, კულტურას, ცხოვრების სილამაზეს ახალი სოციალისტური საზოგადოება. განა ყველაფერი ეს არა ჰქმნის პირობებს ჩვენი ნამდვილად მოწინავე, ნამდვილად საბჭოთა მწერლების შემოქმედებისათვის.

უკრაინა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა ორმაგ უღელ ქვეშ — „თავისი“ მემამულეებისა და კაპიტალისტების და თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული რუსეთის უღელ ქვეშ, ახლა გამოვიდა აყვავების ფართო გზაზე. 1931 — 1932 წლების გარღვევას სოფლის მეურნეობაში წარმატებით და სასწრაფოდ მოვუღეთ ბოლო. 1934 სას.-სამეურნეო წელი, რომელიც, როგორც იცით, ნაკლებად ხელსაყრელი იყო მეტეოროლოგიური მხრით, დაუბრკოლებლად ჩავატარეთ. 1935 წელი იმედს გვაძლევს, რომ ის იქნება დიდი მოსავლიანობის, მესაქონლეობის აწევისა და ყველა ჩვენი კოლმეურნეობის შემდგომი მნიშვნელოვანი განმტკიცების წელი.

უკრაინის მრეწველობა, კერძოდ, ქვანახშირის მრეწველობა და მეტალურგია გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდის. ამას, გვიჩვენებს ყოველდღიურად გამოქვეყნებული ნაკრები ცნობები ნახშირის, მეტალურგიისა და თუჯის, ფოლადის, გაგლინული რკინის ჩამოსხმის შესახებ. წარმატებით იშლება ბრძოლა ჩვენი მრეწველობის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისთვის, მისი მაღალი რენტაბელობისათვის.

საბჭოთა უკრაინული კულტურის მშენებლობის ხაზით უკანასკნელ დროს ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები როგორც კულტურული მშენებლობის მატერიალური ბაზის შექმნაში, ისე თვით კულტურის შემოქმედებაში. ახალი სკოლები, კლუბები, თეატრები, 50 ახალი კინოთეატრი სოფლად, უკრაინელ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა, მხატვრული ლიტერატურის მთელი რიგი ახალი ნაწარმოებები, ყველაფერი ეს საბჭოთა უკრაინული კულტურის ზრდის გამოხატულებაა. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, ნაციონალისტების განადგურების შემდეგ, ჩვენ შევქმენით უკრაინული კულტურის ახალი უდიდესი ღირებულებანი.

განა ეს ბრწყინვალე მასალა არ არის ნამდვილი მხატვრისათვის, მხატვრული სიტყვის ნამდილი ოსტატისათვის, განა ყველაფერი ეს არ ითხოვს მხატვრული ლიტერატურის დიდ ნათელ ტილოებს?

იმუშავეთ, ამხანაგებო, შეჰქმენით, ჩვენი დიდი ეპოქის ღირსი ნაწარმოებნი! ხელშემწყობ პირობებს, შესაფერ ატმოსფერას ყველა უკრაინელი მწერლის შემოქმედებითი მუშაობისთვის პარტია ჰქმნის და შეჰქმნის. და ერთ მეტად უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად უკრაინის საბჭოთა მწერლებს შორის ატმოსფერის გაჯანსაღებისთვის მე მიმაჩნია ის, რომ თქვენი წრიდან განვდევნეთ უკრაინელი ხალხის მტრები.

ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, უნდა იმუშაოთ თქვენი ოსტატობის დონის ასაწევად, ნამდვილი საბჭოთა უკრაინული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. მე არავითარი ეჭვი არ მეპარება, რომ პარტიის დახმარებით თქვენ დიდი შემოქმედებითი წარმატებით გადასჭრით საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ლტოლვა შემოქმედებისა და ნაყოფიერი მუშაობისაკენ

ამხ. სტალინმა მწერლებს „ადამიანის სულის ინჟენრები“ უწოდა. ეს ძალიან საპატიო და ამასთანავე ძალიან პასუხსაგები სახელწოდებაა. ეს ნიშნავს, რომ პარტია, ქვეყანა ელის თქვენგან ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ნამდვილად გაზრდის, ჩამოაყალიბებს ახალ ადამიანს — სოციალისტური უკლასო საზოგადოების ნამდვილ მოქალაქეს. თქვენი მოვალეობაა, უკრაინის საბჭოთა მწერლების მთელი რაზმის მოვალეობაა — ეს მოლოდინი და იმედები სავსებით გაამართლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მინდა გაგახსენოთ, რასაც ჯერ კიდევ ჰეინე ამბობდა:

> გენიოსი ნაღდად იხდის.
> შილერს, გოეთეს, ლესინგს, ვილანდს
> არ უყვარდათ ნისიად ცხოვრება.
> ოვაციებს ვალად არ იდებდენ,
> ხალხს თვალს არ უხვევდენ,
> რათა ისინი წინასწარ
> დაფნის გვირგვინით შეემკო.

წინასწარ დაფნის გვირგვინით უკვდავყოფა, რასაკვირველია, საჭირო არ არის, მაგრამ არც იმ იმედის დაკარგვაა საჭირო, რომ ასეთი გვირგვინით შეიძლება თქვენ უკვდავყოფილ იქნეთ.

„ადამიანის სულის ინჟენერი!" ეს, ამხანაგებო, ამაყად ისმის. ეს თქვენ ძალიან დიდ სიმაღლეზე გწევთ. მაგრამ ეს, ვიმეორებ, გაკისრებთ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას, ძალიან სერიოზულ ვალდებულებას.

ჩვენ ვუახლოვდებით ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავს. განა ამ წლების განმავლობაში საბჭოთა ადამიანის „სულში" მცირე ცვლილება მოხდა? მოხდა უდიდესი ცვლილება! განა საბჭოთა ადამიანის „სულში" ცოტა რამ არის ახალი, ნამდვილად სოციალისტური? განა ცოტაა ახალი, მშვენიერი გრძნობები და ცნობიერების თვისებები, რომლებიც ჩვენმა დიდმა ეპოქამ წარმოშვა და რომლებიც დროა მხატვრულ სახეებში გვიჩვენოთ?

აიღეთ, მაგალითად, საბჭოთა ადამიანის „სულის" ისეთი ახალი თვისება, როგორიც არის ლტოლვა შემოქმედებისადმი, ნაყოფიერი შრომისადმი. ჩვენს ქვეყანაში ყველა ჩამოსულზე, ჩვენი მტრების ბანაკიდანაც კი, საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მრავალმილიონიანი არმიის გატაცება შემოქმედებით, აღმშენებლობით, ახალი, ნათელი ცხოვრებისათვის ბრძოლით.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში მშრომელთა მილიონიანი მასები განთავისუფლდენ ჩაგვრისაგან, ექსპლოატაციისაგან, იძულებითი შრომისაგან, სხვისათვის, კაპიტალისტისა და მემამულეებისთვის შრომისაგან და დაიწყეს შრომა თავიანთთვის, თავიანთ სოციალისტურ საზოგადოებისათვის. პირველად კაცობრიობის ისტორიაში მშრომელთა მილიონიან მასებს გაეხსნათ ფართო გზა მეცნიერებისაკენ, კულტურისაკენ. პირველად კაცობრიობის ისტორიაში მშრომელთა მილიონიანმა მასებმა იგრძნეს, რომ სოციალისტურ კოლექტივში შრომა არის არა მძიმე ტვირთი, არამედ შემოქმედებისაგან, აღმშენებლობისაგან მიღებული უდიდესი სიამოვნება.

აიღეთ სოციალისტური შეჯიბრება — განა ეს მასობრივი შემოქმედების ძლიერი გამოვლინება არ არის? განა მასებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, არ შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე და ყოფი-

ლი რუსეთის იმპერია გარდაქმნეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად? აიღეთ ახლა კომკავშირი, პიონერია, ბავშვები — ეს შემოქმედებითი ენერგიისა და ენერგიის სიხარულის მფრქვევი ყვავილნარი.

ბიბლიოთეკა

მოიხმინეთ რევოლუციის წლებში კავშირის ხალხების მიერ შექმნილი სიმღერები, მოიარეთ მასობრივი სახვითი ხელოვნების გამოფენები, თვითმომქმედი შემოქმედების ოლიმპიადები, ჩვენი სტადიონები — ყველგან ნახავთ მასობრივი შემოქმედების ძალოვან გაქანებას. ასე ცხოვრობენ, ასე აშენებენ, ასე ჰქმნიან ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის განთავისუფლებული ხალხები (მქუხარე ტაში).

შემოქმედებისაკენ ლტოლვა საბჭოთა ადამიანის „სულის" ახალი თვისებაა. განა უკვე ნაჩვენებია „სულის" ეს თვისება ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში? არა, ნაჩვენები არ არის. თქვენ, ადამიანის სულის ინჟენრებო, თქვენ ვალდებული ხართ და უნდა გვიჩვენოთ სოციალისტური ქვეყნის მოქალაქის ეს ახალი თვისება მთელი მისი ძალით და მშვენებით.

აიღეთ შემდეგ საბჭოთა ადამიანის „სულის" ისეთი თვისება, თვითშეგრძნების ისეთი თვისება, როგორიც არის საკუთარი ღირსების გრძნობა, პატივისცემის ზრდა თავის თავისადმი და თანამოქალაქეებისადმი, რაც საერთო სოციალისტურ საქმეს ჰქმნის.

გლეხი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქედს იხრიდა, საათობით იდგა ქუდმოხდილი და უცდიდა როდის ჩაივლიდა ბატონი, გლეხი, რომლის ზურგზე მემამულის მათრახს ზუზუნი გაჰქონდა და რომელსაც ქვეყნის მჭამელი კულაკი წნელივით ღუნავდა, — ეს გლეხი ახლა კოლექტიური შრომის მონაწილეა. ის პატრონია, ის აკეთებს მშრომელთა დიდი ოჯახის საერთო საქმეს, იზრდება კულტურულად, ამაყობს თავისი შრომით, უფროდაუფრო მიისწრაფის წინ — კულტურისაკენ, ცოდნისაკენ.

კოლმეურნე დღეს თავისთვის სამარცხვინოდ სთვლის, თუ მისი კოლმეურნეობა მოწინავე არ არის, თუ მან თავისი ვალდებულება ვერ შეასრულა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინაშე, თუ მის კოლმეურნეობაში მოსავალი უფრო ნაკლებია, ვიდრე მეზობლისაში. ამაყად უჭირავს თავი, ახარებს საკუთარი ღირსების შეგნება, რომ იგი ჩვენი საზოგადოების სრულიად თანაბარი მოქალაქეა, იგი ვერ იტანს თავისი დამცირების, თავისი ღირსების შელახვის ოდნავ ცდასაც კი.

წარსულს, განსაკუთრებით კი მუშათა დაბებისა და ქალაქების წარსულს მე ურიგოდ არ ვიცნობდი. აი ამ წარსულის პატარა სურათი. პატარა სახე. ივანოვ-ვოზნესენსკი. ოჯახი, ხუთი ბავშვი. მეამბოხე მამას კატორღაში უკრეს თავი, ხოლო დედა, ფეიქარი, ხუთი ბავშვით იტან-

ჯება სილარიბისაგან, ჩხირით უზომავს პურს ბავშვებს, რათა ყველას აყოფინოს. მხოლოდ კვირა დღეს ხედავენ ბავშვები [illegible] პურს დედა ხშირად მათხოვრებისაგან იძენდა, რადგან ისინი — [illegible] ჰყიდდნენ. შვიდი წლის ბავშვი მძიმედ გაუხდა ავად. დედა ამის გამო დილით დაყოვნდა. ხედავს, რომ სამუშაოზე იგვიანებს, ეს კი ნიშნავს, ოთახიდან გაუძახებენ. ეს მთელი ოჯახის დალუპვაა. ამავე დროს ხედავს, რომ ბავშვი კვდება. ისმის პირველი გამაფრთხილებელი საყვირი, მეორე საყვირი, ათი წუთი დარჩა. დედა დასაქერის მომაკვდავი ბავშვის ლოგინს, ძონძებს, რომელშიაც დანარჩენი ოთხი ინძრევა. მაგრამ აი უკანასკნელი საყვირი, ფაბრიკა ამუშავდა. იგი აღვიძებს უფროსს, ცხრა წლის გოგოს, სტოვებს ავადმყოფთან და ეუბნება: აი პური და წყალი, მოუარე ძამიკოს. თითონ კი ფაბრიკის შენობისაკენ მიეშურება. იქნებ კიდევ მიუსწროს. მივიდა, მის ჩარხზე უკვე მუშაობს სათადარიგო ქალი, რომელიც მხოლოდ იმით ცხოვრობს, თუ ვინმეს დააგვიანდება. ჩარხთან შეეტაკა ერთმანეთს ორი ლარიბ-ლატაკი. დედა მეტაბელესთან გარბის, იგი გამგესთან გზავნის. გამგემ კი ანგარიში გაუსწორა და ფაბრიკიდან გააგდო. გაუბედავად აღებს თავისი ოთახის კარს — გოგონას ძმის გვერდით ჩასძინებია, ძამიკო კი უკვე მომკვდარა.

აი მუშის ოჯახის წარსული. გაიხსენეთ შევჩენკოს, ნეკრასოვის მწარე სიმღერები, სიმღერა-კვნესა განაწამებ, გონებადახშულ გლეხზე, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ამცირებდენ, შეურაცხყოფდენ ბოქაულები, ურიადნიკები, მიკიტნები, მევახშეები, მათრახისა და შოლტის ოსტატები. გაიხსენეთ თუგინდ შევჩენკოს „კავკასი“:

„ჩვენ შეგვრჩენია
მხოლოდ ტირილი, ტირილი, ტირილი
და სისხლიან ოფლსა და ცრემლში
პურის მოზელა.
ამდენი ცრემლი! ამდენი სისხლი!
ყველა იმპერატორს წყურვილს მოუკლავდა
და ეყოფოდა თავდასახრჩობად
თავის შვილებით და ბადიშებით“....

აი სოფლის, დამონებული უკრაინის სოფლის წარსული. შეადარეთ ის ჩვენი სოციალისტური საბჭოთა უკრაინის სოფელს.

ჯერ კიდევ ბევრი დარჩა სიძნელე და ნაკლი იმ დროიდან, როდესაც ტირილი და მხოლოდ ტირილი სწყუროდათ, მაგრამ, რასაკვირველია, საჭირო იყო არა ტირილი, არამედ შებრძოლება, შებრძოლება (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

აღარ არის გლეხი! არის სოციალისტური მშრომელი, რომლისთვისაც ყველა გზა ხსნილია ცოდნისაკენ, კულტურისაკენ, სახელმწიფოს მართვისაკენ. განა გასაკვირია, რომ ეს ადამიანი გამსჭვალული იყოს საკუთარი ღირსების გრძნობით, თავისი როლისა და მნიშვნელობის შეგნებით ახა-

ლი წესწყობილებისათვის ბრძოლაში, აღივსოს პატივისცემით თავისი თავისა და თავის თანამოქალაქეებისადმი?

განა ჩვენმა მწერლებმა გვიჩვენეს ისე, როგორც [illegible] ახალი თვისება ჩვენი ახალი ადამიანის შეგნებაში?

ვერა, ვერ გვიჩვენეს!

აიღეთ შემდეგ საბჭოთა ადამიანის „სულის“ ისეთი ახალი თვისება, როგორიც არის საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური სამშობლოს გრძნობა. საბჭოთა კავშირის მოქალაქე თავის თავს გრძნობს მსოფლიოს ერთი მეექვსედის პატრონად. იგი ხედავს თავის სამშობლოს ფერშეცვლილ სახეს, ხედავს თავისივე ხელით შექმნილ ქალაქებსა და ქარხნებს; იგი თვალს ავლებს საკოლმეურნეო მინდვრების უსამანო სივრცეებს და ამბობს:

— აი ეს ჩვენია. მაქვს ყველაფერი, რაც უნდა მიყვარდეს და რასაც უნდა ვიცავდე. მძაგდა მეფის მოსკოვი, იმიტომ რომ ძველმა მოსკოვმა ბორკილები დამადო, იმიტომ რომ ძველი მოსკოვი მშრომელთა მილიონებისათვის ჯალათების მოსკოვი იყო. ამავე მიზეზით მე მეზიზღებოდა ძველი კიევი. მაგრამ ეხლა მე მიყვარს ერთიც და მეორეც, რადგან ესენი ჩვენია (მქუხარე ტაში).

სამშობლოს ხსენებით იმარჯვებენ ჩვენი ინჟენრები, ტექნიკოსები, მუშები საბჭოთა კავშირის ქარხნებსა და მაღაროებში, ჩვენი არტისტები მსოფლიო კონკურსზე, ჩვენი მოჭადრაკეები საერთაშორისო ტურნირებზე, ჩვენი სპორსმენები კაპიტალისტური ქალაქების სტადიონებზე. სამშობლოს ხსენებით, ლენინ-სტალინის პარტიის გაშლილი დროშების ქვეშ, საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ საჭირო იქნება, გავლენ საბრძოლველად და უჩვენებენ თავგასულ მტერს, ვინც არ უნდა იყოს იგი, თურა შეუძლიათ თავიანთ სამშობლოსათვის უსაზღვროდ თავდადებულ, შეგნებულ და გმირ პატრიოტთა მილიონებს (მქუხარე ტაში).

ნუთუ ნათელი არ არის, რომ საბჭოთა პატრიოტიზმის თემა ასახულ უნდა იქნას სიტყვის საუკეთესო მხატვრების მიერ მთელი თავისი სიძლიერით და მშვენებით? ნუთუ ნათელი არ არის, რომ საბჭოთა პატრიოტიზმზე წიგნის შექმნა უკრაინის მწერალთა კოლექტივის ღირსების საქმეა?

მე სრულიად არ ვფიქრობ ჩამოვთვალო თქვენს წინაშე საბჭოთა მოქალაქის „სულის“ ყველა ახალი თვისება. მე მხოლოდ გაკვრით შევეხე სამ ახალ, უდავოდ ახალ, მშვენიერ გრძნობას — შემოქმედების გრძნობას, ღირსების შეგნების გრძნობას, სოციალისტური სამშობლოს გრძნობას.

განა საჭიროა გელაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენი საბჭოთა ადამიანის „სული“ უკვე ახლავე უფრო მდიდარია, ნათელი და სრულყოფილი და რომ მხოლოდ ამ სამი თვისებით არ ამოიწურება იგი. სოციალისტური კოლექტივის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, ინტერნაციონალიზმის გრძნობა, ქალისადმი ახალი დამოკიდებულება, ახალი ურთიერთობა თაობათა შორის, — ყველა ეს უცდის თავის ასახვას მხატვრულ ლიტერატურაში.

არა მარტო ასახვას, უბრალო ასახვას, არამედ ჩამოყალიბებასაც. ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ ბლომად გვაქვს კაპიტალიზმის ნაშთები. ამ ნაშთების დაძლევა წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ისინი მაინც არის. მხატვრული ლიტერატურა, ადამიანის სულის ინჟენრები ყველა ამ ნაშთის სრული დაძლევისათვის, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის ახალი, ყოველ მხრივ მშვენიერი სულის ჩამოყალიბებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა იყვნენ.

სოციალისტური სიმართლე, პრინციპიალობა და გულწრფელობა

ამასთან დაკავშირებით მე მსურს შევჩერდე მწერლის ტიპზე, რომლისთვისაც ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ჩვენ უნდა წავუყენოთ მწერალს და მის შემოქმედებას. იმისთვის, რომ ავსახოთ ახალი ადამიანის უდიდესი ზრდა, მისი იდეალები და მისწრაფებანი, მისი შემოქმედების პათოსი, იმისთვის, რომ თანამედროვე ადამიანს ვუჩვენოთ მისი უდიდესი ხვალე, საჭიროა „სულის ნამდვილი ინჟენერი“, თვითონ მწერალი იყოს შემკული ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანის საუკეთესო გრძნობებით და გატაცებებით.

როგორი მოთხოვნები უნდა წარვუდგინოთ მწერლებსა და მათ შემოქმედებას?

პირველი და გადამწყვეტი არის მაღალი იდეურობა და პრინციპულობა შემოქმედებაში. ჩვენ ამჟამად აღარ გვჭირია ზოგადი ხასიათის დეკლარაციები და გამოსვლები სხვადასხვა სადღესასწაულო მოვლენების გამო. არ გვინდა, რომ თქვენ აუცილებლად ეხმაურებოდეთ ყოველ მორიგ კამპანიას, გაზეთის ყოველ მორიგ მოწინავეს სახელდახელო ნაწარმოებებით. ჩვენ გვჭირია დიდი მხატვრული ტილოები, დიდი იდეებით დატვირთული მხატვრული ლიტერატურა.

ამას კი ვერ შეჰქმნი, თუ თვითონ მწერალი არა დგას იდეურობისა და პრინციპულობის მაღალ დონეზე, თუ არა აქვს მას სათანადო პოლიტიკური მსოფლმხედველობა. უამისოდ მწერალი ვერ მოახერხებს თანა-

მედროვე ადამიანის ყოფაქცევის შინაგან და გარეშე მამოძრავებელი ძალების გაგებას. უამისოდ მწერალი ვერ შესძლებს გაიმსჭვალოს ახალი ადამიანის გრძნობებით და შემოქმედებითი პათოსით. უამისოდ მწერალი უკეთეს შემთხვევაში აგვიწერს თავისი ნაწარმოების გმირის მოქმედების ფაქტებს, მაგრამ ვერ შესძლებს ამ გმირის ხასიათის, მისი ფსიქიკის, შეგნების გახსნას და ჩვენებას.

შემდეგ — ჩვენ გვჭირია სოციალისტური სიმართლე, გულწრფელობა როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მწერლის მორალურ სახეში. სოციალისტური სიმართლე — ეს ჩვენი სიმართლეა. გადამწყვეტი ბრძოლა ლიტერაუტრაში შემგუებლობის წინააღმდეგ — ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენ ვერ შევურიგდებით ამჟამად ისეთ ნაწარმოებს, რომელიც უკრაინული ანდაზის მიხედვით მზადდება: „ვის ურემზედაც ზიხარ, მისებრი სიმღერა სთქვი“. ჩვენ გვინდა სოციალისტური სიმართლე, გულწრფელობა შემოქმედებაში.

განა არ ხდება — ზიხარ თეატრში და უსმენ რომელიმე პიესას. ყველაფერი თითქოს რიგზეა: ხუთწლედიც, დნეპროჰესიც, დონბასიც; ნაჩვენებია ქარხკომიც, მავნებელი ან კულაკიც. პიესაც თითქოს სოციალიზმის სასარგებლოდ მთავრდება. ენაც თითქოს ცუდი არ არის. მაგრამ პიესა მაინც არ გვაღელვებს, ყალბად ისმის, ვერ გრძნობ გულწრფელობას. ყველაფერი რიგზეა განლაგებული, პროპორციაც დაცულია, მაგრამ მაინც არ გაღელვებს. გრძნობ არა ავტორის გულწრფელობას, არამედ ანგარიშს, ზოგჯერ კი... სამეურნეო ანგარიშსაც (სიცილი).

მაშასადამე, მეორე მოთხოვნა, რომელიც ჩვენ მწერალს უნდა წავუყენოთ, არის სოციალისტური სიმართლე, გულწრფელობა შემოქმედებაში.

თავის თავზე მუშაობა, მუშაობა თავისი საერთო კულტურის, მხატვრული ოსტატობის დონის ამაღლებისთვის, — ასეთია მესამე მოთხოვნა, რომელიც ჩვენ მწერალს უნდა წავუყენოთ. ნურც ერთი მწერალი ეხლა ნუ ელის რაიმე შეღავათს თავისი პროდუქციის ხარისხის საკითხში.

ჩვენი მწერალი არ უნდა იყოს ხელოსანი. არ უნდა დაკმაყოფილდეს და აღფრთოვანდეს ადვილი და წარმავალი წარმატებით. ჩვენი მწერალი უნდა იყოს ნამდვილი მხატვარი, რომელიც მიისწრაფის შეჰქმნას ჩვენი დიდი ეპოქის ძეგლები მთელი თაობებისათვის.

თქვენ, ამხანაგებო, გყავთ ადამიანი, ვისგანაც შეგიძლიათ აიღოთ მაგალითი, ვისაც შეგიძლიათ მიბაძოთ ამ მხრით. მხედველობაში მყავს ალექსი მაქსიმეს ძე გორკი. თქვენ ჩემზე ნაკლებად არ იცით, რომ ალექსი მარქსიმეს ძე, როგორც მწერალი, ყალიბდებოდა სრულიად არა ისეთ პირობებში, როგორიც შექმნილია დღეს ჩვენში მწერლისათვის. საკუთარი

შრომით გაიკვლია მან გზა მსოფლიო ასპარეზზე, მოექცა მსოფლიო ლიტერატურის პირველ რიგებში. კაცობრიობის კულტურის მთელ სიმდიდრეს დაეწაფა იგი, გადახარშა და კრიტიკულად ათვისა ეს სიმდიდრე. ინტერესთა ფართო წრე, ფართო მსოფლმხედველობა, სისტემატიური, გამუდმებული შრომა თავისი მხატვრული ოსტატობის ამაღლებისათვის. სწორედ ასეთი უნდა იყოს ნამდვილი შემომქმედი, ადამიანის სულის ნამდვილი ინჟენერი (მქუხარე ტაში).

და, ბოლოს, მეოთხე, რასაც საჭიროდ მიმაჩნია მივაქციო თქვენი ყურადღება—ეს არის თქვენს წრეში ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობის, ნამდვილი კოლექტივიზმის შექმნა. ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ არა როგორც მუშაობის ბრიგადულ მეთოდზე. მე ვლაპარაკობ კოლექტივიზმზე ურთიერთობაში, ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოზარდ კადრებთან.

თქვენ მოწოდებული ხართ ჩამოაყალიბოთ ჩვენი საბჭოთა ადამიანის ახალი სოციალისტური სული. და განა ცოტაა თქვენს საკუთარ სულში, თქვენს ურთიერთობაში ძველის ნაშთი? განა ასე არ ხდება: დასწერა მწერალმა კარგი პიესა ან მოთხრობა. თითქოს ყველა თქვენგანს უნდა უხაროდეს, ეს ხომ მწერალთა მთელი კოლექტივის საერთო წარმატებაა. არა, ზოგიერთები მაინც იჭმუხვნებიან.

რასაკვირველია, ეს გრძნობა ნაშთია ინდივიდუალიზმის და ეგოიზმისა, წვრილმანი თავმოყვარეობის და შურიანობისა, რაც სრულიად არ შეეფერება ადამიანის სოციალისტური სულის ინჟენერებს.

ნამდვილი კოლექტივიზმი, ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობა თქვენს წრეში,—აი ის მეოთხე მოთხოვნა, რომელიც ჩვენ და თქვენ ერთად უნდა წამოვაყენოთ და რომლისათვისაც ჩვენ ერთად გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

მოკლედ, რომ ვთქვათ, მწერალი უნდა იყოს ნამდვილი მებრძოლი კაცობრიობის იმ მოწინავე იდეალების განხორციელებისათვის, რომელთა მატარებელიც არის ჩვენი პარტია დიდი **სტალინის** მეთაურობით.

ეხლა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია თქვენი შემოქმედებისათვის. მტკიცე ნაბიჯით, უკრაინისა და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურის მთლიანი ინტერნაციონალური ფრონტით იბრძოლეთ უკრაინის დიდი საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ნამდვილი შემოქმედებისათვის! (მქუხარე ტაში, ოვაცია, „ვაშას“ ძახილი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. კოლცოვი

მწერალი და მკითხველი საბჭოთა კავშირში*)

ამ ტრიბუნაზე ასვლისას არ შემიძლია არ გავიხსენო მეორე საერთაშორისო ლიტერატურული კონგრესი პარიზში. კონგრესი შეიკრიბა რამდენიმე უბნის დაშორებით, შატლეს თეატრში. ისიც ივნისში შეიკრიბა, მაგრამ 1878 წლის ივნისში. ვიქტორ ჰუგო და არა სხვა ვინმე თავმჯდომარეობდა ამ კონგრესს, ხოლო რუსეთის დელეგაციას მეთაურობდა გამოჩენილი მწერალი ივანე ტურგენევი. თავისი სიტყვის დასასრულს მან თქვა:

„რუსული მწერლობა ასე თუ ისე არსებობს; მან მოქალაქობრივი უფლება ევროპაშიც მ ო ი პ ო ვ ა. ჩვენ ერთგვარი სიამაყით შეგვიძლია დავასახელოთ თქვენს წინაშე თქვენთვის ცნობილი ჩვენი პოეტები — პუშკინი, ლერმონტოვი და კრილოვი და პროზაიკოსები — კარამზინი და გოგოლი. თითონ თქვენ მოგვიწოდეთ რუსს მწერლებს — მიგვეღო მონაწილეობა საერთაშორისო ლიტერატურულ კონგრესში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ორასი წლის წინად ჩვენ არა გვესმოდა რა თქვენი, მაგრამ მოვილტვოდით თქვენკენ; უფრო გვიან, ასი წლის შემდეგ, ჩვენ თქვენი მოწაფეები ვიყავით; ეხლა თქვენ გვღებულობთ, როგორც ამხანაგებს. და — არაჩვეულებრივი და გაუგონარი ფაქტი რუსეთის მატიანეში — უჩინარ მწერალს, არა დიპლომატს, არა სამხედროს, ისეთ ადამიანს, რომელსაც ჩვენს სოციალურ იერარქიაში არავითარი სამხედრო ხარისხი არ გააჩნია, აქვს პატივი ილაპარაკოს თქვენს წინაშე, მიესალმოს პარიზში საფრანგეთს, დიადი იდეებისა და კეთილი სურვილების მაუწყებლებს“.

ტურგენევის უაღრესმა თავმდაბლობამ უკმაყოფილება გამოიწვია იმდროინდელ რუსულ მწერლობაში. მრავალმა ჟურნალმა და გაზეთმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ტურგენევმა არ მოიხსენია ეპოქის უდიდესი მწერლები. მე არ ვფიქრობ ამჟამად შესწორების შეტანას ტურგენევის სიტყვაში ან მისი სიის შევსებას ლევ ტოლსტოით, დოსტოევსკით, შჩედრინით, ჩეხოვით, გორკით. ეს ზედმეტი იქნებოდა ასეთი კვალიფიციური აუდიტორიის წინაშე. მაგრამ, როდესაც ვიგონებ დიდი რუსი რომანისტის გამოსვლას პარიზში 58 წლის წინად, საჭიროდ მიმაჩნია ვთქვა,

*) სიტყვა, წარმოთქმული ამხ. მიხ. კოლცოვის მიერ კულტურის დაცვის კონგრესზე პარიზში.

რომ მწერლის სოციალური ხარისხი, მისი როლი რუსეთის თანამედროვე საზოგადოებაში, საბჭოთა კავშირში, მთლიანად შეიცვალა.

ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს ქვეყანას, მის კულტურულ-ცხოვრებას, მისთვის ცნობილია, რომ საბჭოთა ლიტერატურა არა მარტო ასახავს ცხოვრების მოვლენებს, არა მარტო ეძებს მასში ხასიათებს, ტენდენციებს და მოვლენებს, არამედ თითონ იგი აქტიურად, გაბედულად იჭრება ამ ცხოვრებაში. ფრანგმა ენციკლოპედისტებმა, რომელნიც საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავდენ, რამდენიმე ათეული წელი იცადეს, ვიდრე მათი იდეები დიდი რევოლუციის ცეცხლით აინთებოდა. დღეს კი ახალგაზრდა საბჭოთა მწერალსაც შეუძლია საკუთარი თვალით დაინახოს, თუ როგორ სცვლის ცხოვრებას მისი წიგნები.

საბჭოთა რევოლუციის ძალა და მიმზიდველობა იმდენად მძლავრი იყო, რომ ლიტერატურის როლი შეიძლებოდა განსაზღვრულიყო ამ რევოლუციის წარმტაცი სურათების პასიური ამსახველის როლით, მისი საოცარი პიროვნებების გადამღები ფოტოგრაფის როლით. ეშინოდათ ამისა ჩვენ მეგობრებსაც კი, კერძოდ ანდრე მალროს, რომელმაც შეშფოთებულმა განაცხადა: არ მოხდეს ისე, რომ საუცხოო ფოტოგრაფიების გროვამ ქვეშ მოიყოლიოს საბჭოთა შექსპირი. მაგრამ ასეთია რევოლუციის ბუნება: იზიდავს რა თავისკენ, იგი ამაგნეტებს მიზიდულს და აძლევს მას საკუთარ მაგნეტიკურ ძალას. მწერლობა არ შეჩერდა ახალი საზოგადოების ასახვაზე. იგი ამ საზოგადოებაში უაქტივეს მოწინავე ელემენტად შევიდა, ამასთან უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებით მკვეთრად.

ჩვენი მკითხველი საზოგადოების მხედველობა და მსმენელობა გამახვილებულია უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ეს სრულიად განსაკუთრებული საზოგადოებაა არა მარტო შემადგენლობით, არამედ ინტელექტუალური დონითაც. თვით თქვენვე განსაჯეთ: უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენიმე მილიონმა მუშამ და გლეხმა მიიღო უმაღლესი განათლება და დაუბრუნდა ქარხანას, მინდორს. როგორ უნდა მოეპყრას ავტორი ამ მკითხველებს: როგორც „ინტელიგენტებს", თუ როგორც „უბრალო მუშებს?" ასეთი ხასიათის აუდიტორიის დროს, ასეთი გონებრივი სიმკვირცხლისა და სიმახვილის დროს ნაწარმოების ავტორი, ისეთიც კი, რომელიც მცირედით კმაყოფილდება, არ უნდა მოელოდეს მოწყალე გულგრილობას, მას არ შეუძლია უბრალო ნაცნობობა იქონიოს ასეთ საზოგადოებასთან.

არა, ეს ურთიერთობა ეწყობა ბევრად უფრო მძაფრად, ბევრად უფრო მწვავედ.

სახეები და ხასიათები სცილდებიან წიგნის ფურცლებს და იჭრებიან ცხოვრების ორომტრიალში. გმირები, დადებითი და უარყოფითი გმირები, სწავლობენ თავიანთ თავს ავტორის ასახვაში. მხატვრის გამოგონება გა-

დადის ცხოვრების სინამდვილეში, მას სრულიად მოულოდნელი ნაყოფი გამოაქვს. წიგნს ცვლილება შეაქვს ცხოვრებაში. დიაღ, შოლოხოვის, პანფეროვის, სტავსკის ცოცხალი, მომქმედი პირები, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი აზრით, იკრიბებიან და მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ განავითარონ შემდგომად თავიანთი დღეებისა და საქმეების წარმტაცი რომანი.

ხომ არ მოელის საშიშროება ლიტერატურულ-მხატვრული შემოქმედების რაობას ასეთ ვითარებაში, მაშინ, როდესაც მწერალი ასეთ როლს ასრულებს საზოგადოებაში? ხომ არ ირღვევა ეს სპეციფიკური რაობა? ხელ-ფეხი ხომ არ ებოჭება შემომქმედს, როდესაც მისი სიტყვა, სახე, მისი ლექსის ტაეპი, მისი დაცინვა ასეთ მძლავრ, დინამიკურ და ზოგჯერ გამანადგურებელ ძალას იძენს? ინარჩუნებს თუ არა ლექსის სიტყვა თავის პოეტურ სიტურფეს, როდესაც ეს სიტყვა საბრძოლო სიგნალის სახესხვაობად გადაიქცევა? ხომ არ მართებს სიფრთხილე რომანის დადებით გმირს, რომლის ცხოვრებასაც ხვალ მიბაძავენ ახალ ცხოვრებას მოწყურებული ადამიანები, — სიფრთხილე თავის მოქმედება-საქციელში, სიფრთხილე თუნდაც ნაწარმოების მხატვრულობის ხარჯზე? ხომ არ უხდება მხატვარს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში „სულის ინჟენერის" პასუხსაგები წოდებით სარგებლობს, სილამაზის განწირვა თავისი რთული და მგრძნობიერი კონსტრუქციების უშიშროებისა და სიმტკიცის შესანარჩუნებლად?

მკითხველმა საზოგადოებამ უკვე მოგვცა პასუხი ამ კითხვებზე, რომლებიც ასე აღელვებდა და აშფოთებდა საბჭოთა მწერალს. მან, ამ ხარბმა, მაგრამ ბევრის მომთხოვნმა საზოგადოებამ, უარჰყო დილემა მორალსა და მხატვრობას შორის და მოითხოვა მათი სინთეზი. მან უარჰყო სქემატიური ნაწარმოები, რადგან იგი მოსაწყენია, ზნეობის მასწავლებელი, რადგან იგი თვალთმაქცურია. ის აღტაცებით ეგებება ისეთ წიგნს, სადაც ადამიანის ვნება-სურვილი არ არის ჩამქრალი, არ არის მისხლობით განაწილებული, სადაც პირიქით, ეს ვნება-სურვილი დუღს და მოქმედებს, ევლება ცხოვრებას, სიჭაბუკის ბრწყინვალებით, ზღვის ტალღის მრისხანე გუგუნით ახალისებს ამ ცხოვრებას. მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო გორკის „დედა", შოლოხოვის „გატეხილი ყამირი", ტოლსტოის „პეტრე", ფურმანოვის „ჩაპაევი", მიიღო იმიტომ, რომ ამ წიგნებში ადამიანი არ არის ლიტერატურული მინანქრით გაკრიალებული, იმიტომ, რომ იქ ადამიანები ტკივილით და სიხარულით იცილებენ იმ მეჭეჭს, იმ ხორცმეტს, რომელიც მათ წარსულმა ცხოვრებამ, ძველმა აღზრდამ შესძინა.

შუა აზიაში, ქვიშიან უდაბნოს მიყრუებულ უაზისში შევხვდი ახალგაზრდა მუშას. იგი სარწყავ სისტემაში მუშაობდ. მის კარავში გრძელ თაროზე გამწკრივებული იყო მაგარ ყდაში ჩასმული საბჭოთა მწერლების წიგნები.

— ალბათ ერთობით ამ წიგნებით? — ვკითხე.

— ვერთობოდი წინად, როდესაც პირველად ვკითხულობდი.

— სწავლობთ ამ წიგნებზე?

— არა, სასწავლებლად სახელმძღვანელოები მაქვს.

— მაშ რად დაგიგროვებიათ ამდენი წიგნი, ამ პატარა კარავში ხომ ისედაც სივიწროვეა?

— იმიტომ რომ ესენი ცოცხალი ადამიანები არიან. ისინი ჩემ საზოგადოებას შეადგენენ. მარტო არა ვარ. ველაპარაკები მათ, ვეკამათები. ჩემს ცხოვრებაში ვასწორებ იმ შეცდომებს, რომლებიც მათ თავიანთ ცხოვრებაში ჩაიდინეს. ვეჯიბრები მათ და ზოგჯერ ვიმარჯვებ კიდეც.

ახალ საზოგადოებაში მწერლის როლის შემოწმება არც ერთ ლიტერატურულ ჟანრში არ შეიძლება ალბათ ისე ნათლად, როგორც იმ ჟანრში, რომელშიაც მე მიხდება მუშაობა — სატირაში.

— საბჭოთა სატირა? განა არსებობს იგი? — გვეკითხებიან ხშირად და გულის მოსაგებად უმატებენ: — თუმცა თქვენ პოლარულ წრეშიაც კი ახერხებთ ხორბლის მოყვანას.

საბჭოთა სატირა — განა შეუძლია მას არსებობა?..

როდესაც პოეტი ბედნიერებით არის აღსავსე, იგი პოემას სწერს. თავის მწუხარებას, სევდას იგი ელეგიით გამოხატავს. სატირისთვის, კლასიკური განმარტების თანახმად, საჭიროა გულისწყრომა, რისხვა ან მწარე ნაღველი. სატირას, მისი ფორმის მიუხედავად, — პოეზია იქნება იგი თუ პროზა, — ავტორი იყენებს როგორც საშუალებას, რათა თავისი აზროვნება ან გრძნობა დაუპირისპიროს სხვისას, ისეთი ადამიანისას, რომელიც იწვევს მასში ან გულისწყრომას ან ზიზღს, ირონიას. იქ, სადაც მშრომელნი თვით განაგებენ თავიანთ ცხოვრებას, სადაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, სადაც საზოგადოება უკვე უკლასო ხდება, რა როლი რჩება სატირას, მის გულისწყრომასა და ნაღველს დ თუნდაც მის დაცინვას? რა აქვს სავალალო და თავში საცემი კანდიდს იქ, სადაც მის მოსიყვარულე კუნიგუნდას დაუყოვნებლივ შეუძლია შევიდეს ამა თუ იმ რაისაბჭოში და დაქორწინდეს მასთან, — კუნიგუნდას, რომელსაც მანამდე არ მოელოდა გაუპატიურების საფრთხე არც ზღვის ყაჩაღებისაგან, არც მევახშისაგან და არც სულთანისაგან? განა არ უნდა დაიდუმოს ენა დოქტორ პანგლოსმა მას შემდეგ, რაც მისმა ფრაზამ საუკეთესო ქვეყნის შესახებ დაჰკარგა თავისი ირონია? სად უნდა შეაფაროს თავი საწყალმა დონ-კიხოტმა, რომელიც აჯანყებულმა სანჩო-პანჩოებმა გააძევეს საკუთარი ადგილ-მამულიდან? სად არის „ცისფერი ანგელოზი", მომხიბლავი და ბიწიერი, რომელიც ააფეთქებს მასწავლებელ უნრატის მეშჩანურ წონასწორობას? აი მამაცი ჯარისკაცი, შვეიკი, — განა გაიგებენ მის მწარე ჰუმორს იმ არმიის მეომრები, რომელმაც არ უწყის არც სიმულანტები, არც პოლკის მღვდლები, არც ადამიანის მასხარად აგდება?

სატირის საუკეთესო მხატვრები მუდამ ოპოზიციაში ედგნენ თავიანთ მთავრობებს, თითქმის მუდამ — თავიანთ საზოგადოებას. სიძულილი გარსშემოხვეულთადმი ჰკვებავდა მათს ტემპერამენტს, ამახვილებდა მათს კალამს. მათი უკმაყოფილება ციცინათელასავით მბჟუტავი მუქით ანათებდა საუკუნეთა წყვდიადს, წვრილი წერტილებით აღნიშნავდა ინტერვალებს სოციალური ქარიშხლების, კლასთა და მსოფლმხედველობათა შენაცვლების ეპოქათა შორის.

ხოლო ამჟამად სოციალიზმის დღის სინათლეზე ვინ შეამჩნევს ამ ოდნავ მბჟუტავ წმინდა გულისწყრომას? სრულყოფილ ადამიანთა საღ საზოგადოებაში ვინ შეაფასებს გულგატეხილობის მწველ სარკაზმს? განა პროლეტარიატის მწერლებს შეუძლიათ ხელი მოჰკიდონ სატირას მაშინ, როდესაც ძალა-უფლებას სათავეში პროლეტარიატი უდგას? ვის უნდა დასცინონ? თავიანთ თავს? მერე, რა შედეგი მოჰყვება ამას?

ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, იმათ, ვისაც ბედმა გვარგუნა გასაოცარი და ბედნიერი ხვედრი — გადაგვედგა ნაბიჯი მომავალში, გვეცხოვრა და გვეწერა განხორციელებულ სოციალურ იდეათა ქვეყანაში, შეგვიძლია გადმოგცეთ თქვენ, ჩვენ მეგობრებს, რომ სატირა საბჭოთა კავშირის ლიტერატურაში შესაძლებელია, რომ იგი ცოცხლობს, ყვავის და ახალ-ახალ ფორმებს ღებულობს.

სწორია ის, რომ მშრომელებმა გაიმარჯვეს ჩვენს ქვეყანაში და გაიცამტვერეს ადამიანის ექსპლოატაციის შესაძლებლობა, რომ ასეთი შესაძლებლობა გაცამტვერებულია სამუდამოდ, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ გათავებულა. გარს მტრული სტიქია გვახვევია. შესაზარი წარსულის ფესვები და ნაშთები ჯერ კიდევ მოიპოება ჩვენს ქვეყანაში. ღამემ განვლო, მაგრამ მისი ლანდები და აჩრდილები გაიჩხირნენ ნაპრალებსა და კუნჭულებში, ისინი ვერ ბედავენ მზის სინათლეზე გამოსვლას, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ჩუჩუნებენ და შრიალებენ ჩვენს ცხოვრებაში და ხშირად ჩვენს შიგნითაც. საჭიროა მახვილი იარაღი, რომ გავგმიროთ ისინი, — ზოგჯერ მკურნალის ნემსივით წვრილი იარაღი, რომელიც ჩასწვდება შორეულ, პატარა, მიმალულ იარას. ის, რაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროლეტარულ დემოკრატიაში დამკვიდრდა და განმტკიცდა თვითკრიტიკის სახელით, ლიტერატურაში სატირის სახეს ღებულობს.

ახალი საბჭოთა მწერალი არ უკუაგდებს არც ვოლტერს, არც სერვანტესს, არც სვიფტს, არც გოგოლს, არც ანატოლ ფრანსს, არც ჰენრიხ მანს, არც ხაშეკს. სრულიადაც არა! და ესენი მისთვის არ არსებობენ მარტოოდენ ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოების გასაგებად. დონ-კიხოტში იგი სცნობს თავის მეზობელს, იმას, ვისთვისაც სანტიმენტალური. წვრილბურჟუაზიული ბუნტარობა შეიცვალა მკაცრ და თანმიმდევარ ბრძოლად სოციალიზმისათვის.

პარტიის ყრილობებზე ხშირად გვესმის საბჭოთა დაწესებულებების ზოგიერთი გაბიუროკრატებული მოღვაწის მკაცრი და სწორი შედარება დიდი სატირიკოსის შჩედრინის კომიკურ პერსონაჟებთან. სტალინიც თავის სიტყვებში რევოლუციის ლაჩრებს ადარებს რუსს უნრატს — ჩეხოვის „ფუტლიარში გამომწყვდეულ ადამიანს“ ბელიკოვს.

ახალი საზოგადოების მწერალი-სატირიკოსი გზას იკვლევს წინისკენ და თან იცვლის თემატიკას და კილოს. კვლავინდებურად დაცინვისა და გულისწყრომის ობიექტს შეადგენს სიმდაბლე, მლიქვნელობა, უვიცობა, გონებადახშულობა. აღარა ჰგვრის ღიმილს, აღარ აცინებს საბჭოთა მკითხველს მრისხანე და მოუსვენარი სიდედრი, ინტრიგის გაბმა ნათესავებთან სამკვიდროს მოლოდინში, — ასეთი სუჟეტი ჩვენში ფანტასტიურ სუჟეტად გადაიქცა. და ეხლა მას, მკითხველს, უკვე აცინებს შემთხვევითი მილიონერი საბჭოთა კავშირში, რომელსაც (მილიონერს) აღარ ძალუძს, საჭმლის, ჩასაცმელისა და ბინის გარდა, შეიძინოს სხვა რამე ოჯახისთვის, რომელიც დასცქერის თავის კაპიტალს და ცოფებსა ჰყრის. მას, მკითხველს, აშფოთებს და გულს უმღვრევს ის ადმინისტრატორი, რომელიც ამახინჯებს სოციალიზმის პრინციპებს, რომელიც ცდილობს ერთი ლარისა და ხაზის მიხედვით გაათანაბროს ადამიანები, რომელიც აიძულებს მათ ერთნაირად ჭამონ და ჩაიცვან, ერთსა და იმავეზე ილაპარაკონ და იფიქრონ.

იცვლება სიცილის თემა და ობიექტი, მაგრამ ახალ იერს ღებულობს მისი კილოც, ტონიც. მორალური უპირატესობა აღარ წარმოადგენს ფიზიკურად სუსტთა, რიცხვობრივად მცირეთა პრივილეგიას. არა სასოწარკვეთილება, არამედ სიამაყე უდგამს სულს, ზეაღაფრენს სატირას, მისი სიცილი აღარ არის ნაღველით შეზავებული, მას სარჩულად უდევს შინაგანი სიხარული და სისაღე. იშლება თვით განმსაზღვრელი ხაზი სატირისა და ჰუმორს შორის, ის ხაზი, რომელიც მუდამ სასტიკად გაჰყავდა ლიტერატურის თეორიას. უაღრესად მშოლტავი, უაღრესად მრისხანე სატირაც კი უნდა შეიცავდეს მცირეოდენ ღიმილს, — წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს თავის თვისებას. თავის მხრივ ჰუმორიც მუდამ შეიცავს სატირის ელემენტებს, — გაკიცხვას თუ არა, კრიტიკას მაინც იმისას, რასაც ადამიანი დასცინის.

სატირის ეს ახალი კილო არ წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურისა და მისი მკითხველის თავისებურებას. ჩვენს დროში მთელი მსოფლიოს ქვეყნებში სიტყვის მებრძოლნი, რომელნიც სიბნელის, ბარბაროსობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ გამოდიან, არ არიან იზოლირებულნი მარტოობასა და წყვდიადში. ისინი მარტოოდენ თავიანთი შეურიგებლობით როდი არიან შეიარაღებული. ღამე გავარვარებულია ცისკრითა და ალით. მთელი კლასი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სავსებით ორგანიზებული თავისი ინტერესების დასაცველად, მაგრამ რომელ-

საც უკვე ნათლად აქვს შეგრძნობილი ეს ინტერესები, მხარს უჭერს კულტურისა და სამართლიანობის დამცველებს, თავისი მძლავრი მხრებით მაღლა ეწევა მათ. ეს კლასი, რომელმაც უკვე დაკარგა შიში, რომელიც გაცისკროვნებულია გამარჯვების სასიხარულო წინათგრძნობით, გულგრილად ეპყრობა ცხოვრებით გულგატეხილობის სკეპტიკურ სარკაზმს. მას აღარა სწამს, რომ „არის რაიმე ახალი მთვარის ქვეშეთში". იგი დასცინის მტერს, და ეს აღარ არის სუსტის სიცილი. წიგნებსა და სიმღერებში იბადება ახალი სატირა, კადნიერი და სასიხარულო სატირა, იბადება კულტურის დასაცველად, ძველი მსოფლიოს სიბინძურესა, სისაძაგლესა და მონობაზე თავდასასხმელად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ხავთასი

გოეთეს პროფილი გურჟუაზიულ გოეთეანაში*)

1775 წელს გოეთე ვაიმარში გადასახლდა. „პოეზიის და ჭეშმარიტების“ ავტორი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ გაიტაცა იგი ვაიმარის ჰერცოგის — კარლ ავგუსტის პირველმა გაცნობამ, აღწერს მის ვაიმარში გამგზავრების საკითხში მამის და იმათ პოზიციას, ვინც მას ბანკირის მშვენიერი ქალის — ლილისაკენ ეწეოდა. ვაიმარი პატარა სამთავრო იყო, რომლის ჰერცოგს ვერსალის ყაიდაზე მოწყობილი სასახლე ჰქონდა, ჰყავდა თავისი მინისტრები, პაჟები, კამერჰერები, ექვსასი კაცისაგან შემდგარი მუდმივი ჯარი და მცირერიცხოვანი ცხენოსანი რაზმი. ვაიმარს არ ჰქონდა სამრეწველო ბაზა, მაგრამ მას შეეძლო ეამაყა იმით, რომ იქ თავს იყრიდნენ გერმანული კულტურის საუკეთესო წარმომადგენელნი. იქ იყო მაგალითად, მხცოვანი ვილანდი (კარლ ავგუსტის აღმზრდელი), ზეკენდორფი („ვერტერის“ ფრანგულად გადამთარგმნელი), ბერტუხი, ქ-ნი შტაინი, ახალგაზრდა კოტცებუ და ბევრი სხვა. მაგრამ ვაიმარი მაინც არ წარმოადგენდა ერთიან კულტურულ ცენტრს. კულტურა იქ მხოლოდ სასახლის ფართო წრეებისთვის იყო მისაწვდომი. ვაიმარს, ისე, როგორც მთელ გერმანიას, არ გააჩნდა ფრანგული სალონების მსგავსი კულტურული ცენტრები.

მთელ გოეთეანაში ერთ-ერთ სადავო პრობლემად რჩება გოეთეს დამოკიდებულება ვაიმარის სასახლესთან. ზოგიერთი გოეთეს ვაიმარში გადასვლაში ხედავს მწერლის ხელაღებით შებრუნებას ადრინდელ შტურმუნდდრანგულ მისწრაფებებისაგან. კ. ფიშერის, თ. ფიშერის, კაროს, შახოვის და სხვათა აზრით, გოეთეს ვაიმარში გადასვლა ნიშნავდა პოეტის შემოქმედებაში პრინციპულად ახალი პერიოდის დასაწყისს. ფრანგი კრიტიკოსი ედუარდ როდი წერს: ...„როცა ის (ე. ი. გოეთე — გ. ხ.)

---

*) ეს წერილი წარმოადგენს ცალკე შრომის („გოეთე და რევოლუციას“) ერთ ნაწილს.

კვლავ გამოჩნდა ლიტერატურულ ასპარეზზე, ახალი ტიტულით დამშვენებული... იგი მთლიანად გარდაქმნილი იყო. ფრანგფურტელი წვრილი ბურჟუის, შტრასბურგის სტუდენტის, ვეტცლარის დარბაზის სტაჟორის არც ერთი მხარე აღარ იყო მრჩეველ გოეთეს ბრწყინვალე პიროვნებაში" *).

გოეთეს ბიოგრაფი -გ. ლ ე ვ ე ს ი სვამს საკითხს, თუ რამდენად შეუშალა ხელი გოეთეს შემოქმედების განვითარებას ვაიმარში გადასახლებამ, რამდენად დაირღვა ამით გოეთეს განვითარების ბუნებრივი გზა, ან ჰქონდა თუ არა პოეტს სხვა უკეთესი გზა. ლევესი სავსებით ამართლებს გოეთეს გადასახლებას ვაიმარში, ვინაიდან პოეტს იმ დროს არ შეეძლო გამოეკვება თავი მარტო ლექსების შემოსავლით.

რა გვეთქმის ამის შესახებ? ეჭვს გარეშეა, გოეთემ იცოდა, რა ბედი მოელოდა მას სასახლის კარზე. ვოლტერის და ტასოს მდგომარეობა სასახლეში მრისხანე გაფრთხილება იყო მისთვისაც. ამ საფრთხისაკენ მიუთითებდა შვილს მოხუცი გოეთე — ეს ჭკვიანი და გამოცდილი ბიურგერი. გოეთემ დაიჭირა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ვაიმარში, ამბობს კ ნ ე ბ ე ლ ი. პოეტს უბოძეს საიდუმლო მრჩევლის თანამდებობა. შემდეგში კი გახადეს კეთილშობილად და მეფის დიპლომატად. ამიერიდან გოეთეს უწოდებდენ Herr von Goethe-ს.

გოეთეს დაწინაურებამ გამოიწვია პროტესტი ვაიმარის სასახლეში. მიუხედავად ამისა ჰერცოგს მაინც თავისი გადაწყვეტილება გააქვს. რა ედო საფუძვლად ჰერცოგის ამ მზრუნველობას? ნუ თუ გოეთეს მფარველობა უნდა ვეძიოთ ჰუმანიურ მისწრაფებაში, როგორც ამას აღიარებს ბევრი ბურჟუზიული კრიტიკოსი და ზოგჯერ თვით გოეთეც?

კარლ ავგუსტს თავისი მოსაზრება ამოქმედებდა: ვილანდის და სხვა გამოჩენილი მწერლების გვერდით გოეთეს ყოლას, მის დატოვებას სასახლეში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სასახლის ძლიერების განმტკიცებისათვის და თვით ჰერცოგის შესამოსად მეცენატის შარავანდედით. კარლ ავგუსტმა სხვა მთავრებსა და მონარქებზე ადრე გაიგო გოეთეს მნიშვნელობა. მის ნაბიჯში ღრმად გააზრებული პოლიტიკა მოსჩანდა. გოეთე ხედავდა ახალი ხანის დასაწყისს თავის ცხოვრებაში, მაგრამ იგი მას აღმავალ ხაზად ეჩვენებოდა. საიდუმლო მრჩევლად გახდომის გამო პოეტმა განაცხადა: „სასწაულებრივად მეჩვენება, რომ მე, 30 წლისამ, როგორც უწინ სიზმარში, მივაღწიე დიდების უმაღლეს საფეხურს, რომლის მიღწევაც კი შეეძლო გერმანიაში რომელიმე ბიურგერს" **).

ჩვენ დაწვრილებით უნდა განვიხილოთ გოეთეს დამოკიდებულება სასახლესთან, პოეტის გარდასაქმნელად მიმართული ღონისძიებანი, რათა სა-

*) Edouard Rod — Essai sur Goethe, Paris, 1898, p. 150 — 151.

**) G. Lewes — Goethes Leben und Werke, Berlin, Bd. II 1877; S. 31.

შუალება გვქონდეს ავხსნათ, თუ რატომ იყო, რომ პოეტი ხურგს აქცევდა დიდ პოლიტიკურ მოვლენებს, რევოლუციებს. იერიშები უნდა მიტანილიყო შტურმუნდდრაგელ გოეთეს წინააღმდეგ. საერთაშორისო რეაქციის წარმომადგენლები გავლენას ახდენდენ პოეტზე, რომ ეს უკანასკნელი არ გამხდარიყო საფრანგეთის რევოლუციის მიმდევარი. გოეთესთვის ბრძოლა გერმანიის იქითაც სწარმოებდა. რუსეთის მონარქები და დიდგვარიანები დიდ მნიშვნელობას აძლევდენ გოეთეს თავისკენ გადაბირებას, თუშცა იმპერატორმა პავლე პირველმა ვერ გაიგო გოეთეს მნიშვნელობა და სასტიკად აკრძალა რუსეთში გოეთეს მიმდევრობა იმ საბაბით, რომ გოეთეს მოძღვრება იგივე ვოლტერიზმიაო.

გოეთესთან დამოკიდებულების ადრინდელი პოლიტიკის რევიზიამ თავი იჩინა სწორედ იმ მომენტში, როდესაც რუსეთში მზადდებოდა დეკაბრისტების აჯანყება და პოლონეთის რევოლუცია. არა ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა გოეთეს გადაბირებას რუსეთის იმპერატორებისათვის მათი ძლიერების საერთაშორისო ასპარეზზე დმონსტრაციისათვის და იმ არჩევანის გადაწყვეტას, თუ ვის მხარეს დაიჭერდა გოეთე: საერთაშორისო რეაქციის თუ ნაპოლეონისას.

გოეთეს გადაბირებით რუსეთის რეაქციას შეეძლო აგრეთვე მაგალითის მიცემა თავის ქვეყანაში ოპოზიციურად განწყობილ მწერლებისთვის. გოეთესთან დამოკდებულების ამ ახალი პოლიტიკის დამწყებად გამოვიდა ალექსანდრე I-ლი, რომელიც 1806 წელს ერფურტის კონგრესზე ნაპოლეონთან ერთად შეხვდა გოეთეს; მაგრამ ალექსანდრე I-მა პოეტზე ვერ მოახდინა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება, როგორიც ნაპოლეონმა. გოეთე წარმტაც ხაზებში აღწერს თავის შეხვედრას ნაპოლეონთან და იმ ძირითად საკითხებს, რომლებზედაც მას საფრანგეთის იმპერატორი ესაუბრა. პოეტი მხოლოდ ორიოდე სიტყვით იხსენიებს ალექსანდრე I-თან შეხვედრას.

ნაპოლეონისაგან გოეთემ საჩუქრად მიიღო „სპატიო ლეგიონის ორდენი", ხოლო რუსეთის მონარქისაგან — „წმინდა ანნას ორდენი". ამის შემდეგ დაიწყო საჩუქრებისა და ორდენების გზავნა ვაიმარის მნათობისათვის. რუსეთის სასახლისაკენ გოეთეს გადაბირების პოლიტიკის უშუალო გამტარებლად გამოდიოდა რუსეთის განათლების მინისტრი უვაროვი; მაგრამ ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლი ეკუთვნოდა რუსეთის დედოფალს, მარიამ თეოდორეს ასულს. გოეთეს მიმართ პატივისცემას ამჟღავნებდენ ვაიმარში მრავლად ჩასული რუსეთის წარჩინებული პირები.

გოეთეს გადაბირებას რუსეთს გარდა ცდილობდენ სხვა ქვეყნებიც. ამ მხრივ საინტერესოა გოეთეს დამოკიდებულება ნაპოლეონთან. პოეტი მოჯადოვებული იყო ნაპოლეონით, რომელშიაც იგი დემონურობის განსახიერებას ხედავდა. თავის მხრივ ნაპოლეონიც „ვერტერის" ავტორს მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთ უშესანიშნავეს მწერლად თვლიდა.

თუ რუსეთის იმპერატორები გოეთეში ხედავდენ იარაღს შინაგანი ოპოზიციური ძალების დაჩუმებისა და საერთაშორისო ასპარეზზე თავიანთი ავტორიტეტის გაზრდისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გოეთეს გადაბირებას ნაპოლეონისათვისაც. ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ ამ გზით იგი მეტად გაამტკიცებდა თავის განუსაზღვრელ უფლებებს. ამ მიზნით მისცა მან გოეთეს წინადადება, რომ მას მხატვრულად დაემუშავებია ისტორია იულოს კეისრისა, რომელშიაც ნაპოლეონი თავის საკუთარ პიროვნებას ხედავდა. ნაპოლეონს აღარ აკმაყოფილებდა ვოლტერის მიერ დამუშავებული კეისრის ისტორია; მას უნდოდა კეისარში თავისი პიროვნება ეჩვენებია. მაგრამ ისე, რომ ფაბულას არ მიეღო ტრაგიკული დასასრული, რომ მისგან გამორიცხულიყო ბრუტუსის, მონარქიის დამხობის ამ ინიციატორის პერსონაჟი, ვინაიდან ბრუტუსს ნაპოლეონი სულელად თვლიდა.

კეისარიზმის შექებას, ნაპოლეონის სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა ეჩვენებია მთელი კაცობრიობისათვის, თუ რა დიდი საქმის გაკეთება შეეძლებოდა კეისარს, რომ დაცლოდა და ისტორიის სცენაზე ბრუტუსები არ გამოსულიყვნენ. კეისარიზმის სიუჟეტის დამუშავება ნიშნავდა წმინდა პოლიტიკური თემის გამოდევნებას. შესძლებდა თუ არა ამას პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინდიფერენტულად განწყობილი პოეტი? ალბათ ამ საგონებელში იყო ჩავარდნილი თვით ნაპოლეონი, როცა მან პოეტს პირველი შეხვედრისთანავე უთხრა: „პოლიტიკა არის ბედი“-ო. „ვერტერის“, „პრომეთეს“ და „ფაუსტის“ ავტორი ვერ გამოდგებოდა კეისარიზმის დამწერად, ვინაიდან გოეთეს შტურმუნდდრანგელში წინა რიგზეა წამოწეული სოციალური და პოლიტიკური მომენტები, ბრძოლა არსებულის წინააღმდეგ. ხომ თვით ნაპოლეონმა, „ვერტერის“ ამ გატაცებულმა მკითხველმა, ჰერდერის შემდეგ და მისგან დამოუკიდებლად პირველმა მიიტანა იერიში ამ რომანში ავტორის მიერ პიროვნებისა და გარემოს დამოკიდებულების კონტრასტულ ხაზებში გადმოცემის წინააღმდეგ? საყვედური გოეთესათვის, რომ ვერტერი თავს იკლავს თავმოყვარეობის შელახვის გამო, იქიდან გამომდინარეობდა, რომ ნაპოლეონსაც არ მოსწონდა ვერტერის პროტესტანტიზმი, რადგან ეს უკანასკნელი არსებულის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ნაპოლეონი მართლაც არ ცდებოდა ვერტერის პერსონაჟის ამგვარ გაგებაში. ამიტომაც მისთვის კეისარიზმის დაწერის დროს საჭირო იყო არა პროტესტანტი და შტურმუნდდრანგელი, არამედ იმპერიის ერთგული გოეთე, მაგრამ არა პოლიტიკისადმი ინდიფერენტულად განწყობილი პოეტი, არამედ ისეთი, რომლისთვისაც მთავარი პოლიტიკა იქნებოდა. პროტესტანტიზმის და შტურმუნდდრანგელობის შიშს მოხუცი გოეთე უკვე აღარ იწვევდა, ხოლო რაც შეეხება პოეტის პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს, ეს ნაკლი გამოსწორებული იქნებოდა, თუ გოეთე საფრანგეთის

პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩაებმებოდა, თუ იგი ინახულებდა პარიზს და მთელ საფრანგეთს გაიცნობდა; ალბათ ამიტომ იყო, რომ ნაპოლეონი ასეთი დაჟინებით ეპატიჟებოდა გოეთეს საფრანგეთში! „მოდით პარიზში, — ეუბნებოდა იგი გოეთეს, — მე მოვითხოვ ამას თქვენგან; იქ თქვენ უფრო ფართო მსოფლმხედველობას შეიმუშავებთ და თქვენი მხატვრული შემოქმედებისათვის აუარებელ მასალას ნახავთ“ *).

გერმანიის მონარქიაც იძულებული იყო ანგარიში გაეწია გოეთესათვის, მაგრამ მას კარგად ვერ გაეგო, თუ რა მნიშვნელობის მქონე იქნებოდა ეოეთეს გადაბირება გერმანიის სასახლისათვის. ჯერ კიდევ ფრიდრიხ დიდი სიძულვილით იხსენიებდა „გოეცს“, რომელსაც იგი მხატვრული გემოვნების დაკარგვის ნიმუშად თვლიდა. „მაგრამ აი ახლა, — ამბობდა ფრიდრიხ დიდი, — სცენაზე გამოჩნდა „გოეც ბელიხინგერი“, ეს უხამსი მიბაძვა ინგლისური პიესისა; პარტერი კი ტაშს უკრავს და ენტუზიაზმით მოითხოვს ამ საზიზღარ უგვანოებათა განმეორებას“ **).

მსგავსად სხვა მონარქებისა, გერმანიის მონარქიისათვისაც მისაღები იყო კონსერვატიულად მოაზროვნე და არა მებრძოლი განწყობილების მატარებელი პოეტი. ბურჟუაზიის ოპოზიცია ჯერ კიდევ ისე არ გაძლიერებულიყო, რომ გერმანიის იმპერატორს საჭიროდ დაენახა გოეთეს ბიურგერობის წინააღმდეგ გამოყენება; მაგრამ გოეთეს პოლიტიკური ინდიფერენტიზმი არც გერმანიის მონარქიისათვის იყო მისაღები; მას პოეტისაგან სურდა შეექმნა სასახლის ცხოვრებასთან საბოლოოდ შეგუებული პიროვნება, რომელიც მხარს დაუჭერდა მეფის რეაქციურ პოლიტიკას და ჩადგებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული რეაქციონური ომის დიფირამბების დამწერთა რიგებში. რეაქციური გერმანია თავის კოერნერებს და კლაისტებს უხმობდა, ხოლო თავისი ყოფით განაწამებ, პოლიტიკურ ინდიფერენტიზმში გადაჭრილ გოეთეს გაქნილი კრიტიკოს-რეცენზენტების სახით გამუდმებით თავს ესხმოდა.

იმპერატორები და დიდგვარიანები თანხმდებოდენ იმაში, რომ დაედუმებიათ გოეთეს მებრძოლი ფაუსტისებური მისწრაფება, მაგრამ თითოეული მათგანი თავისებურ ამოცანებსაც აყენებდა. გერმანიის მონარქია ცდილობდა პოეტისგან ნაციონალური შუღლის ტრუბადურის შექმნას, გოეთეს საბოლოოდ გადასროლას ლეგიტიზმისა და ტირანიის დამცველთა პოზიციებზე; ნაპოლეონი პოეტის საშუალებით ფიქრობდა ტახტის განმტკიცებას, თავისი სახელის უკვდავყოფას, რუსეთის მონარქებს კი სურდათ ძველ წყობილებასთან შერიგებული, საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი გოეთე, რომ პოეტის მხარის და-

*) Ibid, S. 441.
**) Ibid, Bd. I, S. 429.

ჭერა გამოეყენებიათ არსებულით უკმაყოფილო პოეტების გადმოსაბირებლადაც.

როგორი იყო თვით გოეთეს პოზიცია? მივიდა თუ არა ლიბერალიზმის პრინციპების აღიარებამდე, გახდა თუ არა ნაციონალისტ-მონარქისტი პოეტი, ან ნაპოლეონის ტახტის ერთგული დამცველი, ან რუსეთის მონარქების მხარის დამჭერი?

გამოვარკვიოთ გოეთეს პოზიცია სასახლეებსა, მონარქებსა და წარჩინებულ პირებთან დამოკიდებულებაში. ჩვენ ვამბობდით, თუ რა ედვა საფუძვლად ვაიმარის ჰერცოგის მხრივ გოეთეს მფარველობას და სასახლეში დაწინაურებას. ჰერცოგის მოქნილმა პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო: გოეთე დარწმუნდა, რომ მხოლოდ ვაიმარშია შექმნილი კარგი პირობები მისი შემოქმედებისათვის. ეს დარწმუნებითი ტონი გამოსჭვივის მის მიერ ამ საკითხებზე დედისა და მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებში. პოეტი ფიქრობს, რომ იგი ჰერცოგთან მტკიცედაა დაკავშირებული. ვილანდიც ამიტომ სწერდა გოეთეს შესახებ: „ვიდრე ცოცხლობს კარლ ავგუსტი, მის (ე. ი. გოეთეს — ბ. ხ.) წინააღმდეგ ჯოჯოხეთი ვერას გააწყობსო“ *). ამ ხანებში ხდება გოეთეს მხრივ დამოკიდებულების გაწყვეტა კლოპშტოკთან, რომლის „მესიადასაც“ იგი თავის დასთან კორნელიასთან ერთად ბავშვობაში საიდუმლოდ თავდავიწყებით კითხულობდა.

„ჩვიდმეტი წელია, — ამბობს გოეთე, — ვტკბები ვაიმარის ჰერცოგის ნდობით და პატივისცემით გამოწვეული იშვიათი ბედნიერებთ. ეს ბუნებით უხვად დაჯილდოვებული, მშვენივრად განვითარებული თავადი იწონებდა ჩემს კეთილად გამიზნულ, ხშირად არა საკმაო სამსახურს და მაძლევდა მე განვითარების საშუალებას, რაც შეუძლებელი იყო ყოველ სხვა მშობლიურ პირობებში“ **).

თავის საუბრებში გოეთე უმრავლეს შემთხვევაში იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ ჰერცოგი კეთილი ადამიანია, რომელსაც არა მარტო ბრძანებლობა, არამედ სხვებისთვის სამსახურის გაწევაც შეუძლია; მაშინ, როდესაც გოეთეს, მისვე სიტყვებს რომ დავუჯეროთ, ბევრი ბრძოლას უმართავდა, მისი საქმეები არც ერთ მეფეს არ აწუხებდა, მხოლოდ ვაიმარის ჰერცოგი იყო მისი დამხმარე და მეცენატი.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ კონსერვატიზმს ფესვი მაგრად გაუდგამს გოეთეს მსოფლმხედველობაში. ტყუილად კი არ ამბობდა გოეთე, რომ იგი როიალისტთა ბანაკს ეკუთვნის, ვინაიდან მას, როგორც პოეტს, უკვე მოპოვებული აქვს სათანადო სახელი. ჩვენ ვხედავთ, რომ ვაიმარის სასახლის პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო გოეთეში პრომეთეიზმის ჩახრჩობისაკენ, უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მაგრამ შეუძლებელია, რომ გო-

*) Op. cit. Bd. II, S. 377.

**) Goethes sämmtl. Werke, Bd. XX, Stuttgart und Tübingen, 1851, S. 94.

ეთეს საბრძოლო პოზიციებიდან თანდათანობით უკანდახევა ამ პერიოდე მაგალითით დავასკვნათ. საჭიროა სხვა მასალის მოყვანაც. ჩვენ ვამბობ-დით, თუ როგორ მოქნილ პოლიტიკას აწარმოებდა გოეთეს მეგობარი მონარქიული რუსეთი. ვნახოთ როგორი გავლენა მოახდინა ამ პოლიტიკამ გოეთეზე.

როგორი „ობიექტური" ხაზიც არ უნდა ეჭირა გოეთეს რუსეთის მეფეებთან დამოკიდებულებაში, ერთი რამ მაინც ცხადია: მას სიტყვაც კი არ დაუძრავს რუსეთის მონარქების წინააღმდეგ დეკაბრისტთა მოძრაობის დასაცავად. პოეტის საქციელი ამ ხანებში საკმაო საფუძველს იძლევა, რომ მისი დამოკიდებულება რუსეთის მონარქებთან შეფასდეს, როგორც სასახლის მწერლის მოქმედება. ყველგან, სადაც კი გოეთე რუსეთის შესახებ ლაპარაკობს, იგი იჩენს დიდ სიფრთხილეს, რომ არ გ ა ა მ წ ვ ა ვ ო ს დამოკიდებულება რუსეთისა და გერმანიის სასახლეებს შორის. ალბათ იმიტომ, რომ გოეთეს შეგნებული ჰქონდა, თუ რა გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკაზე რუსეთის რეაქციური მთავრობა. ასე, მაგალითად, როცა გოეთემ გაიგო, რომ მის „იენის საყოველთაო სალიტერატურო გაზეთს" პეტერბურგშიაც კითხულობდენ, იგი 1804 წელს აცნობებს რედაქციას, რომ საჭიროა გაზეთში პეტერბურგის ამბების გაშუქება, რადგან ჩვენს გაზეთს იქაურ სასახლეში კითხულობენო. ფაქტურად ეს ნიშნავდა, როგორც სამართლიანად შენიშნავს დ უ რ ი ლ ი ნ ი, გაზეთის მიზანდასახულობის შეგუებას ზამთრის სასახლის მოთხოვნილებასთან.

1818 წელს გოეთეს დაუკვეთეს მარიამ თეოდორეს ასულის ვაიმარში მისვლის დღეს პოეტურ-თეატრალურად გაეფორმებია ვაიმარის კულტურული მიღწევები. გოეთემ მიიღო ეს დაკვეთა, როგორც იგი ამის შესახებ გვეუბნება თავის Maskenzug-ების შესავალში, და შეასრულა კიდეც.

გოეთე უკვე ალარ წარმოადგენდა საშიშ ძალას რუსეთის პრივილეგიური კლასებისათვის. 1804 წელს გოეთეს ხელში უვარდება შიშკოვის წიგნი „გ ა ნ ჯ ა ძ ვ ე ლ დ ა ა ხ ა ლ რ უ ს უ ლ მ ა რ ც ვ ა ლ ზ ე". ამ შემთხვევაში საინტერესოა არა ის ფაქტი, რომ გოეთე უარყოფითი შეხედულებისა იყო ამ წიგნის მეცნიერულ ღირსებაზე, სთვლიდა რა მას ენის პატრიოტებისათვის გამოსადეგად, არამედ ის მითითება, რომელსაც პოეტი გაზეთის რედაქციას ამ წიგნის გამო აძლევდა. გოეთე საჭიროდ ცნობდა სიფრთხილეს, რომლითაც რედაქცია შიშკოვის წიგნს უნდა მიდგომოდა. ამ ფრთხილი მიდგომის გარეშე, პოეტის აზრით შეიძლებოდა რუსეთის სასახლესთან დამოკიდებულების გამწვავება.

დეკაბრისტების მოძრაობას რუსეთში გოეთე დუმილით შეხვდა, თუმცა შეუძლებელია, რომ იგი არ ყოფილიყო გაცნობილი ამ მოძრაობას. რუსეთის დეკაბრისტები „ვერტერის" და „ფაუსტის" ავტორში თავიანთ მისწრაფებათა მხარის დამჭერს ხედავდენ. ისინი არ იყვნენ გოეთეს ფა-

ნატიკური მიმდევრები და როგორც კი დაინახავდენ, რომ ვაიმარის მნათობს უკან დაუხევია თავისი რევოლუციური პოზიციებიდან, მწუხარებით და ხელის ჩაქნევით გარბოდენ მისგან. ასე მოუვიდა: [illegible] ცნობილ კიუხელბეკერს, რომელიც წერდა: „გოეთეს მეფობა ჩემს სულზე დამთავრებულია. რაც არ უნდა ილაპარაკოს მის სასარგებლოდ „გეზლიტმა“ („Rev. Britt“-ში), შეუძლებელია, რომ მე კვლავ მუხლი მოვიყარო ჩემი ადრინდელი იდეალის წინაშე, როგორც ამას ჩავდიოდი 1824 წელს და როგორც ეს ვაიძულე ჩემთან ერთად მთელ რუსეთს“ (ხაზი ჩვენია — ბ. ხ.) *).

რომ დეკაბრისტების აჯანყებას გოეთე არ უთანაგრძნობდა, ამას ადასტურებს ღრმად მოხუცი პოეტის მიერ რუსეთში თავისი პატივისმცემლებისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც „მოსკოვსკი ვედომოსტ“-ში დაიბეჭდა. ამ წერილში გოეთე ასეთ დარიგებას აძლევდა თავის მიმდევრებს: „ისეთივე თანდათანობით, როგორც უწინ, განაგრძეთ თქვენი თანამემამულეებისათვის იმის გადაცემა, რასაც მათთვის მახლობელი სარგებლობა აქვს... გყავდეთ რა მუდამ მხედველობაში მონარქი და მისი ბრძნული, კეთილი განზრახვები, თქვენის მხრით შეასრულეთ ის, რაც თქვენთვისაა განკუთვნილი. რაც პატიოსანისათვის შესაძლებელია, ის სასარგებლოცაა; ის მოიტანს ნაყოფს, რაც უბრალოთათვის გასაგებია; დეე თქვენი გულის დასტური თქვენი უფროსების დასტურთან ერთად მუდამ იყოს გამაფრთხილებელი საჩუქარი თქვენთვის“... „განაგრძეთ მშვიდათ გაიცნოთ ადამიანი თავის თავს; დაე იგრძნოს მან თავისი ფასი, ღირსება და ისწავლოს იმ ადგილის გაგებაც, რომელიც მისთვისაა განკუთვნილი მთელი ქვეყნის და განსაკუთრებით ამ უკანასკნელის განსაზღვრულ შინაგანი წრის მიმართ“ (ხაზი ჩვენია — ბ. ხ.) **).

მოყვანილი ადგილები ახასიათებენ გოეთეს, როგორც სასახლის მწერალს. გოეთე, როგორც სასახლის მწერალი, უფრო ნათლად მოსჩანს ნაპოლეონის ჯარების გერმანიაში შესვლის დროს გამოთქმულ სიტყვებში. ნაპოლეონი კარლ ავგუსტში ხედავდა პრუსიის სამხედრო და ფინანსიურ დამხმარეს. ჰერცოგის საქციელი ნაპოლეონმა შეთქმულებად ჩათვალა. ამან აღაშფოთა გოეთე და ამ აღშფოთებაში მოჩანს სასახლის ცხოვრებასთან სერვილისტურ დამოკიდებულებაში მყოფი პოეტი. ბრაზმორეული გოეთე ამბობდა: „ბალღები და ქალები, როცა ისინი სოფლად შეგვხვდებიან, გაახელენ ნამტირალ თვალებს და ერთმანეთს ასე გადაულაპარაკებენ: შეხედე, ეს არის მოხუცი გოეთე და ვაიმარის უწინდელი ჰერცოგი,

*) Литературное наследство; № 4 — 6; Москва, 1932 г. ст. 171.

**) Ibid, ст. 460 — 463.

რომელიც საფრანგეთის იმპერატორმა ტახტიდან გადააყენა, იმიტომ, რომ ჰერცოგი უბედურებაში ერთგული იყო თავისი მეგობრის, რომ მან სიკვდილის პირას თავისი ბიძა — ჰერცოგი ბრაუნშვაიგელი ინახულა, რომ მას არ უნდოდა შიმშილით ამოწყვეტილიყვნენ მისი ძველი სამხედრო მეგობრები... „ძე ნაჭერ პურისათვის ვიმღერებ, მოედნის პოეტი გავხდები და გავლექსავ ჩვენს უბედურებას; მე გავსწევ ყველა სოფლისა და სკოლისაკენ, სადაც კი ცნობილია გოეთეს სახელი; გერმანელების გაბახებას ვიმღერებ და ბავშვები ვალდებულნი გახდებიან ზეპირად ისწავლონ ჩემი უხამსი ლექსები, ვიდრე ეს ახალგაზრდები დავაჟკაცდებოდნენ და ზევით, ისევ ტახტზე მჯდომს ჩემს ბატონს, თქვენ დაბლა მყოფთ სიმღერას მოგაწვდიდნენ“ *). ამავე მხარით ახასიათებს გოეთეს ბეთჰოვენის წერილი, რომელიც მან 1812 წ. ბეტინას გაუგზავნა. ამ წერილში ბეთჰოვენი იგონებს თავის და გოეთეს შეხვედრას ავსტრიის სამეფო ოჯახთან.

ცხადად ჩანს, რომ სასახლის პოლიტიკამ გავლენა მოახდინა გოეთეზე. იგი იძულებული გახდა ზავი ჩამოეგდო არსებულ წყობილებასთან. მაგრამ უმართებულობა იქნება, თუ ვიტყვით, რომ მწერალმა სიხარულითა და შინაგან დარწმუნებით მიიღო სასახლის ცხოვრება. ჩვენ ვიცით, როგორ ტანჯავდა გოეთეს ვაიმარის სასახლეში ცხოვრება, სასახლის შინაურ საქმეში ჩარევა, როგორი უარყოფითი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებამ. გოეთეს სიხარულით და კმაყოფილებით არ მიუღია სასახლის ცხოვრება. სასახლის მწერლად იგი იქცა არა თავისი სურვილით, არამედ გარეგანი იძულებით. გოეთეს გარდაქმნა არ მიდიოდა მშვიდობიანი გზით, პოეტი სულით და გულით არ მისულა ძველ წყობილებასთან. პოეტი არ იზიარებს გერმანიის მონარქის რეაქციურ პოლიტიკას, არ ხდება ძველი წყობილების ერთგული დამცველი, თავადების მონა და რევოლუციური მოძრაობის უსაზღვრო მოძულე.

სიცოცხლეში პოეტს „მ თ ა ვ რ ი ს მ ო ნ ი ს“ და „ხ ა ლ ხ ი ს მ ო ძ უ ლ ი ს“ ბრალდებას უყენებდნენ. უაღრესად დაღონებული გოეთე იძულებულია უპასუხოს ასეთ ბრალდებაზეც. მართლაც, გოეთეს ცხოვრება და შემოქმედება ბევრ საბუთს იძლეოდა, რომ პოეტისთვის ასეთი ბრალდებები წაეყენებიათ; მაგრამ, როცა პოეტის საქციელით უკმაყოფილოთა რიგებს ზოგიერთი მეგობარიც შეუერთდა, როცა ც ე ლ ტ ე რ მ ა ც საყვედურის წერილი მისწერა მას, მაშინ გადმოხეთქა მწერალში დაგუბებულმა ნაღველმა. ცელტერი 1825 წელს სწერდა გოეთეს: „შენ იმის კაცი რომ არა ხარ — ვაიმარში ხალხს თეატრი აუშენო, ეს წინასწარ შემეძლო მეთქვა შენთვის“ **). ამ წერილის გამო გოეთე ეკერმანთან საუ-

*) Lewes — Goethes Leben und Werke, Bd. II, S. 425 — 426.

**) Briefwechsel zwischen Goethe und Zelter; Bd. II, Leipzieg; S. 316.

ბარში ნაღვლიანად შენიშნავდა: „ხალხს და მის განათლებას მე მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე; რატომ არ უნდა ამეგო მისთვის თეატრი?“ *).

ვაიმარში — ამ პატარა რეზიდენციაში, არ შეიძლება ითქვა ხალხის არსებობაზე, ფიქრობს გოეთე. ვაიმარში არ არის საზოგადოება, რომლის ინტერესებიდანაც უნდა გამოდიოდეს თეატრის აგების მოთხოვნა. პოეტი არც ცდებოდა, როდესაც ვაიმარის და საერთოდ იმდროინდელი გერმანიის ხალხის ჩამორჩენილობაზე ასეთ შეხედულებას გამოსთქვამდა. ვაიმარს არა აქვს თეატრი, მაგრამ ვაიმარის მცხოვრებთ, ფიქრობს პოეტი, არა აქვთ განვითარებული არც მხატვრული გემოვნება; ამიტომ, ვაიმარს, ისე, როგორც იმდროინდელ გერმანიის საზოგადოებას, არ შეუძლია დააფასოს ნამდვილი ხელოვნების ძეგლების მნიშვნელობა. ხელოვანსა და მასებს შორის, როგორც მთელს გერმანიაში, ისე აქაც ინტერესთა გაუგებრობა და წინააღმდეგობაა. პოეტი ხედავს, რომ გერმანია კულტურულად ძალიან ჩამორჩა სხვა ერებს; ამიტომ იყო, რომ გოეთე თეატრის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის დროს მთელ გულისყურს აპყრობდა იმას, რომ ეზიარებინა გერმანელები ხელოვნების უძვირფასესი ძეგლების გაგებისათვის. გერმანელებში არ იყო განვითარებული მხატვრული, თეატრალური ნაწარმოებების გაგების ალღო. თეატრული საზოგადოება ხელოვანისთვის არა მარტო შემფასებელი, არამედ ბიძგის მიმცემიც უნდა ყოფილიყო შემდგომ ნაყოფიერ მუშაობაში.

გერმანიას არ ჰყავდა თეატრალური საზოგადოება. ასეთივე მდგომარეობა იყო ვაიმარში. ვაიმარის თეატრსაც არ ჰყავდა ორგანიზებული მაყურებელი მაშინ, როდესაც მას ჰყავდა მრავალი პოეტი, რომელთაგან პოეზიაში ბევრი შემთხვევით შეხიზნულიყო. ეს მასა პოეტებისა არ ჩაითვლებოდა საზოგადოებად, რომლის ინტერესების გათვალისწინებით თითქოს შესაძლებელი უნდა გამხდარიყო ნამდვილი სახალხო თეატრის დაარსება. გოეთე დიდის გულმოდგინებით მუშაობდა თეატრის მაყურებელთა აღსაზრდელად, იგი არ დაშვებულა მაყურებლის გემოვნებამდე, არამედ ცდილობდა აღეზარდა ეს უხეში და ტლანქი გემოვნების მქონე მასა. ამიტომ მას შ ი ლ ე რ თ ა ნ ერთად უხდებოდა დიქტატორულ ღონისძიებათა გატარებაც კი თეატრის მუშაობის გარდასაქმნელად. გერმანიას არ ჰქონდა ნამდვილი თეატრი — ეს ჯერ კიდევ ლ ე ს ი ნ გ ი ს ა გ ა ნ ახსოვდა პოეტს.

ოლიმპური ქედმაღლობით მიმართავდა გოეთე გერმანელ და კერძოთ ვაიმარის საზოგადოებას, რომელსაც სცენაზე ეფექტების გამომწვევი სურათები მოსწონდა. გერმანული თეატრალური საზოგადოება მეტად ჭრელი შემადგენლობა იყო. იგი ნაკლებად ეგუებოდა რეგლამენტირებულ თეატრულ ცხოვრებას; და როცა მხატვრული გემოვნების სიჩლუნგის შე-

*) Eckermann — Gespräche mit Goethe. Leipzig, 1835, S. 60.

დეგად მაყურებლები აურზაურს ასტეხდენ, გოეთე მათ დარბაზიდან გაძევებით ემუქრებოდა, ან და თუ მომქმედ პირთათვის თანაგრძნობის გამომჟღავნების ნიშნად უალაგო ალაგას ხარხარს მოჰყვებენ — გოეთეს შეეძლო მათთვის მრისხანედ დაეყვირა: „Man lache nicht!“ გემოვნების მოდუნება და სიჩლუნგე ახასიათებდა არა მარტო დაბალ, არამედ პრივილეგიურ კლასებსაც. ამის საუკეთესო ნიმუშს იძლეოდა თვით ჰერცოგი, რომელმაც 1817 წელს ნება დართო მოხეტიალე მსახიობ კარსტენის მელოდრამაში ძაღლი გამოეყვანა, რასაც გერმანიაში აღფრთოვანებით ხვდებოდენ. მიუხედავად გოეთეს სასტიკი პროტესტისა, ჰერცოგის დაჟინებული მოთხოვნით ძაღლი სცენაზე მაინც გამოიყვანეს.

ასეთი იყო გერმანული თეატრალური საზოგადოება, რომლის ინტერესებისათვის ანგარიშ გაუწევლობას უჩივოდენ პოეტს, როგორც მოწინააღმდეგენი, ისე მისი ზოგიერთი მეგობარიც. გოეთეს არ შეეძლო მთლიანად ასეთ ჩამორჩენილ მასებს დაყრდნობოდა. იგი ამჯობინებდა, თვითონ კი არ დასულიყო გერმანელ ხალხამდე, არამედ ეს უკანასკნელი გაეთვითცნობიერებინა და აღეზარდა. ამიტომ სწუხდა პოეტი, რომ მას არისტოკრატის, ხალხის მოძულისა და მთავრების მონის ეპითეტით ამკობდნენ. მაგრამ გოეთეს შეცდომა, მისი „შეცოდება ხალხის წინაშე“ იმაშია, რომ იგი გერმანული ხალხის ჩამორჩენილობის მაგალითზე შემცდარ დასკვნებს აკეთებდა საერთოდ რევოლუციური მასების შესახებ. ხალხის მეგობრობა პოეტს აშინებდა იმიტომ, რომ მათში, მისი აზრით, ისეთები ბატონობენ, რომელიც ძველის დამხობის მოთხოვნით თავისი სარგებლობის მოპოვებისაკენ ისწრაფვიან.

პოეტი თავის ერთერთ საზრუნავ საგნად სთვლიდა ხალხის „გაკეთილშობილებას“, მაგრამ ეს პროცესი, მისი აზრით, უნდა იქითკენ წარიმართოს, რომ ხალხმა ხელი აიღოს რევოლუციურ მისწრაფებაზე; ამიტომ უკვირს პოეტს, რატომ თვლიან მას ხალხის მტრად, მაშინ, როდესაც იგი თვით ხალხის ინტერესებზე დაყრდნობილი, კი არ ეშვება მათ დონემდე, არამედ ცდილობს მათ წაყვანას თავისი გზით. პოეტი აღშფოთებულია, რომ მას არ აკმარეს ეპითეტი „ხალხის მტერი“ და მიაკერეს ახალი ეპითეტი — „მთავრების მონა“. „კვლავ ამბობენ, — ეუბნება იგი ეკერმანს, — რომ მე მთავრების მსახური, თავადების მონა ვარ. თითქო ამით რაიმე ითქვა. მიმსახურია მე ტირანისათვის, დესპოტისათვის? მიმსახურია ისეთ ვინმესთვის, რომელიც ხალხის ხარჯზე ყიდულობს თავის საკუთარ მხიარულებას?“ *).

ცნობილი პუბლიცისტი ლ ი უ დ ვ ი გ ბ ერ ნ ე აღშფოთებულია გოეთეს სასახლესთან დამოკიდებულებით. პოეტის სასახლესთან დამოკიდებულებაში ბერნე ხედავს არისტოკრატიზმის მონა გოეთეს. „თავდაუჭე-

*) Eckermann, Bd. III, S. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელი დესპოტების ბრმა სამსახური გოეთესთვის იყო აღმოსავლურ ძვირფასეულობის ბაზარზე ყველაზე უფრო გაუმაძღარ [illegible] საგანი. ყველა დანარჩენი მან ნახა; ამას ეძებდა. გოეთე გარ[illegible] მონაა, მაშინ, როცა ჰეგელი გაურითმავი მონაა" *).

არისტოკრატიულობას და ხალხის სიძულვილს ბერნე ნახულობს პოეტის ნაწარმოების ყოველ სტრიქონსა და მარცვალში. მასალის გადმოცემის მშვიდსა და მოსვენებულ მანერასაც ბერნე პოეტში არისტოკრატიზმის გამოვლენად თვლის. არც შილერს და არც გოეთეს იგი არ თვლის ხალხის მეგობრად. „მათ არ უყვარდათ ხალხი, — სწერს ბერნე, — სძაგდათ ხალხი და არაფერი არ გაუკეთებიათ მათთვის" **).

ბერნეს აოცებს გოეთეში ზოგჯერ ადამიანური მხარეების გამოვლენა; გოეთეს არ უზრუნვია გერმანელი ხალხის სასარგებლოდ, არასოდეს არ წარმოუთქვამს მას პატარა სიტყვაც კი თავისი ხალხის სასარგებლოდ, ამბობს გაცხარებული პუბლიცისტი. ბერნეს აზრით, გოეთე ერთი უბედნიერესი ადამიანთაგანი იყო, რომელიც კმაყოფილი ცხოვრობდა სასახლეში. ბერნე თავს ესხმის პოეტს არისტოკრატული მისწრაფებისა და პოლიტიკური ინდიფერენტიზმის გამო. უფრო მეტი: გოეთეში იგი ხედავს ისტორიის განვითარების მუხრუჭს. „ეს კაცი, — სწერს ბერნე გოეთეს შესახებ, — ფლობს დიდ შ ე მ ა ფ ე რ ხ ე ბ ე ლ ძალას; იგი სითეთრეა გერმანულ თვალზე. ერთი შეხედვით ეს უბრალო რქოვანი გარსის ნაწილია და მეტი არაფერი, მაგრამ მოაცალეთ იგი და თქვენს წინ თავისი სიცხადით მთელი ქვეყანა გადაიშლება"***). ამ ყალბი გაგებიდან გამოსულ ბერნეს გამოაქვს სასიკვდილო განაჩენი გოეთეს ლიტერატურულ მემკვიდრეობისათვის. „ისტორია, — წერს ბერნე, — ითვლის დიდ ადამიანებს, რომელთაც შეიძლება წ ა რ ს უ ლ ი ს დ ა ს ა თ ა უ რ ებ ა ვუწოდოთ. ასეთ ადამიანებს ეკუთვნიან გოეთე და შილერი" ****). ბერნე უსაყვედურებს გოეთეს, რომ ეს უკანასკნელი მიუხედავად თავისი მრავალი სიტყვიერი განცხადებისა, არ არის ლიბერალი, მაგრამ ეს საყვედური უმართებულოა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბერნე ზემოდმოყვანილ სტრიქონებს სწერდა იმ დროს, როდესაც გერმანია 1848 წლის რევოლუციის წინაშე იდგა, რომ იმდროინდელი გერმანიის ბურჟუაზია მაინც განსხვავდებოდა მე-19 საუკუნის მიწურულის ბიურგერებისაგან, თუმცა კომპრომისისაკენ მისწრაფება მას ამ პერიოდშიაც ახასიათებდა.

---

*) Л. Берне — „Из моего дневника", соч. т. I, перевод П. Вейнберга. С.-Пет., 1869, стр. 175.

**) Op. cit, 153.

***) Op. cit, 161.

****) Л. Берне: „Парижские письма"; соч. т. II, стр. 24.

ბერნე სწორად აკრიტიკებს გოეთეს ფილისტერობას, სამართლიანად საყვედურობს, რომ გოეთე პოლიტიკურ გარდატეხათა [illegible] „ვირთაგვასავით“ იმალებოდა თავის სოროში, მაგრამ იგი [illegible] ამას თუ, რატომ გაურბოდა გოეთე ამ პოლიტიკურ მოვლენებთან პირისპირ შეხვედრას. სასტიკად ცდებოდა ნიჭიერი პუბლიცისტი, როცა ანგარიშში არ აგდებდა გოეთეს მიერ გერმანელთა ჩამორჩენილობის მომიზეზებას.

ბერნე მხოლოდ თავისი ცხოვრებით კმაყოფილ, სასახლესთან მტკიცედ დაკავშირებულ „ბ-ნ გოეთეს“ ხედავს, რომლისთვისაც თურმე უცხოა ხალხის ინტერესები. გოეთეს მხოლოდ საკუთარი, ეგოისტური ინტერესები ამოძრავებსო, იმეორებს ბერნე გოეთეს შესახებ სხვების მიერ გამოთქმულ შეხედულებას. ისტორიამ სასტიკად დასცინა ბერნეს, როდესაც მან, ისე, როგორც კიუხელბეკერმა გოეთე წარსულის დასათაურებად გამოაცხადა. ბერნე ცდილობს გოეთეში სასახლის ცხოვრებით კმაყოფილი პოეტი დაინახოს. ამავეს ცდილობდა და დღესაც ცდილობს ბურჟუაზიული კრიტიკოსების უმრავლესობა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ბერნე თავს ესხმოდა ძველ წყობილებასთან შერიგებულ გოეთეს, დღევანდელი ბურჟუაზიული კრიტიკა ქება-დიდებას ასხამს პოეტში ამ სერვილისტური განწყობილების გამოვლენას.

გამოვარკვიოთ, რამდენად სწორია ის, რომ ვაიმარელ მინისტრში ეს ყოველმხრივ კმაყოფილი გოეთე დავინახოთ. სწორია თუ არა დებულება ყოველმხრივ კმაყოფილ ვაიმარელ გოეთეს შესახებ. შემდეგ: სწორია თუ არა ბერნეს და კომპანიის დებულება, რომ ვაიმარელ გოეთეს მხოლოდ ეგოისტური მიზნები და არა ხალხის ინტერესები ამოძრავებდა?

გოეთეს ცხოვრება და შემოქმედება არა ერთ მაგალითს გვაძლევს იმის გასაგებად, რომ პოეტი არც ისე თავისუფლად გრძნობდა თავს ფეოდალურ გერმანიაში, როგორც ეს ბურჟუაზიულ კრიტიკას სურს წარმოგვიდგინოს, რომ გერმანიის ლიტერატურის მონბლანი ვაიმარში სასტიკ შეზღუდულობას განიცდიდა. მართალია, გოეთე ოფიციალურ სიტყვებსა და მიმოწერაში ცდილობს დაფაროს თავისი უკმაყოფილება, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც ვტყობილობთ, რომ ვაიმარელ ლომს სული ეხუთება გერმანულ ბასტილიაში. აქა-იქ ეს უკმაყოფილება ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ზოგჯერ იგი აშკარად იჩენს თავს. ეკერმანთან საუბარში მწერალი ჩიოდა, რომ მას სამსახურის საქმეები მძიმე ტვირთად აწევს, რაც აფერხებს მის ლიტერატურულ ნაყოფიერ მუშაობას. ამ უკმაყოფილებას ვხედავთ იტალიიდან ჰერცოგისადმი გაგზავნილ წერილშიაც. ეს უკმაყოფილო გოეთე მოჩანს დედისადმი მიწერილ მელანქოლიკურ წერილში. „თქვენ, თქვენის მხრივ, — სწერდა იგი დედას, — დაკმაყოფილდით ჩემი ახლანდელი ყოფით; და თუ კი მე სიცოცხლეს გამოვემშვიდობე, მაინც ხომ სამარცხვინოდ არ მიცხოვრია, მე მრჩება კარგი მეგობრები, სახელი

და ეს იქნება შენთვის საუკეთესო ნუგეში, რომ მე „მთლიანად არ მოვმკვდარვარ“ *). თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ უკმაყოფილების გრძნობა ამ წერილშიაც მოჩანს. მივმართოთ სხვა რეალიებს.

ტრადიციული კრიტიკა გვიხატავს იდეალურ დამოკიდებულებას გოეთესა და ჰერცოგს შორის. თვით გოეთეც ოფიციალურად მეტწილად ასე აფასებდა თავის დამოკიდებულებას ჰერცოგთან, მაგრამ ჩვენ ვტყობილობთ, რომ გოეთე ჰერცოგითაც ხშირად უკმაყოფილო იყო. პოეტი აღშფოთებულია იმის გამო, რომ ჰერცოგი უმაგალითოდ ანიავებს სახელმწიფო თანხებს.

„ჰერცოგი მხიარული და კეთილია, მაგრამ ხუმრობა ძვირად ჯდება. იგი გავერანებულ ადგილას (აიზენახში, ნადირობისას) კვებავს 80 კაცს; ჯაფავს და აღონებს თავისიანებს, ინახავს ორიოდე სხვისი სუფრის შემყურე თავადს, რომლებიც მადლობასაც არ ეუბნებიან და ყველაფერ ამას აკეთებს კეთილი სურვილით, რომ ასიამოვნოს თავის თავს და სხვებსაც. ღმერთმა იცის შეიგნებს თუ არა იგი ოდესმე, რომ მაშხალა შუადღისას არავითარ ეფექტს არ იძლევა. მე არა მსურს ყოველთვის ფიტული ვიყო, სხვებს კი იგი არც რჩევას კითხავს და არც ეუბნება თუ, რის გაკეთებას აპირობს“ **).

გოეთეს უკმაყოფილობა ჰერცოგის საქციელით ისე გაიზარდა, რომ პოეტი იძულებული გახდა დაეტოვებია სასახლე და დროებით მაინც იენაში გადასახლებულიყო. თავისი ცხოვრებით განაწამები და უკმაყოფილო გოეთე მოჩანს გ. ს ტ რ ო გ ა ნ ო ვ თ ა ნ შეხვედრაში. სტროგანოვი არ იყო გოეთეს პიროვნებით ფანატიკურად გატაცებული. გოეთესთან შეხვედრის დროს, როცა კამათი ლიტერატურულ საკითხებზე ჩამოვარდა, სტროგანოვმა, სხვათა შორის თქვა, რომ ქვეყნად არც ერთ ერში არ არის გოეთეს ისეთი დაუფასებლობა, როგორც გერმანიაშია. ამ მხილებამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია მოკამათეთა შორის. მეორე დღეს გოეთემ სტროგანოვს უთხრა: „ა ზ რ ი და მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ჩ ე მ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა და ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ეს წ მ ი ნ დ ა ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ი ს ტ რ ი უ მ ფ ი ა. ამიტომ მე მისგან არასდროს არ ვთავისუფლდები და ვტკბები ჩემი დიდებით, მაგრამ უტკბილესი ნაყოფი ჩემთვის არის ჯანსაღი ადამიანის მხრივ გაგება... ამიტომ შემიძლია დავადასტურო თქვენი მტკიცების შედარებითი სამართლიანობა, რომ გერმანიამ მე ვერ გამიგო. გერმანელ ხალხში არის გრძნობითი ეკზალტაციის სული, რაც მე უცნაურად მეჩვენება; აქ ხელოვნება და მეცნიერება ცხოვრებისაგან მოწყვეტილი აბსტრაქტულ ფორმაში იმყოფება“ ***).

---

*) G. H. Lewes — Goethes Leben und Werke, Bd. II, Berlin, 1873, S.S. 55—56.

**) Op. cit, S. S. 44 — 45.

***) Литературное наследство. № 4 — 6; Москва, 1932, стр. 408.

ამ საუბრიდან ჩანს, რომ გოეთე არ არის კმაყოფილი ვაიმარში და საერთოდ გერმანიაში შექმნილი მდგომარეობით. ეს ფაქტი საფუძველს აცლის ბერნეს დებულებას კმაყოფილი და ბედნიერი ვაიმარელი გოეთეს შესახებ. ბერნეს ძირითადი შეცდომა იმაშია, რომ იგი გოეთეს შესახებ დასკვნებს აკეთებს პოეტის მიმოწერის და არა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით. გოეთეს მხატვრული შემოქმედების ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ უმართებულოა პოეტს წამოვუყენოთ ეგოისტობისა და ხალხის მტრობის ბრალდება. აბა რომელი ნაწარმოების დასახელება შეეძლო ბერნეს, საიდანაც მტკიცდებოდეს, რომ გოეთე არ სცემს პატივს ხალხის ინტერესებს, რომ მას არ აწუხებს კაცობრიობის მომავალი? თვით გოეთეს ბიოგრაფიაში მრავლად შეეძლო ენახა ბერნეს იმის მაგალითი, რომ რევოლუციის უარყოფის მიუხედავად გოეთე მაინც რეაქციის ბანაკში არ გადაჭრილა, მონარქების მონა არ გამხდარა.

ბერნეს შეცდომა იქიდან გამომდინარეობს, რომ მას ვერ გაეგო გოეთეს ორგვარი დამოკიდებულება გარემოს სინამდვილესთან. გოეთეს შერიგება ძველ წყობილებასთან ხანგრძლივი შეხლა-შემოხლის შედეგი იყო და მწერალმა გულში ჩაიმარხა არსებული სინამდვილისადმი ფარული, მაგრამ ღრმა უკმაყოფილება. კარგად რომ დაკვირვებოდა ბერნე, „წმინდა ანნას“ ორდენის ქვეშ აღმოაჩენდა ადამიანთა მაღალი იდეალებისთვის მფეთქავ გოეთეს გულს. მაშინ მისთვის დაკარგული არ დარჩებოდა ის მარგალიტები, რომლებიც გოეთე — პრომეთემ შექმნა. რა თავხედობაა, რომ ასეთი დიდი პიროვნება, რომელსაც ძველ ყოფასთან შერიგებულსაც კი ადამიანთ ინტერესების უანგარო დაცვაზე ხელი არ აუღია, წარსულის დასათაურებად გამოაცხადო.

მაგრამ ბერნე და მენცელი, ეს „გაცოფებული სანკულოტი“, როგორც მას ჰაინე უწოდებდა, ამ საკითხში მარტონი არ არიან. მათ გვერდს უმშვენებენ რუსეთის მოაზროვნეებიც. 1825 წელი ახალ თარიღს ჰქმნის რუსეთის გოეთეანაში. „ვერტერის“ ავტორი დეკაბრისტების დამარცხებამდე დიდი თანაგრძნობით სარგებლობდა რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციაში. ოლიმპის პიედესტალზე მყოფ ავტორში რუსი მიმდევრები რევოლუციურ მისწრაფებათა მწერალს ეძებდენ. როგორც გერმანიაში, ისე რუსეთში სადავოდ შეიქნა გოეთეს, როგორც სასახლის მწერლის, პიროვნება. გოეთეს გარშემო შეხედულებათა ბრძოლის გამძაფრებას ხელი შეუწყო 1817 წელს მ ე ნ ც ე ლ ი ს წიგნის რუსული თარგმანის გამოსვლამ. მენცელი თავს ესხმის გოეთეს იმისათვის, რომ იგი არ იყო საკმაოდ ლიბერალი, რომ მას არ შეეძლო ჩაბმა ნაციონალურ გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. მენცელი ამიტომ უარყოფდა გოეთესთვის გენიოსის სახელის მინიჭებას.

მენცელის წიგნის თარგმანმა რუსეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ნ ე ვ ე რ ო ვ ი მენცელის საქციელს სპილოსა და ფინიას შეხვედ-

რას ადარებდა. საინტერესოა ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს პოზიცია. ბელინსკი სასტიკად აკრიტიკებდა მენცელს, რომ ეს უკანასკნელი არ ანცალკევებდა ერთმანეთისაგან გოეთეს, როგორც პიროვნებას, და გოეთეს, როგორც ხელოვანს. სასახლეში ცხოვრება, ბელინსკის აზრით, არაფერს [illegible] ნიშნავს, რადგან ორივე შემთხვევაში შეიძლება იყო დიდი და კეთილმომქმედი მწერალი. გოეთეს პოლიტიკური ინდიფერენტიზმი ბელინსკის არ მიაჩნია ანგარიშში ჩასაგდებად, რადგან, მისი აზრით, „შთაგონება არ ეკითხება კალენდარს. ის ხშირად სდუმს, როცა მას ყველა ელოდება. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოეტს ყველაზე ნაკლებად შესწევს უნარი გამოეხმაუროს თანამედროვეობას, რომელიც მისთვის დასაწყისია შუა ნაწილის და ბოლოს გარეშე, რომელიც მისთვის არის მოვლენა სისრულისა და მთლიანობის გარეშე, დაფარული ვნებათა ნისლით, წინასწარ აღებული აზრებით და პარტიული მიკერძოებით“ *).

გოეთეს არ შეეძლო შ ი ლ ე რ ი ს მსგავსად გამოხმაურებოდა პოლიტიკურ მოვლენებს, არც კ ო ე რ ნ ე რ ი ს და ა რ ნ დ ტ ი ს მსგავსად დაეწერა ლექსები ომის შესახებ, რადგან ეს არ იყო მისი საქმე, ფიქრობს ბელინსკი. „ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები, — წერს ბელინსკი, — კი არ ამზადებს ადამიანს ცხოვრების ქარიშხლის და უკულმართობის წინააღმდეგ, არამედ აფართოვებს და ამაღლებს მის სულს უსასრულოს განჭვრეტამდე, არიგებს მას სინამდვილესთან“.

ამგვარად, ბელინსკი, იმისათვის, რომ დაიცვას გოეთე მენცელის შეტევისაგან, ისვრის პოეტს იდეალისტთა ბანაკში, აცხადებს მის შემოქმედებას ზეკლასობრივ, ზეპარტიულ კატეგორიად. ბელინსკის მთავარი შეცდომა იმაშია, რომ იგი ამართლებს გოეთეს ინდიფერენტიზმს საფრანგეთის რევოლუციისადმი, ამართლებს პოეტის შემარიგებლობას და ფილისტერობას. ბელინსკი მენცელს შ ე მ ც დ ა რ ი პოზიციებიდან აკრიტიკებს. იმის მაგიერ, რომ გაკიცხოს გოეთე, სადაც იგი ღირსია, აღიაროს ჭეშმარიტების ელემენტი ბერნეს და მენცელის კრიტიკაში, ბელინსკი წყალს უმარჯვებს გოეთეს ფალსიფიკატორთა წისქვილს.

თუ ბერნემ გოეთეს მხოლოდ ერთი მხრიდან შეხედა, რომელიც, ზ ა ი ც ე ვ ი ს სიტყვით, ყველაზე სუსტად აჩენს გოეთეს და ანგარიშში არ ჩაგდო პოეტის შემოქმედებაში საღი და რევოლუციური მომენტები, თუ მან გოეთეში დაინახა მარტო ფილისტერი და მის გვერდით ვერ შენიშნა „პრომეთეს“, „გოეცის“, „ვერტერის“ და „ფაუსტის“ ავტორი, სამაგიეროდ ბელინსკიმ გერმანიის უბადრუკი სინამდვილის წინაშე გოეთეს წამოჩოქების ფაქტი სავსებით გამართლებულად მიიჩნია.

ასეთსავე დიფირამბებს უძღვნის გოეთეს სასახლესთან შემარიგებლობას. მის ინსერვატორობას მ. ბ ა კ უ ნ ი ნ ი, რომლის ოჯახშიაც გოე-

*) Белинский. Собр. соч. под ред. С. А. Венгерова, С.-Пет. 1901 г., т. IV, стр. 465.

თეს დიდი პატივისცემით იხსენიებენ. ბაკუნინი წერდა: „ცხოვრების ყველა ურთიერთობასა და სფეროში სინამდვილესთან შერიგება არის ჩვენი დროის დიდი ამოცანა; ჰეგელიც და გოეთეც ამ შერიგების, საკვლილიდან სიცოცხლეში დაბრუნების მეთაურები არიან“ *).

გოეთე — სასახლის მწერლის, გოეთე ოლიმპიელის პიროვნებას თავს დასტრიალებდნენ რუსეთის „რაზნოჩინცები“. დეკაბრისტებმა პირი იბრუნეს გოეთესგან. მათ ვერ ნახეს პოეტში ის, რასაც ეძებდნენ. მოძრაობის დამარცხების შემდეგ დეკაბრისტები აღარ ეძებდენ ადრინდელ შტურმუნდდრანგელს; მათ საყვარელ ნაწარმოებად იქცა „ფაუსტის“ მეორე ნაწილი. თავისებური პოზიცია გოეთეს შეფასებაში ეჭირა პ ი ს ა რ ე ვ ს. გოეთეს მთავარი ნაკლი, პისარევის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ პოეტს შეეძლო „ლაქუცი“ წარჩინებულთა წინაშე. გოეთეს არ უყვარდა ხალხი, იგი ეგოისტია, დაასკვნის პისარევი ბერნეს, მენცელის და სხვათა მსგავსად. „გოეთეს არავინ არ უყვარდა, გარდა თავისი თავისა და საკუთარი იდეებისა. ის ოდნავადაც არ ზრუნავდა ადამიანთა საზოგადოების ინტერესებისათვის“, წერს პისარევი **). სტატიაში „ჰაინრიხ ჰაინე“ პისარევი წერს: „თავის სამშობლოს გოეთემ მეტად ბევრი ბოროტება მიაყენა. მან შილერთან ერთად სამარადისოდ შეამკო გერმანელი ფილისტერის ღორული თავი უკვდავი პოეზიის დაფნის ფოთლებით. ამ ორი პოეტის მეოხებით გერმანელ ბიურგერს შესაძლებლობა აქვს შეარიგოს უმაღლესი ესთეტიკური სიბეჩავე ყველაზე უფერულ სისაძაგლესთან ***).

პისარევი სწორად მიუთითებს გოეთეს პიროვნებაში ფილისტერობისა და შემარიგებლობის მომენტზე, მაგრამ ბერნესაგან განსხვავებით, იგი გოეთეში ბევრ სასარგებლო მხარესაც ხედავს... „მიუხედავად ამისა, — წერს პისარევი, — მან (ე. ი. გოეთემ — ბ. ხ.) თავისი ნაწარმოებებით მაინც მოიტანა და კვლავაც მოიტანს ბევრ ნაყოფს სწორეთ ადამიანთა იმ საზოგადოებისთვის, რომლისადმიც იგი გულგრილი იყო“. თუმცა პისარევი გარკვევით არ ამბობს, თუ რაში ხედავს იგი ამ სარგებლობას, მაგრამ ის მაინც ცხადია, რომ პისარევი გოეთეს შემოქმედების ჭეშმარიტი ბუნების გაგებამდე უფრო ახლოს მივიდა, ვიდრე ბერნე, მენცელი და ბელინსკი.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ გოეთეს დამოკიდებულება სასახლესთან აღელვებდა როგორც ევროპის, ისე რუსეთის საზოგადოებრივ აზრს. ეს დაინტერესება ნაკარნახევი იყო არა პოეტის პატივისცემის გრძნობით, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის შინაგანი და საგარეო მდგომარეობით. ყველა ცდილობდა გოეთეს თ ა ვ ი ს ებ უ რ ი ი დ ე ა ლ ი შეექმნა.

*) М. Бакунин. Предисловие гимназических речей Гегеля. Собр. соч. Белинского, т. IV, стр. 492.

**) Писарев. „Реалисты“. Собр. соч. т. IV, С.-Пет., 1903 г., стр. 10.

(*** Писарев. „Генрих Гейне“. Собр. соч. т. II, стр. 290.

გოეთეს პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს აკრიტიკებდა სწორედ ეს თაობა, რომლისთვისაც რევოლუციას და პოლიტიკურ მოძრაობას აზრი და მნიშვნელობა არ დაჰკარგოდა, რომელმაც რევოლუციაში, დამარცხებულ ეგემა, ან და გოეთეს თავს ესხმოდენ ისეთი „ფრანგიჭამია“ მენცელები, რომელთაც პოეტისაგან გერმანოფილის მიღება სურდათ.

*
* *

ჩვენი მიმოხილვა სრული არ იქნება თუ არ გამოვარკვიეთ გოეთეს აზრი, ე. წ. „გამათავისუფლებელ“ ომზე. ნაპოლეონის შესახებ გოეთე დიდი აღტაცებით ლაპარაკობდა. თავის მხრივ ნაპოლეონიც, როგორც ვთქვით, დიდად აფასებდა „ვერტერის“ სახელოვან ავტორს. ნაპოლეონს განზრახვა ჰქონდა გამოეყენებია გოეთე თავისი იმპერიის განმტკიცებისთვის. მან, როგორც აღვნიშნეთ, გოეთესგან კეისარიზმის მხატვრული გადმოცემა მოითხოვა. გოეთემ იგრძნო, რომ ეს წმინდა პოლიტიკური ხასიათის დაკვეთა იყო და მის შესრულებაზე უარი განაცხადა.

დაიწყო ფართო სახალხო მოძრაობა ნაპოლეონის წინააღმდეგ. ნაპოლეონის ბატონობამ გერმანიაში ოპოზიცია გამოიწვია. ინგლისისადმი გამოცხადებული კონტინენტური ბლოკადის სუსხს გერმანიის ბიურგერებიც გრძნობდნენ, მაგრამ გერმანიის თავადაზნაურობა ნაპოლეონის წინააღმდეგ გალაშქრების დროს ფაქტურად აკეთებდა ინგლისის ბურჟუაზიის საქმეს. „ამ საერთო ილუზიაში სავსებით ბუნებრივია, რომ ილუზიის მხრივ პრივილეგიური წოდებები — იდეოლოგები, მასწავლებლები, სტუდენტები, „კეთილმომქმედთა კავშირის“ წევრები ტონს და გადიდებულ გამოხატულებას აძლევდენ საერთო ფანტაზიას და ინტერესთა უქონლობას“ *). მაგრამ ლიბერალურმა ბურჟუაზიამ მოძრაობის ხელმძღვანელობა თავადაზნაურობას და სახელმწიფო მმართველებს გადასცა, რითაც თავიდანვე ეს მოძრაობა რეაქციას უწვდიდა დამხმარე ხელს.

მოსახლეობა გატაცებით ჩაება გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. გაჩნდენ მყვირალა პატრიოტი მწერლები, რომლებიც აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს ფრანგებსა და გერმანელებს შორის. ამ ხანებშივე გაისმა ფ ი ხ ტ ე ს ხმა ნაციონალური განთავისუფლებისთვის. მოდაში შემოვიდა ფრანგებისადმი სიძულვილი და გერმანოფილობა. „დაიწყო ტლანქი, საზიზღარი, ჭუჭყიანი ოპოზიცია, — ამბობს ჰაინე, — ყველაზე უფრო წმინდა და კეთილშობილურ გრძნობების წინააღმდეგ, რომელიც კი ოდესმე წარმოუშვია გერმანიას, — კაცობრიობის იმ სიყვარულის, საზოგადო ძმობის და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ, რომლის მიმდევრები ყოველთვის

*) К. Маркс и Ф. Энгельс. „Святой Макс“. Соч. т. IV, Москва, 1933 г., стр. 176.

იყვნენ ჩვენი დიადი ადამიანები: ლესინგი, ჰერდერი, შილერი, გოეთე, ჟ. პოლი, გერმანიის მთელი განათლებული ადამიანები.

მასები მწარედ მოტყუვდენ. მათ ვერ მოიპოვეს ის, რისთვისაც იბრძოდენ. გამათავისუფლებელი ომი თავიდანვე გადაიქცა რეაქციურ სახელმწიფოთა ომად. ომის ასეთ დასასრულს დიდად შეუწყო ხელი კომპრომისმა ლიბერალური ბურჟუაზიისა, რომელიც დაადგა რეაქციურ მთავრობებთან შეთანხმების გზას. უკიდურესობამდე მიყვანილი პატრიოტიზმი და გერმანოფილობა — აი რა იყო გამათავისუფლებელი ომის მთავარი მონაპოვარი. გაჩაღდა საზიზღარი კამპანია ფრანგული კულტურისა და საერთოდ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც საფრანგეთიდან მოდიოდა. მხოლოდ ის იქნა აღიარებული მისაღებად, რასაც გერმანული იერი ჰქონდა.

გერმანოფილებმა (არნდტი, მენცელი) მოინდომეს ძირშივე მოესპოთ ყველაფერი, რაც საფრანგეთის რევოლუციამ დადებითი შექმნა. ამგვარად, ნაციონალურ გამათავისუფლებელი ომი, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდენ ბურჟუაზია, გლეხობა და გაღატაკებული მასები, იმის გამო, რომ ბურჟუაზიამ მოძრაობის სადავე თავადაზნაურობასა და რეაქციურ მთავრობებს გადასცა, გადაიქცა რეაქციურ მთავრობების ომად ბურჟუაზიული რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ. ....„დაიწყო კონგრესები, — წერს ენგელსი, — და გერმანელებს მისცეს დრო გამოეძინებიათ გამათავისუფლებელი ნაბახურევის შემდეგ“ *). გოეთე დუმილით შეხვდა ამ დიდ პოლიტიკურ მოვლენას, მაგრამ თავიდანვე იგრძნობოდა, რომ პოეტი არ იყო მისდამი სიმპატიურად განწყობილი. ნაპოლეონში გოეთე დიდ პიროვნებას ხედავდა და არ შეეძლო, ობრისტ მისსენბახელის მსგავსად გესლი ენთხია ამ დიდი პიროვნების წინააღმდეგ. გოეთე უარყოფითად უყურებდა გამათავისუფლებელ ომს, იმიტომ კი არა, რომ პრინციპში გათავისუფლების წინააღმდეგი იყო, არამედ იმიტომ, რომ არ სთვლიდა საიმედოდ გერმანელთა გამოფხიზლებას.

საინტერესო ცნობებს გამათავისუფლებელ ომთან გოეთეს დამოკიდებულების შესახებ იძლევა ლუდენი, რომელსაც უთხოვია გოეთესთვის პატრიოტული წერილის დაწერა. გოეთემ, ლუდენის გადმოცემით, თავის უარს შემდეგი მოტივაცია გაუკეთა: „ნუ გგონიათ, თქვა მან (გადმოგვცემს ლუდენი), რომ მე თავისუფლების, ხალხის და სამშობლოს დიდი იდეებისადმი გულგრილად ვიყო განწყობილი. არა, ეს იდეები ჩვენშია, იგი ჩვენი არსების ერთი ნაწილია და არავის არ შეუძლია მისი თავიდან მოშორება. მეც გულით ვატარებ გერმანიას, მე ხშირად მწარე ტკივილი მიგემია, როცა ვფიქრობდი გერმანელ ხალხზე, რომელიც ცალკე ასე პატივისცემის ღირსია, ხოლო, როგორც მთელი, საცოდავია“ **). აქედან ირკვე-

*) Соч. К. Маркса и Ф. Энгельса, т. II, 1931 г., стр. 171.

**) იხ. Lewes, Bd II, S. 467.

ვა, რომ გოეთესთვის არაა უცხო გამათავისუფლებელი იდეები, ხალხის სიყვარული. მაგრამ იგი არ სთვლის ამ ომს სახალხო მოძრაობად. პოეტს ჰგონია, რომ გერმანია ვერ მოახერხებს გაერთიანებას, რაც საშუალებას მისცემს გარეშე ძალებს გერმანიას მონობის უფრო მძიმე უღელი დაადონ. არა გერმანელთა სიძულვილი ამოძრავებდა ამ შემთხვევაში პოეტს, როგორც გონია მენცელს, არამედ იმის შიში, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანია ვერ მოიპოვებდა თავისუფლებას. ერის გამოფხიზლების შესახებ გოეთემ ასე მიმართა ლუდინს:

„მართლა ხალხია გამოფხიზლებული? იცის მან, რა სურს და რა შეუძლია? ძილი მეტად ღრმა იყო, რომ თუნდაც უძლიერესმა განძრევამ შესძლოს მისი (ე. ი. ხალხის — ბ. ხ.) ასე სწრაფად გონს მოიყვანა. თანაც ყოველი მოძრაობა განა ამაღლებაა (Erhebung)? განა მაღლდება ის, ვინც ძალით გამოთრეულია? ჩვენ არ ვლაპარაკობთ ათასეულ ახალგაზრდებზე, არამედ უმრავლესობაზე, მილიონებზე“ *).

გოეთე ფიქრობს, რომ გამათავისუფლებელ ომს არ მოაქვს გერმანელ ხალხისათვის ნამდვილი გათავისუფლება. ფრანგების განდევნა გერმანიის საზღვრებიდან, პოეტის აზრით, კიდევ არ ნიშნავს გერმანელთა გათავისუფლებას. ეს არის მხოლოდ უცხო უღლის მოშორება. გოეთე დარწმუნებულია, რომ გერმანელების დამონებას და შევიწროვებას ნაპოლეონის დამარცხება ბოლოს არ მოუღებს. თუ კი გერმანია მოიცილებს საფრანგეთის უღელს, მას რეაქციური რუსეთის უღელი დაედგმება, ფიქრობს პოეტი. „ან და რა იქნა მოპოვებული, ეკითხება გოეთე ლუდენს ომის დამთავრების შემდეგ; ამბობენ — თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ო; უფრო სწორად, ამას გათავისუფლებას ვუწოდებდი, სახელდობრ, ა რ ა უ ც ხ ო ე ლ ე ბ ი ს უ ღ ლ ი ს გ ა ნ, ა რ ა მ ე დ უ ც ხ ო უ ღ ლ ი ს გ ა ნ გათავისუფლებას. ეს მართალია, რომ აღარ ვხედავ ფრანგებს და არც იტალიელებს, მ ა გ რ ა მ ს ა მ ა გ ი ე რ ო დ ვ ხ ე დ ა ვ ყ ა ზ ა ხ ე ბ ს, ბ ა შ კ ი რ ე ბ ს, კ რ ო ა ტ ე ბ ს, მ ა დ ი ა რ ე ბ ს, კ ა ს უ ბ ე ბ ს, ზ ა მ ლ ა ნ დ ე ლ ე ბ ს, დ ა ღ ვ რ ე მ ი ლ დ ა ს ხ ვ ა ჰ უ ს ა რ ე ბ ს“.

ეს ამონაწერი შუქს ჰფენს პოეტის პოზიციას გამათავისუფლებელ ომში. გოეთე არაა დარწმუნებული, რომ გამათავისუფლებელი იდეები მასების გულის სიღრმიდან მოდის, რომ ერი მართლაც გამოფხიზლებულია. პოეტი ფიქრობს, რომ ამ ბრძოლაში გერმანია ვერ მოიპოვებს თავისუფლებას. გოეთეს ამ სიტყვებიდან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ იგი ხალხის მტერია, რომ მას არ შესტკივა გული გამათავისუფლებელ იდეებისათვის, უმართებულოა. უმართებულოა აგრეთვე ის დასკვნა, რომ პოეტი თითქოს მხარს უჭერდეს ნაპოლეონის დაპყრობით ომებს. გოეთე უკმაყოფილოა და შიშს განიცდის, როგორც რუსეთის, ისე ნაპოლეონის

*) Ibid, S. 469.

წინაშეც. ივ. კიცხავს იმათ, ვინც შეეცდება გერმანიაში ნაპოლეონის ექსპერიმენტის გადანერგვას.

შეიძლება თუ არა გავამართლოთ გამათავისუფლებელ ომში გოეთეს ინდიფერენტიზმი? რატომ არ მიემხრო გოეთე ამ მოძრაობას, რომელ იგი უკვე დაიწყო? რატომ არ დაწერა მან, არნდტის და თ. კორნერის მსგავსად პატრიოტული ლექსები — აი რა ბრალდებას უყენებენ პოეტს ამ პერიოდში. მენცელს გამოაქვს გოეთესთვის მრისხანე განაჩენი იმის გამო, რომ იგი სხვა ნაციონალისტ პოეტების მსგავსად არ წყევლიდა „თავის სამშობლოს დამლუპველს" — ნაპოლეონს, რომ იგი არ გახდა „კეთილმომქმედთა კავშირის" მეთაური და არ დაწერა ნაციონალისტური ლექსები; კრიტიკოსი გუნდოლფი კი იმისთვის, რომ ბოდიში მოხადოს გოეთეს მენცელის წინაშე, პოეტს საღვთო კავშირში ერეკება. როგორც კი დაეცა ნაპოლეონი, — წერს გუნდოლფი, — მას (ე. ი. გოეთეს — ბ. ხ.) არ დაუტირია იგი არავითარი პრინციპული ცრემლებით... „არამედ მიეკედლა საღვთო კავშირს, რომლისგანაც უდიდესი წესრიგის დამყარებას მოელოდა" *).

სინამდვილეში კი გოეთემ ომის დამთავრების შემდეგაც შეინარჩუნა ადრინდელი შეხედულებანი. როგორ ამართლებს თვითონ პოეტი ამ ომში თავის ნეიტრალიტეტს? იგი ცდილობს ისე წარმოგვიდგინოს, რომ გული შესტკივა გერმანიის ხალხის გათავისუფლებსათვის, მხოლოდ ასაკი არ უწყობდა ხელს ენტუზიაზმით გაჟღენთილიყო. პოეტი შ ე უ ს ა ბ ა მ ო დ თვლიდა თავისთვის ნაციონალისტურ მოძრაობაში ჩაბმას. ეკერმანს ეუბნებოდა: „საომარი სიმღერების წერა და სახლში ჯდომა, — ეს შეესაბამებოდა ჩემი ცხოვრების წესს? მოცილება ჯარის სადგომიდან, სადაც ღამით მტრის წინა რიგში მყოფ გუშაგთა ცხენების ჭიხვინი გესმით ეს შეიძლება მომწონებოდა კიდეც, მაგრამ ჩ ე მ ი ცხოვრება ასეთი არ იყო; ეს არა ჩ ე მ ი, არამედ თედორე კორნერის საქმე იყო" **).

მაგრამ მთავარი მიზეზი გოეთეს ნეიტრალიტეტისა იმაში მდგომარეობდა, რომ ომისთვის მხარის დაჭერა, მისი გაგებით, ნიშნავდა ეროვნული სიძულვილისა და პატრიოტიზმისთვის ინტერნაციონალიზმის მსხვერპლად მიტანას. არნდტისა და კორნერის გზა პოეტის თვალში იყო უკიდურესი პატრიოტიზმისა და ნაციონალური სიძულვილის გზა, რომლის არჩევა გოეთეს ა რ შ ე ე ძ ლ ო დ ა ა რ ც ს უ რ დ ა. გოეთეს არ შეეძლო გულში ეტარებია იმ ერის სიძულვილი, რომლისგანაც, როგორც იგი თვითონ ამბობს, დიდად დავალებულია მთელი საკაცობრიო კულტურა და თითონ გოეთეც ***).

---

*) Gundolf, — Goethe, 1922, S. 402.

**) Eckermann — Gespräche mit Goethe; Bd III, S. 223.

***) ბ. დ ო რ ე ვ ი ლ ი ს აზრით, გოეთე მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის მეოხებითაა დიადი. იგი წერს: C'est la France, qui est coupable de la gloir de Goethe.

„სიყვარულის ლექსებს, — ეუბნება გოეთე ეკერმანს, — მწერდი იმ დროს, როცა ვინმე მიყვარდა. როგორ შემიძლია ამჟამად სიძულილის ლექსების დაწერა სიძულვილის გარეშე? ჩვენს შორის იყოს და მე არა მძულან ფრანგები, თუმცა ღმერთს ვადლობ, სწორავდი როცა ისინი განდევნეს. მე, რომლისთვისაც კულტურა და ბარბაროსობაც მნიშვნელოვანი რამ არის, როგორ შემეძლო გულში იმ ერის სიძულილი მეტარებია, რომელიც დედამიწის ზურგზე უკულტურეს ხალხს მიეკუთვნება და რომელსაც მე ვუმადლი ჩემი საკუთარი განათლების დიდ ნაწილს“ (ხაზი ჩვენია — ბ. ხ.) *).

გოეთეს არ სძულდა გერმანელი ხალხი და მისი გათავისუფლება. მას გულს უთუთქავდა გერმანელთა დაბეჩავებული მდგომარეობა და გახარებული იყო, როცა გერმანია გათავისუფლდა ნაპოლეონის მეურვეობისაგან, მაგრამ არნდტის და კოერნერის გზას მაინც არ გაჰყვა, რადგან მაშინ მას ნამდვილი ადამიანური მხარეები ნაციონალური გრძნობებისათვის უნდა შეეწირა, გერმანელებსა და ფრანგებს შორის ნაციონალური შუღლი უნდა დაეთესა. გოეთე პოეზიას უფრო მაღალ ამოცანებს უსახავდა, სახელდობრ: არა ნაციონალური შუღლის გაღვივებას, არამედ ხალხთა გაკეთილშობილებას, მათ ამაღლებას თავიანთი მოვალეობის შეგნებამდე. ნაციონალური შუღლი, გოეთეს აზრით, კულტურის დაბალ საფეხურზე წარმოიშობა; განვითარების მაღალ საფეხურზე იგი მოისპობა. ამ საფეხურზე ადამიანი მაღლა დგას ერის ინტერესებზე, მას ყველა ერისთვის თა-

---

Sans la France, sans la voix de la France, ce clairon du matin qui éveille les peuples... Goethe n'aurait fait que son bruit allemand, un glouglou dans une bouteille d'encre (J. Barbey d'aurevilli — Goethe et Diderot, 1880, p. 3)“.

დორევილის ამ შეფასებას საფუძვლად უდევს შოვინისტური სიძულვილი გერმანელებისა, რომელთა ჯარები, სწორეთ იმ დროს უშენდენ ყუმბარებს პარიზს, როცა ბ. დორევილი ზემოხსენებულ სტრიქონებს სწერდა. „ამ დროს მე გოეთე მოწყენილობას მგვრიდაო“, ამბობს კრიტიკოსი („Ilm'obussait d'ennuit); ამიტომ გასაგებია, რომ გოეთე დორევილისთვის იქცევა არა თავისი ინდივიდუალობის მქონე მწერლად, არამედ მხოლოდ მიმბაძველად და კომპილატორად. „Goethe nefut guère toute sa vie qu'un traducteur et un remanieur (Op. cit, p. 8)“.

ისტორიამ საშინლად გაიცხა ბ. დორევილი, რომელსაც თავისი აზრები გოეთეს შესახებ სურს ორიგინალურ შეხედულებად გაასაღოს. სინამდვილეში კი ეს აზრები მენცელისა და კ. გრიუნის შეხედულებათა უფრო ცუდ ფორმებში განმეორებაა. თაღლითობა დორევილის იქამდეც კი მიდის, რომ იგი „ფაუსტს“ აცხადებს მხოლოდ გადმოკეთებად, „გოეცს“ — მთლიანად შესქსპირის მიბაძვად, ხოლო ქალთა ყველ ტიპს გოეთეს ნაწარმოებში — გრეთჰენის ხასიათის რედუქციად. თავხედობა დორევილისა აპოგეამდე აღწევს, იქ, როცა იგი გოეთეს რომანებს — „ვილჰელმ მაისტერს“ და „რჩეულთა შენათესავებას“ სისულელის ნაყოფად თვლის. „Willhelm de Meister et les Affinités sont des phénomènes de sotise. On perdrait son temps et son honneur à vouloir les analyser (ibid. p. 74)“.

*) Eckermann, Bd III, S. 223.

ნაბრად შესტკივა გული, მეზობელი ერის მწუხარებასა და ბედნიერებას იგი შეიცნობს, როგორც საკუთარი ერის მწუხარებასა და ბედნიერებას. „კულტურის ეს საფეხური, — ამბობს გოეთე, — ჩემი ბუნების შესაბამი იყო და მე იქ იმ დრომდე გავმაგრდი, სანამ სამოც წელს მივაღწევდი“ *).

გოეთე გაოცებულია, თუ რატომ მოითხოვენ მისგან პატრიოტიზმის ქადაგებას. იგი მთელ თავის სიცოცხლეში იბრძოდა ყალბი შეხედულებების წინააღმდეგ, ხალხის განათლებისა და გემოვნების განვითარებისათვის, აზრის გაკეთილშობილებისათვის და რა უნდა მოეთხოვოს პოეტს ამაზე უკეთესი, კითხულობს გოეთე. პოეზიის ამოცანა, მისი აზრით, ბევრად უფრო მეტის შემცველია, ვიდრე ნაციონალიზმი. ერის სიყვარულთან ერთად იგი იტევს ყველა ერის სიყვარულს. მწერალი არ ეკუთვნის ერთ რომელიმე ერს, მისი შემოქმედება არ შეიძლება ლოკალიზებულ იქნას ერთ რომელიმე მხარესა და პროვინციაში. მწერალი არწივის მსგავსად დაჰყურებს მთელ გარემოს და მისთვის სრულებით არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ კუთხეშია მისი დაკვირვების ობიექტი. „მწერალი, როგორც ადამიანი და მოქალაქე, — ამბობს გოეთე, — თავის სამშობლოს შეიყვარებს, მაგრამ მისი. პ ო ე ტ უ რ ი ძალებისა და პოეტური ქმედობის სამშობლო არის სიკეთე, კეთილშობილება და მშვენიერება, რომელიც არ არის დაკავშირებული არავითარ განსაკუთრებულ პროვინციასა და ქვეყანასთან და რომელსაც პოეტი ჩაეჭიდება ყველგან, სადაც კი მას აღმოაჩენს. ამ პირობებში მწერალი თავისუფალი ხედვით ქვეყნებს ზევით მონავარდე არწივს მოგვაგონებს, რომლისთვისაც სულერთია — კურდღელი, რომელსაც იგი ზევიდან უთვალთვალებს, პრუსიის თუ საქსონიის მიწაზე დარბის“ **).

გოეთეს წინააღმდეგობით აღსავსე ბუნება, მისი ორგვარი მიმართება სინამდვილესთან საუკეთესოდ მჟღავნდება გამათავისუფლებელ ომთან დამოკიდებულებაშიც. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ამ ომში მონაწილეობას აიგივეებს პატრიოტიზმისა და ნაციონალური სიძულვილის ქადაგებასთან, იგი მაინც იძულებულია აღიაროს ამ ომის მნიშვნელობა, მას მაინც ახარებს გამათავისუფლებელი ომის ზოგიერთი შედეგი. გოეთე დიდად არ დაღონებულა ნაპოლეონის დამარცხების გამო. იგი ლებულობს დაკვეთას დამარცხებული ნაპოლეონის შესახებ და წერს „ეპიმენიდეს გამოღვიძებას“. ამ ნაწარმოებში ზოგი ხედავს სატირას ნაპოლეონზე, ზოგი კი მოკავშირეებზე. ნაწარმოების მთავარი გმირი ეპიმენიდეა, რომელსაც მუზები აძინებენ, რომ მან სრულქმნას მიაღწიოს. გამოყვანილია აგრეთვე დამპყრობელთა ჯარი, ომის, ჩაგვრისა და ცბიერების დემონები. მხოლოდ არაა გარკვეული, თუ ვის გულისხმობს მწერალი ომის და ჩაგვრის დე-

*) Ibid.

**) Ibid, B. II, S. 245.

მონად. დემონები ანგრევენ ყოველივეს, ხოლო ცბიერები, მატყუარები, დიპლომატები, იურისტები და მღვდლები სარგებლობენ ამ ეპიდემიოლოგიით. ილვიძებს ეპიმენიდე და ამბობს:

„Und wir sind alle neugeboren,
Das grosse Sehnen ist gestillt;
Bei Friedrichs Asche war's geschworen
Und ist auf ewig nun erfüllt".

ადვილი არ არის იმის მიხვედრა, თუ ვისკენაა აქ სატირა მიმართული. მართალია, ნაწარმოებში გერმანელთა გამარჯვების აპოთეოზია მოცემული, მაგრამ მომქმედი პირები არ არიან ცოცხალი გმირები. ისინი მხოლოდ ნიღბები, ალეგორიები არიან. როგორც ჩანს მწერალს არ სურდა არც ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა და არც სატირის მახვილის საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართვა. ძნელი გამოსაცნობია, ვინ არიან ომისა და ჩაგვრის დემონები. თუ ომის დემონი ნაპოლეონია, მაშინ ვინ უნდა იყოს ჩაგვრის დემონი? თუ ნაპოლეონის წინააღმდეგაა მიმართული სატირა, მაშინ რატომ გამოიყვანა პოეტმა ჩაგვრის დემონი და გაანეიტრალა ის შთაბეჭდილება, რასაც მკითხველში ომის დემონი იწვევს? ხომ შესაძლებელი იყო ამ ორი პერსონაჟის, ან უკეთ, ამ ორი სქემის გაერთიანება?

რომ პოეტი სატირას ნაპოლეონის წინააღმდეგ არ მიმართავს ამას გვიმტკიცებენ ნაწარმოებში გამოყვანილი სხვა პერსონაჟებიც, მაგალითად, ცბიერების დემონი, კარისკაცი, მღვდელი და იურისტები. მათ წინააღმდეგ მიმართული სატირა არ შეიძლება ჩაითვალოს სატირად ნაპოლეონის წინააღმდეგ. თვით ჯარიც კი სიმბოლურად არის გადმოცემული, როგორც ნგრევის და ხოცვა-ჟლეტის შეუგნებელი ძალა. ისინი ასე მიიმღერიან:

„Wir ziehen, wir ziehen,
Und sagen's nicht; wochin? wochin?
Wir fragen's nicht".

სწორედ ასეთსავე განწყობილებას ამჟღავნებს ნაწარმოებში ის ჯარიც, რომელმაც გერმანიას „გათავისუფლება" მოუტანა; მაგრამ, მეორეს მხრივ, უსაფუძვლოა იმის მტკიცებაც, რომ „ეპიმენიდეს გამოღვიძებაში" სატირა მოკავშირეების წინააღმდეგაა მიმართული, როგორც ეს ფ. შილერს ჰგონია *). პოემის სხვა რეალიებს რომ ანგარიშიც არ გავუწიოთ, ამის უფლებას არ გვაძლევს თუგინდ ნაწარმოების მარტო ფინალი. ეს ნაწარმოები აღარ არის სატირა, ვინაიდან სატირის ობიექტი იქ არ არსებობს. მწერალს არ სწყინს გერმანელთა გათავისუფლება, მაგრამ იგი არ

*) ф. Шиллер — Гете и современность; Гетеана; серия библиограф. листовок; № 1; 1932, стр. 11.

ცდილობს ნაპოლეონის გაკიცხვას. კოსმოპოლიტიკოსი გოეთე შეუძლებელია ნაციონალური შეღლის ანკესზე წამოგებულიყო. მაგრამ პოეტი მაინც იძულებული გახდა მოეკიდა ხელი ამგვარი სრუჟეტის დამუშავებისათვის; გოეთემ დაამუშავა იგი, მაგრამ არა რეაქციონერებისა და მყვირალა პატრიოტების სასიხარულოდ.

*
* *

ჩვენ ვამბობდით, რომ გოეთე არ ღებულობს რევოლუციას, სწერს სატირებს მის შესახებ, რომ მას აღარ იზიდავს თავისი შემოქმედების ის პერიოდი, როცა იგი აზროვნების ტიტანად გვევლინებოდა, როცა მის გმირებს მძლავრი იერიში მიჰქონდათ ძველი, დაჩიავებული რეჟიმის წინააღმდეგ. ჩვენ გამოვარკვიეთ იმის მიზეზი, თუ რატომ ახდენს „უდიდესი გერმანელი“ ასეთ მობრუნებას თავის შემოქმედებაში; რევოლუციის დაწყებამდე საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის მომთხოვნი პოეტი რევოლუციის დაწყების შემდეგ ამ დიდ პოლიტიკურ მოვლენას რატომ აქცევს ზურგს, დროგამოშვებით ილაშქრებს მის წინააღმდეგ ან და გულგრილი რჩება ოლიმპის ტახტზე და გულცივად გასცქერის ისტორიის კაბადონს.

ჩვენ მწერლის ეს გადახრა ადრინდელი პოზიციებიდან გამოვაცხადეთ გერმანიაში მომხდარი სოციალ-კლასობრივი ცვლილებებისა და იმ განსაკუთრებული მდგომარეობის შედეგად, რომელიც ეჭირა ამ პერიოდში გერმანიის ბიურგერობას. სწორედ ამ კლასობრივ ცვლილებებში უნდა ვეძიოთ დიდი გერმანელი მწერლის შიშის და ფილისტერობის სათავე. აქაა გოეთეს სასახლესთან სერვილისტური დამოკიდებულების მიზეზიც. სრულებით არ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, როგორც, მაგალითად, გუნდოლფი და სხვა ბურჟუაზიული კრიტიკოსები იქცევიან, რომ მოხუცი გოეთე თითქოს განთავისუფლდა თავის „ურკონფლიქტისაგან“, რომ გოეთემ ვაიმარში იპოვა თავისი თავი. მიმოხილვის შემდეგ, მგონი, აშკარა უნდა იყოს, რომ გოეთე ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გახდა ზავი ჩამოეგდო არსებულ წყობილებასთან და არა ის, რომ მოხუცმა პოეტმა იპოვა თავისი თავი, რომ მისი კონსერვატიზმი თითქოს შტურმუნდდრანგელობის ბუნებრივი შედეგი იყო.

უახლოესი ბურჟუაზიული გოეთეანასთვის მეტად დამახასიათებელია ფ. გ უ ნ დ ო ლ ფ ი ს შეხედულებანი. გუნდოლფი ცდილობს გოეთეს ისტორიის ფილოსოფიის სუბიექტივიზაციას. ეს განზრახვა — გოეთეს შემოქმედების ფალსიფიკაციისა — საუკეთესოდ მეღავნდება, როცა გუნდოლფი იხილავს გოეთეს ისტორიულ მსოფლმხედველობას, მის დამოკიდებულებას საფრანგეთის რევოლუციასთან. შტურმუნდდრანგელმა გოეთემ, გუნდოლფის აზრით, გაიარა საკუთარი აღზრდის (Selbsterziehung) და დადუღების პერიოდი, ვიდრე ის სასახლის მწერალი გახდებოდა.

რისთვის ესაჭიროება გუნდოლფს ასეთი ექსკურსის ჩატარება? მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ გაამართლოს გოეთეს პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, საფრანგეთის რევოლუციის უარყოფა. გუნდოლფი ხიდს დებს შტურმუნდდრანგელ და ვაიმარელ გოეთეს ეშორის იმისთვის, რომ რევოლუციისაგან განდგომის პერიოდი სავსებით ბუნებრივად, ე. ი. გოეთეს შემოქმედების ორგანიული განვითარების შედეგად გამოაცხადოს. გუნდოლფი თავს ესხმის გოეთეს, რომ ამ უკანასკნელმა არ დაუჯერა თავის შინაგან ფსიქიურ დარწმუნებას და დაიწყო გარეგან, პოლიტიკურ მოვლენებზე წერა. გოეთეს მიერ რევოლუციის შესახებ დაწერილი დრამები სუსტია, ამბობს გუნდოლფი, რადგან პოეტმა დაარღვია თავისი შინაგანი განვითარების ხაზი და მისი შემოქმედება გარეშე მიზეზებს, შემთხვევებსა და საბაბს დაუქვემდებარა.

გოეთეს მოწოდება არ იყო უშუალოდ ეპასუხნა გარეგან მოვლენებზე, ამბობს გუნდოლფი და განაგრძობს: „იგი არ იყო გარეგანი აქტუალიტეტის, პოლიტიკისა და ისტორიის მწერალი, არამედ მწერალი ბუნების და სულის შინაგანი, მუდმივი კანონების და ძალებისა“ *). გუნდოლფი აკრიტიკებს გოეთეს არა პოლიტიკურ ინდიფერენტიზმისთვის, არამედ იმის გამო, რომ პოეტმა მთლიანად არ აიღო ხელი პოლიტიკაზე, გარეგან მოვლენებზე, რომ გოეთეს მაინც იტაცებდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, მაინც ყურს ათხოვებდა საფრანგეთის რევოლუციას. გუნდოლფი აკრიტიკებს გოეთეს არა იმიტომ, რომ პოეტი ფილისტერის თვალებით უცქეროდა საფრანგეთის რევოლუციას, არამედ იმიტომ, რომ გოეთე მთლიანად არ გადაბარგდა ესთეტიზმის ბანაკში.

ჭეშმარიტ ხელოვნებას, ამბობს გუნდოლფი, საქმე არა აქვს გარეგან, პოლიტიკურ მოვლენებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ვღებულობთ ტენდენციურ და არა ობიექტურ პოეზიას. ამ „ობიექტივიზმის“ მომარჯვებით აწარმოებს გუნდოლფი გოეთეს შემოქმედების ჭეშმარიტი არსების გაყალბებას. აი როგორ მეთოდოლოგიურ ახსნას აძლევს კრიტიკოსი გოეთეს პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს:

„როგორც კი მწერალი დაიწყებს წერას არა შინაგანი აუცილებლობით, არამედ იმპულსითა და განზრახულობით, ე. ი. როდესაც მისი პოეზია საშუალებაა მიზნისაკენ[...] ნაცვლად იმისა, რომ არსების გამოხატვა იყოს, მაშინ პოეტი ვერ ქმნის გამოთქმის ვერავითარ ახალ ფორმას, არამედ იყენებს არსებულს“ **).

* * *

გუნდოლფი წყვეტს პოეზიას ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისაგან, პოეზიის ქვეყანას აცხადებს დამოუკიდებელ სამყაროდ. მაგრამ ვინ უკარ-

*) F. Gundolf — Goethe, 1922, S. 485.

**) Op. cit. S. 486.

ნახებს კანონებს ამ შინაგან სამყაროს, რითაა პირობადებული პოეზიის არსება? პოეზიის ამ შინაგანი „არსის“ კომპონენტებიდან გუნდოლფი სრულიად რიცხავს გარეგან გავლენას, რადგან გარეგანი მოვლენებისათვის ყურადღების მიქცევა პოეზიაში თურმე წინარეგზე წამოსწევს მიზანს, ტენდენციას და, რადგან გუნდოლფი წარმომადგენელია „ობიექტური“ პოეზიისა, ამიტომ ბუნებრივია, რომ მან გოეთესაც უსაყვედურა ამ პრინციპის დარღვევა. გუნდოლფს, გოეთეს შემოქმედების ამ ერთ-ერთ უძლიერეს ფალსიფიკატორს, არ სურს ირწმუნოს, რომ მწერლის შინაგანი ცხოვრება არაა მოწყვეტილი გარეგან სინამდვილეს, რომ გარეგანი მოვლენების გამოხატვა მწერლისათვის შინაგან აუცილებლობად იქცევა.

ამგვარად, გუნდოლფის აზრით გოეთე შეცდა, მან გადაუხვია თავისი შემოქმედების ძირითად ხაზს, შინაგან დარწმუნებას, როდესაც რევოლუციის შესახებ დაიწყო წერა. პოლიტიკურ მოვლენისადმი ინტერესის გამოჩენით გოეთემ უღალატა თავის თავს, უღალატა ჭეშმარიტ პოეზიას, რის შედეგადაც რევოლუციის შესახებ მდარე ხარისხის ნაწარმოებები გამოუვიდა. ამ მტკიცებით გუნდოლფი აღრმავებს და „მწყობრ“ სისტემად აქცევს ყველა იმის აზრს, ვინც სხვადასხვა დროს აყალბებდა გოეთეს შემოქმედებას. გუნდოლფი გოეთეში ეძებს იმპერიალისტური ბურჟუაზიის დამხმარე ძალას, პოეტის შემოქმედებიდან გარედ ისვრის მებრძოლ, რევოლუციურ მისწრაფებებს, აცხადებს რა მათ ახალგაზრდობისა და მოუმწიფებლობის თვისებად.

გუნდოლფისაგან ცოტათ განსხვავებული პოზიცია უჭირავს ფრანგ გერმანისტ ი პ ო ლ ი ტ ლ უ ა ზ ო ს *). იგი გოეთეს შემოქმედების განხილვისას უმნიშვნელო როლს როდი აკუთვნებს სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებს. მკვლევარი მიდის მართებულ დასკვნამდე, რომ გოეთემ ვერ მოგვცა საფრანგეთის რევოლუციის სწორი სურათი, მაგრამ ცდება, როცა პოეტის რევოლუციასთან დამოკიდებულების მიზეზთა გარკვევას უდგება. გოეთემ ვერ მოგვცა რევოლუციის სწორი სურათი, წერს ლუაზო, რადგან „იგი თავის თავს ანგარიშს აძლევდა, რომ მეტად ახლოს იყო მოვლენებთან, რომ შესძლებოდა მათზე გაბატონება, მეტად პიროვნულად იყო დაინტერესებული მით, რომ მიუკერძოებლად ემსჯელა მათ შესახებ“ **).

ეს პირადი დაინტერესება, სიახლოვე ამ დიდ პოლიტიკურ მოვლენასთან უშლიდა ხელს გოეთეს ობიექტურად, მიკერძოების გარეშე გაეგო რევოლუცია; ამიტომ იყო, ფიქრობს ლუაზო, რომ გოეთეს არამც თუ არ შეეძლო, არამედ არც სურდა რევოლუციის ნამდვილი ასახვა. მისი მი-

*) H. Loisean — Goethe et la révolution française, ჟურნალი — Revue de litterature comparée. Paris; 1932; № 1.

**) Ibid, 15.

ზანი იყო რევოლუციის ხელაღებით უარყოფა და თავის თანამედროვეთა გაფრთხილებაო. ამ წანამძღვარებიდან გამოსული ლუაზო სავსებით თანმიმდევარია, როცა ამბობს, რომ გოეთეს ნამდვილი შეხედულებანი საფრანგეთის რევოლუციაზე არ უნდა ვეძიოთ რევოლუციის შესახებ დაწერილ დრამებშიო *).

სინამდვილეში კი გოეთეს ნაწარმოებთა ღრმა და მიუდგომელი განხილვა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს დაშორება პოეტის მიერ რევოლუციის შესახებ მხატვრულად გამოთქმულ და ავტობიოგრაფიულ მასალებში ან საუბრებში გატარებულ შეხედულებათა შორის. საფრანგეთის რევოლუციის უარმყოფელი გოეთე მხატვრულ ნაწარმოებებში კიდევ უფრო რელიეფურად მოჩანს, ვიდრე სხვა პირებთან საუბრებში, რომლებიც არც თუ იშვიათად ატარებენ შემთხვევითობის ბეჭედს; და თუ შეიძლება დაეჭვებას — სწორად გაიგო თუ არა გოეთემ რევოლუცია, რაიმე საფუძველი ჰქონდეს, ეს შეიძლება მხოლოდ ამ საუბრების შესახებ ითქვას **).

ლუაზო ცდილობს გაამართლოს რევოლუციის წინაშე გოეთეს შიში და მერყეობა. იგი სწორად თვლის პოეტის აზრს, რომ რევოლუცია საფრანგეთში აუცილებელი იყო, მაგრამ გერმანიაში მისი გადმონერგვა შეცდომა იქნებოდაო. „იგი (ე. ი. გოეთე. — ბ. ხ.) უფრო ლოგიკური და მყარი იყო თავის დამოკიდებულებაში, ვიდრე მისი დროის მრავალი გერმანელი“ ***). თუ ეს აზრი შეიძლება სწორად მივიჩნიოთ მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის გერმანიისათვის, იგი სწორად არ შეიძლება ჩაითვალოს მე-18 საუკუნის 90-იანი წლებისათვის, როცა საფრანგეთის რევოლუციამ გერმანიის ახალგაზრდობაც გაიტაცა. ამიტომ, სწორი არ არის

*) ეს ძირშივე მცდარი შეხედულება, რომელიც გოეთეს დრამებს აღიარებს პოეტის არა პოლიტიკურ შეხედულებათა მაჩვენებლად, არამედ წმინდა მხატვრულ ნაწარმოებებად, ან ცალმხრივ პოლემიკად, თითქმის გაბატონებულ შეხედულებას წარმოადგენს ბურჟუაზიულ გოეთეანაში. ლუაზოს მცდარ შეხედულებებს იმეორებს ი უ ლ ი უ ს ბ ა ბ ი. (იხ. Julius Bab — Das Leben Goethes; Leipz. 1932; გვ. 10).

ე მ ი ლ ლ უ დ ვ ი გ ი ს აზრითაც გოეთეს „დიდი კოფტა“ და „მოქალაქე გენერალი“ წმინდა მხატვრულ ნაწარმოებებად დარჩენ. (იხ. E. Ludwig — Goethe, Geschichte eines Menschen. Berlin; 1928; გვ. 534) ასეთივე აზრისაა პ ა უ ლ ა მ ა ნ ი, იგი წერს: „არა დაწერილ ნაწარმოებებში უნდა ვეძიოთ ამ ქარიშხლის (იგულისხმება რევოლუცია — ბ. ხ.) შესახებ პირდაპირი აზრები. მეტად უბადრუკი აზრი შეიქმნების საფრანგეთის რევოლუციაზე ამ ორი თუ სამი პატარა პიესის მეოხებით“... ნამდვილი აზრები რევოლუციაზე, „მონდომებით უნდა ამოვკრიბოთ მის წერილებში და უმთავრესად კი ზოგიერთ თანამოსაუბრეთა შენიშვნებში (იხ. P. Amann — Goethe et les catastrophes politiques de son temps; ჟურნ. „Europe“, avril, 1932. გოეთეს იუბილესადმი მიძღვნილი ნომერი. გვ. 69 [573]).

**) ჩვენი ღრმა რწმენით ეს დაეჭვება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ეკერმანის შრომის მიმართ; ეს შრომა ამეღავნებს სრულ შესაბამობას მასში და რევოლუციის შესახებ გოეთეს მიერ სხვა ადგილას გამოთქმულ შეხედულებათა შორის.

***) Ibid, 80.

ლუაზო, როცა იგი გოეთეს ინდიფერენტიზმს მაღლა აყენებს შილერის და სხვათა რევოლუციურ ალმაფრენაზე. ლუაზო ქებას ასხამს გოეთეს აპოლიტიკურობას, ობიექტურობას. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიულ გერმანისტებში ლუაზომ მოგვცა გოეთეს საფრანგეთის რევოლუციასთან დამოკიდებულების შედარებით სწორი ახსნა, იგი მაინც ვერ აცდა გოეთეს ფალსიფიკაციის გზას.

გოეთეს გარშემო ათეული წლების მანძილზე წარმოებული ბრძოლა საუცხოოდ ამჟღავნებს იმ ქიშპობას, რომელიც არსებობს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის. თითოეული ქვეყნის ბურჟუაზია ცდილობს შეიმუშაოს გოეთეს თავისებური იდეალი. ამ მებრძოლ ბანაკთა შორის თვალსაჩინოდ მოჩანს ორი ბანაკი: გერმანული და ფრანგული. გერმანიის ბურჟუაზიას და მის ლიტერატურისმეცნიერებას სურს გოეთე აქციოს იმპერიალისტური გერმანიის მკურნალად და მხსნელად. ასე, მაგალითად, გ. ფ რ ი კ ე წერს: „შეუძლია თუ არა გოეთე გამოგველაპარაკოს, ჩამოვიდეს თავისი კლასიკურობის პიედესტალიდან და ჩვენს შორის ადამიანის სახით წარმოდგეს?.. გოეთე გვაძლევს სიმამაცეს... შევასრულოთ დღიური მოთხოვნა. ღრმად გვარწმუნებს, რომ ჩვენც აგრეთვე მოწოდებული ვართ დიდი ამოცანების განსახორციელებლად... ამგვარად აღვიძებს ჩვენში გოეთე ძალას ყოველი არსებულის შერყევის პერიოდში ვირწმუნოთ მომავალი“ *).

ჩვენ, გერმანელებს, წერს თ. ჰ ა ი ნ ე რ მ ა ნ ი, გვაქვს უფლება, რომ გოეთეს პატივივცეთ და დავიცვათ, როგორც ჩვენიანი... „ჩვენი დრო მეტს მოითხოვს. იგი ითხოვს გამოყენებას და წვდომას ჩვენი აზრის და გრძნობის სიღრმის უკანასკნელ პუნქტამდე. გოეთე ამ მხრივ ერთი უუმძლავრესი გზის მასწავლებელთაგანია“ **). გოეთე არა მარტო ეკონომიური, არამედ სულიერი კრიზისის, დაბნეულობისა და იმედგაცრუების მოსპობის იარაღად უნდა იქცეს. — ასეთი ამოცანა წამოაყენა ე რ ნ ს ტ ნ ო ი ბ ა უ ე რ მ ა ***). ავტორი გრძნობს სუსხს კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისისას. „ეპოქის საჭიროება აღვიძებს ძალებს, წერს იგი. როცა დღეს გერმანელი ხალხი იგებს სერიოზულობას თანამედროვე კრიზისისას, რაც მთელ მის არსებას სულის უკანასკნელ საძირკვლამდე იპყრობს და კითხვის ქვეშ აყენებს, მასა თავდაცვის ძალებზე, განახლებასა და აღორძინებაზე ფიქრობს“ ****).

---

*) Gerhard Friecke — Gedankenede auf Goethe. ჟურნ. „Germanisch — romanische Monatsschrift“; Heft 7/8; Heidelberg. 1932. გვ. 242.

**) იხ. Th. Heinermann — Goethe in Frankreich; ჟურნ. „Euphorion“ Goethes Festheft. Stuttgart. 1932. გვ. 339 — 340.

***) E. Neubauer — Goethes religiöses Erleben im Zusammenhang seiner int. organ. Weltanschauung. Tubingen, 1925.

****) Ibid, გვ. 1.

ამ გასაჭირის პერიოდში, გერმანიის ბურჟუაზიას — განახლების და აღორძინების მეოცნებეს, ნოიბაუერის აზრით, დამხმარე-საჭიროება; ასეთ დამხმარეს ნოიბაუერი გოეთეში ხედავს. „გასაჭირში დამხმარეს ეძებესას გერმანელთა თვალი თავისთავად გოეთეზე — გერმანელ ადამიანზე ჩერდება და მრავალჯერ რჩევა-ნაკითხავს ხელახლა ჰკითხავს“ *).

რომ ამ მიზანს მიაღწიოს — გოეთე გერმანიის ბურჟუაზიის მხსნელად დაგვიხატოს, ნოიბაუერი არ ერიდება გოეთეს გაყალბებას იმ მხრივაც, რომ პოეტში სპინოზიზმის მოწინააღმდეგე და რელიგიური მსოფლმხედველობის მატარებელი პიროვნება დაინახოს.

გოეთეს გაგებას გერმანიის ბურჟუაზია მჭიდროდ უკავშირებს ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობას, კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის სრული ლიკვიდაციის ან შენელების ამოცანას **). გოეთე მისთვის იქცევა ბურჟუაზიული გერმანიის განთავისუფლების სიმბოლოდ, ვერსალის ხელშეკრულებიდან თავის დაღწევის და კლასობრივი „ზავის“ დამყარების იარაღად. ბურჟუაზია გოეთეში ეძებს ერთიანი, ძლიერი გერმანიის იდეალს ***). იგი ცდილობს გოეთეში მხოლოდდამხოლოდ გერმანელი და ფრანგების მოძულე პიროვნება დაინახოს. გოეთეში არა ინტერნაციონალიზმის მომენტების წინა რიგზე წამოწევა, როგორც ამას ხშირად ვხედავთ ფრანგ ბურჟუაზიულ გერმანისტებში, არამედ ნაციონალური შეზღუდულობის და ფილისტერობის მოძებნა. — აი რა ამოცანების წინაშე დგას გერმანიის ბურჟუაზიული გოეთეანა.

მებრძოლ მთავარ ბანაკთა შორის ბურჟუაზიულ გოეთეანაში ცენტრალურ პუნქტად რჩება გოეთეს გერმანელობის საკითხი. ის ფაქტი, რომ გოეთე ვერ დააფასა მისმა თანამედროვე გერმანიამ, ხდება საფრანგეთის გერმანისტების ხელში საშუალებად, რომ პოეტში არა გერმანელი, არამედ თავისებურად გაგებული ინტერნაციონალისტი, ბურჟუაზიული საფრანგეთის დიდი მეგობარი დაინახონ; საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის საჭირო შეიქნა გოეთეს ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც პოეტში ბურჟუაზიული საფრანგეთის დიდ მეგობარს დაგვანახვებდა. როგორც ვნახეთ ეს შეხედულება გაიმეორა ი. ლუაზომ ხოლო იგი ყველაზე რელიეფურად გ რ ა ფ პ ა ნ ჟ ი ს შრომაში გამოიხატა ****). პანჟი „ამტკიცებს“, რომ მხოლოდ ელზასში ყოფნამ და ფრანგულმა კულტურამ შეუქმნა გოეთეს განვითარების ყოველგვარი პირობა. პანჟი ილაშქრებს გერმანელი მკვლევარების წინააღმდეგ, რომლებიც უგულებელყოფენ ელზასის

*) Ibid.

**) შეად. Joseph Buchhorn — Zwischen Goethe und Scheidemann. 2 Auflage; Berlin; 1919.

***) იხ. Ed. Spenlér — Le culte de Goethe en Allemagne. ჟურნ. „Mercure de France“, № 810. 1932. Paris; გვ. 327.

****) Jean de Pange — Goethe en Alsace; Paris. 1925.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენას გოეთეს განვითარებაზე. იგი „ამტკიცებს“, რომ გოეთეს შტრასბურგში ყოფნა მოასწავებდა მწერლის პროექტის (საფრანგეთში კარიერის შექმნის) განხორციელებას, რომ „ჰერდერს და გერმანელ მოსწავლეთა ჯგუფს“ მისთვის ხელი არ შეეშალა. პანჟის ნამდვილი პოლიტიკური ზრახვა იქ მოსჩანს, როცა იგი ცდილობს გოეთეს საშუალებით გაამართლოს ელზასის საფრანგეთთან შეერთება. „არაფერი არ იქნებოდა ისტორიულ ჭეშმარიტებისადმი იმაზე უფრო საწინააღმდეგო, წერს პანჟი, ვიდრე ძებნა გოეთეს მემუარებში პროტესტისა ელზასის საფრანგეთთან შეერთების გამო“ *).

ბუნებრივია, რომ ფრანგი გერმანისტების ასეთი შეხედულება სასტიკად იქნა გაკრიტიკებული გერმანიაში. უფრო თვალსაჩინოდ დაპირისპირების ცდა გერმანულ და ფრანგულ ბურჟუაზიულ გოეთეანას შორის მოცემულია ე. კურციუსის**), და ფ. ბალდენშპენგერის შრომებში. კურციუსი თავს ესხმის ლუაზოს, რომელიც ამტკიცებდა, რომ გოეთე უფრო მეტად ჰუმანისტია, ვიდრე გერმანელი. კურციუსი წერს: „როცა განათლებული ფრანგები იწყებენ გოეთეზე განსჯას, ისინი ხშირად აღნიშნავენ, რომ გოეთე უფრო ჰუმანისტია, ვიდრე გერმანელი“ ***). კურციუსი ამჟღავნებს, რომ გოეთესთვის ბრძოლას პოლიტიკური სარჩული აქვს. მართალია, ლუაზოს შეხედულებას, წერს კურციუსი, არ იზიარებს ყველა ფრანგი გერმანისტი, მაგრამ ეს შეხედულება არ წარმოადგენს გამონაკლისს, „მას აქვს ღრმა ფესვები საფრანგეთის წარსულში“ ****). „დღეს იწყება დიდი კამათი, წერს კურციუსი, ადამიანთა სხვადასხვა მოდგმას შორის. ამ კამათის შინაარსია გოეთე... ამ კამათს შეუძლია იქცეს აგრეთვე ერების რომანად“ *****).

---

*) Ibid, 213.

პანჟის წინააღმდეგ მკაცრი კრიტიკით გამოდის თ. ჰაინერმანი. პანჟის სიტყვებს, რომ გოეთე არ იყო ელზასის საფრანგეთთან შეერთების წინააღმდეგი, ჰაინერმანი უტიფარ და უაზრო შეხედულებას უწოდებს. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რომელია „მართალი“ ამ ორ ბანაკს შორის, არამედ იმას, რომ გოეთეს გერმანელობის, თუ ფრანგობის შესახებ ატეხილ დავაში აღნიშნულ მკვლევართ საკაკარაოზე გამოაქვთ თავიანთი დამკვეთის — იმპერიალისტების ზრახვები.

**) F. R. Curzius — Goethe ou le classique allemand; „La nouvelle revue française“. Paris; 1-er mars, 1932.

***) Ibid, 343.

****) Ibid, 346.

*****) კურციუსის და მისი გერმანელი კოლეგიის წინააღმდეგ კრიტიკას იძლევა ანდრე ჟიდი. „თუ ის (ე. ი. გოეთე — გ. ხ.), წერს ჟიდი, ჩვენ, ფრანგებს, ნაკლებ გერმანელად გვიჩანს, ვიდრე რაინის იქით მცხოვრებ ავტორებს, ეს იმიტომ, რომ იგი არის უფრო საერთო და უნივერსალური ადამიანი“ (იხ. A. Gide — Goethe. ჟურნ. „La nouv. revue française, 1-er mars, 1932. Paris. გვ. 368).

ამ სწორ შეხედულებათა გასწვრივ ჟიდიც გოეთეს შესახებ შემცდარ დასკვნას აკეთებს, როცა იგი დებს ხიდს გოეთესა და ნიცშეს შორის (იხ. დასახელებული შრო-

ასეთივე მოთხოვნებს უყენებს გოეთეს იტალიის იმპერიალისტური ბურჟუაზია. გოეთეს იტალიაში ყოფნა იტალიის ბურჟუაზიას სურს გამოიყენოს თავისი ძლიერების შესამოსად ძველი რომის ტრადიციების შარავანდედით. ეს აზრი მშვენივრად დასტურდება ჯიოვანეტის სიტყვებში. „უცხოელებმა უნდა იგრძნონ, სწერს ჯიოვანეტი, რომ რომი არის სამშობლო იმ რასის, რომლის სიცოცხლის უნარიანობა დაურღეველია“ *). გოეთეს ყოფნა რომში საფუძველს აძლევს ჯიოვანეტის, რომ ეროეტი დასახოს ისეთ ადამიანად, რომელმაც ახალ საუკუნეებს აცნო უკვდავება რომის. „გერმანელებს მიუძღვით დამსახურება, — წერს ჯიოვანეტი, — რადგან მათ პირველმა დაინახეს, რომ რომი არ არის მშვენიერი, მკვდარი ქალაქი, არამედ მუდამ მგზნებარე სიცოცხლით სავსე ქალაქია. ეს გოეთე იყო, რომელიც წაუძღვა მათ იქითკენ“ **).

ბუნებრივია, რომ ამგვარად გაგებულ გოეთეს შეუძლია სამსახურის გაწევა იტალიის ბურჟუაზიისათვისაც. „არა იდეალისტი, არამედ ეს რეალისტი გოეთეა, ამბობს ჯიოვანეტი, რომელიც დღეს ჩვენთან ძალზე ახლოს დგას და რომელიც არიგებს გერმანელებს რომის სინამდვილესთან... იმდენად ახლო, მონათესავედ გვეჩნება ამ გერმანელის პოეზია რომის იმპერიის მშვენიერებასთან, რომ ჩვენი თაობა ამჯობინებდა გამოეყო მისთვის ადგილი პალატინის დაფნის ბუჩქნარებს შორის“ ***) (ხ. ჩვენია — ბ. ხ.).

მაგრამ შეცდომა იქნებოდა თუ ბურჟუაზიულ გოეთეანაში მარტო ისეთ ბანაკებს დავინახავდით, რომლებიც გოეთეს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან აკავშირებს და ანგარიშში არ ჩავაგდებდით იმ მიმდინარეობასაც, რომელიც გოეთეს გაგებას აკავშირებს მთელი კაპიტალისტური ევროპის ბედთან, თუმცა ასეთი მიმდინარეობაც საბოლოო ჯამში ამა თუ იმ ქვეყნის მმართველი კლასების მისწრაფებებითაა პირობადებული. იმპერიალიზმის და განსაკუთრებით მსოფლიო ომის შემდეგი დროის ბურჟუაზიული გოეთეანას მიმოხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ მკვლევარების უმრავლესობა მეტად თუ ნაკლებად ცდილობს აქციოს გოეთე არა მარტო ამათუიმ ქვეყნის ბურჟუაზიის, არამედ მთელი კაპიტალისტური საზოგადოების მკურნალად. მაგრამ, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი პირობების მიხედვით იცვლება გოეთეს გავლენის სფეროც, ამიტომ სრუ-

---

მის გვ. 375). ამ ცდარ შეხედულებას გოეთეს და ნიცშეს დამოკიდებულების შესახებ კიდევ უფრო მეტი კატეგორიულობით ამტკიცებს ჰ. ლიხტენბერგერი (იხ. H. Lichtenberger — L'epoque classique de Goethe. „Revue de cours et conferences“. № 2. 1929. Paris. გვ. 119.

*) La nouvelle revue française. № 22; Paris. გვ. 349. ციტატები მოგვყავს კურციუსის დასახელებული შრომიდან.

**) Ibid.

***) Ibid.

ლებით არ არის მოულოდნელი, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ გერმანიაში ხაზს უსვამენ გოეთეს გერმანელობას, მისი შემოქმედების ნაციონალურ ზღუდეებს, ხოლო ჰუმანიზმსა და ინტერნაციონალიზმს დაქვემდებარებულ მოვლენად აცხადებენ.

ასევე არ არის მოულოდნელი, რომ ფრანგული ბურჟუაზიული გოეთეანა პოეტში პირველ რიგში თავისებურად გაგებულ მსოფლკაცს ხედავს, რომელსაც უყვარდა ფრანგები და მათი ძლიერება. ცხადია, რომ ეს თვალსაზრისიც ნაციონალურ დაღს ატარებს, მაგრამ მას მეტი პრეტენზია აქვს ერთხანად მაინც გაცდეს ამ ნაციონალურ ჩარჩოებს და გოეთეში არა მარტო გერმანელი, არამედ „დიდი ევროპიელიც“ დაინახოს. ეს შეხედულება მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით დომინანტობს ომის შემდგომი დროის ფრანგულ ბურჟუაზიულ გოეთეანაში. როგორც აღინიშნა, ეს მიმდინარეობა გოეთეს აკავშირებს კაპიტალისტური ევროპის ბედთან, რომ იხსნას ევროპა პროლეტარული რევოლუციისაგან. ასეთი დაკავშირების მოხდენას შეეცადა ანდრე სიუარე*), რომელიც გესლს ანთხევს კომუნიზმის წინააღმდეგ და უხმობს მხსნელად გოეთეს. „ევროპა ჩვენს წინაშეა, წერს სიუარე, მაგრამ იგი ავადაა... მთლიანად აღებული უმჯობესია ავადმყოფი, ვიდრე მკვდარი ევროპა... ევროპის ხსნა მხოლოდ გოეთეს სულშია... გოეთე საუცხოო მკურნალია“ **).

მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის ბურჟუაზიულ გოეთეანაში, ცენტრალური პრობლემის — გოეთეს რევოლუციასთან დამოკიდებულების გარშემო მათ წარმომადგენელთა უმრავლესობა საერთო ენას პოულობს. ისინი გოეთეში ხედავენ არა რევოლუციონერს, არამედ მშვიდ და „ქაოსის“ მოწინააღმდეგე პიროვნებას. მათი უმრავლესობა გოეთეს განვითარებას იმაში ხედავს, რომ პოეტმა დაძლია ადრინდელი შტურმუნდდრანგელობა და ტიტანიზმი ***); გოეთე მტერი იყო ყოველგვარი საზოგადოებრივი უწესრიგობის, ქაოსის და ანარქიის — ეს მტკიცება წითელი ზოლივით გადის ბურჟუაზიულ გოეთეანაში ****).

---

*) A. Suarées — Goethe l'universel; „La nouv. revue française“; 1-er mars. 1932. Paris.

**) Ibid, 390.

***) შეად. ᲕᲐ. ᲑᲐᲚᲦᲔᲜᲨᲞᲔᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲓᲜᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ. გვ. 119,

****) შეად. ა) E. Ludwig — Goethes Weg zum Idealstaat; ჟურნ. „Die neue Rundschau“. April. 1932. Berlin und Leipzlg. გვ. 505 — 506.

ბ) იქვე — Jose Ortega y Gasset — Um einen Goethe von innen blittend გვ. 569.

გ) Dr. K. Alt — Goethe und seine Zeit; 1911. Leipzig. გვ. 52 და 74,

„გოეთე არის ნორმალი გერმანელი, პატრიოტი... მან იცოდა ზომიერება“, ამბობს პ. ამანი*). გოეთე სიმშვიდის, სერიოზულობის განსახიერებაა, წერს ბ. კროსი**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია მთავარი ნიშნები უახლესი ბურჟუაზიული გოეთეანასი. ეს მიმოხილვა იმას მოწმობს, რომ ბურჟუაზიულ გერმანისტიკას არ ძალუძს და არც სურს სწორად გაიგოს გოეთე.

რევოლუციისაგან გოეთეს განდგომა იმ ხანგრძლივ ბრძოლას მოჰყვა, რომელიც მებრძოლ და ფილისტერ გოეთეს შორის სწარმოებდა. რევოლუციის უარყოფა და რევოლუციისათვის ევოლუციის დაპირისპირება, გოეთეზე უბადრუკი გერმანული სინამდვილის გამარჯვების და მწერლის მხრივ ფეოდალური გერმანიისთვის ხარკის მიზღვის შედეგი იყო. მოახლოვებულ ისტორიულ ქარტეხილის წინაშე გოეთეს სტიმულსა და აკომპანიმენტს აძლევდენ მშიშარა და კლასობრივ ალღომოჩლუნგებული გერმანიის ბიურგერები. რა უნდა ექნა სახელგანთქმულ მწერალს, როდესაც მისი ხმა არ ესმოდა იმათაც კი, ვინც საზოგადოების გარდაქმნის ორგანიზატორად უნდა გამოსულიყო? გოეთე დაეცა ბრძოლის ველზე, მან ხელიდან გააგდო პრომეთეიზმის დროშა და შეუპოვარ პრომეთეს „კანდორაში“ რევოლუციური პათოსისაგან დაცლილი პრომეთე ამოუყენა, შტურმუნდდრანგელ ფაუსტს კი — „განწმენდილი“, სამეფო ხელისუფლების დამცველი ფაუსტი. ეს იყო ისტორიის შურისძიება გენიალურ პოეტზე. გოეთე დაეცა ბრძოლაში, მაგრამ ამ წაქცეულ ხეს არ დაუკარგავს ცხოველმყოფელი ძალა, იგი ირგვლივ მაინც მომაჯადოებელ სურნელებას აფრქვევს და, რაც მთავარია, ხელს ვერ გვიშლის მის ტალახით გასვრილ გარეკანში, რამაც დააჩიავა გენიალური მწერალი, დავინახოთ კაცობრიობის მეგობარი გოეთე-ფაუსტი. შტურმუნდდრანგელ გოეთეს ვერ სუსხავს და ვერ სპობს ეს ფილისტერული გარეკანი. მოვაცილოთ იგი, გავათავისუფლოთ ეს ტიტანი იმ ჭუჭყისაგან, რაც მას „ბეჩავმა“ გერმანულმა სინამდვილემ მოაცხო და გოეთე საუკუნეების მანძილზე გოლიათად გამოჩნდება.

მაგრამ ვინ შეასრულებს ამ ამოცანას, რომელ საზოგადოებრივ კლასს შეუძლია ამ ოპერაციის ჩატარება — გოეთე-ტიტანის გათავისუფლება, მისი ჭეშმარიტი სახის დადგენა? ბურჟუაზიამ ვერ დააფასა გოეთე, ეს თავისი სიყრმის პერიოდის განსახიერება. განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ბურჟუაზია სხვადასხვანაირად უდგებოდა გოეთეს გაგებას. განსაკუთრებით პრობლემურ საკითხად იქცა პოეტის რევოლუციასთან დამოკიდებულება. როდესაც ბურჟუაზიული კლასისთვის რევოლუცია აღარ

*) P. Amann — Goethe et les catastrophes politiques de son temps; ჟურნ. „Europe“. 15 avril, 1932 Paris. გვ. 65 [569].

**) B. Crose — Goethe ou la métamorphose poétique. დასახელებული ჟურნალი გვ. 144 [648].

იყო შორეულ პერსპექტივაში, როცა გერმანია 1848 წლის რევოლუციის წინაშე იდგა, ამ დროს ბურჟუაზიული ლიტერატურა [illegible] ჩასცეს პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინდიფერენტულად [illegible] პოეტს. მენცელი, ბერნე და სხვები ასრულებენ ამ დაკვეთას. მათთვის გოეთე აღარ არის გენიოსი, გოეთე ხალხის მტერი, ეგოისტი და „წარსულის დასათაურებაა". ბერნე თავისი „შეზღუდული კრიტიკით" და მენცელი ყურადღების გარეშე სტოვებენ იმას, რაც დიადი და საუკუნეების გამძლეა გოეთეში, სახელდობრ, პოეტის ტიტანიზმს. ბერნე აგროვებს ყოველივე იმას, რასაც შეუძლია დაჩრდილოს მწერალი, ეხება გოეთეს ცხოვრებასა და შემოქმედებაში სწორეთ იმ მომენტებს, რომლებშიაც საუკეთესოდ მოჩანს პოეტის ფილისტერული მხარეები და ამნაირ შეხედულებას თვლის გოეთეს ჭეშმარიტ შეფასებად.

ბურჟუაზიული ლიტრატურის მეცნიერებისათვის დამახასიათებელია ცალმხრივობა გოეთეს შეფასებაში. კრიტიკოსების ერთი ნაწილი გოეთეს შემოქმედებაში იღებს მხოლოდ ფილისტერულ მხარეებს, აჰყავს იგი პრინციპში და ჯვარს უსვამს პოეტის რევოლუციურ ნაწარმოებებს. მათ ავიწყდებათ, რომ გოეთეს შესახებ არ შეიძლება მთლიანი აზრი ვიქონიოთ, თუ მისი შემოქმედებიდან მარტო იმ ნაწარმოებს განვიხილავთ, რომლებშიაც სასახლის მწერალი და რევოლუციის უარმყოფელი გოეთე მოჩანს, მათ ავიწყდებათ, რომ გოეთეს საფრანგეთის რევოლუციასთან დამოკიდებულების გამორკვევა კიდევ არ ნიშნავს მწერლის საერთოდ რევოლუციასთან დამოკიდებულების გამორკვევას. გოეთე სამწერლო ასპარეზზე არ გამოსულა საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში, უმთავრესად რევოლუციამდე დაწერა მან ის ნაწარმოებები, რომლებშიაც პოეტის მებრძოლი განწყობილება მაღალ საფეხურზეა ასული. შეუძლებელია, რომ მან, ვისაც სურს იქონიოს წარმოდგენა გოეთეს პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე, ანგარიში არ გაუწიოს მწერლის შემოქმედებაში ამ ყველაზე ნაყოფიერ ხანას და დასკვნები გოეთეზე გამოიყვანოს მარტო საფრანგეთის რევოლუციის შესახებ დაწერილ დრამების, ავტობიოგრაფიული მასალის, ეპიგრამებისა და აფორიზმების მიხედვით.

თუ ერთი წყება კრიტიკოსებისა თავს ესხმოდა გოეთეს იმისთვის, რომ იგი არ იყო საკმაოდ ლიბერალი, მეორე წყება ქება-დიდებას ასხამს გოეთეს ფილისტერულ და შეზღუდულ მხარეებს. ამას ჩადიან არა იმისთვის, რომ დაადგინონ გოეთეს ჭეშმარიტი სახე, არამედ იმისთვის, რომ ყოველმხრივ გაამართლონ პოეტის ფილისტერობა და ეს უკანასკნელი გამოაცხადონ ნამდვილ ადამიანურ მხარედ. ბუნებრივია, რომ ასეთ ცდას მივყევართ გოეთეს შემოქმედების გაყალბებამდე და შტურმუნდდრანგელობის პერიოდის ძიებისა და დარწმუნების პერიოდად გამოცხადებამდე. ამ ყალბი შეხედულების ავტორია კარლ გრიუნი. გრიუნი „ადამიანობის" თვალსაზრისზე დგომით აყალბებს გოეთეს შემოქმედებას. გოე-

თე მისი გაგებით არის „კაცობრიობის ნამდვილი კოდექსი“, მაგრამ გრიუნი ამ ადამიანობას წმინდა გერმანულ ადამიანობას ეძახის. გრიუნის შესახებ 1847 წელს ენგელსი სწერდა მარქსს: „გრიუნი ჭეშმარიტ ასხამს გოეთეს ყოველგვარ ფილისტერობას, როგორც ადამიანურს; იგი ფრანკფურტელ და ჩინოვნიკ გოეთეს აქცევს ჭეშმარიტ ადამიანად; მაშინ, როდესაც ყოველ კოლოსალურს და გენიალურს გვერდს უვლის ან და კიდევაც აფურთხებს“.

გრიუნი გოეთეს რევოლუციის ზევით აყენებს. მისი აზრით, გოეთემ იგემა რევოლუციის მწარე გაკვეთილები. გრიუნს სავსებით გამართლებულად ეჩვენება, რომ გოეთემ „მოქალაქე გენერალსა“ და სხვა ნაწარმოებში უარყო რევოლუცია. გრიუნს მოსწონს გოეთეს ყველა ის ნაწარმოები, რომელშიაც რევოლუციას ბიურგერული იდილია უპირისპირდება, რადგან აქ ჩანს, გრიუნის აზრით, ნამდვილი ადამიანი. გოეთეს ნამდვილ ადამიანობას გრიუნი ხედავს პოეტის მიერ რევოლუციის უარყოფასა და ბურჟუაზიული საკუთრების დაცვაში. რევოლუციაში მონაწილეობა არ არის ჭეშმარიტი ადამიანური საქმე, ფიქრობს გრიუნი, რადგან რევოლუცონერებს თვალი კერძო საკუთრების პრინციპების დარღვევისაკენ უჭირავთ. ამიტომ მხოლოდ ის, ვინც რევოლუციას უარყოფს, კიცხავს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს რევოლუციურ მასებს, იმსახურებს გრიუნის თვალში ნამდვილი ადამიანის ეპითეტს; და რადგან გოეთე განუდგა რევოლუციას, რადგან იგი „ჰერმან და დოროთეაში“ და „გერმანელ ლტოლვილთა საუბარში“ თურმე ბურჟუაზიული საკუთრების ხელუხლებლობის აპოლოგეტად გამოვიდა, ამიტომ იგი, გრიუნის აზრით, ნამდვილი ადამიანია. გრიუნი აიდიალებს გოეთეს ფილისტერობას, მის შიშს რევოლუციის წინაშე, მის პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს და ამას უწოდებს იგი გოეთეს ნამდვილი ადამიანური თვალსაზრისით შეფასებას. გოეთეს რევოლუციასთან დამოკიდებულება გრიუნმა გამოიყენა საშუალებად პოეტის პიროვნების მისტიფიკაციისათვის. ის, რაც ნამდვილად დიდია და ნამდვილად ადამიანურია გოეთეს შემოქმედებაში, გრიუნის მიერ ანგარიშში არაა ჩაგდებული *).

ეს ორგვარი შეფასება მთავარ ზოლად მიჰყვება მთელ ბურჟუაზიულ გოეთეანას, რომლის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის ერთნი, ბრალს დებენ რა გოეთეს კონსერვატიზმში, წარსულის დასათაურებად აცხადებენ მთელ მის შემოქმედებას, ხოლო მეორენი კი ცდილობენ ყოველმხრივ გაამართლონ პოეტის ეს ფილისტერული მხარეები და წინა პერიოდის რევოლუციური მხატვრული ნიმუშები გამოაცხადონ პოეტის მხრივ დაბნეუ-

*) ე. კაროც გოეთეს სიდიადეს ხედავს პოეტის ფილისტერულ შეზღუდულობის ფაქტში, ზეკლასობრივობის და ჰუმანიურობის მოთხოვნაში, „Caro — La philosophie de Goethe, p. 286)“.

ლობის, საკუთარი თავის ძიების და ბოლოს სასახლის კარზე თავისი თავის ნახვის პერიოდად. გამოსავალ პუნქტად ყოველ ასეთ ოპერაციისთვის მიჩნეულია გოეთეს რევოლუციასთან დამოკიდებულება.

ფაშიზმი ატარებს პარალელს ეკჰარტსა და გოეთეს შორის იმ მხრივ, რომ ისინი, ორივენი გერმანული სისხლის წარმომადგენლები არიანო. არა თუ გოეთეს, არამედ ბეთჰოვენს, ბახს და კანტსაც ფაშისტები თავიანთ ბანაკში ერეკებიან. ეკჰარტსა და გოეთეს შორის მსგავსება, მათი აზრით, იმაშია, რომ ისინი თურმე მოითხოვდენ სულის თავისუფლებას და შეუჩერებელ საქმიანობას. ეს მოთხოვნა კი, ფიქრობენ ფაშისტები, არის განუშორებელი თვისება გერმანული სულის. თავისუფლების იდეალი, რომლსაც გოეთე აყენებდა ფაშიზმს სურს გაიგოს, როგორც ჩრდილოეთის გერმანული სულის გამოვლენა, ხოლო გოეთეს შეხედულება ადამიანის თავისუფლბაზე გამოიყენოს რასიული თეორიისათვის. ფაშიზმის თეორეტიკოსებს მოჰყავთ გოეთეს ზოგიერთი გამოთქმა, სადაც პოეტი თავისუფლებისა და აუცილებლობის მიმართებას არკვევდა, მოჰყავთ სწორედ ის ადგილები, სადაც მოჩანს გოეთეს ფილისტერული ბუნება და კი არ ცდილობენ დაუკავშირონ ისინი მწერლის შემოქმედებითი განვითარებას, არამედ იხილავენ მათ განცალკეულად და აყალბებენ მათ ნამდვილ შინაარსს. ის სუსტი და მტკივანი ადგილები, რომლების გამოც გოეთე სამართლიანი გაკიცხვის ღირსია, გადაიქცა ფაშიზმის ქება-დიდების საგნად.

ფაშიზმი ცდილობს გოეთეში დაინახოს მ ხ ო ლ ო დ გერმანელი, ხოლო პოეტის თავისუფლებისადმი მისწრაფებაში „ჩრდილოეთის გერმანული რასის“ სიმძლავრე; მაგრამ ამ ოპერაციის ჩატარება შეუძლებელი ხდება პოეტის შემოქმედების ჭეშმარიტი ბუნების ფალსიფიკაციის გარეშე. ამიტომაა, რომ ფაშიზმის დოსტაქარები ვერ ბედავენ მოიყვანონ თუნდაც გოეთეს ეკერმანთან საუბრიდან ის ადგილები, სადაც თვალში გეცემა ნაციონალურს შეზღუდულობაზე მაღლა მდგომი კოსმოპოლიტი მწერალი, რომელიც ამბობს, რომ მას არ სძულს ფრანგები, რომ პოეტის ქმნილება არ ეკუთვნის ერთ რომელიმე ერს, ან პროვინციას.

რასიული თეორიის „დასამტკიცებლად“ ფაშიზმი გოეთეს შემოქმედებაში აყალბებს იმ ადგილებს თავისუფლებასა და აუცილებლობის შესახებ, სადაც პოეტის ობივატელური მერყეობა იგრძნობა. ამასთან იგი სრულებით ყურადღებას არ აქცევს მწერლის იმ შემოქმედებით ნიმუშებს, რომლებშიაც მებრძოლი გოეთე მოჩანს. სუსტი და შეზღუდული გოეთე—აი რა აჰყავს პრინციპში ფაშიზმს, ჯვარს უსვამს რა ნამდვილად დიად და გენიალურ მხარეებს პოეტის შემოქმედებაში.

ფაშიზმის თეორეტიკოსები გულდასმით იწერენ იმ ადგილებს, სადაც გოეთე ლაპარაკობს ადამიანის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებაზე

და ქება-დიდებას ასხამენ პოეტს პრაქტიკის პრიმატის აღიარებისათვის; მაგრამ ამას ჩადიან არა იმისთვის, რომ პრაქტიკა გაიგონ ისე, როგორც ეს გოეთეს ესმოდა, არამედ იმისთვის, რომ ამ გზით [illegible] ჩრდილო გერმანული რასის წარმომადგენლად, [illegible] ფაშისტების აზრით, თურმე დამახასიათებელი ყოფილა არა ქვეყნიდან გაქცევა, არამედ ბრძოლა.

ამიტომ აქებს ფაშიზმი გოეთეში პრაქტიკისა და ქმედობისთვის უპირატესობის მიცემას, აქებს პრაქტიკას „ფაუსტში". მაგრამ ფაშისტებიც ხედავენ „სუსტ" მხარეს გოეთეში, რაც თურმე იმაში მდგომარეობს, რომ გოეთე ელინიზმითაა გატაცებული, რომ ფაუსტიც არ არის თავისუფალი ანტიურობის გავლენისაგან, და რადგან ელინიზმი, ფაშისტური თეორიით, „არიული რასის" გამომჟღავნების „პასიური" ფორმაა, რადგან ელინურ ხელოვნებაში პლასტიკური და არა დინამურ-დემონური მხარეებია, ბუნებრივია, რომ მათ, „ფაუსტში", რომლის ავტორსაც ისინი ჩრდილოეთის რასის სისხლის მატარებლად თვლიან, არ აკმაყოფილებთ ეს ელინისტური მოტივები.

თუმცა ფაშიზმის ბელადები ირწმუნებიან, რომ „ფაუსტში" წმინდა „ჩრდილოური რასა" ლაპარაკობს, რომ „ფაუსტი" არის გერმანული რასის „მცველი" და „შემნახავი", მაგრამ რადგან „ფაუსტში", ამბობენ ისინი, არ არის თანამიმდევარი მებრძოლი განწყობილებები, რადგან აქ გოეთე არ აყენებს „აზრის დიქტატურას", ამიტომ, ფაუსტი, მათი აზრით, უახლოეს ათეულ წლებში არ გამოდგება ფაშისტური მოძრაობის ბელადად და ბრძოლის დროშად; იგი ამ ხანებში უკან გადაიწევაო.

გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზია შეეცადა ოლიმპიელი გოეთე მშრომელი მასებისათვის დაეპირისპირებია — პროლეტარული რევოლუციისაგან გერმანიის ბურჟუაზიის დასაცავად. ამისთვის სხვათა შორის ვარჯიშობდენ გოეთეს მორჩილი სახის დასადგენად, აჭიკეებდენ გოეთეს მეტაფიზიკოსობას, კანტიანელობას. პოეტის პიროვნებას ამოფარებული ბურჟუაზია ქადაგებს კლასობრივ „ზავს", მუშებისა და მრეწველების ინტერესთა „შერიგებას". ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს იმის განხილვას, თუ რა ამოცანებს უყენებდა გერმანიის და სხვა ქვეყნების ბურჟუაზია გოეთეს გარდაცვალებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავ იუბილეს. ძირითადი ამოცანა, რომელიც გერმანიის ბურჟუაზიამ ამ იუბილეს წაუყენა იმაში მდგომარეობდა, რომ გოეთეს პიროვნება, კერძოდ, მისი დამოკიდებულება რევოლუციასა და პარტიათა ბრძოლასთან გამოეყენებიათ ქვეყნის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობის კონსოლიდაციისა და კლასობრივი „ზავისათვის", რაც არსებითად გაანგარიშებული იყო მშრომელი მასების უფრო მძლავრი ექსპლოატაციისათვის.

გოეთეს, როგორც საფრანგეთის რევოლუციის უარმყოფელის იუბილეს, გერმანიის ბურჟუაზია უსახავდა აგრეთვე მეორე ამოცანას, სახელ-

დობრ ბრძოლას საფრანგეთისა და ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ. ფაშიზმმა შექმნა ილუზია, რომ გოეთეში განსახიერებულია ნამდვილი გერმანელობა, გერმანიის ერთიანობა, და [illegible] დაპირა პოეტი საფრანგეთის ბურჟუაზიას. პოეტის მიერ საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ გალაშქრება გაიხადეს საშუალებათ გერმანელებსა და ფრანგებს შორის ნაციონალური შუღლის დასათესად. გერმანიის ბურჟუაზიის ეს პოზიცია რელიეფურად გამოხატა ჰინდენბურგმა გოეთეს იუბილეს გამო გამოქვეყნებულ წერილში. ეს იყო გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის საპროგრამო სიტყვა გოეთეს იუბილესთან დამოკიდებულებაში. ოლიმპიელი გოეთე უნდა გადაიქცეს გერმანიის შიგნით კლასთა ბრძოლის „შეწყვეტის“ და საერთაშორისო ასპარეზზე გერმანიის მოთხოვნათა სამართლიანობის დემონსტრაციის იარაღად — აი რას მოითხოვდა ჰინდენბურგი. გერმანიის ფაშისტური პრესა თავს ესხმის გოეთეზე საფრანგეთში გავრცელებულ აზრს, აღშფოთებულია, რომ საფრანგეთში წინა რიგში აყენებენ გოეთეს მსოფლკაცობას იმისთვის, რომ დაამცირონ პოეტის ნაციონალური მნიშვნელობა.

გერმანიის ფაშიზმს კარგად ესმის, რომ თუ გოეთეში დაიჩრდილება საკაცობრიო მხარეები, ან და თუ პოეტის ჰუმანიკური შეხედულებები გაიგივდება გერმანული მეშჩანის ილუზიასთან, მაშინ პირველ რიგზე წარმოგვიდგება ფილისტერი, საფრანგეთის რევოლუციის უარმყოფელი და, საერთოდ, ფრანგების მოძულე გოეთე. სწორეთ ასეთ შეხედულებათა დანერგვას ისახავდა მიზნად გოეთეს 1932 წლის იუბილეს დროის გერმანული ბურჟუაზიული პრესა.

ბურჟუაზია მოუწოდებს გოეთეს შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადასაწყვეტად. გოეთე რევოლუციის უარმყოფელი, გოეთე ფილისტერი პრინციპში აჰყავთ, რათა ქვეყნის შიგნით იქადაგონ კლასობრივი „მორიგება“. დიად და გენიალურ მხარეებს გოეთეს პიროვნებაში, რომელიც აღარ ეტევა თანამედროვე კაპიტალიზმის ჩარჩოებში, მისტიკურ ბურუსში ხვევენ იმისთვის, რომ წინა რიგში წამოსწიონ გოეთეს შემარიგებლური და კონსერვატიული მხარეები. გენიალურ პოეტისგან ბურჟუაზიას სურს მშვიდი ნესტორის მიღება, პოეტის გამოყენება კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა შესანელებლად. გოეთეს სახავენ კაპიტალისტური საზოგადოების მკურნალად. ყოველ ასეთ ცდას უმთავრესად გოეთეს მიერ რევოლუციის უარყოფა უდევს საფუძვლად.

იმპერიალიზმი ცდილობს გოეთეს გამოყენებას კაპიტალისტურ მანქანასა და მუშათა კლასს შორის არსებულ წინააღმდეგობათა მოსასპობად. როგორც ვიცით, „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობათა წლებში“ გოეთემ აღწერა ის დამანგრეველი გავლენა, რომელიც ხელოსნურ წარმოებაზე მოახდინა სამრეწველო რევოლუციამ, მანქანების შემოღებამ. მიუხედავად იმისა, რომ გოეთე არ იყო ქვეყნის კაპიტალი-

ზაციის წინააღმდეგი, რომ იგი დიდი სიხარულით ეგებებოდა სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარ გაუმჯობესებებს (პირველი რკინისგზა, პირველი გემის მოგზაურობა რაინზე, პანამის და სუეცის არხების გაყვანის იდეა, ილმენაუში მადნის ექსპლოატაციის დაწყება და სხვ.), იგი მაინც შიშობდა მანქანების შემოღების გამო. კაპიტალისტურ მანქანაში გოეთე ხედავდა უბედურებას ადამიანებისა და, კერძოდ, ხელოსნებისათვის, რომლებსაც მანქანა უმუშევრად დარჩენას უქადდა. ამითაა პირობებული, რომ რომანში მოცემულია ხელოსანთა ცხოვრების იდილია. გოეთესთვის ცხადი იყო, რომ გერმანია დაადგა კაპიტალიზაციის გზას, მაგრამ მას თვალწინ ედგა ის საშიშროებაც, რომელსაც კაპიტალისტური მანქანა უქადდა მშრომელ ხალხს. კაპიტალისტური მანქანა, ფიქრობდა პოეტი ხელს უწყობს ვიწრო სპეციალობას, ცალმხრივობას და საფუძველს აცლის იმ სულიერ მხნეობასა და კმაყოფილებას, რომელიც ხელოსნის შრომას ახასიათებდა. გოეთეს დამოკიდებულება კაპიტალისტურ წარმოებასთან წინააღმდეგობის შემცველია: ერთის მხრით კაპიტალისტური ტექნიკის უპირატესი როლის აღიარება, მეორეს მხრით — იმ საფრთხის წარმოდგენა, რომელიც ამ ტექნიკას მოჰქონდა მშრომელი კაცობრიობისათვის.

ბურჟუაზია ცდილობს აქაც თავის მხსნელად დასახოს გოეთე, რომელიც თურმე ოცნებობდა მანქანასა და შრომას შორის არსებული წინააღმდეგობათა მოსპობაზე. ასე მაგალითად, ლინდენი წერს: „მოხუცი ხედავდა ახალი საუკუნის, მანქანათა საუკუნის დადგომას, ნაცვლად მისი საკუთარი, „გოეთეს დროის“ იდეალისტური ეპოქისა; და მან სხვაზე უკეთ გაიგო კიდეც ამ განვითარების საფრთხე და აუცილებლობა“... წინასწარმეტყველმა შეხედა იმ საშინელებას, რომელიც ამ ახალმა ეპოქამ მოიტანა; იგი გაფრთხილებას და დარიგებას იძლეოდა, მაგრამ არავის არ სურდა მისი მოსმენა. ტექნიკასა და ადამიანთა ქვეყანას შორის არა თუ დაამყარეს კავშირი, არამედ მოსპეს ყოველგვარი შესაძლებელი კავშირი“ *).

კაპიტალიზმისათვის ასეთივე მკურნალის როლში გამოჰყავს გოეთე ი ო ნ ა ს კ ო ნ ს. „ჩვენ ყველას გვაწუხებს, წერს კონი, თუ პრაქტიკულად როგორ შევუერთოთ სამუშაოს დანაწილება ჭეშმარიტ ადამიანობას, ამიტომ მთელი ნაწარმოების (იგულისხმება „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“) პრობლემა ჩვენთვის ცხოველმყოფელობის მქონეა“-ო. „მანქანის მონას, — სწერს კონი, — არ შეუძლია მუდამ ერთგვარი საგნები, რომლებიც მისი ნახევრად მექანიკური თანამონაწილეობით წარმოიშობა, შეიგრძნოს ისეთივე სიხარულით, როგორც ეს შეუძლია ხელოსანს თავისი პირადი მოხერხების შედეგად. გოეთემ, როგორც ხედავთ, ამ გა-

*) „Лит. наследство“; № 4—6; 1932; стр. 793.

უმჯობესებისათვის შექმნა პირობები, მაგრამ მან ვერ შეძლო მისი შემოღება“ *).

ბურჟუაზიულ გოეთეანაში დიდი გასავალი აქვს ბურჟუაზიულ-დრანგელ და ფილისტერი გოეთეს დაკავშირების პრაქტიკას. გოეთე-პრომეთე, გოეთე-ფაუსტი ვერ იგუებს გოეთე-ოლიმპიელს, გოეთეს ეპიგრამების ავტორს. გოეთე „მოქალაქე გენერლის“ ავტორი არა თუ სპობს და ითავსებს შტრასბურგის და ვეტცლარის პერიოდის გოეთეს, არამედ არარად მოჩანს მის წინაშე, რა სიმაღლიდანაც არ უნდა დაჰყურებდეს ეს „ზეკს ოლიმპიელი“ თავის ქვეყანას და რა მდიდარიც არ უნდა იყოს მისი ცოდნის და შთაბეჭდილების მარაგი. გოეთე მისი შემოქმედების არსების გაყალბების გარეშე არ შეიძლება გამოდგეს რევოლუციის უარყოფის და კლასობრივი ზავის მოთხოვნის იარაღად; ბურჟუაზია ხომ კლასობრივი ზავის მოთხოვნაში კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს. ასეთი მოთხოვნის საფუძვლად არ შეიძლება გამოდგეს თუგინდ სასახლის ცხოვრებასთან შეგუებული გოეთე.

მართალია, სასახლის პოეტის — გოეთეს მსოფლმხედველობა არ არის მიმართული ადამიანთა ნამდვილი გათავისუფლებისაკენ, რომ ზეკლასობრივი და რევოლუციებს ზევით მდგომი „წმინდა ადამიანური“ არის აბსტრაქცია, მეშჩანური ყოფის ილუზია, რომ იგი არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ნამდვილ საკაცობრიო იდეებთან, რომელიც ამავე დროს კლასობრივი და პარტიული არის, მაგრამ ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ თვით ფილისტერობამდე დასულ გოეთესაც კი ადამიანთა კეთილდღეობა სურს, ხოლო თუ ობიექტურად მისი მოთხოვნები წყალს უმარჯვებს ფილისტერების წისქვილს, ამაში დამნაშავეა თვით გერმანული სინამდვილე და ის კლასობრივი გარემო, რომელშიაც პოეტი მოექცა.

ზერევოლუციურის, ზეკლასობრივის და ზეპარტიულის მოთხოვნაში მარხია გოეთეს გაგებით ნამდვილი საკაცობრიო, „წმინდა ადამიანური“ იდეები. ეს იყო გოეთეს უდიდესი შეცდომა, რომელმაც ბევრს მისცა საფუძველი გაეყალბებია პოეტის შემოქმედება. გოეთეს ეგონა, რომ სწორედ რევოლუციის და კლასთა ბრძოლიდან განზე დგომით მიიღწევა ნამდვილი „ადამიანური“. სინამდვილეში კი ეს იყო მშიშარა ბიურგერის ფანტაზია. პოეტს ეგონა, რომ მის შემოქმედებაში მუდამ იყო და არის ადამიანურობის ტრიუმფი, მაგრამ ეს მხოლოდ მწერლის სურვილი იყო.

და, როცა ჩვენ გოეთეს ბერნეს და სხვათა შემოტევისაგან ვიცავდით, ამას ჩავდიოდით არა იმისთვის, რომ პოეტის ფილისტერული შეხედულებანი გამოგვეცხადებია დიდ საუნჯეთ, არამედ იმის ნათელსაყოფად, რომ

*) Jonas Cohn — W. M. Wanderjahre, ihr Sinn und ihre Bedeutung für die Gegenwart; „Logos“, Bd. I, Heft 2; S. 26.

მწერალი სუბიექტურად მაინც არ იყო განწყობილი საერთოდ ხალხის და კერძოდ გერმანელი ხალხის წინააღმდეგ; მეორეს მხრივ, ამას ბავდიოდით იმისთვის, რომ ბერნე და კომპანია ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ ფილისტერობას და უგულებელყოფდენ პოეტის შემოქმედებაში რევოლუციურ მხარეებს.

გოეთეს რევოლუციასთან დამოკიდებულებაში მეღავნდება პოეტის მსოფლმხედველობის ორი მხარე — რევოლუციური და კონსერვატიული. გოეთეს სიდიადე სწორად იმაშია, რომ იგი არ იდრეკს მუხლს არსებულის წინაშე და გამოდის ტიტანის მაღალი პრეტენზიებით, რომ იგი ბავშვური გულუბრყვილობით კი არ აწარმოებს პოლემიკას სოციალური ინსტიტუტების წინააღმდეგ, როგორც ეს გუნდოლფს ჰგონია, არამედ გამოწვევას უცხადებს ძველ სამყაროს.

ალი არსენიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე შირვანზადე

სომხეთის საბჭოთა მწერლობას გამოაკლდა უხუცესი წევრი და იმავე დროს მე-19 საუკუნის მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც ნახევარი საუკუნის შემოქმედებაში დიდი მხატვრული ძალით ასახა მეტად მნიშვნელოვანი ეპოქა არა მარტო სომხეთის, არამედ მთლიანად ამიერ-კავკასიის ერების ცხოვრებაში.

შირვანზადე სომხეთის მწერლობის დიდი ფიგურა და კლასიკოსია არა მხოლოდ თავისი გამოჩენილი რეალისტური ნიჭით, არამედ იმიტომ, რომ მის დიდ ნიჭს წილად ხვდა დიადი სოციალური მასალის დამუშავება. ეს მასალა მისცა მას იმ დიდმა სოციალ-ეკონომიურმა გადატრიალებამ, რომელიც მოახდინა ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ, მით გამოწვეულ პატრიარქალურ წყობის ნგრევამ, მუშათა კლასის ჩასახვამ და ზრდამ და მისმა ბრძოლამ რევოლუციის მოსამზადებლად.

როდესაც შირვანზადე სამწერლო მოღვაწეობას შეუდგა (1880-იანი წლები), სომხეთის მევახშური, სავაჭრო კაპიტალი უკვე ახალ, სამრეწველო კაპიტალის ხარისხში გადადიოდა. ერთ-ერთ თავის დაუმთავრებელ რომანში „ვარდან არუმიანი" მწერალი სწორედ ასეთი, იმ დროისთვის ახალი კაპიტალისტის ტიპის წარმოშობას გვიხატავს. ცნობილი პროვინციელი ვაჭარი და მევახშე ბალდასარი, ირანის უკანასკნელი ხანის მეჯინიბის შვილისშვილი, სავსებით შეპყრობილია მოგების და მოხვეჭის ჟინით. მას სძულს ყველა, ყველგან და ყველაფერში იგი ხედავს პირადი სარგებლობის და გამორჩენის წყაროს. თავის ერთადერთ შვილს ვარდანს იგი უნერგავს ფულის ნამდვილ კულტს: „ფული, ფული და ფული, არც მეგობარი, არც ნათესავი, არც და, არც ძმა, ან ადამიანთა პატივისცემა და სიყვარული — მხოლოდ ფული, მხოლოდ მასშია დიდება. კურთხეულ იყოს მისი გამომჭედი". და ვარდანიც ასრულებს მამის ანდერძს, მამისაგან დაგროვილი თანხებით იგი ისწრაფვის აღთქმის ქვეყნისაკენ — ნავთოვან ბაქოსაკენ, სადაც ასე ადვილია გამდიდრება და მილიონერად გახდომა.

თითონ მწერალიც, როცა მამამისი, ხელობით თერძი, გაკოტრდება ახალი, ევროპიდან შემოსული ანილინის საღებავის კონკურენციის გამო, ლუკმა პურის საძიებლად მიეშურება ბაქოსაკენ.

„იქ (ბაქოში. ა. ა.) ის იყო იწყებოდა გონებრივი და ფიზიკური შრომის დაფასება, როგორც საბაზრო საქონლის, რომელიც ყვლეფის საგ-

ნად იყო გადაქცეული"-ო, — სწერს შირვანზადე თავის მემუარებში „ცხოვრების ქარცეცხლი", რომელიც მდიდარ მასალას იძლევა მწერლის კლასობრივ თვითშემეცნების და ლიტერატურულ-პოლიტიკური ევოლუციის გასაგებად. მე იქ გავემგზავრეო — განაგრძობს მწერალი — არა ბედნიერების საძიებლად, არა სიმდიდრის შესაძენად, არა სახელის მოსახვეჭად, არამედ მხოლოდ ლუკმა პურის საშოვრად დედაჩემისა და ჩემი ორი დისათვის. მამაჩემის მოულოდნელმა გალატაკებამ ძვირფასი [illegible] ბიდან შიშველ მიწაზე გადაგვაგდოო.

ამგვარად მწერალი ახალგაზრდობიდანვე მოწყდა სოფელს და პროვინციას, სადაც დაიბადა და აღიზარდა (ქალ. შემახა, აზერბეიჯანის ყოფილი შირვანის სახანო, აქედან მისი ფსევდონიმი „შირვანზადე" — შირვანის შვილი) და, გარდა რამოდენიმე ნაწარმოებისა, როგორიცაა „ნამუსი", „ავი სული", თემატიურადაც დაშორდა ამ საგანს.

უნდა ითქვას, რომ შირვანზადე პირველი მწერალია სომხეთის მწერლობაში, რომელიც სოფლურ, გლეხური თემატიკიდან გადადის ქალაქის და მისი კლასების ასახვის თემატიკაზე. მისთვის სავსებით უცხოა ის თვალსაზრისი, რომელზედაც იდგენ სომხეთის მწერლობაში, ჩვენი ანალოგიით რომ ვთქვათ, „ტეტიათა მოტრფიალე" სომეხი მწერლები, როგორიცაა პრაშიანი, აღაიანი, ოვანეს თუმანიანი და სხვ. მათ მსგავსად იგი სრულებითაც არ უფრთხის კაპიტალიზმის შემოსვლას, მის სწრაფ ზრდას და არც არავითარ ილუზიას არ ეძლევა იმ საგანზე, რომ გლეხი გადაურჩება ისტორიის მიერ გამოჭედილ ახალ ბორკილებს.

პირველსავე თავის ნაწარმოებში „ხანძარი ნავთის სარეწაოებზე" შირვანზადე ნათლად და საკმაოდ რეალურად ხედავს გაბატონებულ კლასის ძალას, მის ველურ მტაცებლურ ინსტინქტს და იმ მტრულად დაპირისპირებულ ურთიერთობას, რომელიც აშკარად მეღავნდება ჯერ კიდევ მაშინ გაუთვითცნობიერებელ და პასიურ მუშათა კლასის მასაში და მის მჩაგვრელ, ახლად ამოტივტივებულ მრეწველ მარუთიანებს შორის.

მაგრამ შემდეგ მწერალი საგრძნობლად ანელებს „ხანძარში" გამოვლინებულ რადიკალურ პოზიციას და თავს იხრის სინამდვილის წინაშე, შერიგების და შეთანხმების სალამს აძლევს მას. იგი ვერ ამჩნევს რევოლუციური მუშათა კლასის რევოლუციური აზრების არსებობას და იზიარებს სომხეთის ბურჟუაზიის მაშინდელ გამოჩენილი იდეოლოგის გრ. არწრუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პოზიციას. არწრუნი ამათრახებს სომხურ ბურჟუაზიის ნაკლოვანებებს კლასის შინაგანი თვითკრიტიკის თვალსაზრისით, იგი ებრძვის მასში აზიურ ჩვევებს, კულტურულ და ტექნიკურ ჩამორჩენილობას. სამრეწველო კაპიტალის განვითარების ინტერესები არა მარტო სომხეთში, არამედ მთელს ამიერ-კავკასიაში — აი არწრუნის საზრუნავი საგანი. იგი მოითხოვს, რომ მწერლობა, ეკლესია, ხელოვნება — მთელი იდეოლოგიური აპარატი მიიმართებოდეს კაპიტა-

ლის ინტერესების მომსახურებისაკენ. არწრუნი ერთიანი ფრონტის დამყარებას ცდილობს აზერბაიჯანის მიწათმფლობელურ არისტოკრატიასთან და ქართული ბურჟუაზიის ისეთ იდეოლოგებთან, როგორიცაა გიორგი წერეთელი და მისი ორგანო — „დროება“.

საინტერესოა შირვანზადე-არწრუნის შეხედულებათა შეხვედრა ისეთ საკითხში, როგორიცაა მუშათა საკითხი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ამ დარგში ერთგვარი დათმობის და კომპრომისის გზით სვლის აუცილებლობის აღიარება. ანვითარებს რა ახალი სამრეწველო მშენებლობის გაშლის პროგრამას, არწრუნი აფრთხილებს ბურჟუაზიას, რომ მას მხედველობიდან არ გამორჩეს მუშათა მძიმე მდგომარეობა, რასაც არასასურველი და მძიმე შედეგები მოსდევსო.

„როდესაც ჩვენ აღარ ვზრუნავთ მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე, **ჩვენ გვავიწყდება და აღარ გვესმის,** რომ მომავლისათვის **ვამზადებთ** ისეთ გადაულახავ დაბრკოლებებს, რომლებიც ევროპიულ კაპიტალისტურ საზოგადოებისათვის გადაიქცევ **გადასაჭრელად შეუძლებელ და სისხლიან პრობლემათა მიზეზათ“-ო.** (არწრუნის ციტატა მოგვყავს ს. მანუციანის მონოგრაფიიდან შირვანზადეს შემოქმედების შესახებ. „აზგნიი“-ს გამოცემა, 1930 წ. — ხაზგასმაც მისივეა. ა. ა.).

თითქმის ასევე სწერს შირვანზადე 80-იან წლების ერთ-ერთ თავის წერილში:

„ყველგან, ყოველ საზოგადოებაში მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი დიდიხანია გახდა ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად. ამჟამად არაა **არც ერთი რამოდენიმედ მაინც მოწინავე საზოგადოება, რომელიც ცოტათ თუ ბევრად, ასე თუ ისე არ იყოს დაინტერესებული ყველაზე უბედური კლასის მდგომარეობით... მხოლოდ ჩვენშია საბრალო მუშა განცალკევებული** საზოგადოებისაგან ჩინური კედლით, **მოკლებულია მის მზრუნველობას... და კვდება ისე, რომ** ერთხელაც კი **არ ხდება ჩვენი ყურადღების ღირსი,** ისე რომ ერთხელაც კი **არ შეუნძრევია ჩვენი კაცთმოყვარული გრძნობები“-ო.**

ასეთ ბურჟუაზიულ-ფილანტროპულ, სენტიმენტალურ-ჰუმანურ თვალსაზრისზე დგას მწერალი მუშათა კლასის მიმართ.

ამხ. პ. მაკინციანი სწერს შირვანზადეს შესახებ, რომ „იგი მოწამე გახდა ბურჟუაზიული წყობილების დამხობის, რომლის შეურყეველობაში მას ერთხელაც არ შეპარვია ეჭვი მთელი თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული ცხოვრების განმავლობაში“-ო. მაგრამ ჩვენის აზრით არ კმარა აღნიშნული გარემოების მხოლოდ აღნიშვნა, მისი კონსტატაცია. უდავოა, რომ ჩვენს მწერალს ეჭვი არ შეპარვია, უდავოა რომ იგი არაა კრიტიკული რეალიზმის უკიდურესი ან რადიკალური წარმომადგენელი, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით არ იქნება ზედმეტი მოვთხოვოთ შირვანზადეს, რომ ის მაინცდამაინც სოციალისტური ტენდენციური ბელეტრის-

ტიკის წარმომადგენელი ყოფილიყო. ასეთ მოთხოვნას სწორედ ამ ეპოქაში (1885 წ.) ენგელსი უყენებს სოციალისტ მწერალ-ქალს მინნა კაუცკისას და დასძენს, რომ „მისი (სოციალისტურად განწყობილ მწერლის. — ა. ა.) ამოცანა სავსებით შესრულებული იქნება, თუ იგი კეთილსინდისიერად გამოხატავს რეალურ ურთიერთობას, ააფეთქებს გაბატონებულ პირობით ილუზიებს ამ ურთიერთობათა ბუნების შესახებ, შეარყევს ბურჟუაზიული ქვეყნის ოპტიმიზმს და შთანერგავს იქვს არსებული წესწყობილების საფუძვლების უცვლელობაში, — თუნდაც ავტორი ამასთან არ იძლეოდეს საკითხის არავითარ გარკვეულ გადაჭრას და ზოგჯერ არც დგებოდეს აშკარად ვისიმე მხარეზე“-ო.

რა თქმა უნდა, შირვანზადე მერყეობს, მას არ მოეპოება საკითხის გადაჭრისათვის გარკვეული პასუხი, მისი რეალიზმი არაა ბალზაკის ტიპის აქტიური ბურჟუაზიული რეალიზმი, რამდენადაც გი თავისი დროის შესაბამისად, პროლეტარიატის, როგორც კლასის, შეტევის დაწყების პერიოდში მოღვაწეობს. იგი უფრო დიკენსის და ზოლას რეალიზმის ტიპს უახლოვდება, კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი შინაარსის და რაობის გამამრუდებელ და შემარიგებელ რეალიზმისაკენ უფროა. მწერალი ამას თითონ აღნიშნავს: „მე გატაცებული ვიყავი უფრო დიკენსით, ვიდრე დოსტოევსკით და ბალზაკით... ზოლასაც უფრო მეტი ინტერესით ვკითხულობდი“-ო (ხაზი ჩვენია. — ა. ა.).

როგორც გოგოლი „მკვდარ სულებში“, თავის შემოქმედებითი განზრახვების და მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, ობიექტურად იძლევა თავადაზნაურულ-მემამულურ რუსეთის მომაკვდინებელ სატირას და ამით პროგრესიულ როლს თამაშობს და ხდება კრიტიკული რეალისტური სკოლის ფუძემდებლად რუსეთში, ისე შირვანზადეს მიერ „ჭაოსში“ მოცემული მონუმენტალური ეპოპეა აზიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში ინდუსტრიალურ კაპიტალიზმის შეჭრის შესახებ, წინააღმდეგ ავტორის მშვიდობიან, რეფორმისტულ განზრახვებისა, მკითხველში უნებლიედ ბადებს ზიზღს და პროტესტს ყველაზე და უზომო ექსპლოატაციაზე დაყრდნობილ სამყაროს წინააღმდეგ.

შირვანზადეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას უზრუნველყოფილი აქვს თანამედროვე და მომავალ მკითხველ თაობათა ყურადღება და სიყვარული, რადგან მასში, მიუხედავად კლასობრივი თვალსაზრისის შეზღუდულობისა, დიდი პლასტიური ოსტატობით გამოქანდაკებულია კაპიტალისტური ეპოქის ტიპების გალერეა ამიერ-კავკასიაში. მის მიერ მოცემულ სოციალურ ეპოპეის მნიშვნელობა სცილდება სომხეთის მწერლობის საზღვარს და უდავოდ შედის საბჭოთა კავშირის ხალხების საუკეთესო კლასიკურ მემკვიდრეობის საგანძურში.

ხელოვნებათმცოდნეობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჩავლეიშვილი

ლიტერატურული სახის პრობლემები

მარქსისტულ-ლენინურ ხელოვნებათმცოდნეობაში დღეს სახე ერთხმად აღიარებულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის საერთო სპეციფიკად და ამის შესახებ აღარ კამათობენ. რომ ხელოვნება სახეებით აზროვნებაა, ეს ჩვენთვის აქსიომაა. გასარკვევი და სადავოა მხოლოდ ის, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ მისი კონკრეტული შინაარსი. სოციალისტურმა მშენებლობამ, იმის გამო, რომ ხელოვნებას უდიდესი ფუნქციონალური დანიშნულება აქვს მასების კომუნისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლის პროცესში, დააჩქარა სახის პრობლემის გადაწყვეტა, რადგან საჭირო შეიქნა იმ სპეციფიური იარაღის თავისებურების გამორკვევა, რომელსაც ხელოვნების ენა ეწოდება. უკანასკნელ ხანებში ხელოვნებათმეცნიერებაში გამოქვეყნდა მთელი რიგი წერილები, რომლებიც, მართალია, საკითხს ადგილიდან ძრავენ, მაგრამ ფორმულას მაინც ვერ ავსებენ კონკრეტული შინაარსით. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე აბსტრაქტული მსჯელობა და სახის პრობლემისადმი არა დიფერენციული მიდგომა. ცნობილია, რომ სინამდვილეში არსებობს ხელოვნების კონკრეტული დარგები და სახის ზოგადი ბუნების, როგორც ხელოვნების სპეციფიკის, გარკვევა, შეუძლებელია ამ კონკრეტული დარგების შემოქმედებითი ფაქტების გათვალისწინების გარეშე. მართალია, ცალკეულ დარგებში სახეების ბუნების გარკვევის შედეგების მათემატიკური შეჯამება არ მოგვცემს სახის, როგორც ხელოვნების საერთო სპეციფიკის არსებას, მაგრამ ცალკეული დარგების მაგალითზე შესაძლებელია სახის როგორც ზოგადი ბუნების გამომჟღავნება, ისე მისი დარგობრივი თავისებურების გამორკვევა.

ვხელმძღვანელობთ რა ამ მოსაზრებით, ჩვენი თემა მიზნად ისახავს სახის პრობლემისადმი დიფერენციულ მიდგომას და წარმოადგენს ლიტერატურული სახის არსების გამორკვევის ცდას. აქვე ვაყალიბებთ ლიტერატურული სახის თავისებურ დეფინიციას: სახე არის იდეის გრძნობად

კონკრეტული ინდივიდუალიზაცია და დეტალიზაცია წარმოსახვით მსჯელობაში. მთელი შემდგომი მსჯელობა მხოლოდ ამ ფორმულის გენეტიკური გაშლაა და ამდენადვე მასთან მიმყვანი გზის ფიქსაცია, რადგან, ბ ა ო ქ ს ი ს სიტყვით რომ ვთქვათ, „არა მარტო გამოკვლევის ბოლოდეგი უნდა იყოს ჭეშმარიტი, არამედ მასთან მიმყვანი გზაც“. როგორც დეფინიციიდან ჩანს, ძიების ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს სახის გრძნობადი კონკრეტულობა, როგორც მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკის პრობლემა. სახის იდეურობა და შემეცნებითი არსება კი აუცილებელი მეთოდოლოგიური წინამძღვრებია, რომლების მოკლე მიმოხილვაც ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს.

ზემოაღნიშნულ სახის დეფინიციაში თითქოს არ მოჩანს იდეის კლასობრივობა და მისი მატერიალური შინაარსი. სახის იდეის არსების ლენინური გარკვევის გარეშე, იგი შეიძლება მიჩნეულ იქნას ჰეგელიანურად, რადგან ჰ ე გ ე ლ ი ს აზრითაც სახე არის იდეის გრძნობად ფორმაში გამოვლენა: „ხელოვნებას აქვს მხოლოდ ის დანიშნულება, რომ იდეა გამოავლინოს გრძნობად ფორმაში“ *). სინამდვილის ცალკეულ გრძნობად საგნებში მთელი სისრულით გამოვლენილი იდეა სახედ იწოდება. ჰეგელიანური პერიოდის ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს აზრითაც, „ხელოვნება არის ჭეშმარიტების უშუალო ჭვრეტა ანუ აზროვნება სახეებში“. როგორც ჰეგელის, ისე ბელინსკის თვალსაზრისით, იდეა პირველ რიგში დგას და შემოქმედების კონკრეტულ შინაარსს მხოლოდ ამ იდეის გრძნობად ფორმაში გამოვლენა წარმოადგენს.

საჭიროა გარკვეულ იქნას ის პრინციპული სხვაობა, რომელიც არსებობს იდეის ჰეგელიანურ და მარქსისტულ გაგებას შორის. ცნობილია, რომ ჰეგელის ფილოსოფიაში ცნობიერება აბსტრაქციაქმნილია თვით სუბიექტისაგან, რომელიც არსებობს აბსოლუტური იდეის სახით და წარმოადგენს სინამდვილის სუბსტანციას. ეს აბსოლუტური იდეა, მისთვის იმანენტურად თანხლებული თვითმოძრაობის გამო, იმყოფება აღმავალი განვითარების პროცესში და თვითგანსხვისების გზით აწარმოებს ქვეყნის კონკრეტულ შინაარსს თავის თავისაგან. აბსოლუტური სულის თვით განვითარება უშუალოა და მისი გაშლა ბუნებაში ადამიანის გაჩენამდე შეუგნებლად მიმდინარეობს. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე გამოიყოფა ადამიანი, რომელშიაც აბსოლუტური სული შეიცნობს თავის თავს, როგორც სინამდვილის შემომქმედ სუბიექტს: „გაიგო სუბსტანცია, როგორც სუბიექტი, როგორც შინაგანი პროცესი, როგორც აბსოლუტური პიროვნება, შეადგენს ჰეგელის მეთოდის განმასხვავებელ ნიშანს“ **). სწორედ ამის გამო, იდეა არ არის სოციალური ადამიანის იდეა და, ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის მიხედვით, იგი არც შეიძლება ასეთად

*) ჰ ე გ ე ლ ი. „Эстетика“, ч. II, გვ. 332.

**) იხ. Маркс и Энгельс об искусстве, 1932 г., Москва, გვ. 67.

ყოფილიყო, რადგან, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანს ჰეგელი ხდის თვითშეგნების ადამიანად, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანად ... თვითშეგნება ადამიანის თვითშეგნებად“ *).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ცხადია, რომ იდეის ჰეგელიანურ, ე. ი. იდეალიზმის თვალსაზრისით გაგებას საერთო არაფერი აქვს იდეის მარქსისტულ-ლენინურ ინტერპრეტაციასთან. დიალექტიკური მატერიალიზმისათვის ხელოვნებასა და მისი სახეების სისტემაში მოცემული იდეა არის თვითშეგნება არა აბსოლუტური სულის, არამედ რეალური ადამიანისა, რომელიც ცხოვრობს „ნამდვილ საგნობრივ ქვეყანაში“ და რომელიც ამავე ქვეყნით არის განსაზღვრული. როგორც ყოველგვარი იდეა, ისე მხატვრული შემოქმედების იდეაც არა მეტაფიზიკურია, არამედ სოციალური ადამიანის წარმოდგენაა სინამდვილის შესახებ. იგი არც შეიძლება სხვა რამე იყოს, რადგან იგი ადამიანის ტვინის ფუნქციაა, ხოლო ადამიანი თავისი ტვინით არის ბუნების პროდუქტი, რომელიც ქვეყნიერების ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე გაჩნდა. იდეა ისტორიულად წარმოებულია და არა მაწარმოებელი, გენეტიკური თვალსაზრისით, იგი არის არა სუბსტანციური, არამედ სუბორდინაციული ფენომენი: „ცხოვრება ბადებს ტვინს. ადამიანის ტვინში აირეკლება ბუნება“ **). ყოველივე ამის გამო, იდეის იდეალისტური გაგება, იქნება იგი სუბიექტური თუ ობიექტური იდაელიზმის თვალსაზრისით, უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

„მხატვარი ქმნის ცოცხალ სახეებს, ხასიათებს და არა იდეის სისტემას“, — ამბობს პერევერზევი. მისი აზრით, მხოლოდ იდეალისტები და მეთოდოლოგისტები ეძებენ იდეას მხატვრულ ნაწარმოებში. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პერევერზევს არ სწამდეს ხელოვნების იდეურობა. იდეა აუცილებელი შემადგენელი ელემენტია მხატვრული ფაქტისათვის. მაგრამ, რაც მთავარია, მისთვის ეს იდეა სახის იდეაა და არა ავტორის. ზოგადად პერევერზევი თანახმაა დებულების „ხელოვნება სახეებით აზროვნებაა“, მხოლოდ იგი ცდილობს ამ აბსტრაქტულ ფორმულას მისცეს კონკრეტიული შინაარსი და სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია, თუ არა თვით სახეების აზროვნება „მხატვრის აზროვნება სახეებით, — ეს არის სწორედ სახეების აზროვნება“. ამიტომ პერევერზევი არჩევს საერთოდ ორგვარ იდეას: იდეა ავტორისა და იდეა სახისა. ნაწარმოების იდეოლოგიურობა ნიშნავს სახის იდეურობას; ეს უკანასკნელი იწოდება მხატვრულ იდეურ მომენტად და წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოებისათვის იმანენტურად თანხლებულს, იდეა სახის შესახებ კი არ არის მხატვრული იდეა, ე. ი. სახისათვის შინაგანად თანხლებული აუცილებელი კატეგორია, და გვევლინება, როგორც მწერლის, კრიტიკოსის თუ მკითხველის მიერ ნაწარმოების სუბიექტიური შეფასების შედეგი:

*) იქვე, გვ. 84 — 85.

**) В. И. Ленин: „Философские тетради“, გვ. 193.

„ლიტერატურათმცოდნეობის ობიექტს წარმოადგენენ მხოლოდ მხატვრულ-იდეოლოგიური მომენტები, მაგრამ მათ არ მიეკუთვნება სახეების გაგება, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს გაგება: კრიტიკოსს, ნაწარმოების მკითხველს თუ მის ავტორს“ *). მართალია, მკითხველისა და კრიტიკოსის აზრი არის აზროვნება სახის შესახებ, რის გამოც იგი გარეგანი მოვლენაა თვით ლიტერატურული სახისათვის, მაგრამ ამგვარად არ შეიძლება ვიმსჯელოთ დამწერის აზრის შესახებ სახესთან დამოკიდებულებაზე. ავტორის შეხედულება და აზრები მის მიერ მოცემული სახეების შესახებ აგრეთვე ობიექტურია და მხატვრული ფაქტისათვის იმანენტურად თანხლებული. გარკვევით უნდა ითქვას, რომ სახე და მისი კომპოზიცია მხოლოდ მწერლის კლასობრივი იდეისა და მსოფლმხედველობის გამოვლინებას ემსახურება.

პერევერზევის აზრით, პეჩორინის, ონეგინის, რასკოლნიკოვისა და ობლომოვის, როგორც ლიტერატურული სახეების, აზრი ის იქნებოდა, რასაც ეს ტიპები ფიქრობენ თავიანთი თავის შესახებ და არა ის, რაც მწერალს სურდა ეთქვა მათი საშუალებით. მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, შეუძლებელია უარყოფილ იქნას სახის ობიექტური იდეა: ლუარსაბ თათქარიძე, როგორც სინამდვილის ტიპი, მოაზროვნე სუბიექტი, სოციალური წარმოშობითა და მდგომარეობით თავადი, ხასიათდება მწერლისაგან დამოუკიდებელი იდეებით, რადგან სახე, გაგებული როგორც ადამიანი, შეუძლებელია გრძნობისა და აზრის გარეშე. პერევერზევი სინამდვილეს აყალბებს: ერთია — სახეს, როგორც ადამიანს, ჰქონდეს აზრები, გრძნობები და სხვაა — მისი ლიტერატურული ხორცშესხმა და შემოქმედებითი გახსნა. ხელოვნებაში გადამწყვეტია ეს მეორე მომენტი, რომელიც ავტორის კლასობრივი მსოფლმხედველობის თავისებურ ფორმაში გამოთქმას შეიცავს.

დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ი ს „დანაშაული და სასჯელის“ მთავარი გმირი რასკოლნიკოვი, ერთის მხრით, სრულიად განსაზღვრული ლიტერატურული სახეა, სინამდვილის ადამიანის გამოხატვა, რომელიც ხასიათდება საკუთარი აზრებით, გრძნობებით და მოქმედებით. ამდენად დოსტოევსკის აზრები თითქო აქ არაფერ შუაშია. მაგრამ თუ მოვლენასთან უფრო ახლო მივალთ, დავინახავთ, რომ სინამდვილეში რასკოლნიკოვის სახე მისი დამწერის სოციალური კონცეპციის ხელოვნების ენაზე გამოთქმაა და ამით განისაზღვრება მისი ფუნქციონალური დანიშნულება.

ცნობილია, რომ დოსტოევსკი იმ სოციალური ფენის მწერალია, რომელსაც წვრილი ბურჟუაზია ეწოდება. ლენინიზმის თვალსაზრისით კი, წვრილი ბურჟუაზია წინააღმდეგობრივი ბუნების შემცველია: რამდენადაც კაპიტალიზმის განვითარება იწვევს წვრილი წარმოების განადგუ-

*) П е р е в е р з е в: „Проблемы марксистского литературоведения“. ჟურ. „Литература и Марксизм“, 1932 г., кн. 2, გვ. 73.

რებას, რადგან განვითარებულ ტექნიკას ვერ უძლებს კუსტარული წვრილი ხელოსნური მეურნეობა და ამასთან იგი იჩაგრება, როგორც მშრომელი, კაპიტალიზმის პირობებში, იმდენად იგი წინააღმდეგია ფეხველი კაპიტალისტური მეურნეობისა. მაგრამ, მეორეს მხრით, იგი კერძო მესაკუთრეა; ამდენად არ შეიძლება იგი თანმიმდევარი მებრძოლი იყოს კაპიტალიზმის წინააღმდეგ. იგი ქანაობს ამ წინააღმდეგობათა შორის და წარმოადგენს სარეზერვო არმიას, რომელიც კონკრეტული სიტუაციის მიხედვით ექცევა ან ბურჟუაზიისა და ან მუშათა კლასის ხელმძღვანელობის ქვეშ.

დოსტოევსკი ამ რომანში წვრილი ბურჟუაზიის იმ მდგომარეობას გამოხატავს, როდესაც იგი ნადგურდება კაპიტალიზმის განვითარების შედეგად. დოსტოევსკი სწერს „დამცირებული და შეურაცხყოფილი“ ადამიანების შესახებ. მართალია, ეს პირები ყოველი ფეხის გადადგმაზე დამცირებას განიცდიან, მაგრამ დოსტოევსკის აზრით ისინი ზნეობით უფრო მაღლა დგანან და ბევრად უფრო პატივსაცემი ხალხია, ვიდრე სიმდიდრით გაბოროტებული და ზნედაცემული „წარჩინებული“ პირები. მევახშე, მოხუცი დედაკაცი ალენა, ამ წარჩინებულთა ფენის წარმომადგენელია, რომელმაც არც კი იცის, რისთვის ცხოვრობს ამ ქვეყნად, აგროვებს პროცენტებს და თავისი „ბოროტი ბუნების“ გამო ლუპავს მრავალ ჯახლონით სავსე ადამიანს.

დოსტოევსკი ადამიანთა ურთიერთობას უყურებს არა როგორც საზოგადოებრივი წარმოების პროცესში დამოკიდებულებას, არამედ როგორც ზნეობრივ ურთიერთობას. იგი „დამცირებული“ ხალხის განადგურების მიზეზს ხედავს არა კაპიტალიზმის განვითარებაში, არამედ იმაში, რომ მდიდარი ადამიანი ბუნებით ბოროტია. ამიტომ მომავალი არის არა სინამდვილის რევოლუციონური გზით პრინციპიალური გარდაქმნის საკითხი, არამედ ადამიანების მორალური აღზრდის საქმე. ადამიანი ისეა გაჩენილი, რომ იგი ბუნებით ბოროტია, საჭიროა მისი მორალური აღზრდა. მაგრამ ამ ამოცანის შესრულება ყოველ მომაკვდავს არ შეუძლია, იგი თავს უნდა იდვან „არაჩვეულებრივმა ადამიანებმა“, რომლებიც კრიტიკულად აზროვნებენ და პროგრესის მიზეზს წარმოადგენენ. დოსტოევსკიმ ეს შეხედულება თავზე მოახვია როდიონ როდიონის ძე რასკოლნიკოვს. იგი წინ აღუდგება არსებულ უკუღმართობას. მას სურს წინ წასწიოს კაცობრიობა. მართალია, მისი მოქმედება დანაშაულია, მაგრამ სამაგიეროდ მას გააჩნია შინაგანი სიმართლე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თავისი სინიდისის მიხედვით აქვს უფლება დანაშაულზე. იგი „ბატონია მომავლისა“, მას შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული, ჰკლავს მევახშე დიდაბერს, რითაც „შეურაცხყოფილ ხალხს თავიდან აშორებს სისხლის მსმელს“. მაგრამ რასკოლნიკოვს არ აღმოაჩნდა პრინციპიალური თანმიმდევრობა. მართალია, მან შეასრულა მოქმედების ერთი მხარე, ე. ი.

„მოკლა პრინციპი“, მაგრამ წინ ვერ გადადგა ნაბიჯი, რადგან ვერ დაუცადა „საყოველთაო ბედნიერებას“ და, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა, თქვა: „მე თვითაც მინდა ცხოვრება. მე ტილი ვარ“. ამ სუბარობით არა მარტო რასკოლნიკოვმა გამოამჟღავნა თავისი თავი, როგორც წვრილმა ბურჟუამ, არამედ დოსტოევსკიმაც, როგორც წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგმა.

ამ მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ სახის იდეა ავტორის იდეის მხატვრული გახსნაა და ყოველი ლიტერატურული სახე მხოლოდ იმდენად არის ღირებული, რამდენადაც იგი მეტი მხატვრულობით ასრულებს ამ ამოცანას. როგორც თვით პერევერზევი ამბობს, ხელოვნებაში სახე არის არა შინაარსის გამოხატვის თავისებური საშუალება, არამედ მისი სპეციფიური შინაარსი. მისთვის სახე მხოლოდ ადამიანია და ამიტომ სახის პერსონიფიკაციის საფუძველზე თითქოს დასაბუთებულია ხელოვნების განმასხვავებელი ნიშანი იდეოლოგიის სხვა დარგებისაგან. იმისათვის, რომ ხელოვნების თავისებურება პერევერზევს მისი შინაარსის სპეციფიურობით აეხსნა და ამასთან იდეაც გამოერიცხა მხატვრული შემოქმედებიდან, მან რესტავრაცია მოუხდინა კანტ — სპენსერისა და შემდეგ გ. პლეხანოვის მიერ მოწონებულ ხელოვნების, როგორც თამაშის, თეორიას. პერევერზევისათვის ხელოვნება ცხოვრებაში თამაშია, რომელიც, მართალია, უშუალო მონაწილეობას არ ღებულობს არსებობისათვის ბრძოლაში, მაგრამ სამაგიეროდ ადამიანს ეხმარება იმ ით, რომ მისი საშუალებით სწარმოებს საბრძოლო ძალების წინასწარი ვარჯიში და გაწვრთნა. თუ დაახლოებით პერევერზევის სიტყვებით გამოვხატეთ, თამაშში ხდება ცხოვრების განსაზღვრული ფორმისათვის დამახასიათებელი ქცევების ხელახალი აღდგენა. ამ ქცევების სისტემას ეწოდება ფსიქოლოგია ანუ ხასიათი. როდესაც სოციალური ხასიათი, რომელიც არის თამაშის სუბიექტი, ხდება ობიექტად, საქმე გვაქვს სახესთან, ე. ი. მხატვრული სახე არის წარმოქმნილი (воспроизведенный) ყოფაქცევის სისტემა ადამიანისა, ანუ სოციალური ხასიათის პროექცია. შემოქმედებითი აქტის დანიშნულება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოაშოროს სახე მოთამაშე სუბიექტს, მოახდინოს მისი ობიექტივაცია, რომელიც განაგრძობს თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას და გვევლინება როგორც მხატვრული ნაწარმოები.

თუ ხელოვნება მარტოოდენ თამაშია ცხოვრებაში, მაშინ იგი ყოფილა არა მიზანშეწონილი მოქმედება, არამედ უბრალო გართობა. ცნობილია, რომ თავისი სასიცოცხლო ძალების გაწვრთნას ადამიანი საზოგადოებრივი პრაქტიკის გზით ახდენს და ამდენად ადამიანის გარე სამყაროზე აქტიური ზედმოქმედების პროცესიდან ამოვარდნილი ხელოვნება შეიძლება მხოლოდ უმიზნო თამაშად მიიჩნიო. მისი სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეუძლებელია.

რაც მთავარია, პერევერზევისათვის ხელოვნება და მისი სახეთა სიტემა არ არის სინამდვილის შემეცნება, რადგან შემეცნება ყოველთვის სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირებას გულისხმობს და არა მათ ერთიანობას. სოციალური ხასიათი თამაშობს ოა, ამით იგი პროექციას უშვრება მხოლოდ თავის თავს, მაგრამ ეს პროექციის პროცესი განხილულია არა სუბიექტიურის მხრივ, ე. ი. არა „ადამიანის გრძნობად მოქმედებათა" პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში, არამედ ობიექტის მხრივ, რომელიც გვევლინება როგორც სოციალური ყოფა. სოციალური ყოფა არის როგორც „გამომხატველი სუბიექტი, ისე გამოსახატავი ობიექტი". ნაწარმოებს და მის დამწერს ქმნის სოციალური ყოფა და ამიტომ ავტორის ფსიქოლოგიას არაფერი არ შეუძლია აგვიხსნას ნაწარმოებში. შემოქმედების ფაქტში სოციალური ყოფა ლაპარაკობს და ამიტომ მისი ანალიზი ყოფის ანალიზი იქნებოდა და არა დამწერის იდეოლოგიის გამომჟღავნება. სოციალური ყოფა კი არის „სოციალურ-ეკონომიური პროცესი", რომელიც ახდენს შემოქმედების უშუალო დეტერმინაციას, და მოხსნილია ის გარდამავალი რგოლები, რომლებიც არსებობენ ეკონომიკასა და იდეოლოგიურ ზედნაშენებს შორის.

როგორც ვხედავთ, პერევერზევის მეთოდოლოგიური წინამძღვრები ფილოსოფიურად მექანისტური მატერიალიზმია, ხოლო პოლიტიკაში მენშევიზმი, რომელიც იცავს იდეოლოგიური ზედნაშენების ეკონომიკისაგან უშუალო განსაზღვრულობის თეორიას, ახდენს ცნობიერების ონტოლოგიზაციას და აუქმებს სუბიექტის იმ შედარებით დამოუკიდებლობას, რომელიც წარმოადგენს შემეცნების შესაძლებლობის ელემენტარულ წინაპირობას.

პერევერზევის აზრით, მარქსიზმი მატერიალიზმის გარეშე ნიშნავს „მოსპო მასში არსებითი და საფუძველი ბირთვი", მაგრამ იგი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს, თუ რა იქნებოდა მარქსიზმი თავისი მატერიალიზმით დიალექტიკის გარეშე. მარქსიზმი არა მარტო მატერიალიზმია, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმიც.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმს შეუძლია იდეის ჭეშმარიტი ახსნა, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოდის იდეურის შემდეგი გაგებიდან: „იდეური სხვა არა არის რა, თუ არა მატერიალური, მხოლოდ ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული". მეთოდოლოგიურად ეს ფორმულა ორლესილი მახვილია, რომელიც ანიავებს როგორც იდეალიზმს, ისე მექანისტურ მატერიალიზმს. იდეის მარქსისტული გაგება, რომ იგი მატერიალურის გადამუშავებაა, გამორიცხავს მისი სუბსტანციური დამოუკიდებლობის ფუნქციას და ამით სახის იდეის იდეალისტური გაგება განადგურებულად უნდა ჩაითვალოს. მეორეს მხრივ, მ ა რ ქ ს ი ს ფორმულა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იდეური არა მარტო ადამიანის თავში გადატანილი მატერიალურია, არამედ სოციალური პრაქტიკის პროცესში აქ-

ტიურად მომქმედი სუბიექტის მიერ გადამუშავებული. ამით ბოლო ეღება სახის იდეურობის მექანისტურ ინტერპრეტაციას.

ზოგადად რომ ვთქვათ, იდეა იდეურის კონკრეტული ფორმაა, როგორც ადამიანის ცნობიერების მდგომარეობის გამომხატველი სინამდვილის შემეცნებისა და მისი გარდაქმნის პროცესში. იდეა სუბიექტის მხარეზე მოთავსებული გნესეოლოგიური კატეგორიაა და შემეცნებითი პროცესის გარეშე მისი წარმოდგენა გენეზისის თვალსაზრისით შეუძლებელია. „იდეა (იგულისხმე: ადამიანის შემეცნება) არის ცნებისა და ობიექტიურობის დამთხვევა (შეთანხმა)“ *). ამიტომ იდეა განხილულ უნდა იქნას, როგორც ცნებაზე უმაღლესი ცნება: „მთლიანობა ცნებისა რეალობასთან“ **). იდეის, როგორც ჭეშმარიტების, განმტკიცება სწარმოებს პრაქტიკის გზით და მისი დიალექტიკა ობიექტური სინამდვილის ნივთების დიალექტიკის ასახვაა, ე. ი. იდეა, როგორც პროცესი, ხორციელდება შემეცნებელი სუბიექტის გარე სამყაროზე აქტიური ზემოქმედების შედეგად. რადგან ყოველი სუბიექტის არსება „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა“, ამიტომ ყოველი იდეა სოციალურია და გვევლინება, როგორც ამა თუ იმ კლასის შეგნება. „იდეა არის ადამიანის შემეცნება და მისწრაფება (სურვილი)“, — ამბობს ლენინი და აქ მის მიერ ხაზგასმულია იდეის სუბიექტური მხარე. აშკარაა, რომ ყოველი იდეა არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, რადგან ყოველი ადამიანის მისწრაფება და სურვილი არ არის ჭეშმარიტი. იდეის ჭეშმარიტობა, ერთის მხრით, განსაზღვრულია აზროვნების ისტორიული განვითარების საფეხურით, რომ გონებას არ შეუძლია ერთბაშად გამოხატოს ყოფის ფორმები, რომ აზროვნების „სუვერენობა ხორციელდება უაღრესად არა სუვერენულად მოაზროვნე ადამიანების მთელ რიგში“ (ენგელსი). მეორეს მხრივ, იდეის ჭეშმარიტება დამოკიდებულია კლასის მდგომარეობისაგან წარმოების პროცესში, რომელიც განსაზღვრავს იდეის პროგრესულ თუ რეაქციონურ შინაარსს. ამ მხრივ აღებული ყოველი იდეა გვევლინება, როგორც მსოფლმხედველობრივი კატეგორია, რომელშიაც მოცემულია ამა თუ იმ კლასის სინამდვილისადმი დამოკიდებულების თავისებური გაგება. ამიტომ როდესაც ნაწარმოების იდეურობის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ ხაზს ვუსვამთ სახის იდეის მსოფლმხედველობრივ შინაარსს, იმას, რაც სურს დაამტკიცოს ავტორს თავისი სახეების სისტემით.

მხატვრული ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, შემეცნების სპეციფიური ფორმაა და მჟღავნდება, როგორც მხატვრული აზროვნება. მართალია, იგი აზროვნების თავისებური სახეა, მაგრამ მაინც აზროვნებაა, და ამდენად მის მიმართ აზროვნების ზოგადი კანონები ძალაში რჩება. ლიტერატურის სპეციფიკის გამოვლენა აღქმის აქტში ხდება, მაგრამ ეს

*) В. И. Ленин. „Философские тетради“, გვ. 187 (1934 წ. გამოცემა)

**) იქვე, გვ. 165.

იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვნების სპეციფიკა ობიექტურად არ არსებობდეს, რადგან ის ადამიანის გაჩენასთან ერთად გაჩნდა ბრძოლის პროცესში. რადგან ხელოვნება შემოქმედებითი გზით შემეცნებითი აზროვნებაა, ამიტომ საშუალება გვეძლევა ხელოვნების სპეციფიკის შესახებ სწავლა საერთოდ აზროვნების შესახებ სწავლასთან დავაკავშიროთ. აზროვნების კანონებს კი, როგორც ვიცით, დიალექტიკური ლოგიკა განიხილავს, ამიტომ ხელოვნების სპეციფიკის საკითხიც მის სფეროში შედის, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ იგი კონკრეტიზირდება, როგორც სოციალისტური ესტეტიკა ანუ ხელოვნების მარქსისტული თეორია, რომელიც თავისში შეიცავს ლიტერატურის თეორიას, როგორც მეცნიერება მხატვრული ლიტერატურული შემოქმედების შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობა კი მხატვრული ლიტერატურული სახისა და იდეის ურთიერთ დამოკიდებულების ზოგადი განხილვის დროს ხაზს უსვამს ორ გარემოებას: 1) როგორიც არის მწერლის მსოფლმხედველობა, ისეთივეა მისი შემოქმედების სახეთა სისტემა და წერის მანერა; მათ შორის გათიშვა და ანტაგონიზმი შეუძლებელია *); 2) იდეის ნაირობა არ განსაზღვრავს მხატვრულობას, ე. ი. როგორც ყალბი და რეაქციონური, ისე ჭეშმარიტი იდეა შეიძლება მოცემულ იქნას მხატვრულად, მხოლოდ იმ წინაპირობით, თუ იგი გულწრფელად სწამს მწერალს. როგორც ვნახეთ, იდეა არის ცნობიერებისა და ობიექტის ურთიერთ დამთხვევა თუ შეთანხმება, მათი ერთიანობა. თუ კი ასეთია ჭეშმარიტი იდეა მარქსისტული გაგებით, მაშინ, ცხადია, ყალბი იქნება ისეთი იდეა, რომელიც გვიჩვენებს მათ შეუთანხმებლობას და დაცილებას. ისიც ცხადია, რომ ყოველ კლასს ერთგვარად არ შეუძლია სინამდვილის ჭეშმარიტი შემეცნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს დავკარგოთ ობიექტური საზომი. როგორც ვიცით, ჭეშმარიტების საზომი არის არა პრაგმატიული პრაქტიკა, არამედ წარმოებითი ინდუსტრიალური პრაქტიკა და ყოველი კლასის იდეა მხოლოდ იმდენად არის ჭეშმარიტი, რამდენადაც იგი მოთავსებულია ამ პრაქტიკით შემოწმებული სინამდვილის შემეცნების ალმავალ ხაზზე. დღემდე არსებულ კლასებს შორის მხოლოდ პროლეტარულ კლასს შეუძლია სინამდვილის ობიექტური გამოხატვა და, როგორც წესი, მხოლოდ ამ კლასის თვალსაზრისით განმტკიცებული იდეა ჩაითვლება ნამდვილ ჭეშმარიტ იდეად.

შეიძლება თუ არა მხატვრული ნაწარმოების დაწერა ყალბ იდეაზე?

---

*) თუ რას ნიშნავს საკითხის ამგვარად დაყენება და ამასთან თუ როგორ უნდა ვავიგოთ ენგელსის გამოთქმა: „რეალიზმი თავს გამოიჩენს ავტორის შეხედულებათა მიუხედავად“, განხილულია ჩემს წერილში, რომელიც იბეჭდება ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ შემდეგი სათაურით: „მსოფლმხედველობა მეთოდისა და კლასიკური მემკვიდრეობის საკითხი მხატვრულ ლიტერატურაში“. ა. ჩ.

„როდესაც ყალბი იდეა საფუძვლად ედება მხატვრულ ნაწარმოებს, მას შეაქვს ამ ნაწარმოებში ისეთი შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებისაგანაც აუცილებლად იბღალება მისი ესთეტიური ღირსება *).

ასეთი შეხედულება უმართებულოა, იგი არ მართლდება ლიტერატურის ისტორიით, რადგან, პროლეტარიატის თვალსაზრისით, ყალბ იდეაზე არსებობს უაღრესად მხატვრულად დაწერილი ნაწარმოებები. შემოქმედების მხატვრულობისათვის (ყოველი შემოქმედება არ არის მხატვრული) ღირებულია არა ის, თუ როგორია იდეა პროლეტარიატის თვალსაზრისით, არამედ ის, თუ როგორია მწერლისა და მისი კლასისთვის. თუ ავტორის იდეა მისი კლასის შეგნებაა, რომელიც გულწრფელად განიცდება მხატვრის მიერ, შესაძლებელია საფუძვლად დაედვას მხატვრულ შემოქმედებას და განხორციელდეს, როგორც ესთეტიკური ფენომენი. მხატვრულობა არ არის აუცილებლად „სინამდვილის რეალისტური გამოხატვის ზომა". და მართლა რომ ყალბ იდეაზე არ შეიძლებოდეს მხატვრული ნაწარმოების დაწერა, მაშინ ხელოვნება დაჰკარგავდა თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას იმ კლასისათვის, რომელსაც წარმოების პროცესში თავისი მდგომარეობის გამო, არ შეუძლია ჭეშმარიტი წარმოდგენა იქონიოს სინამდვილის შესახებ. ცნობილია, რომ ისტორიის სცენიდან წარმავალი კლასის მწერლები თავისი კლასის გადასარჩენად ქმნიდენ უაღრესად მხატვრულ ნაწარმოებებს. ხშირად უაღრესად რეაქციონური იდეა უდიდესი მხატვრულობით არის შესრულებული. მაგ., ტურგენევის „Отцы и дети"-ს მე-17 თავი, რომელშიაც მოთხრობილია ბაზაროვის სიკვდილი, მისი სოციალური უუნარიანობა, როგორც ავტორის ყალბი წარმოდგენის მაჩვენებელი რაზნოჩინური ინტელიგენციის შესახებ, იკითხება უდიდესი განცდით. მხატვრულობის თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ შესანიშნავ ადგილს არა მარტო ტურგენევის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ მხატვრული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმ მეთოდოლოგიური დებულების დასადგენად, რომ იდეის რეაქციონურობა და სიყალბე არ განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრულობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ერთის მხრით, მწერალი გულწრფელად განიცდის ამ იდეას და, მეორეს მხრივ, თუ იგი ბუნებით პოეტია და არა ფინაჩი. ეს მეორე მხარე იმ მხრივ არის საინტერესო, რომ არ შეიძლება საერთოდ იდეის მხატვრულობაზე ილაპარაკო იმ მწერალთან, რომელსაც არა აქვს მხატვული ოსტატობის ნიჭი. გულწრფელობის შესახებ კი მოვიყვანთ ნ უ ს ი ნ ო ვ ი ს დასკვნას, რომელიც, ჩვენი აზრით, სწორად სწყვეტს საკითხს:

---

*) ბ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი. „Искусство и обществ. жизнь". т. XIV, გვ. 150—151.

„გულწრფელობა მხატვრულობის აუცილებელი წინამძღვარია. თუ ნიჭიერ მწერალს ღრმად სწამს თავისი რეაქციონერული [illegible] იდეის რეაქციონერობის მიუხედავად, შეუძლია შექმნას მხატვრული ნაწარმოები. მაგრამ კლასის დაშლა, მისი ნგრევა, უფროდაუფრო შეუძლებელს ხდის მისი წარმომადგენლებისათვის ღრმად ირწმუნონ თავიანთი იდეა. და ეს წარმოადგენს ქვედამავალი ლიტერატურის მხატვრულობის დაკნინების ერთ-ერთ მიზეზს“ *) (ხაზი ჩვენია).

არისტოტელე ამბობს, რომ შეხედულებას მუდამ თან ახლავს რწმენაო. მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. ხშირად მწერალს აქვს გარკვეული შეხედულება სინამდვილის განვითარებაზე, მაგრამ ამ შეხედულებას თან არ ახლავს მისი განხორციელების რწმენა, რადგან ცხოვრების განვითარების მარადიული ლოგიკა არარად აქცევს ხოლმე მწერლის კლასობრივ იდეას. სინამდვილის წინააღმდეგობა იმ მწერლის შემოქმედებაში, რომელიც არ არის მომხრე განვითარების ობიექტური ტენდენციისა, არა მარტო მხატვრობის პროფანაციას გამოიწვევს, არამედ შემომქმედს კალამსაც კი დააგდებინებს ხელიდან.

მესამე თავისებურებას ენგელსი შემდეგი სიტყვებით გამდოგვცემს: „რაც უფრო დაფარულია ავტორის შეხედულებები, მით უფრო უკეთესია ხელოვნების ნაწარმოებისათვის“ **). ენგელსის ამ გენიალურ გამოთქმას დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის მეთოდოლოგიურ დებულებას ხელოვნების ფაქტში იდეის მოცემის თავისებურების შესახებ.

ცნობილია, რომ მხატვრულ ნაწარმოებში იდეა ისე შიშვლად და უშუალოდ არ გვევლინება, როგორც მეცნიერებაში. იდეა აქ მჟღავნდება მის დაფარულ ფორმაში და რაც უფრო ასეთია იგი, მით უფრო ღირსებაა ნაწარმოებისათვის. იდეის დამალვის საიდუმლოება კი იმაში მდგომარეობს, რომ იდეის ათვისება ხდება არა ავტორის რიტორიული მსჯელობის გზით, არამედ მხატვრული სახეების ორგანიული მთლიანობის შედეგად. ამ დებულების უფრო კონკრეტული ანალიზი ასეთია: სახის იდეურობის შესახებ მსჯელობის დროს ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სახის იდეა და მწერლის იდეა. როგორც დავინახეთ, პერევერზევმა სახე მიიჩნია სოციალური ხასიათის პროექციად და მასში გათქვიფა მწერლის იდეა. ასეთი შეხედულება წარმოადგენს მენშევიკური აზრების კონტრაბანდას ლიტერატურათმეცნიერებაში. თუ სახეს მივიმჩნევთ მარტოოდენ ადამიანად, მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი სახის იდეურობაზე, იმ გაგებით,

*) ი. ნუსინოვი. „Заключ. слово“. „Лит. и Маркс.“, 1931 г., № 4, გვ. 34.
**) „Маркс и Энгельс об искусстве“, გვ. 195.

რომ იგი ხასიათდება ისეთი საკუთარი იდეებით, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ მწერლის მსოფლმხედველობასთან. მაგრამ სახე მარტო სუბიექტი როდია. ლიტერატურულ სახედ შეიძლება იყოს სინამდვილის ყოველი კონკრეტული მოვლენა, საგანი, რომლებსაც იდეა და გრძნობა არ ახასიათებს, როგორც ფსიქიური ფუნქცია. ასეთია, მაგ., იმ მუხის სახე, რომელიც ბესიამ სააგიტაციოდ გამოიყენა „სამწუხარო შედეგში", ჩიჩიკოვის ჩემოდანისა და ლუარსაბ თათქარიძის კარ-მიდამოს აღწერილობა. ამიტომ უნდა გავარჩიოთ უმთავრესად ორი რიგის სახეები: 1) სახე ადამიანისა, რომელშიაც აგრეთვე იგულისხმება ლირიკოს მწერლის შემოქმედება, როგორც საკუთარი ფსიქიური ქვეყნის ტიპიური გამოხატვა და ამიტომ განცდის სახეების ცალკე გამოყოფა, როგორც ამას ზოგიერთი სჩადის, ზედმეტია; 2) ბუნების სახეები.

ადამიანის სახეების თავისებურება იმაშია, რომ ისინი უხდენენ რა აპერცეპციას მწერლის კლასობრივ იდეას, ამასთანავე საკუთარი ფსიქოიდეოლოგიური ცხოვრებით ხასიათდებიან; ბუნების სახეების თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ემსახურებიან ან უშუალოდ ავტორის იდეის გამოხატვას, ან სოციალური ხასიათის იდეის ესთეტიურ ცხადყოფას. მოკლედ, ისინი ორმაგად დაქვემდებარებული სახეებია.

როდესაც ვამბობთ, რომ სახე არის იდეის გრძნობად კონკრეტული გამოვლინება, ხომ არ ვახდენთ ამით ადამიანის შინაარსით გაგებული სახის იდეის იგნორაციას? თითქოს სახის იდეას ვთქვეფთ მწერლის იდეაში. და ერთის შეხედვით ასეთი საყვედური სამართლიანი უნდა იყოს, რადგან როგორ შეიძლება ბარნაბა საგანელიძის, როგორც კულაკის, სახის იდეა იყოს პროლეტარული მწერლის იდეა? თითქოს მათ შორის არ არსებობს შემხები ხაზები. ცხადია, რომ ბარნაბა საგანელიძე და პოლოვცევი „გატეხილ ყამირიდან", როგორც სოციალური ხასიათები, ხასიათდებიან საკუთარი აზრებით, გრძნობებით, მისწრაფებებით, მოქმედებით, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ კ. ლორთქიფანიძისა და შოლოხოვის აზრებთან და მისწრაფებებთან, როგორც მათ ამსახველთან.

ამ მოჩვენებითი წინააღმდეგობის დაძლევა სრულიად ადვილი მოსახერხებელია, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: ხელოვნება არის არა თამაში ცხოვრებაში, არამედ ადამიანის მოქმედების თავისებური ფორმა. ხელოვნების ფაქტები ყოველთვის იწერება განსაზღვრული კლასობრივი მიზანდასახულობით, რომელსაც ხელოვანი შეგნებულად ემსახურება. ნ. გოგოლი ამბობს:

„მე ნათლად დავინახე, რომ აღარ შემიძლია ვწერო სავსებით განსაზღვრული და ნათელი გეგმის გარეშე. საჭიროა, უპირველესად ყოვლისა, ჩემ თავს ავუხსნა ჩემი თხზულების მიზანი, მისი არსებითი სარგებლიანობა და აუცილებლობა... თვით ავტორი უნდა დარწმუნდეს და იგრძნოს,

რომ, ჰქმნის რა თავის ნაწარმოებს, ასრულებს სწორედ იმ მოვალეობას, რომლისთვისაც მოწოდებულია ამ ქვეყნად. და ასრულებს რა ამას, ამავე დროს ემსახურება თავის სახელმწიფოს, თითქოს ნამდვილად ეყოფებოდეს სახელმწიფოებრივ სამსახურში" *).

ბიბლიოთეკა

და მართლაც ცხადია, რომ შემოქმედების საშუალებით მწერალი ცდილობს რეალიზაცია მოუხდინოს თავის იდეურ განზრახვას, რომელიც უაღრესად პარტიულია, როგორც მისი სინამდვილისადმი დამოკიდებულების გამომხატველი. ამ იდეების ცხადყოფა ხდება მხატვრული სახეებისა და მათი კავშირის საშუალებით. მაგ., შოლოხოვმა „გატეხილ ყამირში" შინაარსად აიღო სინამდვილის ის მხარე, რომელსაც სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა ეწოდება. შოლოხოვმა, იდეურად გადაამუშავა რა იგი, მოგვცა მისი განვითარების ტენდენციის ბოლშევიკური გაგება. ჩვენ რომ არ ვიცოდეთ „გატეხილი ყამირის" ავტორის ვინაობა, მაინც მივხვდებით, რომ იგი პროლეტარული მწერლის ნაწარმოებია, რადგან მისი დამწერი იცავს პროლეტარიატის და არა განწირული კულაკის ინტერესებს. მართალია, ამის შესახებ ავტორი რიტორიულად არაფერს გვეუბნება, მაგრამ იგი გამომჟღავნებულია მოთხრობის კომპოზიციური გაშლით, სახეების ურთიერთ შორის კავშირით და მათი განვითარების ტენდენციით. მართალია, საგანელიძის იდეა არ წარმოადგენს ავტორის იდეას, მაგრამ რა უნდა ეწოდოს ავტორის მისადმი დამოკიდებულებას, თუ არა ამავე ავტორის იდეის გამოვლენა? კ. ლორთქიფანიძის მიერ კულაკი საგანელიძე დახატულია როგორც საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივი მტერი, აქტიური მებრძოლი, მავნე და სხვა. კულაკის ასე ტიპიურად მოცემით მწერალს არ წაუშლია საგანელიძის, როგორც სოციალური ხასიათის, თვითმყოფობა, მაგრამ სწორედ ამ პროცესის კარგად შესრულებით, იმით, რომ გვიჩვენა კულაკის საქმიანობა და არსება მის მრავალ განსაზღვრულობაში, შესძლო მან თავისი იდეის მხატვრული რეალიზაცია. თუ როდიონ რასკოლნიკოვი დოსტოევსკის იდეური დაკვეთის უშუალო გახსნაა, ესევე არ ითქმის რასკოლნიკოვის სასიძოს, ვაჭარ ლუჟინის შესახებ, რომლის მხატვრული ჩვენებით ავტორმა გამოავლინა მდიდარი და წარჩინებული ფენისადმი თავისი დამოკიდებულების იდეა. ესევე შეიძლება ითქვას ყოველი ლიტერატურული სახის შესახებ, და სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ სახე არის იდეის გრძნობად კონკრეტული დეტალიზაცია და ინდივიდუალიზაცია. ენგელსი ხაზს უსვამს სწორედ იმ გარემოებას, რომ მწერლის ეს იდეა, რწმენა და თვალსაზრისი გამოვლენილი უნდა იყოს ნაწარმოებში არა პუბლიცისტურად, არამედ დაფარულ ფორმაში. იგი ყველგან უნდა იყოს მხატვრულ ფაქტში და ამავე დროს არსად არ უნდა იყოს, თუ შეი-

*) Н. В. Гоголь. „Авторская исповедь". Соч. Н. Гоголя, 15 изд., т. VIII, 1900 წ.

ძლება ასე გამოვთქვათ ეს დიალექტიკა. მართლაც, ეგ. ნინოშვილი უშუალოდ არსად არ გვეუბნება, რომ იგი ტარიელ მკლავაძის მეტრია და სპ. მცირიშვილის დამცველი, მაგრამ მწერლის ტენდენცია აშკარად ჩანს მოთხრობის მთელ შინაარსში. მწერლის ასეთი მდგომარეობა ნაწარმოებში გოგოლმა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: „ავტორი... თავის გმირებს უნდა ამოეფაროს“.

ლიტერატურათმეცნიერებაში დღეს უკვე დადგენილია, რომ არსებობს ნაწარმოებში მწერლის იდეის მოცემის შემდეგი ფორმა: ავტორის ლირიული უკანდახევები, რომლებსაც ვხვდებით როგორც ლირიულ, ისე პროზაულ ნაწარმოებში. ასე, მაგალითად, პუბლიცისტური ამოძახილია „მკვდარი სულების“ პირველი ნაწილის დასასრული, როდესაც კაპიტალიზმის განვითარების გამო დაღუპვის გზაზე დაქანებულ ფეოდალურ რუსეთს მისძახის ნ. გოგოლი: „რუსეთო, საით მიექანები, მომეც პასუხი!?“ ი. ჭავჭავაძე, აღწერს რა თათქარიძის გაპარტახებულ კარ-მიდამოს, იქვე კითხულობს: „რაღად დგას ეგრე ცუდად? — მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით“. ჭავჭავაძის ეს მჭერმეტყველება არის არა მარტო იმის საბუთი, რომ თათქარიძის სოციალური უძლურება მისი ეროვნული მდგომარეობით არის ახსნილი, არამედ იმის საბუთიც, რომ ავტორის ლირიული უკანდახევები ვნებს ნაწარმოების მხატვრულ ეფექტიანობას. ასეთივეა ამავე მოთხრობის დასასრული, როდესაც ილია შიშველ აგიტაციით მიმართავს მკითხველს: „ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენი ძუძუთი გაზრდილან. თუ მათ დასცინებ, ვითომც შენი თავისთვის დაგიცინია“.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არ არის ავტორის უშუალო გამოთქმები, მაგრამ სამაგიეროდ ავტორი თავის აზრებს ისეთი გმირის პირში ჩასდებს, რომელიც არ შეიძლება ტიპის ნამდვილი ბუნებისა და მოქმედებისაგან გამომდინარეობდეს. ეს გარემოება ჰქმნის სახის ხელოვნურობას, მის არა რეალობას და იწვევს მკითხველის ემოციონალური განწყობილების შემცირებას. ასეთია, მაგ., აკაკი წერეთლის ლექსი „გლეხის ალარება“, რომელშიაც გლეხი მიმართავს სისხლის მსმელ ბატონს: „რად არ მეტყვი: ძმები ვართ, მოდი მომხვიე ხელი“. ზევით კი ეუბნება: კისერზე მაზიხარ და სისხლს მწოვო. იგი საკმაოდ შეგნებული გლეხია და ამის შემდეგ მისი მიმართვა ბატონისადმი მხოლოდ აკ. წერეთლის ფილოსოფიაა და არ შეიძლება იგი გლეხს ეკუთვნოდეს. განა „ოთარაანთ ქვრივში“ არჩილის მეტყველება ილიას სოციალური კონცეპციის გამოთქმა არ არის, ისეთი გამოთქმა, რომელსაც არასოდეს არ იტყოდა სინამდვილის თავადი? განა ოდესმე არსებობდა ისეთი შემთხვევა, რომ თავადს გლეხის შესახებ ეთქვას: „ცხოვრება მაინც იმაშია... ის ჩვენი მოკვეთილი ნა-

ხევარია, მე მისი"-ო. იდეის ამგვარი მოცემის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები", სადაც მომქმედი პირები ავტორის პოლიტიკური კონცეპციის რუპორად გადაქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეის მხატვრულ გამოვლენას უნდა ემსახურებოდეს მხატვრული ფაქტი, როგორც ორგანიული მთლიანობა, ყველა თავისი მხატვრული კომპონენტებით ამ გზით მოცემული იდეა მეტად ფუნქციონალურია და წარმოადგენს ნაწარმოების ღირსებას. ხელოვნებაში შიშველი, რიტორიული თქმა არ არსებობს. აქ თქმა ქნაა და პირიქით. ამგვარად გამოვლენილი იდეა არის ნაწარმოების ტენდენციურობა, რომელიც „თავისთავად გამომდინარეობს მდგომარეობიდან და მოქმედებიდან, ისე რომ არ ხდება მასზე განსაკუთრებულად მითითება" (ენგელსი).

ნაწარმოებში და მის სახეთა სისტემაში დამალული იდეის სპეციფიკა სწორედ ის არის, რომ იგი არასოდეს არ გვევლინება როგორც მშრალი რიტორიული მსჯელობა, იგი მარად განუყრელია სინამდვილის გრძნობად კონკრეტულ სურათხატიანობისაგან. იგი არ არის მოწყვეტილი შემეცნების გრძნობად ფორმას, რომლის რეალიზაციაც ხდება ინდივიდუალიზაციისა და დეტალიზაციის საშუალებით. თუ როგორ არის შესაძლებელი ეს და როგორია მისი კონკრეტული შინაარსი, — ეს იქნება მხატვრული აზროვნების სპეციფიკის გამორკვევა, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენი თემის მიზანს არ წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. ჯანელიძე

საბჭოთა მხატვროგბის მორიგი გამოფენა

პიკასომ გააკეთა სურათი გამხმარ ფუნისაგან: ოდნავ შეაფერადა ტყეში ნახული ფუნე და სურათზე დააწება. სიურიალიზმის მესვეური, დადაისტი პოეტი ანდრე ბრეტონი ირწმუნება — ფუნე მხატვრის გენიოსობის ნიშანიაო. კაპიტალისტური დასავლეთის ხელოვნება სალონებს ავსებს ფუნისაგან გაკეთებული სურათებით, ალუბლის დასრესით დაწერილი ტილოებით. ფრანსის პიკაბია და ბერარი სურათებს აკეთებენ ბაწრისაგან, მინის ნამსხვრევებისაგან, ქანდაკებას სთხზავენ დაჟანგული ლურსმებისა და თუნუქის ნაჭრებისაგან, გამოფენაზე გამოაქვთ ხელუხლებელი სითეთრით გამუნჯებული ტილოები: მათ აღარაფერი დარჩათ სათქმელი, სინამდვილეს გაურბიან, სიმართლეს ემალებიან. იდეურად ამოშრეტილი მხატვრობის ოსტატობაც მეტის-მეტად ჩამოქვეითდა.

ბურჟუაზიული ხელოვნება იხრწნება. ამავე დროს სოციალიზმის ქვეყნის მხატვართა ტილოები მშრომელი კაცობრიობის დიადი იდეებით არის განათებული.

საბჭოთა ოსტატების ფუნჯი და ყალამი ჩვენი საამაყო სინამდვილიდან ხატავს მუშათა კლასის გმირული ბრძოლებისა და ენტუზიასტური მშენებლობის სიმართლეს. ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის უჩვეულო, ხოლო სოციალისტური სამშობლოსათვის სრულიად ბუნებრივ, ხელშემწყობ ატმოსფერაში საბჭოთა მხატვრობა დღითი-დღე იზრდება და მდიდრდება, მომწიფებული ოსტატობით იწერება ცხოველმყოფელი იდეებით სრულყოფილი ტილოები.

საბჭოთა ოსტატობის შეუნელებელი ზრდისა და წარმატების დამადასტურებელია მხატვართა კავშირის საგაზაფხულო გამოფენის ხალისიანი დარბაზები.

მხატვართა უფროს თაობიდან გამოფენაში მონაწილეობას იღებენ: ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, დავით

კაკაბაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, ვასილ ქოტ-ქოვი, გრიგოლ მესხი, ქეთო მაღალაშვილი, სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძ[illegible]ნ სიდამონ-ერისთავი, გრიგოლ შერბაბ[illegible] ალექსანდრე ციმაკურიძე. მომყოლი თაობის მხატვართაგან გამოფენას ავსებენ ფერმწერლები და მოქანდაკეები: ბეჟუა შვილი, ბურდული, გაბუნია, გვეტაძე, ქრ. გიორგაძე, ჯოტო გრიგორიანი, კოტე გრძელიშვილი, ბაგრატიონი, დედაბრიშვილი, ზაზიაშვილი, რუბენ თავაძე, კახიძე, არამ კოჯოიანი, ალფეზ კოპალიანი, ალ. ლოჩოშვილი, სევერიან მაისაშვილი, იორამ მამალაძე, მარადაშვილი, მიზანდარი, სამსონ ნადარეიშვილი, კორნელი სანაძე, შავერდოვი, ჩერნიშკოვი, ცაგარელი და კოტე ჭანკვეტაძე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციისათვის ბრძოლამ სახვითი ხელოვნების მდგომარეობა ძირბუდიანად შესცვალა. მხატვართა უსახლკაროდ მოხეტიალე სურათები გალერეიაში ჩაასახლეს და მშრომელთა ათასებისათვის მისაწვდომი ხდება ის, რასაც მისი მხატვრები ჰქმნიან. ჩვენი და უცხო სახვითი ხელოვნების უმდიდრესი მემკვიდრეობა ისე ვიწროდ იყო ჩაჭედილი ეროვნულ გალერეიაში, რომ თავისი სიმდიდრის ერთ მეასედსაც ვერ ამხელდა. მეტეხის ხელოვნების მუზეუმი გადაიქცა კულტურის ახალ კერად, იქ ფართო და სინათლიანი ბინა ექნება სახვითი ხელოვნების მემკვიდრეობას თავისი მდიდარი განძეულის გამოსაჩენად.

იქ, სადაც მეფის რეჟიმისა და მენშევიკების ბატონობის დროს სამხატვრო სკოლა ძლივს ბოგინობდა, ეხლა სამხატვრო განათლების ქსელი იშლება, ხოლო უმაღლესი სამხატვრო სკოლა-აკადემია მილიონიანი ბიუჯეტით არის წელგამართული.

საბჭოთა მხატვრებს ბევრი რამ მიეცათ, მაგრამ, შეუბრალებლად ჩამოერთვათ ერთი რამ — ცუდად და უნიჭოდ ხატვის და ნაუცბათევი მდარე ნაწარმოების ძერწვის უფლება.

სოციალიზმის მშენებელ პროლეტარიატს უკვე გააჩნია თავისი საკუთარი კულტურა, საკუთარი ესთეტიკა. პროლეტარიატი ემყარება მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ცხოველმყოფელ მოძღვრებას. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს ხელოვნების, ლიტერატურის კლასობრიობის, პარტიულობის აღიარება

საბჭოთა მხატვრობას გაშლილი ბრძოლის წარმოება უხდება ფორმალიზმის წინააღმდეგ.

შემოქმედებაში შინაარსის უგულებელყოფა და მხოლოდ ფორმალი მომენტების წინ წამოწევა ფორმალიზმის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა. ფორმალიზმის მიმდევარნი ცდილობენ ხელოვნება დაშორონ, მოსწყვიტონ საზოგადოებრივ ცხოვრებას, იდეურად გამოაცარიელონ და დაუკარგონ მას ფართო სოციალური ინტერესი.

ფორმალიზმი ბურჟუაზიული კლასის წიაღში აღმოცენდა. როდესაც სინამდვილე, რეალობა, მისი განვითარების ტენდენცია აშკარად გვიჩვენებს ბურჟუაზიული კლასის დაღუპვის აუცილებლობას, როდესაც ამ ნიადაგზე იწყება მისი ინტელიგენციის გონებრივი დაქვეითება და მორალური დაკნინება, ბურჟუაზიული ხელოვნება წინ აღუდგება რეალობას, უარყოფს რეალიზმს, იგი ასრულებს საკუთარი კლასის შეკვეთას, გვერდს უვლის და ჩქმალავს სინამდვილეს, ჩნდება „ხელოვნება ხელოვნებისათვის" — კუბიზმი მხატვრობაში, დადა ლიტერატურაში. ყოველივე ამას ფორმალისტები ასაღებენ ბურჟუაზიული ესთეტიკის თვალთმაქცური დევიზის — „ხელოვნების თავისუფლების" განხორციელებად.

ფორმალიზმს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. რუსეთის სფს რესპუბლიკის მხატვრობის 15 წლის გამოფენის გახსნაზე განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ბ უ ბ ნ ო ვ მ ა განაცხადა:

„სოციალისტური რეალიზმი პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მხატვრული სტილია. მხატვრები ამაზე მუშაობენ და აქეთ მიიმართებიან. ამ მოძრაობას უნდა თან დაჰყვეს დაუზოგველი ბრძოლა ფორმალიზმთან. ეს არის მთავარი საშიშროება, რადგან თანამედროვე სინამდვილის სიმართლით ასახვაზე უარის თქმა იმ ფორმებში, რომლებიც მას შეფერის, გვაძლევს ფერწერითი ნწარმოების შინაარსის დამახინჯებას და ფორმის გახრწნას. ფორმალიზმი არის ბურჟუაზიულ რეაქციისაკენ დაქანების გზა" *).

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სპეციალურმა დადგენილებამ საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის ყურადღება მიაპყრო ფორმალიზმის საშიშროებასთან ბრძოლის აუცილებლობას.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ? რას გვეუბნება ფორმალიზმის შესახებ საბჭოთა მხატვრების კავშირის საგაზაფხულო გამოფენა?

აშკარაა, რომ საბჭოთა მხატვრების კავშირს დიდი ბრძოლა გაუწევია ფორმალიზმის წინააღმდეგ, დიდი აღმზრდელობითი მუშაობა ჩაუტარებია ახალგაზრდა მხატვართა შორის. ამის შედეგად მთელი რიგი მხატვრები ემიჯნებიან ფორმალიზმს და უბრუნდებიან რეალიზმს. პროლეტარიატის დიად საქმესთან დაკავშირებულ ხელოვნებას, სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ოსტატებს ემატებიან ახალი და ახალი ძალები, რომელნიც სო-

*) ჟურ. „Искусство", 1933 წ., № 4, გვ. 3.

ციალიზმის იდეებით იმსჭვალებიან და მშრომელთადმი დიდი თანაგრძნობით ამეტყველებენ თავიანთ ფუნჯსა და ყალამს.

ამ გამოფენის მნიშვნელოვან მოვლენად ჩაითვლება ფორმალისტური მიმართულების ერთ-ერთი მეთაურისა და თეორეტიკოსის დ. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს სურათების გამოფენა. ხანგრძლივი მხატვრული დუმილის შემდეგ მისმა ფუნჯმა ამოიღო ხმა და გვიჩვენა მომწიფებული ოსტატობით ამეტყველებული სურათები. ერთხანად დ. კაკაბაძემ, ისევე, როგორც რუსეთის ფორმალისტებმა, თეატრს შეაფარა თავი: სასცენო სარბიელზე მის ფორმალისტურ-კონსტრუქტივისტულ ექსპერიმენტებს მეტი გასაქანი ეძლეოდა. მან შექმნა მრავალმხრივ საყურადღებო კონსტრუქტიული გაფორმება საბჭოთა სცენის საამაყო სპექტაკლისა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ". მანვე გააფორმა ნაკლებად ცნობილი „ბაილ" და სხვ. თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის წიაღიდან მან დაიწყო რეალიზმისაკენ შემობრუნება. უთუოდ რეალისტურია „ნინოშვილის გურიის" მეტად მოხდენილი, ლაკონიური და აზრით აღსავსე მხატვრული გაფორმება. ასევე რეალისტურ ხაზებში წარმართა კაკაბაძემ „ესკადრის დაღუპვის" დეკორატიული გაფორმება.

გამოფენაზე წარმოდგენილია კაკაბაძის სამი სურათი თემაზე „რიონ-ჰესი". კაკაბაძის ცნობილი პეიზაჟი ახლა ახალი სახით, ახალი შინაარსით და ფორმით გვევლინება. ეს სურათები გვაუწყებენ, რომ სახელმოხვეჭილი ოსტატი თანდათან თავისუფლდება ფორმალიზმის ტყვეობისაგან. ცხადია, ამ სამ სურათში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ იმ დიდი შესაძლებლობისა და შემოქმედებითი უნარიანობის სრულ გამომჟღავნებას, რომელიც ჩვენს ოსტატს გააჩნია.

ასევე რეალიზმისაკენ არის შემობრუნებული სტილიზაციას გადაყოლილი ჩვენი დიდი ოსტატი ლ ა დ ო გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი. მისი გრაფიკა ამის დამადასტურებელია. „მანანა ორბელიანის გამგზავრება ბალზე" მეტად საინტერესოა — აქ ნათლად მოსჩანს წარსული ცხოვრების სურათის ასახვა, თანაც რეალისტურად, საბჭოთა მხატვრის თვალსაზრისით. ასევე კარგად გააკეთა მან „აკაკი წერეთელი თავადაზნაურობის წრეში". დიდის ოსტატობით არის შესრულებული სუპერყდა საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის" გამოცემისათვის. ყოველივე ეს ამჟღავნებს, რომ მხატვარი რეალისტურ ფერწერაზე გადადის.

ახალგაზრდა კადრებისადმი დიდ ყურადღებას და სწორ აღმზრდელობითი მუშაობას უნდა მიეწეროს ის, რომ მთელი რიგი ახალგაზრდა მხატვრები, რომელნიც წინა გამოფენებზე ფორმალისტური მანერით დაწერილი სურათებით გამოდიოდენ, ეხლა გულწრფელად ცდილობენ თავი დააღწიონ სტილიზაციითა და ფორმალიზმით გატაცებას და დაადგნენ რეალისტური თხრობისა და ფერწერის გზას.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა კ ო ტ ე ჭ ა ნ კ ვ ე ტ ა ძ ი ს ტილოები — „კოლმეურნეები“ და „კოლმეურნე ქალი“. ჭანკვეტაძეს დღემდე ვიცნობდით, როგორც სტილიზაციით გატაცებული მხატვარს. დღეს იგი გულწრფელად ცდილობს საბჭოთა თემატიურობით ამოავსოს სურათი, თავი გაანებოს სინამდვილის დამამახინჯებელ სტილიზაციას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია თქმა, რომ მისი სურათები მთლიანად რეალისტურია. ამ სურათებს აკლია სიხალისე, სიცოცხლე. მისი კოლმეურნეების თვალები მკვდარი ლაქაა, სახეებს ჯერ კიდევ მოსდგამთ გეომეტრიული დაღრეჯილობა. ფერები უხალისოა, უსაზო. კოლმეურნეთა მზიან, სიხარულით აღსავსე ცხოვრებისათვის ნუ თუ მხატვრის პალიტრაზე ვერ უნდა მოინახოს უფრო ხალისიანი, უფრო ცოცხალი ფერადების გამა? ჭანკვეტაძის წინა სურათებთან შედარებით, მისი „კოლმეურნეები“, ცხადია, რეალიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯია. თუ ამ ნიჭიერ მხატვარს სურს საბჭოთა ოსტატების რიგში მტკიცედ ჩადგეს, საბოლოოდ უნდა იბრუნოს პირი სოციალისტური რეალიზმისაკენ. საინტერესოა, რომ კ. ჭანკვეტაძეს, აბაკელიას მსგავსად, ფერწერაში სკულპტურული გამოსახიერების პრინციპი შემოაქვს. მხატვარი ხაზს უსვამს, მეტად მკვეთრად აჩენს ფიგურის მოცულობას, მატერიის სიმკვრივეს. ეს სტილიური მომენტი ჩვენს მხატვრობაში მეტად საინტერესოა და განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს.

მხატვარი შ ა ვ ე რ დ ო ვ ი წარმოდგენილია ორი სურათით: „მიკროფონთან“ და „სროლის გაკვეთილი“. ამ სურათებში ირანული სტილის მანერისათვის ჩვეული გულმოდგინებით არის გამოხატული სრულიად უმნიშვნელო დეტალები და ამ წვრილმან დეტალების ზღვაში უიმედოდ არის ჩაძირული და მიჩქმალული სურათის აზრი და შინაარსი. სურათი, მიუხედავად იმისა, რომ ოსტატურად არის შესრულებული, მაინც ზოლოდ დეტალების ჩვენებაა და სხვა არაფერი. ადამიანის სახეები უფრო ნაკლები ყურადღებით არის აწერილი და დამუშავებული, ვიდრე ტანსაცმელის მოხატულობა. იმის მაგივრად, რომ მხატვარს ადამიანის სახე სურათში ასახულ ახალი ადამიანების იდეებისა და ემოციების სარკედ გადაექცია, მან სრულიად მოშალა იგი და მთელი ყურადღება სურათის დეკორირებაზე, ორნამენტულ მორთულობაზე გადაიტანა. შავერდოვის სურათები საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ რის მომცემია სტილიზაციით და დეკორატიულობით გატაცება, თუ როგორ ამახინჯებს, აწვრილმანებს და აცარიელებს ის სურათის შინაარსიანობას.

როდესაც მაძღარმა ბურჟუაზიამ სახვით ხელოვნებას თავშესაქცევი, ნერვების გამაღიზიანებელი, აზრისაგან დაწრეტილი სურათები მოსთხოვა, სხვა იზმთა შორის პრიმიტივიზმიც გამოჩნდა. პრიმივიტიზმი ფორმალიზმის ერთერთი სახეობაა, სრულყოფილი მხატვრული ტექნიკისა და ოსტატობის უარყოფით, პირველყოფილ ტექნიკასთან დაბრუნებით ახალი

ფორმის ძიება, — ასეთია პრიმიტივიზმის რეაქციული, დეკადენტური პრინციპი. ცხადია, ამ მიმართულებას ჩვენს პირობებში არავითარი გამართლება არა აქვს და ამიტომ ყოვლად მიუღებელია დედაბრიშვილისა და გრიგორიანის ცდები „საბჭოთა“ პრიმიტივიზმის შესაქმნელად.

დედაბრიშვილი მეტად ნიჭიერი მხატვარია, ის მარჯვედ ფლობს პალიტრას, მისი სურათების კოლორიტი თვალს ახარებს, და მით უფრო მოეთხოვება მას, საბჭოთა უმაღლეს სამხატვრო სკოლაში აღზრდილს, რომ მისი სურათები პრიმიტივისტულ ექსპერიმენტებს არ გადაჰყვეს. მხატვარს რეალიზმისაკენ შემობრუნება მართებს.

ჯოტი გრიგორიანიც მეტად თავისებური სტილის მქონე გრაფიკოსია. ის ენათესავება დასავლეთის თანამედროვე ოსტატებს, მისი თემატიკა ჩვენი სინამდვილიდან არის აღებული, მაგრამ პრიმიტივობით გაუცხოვებულია.

ცხადია, ჩვენ სულ სხვაგვარად ვეკიდებით სახვითი ხელოვნების „ფოლკლორს“, ბუნებრივ პრიმიტივს, მაგალითად, შალვა მარადიშვილის სურათებს. მაგრამ ჩვენ ამ ნიჭიერ მხატვრისაგანაც მოვითხოვდით და ეხლაც მოვითხოვთ, რომ იგი დაეუფლოს ფერწერის თანამედროვე ტექნიკას, გადაიქცეს კულტურულ შემომქმედად. საბჭოთა მხატვარს, თუ იგი თავისი ნიჭის ნაჭუჭში ჩაიკეტება და განვითარების გზას არ გაჰყვება, უკან ჩამოიტოვებს დიადი ეპოქის აღმავალი ხელოვნება.

გაბუნიას პეიზაჟები ფერადებით განხორციელებულ მოზაიკას უფრო ჩამოაგავს, ვიდრე ფერწერას. გარდა ფერწერითი ფორმალისტურ-ტექნიკური მომენტებით გატაცებისა, აქ მიკროსკოპითაც კი ვერ იპოვით აზრისა და განწყობილების ნატამალს.

ფორმალიზმის დაუძლეველი გავლენა გვაქვს აგრეთვე მამალაძის მხატვრობაში.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, უპირისპირდება რა ფორმალიზმის მეთოდს, სრულიადაც არ გულისხმობს ფორმის უგულებელყოფას. პირიქით, სოციალისტური რეალიზმის მხატვრობა წარმოუდგენელია სრულყოფილი ფორმის გარეშე. ჩვენი ახალგაზრდობა ამ მხრით ხშირად მოიკოჭლებს. იძლევიან იდეურად გამართულ სურათებს, მაგრამ მეტად მოიკოჭლებენ ფერწერის ტექნიკის, ფორმის მხრით. ჩვენ აშკარად უნდა ვამხილოთ ფერწერის უცოდინარობა. ბეჟუაშვილი უკვე დიდ ტილოებსა წერს და უთუოდ ნიჭიერად ამჟღავნებს რეალისტური წერის უნარს, მაგრამ რთული კომპოზიციის გასამართავად მან ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს. სურათის იდეა, რასაკვირველია, მთავარია, მაგრამ თუ ის ოსტატობით დაძლეული ფორმით არ იქნება ხორცშესხმული, არაფრად არ ეღირება.

საბწუხაროდ, ჩვენში ახლა ბევრი მხატვარია, რომ მასალის ლირსებაზე არ ფიქრობს და ამიტომაც არის, რომ სურათები არაერთ წლებს, არამედ დღეების განმავლობაში კარგავენ თავიანთ პირვანდელ ფერსა და სახეს. გამძლეობა მათ ხშირად სრულიად არ გააჩნიათ. ჩვეულებრივ ასე იმართლებენ თავს: ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ფერადებია „ცუდიო". მაგრამ როგორ ხდება, რომ კეთილსინდისიერი ოსტატები ამავე ფერადებით ახერხებენ გამძლე, მასალის თვისებით სრულიად დამაკმაყოფილებელი პროდუქციის მოცემას? ცხადია, აქ საქმე გვაქვს დაუდევრობასთან, ტექნიკურ უვიცობასთან. ჩვენ მხატვართა დიდი კადრი გვყავს, მაგრამ მხატვრობის ტექნიკას მთელი თავისი სისრულით მხოლოდ ცოტანი ფლობენ. მხატვართა კავშირმა ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს, ხოლო აკადემია მოვალეა შეისწავლოს და დაამუშაოს მთელი რიგი საკითხები ფერწერის ტექნიკის დარგიდან.

გამოფენა ამჟღავნებს, რომ ფორმალიზმის გვერდით არსებობს ნატურალიზმის საშიშროებაც. ამხ. დინამოვი სამართლიანად შენიშნავს თავის წერილში, რომ „ნატურალისტური ხელოვნება არის ეხლა მთავარი გამტარებელი, რომელიც ხრწნის მაყურებლის, მკითხველისა და მსმენელის გემოვნებას" *).

ნატურალიზმი ვერ გამოხატავს ცხოვრების სინამდვილეს. ჭეშმარიტ სინამდვილეს იგი ვერასოდეს ვერ ჩასწვდება. ამიტომ ნატურალიზმი მავნეა და მას საერთო არაფერი აქვს სოციალისტურ რეალიზმთან.

გამოფენაზე ჩვენ გვაქვს ნატურალისტური სურათები. დავასახელებ, მაგალითად, გვეტაძის სურათებს: „ძველი ტფილისი", „კომუნარების ბაღი". მართალია, გარეგნულად აქ თითქოს ზუსტ მიმსგავსებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს მიმსგავსება ხომ ვერ გამოხატავს ჩვენი ცხოვრების თავისებურობას, პირიქით, ამახინჯებს კიდეც მას.

ზოგიერთი მკვლევარი დაჯდა და საბჭოთა ხელოვნებისათვის ჟანრების შერჩევა დაიწყო: ესა და ეს ჟანრი გამოგვადგება, ამას კი სანაგვე ყუთში გადაუძახებთო. მაგ., პროფ. ა. სიდოროვი ცდილობდა დაეჯერებინეთ, რომ „გამტკიცებულ და მომავალს იმედიანად შემყურე ეპოქებს პორტრეტი ჩვეულებრივ არ უყვართ" (XVIII ს. რუსი პორტრეტისტები). რაკი ჩვენი ქვეყანა განმტკიცებულიცაა და მომავლის იმედიანად შემყურეც, მისთვის პორტრეტული ჟანრი შეუფერებელი ყოფილა. მაგრამ რა უყოთ, რომ სინამდვილე სიდოროვის წინააღმდეგ მეტყველებს — საბჭოთა სახვით ხელოვნებაში პორტრეტულმა ჟანრმა ფეხი მოიკიდა. მხატვართა კავშირის საგაზაფხულო გამოფენაზე, პეიზაჟის გვერდით, პორტრეტებმაც საპატიო ადგილი დაიჭირეს. საბჭოთა ხელოვნება ვერცერთ ჟანრს ვერ დაგმობს. ყოველი ჟანრი კარგია და გამოსაყენებელი, თუ კი ის პროლეტარიატის ინტერესებისათვის იქნება მიმართული.

*) „პრავდა", 23 აპრილი: „Стиль советского искусства".

რა მოთხოვნებს უყენებს მარქსისტულ-ლენინური ხელოვნებისმცოდნეობა საბჭოთა პორტრეტის მწერალს? ფრ. ენგელსი მოითხოვდა ხელოვნებისაგან, რომ „ყოველი სახე გარკვეული ტიპიც უნდა იყოს და ამასთანავე ინდივიდუალობაც“. ესევე უნდა მოვთხოვოთ პორტრეტის მწერალს, — პორტრეტი გარკვეული განზოგადოებული ტიპიც უნდა იყოს და ამასთანავე ინდივიდუალობაც. პორტრეტი საზოგადოებრივი ღირებულების მქონე უნდა იყოს.

პორტრეტი უაღრესად რეალისტური უნდა იყოს, მაგრამ რეალისტური არა ფოტოგრაფიულად, არა ნატურალისტურად, არამედ საბჭოთა ხელოვნების მეთოდის გაგებით, ე. ი. პორტრეტში უნდა სჩანდეს ასახული ინდივიდის განვითარების ტენდენცია, არა მარტო ის, თუ რას წარმოადგენს დღეს ტილოზე გამოსახიერებული პიროვნება, არამედ ისიც, თუ რა იქნება ის ხვალ. ამით პორტრეტის მწერალი მოახერხებს გადააქციოს სურათი გარკვეული სოციალური ჯგუფის სოციალურ დახასიათებად.

სოციალური დახასიათება მოითხოვს „ხასიათებში დამახასიათებელი ნიშნეულობათა“ მონახვას და მის ხაზგასმას, მის წინ წამოწევას. ნატურალისტურმა დეტალიზაციამ არ უნდა შეიწიროს მთავარი და არსებითი: საბჭოთა მხატვრაი არის არა პორტრეტის პასიური მწერალი, არამედ პიროვნების სოციალური შემფასებელი.

უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვის პირობებში მიმდინარეობს. ჩვენს ქვეყანაში განადგურებული კაპიტალისტური კლასების ნარჩენები წინააღმდეგობას სოციალისტურ მშენებლობაში გვიწევენ. ცხადია, მოცემულ პირობებში პროლეტარიატი ბრძოლისა და საქმიანობის ინტერესით არის გამსჭვალული. ამიტომაც საბჭოთა პორტრეტი პარტიულად არის მომართული: საბჭოთა მხატვარი გვაწვდის ფერებით გამოსახიერებული პიროვნების პარტიულ შეფასებას. ცხადია, საბჭოთა სურათში ტენდენცია ჩაჩრილი კი არ უნდა იყოს, მიტმასნილ ამბად კი არ ნუდა ჩანდეს, არამედ ბუნებრივად, ფერმეტყველებით უნდა „ამოდიოდეს გამოსახიერებული სახის მდგომარეობიდან“.

ჩვენს ქვეყანაში დიადი ეპოქის სადარი ხელოვნება იქმნება. იქმნება იგი კაცობრიობის განვითარებით შექმნილი კულტურის კრიტიკული ათვისებისა და გამოყენების გზით. აშკარაა, საბჭოთა მხატვარი მაღალ პორტრეტულ კულტურას უნდა ფლობდეს. საბჭოთა პორტრეტი მეტად მაღალ, უაღრესად განვითარებულ წერისა და კვეთის ტექნიკას მოითხოვს.

ამ გაგებით უნდა შევაფასოთ მხატვართა კავშირის გალერეაში გამოფენილი პორტრეტები.

საგაზაფხულო გამოფენაზე ერთ-ერთი დარბაზის ორი კედელი ქ ე თ ო მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს პორტრეტებს აქვს მოკავებული. მაღალაშვილი რეალისტი მხატვარია. იგი ცდილობს პორტრეტის მნახველის [illegible] ყურადღება მიიპყროს და შეაჩეროს ეს ყურადღება გამოსახული ფიგურის სახესთან. ტანსაცმელი თითქმის ყოველთვის შავია და ერთფეროვანი. გარემოცვასაც იშვიათ შემთხვევაში მიმართავს, თითქოს ეშინია, პორტრეტის მნახველის ყურადღება არ დავაბნიო, არ გავფანტოო. სახის გარდა, რაც კი მოხერხდება, ყოველივეს შავით ფარავს. საინტერესოა, რომ მაღალაშვილს არც ერთი პორტრეტი არა აქვს ბუნების არეზე მოცემული. ყველა ფიგურა კარებდახშულ ოთახში ნაღვლიანობს. ოთახის კედლის ფონიც უფერულია, ადამიანებთან ერთად ის ოთახის განწყობილებასაც ხედავს, თუმცა ოთახს ხშირად სრულიადაც არ გვიჩვენებს. ქეთო მაღალაშვილი იმდენად მომწიფებული მხატვარია, რომ მას უნდა შესწევდეს ძალა ჩასწვდეს პიროვნებას და ფერებით გადმოშალოს მისი სულიერი სამყარო. ზოგჯერ ამას ახერხებს კიდეც (ელენე ახვლედიანის პორტრეტი), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამცდარი გზით ქმედობს, გაურბის გამოსახული ფიგურის ტიპად ქცევას, კმაყოფილდება მხოლოდ პორტრეტული მსგავსებით, ხატავს ერთი მომენტის განწყობილებას და არ გვაძლევს გამოსახიერებულის სოციალურ დახასიათებას.

ცხადია, დიდად ვაფასებთ ქეთო მაღალაშვილის ნიჭსა და უნარს ფერწერის ყველაზე უძნელეს დარგში, მაგრამ მოვითხოვთ რომ საბჭოთა მხატვარმა თავისი შემოქმედება სოციალისტური ხელოვნების შექმნისაკენ მიმართოს.

ვ. ს ი დ ა მ ო ნ-ე რ ი ს თ ა ვ ი ს „მეცნიერი მუშაკის პორტრეტში" მოსჩანს არა მარტო ფიგურა, არამედ მისი გარემოცვაც, რაც სურათის შინაარსიანობას ერთი ორად ზრდის. ფიგურა მუშაობის პროცესშია მოცემული. ტიპიურ მდგომარეობასა და გარემოცვაში გამოხატული ფიგურა მეტად რეალური და დამაჯერებელია. პორტრეტის ნაკლად უნდა ჩაითვალოს გარემოცვის ზედმეტი დეტალიზაცია.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ამხ. ს ტ ა ლ ი ნ მ ა ისტორიულ სამაისო სიტყვაში სოციალისტური საზოგადოების ახალი გეზი დასახა: „მთელი ძვირფასი კაპიტალებიდან, რომლებიც მსოფლიოში მოიპოვება, ყველაზე ძვირფას და გადამწყვეტ კაპიტალს წარმოადგენენ ადამიანები"... ცხადია, ძვირფასი კაპიტალი — ადამიანი მხატვრობის მთავარ თემად უნდა იქცეს. მხატვრობამ უნდა ასახოს კაპიტალებიდან ძვირფასი და გადამწყვეტი კაპიტალი — ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები.

ფერწერით შესრულებულ პორტრეტებზე ბევრად უფრო წინ დგას სკულპტურული პორტრეტები. სახალხო მოქანდაკის ი ა კ ო ბ ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს, კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს, რ. თ ა ვ ა ძ ი ს, მ ე რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ს,

ლოჩოშვილის და მიზანდარის მიერ შესრულებული სკულპტურული ქანდაკებანი ჩვენი სახვითი ხელოვნების გამარჯვებისა და ახალი მიღწევების შესახებ მეტყველებენ. ჩვენ აქ გვაქვს საბჭოთა ადამიანების, სოციალისტური კულტურის მშენებლების პორტრეტები და ამ მხრივ ამ პორტრეტების სოციალური ღირებულება მეტად დიდია.

იაკობ ნიკოლაძის „ვაშაძე" შესრულებულია სახალხო მოქანდაკისათვის ჩვეული ოსტატობით, დიდი ხელოვანისათვის ჩვეული სისადავით, მხატვრულობით და დამაჯერებლობით.

კანდელაკის „ლევანდოვსკი", „ვასაძე" და „გუდიაშვილი" საბჭოთა ქანდაკების ზრდის მაჩვენებელია. პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად მოქანდაკემ შესძლო მოეცა მკვეთრი ფსიქოლოგიური დახასიათება, თანაც მოქანდაკე იძლევა პიროვნების საზოგადოებრივ შეფასებასაც. იგი პათეტიურ ფორმაში გამოხატავს მუშათა კლასის სიყვარულს სოციალისტური კულტურის მოღვაწისადმი — წითელი არმიის ერთერთი სარდლისადმი. ერთადერთი ნაკლი, რაც ამ ქანდაკებას აქვს, არის ზედმეტი ექსპრესიულობა, სახეები მეტის-მეტად დაჭიმულია და რამდენადმე მოკლებული მხატვრულ სისადავეს.

ახალგაზრდა სკულპტორთა ოსტატობის მომწიფების მაჩვენებელია თავაძის და მერაბიშვილის მიერ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ნაქანდაკევი სტალინის თანამებრძოლის, საუკეთესო ბოლშევიკის კიროვის ბიუსტი. ამ ქანდაკებისათვის დამახასიათებელია ხასიათის სიმტკიცესთან შეზავებული სიმშვიდე. მოქანდაკენი მხატვრული სისადავით ახერხებენ დამაჯერებელი პორტრეტის შექმნას.

მერაბიშვილის „დიმიტროვი" მეტის-მეტად რბილია. ქანდაკი ვერ გამოხატავს დიდი რევოლუციონერის, ლეიპციგის პროცესზე გამარჯვებული გმირი კომუნისტის მებრძოლ ბუნებას.

ლოჩოშვილის „ესებუა" დამაჯერებლად გადმოგვცემს სახალხო ფალავნის სახეს. ბიუსტი კომკავშირელი მოქანდაკის ოსტატობის ზრდის მაჩვენებელია.

თალაქვაძის „გურული" შესანიშნავია. მოქანდაკე ახერხებს ფიგურის მეტად საინტერესო დახასიათებით მოცემას.

უთუოდ გამოსარჩევია შ. გიორგაძის „კოლმეურნე".

ამ რამდენიმე წლის წინად „მემარცხენეობის" სენით დაავადებულმა ზოგიერთმა კრიტიკოსმა და მხატვარმა პეიზაჟი მკვდარ ჟანრად გამოაცხადეს და ამ „ნამკვდრევის" გამოთრევა და ჩარჩოში ჩასმა დიდ იდეოლოგიურ ცოდვად მიიჩნიეს. ამიტომაც იყო, რომ ჩვენი გამოფენებიდან თითქმის სრულიად გაქრა უმართებულოდ ათვალისწინებული პეიზაჟი. სახვით ხელოვნებაში პეიზაჟს ისეთივე ბედი ეწვია, როგორიც პოეზიაში ლირიკას. ეს იყო პარტიის სახელოვნო პოლიტიკის დამახინჯების ერთერთი სახეობათაგანი და ვულგარიზაცია.

და მართლაც, როდესაც ჩვენ ამდენს ვფიქრობთ, ამდენს ვზრუნავთ და ამდენს ვაკეთებთ ქალაქის გამწვანებისათვის, ესოდენი სიყვარულით და მზრუნველობით ვეკიდებით მწვანე ნარგავებსა და ყვავილებს, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების საამქროებიც კი გამშვენიერებულია ტროპიკული პალმებით, ამ დროს განა უცნაური არ არის, მხატვარს ეუბნებოდე — ამოსული მთვარე, გამწვანებული ხეები, აბიბინებული ბალახი, სურნელოვანი ვარდყვავილები, მთელი ბუნება ბურჟუაზიულია და არ გაბედო, ბუნების სურათი არ დაგვიხატო.

მართალია, პეიზაჟი, როგორც ფერწერის განსაკუთრებული ჟანრი, ბურჟუაზიული ხელოვნების წიაღში აღმოცენდა და გაიზარდა, მაგრამ ჩვენ ამ ჟანრის გამოყენებაზე უარი არ გვეთქმის: ლ ე ნ ი ნ ი გვასწავლის:

„ჩვენ ვერ გადავწყვეტთ პროლეტარული კულტურის მშენებლობის ამოცანას, თუ ნათლად არ შევიგნებთ, რომ მხოლოდ იმ კულტურის ცოდნით, რომელიც შექმნილია კაცობრიობის მთელი განვითარებით, მხოლოდ მისი გადამუშავებით შეიძლება შეიქმნას პროლეტარული კულტურა“.

ის, რასაც ბურჟუაზიული ხელოვნება იძლევა ჟანრული მრავალფეროვნების მხრით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ. ცხადია, ვერ ჩავიკეტებით მხოლოდ სიუჟეტური ხასიათის სურათების რკალში.

რას წარმოადგენს პეიზაჟი? ეს არის ადამიანის თვალით დანახული ბუნების სურათი, ეს არის ადამიანის წარმოდგენა ბუნების შესახებ, იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებსაც ადამიანი ახდენს ბუნების გარდაქმნით.

მაგრამ ყოველივე ამას, რაკი იგი ადამიანის თვალით არის დანახული და ადამიანის გრძნობით და გონებით წარმოდგენილი, ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი თვისებები აქვს, ე. ი. აქ ჩვენ განსაზღვრულ თვალსაზრისთან გვაქვს საქმე. თავისთავად აშკარაა, რომ სოციალისტური მშენებლობის მონაწილე მხატვრის თვალით დანახული ბუნება, მისი ფუნჯით გამოსახიერებული პეიზაჟი სულ სხვა იქნება, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული მხატვრის სურათი.

ამ მხრით მეტად საინტერესო მასალას იძლევა ჩვენი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც წ მ ი ნ დ ა პეიზაჟი, ისე შერეული პეიზაჟი, პეიზაჟი სხვა ჟანრებთან შერწყმით მიღებული. გამოფენაზე პეიზაჟის შემდეგი სახეობანი გვაქვს: ა) პეიზაჟი, გამოყენებული სიუჟეტურ სურათებში (მაგ. ს. მ ა ი ს ა შ ვ ი ლ ი ს „ბრძოლა ნასაკირალთან“); მთავარია სიუჟეტი, ხოლო პეიზაჟი დამხმარე მომენტია, ფონია სიუჟეტის გაშლისათვის; ბ) წმინდა პეიზაჟი — მხოლოდ და მხოლოდ ბუნებაა, სულ ერთია ხელშეუხებელი თუ ადამიანის ხელით გარდაქმნილი (დ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ე. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, გ ი ო რ გ ა ძ ე და სხვ.); გ) პეიზაჟი ფიგურებით (ა ლ. ც ი მ ა კ ურ ი ძ ი ს, „აგარაკი“, ს ა ნ ა ძ ი ს „მობანავე ქალები“ და სხვ.); დ) ნახევრად პეიზაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნახევრად სიუჟეტიანი სურათი (კ. გრძელიშვილის „შეძლებული ცხოვრებისაკენ“).

პეიზაჟის ასეთი ყოველმხრივი გამოყენება უთუოდ მასალებელია. ჩვენ აქ არ ვემწყვდევით ტრაფარეტებში და პეიზაჟი ყოველმხრივი შესაძლებლობით არის მოცემული. ამიტომაც ჩვენი გამოფენა მასალის სიმდიდრით მეტად საინტერესოა, რადგან აქ თვალნათლივ მოსჩანს ჟანრის ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობაც და მისი ჩავარდნის საფრთხეც.

ჩვენს გამოფენაზე პეიზაჟის ჟანრში ორი გარკვეული ჯგუფის მხატვრობას ვამჩნევთ:

1) სოციალისტური რეალიზმის გზაზე შემდგარი მხატვრები გვიხატავენ ბუნებას, რომელსაც აჩნია კოლექტიური შრომის ხელი, გვიხატავენ სოციალისტური მშენებლობით, მშრომელთა ენტუზიაზმით გარდაქმნილი ბუნების სახეცვლილებას, იძლევიან სოციალისტური შრომით შექმნილ პეიზაჟს. ეს არის, ასე ვთქვათ, ახალი პეიზაჟის საგნობრივი აღწერილობა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ როგორც ეს „აღწერილობა“ გვიჩვენებს, იგი დაწერილია დროებისა და ბუნების გარდაქმნაში აქტიური მონაწილეობით, გარდაქმნილი ადამიანის ხელით. ამ ჯგუფის პეიზაჟი დაწერილია ახალი ცხოვრების მშენებლის სიხარულით და ენტუზიაზმით, გაკეთებული საქმის სიამაყით, ერთი გამარჯვებიდან მეორე გამარჯვებამდე მისწრაფების გრძნობით. მეტად დამახასიათებელია, რომ ამ ჯგუფის პეიზაჟში მთავარი ადგილი დაიჭირა ჩაის პლანტაციის თემამ. ჩაი ახალი ცხოვრების მიერ მოტანილი კულტურაა: ჩაის პლანტაციების გაშენებით მეტად თვალსაჩინოდ, მეტად ნათლად, მეტად თვალშესახებად შეიცვალა ბუნების სახე, და იმ დიდი გარდატეხის გამოსახატავად, რომელიც რევოლუციამ მოახდინა, ჩაის თემა მეტად ნათელი, მეტად დიდი შინაარსის შემცველი გამოდგა. ამით აიხსნება ამ თემის ასე ამოჩემება (კოპალიანი, გიორგაძე, სანაძე და სხვ.).

2) ხშირად გვხვდება სოფლის ბუნების თემაც, რომელიც გვიხატავს სოფლის მეურნეობის გარდაქმნას, მასში ინდუსტრიის შეჭრას, გიგანტური მშენებლობის გაშლას, მინდორში ხარების ნაცვლად ტრაქტორების ამოქმედებას და სხვ. ეს არის თემა, რომელიც იძლევა ქალაქისა და სოფლის პეიზაჟის სინტეზს, ინდუსტრიას სოფლური ბუნების ფონზე (ასეთია კაკაბაძის, ნაწილობრივ კოპალიანის პეიზაჟები).

3) ჩვენ სინამდვილისადმი მხატვრის საინტერესო მიდგომაა გამომჟღავნებული. მხატვარს ამ შემთხვევაში არ აინტერესებს საგნობრივი სახეცვლილებანი, ის „ნეიტრალურ“ პეიზაჟს ხატავს. ასეთი პეიზაჟი წინათაც არსებობდა, დღესაც არსებობს, მაგრამ მას იგი ხატავს ახალი, ძველ მხატვართათვის უჩვეულო განწყობილებით — მისი ბუნება ჯანსაღი ოპტიმიზმის აღმძვრელია, იქ ყოველი ფოთოლი ახალი ცხოვრების განუ-

საზღვრელი სიყვარულით, რწმენით არის დახატული (ასეთია კ ო ტ ე გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს, ნაწილობრივ კ. ს ა ნ ა ძ ი ს პეიზაჟები).

პეიზაჟების მეორე ჯგუფი ძირითადში რეალისტური, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მეტად შორსაა სოციალისტური რეალიზმისაგან. აქ ჩანს სოციალიზმის მშენებლობის მონაწილე მხატვრის ხელით მომართული ფუნჯი, მისი ხედვით ასახული ბუნება. ერთერთ წინა გამოფენაზე ჩვენ გვქონდა ერთი მხატვრის მიერ მეტად მოხდენილად შესრულებული ჭაობი. ეს იყო ჭაობის პოეტიზაცია, მხატვარს არც კი უფიქრია, რომ ჭაობი ამოსაშრობია. ეს მოჩვენებითი „ობიექტივიზმი" თავის-თავად იმის მაჩვენებელია, რომ მხატვარი თავისი შემოქმედებით ჯერ კიდევ დღევანდელობისაგან განაპირებას არჩევს. ეგრეთწოდებულ „უიდეო" და „უპარტიო" პეიზაჟი მეტის-მეტად მავნე იდეების მატარებელია და თანაც მეტის-მეტად პარტიულია — გამოხატავს გარკვეული წრეების განწყობილებას და დამოკიდებულებას ჩვენი სინამდვილისადმი.

ამ ჯგუფის პეიზაჟებშიაც უნდა გამოვარჩიოთ: ა) წარსულის იდეალიზაცია და აწმყოს უგულებელყოფა. პეიზაჟში ეს მეტად თვალნათლივ ჩანს (მაგ., ე ლ ე ნ ე ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს სურათები, გ ა ბ უ ნ ი ა ს ფერწერა, ც ა გ ა რ ლ ი ს გრაფიკა); ბ) ე. წ. „წმინდა პეიზაჟი" — წმინდა ლირიკა, რომელიც ამ ცხოვრებიდან გასვლის, ყოველდღიურობისაგან დასვენების, განმარტოების სევდანარევ მოტივებს გულისხმობს (ასეთია შ ე რ ბ ა ბ ჩ ი ა ნ ი); გ) გვაქვს აგრეთვე „იარლიკებიანი" პეიზაჟი, პეიზაჟები, რომელთაც რევოლუციონური სახელწოდება აქვთ, მაგრამ მოჩვენებითი; თავისთავად პეიზაჟი სულ სხვა შინაარსისაა. ამ „იარლიკის" გამართლებისათვის შეიძლება პეიზაჟში ფიგურებიც იყოს ჩაწერილი, მაგრამ საქმეს არც ეს შველის. იარლიკსა და პეიზაჟს შორის აშკარა წინააღმდეგობაა (ასეთია, მაგალ., ა ლ. ც ი მ ა კ ო რ ი ძ ი ს „პარტიზანები"); დ) კლასიკოსებისაგან გადმოწერილი პეიზაჟები.

დ ა ვ ი თ კ ა კ ა ბ ა ძ ე ინარჩუნებს ათეული წლების შემოქმედებით მომწიფებულ ოსტატობას. მას აქაც ახასიათებს მეტის-მეტი ლაკონიურობა, ცოტაოდენი ფერადის დახარჯვით ბევრის თქმა. პეიზაჟში, სადაც ინდუსტრია მთავარია, მას გამოსახვითი „ტექნიციზმი" შეაქვს, რაც სურათს მეტის-მეტ სიმკაცრეს და სიზუსტეს აძლევს. კომპოზიციურადაც აქ ყოველივე ზედმიწევნილი სიზუსტით არის გაანგარიშებული. ხაზები ისეთი თავშეკავებით არის მოვლებული, რომ სურათის ბოლოს თვალი ეძებს მასშტაბის აღმნიშვნელს. სურათი მეტად კარგად არის დაგეგმილი და ვამჩნევთ იტალიური კლასიკური მხატვრობის ტრადიციის გამოყენებას — სურათი აგებულია უცდომლად გამოზომილი ხაზების ნახატობით. ხაზი გამხდარა სურათის კომპოზიციის სახელმძღვანელო პრინციპად. კაკაბაძის სურათი ყოველმხრივ სადაა, მეტის-მეტად სადა, იგი ზომიერების დიდი გრძნობით არის ნაწერი. კაკაბაძის ყალამი აქ მეტის-მეტად მკაც-

რია, ხშირად მშრალი, მაგრამ თანაც გაბედული. რანდენადაც ზუსტია იგი ჰიდროელექტრო ნაგებობათა გადმოცემის დროს, იმდენადვე თავისუფალია პეიზაჟის გამოსახვისას. წერის ამ ორი განსხვავებული მანერის ერთ სურათში გამოყენება სურათს უქმნის თავისებურ სახეს და აზრს. მთელი სურათი განათებულია ბუნებრივი მშვიდი სინათლით, რაც თემის ხასიათთან არის შეგუებული, მე ეს სურათები უდავო რეალისტურ სურათებად მიმაჩნია.

ალექსანდრე ციმაკურიძე სავსებით მომწიფებული ოსტატია, მეტად ხელგაწაფული. ფუნჯს მარჯვედ და გაბედულად ხმარობს, მას არაფერი არა აქვს ნაწერი ზედმიწევნილი სიზუსტით. ციმაკურიძეს ცალკეული დეტალები არ აინტერესებს, მას მთლიანი შთაბეჭდილების გამომწვევი სურათის შექმნა სწადია და ამ მხრით უთუოდ დიდ ოსტატობას იჩენს. ციმაკურიძე ახერხებს ჰარმონიული მთლიანობის შექმნას. მისი პალიტრა არ არის ძუნწი, აქ მრავალი ფერია ამღერებული, ერთი ფერადის ტონალობა მეორეში გადადის და ეს საერთო სიმწვანის გრძნობა ათეულ ფერადების შედგენილობისაა. მისი კომპოზიციის სახელმძღვანელო პრინციპი განათების თავისებურებაში მოქცეული ფერადებია. მას ძალიან ეხერხება დაბურული ტყის სიხშოს გადმოცემა. ასევე სიმწვანეშია ჩაძირული მისი აგარაკი.

ელენე ახვლედიანი შემოქმედებით მეტად დიდ აქტივობას იჩენს და ამ მხრივ პირდაპირ მისასალმებელია მისი ენერგიული და დაუცხრომელი მუშაობა. ყოველ გამოფენაზე მხატვარი გამოდის ათეული ტილოთი და უამრავი გრაფიკული ნახატით. თანაც საყურადღებოა, რომ შემოქმედების ასეთი ინტენსივობის დროს იგი ყველა სურათში თუ ნახატში ინარჩუნებს თავის მაღალ ოსტატობას, ხოლო ბევრგან გახარებს კიდეც ახალი მიღწევებით. ეს მოვლენა განსაკუთრებით დასაფასებელია.

ელენე ახვლედიანს ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით ძალა შესწევს უძნელეს თემებს მოჰკიდოს ხელი და დასძლიოს. უთუოდ შესანიშნავია მისი „წვიმის შემდეგ", სადაც ასე ნათლად, ხელშესახებად იგრძნობა წვიმით გამაძღარი ბუნება. საინტერესოა, რომ ახვლედიანის ერთ-ერთ პეიზაჟს — „ახალციხის მიდამოები" — თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის გავლენა ეტყობა, თითქოს თეატრალური დეკორაციისათვის ესკიზია შესრულებულიო (ეს არც საკვირველია, რადგან ე. ახვლედიანი თეატრალური მხატვრობის დარგშიც ცნობილი ოსტატია).

ჩვენ უკვე ვთქვით და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ ძირითადში ელენე ახვლედიანის პეიზაჟი „აპოლიტიკურია". ახვლედიანს წარმოდგენილი აქვს აბასთუმნის პეიზაჟები. აქ არაფერია ნათქვამი, რომ აბასთუმანი მშრომელთა ჯანსაღობის, სანატორიუმების, კულტურული ყოფა-ცხოვრების საამაყო კერაა. რას დაემსგავსებოდა, მაგ., დავით კაკაბაძეს რომ რიონჰესის მიდამოები მოეცა მხოლოდ შიშველი ბუნებით და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეჩინა ჰიდროელექტრო ნაგებობანი? ელენე ახვლედიანის შესანიშნავ გრაფიკაში ჩვენ ვხედავთ ძვრას სოციალისტური რეალიზმისაკენ. ასევე გვინდა დავინახოთ ძვრები მის პეიზაჟებში.

ვალ. სიდამონ-ერისთავის პეიზაჟური ხედვანი და ეტიუდები მომწიფებული ოსტატობით არის შესრულებული. მხატვარი ორგანიულად დაუკავშირდა რევოლუციონურ თემებს (მუშაობა რევოლუციის მუზეუმში). მხოლოდ თეატრთან შეზრდილ მხატვარს თუ შეეძლო თეატრის ყოველდღიური მუშაობის ასეთი გულწრფელობით და ფსიქოლოგიური გაგებით გადმოცემა („ბალეტი").

გრიგოლ შერბაბჩიანსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც ერთ-ერთ მოწინავე ოსტატს, რომელიც ცხოველ მონაწილეობას იღებს სოციალისტური თეატრალური კულტურის მშენებლობაში. ცხადია, ასეთი ოსტატისაგან ჩვენ მოველით არა მარტო „ჩაიხანა"-ს, არა მარტო პეიზაჟს, რომელიც თუმცა უნაკლოდაა შესრულებული, მაგრამ უცხოა სოციალური დაკვეთით.

ეს გამოფენა გვიჩვენებს ჩვენ მხატვართა ახალი თაობის შემოქმედებითი ძალების შესამჩნევ ზრდას. ამ მხრივ გამოფენა მეტად ნაყოფიერია.

ალფეზ კოპალიანი და ქრისტეფორე გიორგაძე. ვისაც ახსოვს ალფეზ კოპალიანის და ქრ. გიორგაძის მონაწილეობა წინა გამოფენაზე, მისთვის ნათელია მათი შემოქმედებითი ზრდა. დაუცხრომელი, ენერგიული მუშაობით ისინი ეუფლებიან ფერწერის რთულ ტექნიკას, ხოლო საბჭოთა პეიზაჟის გაგების მხრით მათ პირდაპირ სამაგალითო და მისაბაძი ტილოები გვიჩვენეს. ისინი ქმნიან იდეურად სრულყოფილ სურათებს. წმინდა პეიზაჟებშიაც კი ახერხებენ გვიჩვენონ, რომ ბუნება სოციალისტური შრომით არის სახეშეცვლილი. ადამიანი არა სჩანს, მაგრამ მისი შემომქმედი როლი მაინც იგრძნობა. საკმარისია კოპალიანმა და გიორგაძემ დასძლიონ ერთფეროვნება, მოიპოონ პალიტრის უფრო მეტად ხალისიანი ფერები, მჭლე კოლორიტიდან მდიდრულზე გადავიდენ და მაშინ მათი სურათები ყოველმხრივ სრულყოფილი იქნება.

კოტე გრძელიშვილი დღითი-დღე იზრდება — წინა გამოფენაზე წარმოდგენილი „კოლხიდის ჭაობები" საბჭოთა მხატვრობის მიღწევის ნიმუშს წარმოადგენდა, იქ მეტად კარგად იყო გადაჭრილი საბჭოთა პეიზაჟის პრობლემა; შესრულების მხრითაც უნაკლო იყო. ამ გამოფენაში მონაწილეობით გრძელიშვილმა გვიჩვენა, რომ მას ფიგურებიანი პეიზაჟის მოცემაც ეხერხება. ხატვაშიც ხელგაწაფულია. გრძელიშვილი ახერხებს, პეიზაჟში ფიგურები ზედმეტად არ აქციოს, ის განწყობილების ერთობლიობას ჰქმნის. გრძელიშვილს არასოდეს არ ავიწყდება, რომ ჩვენთვის მთავარია ადამიანი.

ს. მაისაშვილი, როგორც საბჭოთა შემოქმედებითი ძალა, იზრდება გამოფენიდან გამოფენამდე, მაგრამ ამ ზრდას ხშირად მოჰყვება ხოლმე

უკან დახევა, ზოგიერთი პოზიციის დათმობა. მაისაშვილის სურათები ამჟღავნებენ, რომ მან უკვე მიაგნო თავის საკუთარ თავს. იგი მტკიცედ დადგა რეალიზმის გზაზე, მაგრამ მის შემოქმედებაში კიდევ სჩანს და ძალუმადაც სჩანს სტილიზაციით გატაცება. ის უთუოდ უნდა განთავისუფლდეს საბჭოთა მხატვრისთვის შეუფერებელი ფორმალისტური ელემენტებისაგან. მაისაშვილი კარგად ახერხებს სიუჟეტი და პეიზაჟი ერთმთლიანობაში მოიყვანოს და ბუნება ადამიანთა განწყობილებას შეუფარდოს.

კორნელი სანაძე სურათებში გრაციებს ასახლებს. ჩვენ ძალიან გვაეჭვებს მათი სოციალური წარმოშობა. საბჭოთა თემატიკა სრულიად არ გულისხმობს შიშველი სხეულის თემის უარყოფას, მაგრამ საბჭოთა სურათში ამ თემას თავისი აზრი აქვს, იგი დაკავშირებულია მშრომელ ადამიანის ჯანსაღი სხეულის თემასთან (მაგ., დეინიკის „ბურთის თამაში", მიტურიჩის ნახატი, დეინიკის „ფიზკულტურა" და სხვ.). აქ ეს თემა კომპოზიციურად და აზრითაც კლასიკურ მხატვრობიდან არის აღებული. ასევე გაუცხოვებულია ხის ქვეშ მოკალათებული წყვილი. სანაძის შემოქმედებაში ჯერ კიდევ ორი ხაზი ჩანს: მხატვარი, ერთის მხრით, სწავლობს, სესხულობს, მეორეს მხრით, დამოუკიდებელ მუშაობას გვიჩვენებს. მისი „მებადურები" საბჭოთა მხატვრობის საამაყო სურათია.

მხატვართა კავშირის საგაზაფხულო გამოფენამ საბჭოთა სახვითი ხელოვნების დიდი მიღწევები გვიჩვენა. გაცხოველებულ შემოქმედებით მუშაობაში ჩაებნენ უფროსი თაობის მხატვრები, იზრდება ახალგაზრდა მხატვართა ნიჭიერი თაობა. იმ ქვეყანაში, სადაც ძველად, რევოლუციამდე ორიოდე მხატვარი ძლივს ახერხებდა სურათის ხატვას, ეხლა ყოველწლობით ათი-თხუთმეტი გამოფენა იმართება. იქმნება არნახული გაჭანების სოციალისტური მშენებლობის სინამდვილით აღორძინებული ხელოვნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

„მნათობი"-ს რედაქციის მიერ მიღებულია
სახელგამის ახალი გამოცემანი

მხატვრული ლიტერატურა:

დიკენსი — დავით კოპერფილდი (თარგმანი ქ. ინგოროყვასი).
ა. ტოლსტოი — პეტრე პირველი (თარგმანი ი. მაჭავარიანის).
გ. ბაზოვი — ფეთხაინი.
ვ. ჟურული — ვარდის ფურცლობა.
ვაჟა-ფშაველა — ბახტრიონი.
ვაჟა-ფშაველა — გოგოთურ და აფშინა.
ე. ნინოშვილი — ჯანყი გურიაში.
ი. ჭავჭავაძე — რჩეული ლექსები.
ი. ჭავჭავაძე — აჩრდილი.
ი. ჭავჭავაძე — განდეგილი.
ი. ჭავჭავაძე — რამდენიმე სურათი ანუ კაკო ყაჩაღი.
ა. წერეთელი — ჩემი თავგადასავალი.
ა. წერეთელი — გამზრდელი.
ა. ყაზბეგი — ხევის ბერი გოჩა.
შიო არაგვისპირელი — ორი მოთხრობა.
ს. მგალობლიშვილი — დედა მაია.
ს. მგალობლიშვილი — ღამის მეხრე ცეცო.
ნ. ლომოური — გიგო ღრუბელაშვილი.
ნ. ლომოური — ალი.
ნ. ლომოური — ბედი უბედურთა.
ნ. ლომოური — ქაჯანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
სიმონ ჩიქოვანი — ორი ლექსი	3
კონსტანტინე გამსახურდია — მთვარის მოტაცება (კარი მესამე)	6
ტიციან ტაბიძე — ორდენოსან სამშობლოსათვის (ლექსი)	35
ვალერიან გაფრინდაშვილი — ლექსები	42
რ. გვეტაძე — ლაშაური საღამოები (რომანი. გაგრძელება)	44
ვაგიფ — შენთან ერთად (ლექსი), თარგმ. თურქულიდან პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი ს	57
სულეიმან რუსტემ — ჩაპაევი (ლექსი), თარგმ. თურქულიდან მ ი ქ ე ლ პ ა ტ ა რ ა ძ ი ს	58
მ. რაგიმ — ჩემი გოგონა (ლექსი), თარგმ. თურქულიდან კ. ნ ა დ ი რ ა ძ ი ს	59
მიხეილ ჯავახიშვილი — ცხრა ქალწული (მოთხრობა)	61
ლადო მაჭავარიანი — ჩელუსკინელების ხიდი (ლექსი)	70
კალე ბოგბოხიძე — სანატორიუმში (ლექსი)	72
ი. ტატიშვილი — დები (რომანი. გაგრძელება)	74

უცხოეთის ლიტერატურა

ალიგჰიერი დანტე — „სალხინობელი“, თარგმ. იტალიურიდან კ. გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა ს მ ი ე რ	95

რევოლუციური მოძრაობა

ლ. ბერია — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის (მოხსენება ტფილისის პარტაქტივის კრებაზე 21 — 22 ივლისს)	108

სალიტერატურო პოლიტიკის საკითხები

პ. პოსტიშევი — უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის გზები (სიტყვა, წარმოთქმული უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე)	240

მ. კოლცოვი — მწერალი და მკითხველი საბჭოთა კავშირში (სტატუა, წარმოთქმული კულტურის დაცვის კონგრესზე პარიზში) 261

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის ისტორია

გ. ხავთასი — გოეთეს პროფილი ბურჟუაზიულ გოეთეანაში . . 268

ხელოვნებათმცოდნეობა

ალ. ჩავლეიშვილი — ლიტერატურული სახის პრობლემები . . 314

მხატვრობა

დ. ჯანელიძე — საბჭოთა მხატვრობის მორიგი გამოფენა . . . 329

ახალი წიგნები 345